



K 92.493/3

საქართველოს  
საბავშვო ბიბლიოთეკა

ალექსანდრე აბაშელი  
თხზულებათა კრებული

II



8C7  
საქართველოს  
საბავშვო ლიტერატურის  
სამეცნიერო ცენტრი

აღმსახურებელი ხელოვნება



თხზულებების  
ძიებები

მ. კ. ცხელიძე

ტომი

II

K 92.493  
3

სახელმწიფო გამომცემლობა  
«საბავშვო ლიტერატურა»

თბილისი

1960



# სქესები

1939 — 1954



## აპრილი

გამთბარ გულიდან სხივს ამოვიტან,  
რომ გავანათო ჩემი ჭალარა,  
რადგან აპრილის სითბო მოვიდა  
და ყვავილები გადმომაყარა.

სხივებმა მიწას თოვლი გახადეს,  
წყალი წყრილით იწყებს გალობას,  
გახარებული გული ლაღადებს  
ამ სიხარულის გარდუელობას.

ატმის ყვავილი გუნდივით მღერის  
ზამთრის ლეშისთვის გათხრილ ხაროზე.  
დამისახელებთ თუნდ ერთი მწერი,  
რომ გაზაფხული არ უხაროდეს!

და ჩემს გულშიაც მღერით შემოდის  
წყაროს ჩხრიალი დაუცხრომელი.  
ვინ დაიჩემებს წყურვილს ჩემოდენს:  
კაცი, ფრინველი ან ხე რომელი?

ზაფხულის პირზე მუდამ ასეა:  
მზემ ერთხელ ფრთები თუ შეაჩხია, —  
მიწის სურნელით სივრცე სავსეა  
და ვარსკვლავებიც თითქოს ბალია.

ნუშის კვირტები თვალებს ახელებს,  
მზე არ ენახოთ თითქოს აროდეს.  
თუნდ ერთი ჩიტი დამისახელებთ,  
აპრილის მოსვლა არ უხაროდეს!

მეც ხომ ამ ბალის ერთი მწერი ვარ,  
ყვავილთა მტკვრით ფრთაშეგლესილი?



მეც ჩემი ქვეყნის ცაზე ვწერივარ  
შვიდსტრიქონიან ფერად ლექსივით.

მუდამ შრიალა მწვანის მძებნელი,  
მეც ხომ ამ ბალის ერთი ჩიტი ვარ?  
ვგალობ სინათლის მაუწყებელი,  
რადგან წყვედიადთან შენაჭიდი ვარ.

და დღეს ჩემ გულსაც ეს უხარია,  
რომ ეს სინათლე ასე დიდია,  
რომ არც თოვლია, რომ არც ქარია,  
და მზეც სამშობლოს ცაზე ჰკიდია!

18 აპრილი, 1939 წ.

## მზიანი დღე

თუმცა სიცოცხლე ჯერ კიდევ მინდა  
და მრავალ დღეთა მოიმედე ვარ,  
მაგრამ ისეა ჰაერი წმინდა,  
მზის ელვარებაც ისე მედება,  
ისე მაქვს სავსე სიმღერით ყელი  
და გული —ნათელ დღის შესუფოთებით,  
რომ მზად ვარ ამ ხეს მოვხვიო ხელი  
და დაეუკოცნო თბილი ფოთლები,  
ვანუქო ლექსის უკვდავ მისწობას  
ეს დღე უჩრდილო და უჭალარო  
და ჩემი წილი მარადისობა  
ერთ ამისთანა დღეში ჩავლევარო.

18 აპრილი, 1939 წ.

## ერთი მერცხალი

დავფრინავ ჩემთვის ერთი მერცხალი,  
წკრილა ხმებით მკერდავსებული, —  
მარადიული მზის ნაპერწკალი,  
წუთიერ ფრთებში მოთავსებული.

ვნახე სრულქმნილი ჩემი მიზანი  
და წლებმაც ვალი გადამიხადეს,  
მაგრამ არ ცხრება გული მისანი  
და კიდევ ახალ ზეიმს მიქადის.

როგორ დაიტევს ეს გული ამდენს, —  
რა უნდა ვნახო კიდევ ისეთი,  
რომ მის წინაშე ფერმკრთალად ჩანდეს  
სხივმადლიანი ჩვენი მზისეთი?

წავიდე, დავთმო სამშობლოს მთები  
და ჩემი ქვეყნის ტკბილი სახელი,  
დამრჩეს შხუილი გაფრენილ ფრთების  
და შორ სიმღერის გამოძახილი.

20 აპრილი, 1939 წ.

## მაისის დროშა

ზეცას მოსწყურდა ქუხილი, მიწას სახნისი მოშვიდა,  
მთაზე გადმოდგა მაისი აყვავებულის დროშითა.

დროშას ჩამოსწყდნენ სხივები, ქვეყანა შემოირბინეს.  
დაბრუნდნენ, ხეზე ჩამოსხდნენ, სადაც ყვავილი ბიბინებს.

— სად ნავარდობდით, სხივებო, რა სივრცე მოითარეშეთ?  
რა ნახეთ მოსაგონარი ჩვენი მიჯნების გარეშე?

ოქროს სხივები აელერდნენ, როგორც ჩონგურის სიმები:  
ვნახეთო ღამის წყვდიადში სისხლის და ცრემლის წვიმები.

ფერფლი ვნახეთო დამწვართა, ჩამონგრეული სახლები,  
ხალხი, დაბმული ჯაჭვითა და აშეებული ძაღლები.

— მაისის დროშის სხივებო, ისრებო დიდის ბრძოლისა!  
დღეს თქვენი ფრენის დღე არი, თქვენი საომრად ქროლისა.

ისწრაფეთ, კვლავ გადალახეთ დღისა და ღამის საზღვარი,  
რიყრაყის კარი შეაღეთ, სადაც ღამეა საზარი.

ეცენის წკრიალით ჩაფრინდით არწივთა მოშლილ ბუდეშე.  
დაჭრილთა გული განკურნეთ ღონის მომგვრელი ნუგეშით.

წაიღეთ ჩვენი სალამი და ძმური დანაბირები,  
ხვალის იმედით აღაგზნეთ დღეს მხარშეკრული გმირები.

## ივანე ჯავახიშვილს

შენ გადალახე წარსულის ცხრა მთა,  
 საუკუნეთა მისდევ ქარავანს.  
 გესმის გუგუნი გარდასულ ქამთა  
 და ხედავ ბნელში ჩამქრალ შარავანდს.

შეგაქვს ეინელილი დახშულ ლამეში,  
 რომ გაანათო ბნელი უბნები.  
 შედიხარ დინჯად ცივ აკლდამებში  
 და იქ გმირთა ძვლებს ესაუბრები.

და შენს ოცნებას გარს ეხვევიან  
 ძველი ურარტუს ტყიანი მთები.  
 ო, რამდენ არწივს მიუმსხვრევია  
 იმ შავ კლდეებზე გაშლილი ფრთები!

რამდენი ფარი დაულეწია  
 ასურეთიდან მოვარდნილ ქარბუქს, —  
 ქვეყანა მაინც ბედს ვერ ეწია:  
 დაემხო ზეცა დანგრეულ ქალღუს!

შენ გადმოხვეწილ ხალხს გამოჰყევები,  
 წინ განსაცდელით სავსე გზებია.  
 კოშკებს აგებენ ზღვისპირს კოლხები  
 და მოსეულ მტრებს უმკლავდებიან.

აქ ამობრწყინდა ზეცა ახალი,  
 ცეცხლი აყვავდა ახალ კერაზე,  
 ფრთები მოშუშდა, კლდეს შენახალი,  
 და მტრებს კარები გადაერაზა.

ქართულმა მიწამ აქ დაიქუხა  
 ჩვენი სიმღერა ათასწლიანი,

აქ გაიზარდა ქართული მუხა,  
ზედ მზე შემოჯდა ოქროს ფრთიანი.

წვიმას ახლიდა ზეცა კარლია,  
ენარცხებოდა ელვა და ქარი,  
მაგრამ აედარმა ვერ შეარყია,  
ვერც მოუღუნა ტოტი მაგარი.


და შენ ამ მუხის ერთი ტოტი ხარ,  
მასავით ქარში გაუღუნავეი.  
დაუძლეველი ნებით მოდიხარ,  
ვით ისტორიის ჩარხი მბრუნავეი.

მოდიხარ, სიბრძნით წელგამართული,  
ითვლი, წარსულმა ჩვენს ხალხს რა მისცა.  
სიღარბაისლე მოგაქვს ქართული,  
მოგაქვს მხნეობა ამირანისა.

მოჰყვები დროთა მღვრიე მდინარეს  
ჩვენი წარსულის მეგზური დიდი.  
ხალხის დიდება დღეს შენს წინ არის,  
მუდმივი ნატვრით გულში რომ ზრდიდი.

30 აპრილი, 1939 წ.

## ჩვენი ძველის შნო და ფერი



ბგავიანო მზის წისქვილო,  
ანთებულო მიწის პირო,  
კლდის ნაპრალო გარღვეულო,  
ზეცის ელვადაფრქვეულო,  
ამირანის ნაბუღარო!

ზევით — ცისკრის ნაპერწკალო,  
ქვევით — შუქით საესე წყალო,  
ნისლო მაღალ მთებისაო!  
ცის ლაქვარდო აფრენილო,  
მზის სხივების დაფენილო  
ჩრდილო ორბის ფრთებისაო!

განთიადის ოქროს წვეთო,  
შელამების ლურჯო სვეტო,  
მოჩუხჩუხე წყაროს თვალო, —  
ცის და მიწის მონაბერი  
საქართველოს შნო და ფერი  
ერთად როგორ ჩამოეთვალო?

13 მაისი, 1939 წ.

## მთვარიანი ღამე

ღამის წყნარი შეძახილით  
შეპლალადებს მტკვარი მეტეხს.  
სდუმს ნაპირზე ხე დახრილი,  
ჩუმ შრიალსაც არ იმეტებს.

მტკვარი თეთრად ვინ დასილა?  
ეს სითეთრე რა კარგია!  
ღამის უბე რძით ავსილა,  
ღამეს ჩრდილი დაკარგვია!

შენს უბანში შევიარე,  
რომ შემეგრძნო შენი სული,  
ეს ღამე ხომ შენი არი,  
შენი შუქით შენისლული!

ეს ღამე ხომ ისეთია,  
რომ თეთრად ჩანს გზა და ჩრდილი.  
ძირს ქალაქი ისე გდია,  
როგორც მთვარე გადაჭრილი.

შენზე ფიქრი გულს ემწვავა,  
უშენობას ვუშინდები.  
ეს ღამეც ხომ ისე წავა,  
როგორც ღამე გუშინდელი.

ცაში ცეცხლი ხომ ანთია? —  
იწვის ლურჯი ფილაქანი.  
მიწა თითქო ხომალდია,  
მთვარე — თეთრი იალქანი.

იალქანში მღერის ქარი,  
ღამე მიჰქრის დილისაკენ.

ჯერ ჩრდილშია ცისკრის კარი  
და მზიური დიდი სარკე.



თორმეტ საათს რეკავს ზარი,  
ადის ეს ხმა თურმე ცამდის.  
წუთით დუდუნს შეწყვეტს მტკვარი,  
მთვარე აქრობს თორმეტ სანთელს.

20 ივლისი, 1939 წ.

## ქვის ირემი

ნარიყალას თავკიდური  
მთვარის შუქით დასირმულა.  
ხეივანზე დაკიდული  
ქვის ირემი დგას ირმულად.

მთვარით სავსე ხევი მინდა,  
შუქის ტბისკენ ვიციქორები.  
კომკავშირის ხეივნიდან  
შემომტირის ქვის ირემი.

მთვარე დადგა მიწის კართან,  
მთვარეს დარჩა ღამე ტყვედა.  
ისე დატკბა ღამის კალთა,  
რომ ქვის გულიც ამეტყველდა.

ქვის ირემო! ამ ცივ ქვაში  
ნუთუ თბილი გული გიციემს?  
გაგონდება მთვარე მთაში  
და გასცქერი ღამის სივრცეს.

გაგონდება ირმის ხევი,  
საირმის ტყე შტონაყარი  
(რომ დაჰქროდი ტოტთა მსხვრევეით  
რქაბოჯოჯდა ჯონჭა ხარი).

და ირმული სიყვარული,  
რამაც გულში შეგინახა  
ღამე, თეთრად დაცვარული,  
და თვალშავა შენი ლაღა!..

ქვის ირემი ჩუმად ლეღავს.  
თეთრ ვარსკვლავებს უნოსავს ღამე.  
ცვარდაყრილი თვლებით ეღავს  
ღამის თბილი მოსასხამი.

21 ივლისი, 1939 წ.



R 92.493  
3

## მთვარე ზორის სიხეში

### 1

გორის ციხის ქედზე ახვალ,  
ჩანს ლიახვი როგორ მორბის.  
ორბს აფრენილს თვალი აჰყვა,  
აღმა იწევს გეზი ორბის.

დააჩნია ჰაერს ზოლი  
და მოლუნა ორბმა ზეცა,  
შემორკალა ცაზე რგოლი  
და ქვასავით ძირს დაეცა.

შენც დაუშვებ თვალებს დაბლა,  
ნახავ სოფელს ფოთოლთ ზღვაში.  
მოაფრქვევენ სურნელს თაფლად  
ატამი და მწიფე ვაშლი.

თბილი ქარი აშრიალებს  
საზეიმოდ ამდგარ ბაღებს  
და სინათლის აღში ავლებს  
ხეთა მწვანე ბაირალებს.

ეს ახალი სოფელია,  
ახალ წესზე შრომას მართავს.  
შრომის მაღლი მოჰფენია  
მის დოვლათით საესე კალთას.

ამ სოფელში ბევრი არი  
ბალი, ყანა, ხე და ჩრდილი,  
ჩვენი წვიმით, ჩვენი ქარით  
და ჩვენი მზით გამობრდილი.

ამ სოფელში ბევრი არი  
სიხარულით საესე გული,  
ჩვენი დროშისფერი ალით  
აესილი და ანთებული.

ამ ბუდეში ბუდობს ერთი  
მერცხალივით ცქვიტი ქალი.  
ტკბილ ოცნებით უცემს მკერდი,  
სათუთი და სატურფალი.

მე ამ ქალის ნორჩი სახე  
და უცოდველ გულის ფეთქვა  
ჩუმაღ გულში შევიწინახე,  
რომ ამ ლექსში გამომეთქვა.

ახლა გორის მადლობიდან  
სოფელს უნდა გადავძახო,  
რადგან უფრო ახლო მინდა  
ეს გოგონა დაგანახოთ.

2

მზემ ჰაერის თალი დაწვა,  
გადაადნო ლალი ლაქვარდს.  
კაკლის ხის ქვეშ ჩრდილი დაწვა,  
დაემალა სხივთა ლაშქარს.

ჩრდილში სხედან ქალ-ვაყები,  
იგრილებენ შრომის ოფლსა,  
ყურს უგდებენ თვალაგზნებით  
მოხუც გივის ნაამბობსა.

უნგრევეია ქვა-კლდე დრო-ყამს,  
სისხლი უსვამს მიწას ქართულს,  
მაგრამ გორის კლდოვან დროშას  
დღესაც ვხედავთ ზე ამართულს.

დგას ქონგურებდატეხილი,  
უზარმაზარ თასის მსგავსი,  
ისტორიის ქარტეხილის  
მუდამ თბილი ღველფით საესე.

დგას ჭირნახულ ქართლის გულზე  
კუნძულივით ამოწვდილი,  
მომავლის მტკიცე ფუძე  
და წარსულის დიდი ჩრდილი.

დილა უქსოვს ოქროს ნიღაბს,  
დაბლობიდან უმღერს მტკვარი;  
ლამით იდგამს ვარსკვლავთ ჯილას  
და უბეში უზის მთვარე.

ბევრ მოვარდნილ ელვა-გრიგალს  
უხვეტია გორის კალთა  
და ხალხს, მტერთან შეურიგალს.  
შეუმუსრავს მტერი კართან.

ბევრ მღვრიე წყალს ჩაუვლია,  
ჩაურეცხავს კლდეთა გული,  
დღეს კი დღესასწაულია  
გამარჯვებულ სიხარულის.

ქალ-ვაყები სხედან ჩრდილში,  
ხე შრიალებს ტოტდახრილი;  
დამარხულა ძველი წიში,  
ვაყკაცური ჰქუხს ძახილი.

ქარიც მღერის სტვირის ხმაზე  
გარდახვეწილ დროთა ამბავს  
და შენგრეულ კედლის ფხაზე  
ჩუმიად აფენს ღრუბლის ბამბას.

მზის აღმური ბრძოლით იხევს,  
ელერს ჰაერში შოთას ქნარი.  
შორით მოჩანს გორის ციხე —  
ჯულაშვილის ნააყენარი.

მაღალ ღრუბელს ქარი არწევს,  
კლდის ნანგრევზე გადაფენილს.  
გორის ციხე უმშერს არწივს,  
მის კალთიდან ცად აფრენილს

მზე დახრილი აჩენს ყვითლად  
 აღმოდებულ მთას და ზეცას.  
 და მომთხრობმაც აქ შეწყვიტა,  
 დროთა წიგნი აქ დაკეცა.

მან ამბავი ძველი გორის  
 სადღეისოდ იმყოფინა.  
 თვალანთებულ ქალ-ვაჟთ შორის  
 უნათლესი იყო თინა.

გაცკვეროდა გორის მალღობს,  
 ირემივით თავაღერილს,  
 და სინჯავდა თითქო ახლოს  
 მის კედელზე ნაქარგ წერილს.

კითხულობდა სულ სხვა ამბავს,  
 მის ხსოვნაში ჩასაფრებულს,  
 კითხულობდა ტრფობის ზღაპარს,  
 გულში ჩუმად ამღერებულს.

იგონებდა გორელ გუშავს,  
 მდგარს პატარა, ნათელ სახლთან.  
 მიეგება თითქოს ქუშად,  
 მაგრამ შემდეგ სულ თან ახლდა.

აუხსნა და განუმარტა  
 თეთრ კედლებზე რაც ეწერა.  
 ჩაუფინა გულში ვარდად  
 საკვირველი ყრმობის კერა.

თვალწინ ედგა ვაჟის სახე,  
 ახლობელი, თანაც შორი.  
 სწორედ თინას გულის მახედ  
 გაჩენილა ქართლში გორი!

თავბრუდამხვევ ტკბილ ოცნებით  
 ვაჟს აძლევდა ფარულ აღთქმას,

იგონებდა გაოცებით  
მის სიკეთეს და მის ნათქვამს:

„სოსოს კერა ეს სახლია,  
რკინის კედლად ვარტყივარო.  
მე ავთანდილს მეძახიან,  
ჯულაშვილის ბარტყი ვარო.

მისი სიბრძნის ნათესი ვარ,  
მის აკვანთან ვანთივარო.  
ხან კი თუჯის ცხენზე ვზივარ  
და სახნავად გაედივარო“!..

შემდეგ, როცა წამოვიდა,  
ფართხალებდა მკერდქვეშ ჩიტი.  
გორის ციხის მალლობიდან  
ელვარებდა ზეცა მშვიდი.

გორს ეფინა ოქროს ფარჩა.  
ულელავდა თინას გული,  
რადგან ვაჟის გულთან დარჩა  
მიკრული და მინასკეული.

4

ლალ-იაგუნდს მე არ ვეძებ,  
არ მჭირდება მინანქარი,  
რომ დავხატო ქართლის ველზე  
მოკიაფე თინა ქალი.

თვალ-წარბი და ბაგე-კბილი  
თვითონ მოდგმას ევალება:  
ოდითვეა დაგეგმილი  
ქართველ ქალთა ბრწყინვალება.

იმის იქით სადღა წაქალთ,  
რაც შექმნილა შოთას მიერ?  
თინა ქალის სახატავად  
თინათინის ვეძებ იერს.

თუმცა ვარდი მზეებზე ჰყვავის,  
დაცვარული ოქროს წვეთით,  
მაგრამ ზოგჯერ მინდვრის ყვავილს  
შნო და ფერი უჩანს მეტი.

თინა სოფლის გოგო იყო,  
მთვარის მორცხვი ნახევარი,  
მაგრამ ნახეთ, როგორ იყო  
ნაშუქი და ნასხივარი.

ბუნებით გვაქვს მონათვალი:  
სადმე სოფლის ღობის ძირად  
თინათინის ელავს თვალი  
და ნესტანიც ბრწყინავს ხშირად.

5

იზრდებოდა თავისუფლად  
ჭრელკაბა და ფეხშიშველი,  
ანცი, როგორც წყარო სუფთა,  
მარდი, როგორც ტყეში შველი.

ძაფს ართავდა, წინდას ქსოვდა,  
თან უვლიდა ბატს და ქათამს.  
სათითაოდ სულ ახსოვდა,  
სად რამდენი ესხა ატამს.

ყვავილივით ენთო ბალში,  
თვით ყვავილის მინაგვარი;  
ელვა იყო გართობაში  
და შრომაში — ნიავექარი.

ყურძენს კრეფდა, ყანას მკიდა,  
მუდამ უფროსს უდგა გვერდით.  
შეუმჩნევლად შეუმკვრივდა  
გაზაფხულით სავსე მკერდი.

მოემატა შუქი თვალთა  
და ეცვალა ფერი თითქო

აუყვავდა უბე კალთა,  
 ტანთ ჩაუდგა მეტი სითბო.

აღამებდა ატმის ბალთან,  
 მუშაობდა, —მერე როგორ? —  
 მოწინავე ქალი გახდა  
 ჩვიდმეტი წლის სოფლის გოგო.

6

მზე რომ ცაზე აღარ მოჩანს  
 და ნიავე მთვარეს არწევს,  
 ერთ ამნაირ საღამოეამს  
 კითხულობდნენ შოთას ნაწერს.

და იქ, სადაც ისხდნენ სხვები,  
 გულისძგერით იჯდა თინაც.  
 წიგნს უმზერდა გაკვირვებით —  
 ამ საოცარ ვეფხეთა ბინას.

ჩემად იწვა ველზე მტკვარი,  
 დღიურ სიციხით გაღეშილი,  
 გორის კოშკთან საესე მთვარე  
 ეგდო ბავშვის ბალიშივით.

გამოკრთოდა წიგნის ფურცლებს  
 ბადაბშის და ლალის ფერი.  
 ნეტავ, თვალი როგორ უძლებს,  
 არ ბრმავედება აღის ცქერით?

ველარც შუქით, ისრით, ვერც ხმლით,  
 ვერ სწვდებოდნენ ამაყ გმირთა.  
 წკრიალებდა ოქრო-ვერცხლი  
 ლაგამ-აბჯარ-უნაგირთა.

მიუხეჩებულ მიდამოში  
 მიღელავდა დინჯად მტკვარი.  
 გორის ციხის მაღალ კოშკში  
 ნესტანივით იჯდა მთვარე.

ოქროს წიგნო! გახსენ პირი,  
 სიყვარულის ამბავს მოჰყევ.  
 თქვეი სიმღერა გასაკვირი,  
 როგორ ნახეს უცხო მოყმე.

შემდეგ ცრემლი როგორ ღვარეს,  
 როგორ ასცდა მავნე კეთილს,  
 როგორ მოხვდა მზე მის მთვარეს,  
 მაღალ კლდეში გამოკეტილს.

ჩვენ ხომ შენგან შეგვიტყვია,  
 ბნელი როგორ დაიცალა,  
 როგორ სძლია ღამის წყვედიადს  
 განთიადის დიდმა ძალამ!

ჩვენ ვემსგავსეთ მფრინავ არწივს,  
 ძირს დავტოვეთ ქვა და ხავსი.  
 ჩვენს ველ-მინდვრებს სხივი აწვიმს.  
 მზე იღვრება ვეფხის ტყავზე. —

რადგან როცა ცეცხლი გაჩნდა  
 და იმძლავრა ბრძოლის აღმა,  
 გადაჰბუგა ციხე ქაჯთა  
 გიორის ციხის ნალვერდალმა.

## 8

შოთას „ვეფხისტყაოსანი“  
 მოისმინა თინამ გუშინ.  
 შუქი ჩადგა საოცარი  
 ჩვიდმეტი წლის ქალის გულში.

თითქოს ძვირფას ქვებსა ყრიდა  
 ძველი წიგნის წამკითხავი.  
 არაბეთის უღრან ტყიდან  
 ელვარებდა ვეფხის ტყავი.

დღეს, ნეტავი, სად წავიდა? —  
 დასასრული არ გვაღირსა.  
 „შავი ცხენი სადავითა  
 ჰყვა ლომსა და ვითარ გმირსა...“

თითქო მთვარე ჩამოდგაო,  
 იღვრებოდა ვერცხლის წყალი.  
 რა ყოფილა, ჩემო დაო,  
 ინდოეთის მეფის ქალი!

ჩვიდმეტი წლის ქალის გულში  
 რუსთაველის წიგნის ელვამ  
 შეანათა მხოლოდ გუშინ  
 და გულისთქმა აუღელვია.

როგორ მიხწვდეს მიუწვდომელს,  
 რომ არ დაწვას ცეცხლის აღმა?  
 ქაჯთა ციხის ბნელში მჯდომელს.  
 დობა უთხრა სოფლის ქალმა.

ნუთუ ქაჯებს დარჩათ ნესტან,  
 სიყვარულს რომ გულში ზრდიდა?  
 თუ აფრინდა სულით მზესთან,  
 გარდაიგდო თავი კლდიდან!

მთელი ღამე არ ეძინა  
 ამ ფიქრით და ამ წამებით.  
 ცრემლს ბალიში არეცხვინა  
 და ხავერდის წამწამები.

დილით დაჯდა ორლობესთან,  
 აბრეშუმის ძაფი სძახა.  
 ნართის გრეხა რომ მობეზრდა,  
 მან ავთანდილს დაუძახა.

ავთანდილმა თეთრი ცხენი  
 შემოაგდო ორლობეში.  
 მოანათა შუქი ცხელი,  
 მოაფრქვია ოქრო შეშვით.

ქალი ხედავს გოცემებით  
გორის ციხის ნაგუშაგარს,  
აგონდება, რა ოცნებით  
მოადენდა პირით შაქარს:

„სოსოს კერა ეს სახლია,  
რკინის კედლად ვარტყივარო.  
მე ავთანდილს მეძახიან,  
ჯუღაშვილის ბარტყი ვარო...“

ხვეწნა მოსწყდა ქალის ტუჩებს,  
სიხარულით ძოკახკახებს,  
ვაეს საგმირო საქმეს ურჩევს  
და აფიცებს სოსოს სახელს:

„წადი, ნესტან დაიხსენი!  
დაგიფასებ სამსახურსა.  
გააფრინე თეთრი ცხენი,  
ნუ დადგები წუთით ნურსად.

გადალახე მთა და ველი,  
ქვეყნის მთვარე ტყვედ ჰყავთ ქაჯთა.  
ჩქარა, თორემ ხატაელი  
ტარიელის ტახტზე დაჯდა!..“

და გაფრინდა ავთანდილი,  
ზეცის თალი იწყებს ზანზარს.  
ცხენი, ცაში ატანილი,  
დასჭიხვიანებს მულღაზანზარს.

ქალს სიმღერა ესმის ბრძნული,  
გულგამგმირი შეძახილი.  
სიბრაალულით ეწვის გული,  
ტირის თინა თავდახრილი...

ამ დროს ეზოს ღია მოლზე  
კრუხს დაეცა ქორის ჩრდილი.  
წიწილების ყრიაშულზე  
ქალს გაუკრთა თითქოს ძილი.

თეთრი ძაფი გაწყდა უცებ,  
მოჩვენების ლანდიც ჩაქრა.  
აჩქარებით გული უცემს,  
ქალს ოცნება დაუჩაგრა.

გადმოსცივდა ცრემლის თქორი,  
ყაჭის მორგვი შერჩა ხელში.  
მიფრინავდა დაელით ქორი  
მწვანე ეზოს მოსახვევში...

ის სიმღერა სად წავიდა.  
ან ის თბილი ცრემლი წმინდა,  
ქალის დახრილ წამწამიდან  
იმ ხმაზე რომ ჩუმად წვიმდა?

შერჩა ძაფი საძახველი.  
ცრემლმა თვალი დაუნესტა.  
ავთანდილო, სად წახველი?  
ო, სადა ხარ, დაო ნესტან?

9

მეორე დღეს კვლავ მოვიდა  
შოთას წიგნის წამკითხავი.  
გორის ციხის მადლობიდან  
ელვარებდა ვეფხის ტყაფი.

ხმა ისმოდა ბუკ-საკრავთა,  
ემსხვრეოდა რკინა რვალსა.  
ტარიელი მზესა ჰგავდა,  
მთვარისაკენ მიმავალსა.

მან მონახა ვინც ეძება,  
ცრემლს ვისთვისაც ღვრიდა ცხელსა.  
„მკერდი მკერდსა შეეწება,  
გარდაეჭოდ ყელი ყელსა“.

წიგნი მთვარემ შემოქარგა,  
შიგვე ენთო მზე-სოსანი.

ჩა ყოფილა, ჩემო კარგო,  
არაბეთის ცხენოსანი!

ყმა მოძებნა დაკარგული,  
მოარიდა ლომი საფრთხეს.  
გაუხარა ნესტანს გული  
თინათინის გულისათვის.

ედემს რგული ალვა ჰპოვა.  
ძნელი იყო თუმცა პოვნა.  
თინათინთან ახლა მოვა,  
შეუსრულა რადგან თხოვნა...

შელამების შუქი საესე  
მიღელავდა ლაღად მტკვარი.  
ბჭემორღვეულ ციხის თავზე  
მიცურავდა აღმა მთვარე.

10

თინას გულში ეს ვინ ყივის?  
უფრო ღელავს, ვიდრე გუშინ.  
სიყვარულის თესლი ღვივის  
ჩვიდმეტი წლის ქალის გულში.

დიღხანს, დიღხანს რეკდა თავში  
ქალისა და ყმის ნათქვამი.  
მერე მოლბა, როგორც ბაეშვი,  
და სიზმარი ნახა ღამით.

ცხენზე იჯდა ავთანდილი,  
ქალს შეხედა, გაუცინა.  
ამ კაბით და ამ მანდილით  
თინა იდგა ვაჟის წინა.

გმირმა უთხრა: „დიღხანს ვდიე  
უცხო მხედარს ჩემი ცხენით.  
ბოლოს მიზანს მივალწიე,  
ტყვე ნესტანი დავიხსენი.“

ედემს რგული აღვა ვპოვე,  
ძნელი იყო თუმცა პოვნა.  
პირიანი შენთან მოველ,  
შევესრულე შენი თხოვნა“.

ქალი დუმდა, ვერა თქვა რა,  
ვაუს ღიმილი ჰკადრა ჩუმი.  
უნებურად ძირს დახარა  
წამწამების აბრეშუმი.

მაგრამ შემდეგ ეს რა მოხდა?  
აუ, როგორ შეაშინა!  
ყმა ცხენიდან ძირს ჩამოხდა  
და ჩაიკრა მკერდში თინა!

თითქო მთვარე ჩამოდგაო,  
ჩამოზვავდა შუქ-ნათელი.  
რა ყოფილა, ჩემო დაო,  
სიყვარულის ჟრუანტელი!

აგუგუნდა ცა და მიწა,  
ჰეჰა იყო თუ ჰარბუქი!  
და... თინასაც გაელევიდა  
გულის ტკბილი ბაგაბუგით.

ფერნაკრთობი ადგა დილით,  
და რომ კარი გამოაღო,  
წუხანდელი ავთანდილი  
დაინახა ჭიშკრის ახლო.

გასაფრენად მოდგა ეს დღე,  
თინას გულის სატკივარო!  
ის ვაყია, რომ თქვა ერთხელ:  
ჯუღაშვილის ბარტყი ვარო!

თუჯის ცხენზე იჯდა გმირი,  
თუნთუხებდა ცხელი რკინა.  
გაუნათდა თინას პირი  
და იმ ბიჭთან მიიბრინა...

ცას გაჰკროდა შუქი ვარდად,  
იღვიძებდა ქართლის ველი.  
ჩამოეშვა ზეცას ფარდა,  
დღე და ღამის გამთიშველი.

მზე ამოხდა გორის წვერით,  
ბნელ ღამესთან ნაოშარი.  
მათ განაგრძეს გულის ძგერით  
წუხანდელი საუბარი.

სექტემბერი, 1939 წ.

## დოსტაჰარი

(ძღვანელ მიხეილ გიგოლოვს)

ზეწორგაშლილ მაგიდაზე ჩუმად ვწევარ.  
თეთრ ქალიწვილს ხელთ უპყრია ჩემი მაჯა.  
ჩემი წილი ცა და მიწა დაიქცევა  
დოსტაჰარმა ახლა თუ არ გაიმარჯვა.

მშვიდადა ვარ, არ მაწუხებს არაფერი...  
უცებ გაქრა მაგიდაზე სატყივარი.  
ვწევარ მაღლა, თეთრ მყინვარზე ანაფრენი.  
ბრწყინავს დანა, როგორც ბასრი სატყევარი.

კარგადა ვარ... ჩემს ოთახში ვიწვე, ნეტავ,  
იქ ფანჯრიდან შევხედავდი საესე მთვარეს.  
მაგრამ უკვე ველარაფერს ველარ ვხედავ:  
ორთავ თვალზე სველი ტილო დამაფარეს.

თვალეებს ქვემოთ ჩამოგორდა ორი მძივი,  
ორი წვეთი, სველ ტილოდან მონაწური.  
არაფერი არ მიგრძნია ისე ცივი,  
ისე მწველი, სურნელი და საამური.

რად გამიხდა ცივი წყალი სანატრელი?  
რომ მოეცათ, ცოტას მაინც ხომ მოვსვამდი!  
დახშულ თვალეებს ელანდება დანა მჭრელი...  
ქალმა მითხრა, დათვალეო ორმოცამდი.

ციმციმებენ ვარსკვლავები, მზეც აქ არი,  
უცნაურად ღამის ცაზე ანანთები.  
დანით ხელში დირიჟორობს დოსტაჰარი  
და მღერიან ირგვლივ თეთრი ხალათები.

ერთი... ორი... სამი... ოთხი... შეგობარო!  
ჯერ არ მძინავს... მე თქვენი ხმა კარგად მესმის.  
არა მძინავს... დანა ჯერ არ მომაკარო!  
ხუთი... შვიდი... შემეწალა... თავბრუ მესხმის.

შემდეგ გაქრა, უცებ გაქრა ყველაფერი  
და უცერად ჩაეიძირე უკუნ ბნელში.  
ასე მკვდარი, ასე შავად მონაბერი  
ბნელი ღამე არ მინახავს მე ჩემს დღეში...

თვალებს ვახელ, როგორც ღვინით გაღეშილი.  
უცბად დამკრავს სიხარულის ნიაქიქარი.  
შუბლს მიგრილებს კვლავ ის თეთრი ქალიშვილი  
და დამცქერის მოლიმარი დოსტაქარი.

ოქტომბერი, 1939 წ.

## აკაკისადმი

დააღწა გული შენს სიმებს

და სულა დაიცალაო.

აკაკი

სამშობლოს ზეცა, შენ რომ დახატე,  
ჰყვავის ფირუზის ლურჯ ყვავილებად.  
სხივებისა და ხმების ღაღადი  
მოდის, იფრქვევა და არ ილევა.

იწვის ზურმუხტის კოშკის ქონგური,  
გუმბათს ლაყვარდის ცეცხლი მოედო.  
მზე უკრავს, როგორც ოქროს ჩონგური,  
თითქო შენი ხმა მესმის, პოეტო!

ციდან გადმოდის თეთრი სინათლე,  
გულში იღვრება ჩემ ელვარებით,  
რომ შენი სახის შუქით ბრწყინავდეს  
ჩემი თვალების ღია კარები.

ასე მგონია, შენ დამიძახე.  
მე შენზე ფიქრი არ მომწყინდება...  
დავხუქავ თვალებს — და შენი სახე  
გულში მზესავით ამობრწყინდება.

და ჩემ წინაშე ელავს მაღალი  
მთვარის უღრუბლო გამონათება,  
შენი დაფის და შენი ნაღარის  
ღამის წყვდიადთან შეკამათება;

ქართველი ხალხის სიმღერის სიტკბო,  
დაუშრეტელი მისი ოცნება,



მისი გრძნობების მხურვალე სითბო  
და მისი გულის პატიოსნება.

შენი ლექსების ხმოვანი წვიმა,  
შენი ჭაღარის ყოველი ღერი  
ჩემს ოცნებაში წკრიალებს სიმაღ  
და ჩონგურივით კვნესის და მღერის.

კვნესის და მღერის, იწვის, ციმციმებს  
კვნესის და მღერის, იწვის, ციმციმებს  
გული დაადნა შენს ნათელ სიმებს  
და დაიცალა სიმღერით სული.

5 თებერვალი, 1940 წ.

## ახალი სოფლის ასული

ქება მსმენია წინათვე  
მაგ შენი ეზო-კარისა.  
დადიხარ, დაგაქვს სინათლე  
შვიდჯერ ანთებულ მთვარისა

დადიხარ თეთრკაბიანი,  
გაზაფხულივით გაშლილხარ;  
დაგარხევს თბილი ნიავი,  
აყვავებული ვაშლი ხარ.

ადრიან დილის ნისლი ხარ,  
განთიადს ოქროსნასხური;  
ტანის რხევაზე მიცენიხარ  
სოფლის ცქრიალა ასული.

მაისის ხელით ნახატი  
შემოგღალადებს სოფელი:  
„ქალად ქალი ხარ, ქალადღი,  
ჯერ კალამმოუსობელი!“

გშეენის გამოსულს ვაკეზე  
შავი თმა მხრებზე დაყრილი,  
როცა სიმღერას აკვესებ,  
ჩაის ბუჩქებზე დახრილი.

შრომის ფერხულში ჩაბმული  
ზეიმობს გულგანახარი:  
მოხუცი წვერჩაყანგული  
თუ უწვერული ახალი.

და ამ ზეიმზე წვეული  
ბევრია მინდვრად გასული,

შენსავეით ფრთაშერბეული  
სოფლის ვაჟი და ასული.

მზის დაწოლამდე უნდები  
ამ გასაკვირველ მამითაღს;  
სალამოს შინ დაბრუნდები  
დედით, ძმითა და მამითა.

მზე ჩავა, მთვარე ამოვა,  
მტრედები სხედან ბანებზე.  
გიზდება გავლა-გამოვლა  
შუქდავანებულ მწვანეზე.

ეზოში ღამე შემოდის,  
როგორც სტუმარი დაღლილი,  
რომ კარ-მიდამოს ჰშეენოდეს  
ჩრდილი, იისფრად დაღვრილი.

გაჩნია მთვარის ნაჭდევი,  
მტრედივით ტკბილად ლულუნებ.  
აიენის ბოლოს დაჯდები  
და ჩონგურს დააგუგუნებ.

შენი მგზნებარე ჯადო-ხმა  
მთვარის სინათლეს ჩაირევს,  
გაიტანს ეზოს გადაღმა  
აფერადებულ შაირებს.

ნამგალა მთვარეს შეაქებ,  
ამოსულს ნიშნად დარისა.  
სალამოს ჰაერს შეარბევს  
წყრიალი ვერცხლის ზარისა.

ცისკიდის თეთრი ნისლი ხარ,  
მთვარის ცრემლებით ნასხური,  
სიმღერის ხმაზე მიცენიხარ  
ახალი სოფლის ასული.

## სიმღერა

რად გინდა გული მგზნებარი,  
თუ ქვეყნისათვის ურგი ხარ?  
თუ მუდამ სხვათა მქებარი  
შენ თვითონ არვის უქიხარ?

თუ არ გიგრძნია აროდეს  
გმირული საქმის ტრფიალი,  
სამშობლოს რად უხაროდეს  
შენი ამ ქვეყნად ტრიალი?

„ჩვენი სიცოცხლე რა არი? —  
ჩიტყვით გაგვიფრინდება“,  
დილით მზიანი ცა არი,  
სალამოს დაიბინდება.

რაზომც დარჩენა გვინდოდეს,  
ჩვენს გზას წამიერ გავივლით.  
ჩვენს ნაყვავილარ მინდორზე  
სხვა გაიშლება ყვავილი.

დაგვრჩება მხოლოდ სახელი,  
როგორც გუგუნი ფრთებისა,  
როგორც მარადი ძახილი  
სამშობლოს მალალ მთებისა!

12 მარტი, 1940 წ.

## საუბარი აღიღებულ მტკვართან

ეს რა გუგუნებს, ვინ არი?  
ვინ აელარუნებს იარაღს?  
აზავთებულმა მდინარემ  
გრიალით ჩამოიარა.

მწვანე ნაპირი მოგრია,  
ზედ მიამსხვრია ღვარები.  
— წყალო, საიდან მორბობარ  
საითყენ მიეჩქარები?

ტალღებმა იწყეს ზრიალი,  
ჩქეფით წარმოთქმა ფიცისა:  
— ჩვენა ვართ თანაზიარი  
თქვენი ცისა და მიწისა.

ცრემლი ვართ მოშლილ ბუდეთ  
ჩვენ შორეულნი როდი ვართ!  
ოდესღაც მტკიცე ზღუდეთა  
ნანგრევებიდან მოვდივართ.

ჩვენი სხეული აქ არი,  
იქ დაერჩენილვართ ძირები,  
ნასოფლარ-ნაქალაქარი,  
უმზეო წყლის ნაპირები.

ვიცოდით, რომ მზეც აქ არი,  
რომ აქ სინათლე გველოდა,  
რადგან სიცოცხლე სხვაგვარ  
ბრწყინაედა საქართველოდან.

შეკრული იყო გლოვითა  
ჩვენი მღუმარე ჭაღარა,

როცა აპრილი მოვიდა  
და გაზაფხული გვახარა.

ჩვენი ტყვეობა ნახა და  
აგვიშრიალა ხეები.  
მძიმე დუმილი აგვხადა,  
გრგვინვით აგვიესო ხეები.

დაგვქროლა მწვეანე ფრთებითა,  
ელვა და წვიმა დაღვარა,  
და საქართველოს მთებიდან  
სხივები გადმოგვაყარა.

თქვენთან კავშირის სურვილი  
ჩვენს გულში როდი ბერდება!  
ქართული მიწის სურნელი  
როცა იყნოსეს ფერღებმა, —

იშხუვლეს კლდეთა თაღებმა,  
დაუშვეს თოვლის ნაღვარი,  
და იმქუხრებულ ტალღებმა  
გადმოვარღვიეთ საზღვარი.

შემოვიღეწეთ ხუნდები,  
მოვღვარეთ მთა და ველები.  
ჩვენ უკან არ დაებრუნდებით,  
ქართლის გულს შემოგვევლებით.

არ გესურს ჩვენს მიწას მოვაკლდეთ —  
სხვა ქვეყნის ნაცარწაყრილი.  
მოვედით, თქვენთან მოვაგდეთ  
ჩვენი კენესა და ძახილი!..

## ფორთოხლის ბაღში

ქალი ფორთოხლის ბაღში დგას,  
ვაეიც მის ახლო, იქვეა.  
იცინის — თითქო ვაშლისგან  
თეთრი ყვავილი იფრქვევა.

ცეცხლივით შემოენთება  
უცხად სიმღერა ვაეური.  
სახეზე წითლად ედება  
სიამე გამონაეური.

— „სად მოიცალა იმ ღმერთმა  
შენი თვალ-წარბის წერადა?  
აილო ხელში კალამი,  
დაგხატა ათასფერადა!“

ფორთოხლის ზვინი გროვდება,  
სურნელი ადის ჰაერში.  
კრეფაში თუ უტოლდება,  
ვაეს არ დაუთმობს შაირშიც:

— მე კოლმეურნე ქალი ვარ,  
თვალეებში სხივდაგროვილი.  
თმას მინიავებს ქარივით  
ნარინჯი მოოქროვილი.

— ზაე წამწამებით მოღობილს  
ვარსკვლაეებს ვხედავ ძილშიაც.  
„დაიმალება ხოხობი  
შენი თვალ-წარბის ჩრდილშია“.

— თუ ოქროდ არ დაზვინდება  
ფორთოხლის გროვა ნარჩევი,

ხოხობიც გაგიფრინდება,  
ხელცარიელი დარჩები!



— ქვასაც რომ გული ამგვანო,  
ვარ ამაძგერი ქვისაო,  
„ვარსკვლავო, ცაში ნაბანო,  
ხელთ დასაჭერო მზისაო!“

— ეს გული გაუნასკვავი  
ჯერ არვის აუძგერია,  
ცაში ნაბანი ვარსკვლავი  
რა შენი დასაჭერია?!

თან იცქირება ვაჟისკენ,  
ვაჟიც მის ახლო, იქვეა.  
იცინის — თითქო ვაშლისგან  
თეთრი ყვავილი იფრქვევა.

ოქტომბერი 1940 წ.

## ღრუბელს მიჰქონდა

ღრუბელს მიჰქონდა მზე, როგორც თასი,  
სავსე ციური წითელი ღვინით.  
ღრუბელს მიჰქონდა ელვარე თასი  
თეთრი სადაფის კრიალა სინით.

ზღვის ზედაპირზე გადაატარა  
ლავეარდის ნისლში ჩასაძირავად,  
ამ დროს ამოხტა ტალღა პატარა  
და თეთრი სინი ააყირავა.

წაიქცა თასი, არც ისე დიდი,  
მაგრამ ულუფი ღვინო დაღვარა.  
გადააწვდინა ზღვას ოქროს ხიდი  
და შადრევნები ცას მიაყარა.

წითელი შუქით ზღვა იყო სავსე,  
ღრუბლის არშიაც არა ჰქრებოდა,  
ხოლო დაცლილი მზიური თასი  
ზღვაში ნავივით იძირებოდა.

სექტემბერი 1940 წ. ქობულეთი.

## ახალ საქართველოს

მყინვარწვერის თოვლის თეთრო თაველო,  
ლურჯო ნისლო, მტკვრიდან ცაზე ასულო,  
ვეფხის ტყავად დაფენილო მთა-ველო,  
ორბის ფრთების ჩრდილით გადახაზულო!

გაზაფხულის ოქროვანო წვიმებო,  
მზის ყვავილო, ციდან ძირს გადმორგულო,  
შოთას ქნარის მოგუგუნე სიმებო  
და აკაყის ხმაწკრილა ჩონგურო!

ძველო ფუძეე, მრავალ ჭირის მნახელო,  
ოფლდაღვრილო, ბევრჯერ სისხლით ნაბანო!  
წინაპართა ღირსეულო სახელო  
და გმირების მუდამ თბილო აკვანო!

ნედლო მიწაე, ერთი ხელის დადებაე,  
გამძლეობით უმტკიცესო რვალისა!  
ელვის ღვარო და მსოფლიოს ნათებაე  
ამ მიწიდან ამოვარდნილ აღისა!

განთიადის ცეცხლის შემოკიდებაე  
და სალამოს მთეარეე, ჯიხვის რქიანო!  
აღმართ-აღმართ აღმავალო დიდებაე,—  
შენ ახალი საქართველო გქვიანო!

## ახალი მთვარე

სველი ღრუბელი ქარმა წალეკა,  
ჩაჯდა ბუდეში ოქროს არწივი.  
ცაზე გამოჩნდა ჯიხვის ცალი რქა,  
დაზარნიშული ვერცხლის ყანწივით.  
ვზივარ სარკმელთან წყნარი და ფრთხილი,  
გულში უსიტყვოდ ამღერებული.  
ახალი მთვარის უეცარ ხილვით  
მოულოდნელად გახარებული.  
ასდის სურნელი მიწას ნამიანს  
და ბაღში თითქო მღერის ლერწამი.  
ეს ერთუანტელი — ერთი წამია,  
მაგრამ რა ტკბილად ფეთქავს ეს წამი!  
ბრწყინავს ცალი რქა, ოდნავ წახრილი,  
ჩნდება თანდათან ვარსკვლავთ კრებული.  
ახალი მთვარის უეცარ ხილვით  
ვარ უცნაურად აღელვებული.

ჩემო ქვეყანავ: შენს წმინდა ცაზე  
ღრუბლის ნაგლეჯიც არ დარჩენილა,  
და შენი სახე, სინათლით სავსე,  
ნორჩ მთვარესავით გამოჩენილა.  
დღე დაგდგომია თბილი, უქარო,  
მწვანე ჯეჯილი რომ დააბურო,  
ნაგრიგალევო და ნაბუქარო,  
საუკუნეთა ღრუბლით ნაბურო!  
მე შენ გიმღერი, შენი ვარ მარად,  
შენი დიდების გამომსახველი.  
ჩემი სიცოცხლის სიამედ კმარა  
მხოლოდ ხსენება შენი სახელის.  
მე ამ ტკბილსა და ნეტარ მიწაზე  
სიმღერის ძალას შენგან ვღებულობ.

მე შენ ამწიე, შენ ამიტაცე,  
სამშობლოვ, ცამდე ამალებულო!  
მხოლოდ შენა ხარ ჩემს გარეშემო,  
მეც ჩემი გულით მხოლოდ შენი ვარ,  
რადგან პოეტად, ქვეყანავ ჩემო,  
მე შენს სიყვარულს გავუჩენივარ!

30 მარტი, 1941 წ.

## აპრილი

ისევ აპრილის გრგვინვა გაისმა,  
ჩადგა გუგუნი ზამთრის გრიგალთა.  
სამზეოს კარი ელვით გაიხსნა  
და გაზაფხული შემოგრიალდა.

ვინ მოსთელის ჩემი ოცნების ცაზე  
რამდენ გაზაფხულს გადუფრენია?  
რამდენი გრგვინვით ეყოფილვარ სავესე,  
რამდენ აპრილის შუქი მფენია?

ასე მგონია, ვარ ათასი წლის,  
გზა გამივლია იმდენად გრძელი,  
მაგრამ ამ გულის მცირე თასისთვის  
მაინც არ კმარა მზის ალი მწველი.

თუმც დასაქოლად არ მემეტება  
„გული ხარბი და გაუძლომელი“, —  
მიკვირს, ამდენი როგორ ეტევა,  
რომ უფრო მეტის არის მდომელი!

კიდევ ვიცოცხლო წელი ათასი,  
თავს დამნათოდეს ზეცა მზიანი, —  
მაინც ამ გულის პატარა თასი  
ვეღარ ავავსო სოფლის სიამით.

გავცქერი მაღლობს. გამდნარა თოვლი,  
მტკვარიც გრიალით მოემართება.  
თითქო პირველად შევხარი თრთოლვით  
კვირტიდან ფოთლის ამონათებას.

თვალებს ახელენ რტოები მწვანე  
და გაუწვდიათ მზისკენ პეშვები,

სულმოუთქმელად მზის სხივებს სვამენ  
თეთრ ყვავილების აზარფეშებით.

ჭყეავის ჩემს ირგვლივ ცხრა მთა, ცხრა ველი  
და ყვავილები მზეს უმღერიან.  
მეც ჩემი გული. როგორც ყვავილი,  
მზისკენ თასივით გამიშვებია.

დამისხი, მზეო, მეც შენი ალი,  
შენი მტევნების ცხელი ნაწური,  
რომ კიდევ დიდხანს მიჭრიდეს თვალი  
და მალეღებდეს გრძნობა კაცური;

რომ არ განელდეს სინათლე გულში,  
მძლეთამძლეობა შენი მჯეროდეს,  
და ჩემი ქვეყნის ყვავილთა გუნდში  
ეს ჩემი გულიც შენ გიმღეროდეს!

აპრილი, 1941 წ.

0 ა 3 ნ ა ნ ა

როცა საღამო იწვის ჩუმად, როგორც სანთელი,  
და მთის ქედებიდან ვარდისფერი ცა იქვერიტება,  
როცა მზისაგან დარჩენილი დიდი ნათელი  
მიწის გადაღმა ლურჯ უფსკრულში ჩაიშრიტება, —

ჩემ წინ უეცრად გაიელვებს ცისფერ ლანდივით  
მეგრელი ქალი, მოლულუნე ჩონგურით ხელში,  
ჰაერში თეთრად შეირხევა მისი მანდილი  
და ისევ ჰქრება, როგორც ნისლი დაბინდულ ხევში.

მომელანდება არა ჩონჩხი, ცივი და მქრალი,  
სიკვდილის ელდა რომ უელავს თვალების ხვრელში,  
არამედ სათნო, ლმობიერი მეგრელი ქალი,  
მეგრულ სიმღერით ანთებული ჩონგურით ხელში.

მაშინ მე ვამბობ: „ხომ ვიცოდი, რომ ეს ასეა,  
ჩვენი სიცოცხლე ერთ წერტილზე რომ არ ჩერდება! —  
დილა სინათლით და ჰაბუკურ ეშხით სავსეა,  
მაგრამ დრო მიდის და საღამოს იგი ბერდება.

ეს დღეც დაბერდა და შეაღო ღამის კარები,  
დათქმულ მიჯნამდე მიიტანა ცის ბრწყინვალეობა,  
და თბილ საღამოს წუთიერი აელვარებით  
მან დაასრულა მარადიულ მზის დავალება.

ჩემი სიბერეც მე ასე მაქვს წარმოსახული:  
მივალწევ მიჯნას, ოქროს ტვირთით დამძიმებული.  
ჩვენს დიდ გაზაფხულს უდიდესი შესცვლის ზაფხული,  
თავისუფალი შრომის მადლით მომწიფებული.

მომავლებზე მოხუცს პატივს და მოკრძალებას ჩემი ურიცხვი შვილები და შვილიშვილები, კიდევ მოვასწრებ მე საჩემო სხივის დაღევას, ვიდრე ჩემამდე მოაღწევინ ღამის ჩრდილები.

დაიწმინდება წყაროსავით ჩემი ოცნება, მუდამ სინათლის და სიამის უხვად მთოველი. ნელი ფიქრები სიბრძნის შუქით შეიმოსება და გამიტკბება არსებობის წუთი ყოველი.

ამ დროს მეწვევა მე ის ქალი ჩონგურით ხელში, ხელს არ შემახებს, მაგრამ ვიგრძნობ მოახლოებას. მეტყვის: „ხომ ხედავ, ძლივს დადიხარ მიწაზე ხენეშით, დროა მოშორდე წუთისოფლის ამაოებას!“

მე ვუბასუხებ: „ვერ გავძეხი ლექსების წერით, მიტომ გიბედავ კადნიერად შეკამათებას, — მაჩუქე კიდევ რამდენიმე მზიანი წელი: გულს ჩარჩენილი სიტყვა ითხოვს ამონათებას“.

წავა. დავრჩები, ტკბილ ხმათათვის ჩაფიქრებული, რომ ამოვწურო ჩემი წილი საგალობელი, რომ მშობელ მიწის სიყვარულში ჩაეფერფლო გული, ისე დავტოვო ეს ბრწყინვალე წუთისოფელი.

და შემდეგ, როცა ის კვლავ მოვა გარდუვალ ბედად, არ მომინდება, ძილის მსურველს, მასთან კამათი, — ის დამაძინებს, ვით დაღლილ ბავშვს აძინებს დედა, ტკბილი ჩონგურით და უტკბილეს იავნანათი.

## გზა მშვიდობისა

ბოლო ფურცელი შეიკრა წიგნის,  
 უკანასკნელი დაჯდა წერტილი.  
 ლექსების გუნდი ღალატებს შიგნით,  
 ახალი გრძნობით ხმადაწმენდილი,  
 ჩასხდნენ სხივებით აკინძულ ყდაში,  
 როგორც ბუდეში მერცხლები სხედან.  
 გასწით, ლექსებო, თქვენს ყოველ ხმაში  
 მე ჩემი გულის სინათლეს ვხედავ.  
 გასწით, გაფრინდით, გაინავარდეთ,  
 რომ თქვენი ქლერით გულმა იხაროს,  
 დე, თქვენი ხმები მზეში ავარდეს,  
 რომ ოქროს წვიმად გადმოიღვაროს,  
 რომ ჩემი ქვეყნის მთებსა და ველებს  
 თქვენი რითმების მისწვდეს წყრიალი  
 და მშობელ მიწის მზიან თაველებს  
 დაადგეს თქვენი უშრეტო ალი.  
 გასწით, მერცხლებო ჩემოს ოცნების,  
 წაიღეთ ჩემი აღფრთოვანება.  
 ჩემი სიმღერის და გაოცების  
 მთელი სიმძლავრე და ხმოვანება.  
 და თუ ლაჩრულად სადმე შეჩერდით,  
 საფრთხის წინ სადმე თუ მოდუნდებით, —  
 ჯობს, მაღალ ხეებს შეასკდეთ მკერდით,  
 ბუდეში ნულარ დამიბრუნდებით.  
 ჩემი სიმღერა გულში რად მინდა,  
 თუ ის არავის ემახსოვრება,  
 თუ მისი კილო ისე დაკნინდა,  
 რომ ხალხის გუგუნს არ ექსოვება?  
 ძველი ცხოვრების მწუხარე გარჯამ  
 გული სიამით ვერ ამიძგერა.

შეად დაფერფლილ ლამეში დარჩა  
„გაბზარულ სარკის“ ელამი ცქერა.  
დღეს სულ სხვანაირ მიდამოს ვხედავ,  
თითქო ახალი ჰყვავის ბუნება.  
მახარებს დამქრალ ჭაბუკურ დღეთა  
გასაოცარი შემობრუნება.  
კვლავ „მზის სიცილის“ ვხედავ ნათებას;  
ახალგაზრდული მღერა მინდება.  
შეეხარი ახლად ჩემს დაბადებას  
და ახლად შობილ ქვეყნის დიდებას.  
მინდა გაისმას თქვენი ჭუხილი,  
როგორც გრიალი მთაში თოფისა.  
მე თქვენს გაფრენას გულით ვუღიმი.  
გასწით, ლექსებო, გზა მშვიდობისა!

## ცამ დაიჭუხა გუშინ

ცამ დაიჭუხა გუშინ,  
მეხიც გავარდა ბევრი,  
დილა გათენდა ქუში  
და ფეხზე დადგა ერი.  
ცამ დაიჭუხა გუშინ, —  
კარს მოგვადგაო მტერი!

როგორ გაბედა ძალღმა  
ჩვენს გალავანზე ასვლა?  
უნდა დაეუშვათ დაღმა,  
სისხლი და ცრემლი ვასვათ!  
როგორ გაბედა ძალღმა  
რკინის კედელზე ასვლა?

ვინ არის, სალახანა,  
კარებს რომ ძალით აღებს?  
იმისთვის ვზრდიდით განა  
ჩვენ ამ ბრწყინვალე ბაღებს,  
რომ ეს ბაღი და ყანა  
ეთელა მუხრტალ წადებს?

განა იმისთვის მოვსპეთ  
შავი ჯალათი ძველი,  
განა იმისთვის ვმოსეთ  
სინათლით მიწა ვრცელი,  
რომ განთიადის მომსწრეთ  
კვლავ დაგვფენოდა ბნელი?

არა! სამშობლოს იცავს  
ძღვევამოსილი ხმალი.  
ჩვენს აყვავებულ მიწას

ვერვინ წაგვართმევს ძალით,  
რადგან ქვეყანას იცავს  
ძლევა მოსილი ხმალი.

ფეხზე დამდგარა მთელი  
საბჭოთა ქვეყნის ერი.  
დედა-სამშობლოს მცველი  
ბრძოლის სიმღერებს მღერის.  
ფეხზე დამდგარა მთელი  
საბჭოთა ქვეყნის ერი.

ქართლოსიანთა ძენი  
ძმებთან შეკრულან ფიცით.  
მათ მტრის დახვედრა ჰშვენიოთ  
საკუთარ გულის ფიცრით.  
ელვათა შუქის ფენით  
გზას მიიკვლევენ მტკიცედ.

ბრძოლა იქნება დიდი,  
ბრძოლა იქნება მკაცრი.  
განა ერთი თუ შვიდი  
ხმალი იელეებს ბასრი, —  
ბრძოლა იქნება დიდი,  
ბრძოლა იქნება მკაცრი!

მიწა დაიწყებს ზანზარს  
ულმოზელ ცეცხლის ფრქვევით.  
მტერი დღეს ნახავს საზარს  
ჩვენი მიჯნების ქვევით,  
ჩვენი-კი გადვივლიო საზღვარს  
ელვარე დროშის რხევით.

ფაშისტურ აფთარს მისდევს  
დიდ საბჭოეთის ლომი.  
სირცხვილს და სიკვდილს მკიდებს  
ჩვენი წაქცევის მდომი!  
მოედო კიდიო-კიდეს  
მამულისათვის ომი!

## ჩემს კალამს

ჩემო კალამო! ყოველ გარიერაეს  
შენ შეპხაროდი დილის ჩიტივით.  
უმღერდი მიწას, ელვას, ქარიშხალს,  
და მოვლილი გაქვს ზეცა შვიდივე.

დღეს ამ მიწა-წყალს, ამ ცის განთიადს  
მუხანათურად დაესხა მტერი,  
და შენს ნისკარტზე ცეცხლი ანთია,  
შენ ამ უდიდეს ბრძოლაზე მღერი.

დამე სიმღერა სხვა ყოველგვარი,  
ყოველი კილო, სიტყვა და აზრი,  
გარდა ერთისა, მხოლოდ მედგარი  
დაგრჩეს ყივილი, ხმალივით ბასრი.

რომ ყველაფერი, რაც შენში ფეთქავს  
გმირული, მძაფრი და პირუთენელი,  
მგზნებარე სიტყვა, რაც უნდა გეთქვა,  
მაგრამ ამ დღისთვის დარჩა უთქმელი,

იმ ერთ ყივილში მოზღვაედეს ერთად,  
როგორც მომსკდარი მთიდან ლანქერი,  
კალამო! მხოლოდ შემუსრვა მტერთა! —  
გადაივიწყე სხვა ყველაფერი.

## დედა და შვილი

საშობლო ქვეყნის ძახილზე  
საომრად მიგეჩქარება.  
არწივის ფრთები შეგასხან  
კავკასიონის ქარებმა.

მიდიხარ და თან მიგყვება  
ჩემი გული და გონება.  
სხივანთებული ეს წუთი  
მარადეამ მომეგონება.

შენ წახვალ, მე აქ დავრჩები,  
ქვეყანას აქვე ვჭირდები.  
მე აქ შენეულ კომბაინს  
ხელმარჯვედ ჩავეჭიდები.

შენ იქ სისხლს დაღვრი, მე ოფლად  
აქ დავეფრქვევი ყანასა,  
დღეს ეს ორივე თანაბრად  
სჭირდება ჩვენს ქვეყანასა.

და როცა ვენახს დატვირთავს  
წითელი იაგუნდები,  
მე მჯერა, სახელოვანი  
მშვიდობით დამიბრუნდები.

## დედის წერილი

შვილო, სილაღეც დედისა,  
ცის შავარდენო მფრინავო!  
გულითად სალამს გიგზავნის  
ყველა, ვინც დარჩა შინაო.

შენი გმირობის ამბავი  
რადიომ მოგვაწვდინაო.  
აქ პირველობდი შრომაში,  
იქაც ყოფილხარ წინაო.

შენი სახელი ახსენეს, —  
თითქო ცამ დაიგრგვინაო.  
თვალეებში ცრემლი ჩამიდგა,  
გულს ვარდი ჩამეფინაო.

სასიხარულო ამბავმა  
სოფელი მოირბინაო,  
გილოცვენ, რომ გიპოვნია  
სტალინის გულში ბინაო.

აგცილდეს ტყვია მზარავი,  
მტრის შხამიანი რკინაო,  
შვილო, სილაღეც დედისა,  
ცის შავარდენო მფრინავო!

## სახალხო ლაშქარი

მთა ბარს მოუხმობს, ბარი — მთას.  
ნაქუხი, ნაგანგაშარი;  
აივსო ხალხის ჯვართა  
სამშობლოს ქვეყნის ლაშქარი.

ისმის თორნიკეს ძახილი  
და სააკაძის ხმაური;  
ხმალს ლესავს მძიმედ დახრილი  
ხეესური ხიმიკაური.

თვალთაგან ნაპერწკლის მჩენი  
გაუტაცნია წადილსა,  
შემუსროს მტერი, ვინც ჩვენი  
მიწის ნაპირი წაბილწა:

— ჩვენს ველზე მგლური სირბილი  
განა შაგრჩება, ცბიერო!  
სისხლი სისხლის წილ, სიკვდილი  
სიკვდილის სამაგიეროდ!

მთებმაც კი გაიმეორეს  
ფიცი ნათქვამი მკვახედა.  
იელვა, თითქოს მეომრებს  
სამშობლოს ზეცამ დაჰხედა.

სინათლე ჩადგა ლაშქარში,  
სხივი ანათებს იარაღს;  
სამშობლოს ცაზე კაშკაშით  
არწივმა გადაიარა.

## ვისაც მოუკლავს, ის მოჰკლავს...

გამარჯვებული ყიოდა  
რკინისფრთიანი არწივი.  
სოფელში შემოდისოდა  
ნაბრძოლი ჯარის ნაწილი.

მწყობრი სიმღერა ისმოდა,  
გუგუნა ჰგავდა ზღვისასა:  
„ვისაც მოუკლავს, ის მოჰკლავს  
ნადირსა შავის ტყისასა“.  
წკრიალი იდგა იმგვარი  
ლაშქრულის ნაქუხარზედა,

თითქო უხილავ ღეროდან  
შუქი მოსჩქეფდა ლალისა,  
თითქო ფოლადი მღეროდა  
მტრის თავზე მბრუნავ ხმალისა.

ხალხი სიამით ღელავდა  
გმირების დანახვაზედა.  
გამარჯვების მზე ელავდა  
რკინის არწივის ფრთაზედა.

## ოფში მიმავალ ჰართველ მომარს

კავკასიონის მაღალ კარებთან  
გუშავად იდგა ძველი ქართველი.  
სამშობლოს მტრის ხელს არ აკარებდა  
შეუპოვარი და შემმართველი.

ოფში კაეივით ნაპერწყლებს კვესდა,  
შრომაში დინჯი და გულკეთილი.  
იდგა მზისაგან ჩაყანგულ კლდესთან,  
თვითონაც კლდისგან გამოკვეთილი.

თავის მომავლის ვარსკვლავს იცავდა,  
წინაპართ გულთა სიმებზის ელერას.  
ბევრი ვაება თუმც განიცადა,  
მტერს არ დაუთმო თავისი კერა.

წავიდა გმირი ნამუსიანი,  
შრომით და ბრძოლით მოუქანცველი,  
შენ დაგიტოვა მიწა მზიანი  
და დღეს შენა ხარ მისი დამცველი.

შენც მიაშურე ბრძოლას ხელჩართულს,  
სადაც ტყვიის და ცეცხლის ქარია,  
იქ გაიგონებ სიმღერას ქართულს,  
იქ შენი ძმებიც მრავლად არიან.

რკინის ზრიალში გამოკრთის ხშირად  
რეკვა ქართულად მოქნეულ ხმალთა  
დონბასში, დნებრთან, აზოვის პირად,  
ბაღჩისარაის შადრევნის წყალთან.

ყოველგან, სადაც ბრძოლაა მტერთან  
და ხალხი იცავს კერას და ნამუსს,  
სხვა სახელოვან გმირებთან ერთად  
ქართველთა მკერდიც იფარავს მამულს.

შენც იქ მიდიხარ, შენია ჯერი,  
მოვალეობაც შენი დიდია.  
გახსოვდეს: სადაც ცეცხლს ანთებს მტერი,  
იქ საქართველოს კარი ჰკიდია.

დაატყდი მეხად ვერაგს და აესულს,  
ჩეხე და ელიტე წყვილად და ცალად.  
გფარვიდეს მარად ბრძოლაში გასულს  
მშობელი მიწის მადლი და ძალა.

პურისთვის მოსულ გადამთიელებს  
რკინა და ტყვია აჭამე ცხელი,  
და გამარჯვება როცა იელეებს,  
შენც იმის გვირგვინს შეავლე ხელი. —

რომ ვინც გაარღვევს სიკვდილის დარჯავს  
უშიშარ გულით, ხმლითა და შუბით,  
მისი მარჯვენის გამოჩნდეს გარჯაც  
და დაიდაფნოს იმისი შუბლიც.

უკრაინულ და რუსულ შეძახილს  
შენც შეუერთე ქართული „ვაშა“,  
ქებით ვახსენებთ მაშინ შენს სახელს  
და სიმღერებშიც დარჩები ვაჟად.

## კავკასიონის მწვერვალებიდან

მტკვარს მოაწვდინა თერგის ღრიალმა  
დატყვევებული დონის ვედრება.  
წამსვე ყაზბეგმა და დარიალმა  
იწყეს განგაში და ამხედრება.

შურისძიების ცეცხლით აღივსნენ,  
ფარი ამართეს ელვადაყრილი.  
— ქართველო ხალხო, იარაღისკენ!  
ქართლში გაისმა მყისვე ძახილი.

ნაცრად ქცეულა უხვი ყუბანი  
და წყნარი დონი ხანძრებში ყივის.  
ძმებო, ჩვენ გვტყვივა გულის უბანი,  
გულის წყრომა კი გვავიწყებს ტკივილს.

წამოვალთ როგორც გრგვინვა და ზვაფი  
კავკასიონის მწვერვალებიდან,  
რომ კლდოვან ხრამში ჩაელეწოთ სვაფი,  
ჩვენს მზეს ფრთებით რომ გადაებინდა.

არ უღალატებს ჩვენი მარჯვენა  
ჩვენი ნამუსის დამცველ იარაღს.  
დაჰკრავს საათი და გამარჯვება  
ჩვენ მოგვიშუშებს ყველა იარაღს.

საესე ვართ ამგვარ გრძნობის მადანით,  
და ჩვენი გულის ეს განათება  
ჩვენ ოქროს ღრუბელს გამოვატანეთ,  
თქვენი ცისკენ რომ მიემართება.

მას საქართველოს ქარი არწევდა,  
მან ჩვენს კლდეებში ღამე ათია,  
სადაც ყაშყაში ისმის არწივთა  
და ამირანის ცეცხლი ანთია.

## არ მოუშვა, დაჰკარი

საქართველოს გუშაგო, გვესმის შენი ძახილი,  
ენახეთ შენმა მარჯვენამ მტერი როგორ დაადა.  
ნახა შენმა ქვეყანამ, რომ მოიმეც სახელი,  
უფრო მეტი დიდების მოსახვეჭად შზადა ხარ.

ხედავ, მტერი რას სჩადის, როგორ მოგიახლოვდა?  
შენს მიწაზეც დაეცა ჩრდილი შავი ფრთებისა.  
შენი კერა აქ არი, პაპაც აქვე სახლობდა,  
ღღეს შენა ხარ დარაჯი ამ დალოცვილ მთებისა.

შენი თავისუფლების დედაბოძი აქა დგას,  
შენი შვილის აკვანი, შენი ფუძე აქ არი.  
მტერი მოდის, კისერზე რომ უღელი დაგადგას,  
ვაეკაცურად დაუხვდი, არ მოუშვა, დაჰკარი!

თუ მოვიდა ჩაგვიჭრობს კერას მამაპაპეულს,  
პირში ჩაგვეშრიტება სიტყვა რუსთაველური.  
მონურ უღლის ტაბიკზე შემოგვიჭერს აპეურს  
და ნესტანს ტყვედ წაიყვანს ქაჯი უფრო ველური.

ნუმც გვენახოს მყინვარქედს მტრის მახვილი სწვდებოდეს,  
მტერი ხანძარს უნთებდეს საქართველოს ცის კიდეს,  
ამირანის ნადგომზე ქონდრის კაცი დგებოდეს  
და არწივთა საბუღარს ყვაე-ყორანი სძიმვნიდეს.

შენ, ქართველო ვაეკაცო, სამშობლოსთვის შობილო,  
ხალხი მისთვის გადიდებს და თავს მისთვის გვევლება,  
რომ რუსთაველის სიმღერა მტერს არ ჩაახშობინო.  
რომ ნესტან და თინათინ მტერს არ მისცე მხევლებად.

შენი მიწის ორთქლი და კერის კვამლი აქა დგას,  
შენი შვილის აკვანი. შენი ფუძე აქ არი.  
მტერი მოდის, კისერზე რომ უღელი დაგადგას,  
ვაეკაცურად დაუხვდი. არ მოუშვა დაჰკარი!

## მთები დაღესტანისა

ხრამში ზვავი ჩაიმსხვრა თუ ქვემეხი გავარდა?  
კვამლიანმა ჰაერმა ტყე და ბალი დანისლა.  
მწვერვალიდან მწვერვალზე ორბმა გაინავარდა,  
უყვიანი დევგმირებს მთები დაღესტანისა.

მზე მოკონავს ღრუბლებში თუ ვაჟკაცის ჳრილობა?  
ეს მთვარეა თუ პირი სისხლიანის დანისა?  
მწვერვალებზე ელვაა და ორბების ყრილობა.  
გასძახიან არწივებს მთები დაღესტანისა.

მტერი მთას მოსდგომია, მთაში სისხლი იღვრება.  
დაბრუნება ზომ არ სურთ იმ უხანო ხანისა?  
მთათა ზღუდე მტკიცეა, კარი არ გაიღება, —  
დარაჯებად დამდგარან მთები დაღესტანისა.

ოქტომბერი, 1942 წ

## სამშობლოს ვარსკვლავი

როცა დღე, ომის გრიალით სავსე,  
ცეცხლის აღმურში დაიბინდება,  
სამშობლოს ვარსკვლავს მე ვხედავ ცაზე  
და ჩემს გულშიაც სხივი ინთება-

როცა ღამესაც ხანძარი დასწევას  
და ისიც გრგვინვით გადატრინდება,  
მაშინაც ვხედავ სამშობლოს ვარსკვლავს  
და გული საფრთხეს არ უშინდება.

ყოველთვის, როცა ამ ცეცხლის გზაზე  
გულს გამხნეების ძალა სჭირდება,  
სამშობლოს ვასკვლავს შევხედავ ცაზე  
და მღვრიე ფიქრი დამეწმინდება.

3 ნოემბერი, 1942 წ.

## ქართველი მთომგის წერილი უკრაინელ ჯარისკაცისადმი

გავიგე, დგახარ უკრაინელი  
ქართული მიწის საგუშაგოზე.  
აღბათ მშობელი კერა მიმელის, —  
ძმაო, ჩემს ნაცვლად მიწას აკოცე.  
წიგნივით მიწის პირი გახსენი,  
ჩუმაღ ჩაუთქვი სახელი შენი.  
ჩემ წინაპართა ძვლებით საესენი  
შეირხევიან საფლავთა ბჭენი.  
ქვეყნის წინაშე ვალმოხდილ გმირებს  
მზე დაადგება ნათლის სვეტებად,  
როცა სამშობლოს დამარხულ ძირებს  
შენი სალამი ჩაეწვეთება.  
გაეხარდება ქართლოსის მიწას,  
რომ, შესარცხვენად მოსეულ მტერთა,  
მას უკრაინის ვეკაკი იცავს  
ქართველი ხალხის შეილებთან ერთად.  
მე კი შენს ძმებთან ერთად აქა ვარ,  
და გეტყვი, გული რომ გავიხარო:  
აქ დღე, არც ღამე ისე არ გავა,  
მტერზე რომ ჯავრი მე არ ვიყარო.  
წმინდად ვასრულებ — რასაც გულსავესედ  
მე საქართველოს დაეპირებდივარ.  
მტერი ავხვეტეთ და გადავყარეთ  
დონის თოვლიან ნაპირებიდან.  
როცა იმძლავრა ყინვამ და თოვამ,  
მტერს თავს დაესხა გმირთა კრებული,  
ველიტეთ და ესრისეთ აფთართა ხროვა,  
თბილ ბუნაგებში ჩაზამთრებული.  
ღმუოდა ცეცხლი დღითაც, ღამითაც, —  
ლომი გამწურალი და გულმოსული, —

თითქო მიჰქონდა ქარს დედამიწა,  
თოვლით და კვამლით გარემოცული.  
აბლაც ყველაფერს გლეჯენ ქარები,  
გამოდარებას ვერ ველოდებით,  
უკრაინისკენ მივეჩქარებით,  
დნებრის ნაპირებს ვუახლოვდებით.  
უწმინდურთაგან დავიხსნა მინდა,  
შემკული თოვლის იასამანიტ,  
დიდი შევჩენკოს საფლავი წმინდა,  
გურამიშვილის წმინდა სავანე.  
დიდ საბჭოეთის სამფლობელოში  
ჩვენს ვალს მოვიხდით ქვეყნის წინაშე  
შენ — თავისუფალ საქართველოში,  
მე — თავისუფალ უკრაინაში.  
შემდეგ ერთმანეთს, აღამგაშლილნი,  
ნემანის წყალთან შევხვდებით სადმე.  
სცოცხლობდეს ჩვენი ძმური კავშირი  
ამიერიდან უკუნისამდე!

21 დეკემბერი, 1942 წ.

## გამარჯვების წელი

ცეცხლის ისარმა გადაჭრა ღამე  
და ცას გაავლო ელვარე ზოლი.  
უკანასკნელი აენთო წამი  
და გმირულ დღეთა შეიკრა რგოლი.

წავიდა რისხვით აღსავსე წელი,  
წელი ვაჟკაცურ თავგამეტების,  
ჩვენი ძალის და სიმტკიცის მზრდელი  
და დამმარხველი მტრის იმედების.

უფრო მრისხანე და უღმობელი,  
ბრძოლებში დამწვარ დღეთა შემცვლელი,  
მოდის მსოფლიოს ხანძრის მჭრობელი  
ცხრაას ორმოცდამესამე წელი.

მოდის სასტიკი შურისმგებელი,  
მტრის შემზარავი და შემამძრწოლი.  
მოდის მეზობლი და მსჯავრმდებელი,  
მოაქვს ხმალი და მოაქვს სასწორი.

მას ყველაფერი აღწესებული აქვს,  
რაც ყაჩაღებმა აქ ჩაიდინეს:  
რამდენი მსხვერპლი დამარხულია,  
რამდენი დედა მწარედ ქვითინებს.

ყოველი წვეთი მართალი სისხლის,  
უმანკო ცრემლის წვეთი ყოველი,  
არის სათავე წყრომის და რისხვის  
და შურისგების არის მთხოველი.

წელს მტრის მახვილი უნდა გადატყდეს! —  
ეს გასული წლის არის ანდერძი.

ვოლგის ამაგიც ამას დალადებს  
და სტალინგრადის შარავენდედი.



ამას ჰკივიან ჭალარა მთებიც  
და მათ ბანს აძლევს კლდე-დარიალი.  
ამას მოითხოვს დონის და თერგის  
შეთანხმებული ბრძოლის გრიალი.

თუმც შედრკა მტერი, ჯერ ჩვენ წინ არი  
კიდევ აღმართი დიდი ბრძოლების,  
ჯერ კიდევ მოჰქუხს სისხლის მდინარე  
და თოვლი ჰყვავის წითელ ზოლებით.

ჩვენ ამ აღმართზე განვაგრძობთ ასვლას,  
და ჩვენს გმირებთან ერთად მეც ველი,  
რომ გამარჯვების ანთებს ვარსკვლავს  
ცხრაას ორმოცდამესამე წელი.

1 იანვარი, 1943 წ.

## სამშობლოს შევარდნები

შევარდნები აფრინდნენ საქართველოს მთებიდან,  
თეთრი კავკასიონი გრგვინვით გადინავარდეს-  
მესმის შორი გუგუნი, ღრუბელს გლეჯენ ფრთებით...  
ფრთებით მიაქვთ ქუხილი ჩვენი ქვეყნის შევარდნებს.

შორს ყორნებთან ბრძოლაა, — ჩვენი თავისუფლების  
მომავალი დიდება ამ ბრძოლაზე ჰკიდია.  
ჩვენი ზეცის ლაქვარდის, ჩვენი ოქროს ღრუბლების,  
ჩვენი მიწის სილალის დასაცავად მიდიან.

თუმც ყორნები გვესხმიან ონაერულად, თაღლითად, —  
მათი ბოლო მარცხია და ციური ხანძარი.  
ბევრის შავი ნაფლეთი ცვივა ზეცის თალიდან,  
ბევრი ძირს ენარცხება ეინჟელით და მწვეარი.

შევარდნებო ციურნო! მესმის თქვენი გუგუნი, —  
თითქო გრგვინავს ჩონგურზე რუსთველური შაირი.  
მტერი გაანადგურეთ, თავზედი და უგნური,  
ყორანთაგან გაწმინდეთ ჩვენი სუფთა ჰაერი.

## უკრაინას

საქართველოს დობილო,  
 საქართველოს დობილო,  
 გაუგონარ განსაცდელის  
 ცეცხლში გამოწრთობილო,  
 წამებულო უკრაინავ,  
 ეკლის გვირგვინიანო,  
 შენ დიდების შუქით ბრწყინავ,  
 ბნელ ღამეშიც მზიანო.

მე ძველთაგან შემიტყვია, —  
 თვითონაც ხომ მომსწრე ვარ: —  
 როგორ ჰრიდა შენი ტყვია,  
 შენი ხმალის მოქნევა.  
 დღესაც შენმა ვაჟკაცებმა  
 მტრის იმედი დახურეს.  
 მთელი ქვეყნის ალტაცება  
 ბრძოლით დაიმსახურეს.

ცეცხლის თოვლით დათოვლილო,  
 ცეცხლის წვიმით ნაწვიმო,  
 შავ მხეცისგან დატორილო,  
 დაკაწრულო არწივო,  
 შენ დაჰრილიც კარგად იბრძვი,  
 კარგად ხმარობ იარაღს,  
 გულს გიმავრებს წმინდა ფიცი  
 და გიმრთელებს იარას.

ორი ქვეყნის ტკბილო ხმებო,  
 ერთად მიმოფანტულო:  
 აქ აკაკის ჩონგურო და  
 იქ ტარასის ფანდურო,  
 უკრაინავ წამებულო,

საქართველოს დობილო,  
სიყვარულით სავსე გულო,  
გულთან გადაჭდობილო!

შენ ნატანჯი შენი მიწა  
ისევ უნდა აღზინო,  
ჩაშაგებულ, ჩამწვარ მინდვრებს  
ოქრო გადააფინო,  
კვლავ აშენო, აღადგინო, —  
აბიზინო, ამწვანო,  
დღეს მტრისაგან გადათხრილო,  
დახანძრულო, დამწვარო!

შენს ცას ლურჯი ფარჩა ეცეა,  
დღეს ყორნის ფრთა აცვია,  
ბევრი შავი ფრთა ჩაიწეა,  
ბევრიც მტვერში აწყვია.  
ჟამი დაჰკრავს, შენი ზეცა  
ისევ გაიწმინდება,  
რაც ღრუბელი დაიქეცა —  
ლურჯად აბიზინდება.

შენ კვლავ სხივით მოირთეები.  
ნურც იფიქრებს ნურავინ, —  
მოყიალე ყორნის ფრთები,  
დღეს რომ შენს ცას მურავენ,  
დიდხანს შერჩეს შენს კაბადონს,  
მაენედ ამოჭროლილი, —  
ყორნებს მალე მოიშორებს  
ზეცა მოოჭროვილი.

საქართველოს მეგობარო,  
საქართველოს დობილო,  
გაუგონარ განსაცდელის  
ცეცხლში გამოწრთობილო,  
შენთან არის ამ ბრძოლაში  
შენი ძმების კრებული.  
არ დაინდო მოძალადე —  
მტეცი აყვირებული.

არ დატოვო დაუწეავე  
მისი თმა და ჯაგარი,  
კიდევ უფრო გაუმწეავე  
ცეცხლის წვიმა და ქარი.  
თუნდ მიწაში იწყოს ძრომა —  
ამობუგე თაკარით,  
მოიოხე გულის წყრომა —  
მთელის ძალით დაჰკარი!

24 აგვისტო, 1943 წ.

## თბილისი ღამით

ეს ცისფერი საღამო, ნაზი და ურბილესი,  
ახლაც ისე წყნარია, როგორც იყო ომამდღი.  
ვარსკვლავიან ღამეში ისე შედის თბილისი,  
როგორც ოკეანეში შუქჩამქრალი ხომალდი.

მღუმარებენ ვარსკვლავნი და იისფერ თალიდან  
ცვივა თოვლის მტვერივით მოციმციმე წვეთები-  
მღუმარებენ ვარსკვლავნი, მაგრამ ბნელ ოთახიდან  
ვხედავ, როგორ ავარდნენ ცაში თეთრი სვეტები.

თითქო სწვევტენ ვარსკვლავებს მოელვარე ხელები,  
თითქო ზღაპრულ ფრინველთა ანთებული ფრთები.  
ირხვევიან სვეტები, ვით გრიგალში ხეები,  
ანათებენ, ელავენ და უეცრად ჰჭრებიან.

შემდეგ ღამის ჰაერი, ნაზი და ურბილესი,  
ისევ ისე წყნარია, როგორც იყო ომამდღი.  
ვარსკვლავიან ღამეში დგას ჩამქრალი თბილისი,  
როგორც ზღვაში გასული უსინათლო ხომალდი.

## ერთი ხე იღვა მაღლობზე

### 1

ზვავებით ნაგლეჯ ლოდებში,  
კლდე-დარიალის კარებთან,  
სადაც ბილიკი ადვილად  
ჯიხესაც ვერ გაატარებდა,  
ერთი ხე იღვა მაღლობზე,  
კლდეებში ამოშვერილი,  
გადასცქეროდა შორ მანძილს  
ყელმოღერებულ შველივით.

ამქუხრებული თერგის ხმა  
ვაჟკაცებს მოუწოდებდა.  
ხესაც ესმოდა ძაწილი,  
ტოტებს არხევდა ლოდებთან.  
ხშირფოთლიანი, ქოჩორა,  
თვალგახელილი მარადჯამ,  
იდგა თოფიან კაცივით  
ქართლის კლდე-კარის დარაჯად.

### 2

ხევგალმა ატყდა დგანდგარი,  
თითქო ქვის კოხი ცვიოდა,  
გულშემზარავი ზრიალი  
კლდეებზე ამოდოდა.  
თითქო ლაყვარდში ასვეტილ  
თოვლიან კავკასიონთან  
ასი ვეშაპი ზღაოდა,  
ათასი გველი წიოდა.

ბილიკს ამოჰყვა ვაჟკაცი,  
ხეზე აიჭრა შავარდნად.

მწვანე ფოთლებში იმ წამსვე  
სამჯერ ზედიზედ გავარდა.  
სროლის ხმის გამოძახილმა  
ჩაიგრიალა ხევებში.  
სამი დაეცა მურტალი  
შორი გზის მოსახვევებში.

ხე იდგა კლდეზე კლდესავით,  
ყაჩაღებს კარს არ უღებდა,  
რამდენიც გამოჩნდებოდა,  
იმდენჯერ დაიჭუხებდა.  
ტოტებში თოფი გრგვინავდა,  
ფოთლებში კვამლი ბოლავდა.  
ხე და ვაჟკაცი შეერთდნენ  
მტრის რაზმის ჩასაქოლავდა.

### 3

მტერი ასკდება სალ კლდეებს,  
უფრო ცხარობს და ავდება-  
ქართლის მიწიდან ამოსულ  
ძალას რა გაუმკლავდება! —  
კაცივით იბრძვის თვითონ ხეც, —  
გმირის გმირული საფარი, —  
ფოთლების ნაცვლად ასხმია  
ლომის აშლილი ფაფარი.

გამავრდი, ხეო, გამავრდი,  
ლომი ხარ, ვეფხვის ძმობილი!  
შენ დაიფარე ვაჟკაციო,  
შენს ტოტებს გადაჭლობილი.  
განა მარტო ხარ! ამ მთებში  
შენებრ მებრძოლი სხვაც არი.  
ზღაპრად დარჩება ქვეყანას.  
ეს შენი ნამოღვაწარი.

ვაჟკაციონის აღმართი  
მტრის წინ არ დაიკეცება.  
მთების ჭაღარა ქედები  
ვერ გადმოლახონ მხეცებმა,

ვერ შეძლონ ბროლის კედელზე  
ბინძურ თათების ათრევა,  
ვეფხვების ბინა კლდოვანი  
ვერ დაიმკვიდრონ აფთრებმა.

4

იმ დღეს იქ ბევრი დაემზო,  
ჩვენი კარების მტვრეველი,  
ბევრის თვალები დამიწდა,  
უთენარ ღამის მთეველი,  
ბევრს პირი გამოეკეტა  
უნამუსო და მკვებხარა,  
ღღის ბოლოს იმ მთის დაღმართზე  
ასამდე ლეში ეყარა.

5

ბრძოლის ქარცეცხლი მატულობს.  
თოფის გრიალი ხშირდება.  
თუ ამ დარტყმასაც გაუძლებ,  
შემდეგ არ გაგიჭირდება  
მოდინ, უკვე მოვიდნენ  
შენი მაშველი ჯარები.  
ხეო, გამაგრდი, გამაგრდი,  
მტერს ჩაუკეტე კარები!

6

ხე იდგა კლდეზე კლდესავეით,  
ყაჩაღებს კარს არ უღებდა,  
რამდენიც გამოჩნდებოდა,  
იმდენჯერ დაიჭუხებდა.  
იბრძოდა კვამლში ჩამდგარი  
თავგამეტებით, აღზნებით.  
ბოლოს უეცრად დადუმდა, —  
თოფს გაუთავდა ვაზნები.

მაშინ იშხუვლა მტრის ურდომ,  
ააზანზარა კლდე-კარი,  
შავად გამოჩნდა ჰაერში

სვავი სვავურად მყეფარი;  
ხეს მიაშურა ყივილით,  
დაესხა გაბოროტებით,  
მეხი ჩაუგდო უბეში,  
შემოაღეწა ტოტები.

ცეცხლმა ფოთლები შეტრუსა,  
დასწვა ფაფარი აშლილი;  
ხის ძმად ნაფიცი ვაჟკაცი  
ძირს ჩამოვარდა დაქრილი.  
ამ დროს ცამ დაიგრიალა  
და სვავსაც ფრთები დაეწვა —  
აღმოდებული მფრინავი  
იმაგ ხის ახლო დაეცა.

მაშველი ჯარი მოვიდა,  
მტერს ტყვიის ცეცხლი აწვიმა.  
სვავი გაფატრა, მოსისხლე,  
თვალანთებულმა არწივმა.  
კლდეზე აჩქამდა ბილიკი,  
დეე-გმირთა დანაბიჯები;  
მთაზე გადმოდგნენ ყიყინით  
ქართლის ქოჩორა ბიჭები.

8

ხეო, მტრის ელვადაკრულო,  
ნაცეცხლო, ტანშერუჯულო!  
როგორ დაგსეტყვა ვერაგმა,  
როგორ დაგმეხა ურჯულომ!

ჩამოვახია ფოთლები,  
აბრეშუმივით შრიალა,  
შენი ხასხასა რტოები  
აიკლო, გაატიალა.  
ნეტავ თუ იცი, თუ ნახე —  
რა მოჰყვა ბრძოლას წუხანდელს,  
ეგ შენი გულის ნაღველი  
მტერს როგორ გადაუხადეს;

როგორ გაელიტეს მომხდურნი,  
ქართლის მამაცმა შვილებმა! —  
აწ არასოდეს შავი ფრთით  
ეს კლდე არ დაიჩრდილება.

ის შენი თანამებრძოლი,  
ვაჟაკი, შენი ძმობილი,  
მტერს რომ ვეფხვივით ებრძოდა  
შენს ტოტებს გადაქლობილი;  
ისიც შენსავით დაცეცხლა  
შავმა მტრინავმა თავხედმა,  
მასაც დაჰქროლა სიკვდილმა,  
ღია თვალებში ჩაჰხედა.

მაგრამ იპოვა სიმშვიდე  
თვალდაკეცილმა არწივმა,  
ის გაიყვანა ცეცხლიდან  
მისმა მებრძოლმა ნაწილმა.  
დღეს მის გულს აღარ ატყვია  
ნაბზარი ბეწვის ოდენი,  
დღეს მის სისხლიან ჭრილობას  
ამშვენებს გმირის ორდენი.

მაღე ის ძალას მოიკრებს,  
წყლულს მოიშუშებს, აღგება;  
შენ ვინ მოგივლის, ბეჩაეო,  
მკურნალად ვინ დაგადგება?  
შენ ვინ დაგადებს მალამოს,  
შენ ვინ შეგიხვევს ჭრილობას,  
ვინ დაგიბრუნებს წინანდელს  
ვაჟაკურ ტანაყრილობას?

ხო, ქვეყნისთვის ბრძოლაში  
სიკვდილის თვალით მნახველო,  
ფიქრს არ მიეცე მწარესა,  
გული არ დაინადველო.

განა სულ ასე იქნები  
ხეიბარივით მდგომელი?  
ვინ დაკარგულა უკვალოდ  
მშობელ მიწისთვის მშრომელი?

ვინ დაამშვენოს ფოთლებით  
ზეავით ნაგლეჯი ლოდები,  
თუ მუდამ ასე დარჩები  
ჩანახშირებულ ტოტებით?  
ვინ ააყვავოს შტოებზე  
სხივების ოქრო ჯეჯილი  
თუ მუდამ ასე იქნები  
სიმწვანე შემოგლეჯილი?

მზე შემობრუნდეს შენს თავზე  
შავარდენივით ფრთიანი,  
მიწამ გაგიხსნას გულ-მკერდი,  
ძუძუ გაწოვოს რძიანი.  
წამოდგე წელგამართული,  
მიდამოს თვალი შეავლო,  
მწვანე ტოტები გაშალო,  
ფოთლები ააშრილო.

უწყინარ სივრცეს წინანდლებზე  
გულმშვიდად გადასცქეროდე.  
თავს დაგბრუნავდეს არწივი,  
ფოთლებში ქარი მღეროდეს.  
ზეამართული ცისაკენ  
იდგე ზურმუხტის თასივით,  
ხან წვიმის ბროლის წვეთებით.  
ხან მზის სხივებით აესილი.

კვლავ აგიყვავდეს შტოები,  
დღეს ფოთოლშემოხეული,  
რომ ირხეოდეს კლდეებში  
შენი ცოცხალი სხეული.  
დილით ჩიტები დაგფრენდნენ,  
ღამით — ვარსკვლავნი ცისანი.  
მკერდზე გშვენოდეს ნაბზარი,  
როგორც გმირობის ნიშანი.

## მ ა ი ს ი

დაიყვილებს ცაში ოქროს მამალი,  
ფარდას ასწევს შუქი უზენაესი  
და შემოდის ყვავილების ამალით  
ლაყვარდიდან გადმოსული მაისი.

ცაში თითქო გუგუნებენ ზარები,  
მზის ჩონგურის ანთებული ხმა ისმის.  
საქართველოს მიდამოებს მგზავრივით  
ჩამოივლის თვალუქუნა მაისი.

თერთმეტი თვე გზაში იყო, მოვიდა,  
ვარსკვლავების სიშორიდან უვლია.  
ჩვენს გარეშე ბინას სად იპოვიდა? —  
ის ზომ ჩემი გულის მოციქულია!

30 აპრილი, 1944 წ.

## ქართლის სჯოვრება

### 1

ერთხელ კერაზე ცეცხლი ამღერდა.  
მე გამიკვირდა ცეცხლის ვალობა:  
ერთ მტკაველ მიწას ვინ დააბღერტა  
ამდენი მადლი და ცის წყალობა!

ცეცხლი ბალღივით ხელებს მიწვდიდა,  
ცეცხლი ვარდივით ფოთლებს არხევდა:  
„ახლა ამოველ მშობელ მიწიდან,  
წინაპართ ძვლების ბნელ სამარხიდან.

ახლა ამოველ მე იმ ძვლებიდან  
ცაყაჩოსავით ამოწვერილი.  
მამა-პაპათა საფლავებიდან  
ამოვიტანე თქვენთვის წერილი“...

აბრიალებულ ალით მღეროდა  
სურნელოვანი ფიჭვის ნაპობი.  
მე ყურს ვუგდებდი და მე მჯეროდა  
ცეცხლის ნამღერი და ნაამბობი:

„ცხოვრების სიბრძნე ჩვენგან ისწავლეთ,  
თუ გსურთ ქვეყნისთვის გახდეთ უკვდავი:  
სამშობლოს ცაზე მზე დაიცავით,  
მშობელ მიწაზე — კერა მბეუტავი.

„თესლი, მიწიდან თავს რომ ამოყოფს,  
შეხედავს ზეცას, გაეცინება,  
თქვენი გულიც ხომ იმ მზით ამაყოფს,  
თქვენს კერას ციდან რომ ეფინება!

„მზეც ხომ საერთო კერაა ცაში,  
და თქვენი კერაც მზის ნაწილია.  
მზის ალი ბუდობს წმინდა ნაცარში,  
შიგ მზის სხივები ჩაღეწილია.

„მზიურ ცეცხლიდან ჩამოწყვეტილი  
პატარა ალი დაეცა მიწას.  
ცეცხლს შემოვავლეთ ირგვლივ კედელი,—  
მას შემდეგ ქართლი თვის კერას იცავს.

„ღვივის მას შემდეგ აღშემართული,  
ერთი წუთითაც არ სძინებია.  
თბილი დაეტოვეთ კერა ქართული,  
თქვენც ნურასოდეს გაგცივებიათ!

„უკეროდ ყოფნა მხოლოდ ცრემლია,  
და ძველთაგანაც ნაამბობია,  
რომ ვისაც კერა ჩანაცრებია,  
მას მისი წილი მზეც ჩაქრობია.

„აღგვილა იგი ქვეყნის პირიდან,  
გამქრალა მისი წუთისოფელი.  
კერის გაქრობა ვინც აირიდა,  
მზეც მას უნათებს გაუქრობელი...“

ამას ამბობდა, ამას მღეროდა  
აღმოდებული ფიჭვის ნაპობი.  
მე უფრს ეუფდებდი და მე მჯეროდა  
ცეცხლის ნამღერი და ნაამბობი.

2

ქართლის ცხოვრების გმირულ წიგნს გავშლა.  
წინ მიდევს როგორც ძველი ბიბლია  
გავხედავ წარსულს: ცეცხლსა და ქარში,  
ო, რა დიდი გზა გამოგვივლია!

ეს გზა წარსულის უსიერ ტყიდან  
ღღევანდელ ღღემდე გადმოსროლილი,

მუდამ ბრძოლათა ნაპერწკლებს ყრიდა,  
ღრუბელზე გაკრულ ელვის ზოლივით.

და როგორც ქარში თაფლის სანთელი  
წაიღოს მგზავრმა ხელმოფარებით,  
ისე მოგვექონდა კერის ნათელი,  
და ზუზუნებდნენ ირგვლივ ქარები-

მტრებთან ბრძოლაში თუ სისხლი ეღვარეთ,  
კერას ვიცავდით ამ სისხლის ფასად.  
მამა-პაპათა სამკვიდროს გარეთ  
ჩვენ არ გვინდოდა სიცოცხლე არსად.

იქნებ ახსოვდეთ უკვდავ ვარსკვლავებს,  
ან ჩვენ მაღალ მთებს თუ აგონდებათ,  
ეს ვაჟკაცობა როგორ გვასწავლეს,  
ეს სიყვარული როგორ გროვდება!...

### 3

ჩვენ გვიყვარს ჩვენი კერის ნაცარი,  
როგორც წარსულის ძვირფასი კვალი.  
ჩვენ გვიყვარს მიწის გულში რაც არი  
ჩვენი სიცოცხლის ფერფლი და ძვალი,

რადგან ჩვენს გამირულ წარსულზე მღერის  
ყოველი ბელტი მშობელი მიწის,  
რადგან ამ მიწის უბრალო მტვერიც  
წინაპართ სისხლის ნათელში იწვის.

და როცა მინდვრებს შორდება რხევით  
დილის ნიავეთ აყრილი ნისლი,  
წითელ ყვავილებს ამოაქვთ ზევით  
მაწის გულიდან ეს ძველი სისხლი,—

როცა შავ ზღვიდან მყინვარ-ქედამდე  
ხალხი ისმენდეს წინაპართ ძახილს  
და ყოველ დილით ნიშანს ხედავდეს:  
იმათ სისხლ-წვეთებს, მიწაზე დაყრილს.

ჩვენს გმირულ წარსულს ჩვენ არ ვუჩივით,  
 თუმცა ის მუდმივი იყო ხანძარი,  
 ვხედავთ — ანთია ვარდის ბუჩქივით  
 ჩვენი კერა და ბრწყინავს ნაცარი.

შორიდან მოდის გზა გასაკვირი,  
 რაც საქართველოს გამოუვლია.  
 ამ გზას რომ ბრძოლის მოსდევს საყვირი,  
 ეს ხომ გმირული ქართლის გულია!

ცეცხლი ფეთქავდა გულის ძარღვებთან  
 გულს უფრო მეტი ალი სწყუროდა.  
 ქალღუს მთა-ბარი ბნელს მოარღვევდა,  
 რომ ქართლის ზეცა გადმოჰხუროდა.

და ჩვენც ამიტომ ბედს არ ვუჩივით,  
 სიკვდილის აჩრდილს გადავასწარიტ.  
 ანთია ცეცხლი ვარდის ბუჩქივით,  
 ოჭროს მტვერივით ბრწყინავს ნაცარი.

ჩვენ სიმხურვალე მშობლიურ კერის  
 მოგვიტანია იმ წარსულიდან,  
 როცა ქართველთა წინაპარ ერის  
 აკვანს ხეთური მზე გარს უვლიდა.

მზეს ჰქონდა ფრთები გამოსახული  
 და ჰგავდა არწივს დისკო ფრთიანი.  
 იყო ზამთარი, იყო ზაფხული  
 და მიწაც იყო დოვლათიანი.

მაგრამ, ქარით და მხეცეებით სავსე,  
 იწვა გველივით უდაბნო იქვე.  
 გადაუვლიდა გრიგალი თავზე  
 და ემხოზოდა სიციცხლე პირქვე.

დაუცხრომელი გრვეინავდა ქარი  
და თბილ ნაცარში ქვიშას ურევდა,  
ილეწებოდა გალაენის კარი,  
ქარი ყველაფერს ანადგურებდა.

მაინც ამ მქუხარ დღე-ღამის ცვლაში  
სულ ერთო კერა ძველ წინაპართა,  
და მზე ფრთიანი ბრწყინავდა ცაში  
ტორებზე შემდგარ ლომის ფაფართან.

6

შორეულ დროთა იმ ბნელ ღამეში  
გაუძლო ხალხმა სისხლიან ომებს.  
ღმუოდნენ მხეცნი, და გილგამეში  
ებრძოდა ყვეთელ უდაბნოს ლომებს.

ღმერთი და კაცი იბრძოდნენ ერთად,  
კერის ნათელი წვდებოდა ცამდე,  
კაცს მიწის სითბო მიჰქონდა ღმერთთან,  
მიწის ყვაეილნი ცის სითბოს სვამდნენ.

ებრძოდა ხალხი სუსხიან აედარს  
და ქარიშხლისგან იცავდა კერას,  
ებრძოდა ღამეს, უდაბნოს აფთარს  
და სისხლისათვის მოფრენილ ძერას

და ამ ბრძოლებში დრო მიფრინავდა,  
ღვინოდა კერა ძველ წინაპართა,  
მზე კი ხან ციურ ვერძთან ბრწყინავდა,  
ხან ციურ ლომის ოქროს ფაფართან.

7

ასე ბრუნავდა გზა მეწამული,  
ზოდიაქოთა უცვლელ რკალივით,  
და თან მიჰქონდა ჩვენი მამული  
ნაომარი და ნაგრიგალევი.

კერა სულ ენთო ჩვენს ქვეყანაში,  
ბალხიცი იმედით მას შეპყურებდა,  
ენთო მღვიმეში, ქოხში, ყანაში,  
ან სადმე გზაში დამდგარ ურემთან.

ის გადაურჩა, ჩაუქრობელი,  
საუკუნეთა უღმობელ ქარებს,  
ენთო, უნათლეს სხივთა მშობელი,  
და ანათებდა მშობლიურ მხარეს.

8

შემდეგ ამ კერას შუქი ემატა  
დავითისა და თამარის დროთა,  
და რაც სინათლე ზეცას ემართა,  
გადაგვიხადა მზიურმა შოთამ.

გადავიტანეთ ბევრი ავდარი,  
ბევრი ქარცეცხლი გამოვიარეთ.  
წარსულში დარჩა მკაცრი ზამთარი,  
ჩვენ გაზაფხულის მზეს ვეზიარეთ.

ვნახეთ ქართველთა ბედნიერ კერას  
როგორ დაადგა გვირგვინი სხივის,  
როგორ ჩაერთო მყინვარის ქლერა  
ციდან ხეთური არწივის ყივილს.

9

მაგრამ კვლავ აღდგა უდაბნო ძველი  
და ქართლის კერის ჩაქრობა სცადა.  
კვლავ შემოგვენთო ის ცეცხლი მწველი,  
დასაბამითგან ჩვენს გულს რომ წვადა.

ხეებში გრგვინით ჩაიმსხვრა ზეავი,  
გამოეღვიძა მყინვარზე ელვას.  
მოუახლოვდა უმსგავსი სეავი  
სამშობლოს მთების უწმინდეს მწვერვალს.

რომ წაეზილწა ფირუზის კართან  
ათასწლოვანი ყინულის ბროლი,  
მხოლოდ ვარსკვლავთა, თოვლიან ქართა  
და მთის არწივთა გადანაქროლი.

შემოესალტა ჩვენს მაღალ კარებს  
ყაჩაღთა ურდო დაუდევარი,  
მაგრამ მკვლევლებმა ვერ გაიხარეს,  
ვერ გაანგრეეს ჩვენი კლდე-კარი.

ჩვენს თბილ მიწაზე ვერ დაიზამთრეს,  
ვერ მოისხივეს ცა ნარისხვალი,  
აქ გილგამეშის დროინდელ აფთრებს  
წინ შეეგება ქართული ხმალი.

შემუსრა ხროვა უწმინდურ მხეცთა,  
მოსტეხა ფრთები სისხლიან ძერას,  
შეგვინარჩუნა ფრთიანი მზეც და  
შეგვინარჩუნა ნათელი კერაც.

## სამოცი წელი

რამდენ გრგვინვის და რამდენ ქარიშხლის  
ხმაურით საესე გზა გამივლია!  
გული კი მაინც ბრძოლას არ იშლის,  
ფართხალებს, როგორც ჩიტი ნიბლია.

ბევრი გარდახდა გარდასახადი,  
მაინც საღია და არ ბერდება.  
ფეტქავს წამისწამ, როგორც საათი,  
ვიდრე უეცრად არ გაჩერდება.

არ იცის, დღეთა ცვლა რომ ჩქარია.  
როგორც წამწამის დახამხამება,  
რომ მზის ამოსვლა თვალს უხარია,  
მაგრამ ახლოა შემოღამება.

წლები მიდიან, აღარ მიცდიან,  
თურმე გასულა უკვე სამოცი!  
შეუმჩნეველად გამომიცვლია  
ახალგაზრდობის ტანისამოსი.

გულს კი არ სჯერა ეს ანგარიში.  
ნადვლიან ფიქრებს ის არ გაჰყვება,  
მას ბრძოლის ველზე უნდა თარეში  
და პოეზიის აღში გახვევა.

და ხშირად, როცა მე ჩემს უბანში  
ახალგაზრდების ყრიალი მესმის,  
მინდა ჩარევა მათს საუბარში  
და მოწაფურად წაკითხვა ლექსის.

ხან კი გაზეთის ფურცელზე დახრილს,  
გამიბრწყინდება თვალები ქორის,



თუ წავაწყდები ჩემს გვარს და სახელს  
 ახლად გამოსულ პოეტთა შორის.

მე სიხარულად ისიც მეყოფა,  
 რომ გაზაფხულის ვარ თანატოლი,  
 ზამთრის ნასუსხი მე არ შეტყობა,  
 თმა არის მხოლოდ გადანათოვლი.

შრომის უნარი მაქვს წინანდელი.  
 გულში ათასი გეგმა მიწყვია.  
 ჯერ მე სიტყვისთვის ბრძოლა ნამდვილი,  
 ასე მგონია, არც დამიწყია.

აქამდე მხოლოდ ძალას ვიკრებდი  
 და შეტევებზე ახლა გადავალ.  
 მე ჩემი გრძნობით, ჩემი ფიქრებით  
 ჩვენი ეპოქის ახალგაზრდა ვარ.

15 ოქტომბერი, 1944 წ.

## ჩემი მადლობა

თითქო მოწათე ვდგაეარ დაფასთან,  
გულს მღელვარების ალი ედება.  
როგორ ამალღდა, როგორ დაფასდა  
დღეს ჩემი მცირე შემოქმედება!

მე ვადიდებდი ჩვენს უკვდავებს,  
ვაეკაცის ხმალთან ლექსით მივედი.  
მაგრამ რაც შევქმენ — მეცოტავება,  
გულს დარჩენია ხვალის იმედი.

შემომეშველოს დღე ხვალინდელი,  
შეეძლო სიმღერით გულის ავსება,  
იქნებ მოვასწრო კიდევ იმდენი,  
რომ გაეამართლო ეს დაფასება.

მე ჩემი ქვეყნის ვალი მედება,  
ამიტომაც ვარ აღელვებული.  
მღელვარე გულში აღარ მეტევა  
მადლობის გრძნობა მოჭარბებული.

სხივი და ჩრდილი გარდასულ დღეთა  
მე ჩემს ლექსებში დავაბინავე.  
ახლა მომავალ დღეებსაც ვხედავ.  
არწივებვივით რომ მოფრინავენ.

მოაქვთ უცნობი სიტყვა ახალი,  
შთაგონებათა ახალი წყება.  
ასე მგონია, უფრო მაღალი  
შემოქმედება ახლა იწყება.

მესმის მებრძოლი დღის მოწოდება:  
ჭრიდეს კალამი როგორც ხანჯალი!

კიდევ მიწყვია გულში ზოდებად  
ლექსების ოქრო დაუხარჯავი.

მინდა ამოვწვა მე ეს მადანი,  
ამოვალაგო ოქრო რაც არის,  
რომ აღარ დარჩეს ამოსატანი  
ანთებულ სიტყვის ერთი მარცვალიც.

შემდეგ უსაზღვრო მყუდროებაში  
გადავისროლო დაცლილი გული,  
ოღონდ პოეტთა მშობლიურ ბაღში  
მეც დამრჩეს სიტყვა აყვავებული.

ჰქროდეს ნიავე, ბაღი მღეროდეს,  
ჩემიც ისმოდეს მწყობრში ძახილი,  
ჩვენს წმინდა კერას შუე დასცქეროდეს,  
სამარადისოდ ნისლ-გადაყრილი.

და შემოსილი მზიური ალით,  
თოვლიან მთებით ცამდე ასული,  
ბრწყინავდეს ქართლი — ფირუზის თვალი,  
კავკასიონის ბროლში ჩასმული.

23 ოქტომბერი, 1944 წ.

## გრიშაშვილს

შენ თბილისმა ბჭემადალმა დაგბადა,  
 ცა დაგხურა მარად გაუხუნარი,  
 დაგანათლა მადლი მამა-ბაბათა  
 და გიკურთხა პოეტობის უნარი.

შენ ამღერდი და კედლები თბილისის  
 გაცოცხლებულ, ჩუქურთმებით მოკაზმე.  
 შენ მღერი და მომავალში, ვინ იცის,  
 კიდევ რამდენ ტკბილ სიმღერას მოგვასმენ!

წიგნს გადავშლი, შენს ნაშრომს და ნახელავს,  
 შიგ ოცნების უცოდველი ფრთებია.  
 თბილ სტრიქონებს მზე ღიმილით დახედავს,—  
 ცისარტყელას მსგავსად აენტებთან.

ეს წიგნია, თუ ზაფხულის ბაღია?  
 სხივი ასდის შენი კალმის ნაღვაწარს.  
 ყოველ პწკარში ვარდის ფესვი მარხია,  
 ერთხელ ნახავ — კვლავ ისურვებ ნახვასა.

ლექსს თან ახლავს სავსე მთვარის კაშკაში,  
 სინატიფე ღრუბლის თეთრი ქულისა.  
 აყუაყუებულ სიტყვის ყოველ გაშლაში  
 ფეთქავს ძარღვი შეყვარებულ გულისა.

ვანა თვალი დაიღლებო კითხვითა,  
 რომ დილიდან მარცვლოს თუნდ საღამომდის!  
 ამღერებულ ლექსის ყოველ რითმიდან  
 ყვაფილების სურნელება ამოდის.

მე მგზავრივით შემოვსულვარ ამ ბაღში,  
 მესმის შენი მონარნარე ჰანგები,

ხან ცვარი ხარ, რომ ციმციმებს ზამბახში,  
ხან პეპელას ფრთებზე აიქარგები.

შენი სიტყვის სითბო გულს ენატრება  
სიჩუმეში, ბრძოლის სიმხურვალეში,  
ყველგან, სადაც მოჩანს გრძნობის ნათება,—  
ხმლის ელვაში თუ ქალწულის ალერსში;

ღამის ჩრდილში, დილის ცვრიან ბალახში,  
ღურჯ ტალღებში და ზღვის ოქროს ქვიშაშიც,  
ყველგან ბრწყინავს შენი ლექსის ბადახში,  
ფერითა და ხმით იცნობენ გრიშაშვილს.

უიმედო ფიქრთა ძველი ფესვებიც  
ახალმა დრომ მოთხარა და მოსრისა.  
არ იქნება მოღუნება ლექსების,  
დაბერება არ იქნება მგოსნისა!

აბა ჰკითხე, ვიპასუხონ სიმართლე  
ათასწლოვან ნარიყალას ფერდებშია:  
ყოჯრის ნიავს თუ დააკლდა სიმარდე?  
ჰკითხე: განა მტკერის ღუღუნი ბერდება?

მაშ დაანთე სიმღერების თაკარა,  
ხელთ ვიპყრია ჩვენი გულის სადავე!  
ჩქეფდეს მარად ბრწყინვალე და ანკარა  
შენი ლექსის გამჟვირვალე სათავე!

29 ოქტომბერი, 1944 წ.

## წიგნოსაცავში

როგორც ტაძარში, შემოვდივართ აქ მოწიწებით,  
სადაც წინაპართ დიდი სიბრძნის შუქი ანთია.  
რამდენი თავი შეუმოსავს ამ შუქს დიდებით,  
რამდენი ბნელი უმეცრება გაუფანტია!

რჩეულ აზრების და გრძნობების სალარო დიდი  
სავსეა სიტყვის ფერადოვან ძვირფას თვლებითა.  
ყოველი წიგნი ზის ბუდეში, მტრედევით მშვიდი,  
შეარხევ — ელვას გამოანთებს გაშლილ ფრთებიდან.

და როგორც სკაში ითაფლება ყვევილთ ნექტარი,  
ფუტკრის მანანად უჯრედებში მოოქროვილი,  
ისე იზრდება ხალხთა სულის ნამოქმედარე  
და ათას წიგნში ინახება აქ მოგროვილი.

თუ პოეტის შუბლს ქვეყნის მაღლი გადაეფინა,  
იმაზე უფრო დიდი ჯილდო მან რა ინატროს,  
რომ მისმა სიტყვამ იქ იპოვოს ბრწყინვალე ბინა,  
სადაც მსოფლიოს უნათლესი აზრი ბინადრობს!

ეს არის ჩემთვის სანუკვარი და სანატრელი,  
რომ დავიწყების შავი ღამე ვერ მომერიოს,  
ამ დიდ ტაძარში ჩემიც ენთოს ერთი სანთელი.  
ამ სიბრძნის თაფლში ერთი წვეთი ჩემიც ერიოს.

## აბრეშუმის შაბრიკაში

მეგობრებო, რარიგად მიხარია,  
დღეს რომ თქვენთან საზეიმოდ მოველი.  
პოეტი ხომ სიტყვის ფეიქარია,  
აბრეშუმის შაირების მქსოველი!

შეწყობილად წკრიალებენ დგომები.  
მანქანაა თუ ჩონგურთა კრებული?  
ანათებენ აბრეშუმის სიმები,  
ქლერს ჩანგივით დაზგა ამღერებული.

ძაფებს შუა მაქოს მკვირცხლი ტრიალი  
მგოსნის კალმის რხევის შესაღარია.  
ჩანგზუც ისმის აბრეშუმის შრიალი,  
პოეტი ხომ სიტყვის ფეიქარია!

ჩონგურივით ღულუნებენ დაზგები  
და სამშობლოს გამარჯვებას მღერიან.  
მეც მათ შორის ჩემის ჩანგით დავდგები,  
ეგ სიმღერა ჩემს გულშიაც სწერია.

მეგობრებო, გულსაც ის უხარია  
და თქვენთანაც დღეს იმიტომ მოველი.  
რომ პოეტი სიტყვის ფეიქარია,  
აბრეშუმის შაირების მქსოველი.

## 9 მაისი

თითქო ზეციდან უეცარი რეკა მომესმა,  
ცისფერ განთიადს თან ჩამოჰყვა ხმა საამური:  
დაიჩოქაო ჩვენს წინ მტერმა უბოროტესმა! —  
დღესასწაულობს გამარჯვებას ჩვენი მამული.

სხივი მოვარდა, ცხრა მაისის დანაკვესიარი,  
და თითქო ცხრა მზე შემოვიდა ჩვენს ცაში ერთად.  
ჩემო კალამო! გიხაროდეს, ხომ მოვესწარიო,  
ხომ დავინახეთ სანატრელი შემუსვრა მტერთა?

ჩვენი სამშობლო დღეს აღისფრად მოიფარჩება,  
მზე დაფნის გვირგვინს გაანათებს კრემლის კარებთან.  
ჩვენი დიდების საუკუნო გრგვინვად დარჩება  
ომის გრიგალი, ჩვენს მიწაზე რომ მძვინვარებდა.

ჩვენმა გმირებმა გაარღვიეს ეს ქარტეხილი  
და ბედისწერის ჩარხი წაღმა დაატრიალეს.  
გდია ბერლინი, ურჩხულივით თავგაჩეხილი,  
და მალა ჩვენი გამარჯვების დროშა ფრიალებს.

დიდება იმათ, ვინც დაეცნენ სამშობლოსათვის,  
ვისაც თვალეზში სამუდამოდ ჩაუდგა ნისლი  
დე, იმათ სახელს სიყვარულის ალი მოსაედეს, —  
ეს გამარჯვება დავიმკვიდრეთ იმათი სისხლით.

დიდება ჩვენს ჯარს ძღვევამოსილს, ჩვენს ბურჯს და იმედს!  
საუკუნენი იმის დროშას თან გაჰყვებიან.  
დიდება ჩვენს ხალხს, ვინც გაუძლო განსაცდელს მძიმეს,  
ვინც მტერს მოსეულს ბევრჯერ მკერდით დასჯახებია.

9 მაისი, 1945 წ.

## თბილისს

ქალაქო, მთებში ჩამჯდარო  
არწივის ბუდესავითა,  
გალავნიანო კოშკებო,  
დაუნგრეველნო ზეავითა;  
კედელნო, ვარდის ქვისანო,  
ქონგურნო კლდისა სალისა,  
ქართლის ქალაქთა დედაო,  
ქალაქო გორგასალისა!

ქართველთა გულის სავანევე,  
დიდთა პოეტთა ბინაო,  
რუსთველის დიდო აკვანო,  
ძველი დიდებით მბრწყინავეო,  
რამდენი ბრძოლა გინახავს,  
მძლავრობა ცეცხლის აღისა!  
გამარჯვებულა ყოველთვის  
სიმართლე შენი ხმალისა.

ქალაქო, მტკეარზე დამჯდარო  
რკინის ჩონჩხიან ტივითა,  
აყვავდი, უფრო გ:ბრწყინდი  
ბედნიერების სხივითა!

12 ივნისი, 1945 წ.

## ნიკო ლორთქიფანიძე

ხშირად მგონია, რომ მე მასთან შეხვედრას ველი.  
რადგან არ სჯერა გულს, რომ იგი ბნელს მიეფარა.  
ვინც ისე ნათლად დაგვანახა ქვეყანა ძველი,  
თითქო წარსულის გასაღები იმას ებარა.

და ვფიქრობ, ალბათ გადაურჩა სიკვდილის მახეს,  
მხოლოდ დროებით უცნაურად გაუჩინარდა.  
ასე მგონია, რომ თვალს მოგვრავ მის მღუმარ სახეს  
სადმე თეატრთან და ან ბაღში ნაცნობ ჩინართან.

შუალამის ეამს გამოჩნდება ჩაფიქრებული,  
ნელი ნაბიჯით ამოჰყვება რუსთველის ჭურჩას,  
თითქოს უხილავ ჩვენებათა ახლავს კრებული,  
ვერაფის ამჩნევს და თვალეზში ნალველი უჩანს.

იქნებ საოცარ საიდუმლოს გულში ინახავს?  
იქნებ ფიქრები აღუშფოთეს საშობლოს მტრებმა?..  
ობერის ბაღთან, აკაკის ძეგლს რომ დაინახავს,  
შეაღებს ჩუმად წარსულის კარს და უცბად ჰქრება...

იგი გადადის იმ უკუღმართ ქვეყნის არეში,  
სადაც მძვინვარებს გარდასული ძველი თაობა,  
მის წინ იშლება ბნელ ვნებათა მკაცრი თარეში,  
ეამთა სიღვის შემზარავი სანახაობა...

ღამეა. მთვარე გადმომდგარა კლდეზე ჯიხვივით.  
კოშკზე ნაბადში გახვეული კანკალებს ქალი.  
ისმის ჩოჩქოლი და არჩილის ცხენის ჭიხვინი,  
იულონს გულში მძულვარების ეგზნება ალი.

შემდეგ უეცრად მოწამლული ბოლმის ანთება,  
სისხლის ნაკადად გადმოღვრილი გულის ვარამი.  
ღედასთან შვილის სასიკვდილო შეკამათება  
და აივნის ქვეშ საფლავივით ღია წკვარამი.

მეფის სამსჯავრო. უნამუსო დიდებულები.  
თვალეზდათხრილი იულონის მწარე მუდარა.  
გაუტანლობა, შური, მტრობა, ტანჯვა უღვევი...  
ქამთა სიავეს სისხლის გარდა არა უნდა-რა.

მრისხანე ბატონს სისხლიანი უყვარს თამაში.  
ბნელში გაზრდილი ორი კურო გამოჰყავთ გარეთ,  
პირუტყვთა ზურგზე გაკრულია ქალი და ვაჟი.  
ქალს თითქო სძინავს, ვაჟი იკვნეტს მშრალ ტუჩებს მწარედ.

მზიან ეზოში დამფრთხალ კუროს ზმუილის ხმაზე  
მორბის მეორე, სინათლისგან თვალდანაფეთი.  
უცებ იელვებს ხანჯალივით მოქხეულ რქაზე  
გაფატრულ ქალის სისხლიანი მკერდის ნაფლეთი.

და ისევ ბედით განწირულის სულის ღაღადი,  
ხარზე გაკრული ვაჟის ოხვრა, წყევა-მუდარა,  
გაუტანლობა, შური, მტრობა, სისხლის ნაკადი,  
მრისხანე ბატონს სისხლის გარდა არა უნდა-რა.

ფითრდება ღამე. ის ბრუნდება ჩაფიჭრებული,  
ნელი ნაბიჯით კვლავ გადასჭრის რუსთველის ქუჩას.  
თითქოს უხილავ ჩვენებათა ახლავს კრებული,  
ვერავის ამჩნევს და თვალეზში ნაღველი უჩანს.

## ცხრა წუარო

ჩვენ რატომღაც ყველაფერი ცხრა გვიყვარს:  
ცხრა მზე, ცხრა ზღვა, ცხრა მუხა და ცხრა კარი.  
აგვაფრენს და ცხრა მთას იქით წაგვიყვანს  
ცხრათვალა მზის ცხრაფრთიანი ზღაპარი.

იყვენენ: შოთა, ჩახრუხაძე, შავთელი, —  
პოეზია ანათებდა წინათაც.  
ჩამოვთალე მე ცხრა დიდი ნათელი,  
რაც ჩვენს ცაზე სხვადასხვა დროს ბრწყინავდა.  
მათ ჩვენს გულში ყველას თავის წილი აქვს,  
ჩვენც არ ვაკლებთ დიდებას და ვაშასა —  
გურამიშვილს, ორბელიანს, ილიას,  
ბარათაშვილს, აკაკის და ვაჟასა.

ყველაფერი ქართულია, ჩვენია,  
ქართლის ბაღში რაც იზრდება, რაც ჰხარობს.  
რუსთაველის მაღლი გადაპფენია  
საქართველოს პოეზიის ცხრა წყაროს.

1 ივლისი, 1945 წ.

## ვაჟა-ფშაველას

მე მიყვარს შენს სამყაროში  
ჩემი ფიქრების შეტანა.  
მგონია, ცოცხალს გიყურებ  
და ვმუსაიფობ შენთანა.  
შეჩვეული ვარ კლდე-ღრეში  
შენს ბილიკებზე ხეტილს,  
შენს ნაკვალევში ჩაყრილი  
თოვლი მეც ამიხვეტია.

დავდივარ განცვიფრებული  
შენი ოცნების მადლითა,  
ცად აწვდილ ქედებს გავსცქერი,  
უფსკრულს დავეყურებ მადლიდან.  
შუქივით დამეფინება  
გრძნობა, შენს გულში ნადები.  
შენი სიმღერით ანთებულ  
ემბაზში მოვინათლები.

მოულოდნელად იელვებს,  
გრგვინვით ივსება ხეობა,  
ახმაურდება შავი ტყის  
ზღაპრული მოსახლეობა.  
თითქო კლდეები იწყებენ  
ღევ-გმირთა ამბის მოყოლას,  
თვალს მოვკრავ ზვიადაურსა,  
ბილიკზე ვხედავ ჯოყოლას.

შენს კლდოვან სამფლობელოში.  
ყოველგან, სადაც გავივლი,  
წინ მეგებება შენი მთა,  
შენი ხე, შენი ყვავილი.

აქ ყველაფერი შენა გგაუს,  
აქ ცაც და მიწაც შენია,  
ყველაფერს შენი ლექსების  
სინათლე გადაჰფენია.

ქართლის მალალ მთებს შენამდე  
მეუფე არა ჰყოლია.  
ყოველი შენი სიმღერა  
თითო გერგეტის ტოლია.  
ამგვარი ცა და ხმელეთი  
ჩვენ წინათ არცა გვქონია:  
ეს მთები, ეს ვარსკვლავები  
შენი შექმნილი მგონია.

ივლისტო, 1945 წ.

## ვაჟა-ფშაველას სტრიქონები

შემოლამდება, ბნელ ცაზე  
ვარსკვლავნი გამოჩნდებიან,  
მათ შორის ცეცხლის ვარდებად  
ვაჟას სიტყვები სხდებიან.  
ვხედავ ანთებულ სტრიქონებს,  
ბრწყინავენ გაუმჭრალეში:  
„ღღემ დაიხურა პირბადე,  
მთებმა დახუჭეს თვალები“.

ხეგებს ღუმილი მოიცავს,  
მწვერვალზე ნისლი გროვდება,  
მთებს რომ გაეხედავ, ფშაველის  
ნათქვამი მომაგონდება.  
ყურში მისი ხმა ჩამწვდება,  
გულში ჩამიწვენს მთვარესა:  
„მთანი თავჩაჩქნიანები  
ფიქრს მისცემიან მწარესა“.

მთვარის ამოსვლა დაიწყო,  
იელვარება ღრუბლისა.  
„გადაეფინა სამყაროს  
ლოცვა-კურთხევა უფლისა“.  
ესეც ხომ მისი ხმა არის,  
მისი სიტყვების ნათება.  
ვაჟას ქართულის ნაშუქი  
ვარსკვლავებს ეკამათება.

## საიათნოვა

საიათნოვას შესადარი ვინ არი  
სიხარულის და სინათლის მფინარი!  
ქართლის ბაღში გაიზარდა ჩინარი  
ზამთარ-ზაფხულ მწვანე ფოთლის მჩინარი.

მარად უქნობ სიყვარულის მხმობელი,  
ხმა-წყრიალა ჭიანურის მპყრობელი,  
სამთა ძმათა ძმობის შემამკობელი  
საიათნოვა სხვა აშულზე წინ არი.

სამ ენაზე ერთი გრძნობის მხატვარი,  
მეჯლისის და ლხინის ბაირახტარი,  
მტირალ გულთა მოსალხენად მზად არი  
საიათნოვა მარად მოუწყინარი.

მას სიმღერის დიდი ძალა სჯეროდა,  
ამოჰქონდა სიტყვა გულის ღეროდან,  
საიათნოვა სასახლეში მღეროდა  
და ქოხისაც იყო მომალხინარი.

და თბილისი როცა აბჯარს ისხამდა,  
საიათნოვა მტერს სიმღერით რისხავდა,  
ჯარს უძღოდა და სამშობლოს იცავდა  
მომღერალი და სისხლჩამომდინარი.

ცეცხლს აფრქვევდა ნარიყალას ქონგური,  
ის მღეროდა ვაჟკაცი და ლომგული,  
მას ხელთ ებყრა ხანჯალი და ჩონგური.  
საიათნოვა ჭირშიც იყო მცინარი.

ის წავიდა ნაბრძოლი და ნაშულლი,  
მაგრამ დაგვრჩა მისი გულის ნაშუქი,  
დღესაც მღერის ქართლის მეფის აშული,  
საიათნოვა არ გეგონოთ მძინარი!

## ჩემო თბილისო

ვახტანგს რომ რეკა მოესმა —  
შენი ზარების ხმა იყო,  
გაიხსნა ლურჯი გუმბათი,  
ლაქვარდი შუა გაიყო,  
შენ ციდან დაბლა დაეშვი,  
ოქროს კარები გაიღო.

შენი გუგუნი მესმოდეს,  
მე სხვა გალობა რად მინდა?  
შენს მტკვარს ვხედავდე ყოველდღე,  
ვნახო მეტეხი, მთაწმინდა!  
სხვისი აღმასიცი არა მსურს,  
შენი უბრალო ქვეც მინდა.

მე მიყვარს შენი ქუჩები,  
მოედნები და ბალები,  
შენი მჭუხარე მხედრობის  
გაშლილი ბაირალები.  
დგახარ ურყევი, უძლევი,  
ათას მტერს შენაჯახები.

ქველი დიდუბის ხსენებას  
დიდება არ მოჰკლებია,  
იქ გაუვლია რუსთაველს,  
თამარ დედოფალს ჰხლებია,  
მზე ჩამოსულა საცქერლად, —  
სინათლე შეჰხარბებია.

შემოგჯარვია მცველებად  
მზით გარუჯული გორები,  
თითქო დამდგარან ვეფხვები,

აუშვერიათ ტორები.  
მე შენს მიწაზე რუსთველის  
ნაკვალევს ვეამბორები.

მე ვხედავ ზღაპრულ მომავალს  
შენი ღღე-ღამის ცვლისასა,  
თეთრ სასახლეთა სიმრავლეს,  
ბაღებში ელვას მტკვრისასა.  
ნეტავ იმ ქართველს, ვინც გნახავს  
ათას ექვსასის წლისასა!

1 სექტემბერი, 1945 წ

## ნიკოლოზ ბარათაშვილს

ჩვენ გავარდვიეთ ღამის ჩრდილი, ცას რომ ებურა.  
იმ ჩრდილს ებრძოდა სხივმოსილი შენი გონება.  
ჩვენ დღესაც ისევ გვაჯადოვებს კვლავინდებურად  
შენი ლექსების საკვირველი ზეშთაგონება.

ქართლის გულიდან მზე აღმოხდა სხივთა მთოველი,  
განათლა მწუხრით დაბინდული შენი მთაწმინდა.  
ღრუბლიან მთაზე დიდი გმირის სახე გაბრწყინდა  
და განანათლა მისმა შუქმა ბინდი ყოველი.

გადავაქროლეთ საშიშ უფსკრულს ფრთოსანი რაში,  
საბედისწერო გადავლახეთ უღელტეხილი.  
შენი მერანის ფრთის ნაშუქი კვლავ ბრწყინავს ცაში,  
შავი ყორანი ხრამში გდია ფრთამოტეხილი.

შენი ოცნებით განათებულ ცისკენ მიილტვის  
დღეს ჩვენი ფიქრი გზაგახსნილი და ფრთაგაშლილი.  
ო, რა წმინდაა საქართველოს პოეზიისთვის  
და რა ნათელი ეს სახელი: ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი !

14 ოქტომბერი, 1945 წ.

## სომხეთისადმი

მე რუსთაველის მოველ ქვეყნიდან  
 დავით სასუნცის განთქმულ მხარეში,  
 წინ ცისარტყელა გადამეზიდა,  
 ვარსკვლავთა გუნდი დამხვდა კარებში.

ძმებო, მოვსულვარ მკლავებგაშლილი,  
 როგორც ძმა ძმასთან ლხინში წვეული,  
 მინდა ვადიდო ჩვენი კავშირი  
 და მეგობრობა ათასწლეული.

დრო ვერ გააქრობს, ვერც დააძველებს,  
 რაც ჩვენ ანდერძად გაგვიგონია:  
 ვკითხოთ დიდს თამარს, ვკითხოთ მხარგრძელებს —  
 თუ რა გამტანი ძმობა გვქონია.

წარსულის ბნელში ვიყავით ერთად  
 და ღამე ერთად გაგვირღვევია.  
 ჩვენს დასარბევად მოსეულ მტერთან  
 ჩვენ მუდამ ერთად ბრძოლა გეჩვევია.

და ჩვენი მტერი რომ დამხოვბილა,  
 ჩვენი ძმობაა ამის ნიშანი:  
 დღესაც ერთად ვართ, როგორც ვყოფილვართ,  
 პირსა და ლხინში გაუთიშავნი.

დღესაც საერთო გვაქვს გულის ძვერა,  
 ერთად მივცვებით მქუხარე დრო-ყამს.  
 ჩვენ ერთად ვიცავთ საერთო კერას,  
 ერთად ვგუშავობთ სამშობლოს დროშას.

ამ წმინდა გრძნობას, ასე ანთებულს,  
მომავალშიაც მინდა ვხედავდე,  
ვით ცისარტყელას, ზიდად გადებულს,  
არარატიდან მყინვარქედამდე.

ენტოს მზარავად ყოველთა მტერთა,  
ჩვენს გულში ძმობის მზე ააყვავოს.  
დაე სცოცხლობდნენ ყოველთვის ერთად  
მარადი ძმები: ქართლოს და ჰაოს!

25 ნოემბერი, 1945 წ.

ქ. ერევანი.

## ლექსის თარიღი

მომავალ დროთა ოქროს კარი არ გაიღება,  
თუ არ მიგიძღვის შენი დროის დიდი ნათელი.  
ამიტომ მიყვარს ხელნაწერის დათარიღება,  
რომ ლექსს თან გაჰყვეს წამის ელვა და ქრუანტელი.

ასე მგონია, ამ თარიღში გამოხვეული  
ბრწყინავს ვარსკვლავი და ანთებულ სიტყვებს მიაფრენს,  
საუკუნეებს გადალახავს ლექსთა რვეული  
და მომავლის ცას ჩვენი დროის ნათელს მიაფენს.

1 იანვარი, 1946 წ.

## მომავლის კოცებებს

ჩაფიქრებული და სიამით თვალდახუჭული  
ხშირად ოცნებას, მეგობრებო, თქვენთან მივყევარ.  
მესმის შორიდან აგზნებული თქვენი ჩურჩული,  
ასი წლის შემდეგ თქვენს ჰაერში რომ დაირბევა.

როგორც წარსული გარდავიდა, ჩემი დროც გავა,  
ჩემს შემდეგ უფრო აყვავდება სიტყვა ქართული,  
მაგრამ მე მაინც უშიშრად და თამამად ვდგავარ  
ჩემი ლექსებით მომავლის წინ ხელამართული.


შესდევით წუთით, პოეტებო მომავალ დღეთა,  
შორით რომ ბრწყინავთ მზის სხივების ოქროს წვიმაში  
თქვენი ლექსების ელვარებას აქედან ვხედავ,  
მაგრამ არ დავხრი ჩემს ნაწერებს მე თქვენს წინაშე.

საუკუნეთა ქარავენის უწყვეტ ჯაჭვიდან  
მე წილად მერგო მხოლოდ ერთი რგოლი პატარა.  
მარადისობამ ცეცხლიანი ხელი ჩამჭიდა,  
ამ ერთი რგოლით დროთა მწვერვალს გადამატარა.

მე ვნახე — დილამ ცის პირველი არიყრაევებით  
ათასწლოვანი ბნელი ღამე როგორ დახია.  
ახლაც ელავენ ცის დაღმართზე ცეცხლის რაშები,  
მისდევენ ღამის დამქრალ ჩრდილებს და მისძახიან.

ჩვენზე უტკბესად იქნებ თქვენმა დრომ მოიღვინოს,  
და უფრო მეტი სიტყბო ნახონ თქვენმა შეილებმა,  
მაგრამ ვერავინ ვერასოდეს ველარ იხილოს  
ქვეყნის პირველი გაზაფხულის აყვავილება.

ეს ჩვენ გვხვდა წილად და თქვენც ბევრჯერ მოგენატრებათ  
ჩვენი ეპოქის მქუხარ ღღეთა შემობრუნება,  
რომ თქვენი თვალით დაინახოთ ეს განათება,  
რამაც შესცვალა ძველი ქვეყნის მკაცრი ბუნება.



მაგრამ ჩვენს შემდეგ ველარაგინ ვერ დაინახავს,  
როგორ აენტო ღამის ჩრდილში სხივი პირველი.  
ამ საოცრებას მხოლოდ ჩვენი სიტყვა ინახავს,  
მხოლოდ ჩვენ ვნახეთ ეგ სინათლე გასაკვირველი.

1 იანვარი, 1946 წ.

## საქართველოს დიდო დროშავ

საქართველოს დიდო დროშავ,  
რა ძველი ხარ, რა ნათელი!  
შენს კალთაზე სხივი მოსჩანს  
რუსთაველის ანანთები.

რა დიდი გზა გაგივლია,  
სად ჩალაგდა დრო იმდენი?  
შენს ფარჩაზე სხივი ბრწყინავს  
თამარ-მეფის დროინდელი.

საქართველოს დიდო დროშავ,  
ძველი ხარ და თან ახალი.  
დილის სხივი აელვარდა  
შენს ფარჩაზე დანახალი.

ბედნიერო ქართლის დროშავ,  
შენი რხევა ათარიღებს  
საქართველოს ისტორიის  
უმბრწყინვალეს დღეთა რიგებს.

რა დიდი გზა გაგივლია,  
სად ჩალაგდა დრო იმდენი!  
შენს კალთაზე სხივი ბრწყინავს  
გორგასალის დროინდელი.

წინ მიუძღვის ამ დიდ გზაზე  
ერის ფიქრს და ერის წადილს  
გამარჯვების გრგვინვით საფსე  
ოცდახუთი წელიწადი.

## ჩემს უბანში

ჩრდილით დაბურულ ვარაზისხევს როცა გაცდებდი,  
განთიადის შუქს მოგაფენენ ახალგაზრდები.  
ეს ზვალინდელი დღის სინათლეა,  
აქ ჩვენი ქვეყნის სამერმისო სხივი ანთია.

მზე ძირს ჩამოდის,  
ქვაფენილზე ცეცხლის მკვესავი,  
და ფართო ქუჩა, აღიდებულ მდინარესავით,  
მქუხარ ტალღებად მიაქანებს ქალ-ვაჟთა გუნდებს  
მზეს უხარია:

ჰთანტავს უხვად ლალ-იაგუნდებს.

ისმის ქარის და ყვავილებს ჩუმი შრიალი.  
ჩვენი მომავლის სიხარული ამ ხმაში არი,  
ამ ყვავილებში რამდენია წინ დანახული  
მზის მობრუნება და გაზაფხული!

მე მიყვარს ამ დროს შეუმჩნეველად გასეირნება,  
როცა მთელს უბანს დილის მადლი მოეფინება,  
ახალგაზრდობის ერიამულით ივსება ქუჩა,  
შრიალებს ბაღი,  
მოღიმარი ცა მოჩანს ლურჯად.

რომ არ მრცხვენოდეს, მეგობრებო, ქაღარა წვერის,  
მე თქვენს ხელმძღვანელს მივსწერდი წერილს:  
ვთხოვდი კავშირის წვერად მიღებას...  
გული თქვენი მაქვს,  
მაგრამ თეთრ თმას ვინ შემიღებავს?!..

27 მარტი, 1946 წ.

## იროდიონ ევლოშვილის ხსოვნას

როცა მიწა ისე წახდა,  
რომ ყვავილსაც ეცხო სისხლი,  
როცა ჩრდილი ჩრდილს ეძახდა  
და ებურა მზის პირს ნისლი;

როცა სხივი ჩაკედა ცაში  
და მიწაზეც ეგდო ჩრდილი.  
ტანჯულ ხალხში ჩადგა მაშინ  
იროდიონ ევლოშვილი.

შემოენთო ცეცხლის ალი  
ჩარხუკულმართ იმ ბნელ დროსა,  
ხელთ ეჭირა, როგორც ხმალი,  
სიმათლის და ძმობის დროშა.

საქართველოს ბედი სწამდა,  
მას სიცოცხლე მისცა მთელი,  
მისი ტანჯვის ცეცხლი სწვავდა  
და დაიწვა ვით სანთელი.

„მეგობრებო, წინ, წინ გასწით,  
ნუ შედრკება თქვენი გული!“  
მტერს ებრძოდა ჩვენი დასი  
ამ სიტყვებით აგზნებული.

მას მომავალ გმირის სახე  
გულში ჰქონდა ჩაბატული.  
მკერდზე აჩნდა სისხლის დაღი,  
შუბლზე — ოფლის ნაკადული.

უმზეობით გულდამწვარი.  
გულით მუდამ იყო მზესთან.  
გუგუნებდა, როგორც ზარი,  
და ანთებულ სიტყვებს სთესდა.

ეს გმირული სიტყვა მისი,  
ვაჟკაცური ეგ სახელი,  
ჩვენს ჩონგურზე დღესაც ისმის,  
როგორც ბრძოლის შეძახილი.

15 მაისი, 1946 წ.

## დედის კალთაში

თუ ცეცხლზე დამწვან განმარტობებით...

გრ. აბაშიძე

როცა მოვკვდე მშობელ მიწას მიმაბარეთ.  
დასაწვავად გული როგორ გავიმეტო?!  
ალი დამწვავეს... და გავქრები მიწის გარეთ.  
ვფიქრობ: მიწა უფრო არი საიმედო.

ჩემი შეილის შეილიშვილი მამას ჰკითხავს:  
სად არისო ჩვენი ბაბუ დამარბული?  
მამა ეტყვის. ის საფლაგზე მომაკითხავს,  
შიგ ჩამწვდება მისი გულის გაზაფხული.

ჩამომძახებს: აქა ვართო, კარგად ვართო.  
იცოდეთ: ჩენი დროის სასახელოდ,  
შენი ფიქრის, შენი სიტყვის სანაფარდო,  
კიდევ უფრო კარგადო საქართველო!

ამ სიხარულს მკვდარი გულიც ვერ დაიტევს,  
ხმა თუ ჩამწვდა, ჩემს დიდ ლოდინს თუ ეშველა.  
როგორ ჰფიქრობთ: გავიგონებ შე ამ სიტყვებს?  
მე მგონია, გავიგონებ უეჭველად...

15 ოქტომბერი, 1946 წ.

## ქუჩიზვილს

გარშემო იდგა სიბნელე ღამის,  
იტანჯებოდა ხალხი მართალი,  
როცა სამშობლოს დასეტყვილ ყამირს  
დაეცა ბრძოლის სიტყვის მარცვალი.

ამოიზარღე შენც იმ მარცვლიდან  
და თვითონ გახდი ცეცხლის მთესავი.  
თუმცა აედარი ფოთლებს გაცლიდა  
ქარს დაჯახებულ ალვის ხესავით.

არ დაგიზრია თავი წამებულს,  
გრგვინვით მოშავალ დღეს უმღეროდი.  
შენ მზეს ელოდი დაგვიანებულს  
და ჩაშავებულ მზეს შესცქეროდი.

როცა ჩამოწვა ზეცა პირქუში  
და ხალხმა ბნელში ამოიგმინა,  
შენც შეანათე იმ ხალხის გულში  
და შენმა ჩანგმა ჰპოვა იქ ბინა.

უშრეტი ალით გივსებდა უბეს  
ცხრაასხუთი წლის ცეცხლის ნამქერი  
და ჩრდილოეთში მიჰქონდა ღრუბელს  
ვაჟკაცთა გულის ამონამღერი.

და როცა მეფე ღებავდა სისხლით  
თავისუფლების დახეულ გუჯარს,  
გულს ჩაიდუღე მტრისადმი ზიზღი  
და მიაშურე მქუხარე ქუჩას.

იქ გამოიწრთო თაობა ძველი,  
შეუდრეკელი და გამბედავი,



ის იყო ბრძოლის გაშლილი ველი,  
რევოლუციის ძარღვი მფეთქავი.

ამ ქუჩამ მოგცა შენ ის სახელი,  
რაც დროშასავეთ ვიტარებია.  
შენ ბრძოლის ფართო გზაზე გახველი  
და ბევრი ტანჯვაც წილად გრგებია.

მაგრამ ხომ ნახე შენც განთიადი,  
ხომ იხეიმე შენს ქვეყანასთან,  
როცა დაემხო ლამის წყვედიადი  
და ოქტომბერმა ამოანათა!

და როცა მტერმა ცა გადმოლახა  
და დასწვა ჩვენი დაბა-სოფელი,  
შენმა ჩონგურმაც ჰანგი მონახა  
მოსეულ ბრბოთა დამამზობელი.

მაშინ შენს სიტყვას, ცეცხლით ანთებულს,  
წითელ მეომრის ეცვა ფარაჯა,  
ძალას ჰმატებდა ჯარს თავდადებულს  
და შშობელ მიწას უდგა დარაჯად.

დღეს მშენებლობის კედლებს გაჰყურებ,  
ოქროს აგურებს ლექსში ალაგებ.  
შენ პოეზია ხალხს ამსახურე,  
როგორც პოეტმა და მოქალაქემ.

ნოემბერი, 1946 წ.

## გიორგი ჭანიშვილის პანაშვილი

მწუხარე სიმებს აღმოხდა ოხვრა  
და აქვითინდა გული ბავშვივით.  
ქვირფასო მშაო, რა ჩქარა მოჰყვა  
შენს დღესასწაულს ეს პანაშვილი!

ხალხმა დღეობა რომ გაგიმართა,  
ჩვენ ის საღამო გვენიშნა ცუდად...  
თვალეზანთებულთ და მოღიშართა  
ჩვენ შენი სახის დანახვა გვსურდა,

მაგრამ შენს ზეიმს შენ ვერ დაესწარ,  
და როცა სხვამ თქვა შენი სათქმელი,  
ჩვენს ღიმილს ჩუმიად ცრემლი დაეცა  
და სიხარულის ჩაქრა სანთელი.

შენი სიტყვა კი, სხვის გადმოცემით,  
ჰქუხდა, ცვიოდა ცეცხლის ვარდებად.  
ეს იყო შენი ნათელ ოცნების  
უკანასკნელი განავარდება.

მაინც გეძებდით ფარულ შეგნებით,  
რომ იქ არ იყავ, თვალს არ სჯეროდა,  
თუმცა შენს ნაცვლად ხალხს, იქ შეკრებილს,  
შენი სურათი გადასცქეროდა.

შენ იქ არ იყავ, ლექსი ვერ გთხოვეთ,  
მაღალი გრძნობით ამღერებულნი.  
შენ იმ საღამოს გამოგვეთხოვე  
და შენს მეგობრებს დაგვეწვიტე გულა.

სიცოცხლეს გულის ფეთქვა განაგებს! —  
ეს შენზე უკეთ ვერავინ ვერ თქვას.

შენ ჩამოშორდი შენს ამხანაგებს,  
შენი გული-კი ჩვენს შორის ფეთქავს.

სიკვდილ-სიცოცხლის ძველი თამაში  
დღეს ჩვენს ოცნებას ველარ ამძიმებს.  
რა დაადუმებს ჩვენს ქვეყანაში  
შენი ჩონგურის წკრიალა სიმებს!

შენს ტოლ-მეგობრებს თუ მოაკლდება  
შენი მარჯვენა ხელშესახებად, —  
გვჯერა, გულისთქმა შენი არ კვდება,  
შენს სიმღერებში რომ ისახება.

სამშობლოს მარად ემახსოვრება  
ორბის ყივილის ხმა შენებური,  
დარჩება ხალხში შენი ცხოვრება,  
შენი ლექსებით აშენებული.

შენც ნუ მოისმენ გლოვის პანაშვიდს  
და ნურც დაჰკარგავ სიცოცხლის იმედს.  
რა დაადუმებს ჩვენს ქვეყანაში  
შენი ჩონგურის წკრიალა სიმებს?

## გაზაფხული

სუნთქვა შესწყვიტა ზამთარმა ცივმა,  
სითბომ შესცვალა ამინდი ქუში.  
ისევ მოვიდა მაისის წვიმა  
და სიხარული ამინთო გულში.

მზე დაიღვარა ვარდისფერ ნისლზე.  
მზეს კვლავ სამზეო აურჩევია.  
ეს გაზაფხულიც მოვიდა ისე,  
როგორც ყოველთვის მაისს ჩვევია.

მოვიდა გრგვინვით და ამბოხებით,  
თეთრ ყვავილებს კორიანტელით.  
პირველი ელვის ერთი მოქნევით  
ერთად აანთო ექვსი სანთელი.

ბევრჯერ მინახავს ზეცა მჰექარი  
და აყვავება ანთებულ ხეთა,  
მაგრამ ამ მაისს ისე შევხარი,  
თითქოს გაზაფხულს პირველად ვხედავ.

მესმის, ცხელი და ანკარა სხივი  
ყვავილის თასში როგორ წკრიალებს.  
გამარჯვებული არწივი ჰყივის  
და ჩემს სამშობლოს თავს დასტრიალებს.

ამღერებულან მთები და ველი,  
სული ჩაუდგამს ხესა და რკინას,  
თითქოს მაისის პირველი ელვით  
აზღაღმეკმნილი ქვეყანა ბრწყინავს.

## ენო ნაკაშიძეს

შენ სამშობლო შეიტყებ და შეიყვარე,  
შენი ხალხის ჭირ-ვარამი შეიცანი,  
ქვეყნისათვის უანგარო შრომის გარეთ  
შენ არა გწამს სხვა საქმე და სხვა მიზანი.

თუ გულს წვაუდა ბედშაობის უხამ-ნალველი  
და მტრის ენა თუ გულს სჭრიდა დანასავით,  
შენვე იყავ ამ ჭრილობის დამნახველი,  
ჩვენც გვაჩვენე თუ ვინ იყო დამნაშავე.

უსამართლოდ დევნილის და დაჩაგრულის  
უბრწყინვალეს გამარჯვებას მოესწარი.  
დიდი ბრძოლის დაწყებიდან რასაც გულით  
მოელოდი, ხომ ასრულდა, ხომ ეს არი!

ხომ მოვიდა სასოებით რაც ინატრე,  
რა სინათლევ ხალხისათვის გწყურებია?  
ყველა გრძნობს და ყველა ხედავს: ამ სინათლეს,  
მეგობარო, შენი სხივიც ურევია.

გადაურჩი ქარიშხლიან ზამთრის ყინვას,  
წელთ სიმრავლემ ვერ მოგტეხა, ვერ დაგხარა,  
განთიადის ღრუბელივით თეთრად ბრწყინავს  
ანკარა და სხივმოსილი ეგ ჭაღარა.

გამარჯვების მაღალ თხემზე ისე ახველ,  
რომ თვალეზში ცეცხლი შეგჩია პირვანდელი,  
ახალგაზრდულ სიმხნესა და იერს ამხველ  
მარად ტკბილი, გულთბილი და პირნათელი.

და ჰა, შენთვის დღეს ზეიმი იმართება,  
წმინდა გულით ვიფასებენ შრომას ამდენს.  
შენი ღვაწლის ნაპერწკალიც ემატება  
ქართველ ქალის გაუქრობელ შარავანდღეს.

დღესაც ქვეყნის მშენებელთა რიგში დგახარ.  
ხვალინდელ დღის ელვარებას კარგად ხედავ.  
ო, რამდენი სახელოვან გმირის და ხარ  
და რამდენი ფრთაა ცქცეტილ ბავშვის დედა!

რამდენია დღეს ჩვენ შორის შენი ხელით  
აყვანილი, მოვლილი და გამოზრდილი,  
ჩვენი ხალხის დიდ შრომაში ოფლის მღვრელი.  
ჩვენი ქვეყნის დიდ ბრძოლებში გამოცდილი!

ბავშვობიდან ვის არ ახსოვს შენი სუფთა,  
ხმაწკრიალა, მოჩუხჩუხე „ნაკადული“,  
გაზაფხულის აყვავების ნელი სუნთქვა,  
შენი კალმით მადლიანად დახატული?

ჩვენს მომავალს ეძახი და ესიტყვები,  
მეზღაპრე და გამზრდელი ხარ ქართველ ბავშვის.  
მას სკოლაში ყოველ დღით თან მიჰყვები,  
მასთან ერთად შენი სიტყვა ჰყვავის ბალშიც.

და ვინც ენას მერცხალივით იღვამს ახლა,  
ვინც ბაღშია და ჯერ კიდევ აკვანში წევს,  
დრო მოვა და მოთხრობებს და ზღაპრებს ახალს  
შეუპოვრად მოსთხოვს ნინო ნაკაშიძეს.

შენც დამარცვლავ და ააწყობ, როგორც მძივებს.  
და ნორჩ მკითხველს სიყვარულით გადაუშლი  
მალალ გრძნობის, მალალ აზრის ნათელ სხივებს,  
ჯადოსავით დაგროვილი რაც გაქვს გულში.

და პატარაც დაჯდება და წაიკითხავს,  
რომ მის გრძნობას შენი მადლი მოეფინოს,  
და უსურვებ კიდევ დიდხანს, კიდევ დიდხანს  
ტკბილ სიცოცხლეს საყვარელს და ძვირფას ნინოს.

## სიმღერა

ბაღში ჩუმად შრიალეზდნენ  
ზმანი მწუხრის ჟამისანი.  
მე შენ ამ დროს დაგინახე  
და შენც ამდროს გამიცანი.  
ჩვენს საუბარს შემოესწრნენ  
ჩრდილნი შავის ღამისანი.  
შენს სიყვარულს ვეწეოდე —  
მე არ მინდა სხვა მიზანი.

როცა ბულბულთ სტვენა ისმის,  
ყურს ვინ უგდებს ბუკიოტებს!  
სხვა ხმისათვის ნუ მოიცილი,  
გულში ტრფობა თუ ჰკიოდეს.  
ჩონგურივით ავმღერდები —  
მოვესწარი თუკი ოდეს,  
რომ პატარა შენი გული  
დიდ სიყვარულს უყიოდეს.

24 თებერვალი, 1948 წ.

## ოვანეს თუშანიანის ხსოვნას

ტკბილო ოვანეს! შენი სახელი  
ქართულ სალამურს ზედ აწერია.  
შენ ჩვენი გრძნობის ხარ ამსახველი,  
შენი სიმღერა ჩვენც გვიმღერია.

ნეტავ ხედავდე, როგორ აყვავდა  
რაც ძმათა შორის შენს პოეზიას  
აზრი ნათელი, წმინდა ზრახვა და  
კეთილი გრძნობა დაუთესია.

როცა გვახრჩობდა ქვეყანა ძველი,  
გვწვავდა სიცოცხლე გაუხარელი,  
შენ იყავ ჩვენი ერთობის მცველი,  
ქართველ პოეტთა ძმა საყვარელი.

და შენი სახე, იმედით სავსე  
და დიდი რწმენით განათებული,  
ჩვენ გულს გვითბობდა სუსხიან გზაზე,  
მუდამ სხიემფენი და ანთებული.

დღესაც, ვით შუქი ცით მოფრენილი,  
ყოველგვარ ბინდის დამამხობელი,  
ბრწყინავს ეგ სახე ღიშმეფენილი,  
ასე ძვირფასი და ახლობელი.

## ახალგაზრდობო, სალამი თქვენდა

გული სიბერით არ დაღონდება,  
არც შემაწუხებს სიზმარი ბნელი,  
მაგრამ ბავშვობა რომ მაგონდება  
და გამოვლილი მანძილი გრძელი, —

მოულოდნელად, სულ ერთი წამით,  
წარსულის ჩრდილი ჩამიელის გვერდით,  
მყარდება წუთით სიჩუმე ღამის  
და ცივ ჟრუანტელს ვერ ჰფარავს მკერდი.

თვალებს დღიური შუქი შორდება  
და გულისძგერაც ყუჩდება ჩქარი,  
ჩემი სიმღერით მიახლოვდება  
ჩემი სიცოცხლის საღამო წყნარი...

ამ დროს უეცრად ყურში ჩამწვდება  
ახალგაზრდობა ხმა საამური,  
თითქოს ფანჯარას შემოასკდება  
პირველი გრგვინვის ცხელი აღმური.

ბზარავს კარ-ფანჯრებს ელვის ბაწარი  
და ცისქვეშ ჰაერს ცეცხლი ედება.  
მაგრამ ეს გრგვინვა და ეს ხანძარი  
განა ფანჯრებში შემოეტევა?

მე დროშასავით გავიტან გარეთ  
ჭადარას, წელთა სუსხით დანათოვს,  
გავადებ გულის უხილავ კარებს,  
რომ გაზაფხულმა შემოანათოს;

რომ არ შენელდეს თვალთა სინათლე  
და დიდი ცეცხლი შემოქმედების,

რომ მუდამ ჩანდეს, მუდამ ბრწყინავდეს  
გადასავალი მაღალ ქედების.

ვხედავ, ღრუბელი ჰყვავის ვაშლივით  
და იწვის ზეცა აღმოდებული.  
ელვა თამაშობს ტოტებგაშლილი,  
ცის წიაღიდან ამონთებული.

სხივი, ღრუბელზე ამობეჭდილი,  
ქუხილს ლექსივით დაუწერია.  
სიმღერა მესმის მწვანე ჯეჯილის  
და ყვავილებიც ირგვლივ მღერიან.

ახალგაზრდებო! ეს ხომ თქვენა ხართ,  
ეს ხომ ფეთქება თქვენი გულისა!  
თქვენ ჩვენი ქვეყნის აღმაფრენა ხართ,  
ლალი სიმღერა გაზაფხულისა!

თქვენ რომ გიცქერით, ისევ სჭრის თვალი,  
გული კვლავ იწყებს სიამით ძგერას,  
უფრო ნათლდება წარსულის კვალი  
და ემატება სინათლე კერას.

გულში ამღერებს ვიღაც სალამურს, —  
მონხუცი ჭაბუკს თუ ვუტოლდები!  
ასე მგონია: არა სალამოს,  
არამედ დილას ვუახლოვდები.

ისევ ცოცხლდება სიყრმის ჩვენება,  
ჩემს დიდ წინაპრებს ნათელს რომ ჰფენდა,  
უკვდავი იყოს ძველთა ხსენება!  
ახალგაზრდებო, სალამი თქვენდა!

ბრძოლის საყვირთა ხმაზე მოხვედით,  
მჯერა, ჩვენს დიდ გზას რომ არ ასცდებით,  
და ძველ თაობას, სახელმწიფოვეჭილს,  
თქვენ ღირსეულად შეენაცვლებით.

5 აპრილი, 1948 წ.

## რ ი თ მ ე ბ ი

რითმებო! წუთით შესწყვიტეთ ქღერა,  
ხომ ამბობთ: ლექსის მშვენება ვართო! —  
დღეს მინდა ვსინჯო უთქვენოდ წერა.  
წადით, მცირე ხნით დამტოვეთ მარტო.

ველარ შევამკე ჩუმი ლექსები  
დაუჩრდილავი აზრის აღმასით,  
ირგვლივ ყრიალით შემომესევით,  
დაფიქრებას და ლოდინს არ მაცლით.

რადა ხართ აგრე ახირებულნი:  
არვინ გეძახით — თვითონ გაჩნდებით,  
ყოველ სტრიქონის ბოლოს დაჯდებით,  
ავაზებივით ჩასაფრებულნი!

მოეშვით სტრიქონს, ლაღად იფრინოს.  
იქნებ მწვერვალი გადაირბინოს.  
იქნებ უთქვენოდ ცამღე ავარდეს  
და გაუსწორდეს მფრინავ შავარდენს.

ნუ ამბობთ, ლექსის მშვენება ვართო.  
წადით, მცირე ხნით დამტოვეთ მარტო!..

რითმებს ემჩნევათ წყრომა სახეზე,  
შემომხედავენ, გაოცდებიან.  
შემდეგ სტრიქონთა გარდასახედზე  
მთამსვლელებივით აცოცდებიან.

დაიკიდებენ ექვნებს ყურებზე,  
მათი წყრიალით მირისხდებიან.  
აეღენ და ლექსის საფეხურებზე  
ნიშნის მოგებით ჩამოსხდებიან.

15 მაისი, 1948 წ.

## ალექსანდრე ჟაზგეზისადმი

შენი სიცოცხლე, ხანმოკლე და ქარიშხლიანი,  
იყო სიმღერა ვაეკაცობის და სიყვარულის.  
იდექ სამშობლოს მაღალ კართან სიტყვა-ხმლიანი,  
მგრგვინავ ღრუბლებით და კლდეებით შემოჯარული.

აღწევდა ბედით განწირულთა ოხვრა შენამდე,  
ძალას უკუღმართს არ უთმობდა ნებით არავინ,  
და მტერს ებრძოდნენ უკანასკნელ ამოქშენამდე  
გულით მტკიცენი და კლდესავით გაუბზარავნი.

მათი გმირობით ჩვენი მთა და ბარი ჰხარობდა.  
შენ ამოანთე რაც ხალხს გულში სხივი ებადა,  
ამოავლინე ხალხის გულის ღრმა სამყართდან  
დაუცხრომელი ქარიშხალი დიდთა ვნებათა.

რაა სიკვდილი, თუ იმარჯვებს პატიოსნება,  
თუ კაცს ნამუსის წმინდა შუჭი არ ჩაუქრება?  
ასრულდა ცრემლით განბანილი შენი ოცნება:  
დღეს ჩვენს კაცობას ძალადობა არ ემუქრება.

15 სექტემბერი, 1948 წ.

## მომავალ დღეთა სინათლეს ვხედავ

მომავალ დღეთა სინათლეს ვხედავ,  
საკმარისია თვალის გაღება:  
ვუცქერი ხერგებს მომავალ ხეთა,  
და მეჩვენება ჩრდილსაესე ტყეთა  
ქართან ჭიდილი და შეუჯახება.

იმ ნანატრ დღეთა სხივების ღვარი  
სწედება სამშობლოს მაღალ მწვერვალებს.  
დიდება იმას, ვინც სანუკვარი  
ჩვენი მომავლის გააღო კარი  
და შეგვახედა მზეს მოელვარეს.

ბაღად ვაქციეთ ნგრევის ნაცარი  
და დავაგროვეთ ძალა იმდენი,  
რომ ადგილიდან მთაც კი დავსძარიტ  
და თვითონ დროსაც გადავასწართ, —  
უკან დავტოვეთ დღე ხვალისდელი.

წყალი გზას იცვლის, მთა იღუნება,  
ვართ განმგებელნი ბუნების ძალთა,  
რომ გარდაქმნილმა ლაღმა ბუნებამ  
იწყოს ხალხისკენ შემობრუნება  
და დაგვაბერტყოს სიუხვის კალთა.

დიდი მომავლის გავზდით ზიარი,  
შრომის ნათელ გზას მისკენ მივყევართ.  
ბედნიერებაც ამ გზაში არი, —  
მე ახლა მესმის იმ ტყის შრიალი,  
ოცი წლის შემდეგ რომ დაირხევა.

საუკუნეთა ოცნება ახლა:  
ვხედავ, ჩამჯდარა ბაღში სოფელი,  
მესმის ჩხრიალი წყალსაესე არხთა,  
და ყოველ ხესთან და ყოველ სახლთან  
ბრწყინავს სინათლე გაუქრობელი.

16 თებერვალი, 1949 წ.

## დილა თბილისში

ზეცამ გააღო თირუზის კარი  
და მზე გამოჩნდა ოქროს თმიანი,  
ღამით ნაბრძოლი მიბოროტავს მტკვარი,  
მოჩანს მეტეხი ჩუქურთმიანი.

ბზინავს მტკვრის პირად ნორჩი ბალახი,  
წყნარად შრიალებს ბაღი ახალი.  
სზივების ფარჩას იცვამს ქალაქი,  
როგორც ზღაპარში მზეთუნახავი.

დგება თბილისი განახლებული,  
მუშათა, გმირთა, პოეტთა ბინა,  
თითქო ბრწყინვალე ლექსთა კრებული  
ყდაში ჩაუსვამთ ქვასა და რკინას.

29 მარტი, 1949 წ.

### პ უ შ კ ი ნ ს

ბავშვობიდანვე შენი ხმა გვესმის,  
 სკოლის მერხიდან მუდამ თანა გვდეეს,  
 ჩვენთან ხარ მუდამ და შენი ლექსიც  
 მაღალი გრძნობით ჩვენს გულს ანათებს

არც მოგვშორდება სხივი მნათობის  
 და ცა, ლექსების ელვით ნაბზარი,  
 რადგან მუდმივი ახალგაზრდობის  
 და სიხარულის ხარ თანამგზავრი.

შენ პოეზიის ქედზე ახველი,  
 გიცქერით — თვალი ვერ აგწვდენია.  
 შენს დიდ სამშობლოს შენი სახელი  
 დილის შზესავით ზედ აფენია.

შენს უღმობელ და სასტიკ ხანაში  
 დაანთე სიტყვა გასაკვირველი.  
 შენი ხმა იყო შენს ქვეყანაში  
 თავისუფლების გრგვინვა პირველი.

შენი სიმღერა, დიდო პოეტო,  
 ჩვენს გულს შეეტპო და შეეთვისა:  
 ქართველთა მაღალ ცას შემოენთო  
 შორი ციალი ჩრდილოეთისა.

იმ ელვარებას უთხრა მადლობა  
 ქართული ჩანგის მღელვარე სიმმა;  
 დასწვა შავ დროთა უკუღმართობა  
 ჩრდილოეთიდან მოსულმა სხივმა...

დღეს შენს უკვდავ ქველს რამდენი ხელი  
 ყვავილით ამკობს, დროშებით მოსაეს,

შენი სამშობლო, დიდი და ვრცელი,  
რამდენ ენაზე გახსენებს მგოსანს!

მღერის შენს სახელს ხალხთა კავშირი,  
რუსულ ხმას ერთვის კილო ქართული.  
დღეს შენს გვირგვინში — წითლად გამწვანდა  
კოლხიდის ვარდიც არის ჩართული.

შენ საქართველოს მთები გინახავს,  
რუსთველის მიწას შენი ხმა ახსოვს;  
შენი ლექსების წიგნი ინახავს  
ოცნებას, ქართლის ფერებით ნაქსოვს.

ხშირად ქართველი მთვარიან გზაზე  
არაგვის ხმაურს რომ გაიგონებს,  
მყის გაიხსენებს, სიამით სავსე,  
შენს ამღერებულ ნათელ სტრიქონებს.

ვიხმობდნენ ზევით მთის მწვერვალებზე,  
უმღერდი მყინვარს, მზისაკენ აწვდილს,  
და გაუსწორდნენ შენი თვალები  
საქართველოდან აფრენილ არწივს.

ო, ეს ძაბილი სიმაღლეების  
და იმ ძვირფასი სახის ნათება  
შენი ლექსიდან ჩვენი დღეების  
დიდებისაკენ მოემართება.

ქართლის მთებიდან უღრუბლო ცაში  
აფრენილ არწივს რომ უცქეროდი —  
მომავლის სახეს ხედავდი მაშინ  
და ჩვენი დროის გმირს უმღეროდი.

თითქო გესმოდა ჩვენი გუგუნნი  
იმდოინდელი კენესის შემცვლელი,  
იმ სიბნელიდან სხვა საუკუნის  
შუქურვარსკვლავის ხილვა შესძელი.

და ის ვარსკვლავი, შენ რომ ინატრე,  
დღეს ჩვენს ცაშია გაბრწყინებული. —



შენი სამშობლოს დიდი სინათლე,  
ხალხის გულიდან ამონთებული.

შესძლო შენმა ხმამ იმ სიშორიდან  
ჩვენი ეპოქის კარის გაღება.  
დიდება ამ ხმას! ჩვენთან მოვიდა  
და ჩვენს შეილებსაც ის თან გაჰყვება, —

როგორც პირველი სხივი მნათობის,  
ციდან მიწისთვის გამონაგზავნი, —  
რადგან მუდმივი ახალგაზრდობის  
და სიხარულის ხარ თანამგზავრი!

მაისი, 1949 წ.

## დედავ, ცრემლებს ნუ დაღვრი

ქარი ჩადგა. ბრძოლის ველს  
ჩრდილი გადაეფინა.  
შვილმა თავი გასწირა,  
მშობელს გული ეტკინა.

დედავ, ცრემლებს ნუ დაღვრი, —  
გმირი განა მოკვდება?  
მზე ჩაფიდა, მავრამ ის  
დილით კვლავ ამოხდება.

ვინც იცოდა ქვეყნისთვის  
ბრძოლა და გამარჯვება,  
ის უკვდავად მარადის  
ხალხის გულში დარჩება.

ნოემბერი, 1949 წ.

## გიორგი ლეონიძეს

ჯერ კიდევ ყმაწვილს, ახლად ფრთავარსილს,  
ჩანგის წყრიალი გესიზმრებოდა,  
თითქო გესმოდა შორი განგაში,  
გული ჯერ უთქმელ ლექსით თვრებოდა.

ამ დროს უეცრად შემოგაფრინდა  
ვაჟა-ფშაველას ლექსი პატარა,  
შენი ოცნება მაშინ გაბრწყინდა,  
ცა და ხმელეთი შემოგატარა.

ახლა სიამით თუ მოიგონებ,  
რომ შენ პოეტმა გზა დაგილოცა.  
ანკობს მას შემდეგ შენს თბილ სტრიქონებს  
წმინდა ქართულის ხმაც და კილოცა.

გაპხედავ, თითქო ცისკრის ზოლია,  
შენ რომ სიმღერით გზა გაიარე.  
ნათელ მიჯნამდე არ მოგყოლია  
ლექსი ნაცრემლი და მგლოვიარე.

შენ ამ სიმღერით ხალხს თან გაპყვები,  
დიდი ეპოქის ნიშანდასმული,  
მღელვარე გულის ყველა ძარღვებით  
საშობლოს გულთან გადათასმული.

1 აპრილი, 1950 წ.

## ს ა ზ უ რ ა მ ო შ ი

მე ერთი ლამის დაუვიწყარი  
და საოცარი მახსოვს მშვენივლა;  
იქნებ ის ღამე იყო სიზმარი,  
მხოლოდ ოცნება, ან მოჩვენება.

ბევრჯერ ვიხილავ ცას მოკამკამეს,  
მაგრამ გულიდან ველარ ამოვშლი  
იმ ერთს ზაფხულის კრიალა ღამეს,  
მე რომ წილად მხვდა საგურამოში.

ბებერ მუხის ქვეშ მარტო ვიდექი,  
ქართლის მედროშის სახლთან მოსული.  
ღამე სუფევდა სრული დიდებით,  
ცის მყუდროებით გარემოცული.

მთვარე მოადგა ლავარდის კარებს  
და მიწის შუქი ცამდე ავიდა, —  
თითქოს ნათელი სწვდებოდა მთვარეს  
ილიას სახლის სახურავიდან.

სახლს ეხვეოდა თითქოს ხელებით  
თეთრი ჭადარი ტოტებგაშლილი.  
ფოთოლთ შერხევით და გაელვებით  
ხეში გამოჩნდა ქალის აჩრდილი.

იდგა მაღალი დედა ქართლისა  
შემკრთალი გულით ვეცი თაყვანი;  
ნაცვლად ილიას ნაცნობ სახლისა  
იქვე ბრწყინავდა ოქროს აკვანი.

ახალ სიმღერას დედა მღეროდა,  
იდგა ოცნების შუქით ნახატი.

შე ყურს ვუგდებდი და გულს სჯეროდა  
იმ წუთს ილიას სახეს ვნახავდი.



იქნებ მე იმ დროს მთვარეულს ვგავდი,  
ალბათ, დაეხუჭე უეცრად თვალი.  
აკვანთან იდგა ილიას ლანდი,  
ახალ სიმღერას მღეროდა ქალი.

და იმ სიმღერის ხმა იზრდებოდა,  
ნიავეს მიჰქონდა ოთხსავე მხარეს.  
თანდათან შუქი ემატებოდა  
არაგვის ველზე გადმოხრილ მთვარეს.

გონს მოველ. ჭადარს ისევ ვშვენოდა  
შრიალ-ციმციმი ფოთოლთ ჯარისა.  
„მშობელს ქვეყანას ზედ მოჰფენოდა  
მკრთალი ნათელი სავესე მთვარისა“.

ივნისი, 1950 წ.

## იაკობ ნიკოლაძის ხსოვნას

როგორ გამოვთქვა გულის ტკივილი  
აცრემლებული ლექსის ტაეპით? —  
შენგან სულჩადგმულ ქვათა ყივილით  
სამარის ღუმელს შევედავებით.

შენ ასრულებდი შეუსვენებლად  
ჩვენი უკვდავი დროის ბრძანებებს,  
და უკვდავია შენი ხსენებაც,  
სიკვდილს შენს სახელს არ დაეანებებთ.

ახალი ქართლის კოშკის რაფაზე  
რჩეულთა ძვირფას სახელებს წერდი,  
შენ შეგიყვარეს და დაგაფასეს,  
დიდების შუქით შეგიმკეს მკერდი.

ამირანის კლდეს სიმღერა უთქვამს, —  
შენ იმ კლდის ძახილს მალლა აპყევი.  
რამდენი ქვა და ბრინჯაო სუნთქავს  
დღეს შენი ხელით ნაჭანდაკევი!

სული ჩაპბერე უსულო თიხას  
და გააცოცხლე ლოდი უძრავი.  
რაც შენ შეჰქმენი — დარჩება დიდხანს  
დროთა ბრუნვისგან შეუმუსრავი.


პირველ-ოსტატი მოხველი ერთი,  
მიდიხარ! — სტოვებ რამდენ ხელოვანს!



ზეშთავონების სინათლე ერთვის  
შენს გზას ბრწყინვალეს და სახელოვანს.

მშვიდობით, ძმავ და მეგობარო,  
ჩვენს გულთან გულით გადაჭდობილო,  
მომღერალ ქვათა დიდო ლოტბარო  
და შემოქმედო კეთილშობილო!

მარტო, 1951 წ.



## რატომ გვეტაძის

ჩვენ შევეჩვიეთ, მეგობარო, გულის სიამით  
შენი უბრალო სახელის და გვარის ხსენებას.  
მალე დადგება განშორების ბედითი წამი  
და ეგ სახელი ჩვენს ხსოვნაში ჩაესვენება.

შენ გაფასებდა მეგობრების დიდი კრებული,  
რადგან იყავი პირნათელი, თავაზიანი,  
პოეტი წყნარი, თავმდაბალი, მოკრძალებული  
და ყველასათვის საყვარელი ადამიანი.

რატომ აავსე მწუხარებით ჩვენი გულები,  
ესოდენ მწარე ცრემლის ღვარი სად დავაგუბოთ?  
როგორ შევამკოთ ყვავილების თაიგულებით  
ჩვენი გონების შემზარავი ეს შენი კუბო?

ღილით ოცნება მომავლისკენ მიგაქანებდა  
და სადამო-ყამს წყვდიადიდან მეზი დაგეცა.  
ასე უეცრად გული სიკვდილს როგორ დანებდა?  
ოცნებამ ფრთები ასე უცბად როგორ დაკეცა?

ნუთუ არ დაგრჩა გულსაწვეად და დასანანად,  
შენი შეილები ამ შავმა დღემ რომ გაამწარა?  
ნუთუ არ გესმის როგორ ტირის შენი მანანა,  
ბუდეში მარტოდ დარჩენილი ჩიტი ნაცარა?

შენს უკანასკნელ ამოკვნესას ვერ დავესწარიო,  
ვერ მოგეშველეთ, უფსკრულის წინ ხელი ვერ გტაცეთ.

მადლიან სახეს დაეფარა ბნელი ზეწარი  
და ჩვენს რიგებში აღარ არის რაედენ გვეტაძე!

მაგრამ ჩვენს ვულში, მეგობარო, მარად დარჩები  
ისევ ცოცხალი, პირნათელი, სანდომიანი,  
ტოლ-მეგობრებში სიყვარულით ამოსარჩევი  
ჩვენი დროების ღირსეული ადამიანი.

4 დეკემბერი, 1952 წ.

## ზოგოლის ხსოვნას

იგი მოვიდა შორსმხედველი და გულმართალი,  
ნახა ქვეყანა ანგარების ღერძზე მბრუნავეი,  
ნახა ცხოვრება უხეში და გაუმართავეი  
და ტახტზე მჯდარი ბოროტება დაუთრგუნავეი.

ნაღველად ექცა მას ოცნება თავის ბავშვობის, —  
შვების მომგვრელი მის გარშემო არა ჩანდა-რა.  
აანთო სიტყვა, სიყვარულის ცრემლში ნაშობი,  
და სიძულვილის წმინდა ცეცხლში გამოატარა.

ეს იყო სიტყვა მახვილივით მჭრელი და ბასრი,  
შეუპოვარი, გაბედული და უღმობელი.  
ეს იყო ბრძოლად გამოსული ცოცხალი აზრი,  
მკვდარი სულების უხამსობის დამამხოზბელი.

მან დაინახა ამ ბრძოლის დროს მომავლის სახე:  
უსაზღვრო სივრცის ელვარება შორს გაფენილი.  
იმეორებდა ალტაცებით სამშობლოს სახელს  
ნეტარი ხილვით დამტკბარი და ცად აფრენილი.

ღედა-რუსეთი ამომავალ მზისკენ მიჰქროდა  
და გზას უთმობდა მოწიწებით მას ყველა ერთ.  
ზარის წკრიალის და ზეიმის ხმა თან მიჰქონდა,  
გრგვინავდა ფრთებით გარღვეული ლურჯი ჰაერი...

ოჰ, რა სიცხადით და სისრულით განხორციელდა  
ღედა-სამშობლოს მომავლისთვის პოეტს რაც ჰსურდა!

როგორ გაბრწყინდა ეს ქვეყანა და გაძლიერდა,  
კეთილშობილი წინათგარძნობა როგორ ასრულდა!



განაიდა მიწა. შვემ გააქრო ღამის უკუნი.  
ძველი ბოღმის და ცრემლის უბე ამომშრაღია,  
და მსოფლიოში დღეს რომ ისმის წინსვლის გუგუნი,  
ეს მისი ქვეყნის დიდი ფრთების ქარიშხალია!

1952 წ.

## მირზა ფატალი ახუნდოვის ხსოვნას

საქართველოში დაირწა  
მისი ოცნების აკვანი,  
აენთო და არ დაიწვა,  
დარჩა ნათელი გზა-კვალი.

ქართლის სიმღერით ტკებოდა,  
იქნებ ქართულიც იცოდა,  
„მერანი“-ს ავტორს ხედებოდა,  
ორბელიანსაც იცნობდა.

მათი პირველი მიზანი  
ხომ აასრულეს შეილებმა:  
რუსთველისა და ნიზამის  
ქვეყნების დამშობილება!

არ სწამდა და არ სჯეროდა  
გზა ვიწროდ შემოლობილი,  
ხალხთა ძმობაზე მღეროდა,  
ძმა და მეგობრად შობილი.

როცა პუშკინი გასწირეს  
სინათლის მოჭიშპებმა,  
იგი ბნელეთის აჩრდილებს  
მედგარი ლექსით შეება.

ლერმონტოვს გააყვა ძმასავით,  
მგლოვარი, გულდაბუგული,  
და დაიტირა მასავით  
დიდი რუსეთის ბულბული.

მომმეთა ნაღველს იცნობდა,  
და მათთან ხმაშეწყობილი,  
ხალხთა ძმობისთვის იბრძოდა,  
ხალხთა მეგობრად შობილი.

ხავსი არ მოეკიდება  
მის ხსოვნას გაუქრობელსა,  
აზერბაიჯანს დიდება,  
მირზა ფატალის მშობელსა!

6 აპრილი, 1953 წ.

## თედო სახოკიას

მისდევდი რწმენით სამშობლოს ვარსკვლავს,  
 დიდი მანძილი გამოგივლია.  
 იცოდი — იმედს სიბნელე არ ჰკლავს,  
 თუ ოცნების ცა მოწმენდილია.

როგორ იქნება კაცი გზას აცდეს,  
 თუ მას მეგზურად რწმენა ჰხლებია?  
 შეჭიდებიხარ მრავალ განსაცდელს,  
 მრავალი საფრთხე დაგვჯახებია.

მაგრამ წარსულის ეკლიან გზაზე  
 არ დაჩრდილულა შენი ოცნება,  
 შეგერჩა ბოლომდი იმედით სავსე  
 მგზნებარე გულის პათიონება.

ჩვენი მწერლობის მზიანი ბალის  
 შენ ხარ ფუტყარი დაუცხრომელი,  
 შენ იცი სიტყვა ქართული რა ღირს,  
 რომელი რეკავს, ბრწყინავს რომელი.

ამ ბალში ბევრი ნერვი იზრდება  
 და ბევრი ჰყვავის უცხო ხეხილი,  
 შენ მიერ, ბალის გასამდიდრებლად,  
 სხვათა მიწიდან გადმონერვილი.

დრომ სიტყვა რომ არ დააზარალოს,  
 შენ, უწყინარო, ტყბილო მუშაკო,  
 ხალხური ენის ძვირფას სალაროს  
 დაულალავად ჰკრეფ და ჰგუშავებ.

ჩემი თაობის წინამორბედო,  
 ჩემი გულისტქმის თანაზიარო,

ერთად გვივლია, ძვირფასო თედო,  
და რაც გზა დაგვტრია — ერთად ვიაროთ.

ჩვენ კიდევ ერთი კარიც შევალთ,  
ჯერ უნახავი ვნახოთ სინათლე,  
და კიდევ ერთხელ გულით შევაქოთ  
გამარჯვებული ხალხის სიმატლე.

კიდევ ვიაროთ, ვიდრე გზა მოჩანს  
ზევით მიმავალ საფეხურებად,  
ვიდრე გზის ბოლოს საღამოს დროშა  
დაღლილებს თბილად დაგვეხურება.

დარჩება კვალი მას უნათლესი,  
ქვეყნის სამსახურს თავს ვინც შეაღწეს. —  
ჩვენს დიდ ყანაში შენი ნათესი  
ოქროს თავთავი ბევრი შრიალებს.

ჩვენი დღეების ხმები და ფერი  
მისწვდება ხვალის ადამიანებს  
და ჩვენი დროის ამონამლერი  
იმათ გრძნობასაც აახმიანებს.

ფერთა და ხმათა იმ ქრიამულში,  
მჯერა, შენს ხმასაც გაიგონებენ.  
და სხვებთან ერთად შენსაც მამულში  
შენც სიყვარულით მოგიგონებენ.

ჯერ კი ვიცოცხლოთ, ძვირფასო თედო,  
ამ ნათელი გზით ერთად ვიაროთ,  
ჩემი თაობის წინამორბედო  
და ჩემი ფიქრის თანაზიარო.

ჩვენ კიდევ ერთი კარიც შევალთ,  
რომ დავინახოთ ახალი მთები,  
ხვალინდელ დღესაც ხელი შევახოთ  
და შემდეგ... წყნარად დავკეცოთ ფრთები.

## გალაქტიონ ტაბიძეს

შენ ჩონგური გაამდიდრე  
ახალ სიმთა რხევით,  
ახალი ხმა დაამკვიდრე  
და ასწიე ზევით.

უმაღლესი მწვერვალების  
ხმიერება იხმე,  
გვაგრძნობინე მღელვარების  
სინარჩნარე, სიღრმე.

ამ ჩონგურის ხმა ისეა  
ხალხთან შენაზარდი,  
თოვლია თუ მაისია,  
ჰყვავის იმ ხმის ვარდი.

ხოტბას ასხამ მფრინავ მერანს,  
თუ ბრძოლის ველს მჭეუხარს,  
ხალხი უსმენს სიმთა ჟღერას,  
ხალხს შენი ხმა უყვარს.

როცა გრგვინვის, მეხთა სროლის  
მძაფრი სიტყვა ითქვა,  
შენ იქ დადექ, სადაც ბრძოლის  
ანგელოზი იდგა.

შევბის კარიც იქ გაიღო  
და გამოჩნდა მაშინ,  
თუ რა დიდი ძალა იყო  
შენს პოეტურ ხმაში.

სად არ იყავ, რა არ ნახე  
შუქნათოვარ გზაზე!

გული დღემდე შეინახე  
შთავგონებით სავსე.

შენს ჩონგურზე ანამლერი  
რამდენია სიმი,  
განბანილი და ნაფერი  
პანგთა ოქროს წვიმით.

ცას შეჰხარი, ლურჯად გაშლილს,  
აყვავებულ მიწას,  
მშვიდობიან ხალხთა კავშირს,  
ჩვენს უდიდეს მიზანს.

ხან იგონებ სიბრალულით  
დიდი გრძნობის გმირ-ქალს  
და უგალობ სიყვარულის  
მარადიულ გრიგალს.

ხან შესცქერი ღამეს უჩვევს  
და მთაწმინდის მთვარეს,  
ხან პარიზის ხედავ ქუჩებს,  
აღებ ლუერის კარებს.

ხან იღვრება ჩუმ დაისში,  
როგორც სუნთქვა წყნარი,  
წყალტუბოდან ქუთაისში  
მიმავალი ქარი.

შენს ჩონგურზე ანამლერი  
რამდენია სიმი,  
განბანილი და ნაფერი  
პანგთა ოქროს წვიმით!

ხოტბას ასხამ მფრინავ მერანს,  
თუ გულისთქმას მდღუარს,  
ხალხი უსმენს შენს სიმღერას,  
ხალხს შენი ხმა უყვარს.

იყავ მუდამ ანთებული  
პოეზიის ცაზე  
და ბოლომდე შეგრჩეს გული  
შთავგონებით სავსე.

## ფ რ თ ე ბ ი

ახალგაზრდებო, თქვენ რომ გიცქერით,  
მშორდება ზამთრის ნაიარევი,  
ვდგავარ უსიტყვოდ და გულისძგერით  
მე თქვენს გაზაფხულს ვეზიარები.

მე მინდა მაშინ ვიმღერო ისე,  
ისეთი გზნებით და მღელვარებით,  
რომ თქვენს ოცნებას სალამი მივცე,  
შევალო თქვენი გულის კარები.

და თუ შევძელი თქვენს გულში კითხვა,  
ისეთი ჰანგის მონახვა მინდა,  
რომ იყოს ლექსის ყოველი სიტყვა  
თქვენი გულივით სუფთა და წმინდა.

რომ თქვენთან დარჩეს იგი ბოლომდის,  
როგორც სიმღერა გულს ჩარჩენილი,  
და ამართლებდეს ის თქვენს მოლოდინს,  
მუდამ თბილი და სხივდაფენილი.

ყოველთვის, როცა თქვენს შორის ვდგავარ,  
მოხუცს ძალღონე მიათკეცდება,  
მეც ახალგაზრდა მომღერალს ვგავარ,  
ოცნებას ფრთები არ ეკეცება.

ბრწყინავს ჩვენი დღე, სინათლით სავსე,  
თქვენ უფრო ნათელ დილას მოვლით,  
ეს თქვენი მზეა სამშობლოს ცაზე,  
ბედნიერების სხივთა მთოველი.

და თქვენც სიმღერით წინ მიიჩქარით,  
გინდათ იხილოთ სივრცე ახალი.

უკვე გამოჩნდა ოქროს ჭიშკარი,  
უფრო კაშკაშა, უფრო მაღალი.

გაშალეთ ფრთები, მწვერვალსაც ნახავთ,  
დღეს ცა და მიწა ორივე თქვენია.  
ასე თამაშად და ასე ლაღად  
ქვეყნად არავის არ უფრენია.

ჰაერს გაარღვევს სიმღერის ხმები,  
თვალეები სხივით აივსებიან.  
ახალგაზრდებო, ასეთი ფრთები  
მფრინავს ზღაპარშიც არ ღირსებია.

სექტემბერი, 1953 წ.

## ს ა ო ქ ო მ ბ ე რ ი

კარს მოგვადგა ოქტომბერი,  
კალთა ზევით აუესია,  
ტყე მოირთო ოქრო-ფერით,  
ზეცა ოქროს აუზია.

ყურძნის ლალზე ცვარი ბრწყინებს,  
ვაშლს ტოტები დაუხრია,  
მთის ფერდობზე მზეს და წვიმას  
ქარვის შუქი დაუღვრია.

ყველგან ოქროს ბანაკია,  
ყველგან ფარჩის ფენებია,  
ეს ქვეყანა ბარაქიან  
შრომას დაუშვენივია.

ჩვენს ბედნიერ ახალგაზრდებს  
ყელი მოუღვრებიათ,  
მათი გული ახალ განცდებს  
ტკბილად აუძგერებია.

მეგობრებო, მესმის თქვენი  
უწმინდესი გულისძგერა:  
ეგ სიმღერა აღმაფრენი  
ოქტომბერმა დაგვიწერა.

ოქტომბერი! ოქტომბერი!  
რა დიადი თარიღია! —  
სინათლეა უქრობელი  
და მომავლის კარი ღია.

ეგ სინათლე ფიანდაზად  
თქვენს სავალ გზას დააჩნდება.

ოქტომბერმა გიანდერძათ  
სიცოცხლე და გამარჯვება.

თქვენ შეგცქერით, თქვენთანა ვარ,  
თვალი მომიჩერებია,  
თქვენი სუფთა ხმის თანაბარ  
ჩანგი ამიუღერებია.

დაირაზმეთ, წინ იარეთ,  
ისწავლეთ და გაისარჯეთ.  
თქვენი საქმე წიგნი არი,  
მხოლოდ სწავლით გაიმარჯვებთ.

და ეს ლექსიც აქ თავდება:  
მიზნად გქონდეთ დასახული  
სიმართლისთვის თავდადება  
და სამშობლოს სამსახური.

7 ოქტომბერი, 1953 წ.

## ლეო ქიაჩელს

დაგინახავ — შეირხევა  
მოგონების ფარდები,  
გაიშლება ჩვენი ყრმობის  
ეკლიანი ვარდები.

როცა მიწას მზე მოსწყურდა  
და სიმათლე მოშივდა,  
როცა ხალხი აბობოქრდა  
ხელში წითელ დროშითა,

შენც იქ იყავ, სადაც გრგვენივით  
ელვამ გაინავარდა,  
ფამმა დაჰკრა და პირველი  
ბრძოლის მეხი გავარდა.

მაგონდება მე იმ დღეთა  
ჯადოსნური ცვლილება,  
ცხრაას ხუთის ქარიშხალთან  
ჩვენი დამშობილება;

სოფლის გზაზე გამოჩენა  
ქალაქელი მგზავრების  
და გუგუნნი საღამო ეამს  
ქველი საყდრის ზარების;

ბათუმიდან მოფრენილი  
დროშის წითლად ფრიალი,  
დიდი კრება, ხალხის ფიცი,  
შენი სიტყვა ფრთიანი...

შემდეგ ისევ ქველი ღამე,  
შავად ჩამობურვილი,

კვლავ ქარიშხლის მოლოდინი  
და სინათლის წყურვილი,

და ბრძოლაში დამარცხებულ  
ამხანაგთა კრებული,  
ქუთაისის ციხის კედლებს  
წყრომით მიბარებული...

შენ მიმართე მაშინ კალამს,  
ბრძოლის ახალ იარაღს,  
სიტყვის ძალით მკურნალობდი  
ხალხის გულის იარაღს.

და იმ გრგვინვის ხმა და ელვა  
ისე კარგად დახატე,  
რომ უდროოდ ჩამქრალ ცისკარს  
საბურველი ახადე.

დიდმა ხანმა გაიარა  
გმირთა სისხლის წვიმაში,  
არ შემკრთალა შენი გული.  
განსაცდელის წინაშე.

და როდესაც ოქტომბერმა  
ყველას გზა გაგვინათა,  
და ასრულდა რაც სამშობლომ  
ბრძოლის ცეცხლში ინატრა, —

შეჰხაროდი შენ ახალი  
დღის კარების გაღებას,  
ხალხის გულში პოულობდი  
გრძნობის ახალ საღებავს.

და გვაჩვენე დილის შუქით  
ცა პირს როგორ იბანდა.  
მიწამ ღრუბლის შავი ჩრდილი  
როგორ შემოიფანტა.

როგორ ჩადგა ეს ცხოვრება  
შრომის დიდ სიამეში

და მზემ როგორ შეანათა  
ბურუსიან ლამეში.

დღესაც დგახარ პირველ რიგში  
კალამდაუშრობელი,  
ჩვენი ქვეყნის დიდებისთვის  
თავდადებით მშრომელი.

თუმცა გაასწარ შვიდ ათეულს,  
ხარ დიდი ხნის ნამგზავრი, —  
არ ეტყობა შენს გულისთქმას  
ნაჩრდილი და ნაბზარი.

კიდევ დიდხანს იყვავილოს  
გრძნობამ გულში ნადებმა,  
კიდევ ბევრჯერ გაგვახაროს  
შენი სიტყვის ნათებამ,

ჩემო სიყრმის მეგობარო,  
ჩემო მკვიდრო ძმობილო,  
უთბილესო,  
უტკბილესო  
გულო კეთილშობილო!

## ხელთ ვაჟას წიგნი მიჭირავს

ხელთ ვაჟას წიგნი მიჭირავს,  
ვაჟას ლექსების კრებული.  
შიგ ქართლის მთები აწყვია,  
ტყეებით ამწვანებული,  
ხშირ ტოტებს რქებით მიაძსხვრევს  
ირემი აყვირებული.

დავაკვირდები სტრიქონებს —  
ჩამდგარა სხივი რამდენი,  
რამდენი ვეფხვი ნადირობს,  
დაფრინავს ქორ-შავარდენი,  
რამდენი კაცი ბობოქრობს,  
ცოდვის და მადლის ჩამდენი!

ვაჟას სიმღერებს ყურს ვუგდებ,  
მოსმენა არ მომწყინდება,  
წიგნს გადავფურცლავ, ვკითხულობ,  
კიდევ წაკითხვა მინდება,  
რამდენს გადავშლი, იმდენი  
არწივი ამოფრინდება.

წიგნიდან შუქი ამოდის,  
მომხიბლა სხივთა ფრქვევამა,  
ხან ალი ამოვარდება, —  
დაანთო ხმალთა ქნევამა,  
ხელს ავიფარებ თვალებზე —  
არ დამაბრმავს ელევამა.

## გავახელ თვალებს

გავახელ თვალებს და მთის კალთაზე  
ვხედავ ყვავილებს, ბავშვებს და ხეებს.  
მადლობის გრძნობით გულში ვათავსებ  
ჩემი სიცოცხლის მადლიან დღეებს.  
ვხედავ — მთის იქით ბევრია კიდევ  
ჯერ გაუშლელი ყვავილის ღერი.  
მე იმ ბაღისკენ მთის ბილიკს მივდევ,  
იმ ყვავილების გაშლაზე ვმღერი.

მესმის გუგუნის მოშავლის ჭართა  
და, შთაგონებით თვალანანთები,  
ვხედავ — შორეულ ლაქვარდის კართან  
წვანან ცისფერი განთიადები.  
მათ უფრო მეტი სინათლე მოაქვთ,  
ჯერ არნახული სიცოცხლის ფერი.  
შვილიშვილებო, ეს თქვენი დროა,  
მე იმ დღეების გაშლაზე ვმღერი.

19 სექტემბერი, 1954 წ.

## სინანული

ხანდახან ფიქრი დამბურავს,  
ეწევარ და არ მეძინება,  
ვიტყვი ცხოვრების სამღურავს  
და ცრემლი დამედინება.

გზას რომ გავხედავ ნისლიანს,  
ჩაექრები, ჩაფიშრიტები:  
გზაზე რომ ყრია — ვისია  
ფრთამოტეხილი ჩიტები?

ნუთუ ეს ჩემი ლექსების  
მწარე ხვედრია ასეთი?  
ამაოდ ვეაღერებ, —  
არ აფრინდება არც ერთი.

მე ამ გზას რისთვის გავყვები,  
ჯადოქარ ხმათა მძებნელი?  
დაეალ და ლექსებს გავყვივი, —  
არეინ მყავს ყურისმგდებელი...

ან ვყოფილიყავ მეურმე,  
ან შავი მიწის მბარველი.  
მე არ მყოლია მეურვე,  
არც ანგელოზი მფარველი.

ვერაფერს გავხდი შზისაყენ  
მუდამ ხელების აშვერით.  
რაც გულს უნდოდა, ისა ვკმენ,  
მაგრამ ამაოდ დავშვერი...

1954. წ.

# პოთხსომეხი



## ქალი სარკეში

თქვენ წინ დგას კედელივით მაღალი და განიერი სარკე.

განცვიფრებული იხედებით შიგ.

თქვენი სახელია გურგენ, გვარი — კამარელი.

ინჟინერი გურგენ კამარელი.

ხართ ახალგაზრდა.

კარგად იცით თქვენი საქმე. გიყვართ ფიზიკა და ლირსეულად ატარებთ მოწინავე იდეების გაუზზარავ ჯავშანს. ხართ ოდნავ პოეტი (რადგანაც ქართული ბრძანდებით) და გაინტერესებთ ასტრონომიით.

გატაცებული ხართ ელექტრონის თეორიით. გულში გინთიათ პატარა ფილოსოფიური სანთელი და კმაყოფილი ხართ, რომ ეს სანთელი საკმაოდ სიძლიერით აშუქებს თქვენი მსოფლშემეცნების დაზინდულ ბილიკებს. კარგად არჩევთ პაწაწინა, ერთფეროვან, ერთსახოვან აგურებს, რომლებიდანაც აშენებულია ჩვენი მრავალფეროვანი, მრავალსახოვანი განუსაზღვრელი მსოფლიო.

დგას თქვენ წინ უზარმაზარი სარკე და თქვენ შიგ იხედებით.

თქვენ ხართ მამაკაცი.

ხომ გაგიკვირდებათ, თქვენი საკმაოდ მოზრდილი და ნაცნობი ცხვირის ნაცვლად სარკეში რომ სრულიად უცნობი მშვენიერი ქალი დაინახოთ?

მე, სამწუხაროდ, ვერ გეტყვით, ვინ არის ეს ქალი.

თქვენ თვითონ მოგიხდებათ ამის გამოკვლევა.

არის კიდევ მეორე პიროვნება: ინჟინერი გუსტავ ვაისმანი.

მგონი გერმანელია. მაგრამ რისთვის ლაპარაკობს ინგლისურად? ვეება სათვალეებს ატარებს შავ ნიღაბსავით.

მართალი გითხრათ, მეზარება შავსათვალეებიანი კაცი: ჯაშუშით გიყურებს თვალეებში, შენ კი ვერ ხედავ მის თვალეებს და არ იცი, გიცინის თუ გემუჭრება!

იქნება ღამით ოთახში შემოგვებაროს, ყელი გამოგლადროს, გაგქურდოს და წავიდეს.

ეზოში სათვალეებს მოიძრობს, სანაგვე ყუთში ჩააგდებს და წა-  
ვა. სულ სხვა სახე აქვს.

შესაძლოა, პირიქით, ძალიან სასარგებლო კაცი გამოდგეს.  
ვნახავთ.

ახლა სიუჟეტი.

უნდა მიმადლოდეთ, რომ საპატიო ადგილი მოგვეცით რომანში.  
ხომ შემეძლო მიმეგდეთ სადმე კუთხეში?

მე თქვენ დაგაყენეთ ჯადოსნური სარკის წინ და შემოქმედების  
ელვარება განთიადის შუქივით ჩავღვარე თქვენს გაოცებულ თვა-  
ლებში. მე თქვენ მოგვეცით იმდენი ძალა, რომ გაფითრებული საბა-  
ოთი შიშით შემოგტყერიტ დაფლეთილ ღრუბლებიდან და არ იცის  
სად დაიშალოს!

და მთელი ეს ამბავი მოგონილია თავიდან ბოლომდე.

მაგრამ მაინც დაწურული ფაქტოლოგიაა.

რადგან ეხება ხვალინდელ საქმეს.

ხვალინდელი საქმე კი, უფრო მეტი რეალობაა და ფაქტი, ვიდ-  
რე გუშინდელი.

ვინაიდან გუშინდელი იყო და გაქრა.

ხვალინდელი მოდის...

თქვენთან საუბარი დიდად სასიამოვნოა, მაგრამ მე უკვე მესმის,  
როგორ მოაბაკუნებს ტროტუარზე პატარა ფეხებს ინკინერი გუსტავ  
ვაისმანი.

ახლავე შედით თქვენს კაბინეტში და უცადეთ. ის თქვენთან  
მოდის.

## I

### ინკინერი ვაისმანი

— ათ საათამდე ნურავის შემოუშვებთ ჩემთან.

— მესმის.

ინკინერი გურგენ კამარელი შედის თავის სამუშაო კაბინეტში.  
მიუჯდება მაგიდას და პორტფელიდან ქაღალდებს ამოაღაგებს.

ღია ფანჯარაში პატარა ეზოდან ახლად გაშლილი ფოთლების  
შრიალით შემოდის თბილისის მზიანი აპრილი.

კამარელი ერთ ქაღალდს გაშლის და წინ დაიდებს. პორტფელს  
განზე გადასდებს, ქაღალდი ინგლისური მანქანით არის ნაბეჭდი.

კითხულობს:

„საქართველოს სს რესპუბლიკის ელსადგურთა გამგეს ინკი-  
ნერ კამარელს.

ჟურნალ „Electricity“-ში წავეყიებთ თქვენი მუშაობის შესახებ. ვინაიდან მეც ამ დარგში ვმუშაობ და დაინტერესებული ვარ თქვენ მიერ აღძრული პრობლემით, გთხოვთ გაიზიაროთ ჩემი დავ-ვირვებანი და ზოგიერთი მიღწევა.

ინჟინერი გუსტავ ვაისმანი.

ჩიკაგოს ელექტრო-ინჟინერთა ასოციაციის წევრი.

1931 წლის 12 აპრილი.

„თბილისი“.

შემდეგ მინაწერი:

„ერთი კვირაა თბილისში ვარ, ჩამოვეყიე ამერიკელ ინჟინერთა დელეგაციას. პასუხისათვის გთხოვთ ნება დამართოთ პირადად გინახულოთ თქვენს ბინაზე 14 აპრილს, დილის ათ საათზე“.

კამარელი დახედავს მაგიდის კალენდარს:

14 აპრილი. საშუაბათი.

დაიხედავს მაჯაზე: ცხრას ოცი აკლია.

ათის ნახევარზე დიდუბის ტრანსფორმატორი უნდა დაეთვალე-რებია, მაგრამ წასვლას ვეღარ მოასწრებს; ბარემ დაუტდის უცხოელ სტუმარს და მერე წავა.

— ვინ უნდა იყოს, ნეტავ, ეს ვაისმანი? — ფიქრობს კამარელი და თითებით შუბლს ისრესს: უძილობისაგან თავი სტყვივა — მთელი ღამე, დილის 6 საათამდე, ლაბორატორიაში მუშაობდა.

რბილი სავარძლის დაქანებულ ზურგზე მსუბუქად დაასვენებს დადლილ სხეულს და ჩაფიქრდება.

ვაისმანი! ახალგაზრდაა უთუოდ: არსად შეხვედრია ამ სახელს ლიტერატურაში. თუ რამ გასაზიარებელი აქვს, სიამოვნებით მოუსმენს... მაგრამ ვინ იცის, იქნება შანტაჟისტი ვინმეა... საბჭოთა ქვეყანაში ამერიკიდან მოსული თანამშრომელი, ისიც ახალი მიღწევების ძღვენი?! timeo Danaos et dona terentes! სიფრთხილეა საჭირო!..

ოთახში დგამ ღია ფანჯრიდან შემოსული გაზაფხულის ნელ-თბილი ჰაერი და ეზოდან ისმის მოოჭრულ მწერების ზუზუნი, თითქო სადღაც შორს ოცნებათა აღმძვრელი ჩონგური წკრიალებდეს...

შემოდის შიკრიკი და კამარელს წინ დაუდებს სადარბაზო ბარათს: Custav Weissnann M. E. E. A. Engineer.

Chicago.

— სთხოვეთ!

შიკრიკი გადის და იმავ წუთს კაბინეტში შემოდის პატარა ტა-

ნის მამაკაცი. აცვია რუხი ფრენჩი და თითქმის ნახევარ ჰირისაზეს უფარავს შავი ღრმა სათვალეები.

— მოხარული ვარ თქვენი გაცნობის, — დაბალი ხმით და უცნაური ინგლისური ენით ლაპარაკობს უცხოელი.

— რა უსიამოვნო სახე აქვს, — ფიქრობს კამარელი და მიესალმება სტუმარს.

დასხდებიან.

— მე თქვენი უცნობი მოწაფე ვარ, — განაგრძობს უცხოელი. — ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენმა გამოკვლევამ ეთერის რეალობის შესახებ. აქედან გამოდის ელექტრომაგნიტური ტალღების თეორიის ახალი მიღწევები. მე ვიცნობ აგრეთვე თქვენს თამამ ჰიპოტეზას კომეტების მოძრაობის შესახებ. მაგრამ ეს ერთი წელიწადია გატაცებული ვარ თქვენი უმავთულო განათების თეორიით.

— ფრიად სასიამოვნოა ჩემთვის თქვენი გაცნობა, — ბუტბუტებს ოდნავ გაკვირებული კამარელი.

— თქვენ არ უნდა გააკვირვოთ ჩემმა განცხადებამ. მე შემეძლო ამერიკაში მუშაობა, მაგრამ ვარჩიე თქვენთან თანამშრომლობა.

მცირე პაუზის შემდეგ უცხოელი განაგრძობს:

შთავარი ის არის, რომ ჩვენ მოვიხზოთ ჩვენი მუშაობისადმი უანგარო ყურადღებას. რა თქმა უნდა, ყველაფერი, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, კაცობრიობის კეთილდღეობისაკენ არის მიმართული, მაგრამ ვიდრე მუშაობას დაეასრულებდეთ, ტეინში არ უნდა გეჩრადენ მომავლურებელ ოქროს საწყაოს, რომლითაც იზომება დღეს ყოველგვარი მეცნიერული და პოეტური აღმაფრენა. ჩვენს ლაბორატორიაში ჩვენ ოქროზე არ ვფიქრობთ!

უცხოელი უცებ დუმდება.

კამარელი გრძნობს გაურკვეველ სიმძიმეს, გრძნობს ზადლაც გულის კუნჭულში, რომ ეს სიტყვები უცხოელის ნამდვილი განზრახვის დასაფარავად არის აფორიაქებული. რა საჭიროა ეს აბდა-უბდა? პირდაპირ თქვას: ამხანაგო! მე სოციალისტი ვარ, საბჭოთა ქვეყნის თანამგრძნობი და მინდა ვიმუშაო საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკაში..

— საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკაში, — უცებ აწყვეტინებს ფიქრებს სტუმარი, თითქო ყური მოჰკრა კამარელის ფიქრთა დენასო, — მდგომარეობა სულ სხვაა! ამას გარდა, თქვენ ჩემი მასწავლებელი ხართ და მეც მინდა ჩემი წვლილი შევიტანო თქვენს საერთო გარჯაში. იმედი მაქვს თქვენს დიდ მიზნებს ცოტაოდენ სამსახურს მეც გაუწვივ!

— ჩემთვის მეტად სასიამოვნო იქნება თქვენი თანამშრომლობა,

თითქოს თავისთვის ამბობს კამარელი. — ჩვენი ქვეყანა დგას დიდი ამოცანების წინაშე. ბევრი რამ არის გასაკეთებელი, დაბრკოლებებიც უამრავია და ასეთს დროს თქვენისთანა ღირსეული მუშაჲი ჩვენთვის მეტად საჭირო და სასურველია.

უცხოელი ყურს უგდებს კამარელს, ზის უძრავად და იატაკს ჩასცქერის.

მე წაგივითხე თქვენ დისერტაცია, ბელგიაში გამოქვეყნებული, — ელექტრონული ენერჯის ცვალებადობა, — უცებ ამართავს უცხოელი თავს და სათვალეების ორ შავ ფინჯანს მიაპყრობს კამარელს. მე ფრანგული სუსტად ვიცი, ამიტომ თქვენს ნაწარმოებს ინგლისური თარგმანით გავცეცანი, რომელიც იმავე წელს დაიბეჭდა ნიუიორკში. — უცხოელი დაუმატებს: — ინგლისურადაც ცუდად ვლაპარაკობ. მაგრამ ეს ჩემი გერმანული წარმოშობის ბრალია... მე ძლიერ დამინტერესა თქვენმა თეორიამ და მას შემდეგ, — ეს იყო ერთი წლის წინათ, — ვმუშაობ თქვენს მიერ დასახული მიმართულებით. — უნდა მადლობა მოგახსენოთ — თქვენმა წიგნმა სწორ გზაზე დამაყენა; მე უკვე მაქვს ერთგვარი მიღწევა, რაც მიმაჩნია თქვენგან შთაგონებულად და თავს მოვალედ ვრაცხ, უწინარეს ყოვლისა თქვენ გაგიზიაროთ ჩემი დასკვნები.

როცა უცხოელი დისერტაციას ახსენებს, რატომღაც ეს ფაქტი კამარელზე დიდ გავლენას ახდენს და ის უფრო თავაზიანად და თითქმის მეგობრულად მიმართავს სტუმარს:

— ჩემი მხრით უმადურობა იქნება არ დავაფასო თქვენი კეთილშობილური ნაბაჲი. ჩემში თქვენ იპოვით გულითად მასპინძელს და მადლიერ თანამშრომელს. ჩვენ არ ვართ განებივრებული უცხოელი სპეციალისტების ასეთი მოპყრობით და მით უმეტეს დასაფასებელია თქვენი უანგარო წინადადება.

— მინდა თქვენთან დავბინავდე და ვიმუშაო თქვენი ხელმძღვანელობით. — ამბობს უცხოელი. — ამჟამად მე „ორიანტიში“ ვცხოვრობ, მაგრამ ჩემი მუშაობისათვის საჭიროა ლაბორატორია. თქვენი პრობლემა უმავთულო განათების შესახებ თქვენ მიერ თეორიულად საკმაოდ დამუშავებულად მიმაჩნია. მაქვს ცოტაოდენი კორექტივი, რომელიც საჭიროებს ლაბორატორულ ცდებს.

როცა საუბარი კონკრეტულ ჩარჩოში ვარდება და ეხება კამარელის ჯერ დაუმთავრებელ აღმოჩენას, მასში იღვიძებს მეცნიერ-ენტუზიასტი, უზომოდ გატაცებული თავისი ახალი იდეით, რომელიც ასე ახლოა, თითქმის ხელშესახები, მაგრამ ჯერ მაინც ხელშეუვალი.

კამარელი წამოვარდება და ნერვიულად ზიარულს დაიწყებს ოთახში.

— თეორიულად დასაბუთებული აღმოჩენა პრაქტიკულად ჯერ ვერ გამოვიყენე. ავანთე სანათური სამი კილომეტრის მანძილზე, მაგრამ მეტიად რთული მიმღები აპარატის მოწყობა შეიქნა საჭირო, რაც ჩემს აღმოჩენას უკარგავს პრაქტიკულ მნიშვნელობას. რადიოს პრინციპი აქ განუხორციელებელია: აუარებელი ენერგია უნდა გაიფლანგოს უმნიშვნელო შედეგების მისაღწევად. ამჟამად მე ვისახავ მიზნად ენერგიის არა რკალური მიმართებით, არამედ პირდაპირი ხაზით გადაცემას.

— აი, სწორედ აქ არის ჩემი კორექტივი, — აწყვეტინებს სიტყვას აღელვებულ კამარელს უცხოელი ინჟინერი. — სწორედ პრაქტიკული მნიშვნელობისათვის საჭიროა ენერგიის, რადიოტალღების მსგავსად, რკალურად გავრცელება, რომ განსაზღვრულ ზონაში ყოველგან შესაძლო იყოს ენერგიის დაცლა.

— ეს იქნებოდა განუსაზღვრელი სივრცის გათბობის უნაყოფო ცდა, — შეედავება კამარელი.

— თქვენ კარგად მოგეხსენებათ, — დამშვიდებით უსაბუთებს თავის აზრს სტუმარი, — რომ დიდხანს იყო გაბატონებული ელექტრომაგნიტური ძალის შორს მოქმედების თეორია. მაგრამ მაქსველისა და ფარადეის შემდეგ ეგ თეორია დამარცხდა. მათ დაამტკიცეს, რომ ელექტრონის არე იმყოფება განსაკუთრებულ მდგომარეობაში. იგი სავსეა ელექტრონული ძალის მბრუნავ ხაზებით. ამ ხაზების მკვრივი მოძრაობით, შეკუმშვა-გაწევით აიხსნება ნივთიერებათა ურთიერთმიზიდულობა და განტოლვა. ელექტრული ცენტრების გარშემო სივრცე ამოძრავებელია ამ ხაზებით და სწორედ მათი უმეშვეო მოქმედების შედეგია მიმზიდველობისა და უაუქცევის მოვლენები.

— სრული სიმართლეა, — ადასტურებს კამარელი.

— ამას მიუმატეთ, — განაგრძობს სტუმარი, ლორენცის მიერ აღმოჩენილი სპექტრის ხაზების დაყოფა, რომელიც დაკავშირებულია მაგნიტური ველის დამაბულობის სიდიდესთან და ელექტრომაგნიტურ ტალღათა ანომალური დისპრესია სინათლის გავრცელების ელექტრომაგნიტური ბუნების თანახმად სინათლის წყაროდ იგულისხმება ატომის შიგნით მოძრავი ელექტრონი. ელექტრული არე და მაგნიტური ტალღები განსაზღვრულ ურთიერთობაში იმყოფებიან. აქ გამოჩნდა ერთი სრულიად მოულოდნელი კანონი, რომელიც აღმოჩენილ იქნა თქვენი თეორიის წყალობით, ეს არის ელექტრული ტალღების მოძრაობის მოჩვენებითი დეგრადაცია.

კამარელი ყურს უგდებს სტუმარს ფერმიზიდილი და უზომოდ გაკვირვებული. იგი გრძნობს, რომ უცხოელი ინჟინრის უხილავი

სკალპელი დაურიდებლად სჭრის მისი ტვინის ყოველ ატომს და განსაკვეთრებული სიცხადით აშუქებს შემეცნების ბურუსში მიმაღულ იღვებს.

— ამ კანონის მიხედვით ელექტრული ტალღა მაგნიტური ღენის არეში იჩენს გასაოცარ თვისებას: გადადის უჩინარ ინერციაში. მედიდხანს ვიმუშავე ამ კანონის ირგვლივ და მივიღე ფორმულა, რომელიც მაძლევს საშუალებას ელექტრომაგნიტური ენერჯიის პასიური ტალღებით გავქვინთო განსაზღვრულ რადიუსის სივრცეში შუქმატარი ეთერი. ეს ტალღები ეთერში იმყოფებიან ნეიტრალურ მდგომარეობაში და არა აქვთ მიდრეკილება გავრცელებენ მათთვის განსაზღვრული წრის გარეშე. თავის პასიურ ყოფაში ეს ენერჯია სრულიად შეუმჩნეველია ფიზიკურ და ქიმიურ პროცესში. მარაგი ენერჯიისა მუდმივად ინერციულია, ვიდრე იგი სპეციალური აპარატის საშუალებით ცოცხალ ენერჯიად არ იქცევა.

— ენერჯიას საიდან ღებულობთ? — აწყვეტინებს სიტყვას კამარელი.

— ენერჯიას იძლევა ჩვეულებრივი ელსადგური, რომელსაც ემატება მაგნიტური აუზის მანქანა. ეს მანქანა ისეა მოწყობილი, რომ იზიდავს ატმოსფეროში უსარგებლოდ გაბნეულ ელექტრობის დიდძალ მარაგს და ინახავს აუზში, ასე ვთქვათ დაკონსერვებულ ელვას. შეიძლება ელსადგურმა მუშაობა შეაჩეროს, ეთერში დაგროვილი ენერჯია კი იმუშავეს, ვიდრე სრულებით არ ამოიწურება. ამით რადიკალურად არის გადაჭრილი თქვენს მიერ დასმული საკითხი უმავთულო განათების შესახებ. ცენტრალური ელსადგური განსაზღვრულ სივრცეს ავსებს ენერჯიით. განსაკუთრებული ელემტრით იზომება ეთერის გაქვინთის ინტენსივობა და რადიუსი. ყოველგვარი მოულოდნელი შეწყვეტა მუშაობისა, რაც თანამედროვე დიდ ელსადგურის უარყოფით მხარეს წარმოადგენს, აქ არავითარ ხიფათს არ შეიცავს. სადგურს შეუძლია იმუშაოს როცა უნდა, ოღონდ ეთერში იქონიოს ენერჯიის პოტენციური მარაგი. სრულიად უვნებელი და უჩინარი, ასე ვთქვათ — მძინარი ელექტროენერჯია შეიძლება გადაყვანილ იქნას კინეტიკურ ფორმაში მხოლოდ განსაკუთრებული აპარატის საშუალებით. ეს აპარატი სრულიად უბრალოა და ადვილად მოსაწყობი.

— რაც შორეულ ოცნებაში ბუნდოვნად მელანდებოდა, თქვენს სიტყვებში ხორცს ისხამს! — თითქოს თავის თავს ესაუბრება გაფითრებულ კამარელი.

— საქმე იმაშია, რომ მძინარე ენერჯიას მაგნიტური ასიმულაციის ერთი თავისებური თვისების გამო, რომლის შესახებ შემდეგ მოგა-

ხსენებთ, ეკარგება მოძრაობის სიმძიმე. ამ მდგომარეობაში ის უფორესად ნეიტრალურია. მაგრამ საკმარისია სადმე მას შეუერთდეს სიმძიმის გამოწვევი წერტილი, რომ იმ მიმართულებით გაექანოს მთელი ეს ენერგია სწორედ ისევე, როგორც პერმეტიულად დაცულ რეზერვუარის ყოველ ზერელს აწვება შინ მოთავსებული აირის მთელი მარაგი. ამ აპარატს ექნება სხვადასხვა ზომა და სახე, იმის მიხედვით, თუ რა სამუშაო უნდა შეასრულოს: განათება, გათბობა თუ მოძრაობა. კერძოდ განათებისათვის საკმარისა ყოველ სანათურს გაუკეთდეს პატარა საათის ოდენა მანქანა. შეიძლება აგრეთვე მთელი სახლის, ან ქალაქის გასანათებლად დამზადდეს ერთი მოზრდილი აპარატის, მხოლოდ ამ შემთხვევაში ასეთი აპარატი შეერთდეს მავთულით სინათლის ყველა წერტილს.

კამარელი დგას უცხოელის წინ გახევებული. ის, რასაც უცხოელი ასე უბრალოდ ამბობს, თავზარდამცემი აღმოჩენაა. ადამიანთა ურთიერთობაში უდიდესი რევოლუციის მომასწავებელი. ეს იყო კამარელის ოცნების საგანი, რომლის განხორციელება მას შემდეგ თაობათა საქმეს მიაჩნდა. მისი მუშაობა უმავთულო განათების პრობლემაზე მცირე რამ ნაბიჯია იმ გოლიათურ ნახტომთან შედარებით, რასაც პირდება მეცნიერებას უცხოელის პროექტი.

— იცით, რაოდენ შესაძლებლობის შემცველია თქვენი აღმოჩენა? — ეკითხება უცხოელს სახეგაფითრებული კამარელი და ნელის ნაბიჯით უახლოვდება მას.

— ყველაფერი, რასაც მე ვამბობ, უკვე მოცემულია თქვენს წიგნში, — დამშვიდებით მიუგებს უცხოელი. — თუ გასანათებლად შეიძლება ენერგიის ცარიელ სივრცეში უმავთულოდ გადაცემა, რად არ შეიძლება იმავე ენერგიის ძრავისათვის გამოყენება?

— მაშ, თუ თქვენი ფორმულა გამართლდა... ეს განსაცვიფრებელი ამბავია... — კამარელი ჩააცქერდება უცხოელს სახეში და მხოლოდ ახლა შენიშნავს, რომ მისი სტუმარი უწვევრულავაშა, როგორც უსააკო ყმაწვილი, თუმცა საერთო შთაბეჭდილებით ის უნდა იყოს არა ნაკლები 25 წლისა.

— მე ეჭვი არ შემდის ფორმულის სისწორეში, — ურყევს დაჯერებით ამბობს უცხოელი, — თუმცა ცდა ჯერ არ ჩამიტარებია, მაგრამ იმედი მაქვს თქვენი ხელმძღვანელობით ეს ცდაც წარმატებით დაგიირგვინდება.

კამარელი გაოცებულია უცხოელის არაჩვეულებრივი თავაზიანობით და ამ გენიალურ აღმოჩენაში საკუთარი დამსახურების გაფგონარი მიფუჩეჩებით. რისთვის აძლევს ასე გოლუხვად ქართველ ინჟინერს ვიღაც უცხოელი მეცნიერი თავისი ბედნიერი აღმოჩენის

პრიორიტეტს? ხომ არ იმალება ამ გადაჭარბებულ თავაზიანობაში წინასწარ მოფიქრებული მზაკვრობა? მაგრამ კამარელი არ არის გარდაუდებული ჭაბუკი, რომ მაცდურმა სიყალბემ თვალბში პატივმოყვარეობის მტვერი ჩაუყენოს. მას კარგად აქვს მომარჯვებული მეცნიერული აზროვნების ისარი. ძნელია ბუნების უჩინარ ძალთა პირველად თვალის შევლება, უცნაურ კანონთა ბნელი ფარდის პირველი შერხევა, ხოლო თუ თვალმა, თუნდაც ბედნიერი შემთხვევის წყალობით, ოდნავ შენიშნა ამ ფარდის გრეხილი, მაშინ აღვილია ფარდის ახლა... უცხოელი არა სტყუის. „მძინარი ენერჯია“ ეს იგივეა, რაც ქვაბში მთვლემარე კინეტიკური ძალა, ატომში ჩაჭვდილი ქარიშხალი... საქმეა ამ ენერჯიის გამოცოცხლება... მაგნიტური გრიგალსა და სიმძიმის ურთიერთობა... ეს ხომ აინშტაინმაც აღიარა, რომ სიმძიმე არის მოძრაობის შედეგი...

— აინშტაინის გენიოსური აზრი, — მეორედ იქერს კამარელის აზრთა დენას უცხოელი, — რომ სიმძიმე მოძრაობის შედეგია...

— ჩემს აზრს კითხულობს! — შიშით გაურბენს თავში კამარელს და უფრო გაფითრდება.

....საჯებით ეთანხმება ჩემს ფორმულას. მაგნიტური დენის აუზი, რომელიც უნდა გაიაროს ეთერში გადაღვრის წინ ელექტროენერჯიამ, ანიჭებს მას თვლემის უნარს, რაც აუცილებელია მისი შენახვისათვის. თქვენ, რა თქმა უნდა, იცით, რომ ამრიგად დაძინებული ენერჯია იმყოფება, ასე ვთქვათ, ლეტარჯიაში, ვიდრე იგივე ძალა, მაგნიტური ელვა, არ გამოიყვანს მას ასეთ მდგომარეობიდან. კამარელი მაგიდას მიუჯდება.

— ჩანს ოცნებაში იხატება ათასი შესაძლებლობა — ხმამაღლა ოცნებობს კამარელი. ერთი დიდი ელსადგური, ან რამდენიმე ელსადგურის კომბინატი ავსებს რესპუბლიკის მთელ სივრცეს მძინარე ენერჯიით... მიწაზე და წყალზე, ჰაერში, მიწისა და წყლის ქვეშ, ბრუნავენ ძრავები, დაჭკრიან აერობლანები. ექსპრესები, გემები, ავტოები, მუშაობენ ქარხნები, ტრაქტორები... საჭირო არ არის არავითარი ზათობი მასალა... ჰაერობლანს შეუძლია წლობით იფრინოს ჰაერში, მიწაზე დაუშვებლად. თუ მფრინავებს საკვები ექნებათ... რადიკალურად გარდაიქმნება კაცობრიობის ცხოვრება...

— მე მიხარია, — ამბობს უცხოელი, — რომ ეს აღმოჩენა პირველად თქვენს ჩვეყანას მოეველინება.

— და ეს იქნება თქვენი პირადი დამსახურება კაცობრიობის წინაშე, — ღიმილით ეტყვის კამარელი და ხელს გაუწოდებს სტუმარს.

— ჩემი დამსახურების ჯილდოდ — ამბობს უცხოელი და კამა-

რელს ხელს ჩამოართმევს, მე მოვითხოვე, თუ თქვენ ნებას დამძრავთაეთ, ერთ სრულიად მარტივ პირობას.

— ბრძანეთ!

— ყველაფერი, რაც ვაკეთდება ჩვენი საერთო მუშაობით, მოგეთვისებათ თქვენ ერთს. ჩემი სახელი, როგორც თანამშრომელის, არ უნდა გამოჩნდეს.

— ჩემის მხრით დაუშვებელი იქნება ამ პირობის მიღება, — ამბობს კამერელი. — მე პლაგიატობას ჩვეული არა ვარ, — დასძენს სიცილით.

— პლაგიატობა მაშინ იქნება, ჩემს უნებურად რომ მიითვისოთ ჩემი ნამუშევარი. ამ შემთხვევაში. ჯერ ერთი, მთელი ჩემი მუშაობა თქვენს თეორეტიულ აღმოჩენაზეა დამყარებული და, მამასა-დამე, თქვენ ითვლებით ზნეობრივად ჩემ მიღწევათა ავტორად; მეორე—თუ რომ ურევია ჩემი საკუთარი ამ მუშაობაში, ჩემი წვლილიც ჩემის ნებით ჩამიბარებია თქვენთვის. სად არის აქ პლაგიატობა? ამასთანავე უნდა გითხრათ, რომ მე მაქვს განსაკუთრებული მიზეზი მოგმართოთ ამგვარი თხოვნით. თავის დროზე თქვენ გაიგებთ, თუ რა მამოკმედეგს მე ამჟამად ასეთი ზიფრთხილით. მერწმუნეთ, რომ არავითარ უღირს განზრახვას აქ ადგილი არა აქვს!

კამარელი უკვე საბოლოოდ რწმუნდება, რომ უცხოელი ინჟინრის სახით მას მოეწოდებოდა ხორცუხსნებელი გამოცანა, რომ ეს იდუმალებით მოკული დარბაზობა მხოლოდ შესავალია მომავალი მოულოდნელობის, რომლის წინასწარი განჭვრეტა შეუძლებელია და უთმობს სტუმარს: პირდება თხოვნის შესრულებას.

— მხოლოდ ერთი პირობით, — დასძენს თავის მხრით კამარელი, — როცა თქვენი საბატიო მიზეზი გამოირკვევა, უნდა გამოსწორდეს ის ბოროტმოქმედება, რომლის ჩადენას მე თქვენ მაიძულებთ.

— თუ ამას საჭიროდ დავინახავთ? — თითქო ილიმის უცხოელი, მაგრამ თვალები შავ ნიღაბში სხედან და ამიტომ ღიმილი უცნაურია: ტუჩებში გველივით გაისრიელბს პატარა თეთრი ელვა და იქვე ნესტოებში ჩაქრება.

## II

### „ლაბორატორია“

ინჟინერი ვაისმანი გადავიდა კამარელის ბინაზე ტრიბუნალის ქუჩაზე, სადაც მას დაეთმო ლაბორატორიის მოსაწყობად ერთი განიერი ოთახი.

ვაისმანმა გადმოიტანა თავისი ბარგიც: ექვსი პატარა და ერთი უზარმაზარი ჩემოდანი.

ორი კვირის განმავლობაში კამარელის განკარგულებით ვაისმანი ამუშავებდა სამ რჩეულ ინჟინერს. ზაპესის მთავარ მაგისტრალიდან გაიყვანეს ლაბორატორიაში ელდენის ზაზი. ვაისმანის ნახაზებით კამარელმა შეუკვეთა ჭარხნებს მრავალი ხელსაწყო და მანქანა. ეზოში ამოაღებინეს ღრმა კა, რომელშიაც ვაისმანმა ჩამარბა რაღაც ფისის მაგვარ წებოთი სავსე სპილენძის გრძელი მილი. ლაბორატორიიდან ამ მილისაკენ გაიყვანა ტყვიით დაფარული ვერცხლის მავთული და შეუერთა სპილენძის მილს ორმოში, ლაბორატორიიდან სახურავზე გაიყვანა ტელესკოპის ობიექტივით მორთული შეიდი მეტრის სიმაღლის ანძა, წყალქვეშა ნავის პერისკოპის მაგვარი.

ორი კვირის შემდეგ ვაისმანმა დაითხოვა ინჟინრები, ჩაიკეტა ლაბორატორიაში, ამოალაგა პატარა ჩემოდნებიდან აუარებელი ხელსაწყო და სხვადასხვაგვარი რთული აპარატი და შეუდგა ლაბორატორიის მოწყობას.

მაისის 15-სათვის ყველაფერი მზად იყო. დილის 11 საათზე ვაისმანმა ლაბორატორიაში მოიწვია კამარელი.

როცა კამარელი ლაბორატორიაში შევიდა, ერთხანს ვერაფერი გაარჩია: ოთახი ბნელით იყო მოცული, როგორც რენტგენის კაბინეტი. ერთ კუთხეში მაგიდასთან იჯდა ვაისმანი, წინ ედგა პატარა შევებაყურინი ლამფა იისფერი შუქით.

— მობრძანდით! — მიესალმა ვაისმანი კამარელს და უცებ განათდა. ოთახი: საიდანღაც შემოვიდა დღის სინათლე და აავსო ლაბორატორია.

კამარელმა შენიშნა, რომ ლაბორატორიას ფანჯრები არა აქვს. იქ, სადაც ოთახს ორი ფანჯარა ჰქონდა, ამჟამად მთლიანი კედელია, რომელზედაც მიკრულია კინოს ეკრანსავით მთელი კედლის ზომის ოთხკუთხი შავი დაფა.

უნებურად თვალებით დაიწყო სინათლის წყაროს ძებნა, მაგრამ ამაოდ.

— ლაბორატორიაში არ ვარგა არც ფანჯრიდან შემოსული მზის სინათლე, არც ჩვეულებრივი ელექტრონის შუქი, — თავაზიანად მიაგება თავისი განმარტება ვაისმანმა კამარელის გაუმკლავებელ გაკვირვებას: აი, აგერ დაბრძანდით. ახლა საქმეს შევუდგეთ!

— ვიდრე ჩემი ფორმულის გაშლას შევუდგებოდე, საჭიროა ელექტრომაგნიტურ ტალღათა დისპერსიის ერთ აქამდის შეუმჩნეველ მოვსებაზე შეეჩერდეთ!

ორი საათი შესრულდა, როცა ცდისათვის ლაბორატორია მზად იყო. კამარელი სავსებით გაეცნო ვაისმანის ფორმულას და გულის ფანჯრით ელოდა ცდის შედეგებს.

მიუხედავად იმისა, რომ კამარელი მთელი თავისი არსებით გატაცებული იყო ახალი აღმოჩენის სიდიადით, მას შეუმჩნეველი არ დარჩა ვაისმანის გაუგებარი განზრახვა: ისე აუხსნა ფორმულის ყოველი დეტალი, რომ უკანასკნელი სიტყვა საბოლოოდ განმარტებული სათვის ყოველთვის კამარელს რგებოდა. გამოდიოდა, რომ ვაისმანი კი არ განმარტავდა ფორმულას, არამედ კამარელი, რომელიც მთელი ამ საიდუმლო სენსის დროს ვაისმანზე მეტს ლაპარაკობდა. ფორმულის ნამდვილი ავტორი მხოლოდ კითხვებს იძლეოდა, ისე მოხერხებულად და ოსტატურად, რომ კამარელი დაუყოვნებლივ პოულობდა საჭირო პასუხს, ხოლო ამ განმარტებებს, როგორც საბოლოო დასკვნა, მოჰყვა კამარელის მიერ ვაისმანის ფორმულის, როგორც საკუთარი ნაზრების, გადმოშლა.

ამუშავდა პატარა მოტორი, რომელსაც მძინარე ენერგიით უნდა იეგსო ათმეტრიანი რადიუსის სივრცე. ლაბორატორიის კუთხეში მაგიდაზე იდგა პატარა უმავთულო ლამფა, სათანადო აპარატით.

სამ საათზე ელმეტრმა აღნიშნა ეთერის საკმაოდ გაყენება.

მოტორი შეაჩერეს.

კამარელი დაჯდა უმავთულო ლამფასთან და ვაისმანმა ოთახში სინათლე ჩააქრო.

ლაბორატორია მოიცვა აბსოლუტურმა სიბნელემ.

კამარელმა ლამპის ფოლაქს თითი დააქირა და ლამპა აენთო თეთრი შუქით...

შემდეგ იქვე პატარა ძრავის ბერკეტი გადასწია და მოტორი ასრიალდა უხმოდ და ბორბალმა ტრიალი დაიწყო.

ცლა გამარჯვებით დამთავრდა.

კამარელი წამოვარდა, გადაეხვია ვაისმანს და გადაკოცნა.

მეორე დღეს კამარელმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში მოხსენება გააკეთა.

საჯარო ცდის მოსაწყობად კამარელს გადაეცა საჭირო თანხა და დაევალა მოსამზადებელი მუშაობის სასწრაფოდ ჩატარება.

ახალი აღმოჩენის შესახებ ღებუშათა სააგენტომ ცნობა გადასცა მთელს ქვეყანას.

ზაქესის ერთი გენერატორი გამოყოფილ იქნა კამარელის განკარგულებაში. ვაისმანმა გენერატორის მახლობლად ააგო პატარა კოშკის მავგარი ქვის შენობა და მოაწყო მაგნიტური დენის აუზი. ამ კოშკს შეუერთა გენერატორის მაგისტრალი. კოშკსა და გენერატორს შუა ააგო ტრანსფორმატორი, სადაც ელდენი მაგნიტურ არეში შესვლის წინ განიცდიდა საჭირო ცვლილებას, მაგნიტის კოშკიდან გამოსული ელდენი შედიოდა განსაკუთრებულის ზრუნვით მოწყობილ აპარატში, სადაც ხდებოდა ვაისმანის ფორმულის რეალიზაცია. ეს აპარატი მოთავსებული იყო ზაქესის მთავარ შენობის გვერდით სპეციალურად ამისთვის ამოთხრილ გვირაბში, გარეშეთათვის სრულიად უჩინარ ალაგას. აქედან სპილენძის მავთული უჩინარადვე გადიოდა მთავარ შენობის კედელში და უერთდებოდა სახურავზე მაღალ ანძას, საიდანაც იღვრებოდა სივრცეში ლეტარგინი. კამარელმა ქარხნებს შეუკვეთა შვიდი ჰაეროპლანისა და ათი ავტომობილის ძრავი. თბილისში ნავთლულამდე და ზაქესის მიღამოებში ააგეს 1.500 მაღალბოძიანი უმავთულო სანათური თითო 10.000 სანთლის შექიანი.

პირველი დია ცდა ჩატარებული იქნა სპეციალისტთა ვიწრო წრის დასწრებით.

ხუთი იენისისათვის მზად იყო ერთი ჰაეროპლანი, ერთი ავტომობილი და სამი სანათური.

სხვათა შორის მოწვეულ იქნა სამი ინგლისელი ინჟინერი, რომელნიც წინააღმდეგ თბილისში ჩამოყენენ მანჩესტერის ფეიქართა დელეგაციას.

დღის 12 საათზე სპეციალისტებმა დაათვალიერეს და შეამოწმეს ჰაეროპლანისა და ავტომობილის მოტორები და სანათურების მოწყობილობა. განმარტებას აძლევდა ინჟინერი კამარელი.

პირველის ნახევარზე ჰაეროპლანში მფრინავის ადგილი დაიჭირა ვაისმანმა და ჩაისვა სამი მგზავრი, მათ შორის ერთი ინგლისელი ინჟინერი. ავტომობილში ჩასხდა ხუთი კაცი, მათ შორის ორი ინგლისელი.

კამარელმა ნიშანი მისცა და... ჰაეროპლანი ასრიალდა ჰაერში და ავტომობილი ნავთლულისაკენ გაექანა.

30.000 სანთლის შექიან სანათურების ელვარება მზის ბინათლეს ეჯობებოდა.

დამსწრეთა გაოცებას და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

გაისმა მუსიკის მწყობრი ხმები და „ვაშას“ გრიალი. პაქოვანაძე  
პაეროპლანმა შემოუარა ირგვლივ თბილისის მიდამოებს და  
ქროლვით დაეშვა იქ, საიდანაც აფრინდა.

ნავთლულიდან დაბრუნდა ავტომობილი...

იყო სრული და უდავო გამარჯვება.

საღამოს გაიმართა თათბირი, სადაც გადაწყდა: იენისის 26-ს, ზაქვისის გახსნის ოთხი წლის თავზე, მოეწყოს „ლეტარგინი“-ს საჯარო დემონსტრაცია და მოწვეულ იქნას უცხოელი სპეციალისტები.


თბილისი დიდი აღფრთოვანებით ემზადებოდა 26 იენისის ზეიმისათვის. ზაქვისის ეზოში ააგეს უზარმაზარი ესტრადა ორკესტრისა და გუნდისათვის, იქვე მოეწყო პაეროპლანებისთვის პატარა პაეროდრომი. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე თბილისამდე და დიდუბის ველზე აშენებულ იქნა ხის ფარდულები ხალხისათვის საჩრდილებლად და დადგმულ იქნა ასი ათასი კაცისათვის საკმაო სკამები. შიგადაშიგ მოეწყო დარბები ხალხისათვის წყლისა და სანოვავის მისაწოდებლად. თბილისში ზეიმის დღემდე ორი კვირით აღრე განთავისუფლდა მდგმურთაგან ყველა სასტუმრო ზეიმზე მოწვეულ სტუმრებისათვის.

ევროპის და ამერიკის პრესაში დიდი სენსაცია გამოიწვია საქართველოს დეპეშათა სააგენტოს ცნობამ ცდის შედეგის შესახებ. ამ ცნობის სინამდვილეს საბჭოთა ქვეყნისადმი სკეპტიკურად განწყობილ ევროპის მეცნიერებს ურყევად უდასტურებდა სამი ინგლისელის დებუებები და წერილები. ისინი გადმოსცემდნენ ცდის ყველა დეტალს, დაწვრილებით აღწერდნენ შედეგს და აღფრთოვანებით ულოცავდნენ ქართველ მეცნიერებს დიდ გამარჯვებას.

იენისის 24-ს უკვე თბილისში იყვნენ ჩამოსულნი უცხოელი სპეციალისტები, სხვადასხვა მეცნიერულ ასოციაციათა და ორგანიზაციის წარმომადგენლები, აგრეთვე მუშათა ორგანიზაციების დელეგატები. ზეიმის წინაღლით ჩამოვიდნენ საკავშირო რესპუბლიკის ყველა სამეცნიერო და სამრეწველო ცენტრის წარმომადგენლები. თბილისი გაივსო სტუმრებით.

ზეიმის დღეს, დილის 11 საათზე, უკვე ყველა მოედანი ხალხით იყო გაჭედილი. მცხეთიდან ნავთლულამდე გუგუნებდა გაურღვეველ ღვარებად მომსკდარი ხალხის თვალუწვდენი ზღვა, აქრელებული ათასი ფარდულით, უამრავ ნოხებით, ნეშოთი და ქოლგებით. ქართული ჯარის ნაწილები ცალკე რაზმებად დაყოფილი, გადაულახავ ჯებირებად იდგნენ ამ ზღვაში და იცავდნენ მიმოსვლის წესრიგს.

შეიდი შავად შეღებილი პაეროპლანი და ათი წითელი ავტომობილი მწყრივებად იდგა ზაქვისის პაეროდრომში.



ინჟინერ კამარელის განკარგულებით უცხოელ სპეციალისტების თვალწინ მოხსნეს მორტორები და სათანადო შემოწმების შემდეგ ისევ მანქანებში ჩასვეს.

გასინჯეს ელმეტრი: უჩვენებდა — ენერგიით კონცენტრაციის ზრდას.

12 საათზე თბილისმა ზარბაზნის გასროლით სიგნალი მისცა ზემის დასაწყისს.

ზაპესის შენობის მაღალ ანძაზე აეარდა წითელი დროშა და 700 კაცისაგან შემდგარმა ორკესტრმა და გუნდმა ინტერნაციონალი შეასრულა.

ინტერნაციონალის პირველს ხმებზედვე აშრიალდა ჰაერი და პირველი ჰაერობლანი შავ არწივივით აფრინდა ცაში. მას მიჰყვა მეორე, მესამე და რამდენიმე წამის განმავლობაში თბილისისაკენ მიჰქროდა, გარდამავალ წერობებივით გამწვკრივებული, შვიდი შავი ფრთოსანი. აღარ ისმოდა ძველი ჰაერობლანების გამაყრუებელი გრილი, მხოლოდ რბილი გუგუნვი რჩებოდა ჰაერში. მცირე ხნის შემდეგ წითელი ავტომობილები გველებივით გასრიალდნენ ვხატკეცილზე.

ალტაცებისა და გოცების გრივალმა შეარყია ხალხი. მცხეთიდან ნავთლულამდე ბობოქრობდა მილიონთავიანი ზღაპრული დევი. ზარბაზნების რაზმი, თოფხანის მთაზე ჩასაფრებული, ისევ აგრი-აღდა. ორკესტრებისა და გუნდების მრავალშტოიანი ნაკადები მშვილით იქრებოდნენ ამქუხარებულ სიფრცეში. ხალხი ჰგავდა უეცრად აღელვებულ ზღვას და ზღვაზე თითქო მძვინვარებდა გამ-აფრებული შტორმი.

როცა ჰაერობლანმა თბილისის შეავული რკალი მოზღუდეს, მათ შუა ამოტივტივდა თავისუფლების მოედნიდან აშვებული უზარმა-ზარი თეთრი აეროსტატი, მაღალტარიანი ვეება წითელი დროშით კონუსისებური თეთრი ბუშტი თანდათან ზევით იწევდა და მიაფრი-ალებდა წითელ დროშას, თითქო დროშადარტობილი მყინვარის თავი მოსწყდა მთაგრეხილს და ცაში აფრინდაო. შავი ჰაერობლანების რკალი ფერხულს უვლიდა დროშის ირგვლივ და მყარიონ-ნივით მისდევდა ფუტკრის დედასავეთ მზიან ცაში ავარდნილ წითელ ხავერდს.

როცა დროშამ მიადწია საკმაო სიმაღლეს, მყარიონს გამოეყო ერთი ჰაერობლანი, დაეწია მას და ფრთის ერთი აქნევით წინაწარ მომზადებული მარყუშით ზურგზე მოიგდო ჰაეროსტატი; მფრინავ-მა იმ წუთსვე გახსნა სარქველი და აირ-დაფშუკული ბუშტი თეთრ ზოლად დააწვა შავ ჰაერობლანს. მიჰქროდა ჰაერობლანი ზაპესი-

საკენ და გადაჭრილ ცისარტყელსავეით მოაფრიალებდა ორმოცდაათმეტრიანი წითელი ზავერდის დროშას. ექვსი პაერობლანტი წყებად უკან მისდევდა შოწინავეს.

პაერობლანტები დაეშვნენ ზაქესის პაეროდრომზე და ზარბაზნების გრიალიც შეწყდა.

გაიმართა მიტინგი.

პირველი სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეზე, რომელმაც დაუჯავშირა ქართველი ინჟინერის უდიდესი მიღწევა საბჭოთა ქვეყნის უმაგალითო აღმშენებლობას.

შემდეგ გამოვიდა ინჟინერი კამარელი. საზოგადოება მას ტაშისა და ვაშის გრგვინვით მიეგება.

კამარელმა მორცხვად აღნიშნა, რომ მისი მიღწევა უფრო ბედის საქმეა, ვიდრე მისი პირადი დამსახურების, რომ მას საქმეში ჰყავს თანამშრომელი, რომელსაც ჯერჯერობით შეუძლია უწოდოს მხოლოდ ბედნიერი შემთხვევა.

ხალხმა კამარელს ოვაცია გაუმართა და მისი სიტყვები მეტისმეტად თავმდაბლობისა და მორცხვობის გამოხატულებად ჩასთვალა.

ილაპარაკეს სხვადასხვა ქვეყნის დელეგატებმა. განსაკუთრებით აღფრთოვანებული სიტყვა წარმოსთქვა ეურნალ „Electricity“-ს წარმომადგენელმა.

სამ საათზე მიტინგი დასრულდა.

სალამოს სადღესასწაულოდ გაჩაღებული თბილისი განაგრძობდა ზეიმს. სრულ ათ საათზე მოულოდნელად ჩაქრა ყველგან ელექტრონის შუქი და ერთი წუთით მთელი ქალაქი მისი აფუგუნებულ ქუჩებით არაჩვეულებრივმა სიბნელემ შთანთქა. წუთიც... და თითქოს ღამის ცა გასკდა და მზე გამოჩნდაო, 1.500 მაღალ ბოძზე აერთო 15 მილიონშუქიანი სანათურები და ქალაქსა და მის მიდამოებში დღის სინათლე ჩაიღვარა.

კამარელის გამარჯვებამ დიდი სენსაცია გამოიწვია მთელს ქვეყანაში.

სპეციალისტებმა ახლა იკადრეს ხმის ამოდება და აუარებელ გამოკვლევებს ბეჭდავდნენ ახალი აღმოჩენის შესახებ. ეიროპა და ამერიკის ფიზიკურ ლაბორატორიებში გაჩაღდა ცხარე მუშაობა, რათა ფარდა აეხადათ კამარელის აღმოჩენის საიდუმლოებისათვის, მაგ-

რამ გამოცანა აღხსნელი რჩებოდა. საბჭოთა ხელისუფლებმა სასტიკ საიდუმლოებაში ინახავდა კამარელის აღმოჩენას და ემზადებოდა ახალი მეცნიერული ძალწვევის ქვეყნის ასაღორძინებლად გამოყენებისათვის.


მეცნიერთა ციებ-ცხელებას მოჰყვა პოლიტიკური პრესის ახმაურება. ლიბერალურად განწყობილი გაზეთები მოითხოვდნენ საბჭოთა ხელისუფლებასთან დაუყოვნებლივ მოლაპარაკების გამართვას. „თუ საბჭოთა მთავრობას, — სწერდნენ ისინი, — რაიმე აგრესიული განზრახვები არ დაუკავშირებია ახალ აღმოჩენასთან, იგი უთუოდ დამტკიცებს კაცობრიობისადმი თავის ღოილობას და მთელს ქვეყანას გაუზიარებს მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენას“. უფრო „მაგარი“ პოლიტიკის გაზეთები აშკარად მოითხოვდნენ ამ „საშიშ“ აღმოჩენისაგან საბჭოთა ქვეყნის განიარაღებას. „სად არის გარანტია, — სწერდა პარიზელი „Matin“, — რომ მოსკოვი არ გამოიყენებს ამ აღმოჩენას წითელი იმპერიალიზმის სამხედრო ძლიერებისათვის. არაიენ იცის, რა სიურპრიზებს გექადის ეს აღმოჩენა სამხედრო ტექნიკის დარგში. ბავშვური უფიცობისა და ყაჩაღური ინსტინქტის ძლევამოსილი კავშირი, რომელსაც საბჭოთა პოლიტიკა ეწოდება, ცუდი მასპინძელია გენიოსური აღმოჩენის ორღესული მახვილისათვის. ვიდრე გვიან არ არის, საჭიროა ბავშვსა და ყაჩაღს ჩამოერთვას ბასრი დანა, რომელიც მას ბრმა შემთხვევამ ხელში ჩაუგდო!..“

პრესის განგაშმა უფრო იმატა მას შემდგომ, როცა ერთმა ამერიკელმა ინჟინერმა გამოაქვეყნა წერილი: „რას უნდა ველოდეთ?“, სადაც ის ამტკიცებდა, რომ მოსკოვს შეუძლია „ლეტარგინით“ დატენილი უზარმაზარი ყუმბარა-ბანქანების გადმოსროლა განუსაზღვრელ მანძილზე. „საშინელება იმაშია, — წერდა ინჟინერი, — რომ ასეთ მფრინავ ყუმბარების წინააღმდეგ შეუძლებელი იქნება რაიმე ზომის მიღება. ეს იქნება ხელოვნური მეტეორიტი, გაცილებით უფრო საშიში თავისი განანადგურებელი მოქმედებით, ვიდრე ცოდან ჩამოვარდნილი ქვა“.

### III

#### მოულოდნელი აღმოჩენა

კამარელმა მთელი აგვისტო დაჰყო მოსკოვში, სადაც გაატარა სათანადო ორგანოებში მის აღმოჩენასთან დაკავშირებით მისაღები ღონისძიებანი.



სექტემბრის პირველს. წამოსვლის წინა-ღღეს, თბილისში ილო შემდეგი დეპეშა:

„ორ სექტემბერს მივიღივარ როსტოვს ტრანსფორმატორების დასაკეთად. ათს დაებრუნდები. თუ მანამდე ჩამოსხვალთ, ხუთ რეგულატორს ჩემს ლაბორატორიაში იპოვით. თორმეტი თბილისის ქარხანას შეუკეთეთ.“

„ვაისმანი“.

ვაისმანის პირველი შეხვედრის დღიდან ასეთი სისწრაფით ჩაიჭროლა ხუთმა თემმ, იმდენმა მოულოდნელმა განცდამ განაათა ეს საოცარი ამბებით დატვირთული დრო, რომ კამარელს აღარ ჰქონდა საშუალება რამდენიმე წუთით დაფიქრებოდა საკუთრველი თანამშრომლის ბევრ უცნაურობას. მის წინაშე იდგა ვაისმანი, როგორც ძნელად ასახსნელი ამოცანა და გაურკვევე შიშის მომგვრელი გრძნობა დროდადრო ელვასავით გაჰკრავდა მას, მაგრამ აღტაცების ერთილით აფრენილი დღეები არ აძლევდნენ მის გონებას მოცლას, რომ მეტის სიღრმით ჩასწვდომოდა ამ ფაქტს. დეპეშით გამოწვეულმა მღელვარებამ კვლავ ამართა მის წინ ეს შავი რებუსი და გამარჯვების გრიალისაგან ოდნავ დაღლილი მისი გონება დაუბრუნა გულის მჩხვლეტავ ეპიკებს.

მთელი გზა მოსკოვიდან თბილისამდე ბურუსიან ფიქრებში გაატარა.

სექტემბრის ხუთს კამარელი თბილისში იყო.

უჩვეულოდ აღელვებული შევიდა ის ლაბორატორიაში, სადაც ყოველთვის განიცდიდა აუხსნელ მღელვარებას. ახლა კი, როცა ვაისმანი იქ აღარ ეგულებოდა, მღელვარებას თან ერთვოდა დაუთრგუნავი გრძნობა გაურკვეველ მოლოდინისა.

ინათა.

კუთხის მაგიდაზე ეწყო ხუთი რეგულატორი.

კედლის ეკრანზე შავი ხავერდის ფარდა იყო ჩამოფარებული.

კამარელი მივიდა ფარდასთან და ზონარს ჩამოსწია.

ფარდა შუა გაიყო, როგორც სცენაზე.

გამოჩნდა შავი სარკის მაგვარი დაფა, რომელიც კამარელს წინათაც ბევრჯერ ენახა.

დაფის ერთ კუთხეში მან შენიშნა პატარა ყუთი, ადამიანის სიმაღლეზე მიმაგრებული. წინათ ეს ყუთი მას არ შეუნიშნავს.

კამარელმა გააღო ყუთი: შიგ აღმოჩნდა პატარა ბარომეტრისებური აპარატი ბორბლით, ზარით და ხუთიოდე სანტიმეტრის სიგრძე ნიკელის ტარით.



ტარი ფრთხილად დასწია. ბორბალმა ტრიალი დაიწყო და წუთს ხარმა დაიწვრიალა.

თვალი გააყოლა ყუთიდან კედელზე გაკრულ მავთულს: ზემო კუთხიდან დაფის პირდაპირ მეორე კედელზე გადიოდა და იქ უერთდებოდა მრიცხველის მსგავს პატარა ოთხკუთხ მანქანას.

ორიოდე წუთს ათვალიერებდა ამ მანქანას, რომ გამოერკვია მისი დანიშნულება.

უცებ ზურგს უკან ხარმა მეორეჯერ დაიწვრიალა.

კამარელი მობრუნდა დაფისკენ და... გაკვირვებისაგან ელდა ეცა.

დაფაში, როგორც განათებულ სარკეში, იდგა ახალგაზრდა უცნობი ქალი და გაოცებული თვალებით შესცქეროდა კამარელს.

კამარელმა თვალი მოაგლო ლაბორატორიას. თითქოს ეძებს სარკეში გამოშკრთალ ქალის ორიგინალობასო, მაგრამ დარწმუნდა, რომ დაფა სარკე არ არის და შიგ ჩასახული სურათი მის მიღმა არსებობს.

კამარელი უეცრად მიხედა, რომ ეს არის შორეული ხილვის ეკრანი, რომლის გარშემო დიდი ხანია მეცნიერები მუშაობენ, მაგრამ ასეთი შედეგისათვის ჯერ არაფის მიეღწია.

ცოტა გულს მოეფონა: ალბათ აქ არის ვაისმანის საიდუმლოების გასაღები.

ამ დროს ქალი მიტრიალდა და ოთახის კარი მიხურა. მხოლოდ ახლა შენიშნა კამარელმა, რომ ეკრანს იქით სულ სხვა ოთახია: უფანჯრო კედლები უცნაური ფოთლებით და ყვავილებით ახატული; შუა იატაკზე პატარა სამკუთხი მაგიდა, ირგვლივ სამი მაღალზურგაანი წვრილი ხის სკამი. ეკრანის წინ გრძელი დივანი, შუაში ამართული ზურგით.

ქალს ეცვა რაღაც გამჭვირვალე ქსოვილი, რომელიც ფერს იცვლიდა სხეულის ყოველ შერხევაზე. არ ჰგავდა ქსოვილს: ქალს თითქო ცეცხლის ალივით ეხვეოდა თხელი შუქი, ფარავდა და არც ჰფარავდა სხეულს. თმაც ალივით დვლავდა და ქალის სახეს ძველ წმინდანის ფრესკივით, შუქის შარავანდები ევლო გარს.

ქალი მობრუნდა და ეკრანთან დივანზე ჩამოჯდა, ხელით ანიშნა კამარელს დაეჯდარიყო.

კამარელმა ეკრანთან მისწია სკამი და დაჯდა.

ქალი თვალმოურიდებლად ჩასცქეროდა კამარელს, თვალებიდან თვალებში გაეზა ორი უხილავი სხივი და დაჰქროდა ამ სხივებში ტყბილი შიშის და სანეტარო გაოცების ყრუანტელი.

კამარელი გრძნობდა, რომ მისი სულის საწყაო ივსებოდა უცნო-



ბი, წარმოუდგენელი ელვარებით და რაც მეტს უცქეროდეს, მისი ცარი ჩვენებას, მით უმეტესი გამძაფრებით ექდებოდა მისი თვალები სარკეში მოკიაფე ორ უნახავ ვარსკვლავს.

ძნელი იყო ქალის სახის დაჭერა: ორი თვალი, რომლის მსგავსი არაფერი უნახავს კამარელს, ორ მნათობივით ენთო ქალის სახეზე. ხან თითქო საშინელი მწუხარებისა და ხან უნაპირო სიხარულის გამომსახველი თვალები ფერს იცვლიდა ქალის უცნაურ სამოსივით ნამიან წამწამებში.

ამ ყოფაში გაატარა კამარელმა რამდენიმე გრძელი და მწვევე წუთი.

როცა ოდნავ გონს მოეგო, სცადა გარკვეულიყო.

ცხადია, ეგ არის ვაისმანის საიდუმლო. მაგრამ ვინ არის ეს ქალი? სადაურია? საიდან მოხიდა ჯადოქარ ინეინერის მიერ გაცემულმა ეკრანმა ეს საოცნებო არსება? რომელ ქვეყნიდან? ქალი არ ჰგავს არც ამერიკელს, არც ევროპელს.

კამარელი უცებ წამოვარდა, ქაღალდზე დაწერა ინგლისურად, ფრანგულად და გერმანულად: „სადაური ხართ? რა ენაზე ლაპარაკობთ?“ და ქალს გაუშალა ეკრანის წინ.

ქალმა გაიღიმა. (კამარელს გულში თითქოს ანთებული ჩირაღდანი ჩაუსვენესო). წამოდგა, მაგიდიდან აიღო პატარა შავი კამათელის მსგავსი ოთხკუთხი რამ, ჩასდო განიერ თხელ კამერაში და კამარელს უჩვენა.


კამერის შავ ჩარჩოზე თეთრი წარწერა გამოჩნდა. რამდენსაც არ აკვირდებოდა კამარელი, ვერ ვაერჩია, რა ენაზე იყო წარწერა:

კამარელმა სცადა ხელების და სახის მოძრაობით ეცნობებოდა ქალისათვის, რომ ვერ გაარჩია ნაწერი.

ქალმა დაფა მაგიდაზე დასდო, მობრუნდა და ხელებით რაღაც აუხსნა კამარელს: ჯერ თითი თითს გადააჭდო ჯვარედინად, მერე მარჯვენა ხელი ჭერისკენ ამართა, შემდეგ უკანა კედლისაკენ გაიშვირა. მერე მოტრიალდა და კედელთან მიდგა. უცებ კედელი გაიხსნა და გამოჩნდა ნარინჯისფრად შეფოთილი ბაღი და ჩამავალი, თუ ამომავალი მზე.

კამარელმა საათს დახედა: დილის 11 საათი იყო. დაიწყო სწრაფად მოაზრება, თუ რომელ ქვეყანაშია მზე ახლა ამომავალი ან ჩამავალი: ამოდის აფრიკაში და საბჭოთა კავშირის დასავლეთ მხარეზე... ჩაღის წყნარ ოკეანეზე... მაგრამ წითლად შებურვილი ბაღი ადრე ვახაფხულზე... უფრო მოსალოდნელია აფრიკაში.

ქალი მიბრუნდა და კამარელს ხელით მზე ანიშნა, დახურა კედ-



ლი, გაიღიმა, ხელები ფრთხილად გაასაგსავე და ეკრანის კუთხეში ტარს ჩამოსწია.

უცებ ჩაქრა ეკრანი და კამარელსაც გულში ძაფი ჩაუწყდა. შავად გაპრიალებული დაფა გულგრილად ამტკიცებდა, რომ მოჩვენება გათავდა.

კამარელმა დაკეტა ეკრანის ყუთი და ოთახში ნერვიულად სიარული დაიწყო.

ვაისმანის საიდუმლოებას იმთქოს მიავსო, მაგრამ თვით საიდუმლოება უფრო ბურუსით მოცული შეიქნა. რა დამოკიდებულება აქვს ვაისმანს ამ ქალთან? სად არის ამჟამად ეს ქალი და ვინ არის იგი? ტყვედ ხომ არ ყავს დამწყვდეული სადმე ამ ახალი ტიპის მაგიის მოციქულს მშვენიერი არსება, რომ ქალის პატრონს ზღაპრული ჯილდო დასტყუოს? ან იქნება უარყოფილმა სიყვარულმა იმდენად გაამხეცა ძღვევამოსილი მეცნიერი, რომ სადმე მიუფალ კუნძულზე ჩამარხა მისთვის ურგები ძვირფასი საუნჯე და დაუტოვა მთელ ცის ქვეშ მხოლოდ ერთი ფანჯარა, ეს თილისმისანი ეკრანი, რომ განრისხებულ მიჯნურის მეტს არავის შეეძლოს მისი ნახვა!..

დიდხანს ფიქრობდა კამარელი, ათასგვარ ახსნას ეტანებოდა მისი აბორგებული გონება, მაგრამ ვაისმანის ბნელ საქმეს ნათელი ვერ მოჰქვინა.

— საჭიროა ოდნავ დამშვიდება, რომ ფხიზელმა გონებამ ასწონოს ეს აუტანელი ტვირთი, — გაიფიქრა ბოლოს კამარელმა, დააქრო სინათლე, დაკეტა ლაბორატორია და გარეთ გავიდა.

ქუჩის პაერმა, ნაცნობების მისალმებამ და ქალაქის ჩვეულებრივმა მოძრაობამ კამარელი თანდათან რეალობას დაუბრუნეს.


ქვეითად გაიარა ჭავჭავაძის ქუჩა და რუსთაველის გამზირი.

ახავთებული გრძნობა წელიწადს დასცხრა, მაგრამ სარკეში მოთლოდნელად აელვებულ ქალის სახე არ შორდებოდა.

თანდათან ჩალავდა გონებაში ამ უცნაური მოვლენის ბუნებრივი ახსნა.

ვაისმანი დიდი მეცნიერია. რა გასაკვირია, რომ მას ასე ბრწყინვალედ გადაუჭრია შორეული ხილვის მაცდური პრობლემა? ვინა მისი „ლეტარგინი“ ნაკლები გენიოსობის უცნაურებაა?

და სადღაც გულის შორეულ პერიფერიაში ნემსმა უჩხელიტა. ეს გაზვიადებული ადელეება, ბავშვური გაცემა და თითქმის მისტიური შიში იმის ბრალი ხომ არ არის, რომ მეცნიერულ აღმოჩენასთან დაკავშირებულია მშვენიერი ქალი? რამ უფრო ადელევა კამარელი: ეკრანი თუ ქალმა?



კამარელმა მოკლედ შეკრევილ უღვაშებში ჩაიციხა: ესდ...  
 „სახელოვან მეცნიერს“, რომ სარკის აჩრდილს აედევნოს.

ვიდრე სასახლეს მიიღწევდა, მან უკვე საესეებით დაიურვა ასე უტბად ასხლელი გრძობიერება, რომელიც გახედნილი რაშივით ლაგამამოდებული ბორგავდა მუდამ კამარელის არსებაში, მეცნიერული სიღინჯით დათასმული.

სასახლის კიბის საფეხურს ისე მარდად შეახტა, თითქო გაქანებულ უზანგში ფეხი მოიმაგრაო.



ღამით შინ გვიან დაბრუნდა.

დღეს ბევრი იმუშავა და მისი ვაჟკაცური ჯანით საესე ტენი კმაყოფილი იყო. როგორც ჯანსაღ ბავშვივით მოძრაობდა და განუწყვეტელი ფუსფუსი საამური მოთხოვნილება, ისე კამარელისათვის მოზღვავებული ენერჯის დაუცხრომელი ხარჯვა წარმოადგენდა აუცილებელ სტიქიას, რომლითაც იგი სუნთქავდა, როგორც ჰაერით.

დღესაც ჩვეულებრივის გატაცებით უტრიალებდა თავის საყვარელ საქმეს, მაგრამ თითქო რაღაც ახალი მიემატა მის მუდმივ აღფრთოვანებას. სადღაც გულის მივარდნილ კუნჭულში იდგა ანთებული სარკე, საიდანაც ელადა უცნობი ქალის მომაჯადოებელი მშვენიერება. გაცხარებულ საქმიანობაში, მწვავე კამათის თუ დინჯი გაახრების დროს, კამარელის შინაგანი ჰერეტის თვალი განუწყვეტლივ ჩასცქეროდა სარკეში მოელვარე ჩვენებას და გადაჰქონდა ქვეშემეცნების ფარულ არეში გაოცების, სიყვარულისა და იმედის უხილავი ფრთები.

მაგრამ ყველაფერი ეს შეუმჩნეველი იყო კამარელისათვის და მის ღია თვალებში ძველებურად ენთო დაჯერებული ქმედობის ენერჯია.


ტანთ ვაიხადა. დაწვა. სიამოვნებით დაასვენა ლოგინზე სიჩუმისა და სიმშვიდის მოწყურებული სხეული.

შუქი ჩააქრო.

და უცებ წარმოუდგენელი სიცხოველით იელვა ეკრანმა და კამარელის თვალწინ აენთო უცნობი ქალის ნაცნობი სახე.

კამარელი წამოხტა და შუქი აანთო.

მოჩვენება გაქრა, მაგრამ კამარელის გულში კატასტროფა მოხდა: დღევანდელი მოჩვენებითი სიმშვიდე და გარეგანი თავდა-



კერილობა დაფხრიწა მოულოდნელმა გაელვებამ და სულწარმოდ წონასწორობა დაარღვია. იგი კვლავ შეიპყრო მოელვარე მოლოდინის მოუსვენარმა გრძნობამ და გულმა, სისხლის ნაცვლად ცეცხლის ალით გაუბერა ძარღვები.

ხალათი ჩაიცვა და ფანჯარა გამოაღო.

სიწყინარე იყო ირგვლივ, ისმოდა შორი გუგუნი დაგვიანებული ტრამეისა და ცარიელ ქუჩაში აჩქარებულ ავტომობილისა.

მთაწმინდიდან გრილმა ნიავმა დაჰქროლა.

კამარელი მიეყრდნო ღია ფანჯრის ჩარჩოს და უბრძოლველად დანებდა აუტანელი აღტყინების ძლევამოსილ ქარიშხალს. შავარდენმა ერთის დაკვრით აიტაცა გნოლი და ცაში ააფრინა...

კამარელი იყო 30 წლისა. თბილისში უმაღლესი სკოლის დასრულების შემდეგ იგი უცხოეთში იქნა გაგზავნილი სპეციალური განათლების მისაღებად. დიდი წარმატებით დაამთავრა ბელგიაში ფიზიკო-მათემატიკური ინსტიტუტი, შემდეგ ორ-ორი წელიწადი იმუშავა გერმანიასა და ინგლისში და საქართველოში დაბრუნდა უკვე საკმაოდ სახელმწიფოებრივი მეცნიერი... აქ მთელის ენერჯით ჩაება საქართველოს ელექტროფიკაციის საქმეში და თავდავიწყებით მუშაობდა. ცოლი არ შეურთავს, რადგან ამაზე არასოდეს არ უფიქრია. ყოველთვის, როცა ქალთან შემთხვევითი კავშირი მოვალეობათა მოსაწყენ ბურუსში ეზიდებოდა, ინტიმობის ხალას სიტყბობებს, მოულოდნელი რამ გარემოება სწორედ დროზე არღვევდა ამ კავშირს ყოველგვარი უსიამოვნო პრეტენზიების აცილებით. დარწმუნებული იყო, რომ ქალთან დამოკიდებულების საკითხი არასოდეს არ განდებოდა მისი სერიოზული ყურადღების ღირსი. იგი მთელი თავისი არსებით ეკუთვნოდა მეცნიერებას, შემოქმედებას, და მისი ღრმა რწმენით ოჯახი დღევანდელს პირობებში ხელს შეუშლიდა მის ნაყოფიერ მუშაობას. ასეთ მშვიდ სულიერ განწყობილებაში გრიგალივით შემოიქრა ჯადოსნური ეკრანიდან ამოვარდნილი ქალის სახე და საშინელი გამძაფრებით დასკიმა მისი აცახცახებულ ნერვები. კამარელის არსებაში მოხდა მოულოდნელი გარდატეხა. რამდენიმე საათის განმავლობაში ასეცად უფრო გადიდებული მსხვერპლის მიტანით გამოისყიდა მან სიყვარულის გრძნობის წინაშე მისი ახალგაზრდული დაუდევრობისა და ნებივრობის უნებლიე შეცოდება. შური იძია დაუშრეტი წყურვილის მარადიულმა ძალამ და თავდაპირველ მეცნიერს მოულოდნელად მოუვლინა მარადისობის ფანჯრიდან თავბრუდამსხმელი ჩვენება. მეცნიერი ძლეულ იქნა

სავსებით. განთიადის შუქმა ნელინელ გაანათა ფანჯრის მიყრდნობილი კამარელი, რომლის გულში უკვე ტახტი ედგა მძლე-თამძლე სიყვარულს.

შხის ამოსვლამ კამარელს მოაგონა გუშინ ეკრანზე ნანახი ამოვალა (თუ ჩამავეალი) მზე. მოაგონდა ქალის უცნაური მორთულობა და ბინა. სადაურია? რა ტომის? ვაისმანის დაბრუნებამდე უნდა მოასწროს ქალის ვინაობის გამორკვევა, რომ მომზადებული დახედეს შესაძლო ბრძოლას საშიშ მეტოქესთან. ვაისმანთან ბრძოლა ძნელია, უფრო საშიში იქნება ეს ბრძოლა, თუ ოდნავ მაინც არ გაანათა ბრძოლის ასპარეზი. სიყვარულის უჩვეულო გრძნობით დამთვრალი გონება დასცურავს ანთებულ ოცნებაში და იმედის დასასწაულის ცისფერი ფრთები შრიალებენ, შრიალებენ და გაუგონარი მუსიკის ელვარე ხმები შორს მიაქანებენ კამარელს უნახავი ქვეყნის ბრწყინვალე სანაპიროებისაკენ...

ათის ნახევარზე უკვე ლაბორატორიაში იყო.

გადასწია ფარდა, ეკრანის ყუთი გააღო და მანქანა ამოძრავა. ზარმა დაიწკრიალა და კამარელის აფანცქალებული გული ცეცხლის ალმა ჩასძირა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ზარმა პასუხი დარეკა და ამავე დროს ეკრანს იქით გამოჩნდა მეორე ოთახი: გუშინდელი ქალი იდგა ეკრანის კუთხეში და მარჯვენა ხელი გაწვდილი ჰქონდა მანქანის ტარისაკენ.

გაუღიმა კამარელს და ხელები ფრთებივით დაუქნია.


კამარელს ორ ლახვარივით მოხედა გულში ქალის უცნაურად ანთებული თვალები. იმ წამსვე მიხვდა და დარწმუნდა, რომ წუხანდელი გალუცინაცია და სულიერი ბრძოლა იყო არა მოჩვენება და წარმავალი მღელვარება, არამედ მისი ბედის საშიშარი უღელტეხილი, რომ მისი სიცოცხლე ამიერიდან გადაბმულია ამ ქალთან და არ არსებობს ამ სასწაულებრივი კავშირის გამწყვეტი ძალა.

დაჯდა და ქალს მიაშტერა სიყვარულით სავსე თვალები.

ქალიც დაჯდა.

ხმაამოუღებლად, გაუჩქრევლად ისხდნენ ერთმანეთის პირისპირ და თვალებით შეუცნობელ ენით საუბრობდნენ.

დიდი ხნის შემდეგ ქალი წამოდგა, ორივე ხელი მიიტანა თვალებთან და ისეთი მოძრაობით, თითქო თვალები ამოიძროვო, კამარელს ხელები გაუწოდა და გაიღიმა. კამარელმაც მანძინალურად გაუწოდა საპასუხოდ ხელები და თავი დაუქნია. ეს უცნაური მოძრაობა კამარელმა წაიკითხა, როგორც ნიშანი ქალისა და ვაჟს შორის ურყევი კავშირის დამყარებისა.



კამარელი წამოდგა, უკანა კედელს ხელი შეახო და მუნჯურად ანიშნა ქალს, გუშინდელებზე გაეხსნა მისი ოთახის კედელი.

ქალი მაშინვე მიხვდა, გაიღიმა და კედელი ფარდასავით გასწია.

გამოჩნდა წითელი ოქროთ შებურვილი ბალი და მზე.

ანიშნა ხელებით: მზე ამოდის თუ ჩადის?

ქალმა ხელებითვე უპასუხა, რომ მზე ჩადის.

კამარელი განცვიფრდა: მზე ჩადის ახლა წყნარ ოკეანეზე. იმ პერედიანზე არსად კუნძული არ არის...

ქალი მობრუნდა, კამარელს რაღაც რთული ნიშანი მისცა. ბუნდოვნად მიხვდა კამარელი, რომ ქალი სადღაც მიდის და ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი დღის განმავლობაში ვერ ნახავს მას. მაგრამ შემდგომისათვის სამაგიეროდ პპირდება რაღაც გასაბარელს: ყურებზე ხელები მიიდო და ტუჩები აამოძრავა, — უთუოდ უთხრა რაღაც:

იქნება ქალი უკვე მიხვედრილია, სად იმყოფება კამარელი და მასთან მოსვლას აპირებს? ხუთ დღეში გადალახავს კამარელისათვის უცნობ მანძილს და შორეული აჩრდილი ხორცუნებულ არსებად იქცევა.

ვიდრე კამარელი ამ მოსაზრებებს ზომავდა, ქალმა გამომშვიდობების ნიშანი მისცა მას და ეკრანი ჩააქრო.

ვაისმანის დაბრუნებამდე კამარელმა გაატარა ხუთი დაუსრულებელი საუკუნესავით გრძელი დღე.

ყოველ დილით მიდიოდა ეკრანთან, რეკდა, საათობით ელოდა, მაგრამ პასუხი არ იყო. ეს გარემოება მას არწმუნებდა, რომ დაახლოებით სწორედ გაიგო ქალის ნიშანი და მოსალოდნელი იყო ახალი რამ. აშინებდა ვაისმანის და ქალის ერთდროულად ჩამოსვლის შესაძლებლობა.

სექტემბრის ათს, დაპირებისამებრ, ვაისმანი როსტოვიდან დაბრუნდა.

ათასჯერ მოფიქრებული შეკითხვები ვაისმანის დანახვისთანავე კამარელის თავში აირია უთავბოლო ქაოსად. კამარელი შიშის ზარმა აიტანა და მთელი დღის განმავლობაში სიტყვა ვერ დასძრა ეკრანის შესახებ.

ვინ იცის, როგორ შეხვდება ვაისმანი მის შეკითხვას. ვინ იცის, რა კავშირი არსებობს ეკრანის ქალსა და ვაისმანს შორის? იქნება

რაიმე მოსაზრებით მეცნიერი ქვეყანას უმაღლეს ამ ქალს და კამარელის დაუპატიებელ ჩარევას ამ საიდუმლო საქმეში შესაძლოა მოხსნას ვეს კამარელისათვის საშინელი შედეგი: მეცნიერი მოხსნის ეკრანს და სხვაგან გააკეთებს სადმე მიუწვდომელ ბუდეს. მაშინ ხომ სამუდამოდ დაჰკარგავს იგი საყვარელ ქალის თუნდაც შორეულ ხილვის საშუალებას? მეორე მხრივ, ქალის მიერ ნანიშნი ხუთი დღე გადის და ყოველ წუთს მოსალოდნელია ეკრანიდან ნაჩვენები ზნელი შიფრის გახსნა.

ვაისმანი მთელი ღამე მუშაობდა ლაბორატორიაში.

კამარელს მთელი ღამე არ ეძინა და ნერვებდაჰქიმული ბორგავდა თავის კაბინეტში.

მეორე დილით, საუზმის დროს ვაისმანმა ჩვეულებრივ საუბარში მოულოდნელად ესროლა მღელვარე მოლოდინით დათასმულ კამარელს კითხვა:

— თქვენ ჩემი ეკრანი ნახეთ?

თოფის ტყვიასავით მოხვდა კამარელს ეს შეკითხვა. გაფითრდა, გაქვევდა, თავს ძალა დაატანა, გაიღიმა და ძლივს გასაგონად წაიბუტბუტა:


— მართლა, სრულიად შემთხვევით წავაწყდი, როცა...

— მე ბოდიშს ვიხდი თქვენთან, — გააწყვეტინა სიტყვა ვაისმანმა, რომ თვითონ არ გაცნობეთ ჩემი ახალი გამოგონების შესახებ, მაგრამ ჯერ ცდა დამთავრებული არა მაქვს და სურპრიზს ვამზადებდი თქვენთვის... უნდა იცოდეთ — ღიმილით განაგრძო ვაისმანმა, — რომ ეს მიღწევაც მორიგი გამარჯვებაა თქვენი გაბედული ჰიპოტეზისა — ელექტრო-მაგნიტურ ტალღათა ცვალებადობის შესახებ.

— მართალია, შორეული ხილვის პრობლემა მე დავუკავშირე ჩემს ჰიპოტეზს, — თითქო თავს იმართლებსო, დარცხენილი ტონით წარმოსთქვა კამარელმა, — მაგრამ განსაკუთრებულად ჯერ არ მიმუშავნია ამ დარგში და მე მახარებს თქვენი ახალი გამარჯვება.

კამარელი გრძნობდა, რომ სხვა დროს ეს აღმოჩენა აავსებდა მას განუზომელი სიხარულით, მაგრამ ამჟამად მასში სდუმდა ენტუზიას. ტი-მეცნიერი და ღელავდა და იტანჯებოდა ჩვეულებრივი მიჯნური. მას ახლა უფრო ახარებდა ამ საგანზე ბაასის ასე მშვიდობიანი ჩასიათი და ეძებდა მარჯვე დროს ქალის ვინაობის შესახებ შეკითხვის მისაცემად.

— ეკრანთან შეერთებულია ქალი, — გააწყვეტინა ფიქრი ვაისმანმა, — რომლის ვინაობა და ადგილი ჯერ არ მაქვს გამორკვეული.



კამარელს ჯერ გააცხელა, შემდეგ გააცოცა ამ სიტყვების გაგონებაზე.

— ერთსა ვთხოვთ, — ბეჯითად წარმოსთქვა ვაისმანმა და კამარელს სათვალეები შავად მიაჩანდა, — რამდენსამე დღეს, ვიდრე საბოლოოდ დავამთავრებდე ცდას, ეკრანის შესახებ ნურაფერს მკითხავთ და როცა დავასრულებ მუშაობას, თვითონ დავიძახებთ.

კამარელი გაშრა, განცვიფრდა. როგორ შეიძლება ვაისმანმა არ იცოდეს ქალის ვინაობა? მაშ, ვინ აუგო ამ ქალს ისეთივე ეკრანი, როგორიც ვაისმანის ლაბორატორიაში? სტყუის უთუოდ ვაისმანი, დროს მოგება უნდა, რომ დაუკითხავად შემოჭრილ ცნობისმოყვარისაგან თავი დააღწიოს და თავისი საიდუმლოება ფარულად შეინახოს. ვაისმანი იწყებს ბრძოლას და კამარელს არაფერი დარჩენია იმის გარდა, რომ გამოწვევა მიიღოს, რაც არ უნდა დაუჯდეს.

— კეთილი. თქვენი ლაბორატორია თქვენს განკარგულებაშია, — ოღნავ საყვედურით უპასუხა კამარელმა, მაგრამ ვაისმანი უკვე ფეხზე იდგა და სათვალეებს ისწორებდა. საყვედური არ შეიმჩნია, მზარულად თავი დაუქნია კამარელს და დაუმატა:

— ჩვენი კავშირი, მეგობარო, ბევრ ახალ გამარჯვებას გვიქადის. ახლა კი წავიდეთ.

— თქვენ მგონი ქარხანაში უნდა წახვიდეთ? — შეეკითხა კამარელი.

— დიახ.

კამარელმა საათს დახედა.

— პირველს ოცი აკლია. მე გამგეობაში მიცდიან. — აიღო პორტფელი და გაჰყვა ვაისმანს.

კამარელს არ უნდოდა ვაისმანთან საერთო გზა ჰქონოდა. შინ დარჩენაც უხერხულად მიიჩნია ამ ლაპარაკის შემდეგ და ამიტომ იცრუა გამგეობის სხდომა.

ქუჩაში ერთმანეთს რომ გაეყარნენ, კამარელმა ზემოთ აუხვია და ათ წუთში შინ დაბრუნდა.

საჩქაროდ შევარდა კაბინეტში, დაადო პორტფელი და ქუდი მწვიდაზე და ლაბორატორიაში შევიდა.

ყველაფერი ერთ წუთს მოისაზრა:

ვაისმანსა და ქალს შორის არ უნდა იყოს კარგი ურთიერთობა. ეს ჩანს ქალის კამარელისადმი მოპყრობიდან. ქალს კამარელი უყვარს. ყოველ შემთხვევაში ამჟამად სხვაგვარად შეუძლებელია მისი მოქმედების ახსნა. მაშასადამე, ვაისმანის წინააღმდეგ ბრძოლას ქალთან კავშირი ხელს შეუწყობს. საჭიროა მისი სასწრაფოდ ნახვა,

რომ უკანასკნელი ძალის მოკრეფით გააგებინოს საქმის მდგომარეობა და როგორმე გაიკვლიოს მისკენ გზა.

დარეკა ეკრანზე. თვალებში თითქო ადუღებული სისხლი ელავდა. ნუთუ, დღესაც უპასუხოდ დარჩება მისი აწრიალებული სულის კვილი?

იმავე წუთს გამოჩნდა ქალი, სხვანაირად ჩაცმული: ცისარტყელას შეიდგურა ალში გახვეული ელვარებდა ქინკლილივით ანთებული, იცინოდა და ხელების ქნევით, თითქო ცეკვაესო, სალამს აძლევდა კამარელს. შემდეგ ეკრანის ჩარჩოდან ჩამოხსნა რადიოს ტელეფონის მაგვარი აპარატი და ყურებზე გაიკეთა.

ანიშნა კამარელს.

ეკრანის ჩარჩოზე კამარელის მარცხნივ ეკიდა იმგვარივე ტელეფონი.

კამარელი მივირდა აპარატს და საჩქაროდ თავზე წამოიციო.

იმავე წუთს ყურები აეესო დამატკობელი ხმით: ქალი ლამაზაკობდა. მაგრამ სიტყვები იყო გაუგებარი: „Sanor den Obra, ven gara Obran sanoren largi“ თითქო მღეროდა უცნაურ სიტყვებს და ნათლით მოსილ სახის ელვარებას აფრქვევდა ეკრანზე.

როცა მისწყდა ქალის მელოდიური ღუღუნა, კამარელმა სცადა პასუხის გაცემა. ქალი სმენად იქცა, მაგრამ კამარელმა შეატყო, რომ ვერაფერი გააგებინა. მაშინ ტელეფონი მოიხსნა, მობრუნდა უკან. კარადის თავიდან ჩამოიღო გლობუსი და ეკრანთან ბიიტანა. დიდიხ წვალებით ანიშნა ქალს, როგორმე ეჩვენებია გლობუსზე ის ადგილი, სადაც ის იმყოფებოდა.

ქალი დააცქერდა გლობუსს, რომელსაც კამარელი ნელინელ ატრიალებდა, მაშინვე მოშორდა ეკრანს და მეორე ოთახში გავიდა. მალე დაბრუნდა გლობუსით ხელში და კამარელის წინ პატარა მაგიდაზე დასდო.


გლობუსი იყო შავი, თეთრ-ყვითელი ხაზებით აქრელებული და თავისთავად ტრიალებდა.

კამარელი ეცა გლობუსს, დააკვირდა, მაგრამ ვერაფერი გაარჩია: ვერც ერთი ხაზი ვერ იცნო.

ქალს შეხედა, თითქო მისგან ელის ახსნასო...

ქალი იდგა ცისარტყელაში ამოვლებული და ორი საკვირველი გამომეტყველების თვალი ორ ვარსკვლავივით შექნათოდა კამარელს.

შავი გლობუსი ოდნავ ტრიალებდა, ხოლო გარინდებულ კამარელს საშინელ წინაგრძნობისაგან სისხლი უცივდებოდა ძარღვებში. დააცქერდა გლობუსს და როცა ჩრდილოეთის პოლარულ წრეს თვა-



ლი შეავლო, თავში უეცრად იელვა გულის გამგმირავმა სიტყვამ:  
**მ ა რ ს ი!**

და ყველაფერი ერთი პატარა წამის განმავლობაში ცხადი და ნათელი შეიქნა: კამარელი ელაპარაკებოდა მარსელ ქალს, 100 მილიონზე მეტ კილომეტრის მანძილით დაშორებული და ამ დაუძლეველი უფსკრულის გაყინული სივრცე სამუდამოდ აქრობდა ყოველგვარ იმედს და მის საბედისწერო სიყვარულს უკარგავდა ყოველ აზრს.

გულმა მთელი სისხლი ჯერ ტენის შეასხა, შემდეგ უკანასკნელ წვეთამდე უკან შეისრუტა და ძარღვებში დაჰკეტა. მკვდარივით გაფითრებულმა კამარელმა ერთხელ კიდევ მოავლო თვალები საყვარელ ქალს და გულწასული იატაკს დაენარცხა.

როცა გონს მოვიდა, თავის საწოლ ოთახში იწვა და ეჭიმი მაჯას უსინჯავდა.

ვაისმანი ფანჯარასთან იდგა და ჭუნას გასცქეროდა.

IV

ვაკითხული არხანი

კამარელმა გადაიტანა ნერვების ანთება და ოქტომბრის შეარიცხვებში, როცა ოდნავ მომჯობინდა, ეჭიმების რჩევით გაემგზავრა სამკურნალოდ შავი ზღვის პირის ერთ-ერთ სანატორიუმში.

ნოემბრის დამლევს მას ესტუმრა ინჟინერი ვაისმანი.

კამარელი ვაისმანის წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობდა და სინდისის ჭენჯნას განიცდიდა.

ათასგვარი უღირსი ეჭვი, უკვე განვლილ სულიერ ქარიშხლის დროს მასში აღძრული, ახლა თვით მასვე სტანჯავდა. ვაისმანი მის თვალში თავდადებულ მეცნიერად და ღირსეულ მეგობრად ჩანდა. გადაწყვეტილი ჰქონდა მომავალ საერთო მუშაობაში ათეცად მიეგო მისთვის მეგობრული სიყვარული. ამიტომ, როცა გაიგო ვაისმანის ჩამოსვლა, ძალიან გაუხარდა და მაშინვე მოიწვია.

ეს პირველი შეხვედრა იყო კატასტროფის შემდეგ: ეჭიმების მიერ აკრძალული იყო ავადმყოფთან მეცნიერული ხასიათის ბაასი და ახლობელ თანამშრომლებს მას არ აკარებდნენ. ახლა კი, კამარელი სავსებით მოკეთებული იყო, მხოლოდ ფერის სიმკრთალებ შერჩა და გულს ჩაწოლილი უჩინარი მელანქოლია.

— ალბათ მემდურით. — პირველი მისალმების შემდეგ უთხრა

ვაისმანმა. — არ ვიყავი თქვენთან ბოლომდე გულახდილი, რამ, იმედი მაქვს დამიჯერებთ, რომ ჩემს მოქმედებას საფუძვლად ედო მხოლოდ მეცნიერული მუშაობისათვის საჭირო სიფრთხილე. მინდოდა მომესწრო პირველი შედეგების შეჯამება, რომ ჩემი შეცდომები თვითონვე გამესწორებია.

— პირიქით, — დარცხვენით უპასუხა თავდახრილმა კამარელმა, მე უნდა მოვიხადო თქვენს წინ პოდიში, ბავშვუვად მოვიქეცი, აყვავი გაუწაფავი გრძნობების უსუსურ ატაცებას, მე შეგიშალეთ ხელი და ღირსი ვარ იმ სასჯელის, რაც მივიღე.

— სასიამოვნოა, რომ უკვე კარგად ხართ და, მასწავლებელს, შეგიძლიათ მალე შეუდგეთ მუშაობას.

— ორი კვირის შემდეგ დაბრუნებას ვაპირებ! ახლაც ვმუშაობ ცოტაოდენს, — კამარელმა გაიღიმა და მაგიდაზე რვეულებს თვალი მოავლო.

— მეც იმიტომ გამომიშვეს თქვენთან ექიმებმა, რომ მუშაობა ნებადართული გაქვთ. ჩემი ეკრანი ამჟამად თითქმის დამთავრებულია, ვუციდი თქვენს ჩამოსვლას, რომ საბოლოოდ მსჯავრი ღავსდოთ.

— მე პირდაპირ მალრჩობს თქვენი ახალი მიღწევის დეტალურად გაცნობის სურვილი!

— მეც სწორედ იმიტომ ვნახეთ, რომ გავიგო, როდის შეიძლება თქვენი სურვილის შესრულება!

— ერთი რამ არის ჩემთვის სრულიად გაუგებარი: როგორ მოხდა, რომ მარსზედაც სწორედ ისეა მოწყობილი ეკრანი, როგორც თქვენს ლაბორატორიაში? შორეული ხილვის პრობლემის სინათლის სხივებთან დაკავშირება ჩემთვის გასაგებია.

ვაისმანმა პასუხი შეაგვიანა.

— ამაზე ცოტა ვრცლად მომიხდება ლაპარაკი. ვშიშობ, რომ დაგლით!


— ნუთუ ისე ცუდად გამოვიყურები?

— მაშ, ნებას მომცემთ?!

— მე სმენად ვარ ქცეული!

ვაისმანმა პორტფელიდან რამდენიმე წიგნი და რვეული ამოიღო, მაგიდაზე დააღაგა და დინჯად დაიწყო:

— თქვენმა ჰიპოტეზამ ელექტრო-მაგნიტურ ტალღათა პარალელურად ასხივების შესახებ მე მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ შორეული ხილვის პრობლემა გადაწყდება უფრო წარმატებით ორ პლანეტათა შორის, ვიდრე დედამიწის ზედაპირის ორ პუნქტს შორის. დედამიწაზე სხივის სწორხაზობრივი მოძრაობა აბრკო-



ლებს მის გამოყენებას შორეული ხილვის მიზნებისათვის, ამიტომ მე ავაგე მუშაობა სულ სხვა პრინციპზე, როგორც იცით, მარსი და დედამიწა ხშირად ძალიან უახლოედებიან ერთმანეთს. ამ დროს პარალელ სხივების კონა ადვილად მიადწევს უცვლელის ქლიერებით ერთი პლანეტიდან მეორემდე. მაგრამ სხივების დასაკერად საჭიროა ორივე პლანეტაზე არსებობდეს მიმღები და გამცემი აპარატები.

— სწორედ ეგ არის ჩემი შეკითხვის აზრი, — წარმოსთქვა კამარელმა და სკამის ზურგს მიეყრდნო.

— მე ერთი წუთითაც არ მეეჭვებოდა, — განაგრძო ვაისმანმა, — რომ მარსზე არსებობს სიცოცხლე. მართლაც, როგორ შეიძლება აღამიანმა იფიქროს, რომ განუსაზღვრელ მსოფლიოში, ამდენ მზეთა სისტემაში, ურიცხვ პლანეტებზე, რომელთა შორის უთუოდ მრავალია ისეთი პლანეტა, როგორც დედამიწაა, თავისი ქიმიურ-ფიზიკური პირობებით, როგორ შეიძლება ამ უამრავ ქვეყნებში არსად სიცოცხლე არ არსებობდეს და მხოლოდ დედამიწა იყოს რაღაც უცნაური გამონაკლისი? ეს აზრი, როგორც მოგეხსენებათ, მეცნიერებაში უდავოა: სიცოცხლე მსოფლიოს საყოველთაო ძირითადი ფუნქციაა. ჩვენს სისტემაში, დედამიწის თვალსაზრისით, სიცოცხლე შეიძლება არსებობდეს მხოლოდ მარსზე.

— ამიტომ აკედებოდნენ ჩვენი მეცნიერები მარსის შესწავლას, მაგრამ, სამწუხაროდ, არაფერი გამოდიოდა, — გააწყვეტირა სიტყვა კამარელმა. — ბოლო დროს, ხომ მთლად შევრცხვით: 1924 წლის აგვისტოს, როცა მარსი 55 მილიონ კილომეტრამდე მიუახლოვდა დედამიწას, მთელი ქვეყნის ობსერვატორიები ტელესკოპების დამშეული თვალებით შინჯავდნენ მის ყოველ ხაზს და წერტილს, მაგრამ, როგორც იცით, არა თუ არაფერი ახალი არ აღმოჩნდა, სრულიად გაჭრა ის საოცარი არხებიც, რომლებიც ათასჯერ უნახავს ტელესკოპებს გაცილებით უფრო შორ მანძილიდან.

— მეც სწორედ აქეთკენ ვაპირებდი ჩემი საუბრის გადატანას, — გაეხარდა ვაისმანს. — დაკვირვებისაზრთ თუ არა თქვენ ამ გაუგებარ მოვლენას? რამდენიმე საუკუნის განმავლობაში უფრო სუსტსა და პრიმიტიულ ინსტრუმენტებში დიდ სიშორეზე ნათლად და გარკვევით ჩანდა არხების სწორი ხაზები, 1924 წელს კი, თანამედროვე ტელესკოპების უდიდესმა და ურთულესმა ობიექტივებმა არხების კვალიც ვერ შენიშნეს!

— სწორედ გითხრაოთ, მეც გამაკვირვა ამ მოვლენამ! — დაუდასტურა კამარელმა.

— მე კი, მეტად ჩამაფიქრა, — განაგრძო ვაისმანმა, — დასწო-  
რედ ამ დროიდან დაეიწყე არხების შესწავლა ძველი რუკების  
ფოტოგრაფიებით. რომ ეს უცნაური ხაზები არსებობდნენ, ამაში  
ეჭვი არ მეპარებოდა: სხვადასხვა დროს მეცნიერთა აუარებელი  
დაკვირვება ამოწმებს ამ ფაქტს. ფოტოგრაფია ხომ უტყუარია ამ  
შემთხვევაში! როგორ ხსნიდნენ ამ ხაზებს მეცნიერებაში? პირ-  
ველ ყოვლისა იპყრობდა ყურადღებას ის გარემოება, რომ ხაზების  
მწყობრი სისტემა შეუძლებელია ყოფილიყო ბუნებრივი პროცე-  
სების შედეგი. არსად დედამიწაზე ამგვარ მოვლენას ადგილი არა  
აქვს. მაშასადამე, რჩებოდა ერთი ახსნა: რომ ეს ხაზები გაყვანი-  
ლია რაიმე მიზნით გონიერ არსებათაგან. ყველაზე უფრო დამაჯე-  
რებელ ახსნას დედამიწის თვალსაზრისით იძლეოდა არხების ჰიპო-  
ტეზა. მაგრამ ამ ჰიპოტეზას გამოუსვლელ მდგომარეობაში აყუ-  
ნებდა არხების განსაცვიფრებელი განი: 60-დან 300 კილომეტრა-  
მდე. ასეთი ვეება არხების გაყვანა პლანეტის ერთი პოლუსიდან  
მეორემდე მწყობრი პარალელური და სამკუთხური სისტემით  
ადამიანის თვალსაზრისით არ არის არც მიზანშეწონილი და არც  
ტექნიკურად მოსახერხებელი. მიაქციეს აგრეთვე ყურადღება კი-  
დევე ერთ გასაოცარ მოვლენას: ზოგიერთ კუთხეში ეს უზარმაზარი  
არხები ხანდახან სრულიად ქრებოდა რამდენიმე კვირის და ხან  
დღის განმავლობაში. იცვლებოდა აგრეთვე დროგამოშვებით არხე-  
ბის მთელი სისტემა.

— მართლაც გასაკვირია ეს მოვლენა! — ვერ მოითმინა კამა-  
რელმა.

— როცა არხების ფოტოგრაფების შესწავლას შევეუდექი, —  
განაგრძო ვაისმანმა და რვეული გადაფურცლა, — ჩემი ყურადღე-  
ბა მიიპყრო სკიაპარელის მიერ გადაღებულმა სურათებმა. მან გა-  
დაიღო არხების ერთი და იგივე ადგილი ჯერ 1884 წელს, შემდეგ  
1886 წელს და სრულიად გაუგებარსა და აუხსნელ მოვლენას  
წააწყდა: ორი წლის განმავლობაში არხების მთავარი მიმართულე-  
ბა დარჩა უცვლელად, ხოლო ცალკე ხაზები ზოგან გაქრა, ზოგან  
ახალი მოემატა და კუთხეთა კომბინაცია შეიცვალა.

ვაისმანმა რვეულიდან ამოიღო არხების სურათი და კამარელს  
წინ გაუშალა.

## ს უ რ ა თ ი

— ეს არის სკიაპარელის მიერ 1884 წელს გადაღებული სუ-  
რათი. დააკვირდით ამ სისტემას, განსაკუთრებით მის შუა ნაწილს,

და შედარეთ ორი წლის შემდეგ გადაღებულს იმავე არხებისა და სურათს.

ვაისმანმა კამარელს მეორე სურათი გაუშალა წინ.

## ს უ რ ა თ ი

— ეს იგივე სისტემაა, გადაღებული 1886 წელს. შედარება ნათელყოფს პარალელებისა და სამკუთხედების ისეთს ცვლილებას, რაც უკარგავს არხების ჰიპოტენუსს ყოველგვარ საფუძველს.

— არსებობს სხვაგვარი ახსნაც, — ჩაუბრუნო სიტყვა კამარელმა და მეორე სურათს დაუწყო სინჯვა, — რომ ეს შავი ხაზები წარმოადგენენ არხების ნაპირებს, სადაც მცენარეებია გაშენებული. თვით არხები არა ჩანან, მცენარეებს კი დიდი ადგილი უჭირავთ და ჩრდილის ზოლებივით მისდევენ არხების მიმართულებას.

— რატომ ქრება ხშირად ამ ზოლების ნაწილი? — იკითხა ვაისმანმა.

— შემოდგომაზე მცენარეებს ფოთლები სცვივა და ჩრდილიც იკარგება, — ვგონებ ასე ხსნიან.

— აბა, დააკვირდით ორსავე სურათს: ტერიტორია ერთი და იგივეა, ზოლები სხვადასხვა. ფოთლების დაცვენით ამ ცვლილებების ახსნა შეუძლებელია. მაშინ ზოლები კი არ უნდა იცვლებოდეს, — სულ უნდა ქრებოდეს განსაზღვრულ დროს. რა თქმა უნდა ასეთი ახსნა არავის აკმაყოფილებდა. იყო სასაცილო ვარიანტიც: თითქო ეს ზოლები გზებია, სადაც დროგამოშვებით მოძრაობენ ცხოველთა დიდძალი ჯოგები.

ვაისმანმა ორივე სურათი წინ გაიშალა და ოდნავ შეჩერდა.

— 1924 წელს რომ ზოლები სულ არ გამოჩნდა, — განაგრძო მან მცირე პაუზის შემდეგ, — მე ამ გარემოებამ, როგორც გითხარით, ძალიან ჩამაფიქრა; თუ ასე ახლოს არაფერი სჩანს, ტელესკოპების მოჩვენება ხომ არ იყო ეს არხები? მაგრამ ბროლის ობიექტივი უაღრესად ობიექტურია და გალუცინაციებს არ არის ჩვეული. ფოტოგრაფიების შესწავლამ ზოლების ურთიერთობაში ერთი დამაფიქრებელი ნიშანი გამოაჩინა: სამკუთხედების და პარალელების რიცხვი და ხასიათი განსაზღვრულ თანამიმდევრობით ლაგდებოდნენ. როცა ჩავეუკვირდი ამ დეტალს, ჩემში უცებ იელევა აზრმა: ეს შავი ზოლები ხომ არ არის სიგნალი, რომელსაც მარსი დაეინებთ უგზავნის დედამიწას?

ამ სიტყვებზე კამარელი წამოეარდა და აღეღვებით ჩააცქერდა ვაისმანს.

— პლანეტის ნათელ ზედაპირიდან, — განაგრძობდა ვაისმანი, — არ შეიძლება სხივებით სიგნალიზაცია: არ გამოჩნდება შერეული ძილზე. ჩრდილის უზარმაზარი ზოლები კი, კარგად მოჩანს ნათელ ფონზე.

— საოცარია, — შესძახა გაკვირვებულმა კამარელმა, — რომ ეს აზრი არავის მოსვლია თქვენამდ!

— ჭეშმარიტად საოცარია! — დაეთანხმა ვაისმანი, — დამარს-მაც მიმართა უკანასკნელად მეტად მახვილ საშუალებას: 1924 წლის მოახლოების დროს სრულიად მოხსნა ეს სიგნალი, ალბათ იმ იმედით, რომ მიაქცევდა დედამიწის განსაკუთრებულ ყურადღე-ბას ამ მოვლენას, რომ ეს ზოლები მაშინაც ენახათ, დაიწყებოდა გაუთავებელი კამათი იმის შესახებ, თუ როგორ არის ეს არხები გაყვანილი, მოჩანს თუ არა არხების ჯვარედინზე ქალაქების ნიშნე-ბი და სხვა.

— სწორ მიმართულებას ერთხელ აცდენილი აზრი, — ჩაურ-თო სიტყვა კამარელმა, — ბრმისავით დაეხეტება ოღრობებზე, ვიდ-რე მართალ გზას გაიგნებდეს.

— ძაფი ნაპოვნი იყო, — უკვე გატაცებით განაგრძობდა ვაის-მანი, — და მთელი სისტემა ადვილად აეგო მასზე. ხომ ელოდენ მარსიდან სიგნალებს? მაგრამ აბა თუ ვინმე დაჰფიქრებია ამ სიგ-ნალის ხასიათს!

— მე მახსოვს, თითო რაღაც ხმაური ისმოდა მაშინ რადიო-ში, — სთქვა კამარელმა და ისევ დაჯდა.

— მეც ვიცი ეგ, მაგრამ ეს შესაძლოა ყოფილიყო უბრალო გაუგებრობა, ყოველ შემთხვევაში, ეს ხმაური შემდეგ არ განმეო-რებულა.

ვაისმანმა პორტფელის პატარა უბიდან ამოიღო გაზეთის ამონა-ჭერი და წაიკითხა:

„1924 წ. 23 აგვისტო. ბრიტანეთის რადიო-ტელეგრაფი შემ-დეგს იუწყება კანადიდან: დღეს დილით პოინტ-გრეის რადიო სადგურის მუშაებს ესმოდათ გამოუცნობი სიგნალი: საოცარი ჯგუფი ხმებისა, რომლებიც არ არის აღნიშნული არც ერთ კოდექსში“.

— ხომ არ უარყოფთ თქვენ მარსიდან ასეთი სიგნალის შესაძ-ლებლობას? — შეეკითხა კამარელი.

— სრულიადაც არა. მაგრამ მე საკითხი სულ სხვანაირად მაქვს დასმული: რა ენაზე შეუძლია ერთმანეთთან დალაპარაკება ორ პლანეტას? ხომ არ გამოდგება ამისათვის დედამიწის კაცობრიო-ბისათვის გამოგონილი ნიშნები? მე ვამტკიცებ: რომ პლანეტათა



შორის სიგნალიზაცია უნდა მოეწყოს ისეთ ნიშნებზე, რომლებიც საერთოა და გასაგები მთელი მსოფლიოსათვის.

— სად არის ასეთი ნიშნები? — გაიკვირვა კამარელმა.

— ეს ნიშნები სხივისა და პლანეტების მოძრაობის გზები ა — უბასუხა ვაისმანმა და კამარელს ჩააცქოდა. კამარელი იჯდა გაკვირვებული, ფერმკრთალი და ეტყობოდა, რომ მისი გონება ვაისმანის გაბედულ მიზვედრას გაეტაცნა. ვაისმანმა განაგრძო:

— პარალელები, წრეები, სამკუთხედები, საერთოდ გეომეტრიული ფიგურები, — ეს არის უნივერსალური ნიშნები, ენერჯისა და ნივთიერების მოძრაობის საერთო კანონებზე დამყარებული. თუ მიწის გარეთ სადმე არსებობს ადამიანის მსგავსი გონიერი არსება, მას ეს კანონები უთუოდ ისევე უნდა ესმოდეს, როგორც ადამიანს, ვინაიდან სხივი მთელს მსოფლიოში ერთნაირად მოძრაობს. მეც ამ მხრით ჩაფუკვირდი მარსის ზოლებს. ჩემი ყურადღება მიიპყრო პარალელებისა და სამკუთხედების ჯამის მულტიპლიკაციამ. ზედმიწევნით შევისწავლე ეს მოვლენა და გასაოცარი შედეგი მივიღე: ერთი საუკუნის განმავლობაში სხვადასხვა დროსა და ადგილს გადაღებულ ფოტოგრაფიულ რუკებზე პარალელურ ხაზებსა და სამკუთხედების ურთიერთ განწესრიგების ციკლი სამჯერ განმეორდა გასაკვირი სიზუსტით. თვით ციკლი შეიცავდა 12 ფიგურას. როცა ფიგურები მათემატიკურ ნიშნებზე გადავიყვანე, მივიღე ჩემი ეკრანის ფორმულა.

— ვაჰა, მეგობარო! — წამოიძახა აღელვებულმა კამარელმა და ვაისმანს გაბრწყინებული თვალები მიანათა. — გენიალური მიზვედრაა. უწინარეს ყოვლისა, სწორედ ეს აზრი უნდა დაბადებოდა ზოლების ყოველ მკვლევარს.

— ეკრანი ავაგე და სამი თვის განმავლობაში უჩინარ სხივებს ვესროდი მარსის ჩრდილოეთ ნახევარსფეროს. ბოლოს ერთს ასეთს სხივების კონას, როგორც ანკესს, წამოეგო მარსის მიმღები აპარატი და ჩემი ეკრანი ბუნდოვნად განათდა. თანდათან გავაუმჯობესე აპარატი იმ ზომამდე, რომ შევქელი ეკრანიდან თვით მარსელის დახმარების მიღება. შემდეგ გამოირკვა, რომ დედამიწისა და მარსის ღერძების დაქანების კუთხე იმგვარად უბირისპირებს ერთმანეთს ორივე პლანეტის ჩრდილო სფეროებს, რომ ეკრანებს შორის სხივების სწორ მოძრაობისათვის უფრო მოხერხებულია ეკრანის დადგმა ჩრდილო განივის 40—43 გრადუსის ზონაზე. როგორც იცით, თბილისი ამ ზონაშია. სხვათა შორის, ამითაც აიხსნება ჩემი მოსკლა თქვენთან.



კამარელს მოეჩვენა, რომ ვაისმანის ყველა საეჭვო სიტყვადან მოქმედება, რაც მას ასე აღელვებდა შეხვედრის პირველ დღიდანვე, ნათელი და გასაგები შეიქნა. მას მუდამ ამძიმებდა ამ კაცის დაშიფრული ბუნება და ახლა, როცა ყველაფერს შუქი მოეფინა, იგრძნო მძიმე ტვირთის საამო შემსუბუქება და პირველად გაუწოდა ხელი ამ უცნაურ ადამიანს უჩრდილო და აუშლვრეველი გულით.

— უნდა ვიფიქროთ, — უთხრა მან ვაისმანს ღიმილით, — უკვე დადგა დრო, როცა საჭიროა მიეზღოს კეისრისა კეისარს.

— ესე იგი? — ვერ გაიგო ვაისმანმა.

— ესე იგი, გამოცხადდეს „ლეტარგინი“-ს ნამდვილი აღმომჩენი.

— ჰო, რა გეჩქარებათ? — თითქმის უკმაყოფილოდ წარმოთქვა ვაისმანმა, — ჯერ ამისთვის სადა გეცალია? ახლა მე მაწუხებს ერთი ახალი, მეტად ამადელვებელი ამოცანა. თუ ნებას მომცემთ, ამაზე თბილისში მოვილაპარაკოთ.

— ეკრანთან დაკავშირებით? — ჰკითხა კამარელმა და უცებ თვალწინ წარმოუდგა უკვე მივიწყებული (როგორც მას ეგონა) მარსელი ქალის შუქმოსილი სახე. გულზე უკბინა რაღაცამ, ნუთუ, კვლავ სდარაჯობს მის გონებას მეოცე საუკუნის ეს შავი მაგია, — ხორცშესხმული რეალობის ნისლოვანი აჩრდილი? ნუთუ, ვერ იშორებს თვალთაგან სიცხადისა და სიზმრის ჯადოსნურ კავშირს. მოჩვენებად ქცეულს ცოცხალ არსებას, ამ უტყუარი ხილვის ამაზრზენ გალუცინაციას?

— არა, — თითქო წყალი შეასხა კამარელის აღზნებულ ფიქრებს ვაისმანმა, სულ სხვა ამბავია, სრულიად მოულოდნელად წამოჭრილი. როცა ეკრანის ფორმულის შესწავლის დროს მნათობთა მოძრაობის გზებს ვაკვირდებოდი, შემთხვევით წაეაწყდი ამ პრობლემას, მაგრამ ამაზე შემდეგ. რაც შეეხება ეკრანს, მგონი დაგლაღეთ, მაგრამ ვფიქრობ სავესებით გაგაცანით ჩემი მუშაობის პროცესი. ამჟამად კმარა.

და ვაისმანი წამოდგა.

— წასვლის წინ, ამ საღამოს კიდევ გნახავთ!

გამოემშვიდობა კამარელს და ოთახიდან გავიდა.

კამარელმა აივანზე გააცილა.

თვალი გააყოლა ეზოდან მიმავალს.

კიდევ ახალი საიდუმლოების მოლოდინი!

ოღონდ ეკრანთან არ იყოს დაკავშირებული და ყოველგვარ განცდას და აღელვებას შეურიგდება.



ოღონდ მთიცილოს როგორმე ეს აკვიატებული მოჩვენება, რაც ასე აღუნებს მის შემოქმედებას და უჩრდილავს გონებას!

თორემ საზარი პერსპექტივაა: სარკეში უცქირო საყვარელ არსებას, გესმოდეს მისი ხმა, ხედავდე ყოველ მის მოჭრაობას, ღამის ფარვანასაგით ასკდებოდეს ანთებულ შუშას გაოცებული თვალები, უიმედოდ ფართხალობდეს, ფრთებს იღეწავდეს და შიგ ვედარ შედიოდეს; გეჩვენებოდეს — თითქო საკმარისია შეაღო კარი, რომ გულს ჩაიკრა ადელელებული სატრფო, ხელი შეახო მის აღგზნებულ სახეს, იგრძნო მისი გულისცემა, თავბრუდამსხმელი სუნთქვა და სხეულის დამათრობელი სითბო, და იცოდე კი, რომ ნამდვილად 100—200 მილიონ კილომეტრით არის დაშორებული შენგან ეს ქალი და ვერასოდეს, ვერასოდეს ვერ შეახებ მას ხელს, ვერ მიუახლოვდები, რომ გაყინული სივრცის პირდაღებულ უფსკრულია ეკრანს გადაღმა და სიკვდილის შავი თვალებით იცქირება...

V

კომედა „აივლა“

ოთახში თანდათან დაბნელდა.

ვაისმანი ზის ღია ფანჯარასთან დაფიქრებული.

ფანჯრიდან მოჩანს კვიპაროსის შავი კენწერო და უღრუბლო რბილი ცა.

მზე კარგა ხანია ჩავიდა, მაგრამ ცაზე ჯერ კიდევ შრიალებს მზის მოსასხამის ბოლო, ოდნავ ოქროდ შეფერილი იისფერი აბრეშუმი.

აბრეშუმზე თეთრი ყვავილები სცივია საიდანღაც, თეთრი ბრწყინვალე ზამბახები.

ერთ მათგანს სისხლის ფერი გადაჰკრავს...

გარეთ თმაშევერცხლილი დეკემბრის მკბენარი სუსხი დგას, მაგრამ ვაისმანი სიცივეს არა გრძნობს. იგი გასცქერის სისხლიან ზამბახს, ხელში უჭირავს თავისი უშველებელი სათვალეები. შუშებზე თითებს აწკარუნებს; დაე, ეს ღარიბი აკომპანიმენტი მუსიკის გრიალივით მისდევს მის ფიქრის უჩინარ გრივალს.

უცებ, ერთი წუთით ჩადგა გრივალი და გული გაანათა შორეულმა ვარსკვლავებმა...

— კარო! შენ გგზავნიან! — მოესმა გახარებული ჩურჩული და ღია აივანზე ჩიტივით დაეშვა ქალი.

— გადაწყდა?

— თითქმის ერთხმად! — და მის შუბლზე გედას თმები დაიღვარა.

— შენ უნდა შეასრულო დაპირება, რადაც უნდა დაგიჯდეს.

მას ათრობს ქალის ცხელი სუნთქვა, გულში კი უჩინრად მოძრაობს ჩრდილი, და ჩრდილი თითქო კენესის: — ვისთვის, ვისთვის არის ეგ თვალეზი ანთებული? ვინ იტაცებს ამ სუნთქვას, უხილავი და უცნობი? ..

— შევესრულებ. — ამბობს იგი და ქალს წელზე ხელს მოხვევს.

ქალის სხეული კანკალებს, როგორც ხელში ჩაბლუჯული შაშვი, და სწვავს ვაჟის ხელს.

— ზედმეტად დელავ, გედა. — ტკბილად ეალერსება. — სიციხე გაქვს, შენ დასვენება გჭირია. მენდე შევესრულებ. თუმცა ვიცი, საით მიიქრის შენი ოცნება. გედა, რათ იღუპავ თავს?

— კარო, ჩემო კარო! — ჩურჩულებს ქალი. მე განწირული ვარ, მაგრამ ტკბილია ჩემი ტყვეობა! .. დიდია უფსკრული, მაგრამ მე ვხედავ შორეულ ნაპირს და მესმის ძახილი, აუტანელ ბედნიერების დაუძლეველი ძახილი. ..

— შევესრულებ! — იმეორებს იგი და ქალს თვალეზში ჩააცქერდება.

— მაგრამ რომ დაიმსხვრეს ოცნება? შორიდან მიმზიდველი ობრან პირუტყვივით რომ აბლავდეს?

პერში ოქროსთვალეზიანი ზომალდი გაიმხუილებს და აივანზე შეტყუებულ ქალ-ვაჟს ელვა გაანათებს.

— მაშინ დავიღუბები. — ძლივს გასაგონად ჩურჩულებს ქალი და ოცნებით ანთებულ თავს ყვავილივით დამძიმებულ ყლორტსავით დახრის და ვაჟს მხარზე დაადებს! ..

კარზე დააკაკუნეს.

ვაისმანმა სათვალეები გაიკეთა, ფანჯარა მიხურა და შექიანათო.

— მობრძანდით!

შემოვიდა კამარელი.


— ზომ არ გალოდინეთ?

— ვისვენებდი. საღამო თავისუფალი მაქვს.

მაგიდაზე წიგნები დაალაგა. პორტფელიდან ქალაღდები ამოიღო და წინ გაშალა.

კამარელი მის პირდაპირ დაჯდა.

— მე მინდა მოგელაპარაკოთ ერთი კომეტის შესახებ. — დაიწყო ვაისმანმა, აიღო დიდტანიანი წიგნი და გადაშალა.



— ახალი კომეტა ხომ არ გამოჩნდა! — შეეკითხა კამარელი გულში კი გაივლო: არწივი გაუშვია, ბელურას მისდევს...

— არა, კომეტა ძველია, სახელად ჰქვია ბიელას კომეტა.

კამარელი ერთ დროს ძალიან დაინტერესებული იყო კომეტე-ბით, მთელი წელიწადი იმუშავა ამ საგანზე და გამოკვლევაც გამო-აქვეყნა კომეტების მოძრაობის შესახებ.

— მე ვიცნობ ამ კომეტის ისტორიას, — შეუმჩნეველი უკა-ყოფილებით წარმოსთქვა კამარელმა.

— მე მაინც ვთხოვთ ორიოდ წუთი დამითმით და მოთმინე-ბით მომისმინოთ რასაც ვიამბობთ!

ვაისმანს ოდნავ აღელვება დაეტყო.

— ზოგი რამ ამ კომეტის შესახებ წიგნებიდან უნდა ამოვი-კითხო, — განაგრძობდა ვაისმანი და ფურცლავდა წიგნს. — ყვე-ლაფერი, რასაც ახლა თქვენ მოისმენთ, თქვენთვის ძველი და ნაცნობი ამბავია, მაგრამ მე ვფიქრობ, რასაც ბოლოს ვიტყვი, ის სრულიად მოულოდნელი იქნება.

კამარელმა ყურები სცქვიტა.

— სიამოვნებით გისმენთ.

— ბიელას კომეტა პირველად შენიშნული იქნა ტელესკოპით 1772 წელს; შემდეგ 1809 წელს 10 ნოემბერს ეს კომეტა ბელ-მეორედ იქნა აღმოჩენილი, — ვაისმანმა მონახა საჭირო გვერდი და განაგრძო კითხვა, — „პონსის მიერ, ბესსელმა და ჰაუსმა გამოიან-გარიშეს მისი ორბიტი და ბრუნვის პერიოდი, რომელიც უდრის 6,5 წელიწადს. 1826 წელს კომეტა ისევ უნდა დაბრუნებოდა მზეს. ეს იცოდა ავსტრიელმა კაპიტანმა ბიელამ, რომელიც ამ დროს იდგა ბოჰემიაში და დიდის ყურადღებით ათვალიერებდა პატარა ტელეს-კოპით კომეტის გზას. მისმა მუშაობამ ბრწყინვალე ნაყოფი გა-მოიღო: 1826 წლის 27 თებერვალს მან დაიჭირა ცაში ეს კომეტა, რომელსაც შემდეგ მისი სახელი დაერქვა. 1832 წელს ეს კომეტა ისევ მობრუნდა დანიშნულ დროზე, მაგრამ ამჟამად თან მოიტანა დიდი შიში და მღელვარება, ვინაიდან გამოანგარიშებამ დაამტკი-ცა რომ კომეტის ორბიტს უნდა გადაეჭრა დედ-ამიწის გზა. თუ კი ამ წერტილს ერთდროულად გაივლიდნენ დე-დამიწა და კომეტა, — კატასტროფა აუცილებელი იყო. მთელი ქვეყანა შიშის ზარმა მოიცვა. განსაკუთრებით დელავდა პარიზი. ცნობილმა ლალანდმა გადასწყვიტა აკადემიაში კომეტების შესა-ხებ ლექციის წაკითხვა. ლექცია პოლიციამ აკრძალა, რადგან ხალხში ხმა გავრცელდა მეცნიერი ქვეყნის დაღუპვას წინასწარ-მეტყველებსო“.

ვაისმანმა მეორე წიგნი გადაშალა.

— აი რას სწერს ამის შესახებ ასტრონომი ვოლფი.

„ამ ხმების წყალობით გავრცელდა ისეთი პანიკა, რომ მთელი პარიზი კანკალით ელოდა დანიშნულ დღეს. იყო შემთხვევები შიშისაგან სიკვდილის, სხვადასხვა ნერვიულ ავადობისა და სხვა; სამღვდელოების წარმომადგენლები კი, მშვენიერად სარგებლობდნენ ამ ამბით და შიშისაგან გონებადაკარგულ ხალხს რივიან ფასად პირდებოდნენ ცოდვათა სრულ პატიებას“.

— თვით უდიდესი გეომეტრი ლაპლასი, — ფურცლავდა ვაისმანი მესამე წიგნს, — შესაძლო კატასტროფას ასეთი საშინელი ფერებით აღწერდა: „მზის სისტემაში შემოჭრილ მრავალ კომეტათა შორის შესაძლოა აღმოჩნდეს ისეთი, რომელიც დაეჯახება დედამიწას. ასეთი შეტაკების შედეგის წარმოდგენა ძნელი არ არის: დედამიწის ბრუნვის ხასიათი და მისი ღერძის მდგომარეობა შეიცვლება: ზღვა დასტოვებს თავის ეხლანდელ საწოლს და გაექანება წარღვნაში, თუ კი, უფრო ადრე არ დაიღუპნენ იმ საშინელ მუჯღუგუნებისაგან, რომელიც დედამიწის ბურთს დაბარბაცებს. ყველა ერი დაიღუპება და დაინგრევა კაცობრიობის გონების ყველა ძეგლი...“

— ეს პანიკა ცრუმორწმუნეობით როდი იყო გამოწვეული! — შეწყვიტა კითხვა ვაისმანმა. — ექვს გარეშეა, რომ ასტრონომიული თვალსაზრისით სრულიად უმნიშვნელო მცირე მასის სხეული, მაგალითად, ერთი კილომეტრის სისქე ჭევის ბურთი წამში რამდენიმე კილომეტრის სიჩქარის რომ დაეჯახოს ჩვენს პლანეტას, შეუძლია გამოიწვიოს დედამიწის ცოცხალ არსებათა სრული კატასტროფა, ციურ მოძრაობათა სისტემაში — კი ასეთი კატასტროფა არავითარ კვალს არ დატოვებდა. პირდაპირ დაჯახებაც რომ არ მოხდეს, დედამიწის მახლობლად უბრალო გადაფრენითაც ასეთს სხეულს თავისი მიმზიდველობის ძალით შეუძლია გამოიწვიოს ზღვის დონის ისეთ სიმაღლეზე აწევა, რომ კილომეტრების სიმაღლე ტალღები გრიალით გაივლიდნენ დედამიწის პირს საშინელ წარღვნად და გადარეცხავდნენ სიცოცხლის ყოველ კვალს.

— შიში მაინც უსაფუძვლო გამოდგა, — შენიშნა კამარელმა, რადგანაც, როგორც ვიცით, კომეტამ თავისი გზა გაიარა და მთელი ჭვეყანა და შიშით აკანკალებული პარიზიც, უვნებლად გადარჩა.

— მართალია, — დაეთანხმა ვაისმანი, — შიში უსაფუძვლო გამოდგა, ვინაიდან, როგორც ეს დაამტკიცა ვენის ობსერვატორიის მაშინდელმა დირექტორმა ლიტტროვმა, შიშისაგან დაბრმავებულ ხალხს დაავიწყდა ერთი გარემოება, რომ 1832 წლის ნოემბერში



თუმცა ბიელას კომეტამ გადასჭრა დედამიწის ორბიტი, მაგრამ ამ დროს თვით დედამიწა წერტილს 11 მილიონ მილით იყო დაშორებული. მაგრამ იმედი ლიტტროვმა საგანგებოდ გამოიანგარიშა მაშინ ამ კომეტის მოძრაობა და აი, რა გამოვიდა, მოიყვანა თვით ლიტტროვის სიტყვები:

„თუმცა დედამიწა ყოველ წელიწადს ნოემბრის 30-ს გაივლის დედამიწისა და ამ კომეტის ორბიტების გადაკვეთის წერტილს, მაგრამ დაჯახება ამ ადგილას შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა კომეტას თავისი ორბიტის პერიპელიუმის მზესთან უახლოესი მანძილის წერტილს გავლა მოუხდება 28 დეკემბერს. ასეთი შემთხვევა კი, როგორც ზუსტი გამოანგარიშება გვიჩვენებს, შესაძლოა მოხდეს მხოლოდ ერთჯერ 2500 წლის განმავლობაში“.

ვაისმანმა კითხვა შესწავიტა.

— აქედან იწყება ის „ახალი ამბავი“, რომელიც მე თქვენ დაგპირდით. ლიტტროვმა, — ვაისმანი ისევე მიუბრუნდა წიგნს, — ესეც გამოიანგარიშა. აი, რას ამბობს ის ამის შესახებ: „უახლოესი ასეთი შემთხვევა მოსალოდნელია 1933 წელს“. რას იტყვით ამაზე?!

— გამოანგარიშება სწორი იყო, — მიუგო კამარელმა, — მაგრამ ერთ-ერთ თავისი მოგზაურობის დროს, სახელდობრ 1872 წელს, ამ კომეტას რაღაც მარცხი შეემთხვა: ის მოულოდნელად დაიკარგა ცის სივრცეში. ამ წლის 27 ნოემბერს, როცა დედამიწამ გაიარა ორბიტთა გადაკვეთის წერტილი (ლიტტროვის გამოანგარიშების შემდეგ ამ წერტილმა უკან დაიხია სამი დღით), ჰაერში აეთმო მეტეორების მთელი ჯოგი. მაშინ დაასკვნეს, რომ ეს იყო დაშლილი კომეტის ნანგრევები და კომეტაც გამჭრალად გამოაცხადეს.

— ეს იყო ისეთი ლაპსუსი, რის მსგავსიც მეცნიერების ისტორიას ბევრი არ ახსოვს, — სთქვა ვაისმანმა და სკამის ზურგს დააწვა. — 1872 წლის 27 ნოემბერს დედამიწამ, მართალია, გაიარა ორბიტთა გადაკვეთის წერტილი, მაგრამ სად უნდა ყოფილიყო ამ დროს კომეტა? როდის უნდა გაეღო მას ეს წერტილი? გამოანგარიშებიდან სჩანს, რომ ამ წელს კომეტამ დედამიწის ორბიტი გადასჭრა სექტემბრის 16-ს. მაშასადამე, 27 ნოემბერს, როცა დედამიწამ ეს წერტილი გაიარა, კომეტას უკვე შემოვლილი ჰქონდა მზე და საშინელის სიჩქარით მიჰქროდა უკან თავისი ორბიტის მეორე ხაზით იპიტიერის ორბიტისაკენ. რაც შეეხება მეტეორების ამ წვიმას, რომელმაც გაანათა 27 ნოემბერს დედამიწის ატმოსფერო, ეს იყო მეტეორების ჩვეულებრივი „ნოემბრის ჯგუფი“.

ასტრონომიაში „ეონიდებად“ წოდებული, შეუძლებელია ეს უფრო მეტი ფილიყო ბიელას ნანგრევები, კიდევ რომ შემთხვეოდა ამ კომეტას კატასტროფა, თუნდაც იმიტომ, რომ ეს წერტილი მან გაიარა, როგორც ვთქვი, 16 სექტემბერს და 27 ნოემბრამდე ეს ნანგრევები ერთ ადგილს არ დაუწყებდენ დედამიწას ლოდინს.

— მაშ, სად გაქრა კომეტა? — იკითხა კამარელმა, — რატომ არ გამოჩნდა თავის გზაზე ჩვეულებრივად, თუ კი, დაშლილი არ იყო?

— კომეტა არ დაშლილა. იგი განაგრძობს უცვლელად თავის ორბიტზე სრბოლას და გენიალური ლიტტროვის გამოანგარიშების თანახმად ის გასჭრის დედამიწის ორბიტს 1933 წლის ნოემბრის 25-ს.

კამარელი ოდნავ შეშფოთდა.

— და ამ დროს დედამიწა იქნება სწორედ იმ წერტილზე, სადაც ორბიტები ერთმანეთს გადაკვეთენ, — დაასრულა ვაისმანმა.

— მაშასადამე? — წამოიძახა კამარელმა.

— მაშასადამე დაჯახება აუცილებელია.

— ამას უფრო დამაჯერებელი დასაბუთება სჭირია, — შეედავა კამარელი.

— ინებეთ!


ვაისმანმა ქალაღდებს რევა დაუწყო.

— მე უკვე ვიცი, რამ გამოიწვია მეცნიერების შეცდომა. ბიელას კომეტა, რომელიც სჭრის დედამიწის ორბიტს, თავის მხრივ განიცდის მეორე მეზობელ კომეტის ამგვარსავე დაუპატიყებელ შემოჭრას. ამ კომეტას ჰქვია ენკე. მე თქვენ ახლავე გაგაცნობთ ამ კომეტის ორბიტსაც.

ვაისმანმა გაშალა რუკა და კამარელს წინ დაუდო.

(სურათი)

ეს არის დედამიწის, ბიელას და ენკეს ორბიტების ურთიერთ მდგომარეობა:  $A_1B_1C_1$  — დედამიწის ორბიტია  $A_2B_2C_2$  — კომეტა ბიელას ორბიტია:  $D_1E_1t$  — კომეტა ენკეს ორბიტია. როგორც ვხედავთ, ბიელა ჯერ გადაჭრის ენკეს ორბიტს, შემდეგ შემოიჭრება დედამიწის ორბიტში. როგორც ჩემმა გამოანგარიშებამ დაამტკიცა, ეს თქვენ შეგიძლიათ ახლავე შეამოწმოთ, სწორედ 1872 წლის აგვისტოს 2-ს მოხდა ბიელას და ენკეს შეხვედრა ამ წერტილზე. ეს არ იყო დაჯახება, ვინაიდან ორივე კომეტის მთავარმა მასსამ ერთმეორეს გვერდი აუხვია. მხოლოდ ენკემ ჩააჭრო ბიელას ელვარე



გარსი, რადგანაც მოხდა ელექტრო-მაგნიტური სხივების უცვლელად  
დაცლა კომიტეტის აირის კონტაქტის გამო. ჩამქრალი ბიელა ტელე-  
სკოპში არ გამოჩნდა.

ვაისმანმა ფორმულებით და ციფრებით აქრელებული ქაღალდი  
გადასცა კამარელს.

მართალია, ლეტარგინისა და ნორვეული ხილვის ეკრანის მოუ-  
ლოდნელობამ შეაკრთო კამარელი, მაგრამ კომიტეტის საკითხს ისე  
კარგად იყო გაცნობილი და იმდენად უფრო ჩვეულებრივი მოვლენა  
აყო მისთვის ეს ყოველგვარ ფანტასტიკის გარეშე ნაწარმოები  
ანგარიში, რომ აქ იგი არა გრძნობდა შიშის მომგვრელ ტრუანტელს,  
რითაც იმსკვალეზობდა ხოლმე ყოველთვის, როცა ეკრანის ფორმუ-  
ლაზე გაიფიქრებდა. ის უკვე თავის ბუნებრივ ატმოსფეროში  
გრძნობდა თავს და ამიტომ სრული სიდიდით შეუდგა ვაისმანის  
ციფრების შემოწმებას. მაგრამ რაც უფრო მეტს აკვირდებოდა ამ  
ციფრების კორიანტელს, მით უფრო ემჩნეოდა მის სახეს აღელვე-  
ბა და ბოლოს, როცა გაეცნო ყველა სქემას, ქაღალდები დაეცა,  
ნელა დაალაგა მაგიდაზე, ხმის ამოუღებლად წამოდგა და ოთახში  
სიარული დაიწყო.

— თქვენ მართალი ხართ, — ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ  
მიმართა ვაისმანს, — თქვენი ანგარიში სწორია. რა უმნიშვნელო  
რამ ჩრდილია ზაქმათ ხშირად, რომ მეცნიერების ბრწყინვალე თვა-  
ლებს ბინდი აეკრას. როცა უმეშვეო საფრთხის არაერთარი საფუძვე-  
ლი არ არსებობდა, ხალხი დღელავდა და შიშისაგან კანკალებდა, ახლა  
კი, როცა აუცილებელი კატასტროფა მოახლოვებულია, არავინ საფ-  
რთხეს არ მოელის.

— საკიროა გაფრთხილება, — წყნარად წარმოსთქვა ვაისმანმა.  
კამარელმა გაიკვირვა:

— რა აზრი აქვს გაფრთხილებას?

— მეცნიერებამ თავისი მოვალეობა უნდა მოიხადოს. ვინ იცის,  
რას შეიძლება კაცობრიობა უკიდურეს საფრთხის წინაშე!

კამარელი ხელმეორედ მიუჯდა მაგიდას და გადასინჯა საბე-  
დისწერო ციფრები.

ვაისმანი იჯდა ქანდაკებასაგან გაუფრთხილებელი და კამარელს  
შესცქეროდა.

— კატასტროფა აუცილებელია! — აღელვებით დაასვენა კამა-  
რელმა. — სამწუხაროდ, კაცობრიობა სრულიად უძლურია ამ საფ-  
რთხის წინააღმდეგ. ამიტომ ვფიქრობ, უმჯობესია არაფერი იცოდეს  
ამის შესახებ.

— შე არ გეთანხმებით, — ენერგიულად მიუგო ვაისმანმა. — რა

უფლება გაქვთ დაუმალოთ ქვეყანას მოსალოდნელი საფრთხეები არიან სხვა მეცნიერები, იქნება მათ გამონახონ რაიმე სპეციალურმა, დაე, მათაც იველიონ უბედურების ასაცილებელი ხეუფლები.

კამარელს უცებ მოაგონდა მარსელი ქალის მიუწვდომელი სახე და იგრძნო გასაკვირალი სიმშვიდე: თითქო მძიმე ტვირთი მოსცილდა გულს. უსაზღვროების ფანჯრიდან შემოჭრილი მისი პიროვნული კატასტროფა გადაიქცა მსოფლიო კატასტროფის წინამორბედ გრგვინვად, რომელიც თანდათან უახლოვდება საცოდავ დედამიწას. რათა ორი წლის შემდეგ სამუდამოდ გააბნოს მისი ლეშის ნანგრევები გაყინული სივრცის უფსკრულში. თუ შეუძლებელია ადამიანისათვის გადაახტეს ამ უფსკრულს, დასძლიოს მისი უსაზღვრო სიბნელე და აფრინდეს შორეულ სფეროში სულის დამატკბობელ ჩვენებათა განსაცხადებლად, უმჯობესია, სამარადისოდ დაასამაროს ამ უნაპირო საფლაფში მდელვარე გული და უფრთოს ხეული.

— ამაშიც მართალი ხართ, — უთხრა მან ვაისმანს და წამოდგა, კაცობრიობამ უნდა იცოდეს რა ელის მას.



მეორე დილით კამარელმა პულკოვის ობსერვატორიის დირექტორს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„არის საფუძველი დავასკვნათ, რომ კომეტა ბიელა უახლოვდება დედამიწას. საჭიროა დაკვირვებით გაისინჯოს ვარსკვლავთა ფოტოგრაფიული რუკები, რათა შემოწმებულ იქნას, გაიარა თუ არა ამ კომეტამ ორბიტების კრიტიკული წერტილი 1920 წლის 17 ოქტომბერს და 1927 წლის 21 აპრილს.

სამი დღის შემდეგ კამარელმა პასუხი მიიღო. პულკოვის ობსერვატორიის ფოტოგრაფიებში კომეტა არ აღმოჩენილა, მაგრამ მას შეეკითხვა დაუგზავნია შეიღ უმთავრეს ობსერვატორიისათვის; მათგან ორს დადებითი პასუხი მიუცია: ჰამილტონის ობსერვატორიას (კალიფორნია) და Bouden — Station-ს (პერუს მიდამო). ეს ორი ობსერვატორია იმყოფება განსაკუთრებით უპირატეს ატმოსფერულ პირობებში და ამიტომ ბოლოწაჭრილ უშუქო კომეტის ბუნდოვანი ჩრდილის დაჭერა მხოლოდ მათ მოუხერხებიათ. მაგრამ, როგორც პულკოვის ობსერვატორიის დირექტორი იტყობინებოდა, ამ ჩრდილის მაგვარ სხეულისათვის ყურადღება არავის მიექცევა და ბიელას მობრუნება სენსაციას გამოიწვევს, თუ გამართლდა.

კამარელისათვის ეს ცნობა სავსებით საკმარისი იყო.

მან დაამზადა წერილი, რასაც შიშის ქარიშხალში უნდა გაეხეცო მთელი დედამიწა და ვიდრე გამოაქვეყნებდა, გადაწყვიტა მეცნიერთა ეიწრო წრეში წაეკითხა, რომ პატარა ფარგლებში შეემოწმებინა მოსალოდნელი დიდი შთაბეჭდილება.

მოხსენება წაიკითხა ფრთხილი, მეცნიერული სიღინჯით, რომ თავიდანვე ამაღლებელი ატმოსფერო შეექმნა. კატასტროფის საკითხი ფრჩხილებგაუხსნელად ჩაატარა, ფორმულებისა და ოდნავ მისახვედრი შედეგების დამშვიდებულ სიტყვებში უჩინრად მიმალა საშინელი ჭეშმარიტების მკბენარი მორიელი.

მოხსენება გათავდა.

თითქმის არავითარი შთაბეჭდილება.

პაუზა.

სიჩუმე დაარღვია თავმჯდომარემ:

— შეკითხვა ხომ არავის გაქვთ?

— მაქვს!

— ბრძანეთ!

— მომხსენებლის ანგარიშით დედამიწას კომეტა უნდა დაეჯახოს. როგორ ფიქრობს მომხსენებელი — რა შედეგი ექნება ამას დედამიწისათვის?

კრებამ ყურები სცქვიტა. ამ შეკითხვამ სულ სხვა სახე მისცა მოხსენებას. სიტყვების თბილ საბნიდან მორიელმა ერთი ფეხი გამოჰყო.

— სხვა, ვისა გაქვთ შეკითხვა?

არავის!

სხვა რაა საკითხავი? მთავარი ესაა.

კამარელი თითქო ანკესზე წამოაგეს.

მაგრამ გამოცდილი თევზი გაუსხლტა ანკესს და წყალში ბუნდოვნად ჩასრიალდა.

— ამეამად მე ეიკვლევ კომეტის მასსას. დაჯახების შედეგი იქნება უმნიშვნელო, თუ კომეტა მცირე სიმძიმის აღმოჩნდა, მაგრამ თუ მას თავისი მასის სიმკვრივე და მოცულობა ძველი აქვს. მაშინ მოსალოდნელი იქნება დედამიწისათვის მეტად სახიფათო მდგომარეობა.

— რატომ არის მოსალოდნელი კომეტის ძველი მასის შემცირება? — კიდევ შეეკითხა იგივე ხმა.

— აკი მოგახსენეთ, 1872 წელს ეს კომეტა დაეჯახა მეორე კომეტას. მაშინ ჩაქრა მისი ანთებული გარსი. შესაძლოა მასსაც დაიშალა ნაწილობრივ!

— თუ კი კომეტას შერჩა ძველი მასსა, — განაგრძობდა შემკითხველი — კონკრეტულად რა ხასიათის კატასტროფაა მოსალოდნელი ჩვენი პლანეტისათვის?

— ეს იქნებოდა დედამიწაზე სიცოცხლის უეცარი განადგურება, — მიუგო კამარელმა. — თვითონ დედამიწას, როგორც პლანეტას, შეიძლება არაფერი ზიანი მოუვიდეს, მაგრამ სიცოცხლის ყოველგვარი ფორმა მასზე უფროდ დაინგრევა, რადგანაც კატასტროფა გამოიწვევს დედამიწის კანის სრულ დაშლას, შესაძლოა დედამიწა აენთოს. მაშინ იგი მილიონ წლების განმავლობაში ივლის ჩვენს სისტემაში როგორც მეორე პატარა მზე.

დარბაზში შიშის პირველმა ნიამმა დაჰხვია და ბევრს თმა აუბურძგნა.

მორიელი ნახევრად გამოძვრა სიტყვების აბლაბუდიდან.

— რამდენად არის მოსალოდნელი საერთოდ ამგვარი კატასტროფა? განაგრძობდა შემკითხველი. — მეცნიერებამ იცის თუ არა ასეთი შემთხვევა მსოფლიოში? დედამიწა ამდენი ხანია არსებობს და თუ წარსულში არაფერი შემთხვევია, რისთვის უნდა ველოდოთ მომავალში ამგვარ ხიფათს?

კრებამ იმედიანად ამოისუნთქა.

მორიელმა ფეხი დამალა.

კამარელმა შემკითხველს პასუხი ვასცა.

— მეცნიერებამ იცის კატასტროფის შემთხვევები მსოფლიოში. ეგრეთწოდებული ცვალებადი და ახალი ვარსკვლავები წარმოადგენენ მსოფლიო კატასტროფათა შედეგს. ცაში მოულოდნელად აენთება ახალი ვარსკვლავი ან უკვე არსებულა ვარსკვლავი უფრო მეტი სიძლიერით დაიწყებს კაშკაშს. მეცნიერებამ გამოარკვია, რომ ეს კატასტროფის შედეგია: პირველ შემთხვევაში შორეული მზის სისტემის რომელსამე ბნელ პლანეტას დაეჯახა ამ სისტემაში მოულოდნელად შემოქრილი სხეული და აანთო იგი. მეორე შემთხვევაში ეს გარეშე სხეული დაეჯახა თვით მზეს და გაუდიდა სხივის-ნობის ძალა.

აი რას ამბობს ერთი ასეთი შემთხვევის გამო მეცნიერი ფოველი:

„1892 წელს აღმოჩენილ იქნა ახალი ვარსკვლავი Nova Aurigae. ეს ვარსკვლავი 1891 წლის 2 ნოემბრამდე იყო მე-13 სიდიდის, სრულიად უმნიშვნელო და ძნელად შესამჩნევი. იმავე წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში ვარსკვლავი გადიდდა მე-7 სიდიდის ზომამდე. 7 დეკემბერს მიაღწია მე-6 სიდიდეს. 20 დეკემბერს კი ვარსკვლავი კაშკაშებდა, როგორც მე-4 სიდიდის ბრწყინვალე მნათობი.“

ბი. შემდეგ დაიწყო დაბნელება, თანდათან უკლო სინათლეს და 1892 წლის აპრილის დამლევს სრულიად გაქრა“.

„ბუნებრივია ისმება საკითხი, — ამბობს ამის შესახებ ფოგელი, — როგორ უნდა აეხსნათ ყველა ეს ფაქტი, შენიშნული სამყაროს შორეულ სივრცეში? მე ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ჩვენ ვიყავით უდიდესი კოსმიური კატასტროფის მოწმენი. ჩვენი აზრით, უზარმაზარი ბნელი სხეული სამიწის სინჯარით შეიჭრა რამდენიმე პლანეტის მზის სისტემაში და მოულოდნელად დაარღვია ამ სისტემის წესი და მშვიდობა. თუ პირდაპირ არ დასჯახებოდა ეს სხეული სისტემის ცენტრალურ მნათობს, რომელიც უნდა წარმოვიდგინოთ თითქმის უკვე გაცივებულ მდგომარეობაშია, ისე ახლოს გაუჭროლა მას, რომ თავისი დიდი მიწისმსებლობის ძალით გამოიწვია მნათობის შინაგანი თხელი ნივთიერების დეღვა, მნათობის კანის გასკდომა და ავარჯარებული სითხის პროტუბერანცების სახით სივრცეში გადაღვრა“.

ასეთსავე აზრს გამოთქვამს მეცნიერი მაიერი:

„ყველა ფაქტი და ჰიპოთეზა რომ ერთმანეთს შევეუფარდოთ, — ამბობს იგი, — პირველყოფლისა უნდა დავასკვნათ, რომ ახალი და ცვალებადი ვარსკვლავების წარმოშობა ატარებს კატასტროფის ხასიათს: ეს უფერად ანთებული ვარსკვლავები წარმოადგენენ რომელიმე დაღუპული ქვეყნის სამგლოვიარო ყინულებს“.

თვით ჩვენი მზის სისტემაშიც, როგორც მტკიცდება, ჰქონია ასეთს კატასტროფას ადგილი. როგორც ცნობილია, პლანეტების დაშორება მზისაგან ემყარება ერთგვარ კანონს. ამ კანონის მიხედვით მარსსა და იუპიტერს შუა უნდა ყოფილიყო კიდევ ერთი პლანეტა. როცა ასტრონომებმა დაუწყეს ამ პლანეტას ძებნა. სწორედ იმ ადგილას, სადაც გამოანგარიშებით პლანეტა უნდა ყოფილიყო აღმოაჩინეს პატარა სხეულების მთელი გროვა, ეგრეთწოდებული ასტეროიდები. მათი რიცხვი 1600-მდე აღის. მეცნიერების აზრით ისინი წარმოადგენენ პლანეტის ნანგრევებს. ცხადია პლანეტას დასჯახებია რომელიმე კომეტა, თვითონაც დაშლილა და პლანეტაც დაუნგრევია.

მაშასადამე, მზის სისტემაში, თითქმის დედამიწის გვერდით, მომხდარა ასეთი კატასტროფა და რატომ იქნება გასაკვირი, რომ ეს ხიფათი ჩვენს პლანეტასაც შეემთხვას!

მართალია, დედამიწის ხანგრძლივი წარსული აქვს, მაგრამ გეოლოგიური ანგარიშით იგი ჯერ კიდევ ჰაბუკობის ასაკშია. და ის ფაქტი, რომ მას წარსულში არაფერი გასჭირვებია, არ ამტკიცებს მომავალი უბედურების შეუძლებლობას.

ჩამოვარდა სიჩუმე.

ჩვეულებრივი მეცნიერული ხასიათის სხდომა უჩვეულო განწყობილებამ მოიცვა.

— შეკითხვა კიდევ! — წარმოსთქვა მათემატიკის პროფესორმა.

— ინებეთ!

— 1872 წლის შეჯახებას შეეძლო თუ არა დაეშალა ნაწილობრივ კომეტის მასსა? და თუ კომეტამ მასსა დაჰკარგა, შეეძლო თუ არა მას იმავე ორბიტზე სრბოლა და დაჩრებოდა თუ არა ამ შემთხვევაში მისი ბრუნვის პერიოდი უცვლელად?

კამარელი მიხვდა, რომ ფრჩხილები უნდა გახსნას.

— კომეტას ორბიტი და ბრუნვის პერიოდი არ შეუცვლია, მაშასადამე, მართალია შემკითხველი, მასსაც ძველი უნდა ჰქონდეს. სამწუხაროდ, ეს ფაქტი თითქმის უაზროდ ხდის კომეტის მასის კვლევას, მაგრამ მდგომარეობის სიმწვავის გამო მოვლენის ყოველი მხარე ზედმიწევნით უნდა იქნეს შესწავლილი.

— მაშასადამე, იმ ფაქტებისა და მოსაზრებათა მიხედვით, რაც ამჟამად ჩვენს განკარგულებაშია, კატასტროფა აუცილებელია.

— თითქმის! — უბასუხა კამარელმა.

კრებას დაეტყო რომ კრიტიკული წამი დადგა.


ერთი დამსწრეთაგანი წამოდგა და დარბაზიდან გავიდა. ფრთხილად დაწყებული ოპერაცია მტკივნეული შეიქნა. მშვიდობიან სიტყვებში შეფუთვნილი ძორიელი გამოძვრა დაბეულ არტახებიდან და დამსწრეთა გრძნობიერების საერთო ნერვში გესლი ჩაანთხია. კამარელის მეცნიერული ავტორიტეტი იმდენად მაღალი იყო, მისი მოხსენების საფუძვლები იმდენად მტკიცე და დამაჯერებელი, რომ შედავება საოცრად ძნელდებოდა.

— როგორც სჩანს, ვილუბებით! — სცადა პროფესორმა უღმობელი კითხვის ღიმილით შეხელება. — მეცნიერებას, თანამედროვე ტექნიკას აქვს თუ არა რაიმე საშუალება კატასტროფის ასაცილებლად?

— კაცობრიობას არ შეუძლია ასეთი მასშტაბით კოსმიური პროცესის შეცვლა, ან შეჩერება, — მიუგო კამარელმა.

ვილაცამ სიტყვა მოითხოვა.

— მე მინდა მომხსენებელმა ერთი განმარტება მომცეს, — სთქვა მან. — როგორც მოხსენებიდან სჩანს, კომეტა ბიელას და დედამიწის ბრუნვის პერიოდები იმგვარ ურთიერთობაში არიან, რომ ეს ორი სხეული ყოველ 2500 წელს ერთხელ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს მათი ორბიტების გადაკვეთის წერტილზე. დედამიწა არსებობს მრავალ მილიონ წლების განმავლობაში. მაშასადამე, იგუ



უნდა დადგინდეს ამ კატასტროფისაგან თავისი არსებობის პირველსავე საუკუნეებში და თუ დღემდე მოახერხა უვნებლად გადარჩენა ამ საბედისწერო შეხვედრისაგან, რა საფუძველით ამტკიცებს ახლა მეცნიერება, რომ ეს შეხვედრა რაღაც განსაკუთრებული და უკანასკნელი?

ეს მოსაზრება თუმცა უიმედო იყო, მაგრამ შეშინებულ გონებას ხსნის მალამოდ ჩაეწვეთა.

— მე ჩემს მოხსენებაში გაკვირვებით შევეხე ამ საგანსაც, მიუგო კამარელმა, რადგანაც კრების ნაწილისათვის საკითხი საკმაოდ გაშუქებული არ ყოფილა, საჭიროდ მიმაჩნია უფრო ვრცელი განმარტება წარმოვიდგინოთ.

კომეტები ჩვენი მზის სისტემის პირვანდელი წევრები როდია არიან. კომეტა მოდის უსაზღვრო სივრციდან, და როცა გაივლის მზის ახლო, იგრძნობს მზის მიმზიდველ ძალას და გაიქანება მისკენ ისეთი სისწრაფით, რომ ვერ ახერხებს ზედ დაცემას. შემოუვლის ირგვლივ და ინერციის ძალით გავარდება პარაბოლის მეორე გვერდით და გაიქროლებს ისევ უსაზღვროებისაკენ.

მაგრამ შეიძლება მზის სისტემაში შემოსვლის, ან გასვლის დროს ისე ახლოს გაუაროს რომელსაღმე დიდ პლანეტას, რომ ამ უკანასკნელში შესცვალოს მისი გზის მიმართულება და კომეტა დაატყვევოს მზის სისტემაში.

მაგალითად, იუპიტერს, როგორც უდიდეს პლანეტას, დატყვევებული ყაჭა 23 კომეტა. თავისი უზარმაზარი მიმზიდველობის ძალით ეს პლანეტა ღუნავს ახლოს გავლილ კომეტის პარაბოლას, აქცევს მას ელიპსად და ერთხელ ცის უსაზღვროებიდან შემთხვევით შემოჭრილ კომეტას ხდის ჩვენი სისტემის მუდმივ წევრად.

ხდება ზოგჯერ პირუკუ მოვლენაც: რომელსაღმე პერიოდულ კომეტას ისე აუქნევს ხელს მის ახლო გავლის დროს, რომ ბურთისავით აისკრის უსაზღვროებაში და სამუდამოდ აგდებს მზის ოჯახიდან.

ბიელაც სწორედ იუპიტერის მიერ დატყვევებულ კომეტების რიცხვს ეუთვნის.

როდის ჩამოვარდა ეს კომეტა ჩვენს სისტემაში, ამის გამოკვევა ძნელია.

მე ვფიქრობ, მას უკვე ჰქონდა დედამიწასთან სამი შეხვედრა. დედამიწის ელიპსის საკუთარი ბრუნვის გამო, ეს სამი შეხვედრა არ იყო კრიტიკული, მაგრამ კატასტროფებს მაინც ჰქონდა ადგილი. ზემი აზრით ატლანტიდის დაღუპვა, ყინულოვანი პერიოდი და

მსოფლიო წარღვნა, ეს სამი კატასტროფიული მოვლენა არის ბრენის  
ლასთან შეხვედრის შედეგები.

მომავალი მეოთხე შეხვედრა ხდება სწორედ კრიტიკულ წერ-  
ტილზე. ამიტომ არის ეს შეხვედრა უფრო სახიფათო.

პაერი დამძიმდა შიშის ვიბრირებით.

უცნობი, არაჩვეულებრივი გრძნობა დაეუფლა კრებას. შიში იყო  
სხვაგვარი, რაღაც არაადამიანური, განუცდელი.

ყოველი მათგანი, ვინც ამ კრებაზე იყო, შეიძლება წარბეჭუბ-  
რელად შეხვედროდა პირად ჰიკვდილს, მაგრამ მთელი დედამიწის  
ერთდროული უეცარი სიკვდილის გრძნობა ველარ ეტეოდა გონების  
ფარგლებში და იწვევდა გაუგებარ სულიერ განწყობილებას.

ჩამოვარდა სრული სიჩუმე.

დარბაზში დამცინავ დისონანსად შემოიჭრა ქუჩიდან გაზეთის  
გამყიდველის უდარდელი ტენორი: „კომუნისტი!“ „ზარია!“ „სამუ-  
დამო კალენდარი!“..

— ამხანაგებო! — გაისმა უკანა რიგებიდან. ვუყურებ ამ პატიო-  
სან კრებას და ვერ გამოვიბა, რაშია საქმე, ჩვენ ძალიან კარგად  
ვიცით, რა უნდა ვქნათ, როცა ჩვენს საქმეს, ჩვენს სიცოცხლეს რამე  
საფრთხე მოელის. მზადა ვართ ბრძოლისათვის და თავსაც გავწირავთ,  
თუ მდგომარეობა მოგვთხოვს, მაგრამ კომეტა რომელიც დედამიწის  
უნდა დაეჯახოს, არის ბუნების სტიქიონი, ისეთი ხაიათისა და  
ზომის, რომ შეუძლებელია ფიქრიც მის წინააღმდეგ ბრძოლაზე.  
ყოველ შემთხვევაში, დღევანდელი მოხსენებიდან ასე ირკვევა —  
რა დაგვრჩენია ჩვენ? ძალა, რომელიც ჩემი გავლენის გარეშე დგას,  
მე არ მაინტერესებს. ჩემი აზრით ჩვენ თავი უნდა დავანებოთ იმაზე  
ფიქრს, თუ როგორ შევძლოთ შეუძლებელი. იმ კომეტას შემოსვლა  
არ უკითხავს ჩვენთვის, არც გასვლას გვკითხავს. ჩვენ ჩვენი საქმე  
გვაქვს, დაუბრუნდეთ ყველა ჩვენს სამუშაოს და უმჯობესი იქნე-  
ბა იმ კომეტაზე ლაპარაკსა და წერას სულ დავანებებდეთ თავს:  
გარდა პანიკისა არაფერი გამოვა უიმედო მითქმა-მოთქმისაგან. რაც  
აუცილებელია — თავისთავად მოხდება. თუ განწირული ვართ, რა  
საჭიროა ჰიკვდილამდე თვალების დათხრა!

კრება დასრულდა.

ამ სიტყვამ ბევრს დაუბრუნა გონების სიფხიზლე. მაგრამ ბევრს  
თან გაჰყვა მორიელის გესლი.

მეორე დღეს დეპეშათა სააგენტომ მთელ ქვეყანას გადასცა ცნობა კამარელის მოხსენების შესახებ. ორი დღის შემდეგ მან მიიღო სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთაგან მრავალი შეკითხვა. ზასუხად კამარელმა თავისი წერილი გამოაქვეყნა.

კამარელის წერილმა სენსაცია გამოიწვია. ევროპისა და ამერიკის 17-მა ობსერვატორიამ შეამოწმა კამარელის დასკვნა და უდავოდ დაამტკიცა საშინელი კატასტროფის აუცილებლობა.

მეცნიერებმა გამოიანგარიშეს მომავალი კატასტროფის ხასიათი და თავზარდამცემი შედეგი მიიღეს; კომეტის მასსა იმ ზომამდე დიდი აღმოჩნდა, რომ დაჯახებას უნდა გამოეწვია დედამიწის ორად გაყოფა. «გასკდომამდე დედამიწა აენთება, — სწერდა ერთი ამერიკელი მეცნიერი, — დაიწყებს თავისი ღერძის ირგვლივ ტრიალს საშინელი სისწრაფით და ეკვატორი ნელ-ნელა შუაზე გაიყოფა ერთ-ერთი მერიდიანის რკალით. შემდეგ ორივე ნახევარი მიიღებენ სფერულ ფორმას, ერთმანეთს დაშორდებიან 50 ათას კილომეტრით და ერთიმეორის გარშემო დაიწყებენ ბრუნვას. 1933 წლის 25 ნოემბერს, საღამოს 5 ს. და 43 წ. გრინვიჩის დროით, კაცობრიობა სამუდამოდ შესწყვეტს თავის არსებობას».

პირველ ხანებში ფართო საზოგადოებას დიდი ყურადღება არ მიუქცევია ამ ცნობისათვის, მხოლოდ მეცნიერთა წრეებში სდღულდა მომავალი უბედურების წინასწარი მტკიცების საშინელი ხვატი. მაგრამ როდესაც საპეციალურ ორგანოებიდან ეს ამბავი პოლიტიკურმა პრესამ ქვეყანას მოსდო, სენსაციამ მიიღო საყოველთაო პანიკის ხასიათი.

სწრაფად მოედო მსოფლიოს პანიკა. მრავალ ქვეყანაში ბირჟამ პანიკას უზასუხა უმაგალითო არეულობებით, რამაც ეკონომიურ-ფინანსიური ქაოსი გამოიწვია. სამი დღის განმავლობაში უდიდესი ფინანსიური ტრესტებისაგან ნანგრევები-ლა დარჩა, არ გასჭრა არავითარმა მოწოდებამ რომ კატასტროფამდე შინც არ უნდა დაინგრეს საზოგადოებრივი ცხოვრება, რომ „რალაც იმედებია“ და სხვა.

მსოფლიო აფართხალდა, როგორც ბნელამორეული ავადმყოფი. ევროპაში პანიკამ მრავალგვარი სახე მიიღო. ზოგიერთები თავდავიწყებულ გარყვნილებას მიეცნენ და ავხორცობის ეკეხანალიამ დაფარა შიშისა და უძლურების გრძნობა. ქვეყანას მოენგრა ბურჯები და თავდაყირა გადაბრუნდა ცხოვრების ყველა საფუძველი. თითქო წაიშალა სოციალური საზღვრები და თავზარდაცემული

ხალხის ბრბო საშინელი უფსკრულის წინაშე სცურავდა სიგვიანოდად.  
გარყვნილების მორევში.

ინგლისის მთავრობამ გამოაქვეყნა პატრიოტული მოწოდება:

— ბრიტანელებო! მსოფლიოს მეზღვაურებო! რამდენჯერ გამოგიჩენიათ სულის უმაგალითო სიმტკიცე და რაინდობა დასალუპავად გამოზადებულ გემების ბაქნებზე. რამდენჯერ ჩაძირულხართ თქვენ საყვარელ გემთან ერთად ოკეანის ცივ უფსკრულში უსიტყვოდ, წარბშეუხრელად. თქვენი განუყრელი ჩიბუხით პირში, მეზღვაურებო! იღუპება ჩვენი უკანასკნელი ხომალდი, საყვარელი ჩვენი პლანეტა, რომელიც აწდენ ხანს ღირსეულად ატარებდა ბრიტანეთის მაღალ დროშას. დადექით ხომალდის ბაქანზე თქვენს თქვენს ალაგას, დაიცავით დისციპლინა, და დანარჩენ კაცობრიობას, — ხომალდის მგზავრებს, — ერთხელ კადევ და უკანასკნელად უჩვენეთ თქვენი გმირული ბუნება, უშიშარი გული და მტკიცე ხაიათი მეზღვაურებო! დაე, უკანასკნელად დაიღუპოს სივრცეში უიმედო და განწირული კვილი: — SOS! მაგრამ ამ კვილს თან გაპყვეს დროშად ჩვენი ქედმაღალი ერის გმირული სიმღერა:

„გიახლოვდები,  
გიახლოვდები  
მე შენ უფალო!..“

ასე მოიქცნენ სხვა ქვეყნის მთავრობებიც, მაგრამ ამაოდ... პანიკა გრძელდებოდა.

\*  
\* \*

დადგა 1932 წლის იანვარი.

პანიკის გავრცელებიდან სამი კვირის განმავლობაში მთელი მსოფლიო ციებ-ცხელებიან ავადმყოფივით ცახცახებდა და ბოდაედა.

მომავალი სიკვდილი ათასჯერ დამტკიცებული იყო, არსაიდან საშველი არ სჩანდა და ზარდაცემულ გონებას საშინელი აღსასრულის აჩრდილი თანდათან უახლოვდებოდა.

იანვრის 10-ს რომში შესდგა კათოლიკური სამღვდლოების საგანგებო მსოფლიო კრება. კრების დღის წესრიგში იდგა ერთადერთი საკითხი: „მეორედ მოსვლის ნიშნები და სანღვდლოების ტაქტიკა“. კრება გახსნა რომის მთავარმა ეპისკოპოსმა „უწმინდესი პაპის“ სახელით და წარმოსთქვა შესავალი სიტყვა:

ქვეყანა წარყვნა ურწმუნობებამ, კაცობრიობამ დაივიწყა ღმერთი და თავყანსა სცემს ყოველგვარ ბიწიერებას. და განარისხდა უფალი ღმერთი ჩვენი და ცეცხლისა და წარღვნის მოლოდინით დააქრო უკეთური გონება ადამიანისა; ცახცახებს შიშისაგან სასოწარკვეთილი უგუნურება, აღარ არის იმედი დამატკობელი და იტანჯება სული უნუგეშო. სისხლითა და კაცთა მძულეარების შხამით აღივსო ჭურჭელი სიყვარულისა და სათნოებებისა. ვილოცოთ უფალისა ჩვენისა მიმართ, რათა გარდამოგვივლინოს ძემან ღვთისამან იმედი და ნუგეში და ყოვლად სახიერმან განამტკიცოს სარწმუნოება ჩვენი“.

სამოციქულო კათედრაზე აღის მომხსენებელი, ღრმად მოხუცებული პრელატი მამა ბენედიქტი.

მამა ბენედიქტი: ქრისტეს მიერ ძმანო და ღირსნო მამანო! სრულდება ანდერძი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი: აღსდგეს ნათესავეი ნათესავსა ზედა და მეუფება მეუფებასა ზედა და იყვენ ძრავნი ადგილ-ადგილ, და იყვენ სიყმილნი და შფოთნი... მისცეს ძმამან ძმას სიყვდილად და მამამან შვილი. და აღსდგეს შვილნი მამა-დედათა ზედა და მოჰკვლიდეს მათ... ხოლო ოდეს იხილოთ საძაგელი იგი მოოხრებისა, თქმული დანიილ წინასწარმეტყველისა მიერ, მდგომარე ადგილსა წმინდასა, რომელი აღმოიკეთებოდა, გულისხმა ჰყვან... რამეთუ იყვენ დღენი იგი ჭირისანი, რომელი არა სადა იქმნა ესე ვითარი დასაბამითგან, რომელ დაჰბადნა ღმერთმან, ვიდრე აქამომდე და აღარცა იყოს... აჰა ესერა წინასწარ გითხარ თქვენ ყოველი. მათ დღეთა შინა შემდგომად ჭირისა მის მზე დაბნულდეს და მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თვისი, და ვარსკვლავნი, ზეცით გარდამოსცივენ, და ძალნი, რომელნი იყვენ ცათა შინა, შვიძრნენ. და მაშინ იხილონ ძე კაცისა მომავალი ღრუბელთა ზედა ძალითა დიდ დიდებითა მრავლითა...

ერთი დელეგატი: (ადგილიდან) ზეპირად ვიცო, მამაო, ზეპირად! თქვენ ის გვიბრძანეთ — ძე კაცისა მოდის თუ სატანა ჯოჯოხეთისა?

თავმჯდომარე: ვინ არის, უბედური, სიტყვას აწყვეტილებს მოციქულთა სწორს?

ერთი დელეგატი: შეწუხებულ არს სული ჩემი, ვიდრე სიყვდილამდე, მამაო ჩემო, და ველი სიტყვას ახალსა და ნათელს, რათა განმიფანტოს ბურუსი, დაკმეული მეცნიერთაგან ურიცხეთა. ხოლო საზარება ვიცი ფრიად.

მამა ბენედიქტი: (განაგრძობს) და მაშინ წარავლინეს ანგელოსნი მისნი და შეჰკრიბნეს რჩეულნი თვისნი ოთხთაგან ქართა,

კიდითგან ქვეყნისათა, ვიდრე კიდემდე ცისა... და აჰხდა კვამლი იგი საკმეველითა ლოცვისა მიმართ წმინდათასა ხელისაგან ანგელოსისა... წინაშე ღვთისა, და აღიღო ანგელოსმან მან სასაკმეველი იგი, აღავსო ცეცხლისა მისგან საკურთხეველსა და დაასხა იგი ქვეყანასა, და იქმნეს ქუხილნი და ხმანი, და ეღვანი და ძრვა. და მშვიდთა ანგელოსთა, რომელთა აქენდეს შვიდნი იგი საყვირნი, გამზადნეს თაენი თვისნი ცემად. და პირველმან მან ანგელოსმან დასცა საყვირსა, და იქმნა სეტვა და ცეცხლი, შეერთებული სისხლითა და მოვიდა ქვეყანად...

მეორე დელეგატი: ჩვენ აქ მოვედით არა იმისათვის, რომ საღმრთო წერილი ვიკითხოთ, ჩვენ გვინდა გავიგოთ — რა მოხდა, რას უნდა ველოდეთ და როგორ მოვიქცეთ?

თავმჯდომარე: საღმრთო წერილია ჩვენი გზის მაჩვენებელი. იქონიეთ მოთმინება!

მამა ბენედიქტი: მეორემან ანგელოსმან დასცა საყვირისა და ვითარცა მთა დიდი მოტყინარე ცეცხლითა შთავარდა ზღვად... და მესამემან ანგელოსმან დასცა საყვირსა, გარდა მთავარდა ზეცით ვარსკვლავი დიდი მოტყინარე ვითარცა ლამპარი...

თავმჯდომარე: აი, ხომ გესმით: გარდამოვარდა ზეცით ვარსკვლავიო!.. ყველაფერი, რაც უნდა მოხდეს, უფლისაგან წინასწარ გვაქვს ნაუწყებები.

მამა ბენედიქტი: და მეოთხემან ანგელოსმან დასცა საყვირსა და იწყლა მესამედი მზისა და მესამედი მთოვარისა, და მესამედი ვარსკვლავთა... და ვიხილე და მესმა ერთისა ანგელოსისა მფრინვალისა ჰაერითა შინა: ვა არს, ვა არს, ვა არს მკვიდრთა ქვეყანისათა!...

ერთი დელეგატი: ვა არს, ვა არს, ვა არს ჩვენდა, რამეთუ, არა ვიცით სად შევაფაროთ უზადრუჯი თავი ჩვენი!

მამა ბენედიქტი: — და მეხუთემან ანგელოსმან დასცა საყვირსა, და ვიხილე ვარსკვლავი, რომელი გარდამოვარდა ზეცით ქვეყნად... და მიეცა მას კლიტე ჯურღმულისა მის უფსკრულისა. და განაღო წყარო უფსკრულისა, და აღჰხადა კვამლი ჯურღმულისაგან, ვითარცა ცეცხლისა მოტყინარისაგან და დაბნელდა მზე და ჰაერი კვამლისა მისგან ჯურღმულისა...

მესამე დელეგატი: (ჰყვირის) ჯურღმულში ვცვივით სულიან-ხორციანად! რა დროს ეს არის? არ გვინდა პანაშვიდი. გაგვაგებინეთ — მეორედ მოსვლაა, თუ მართლა უღვთოდ იღუპება ქვეყანა?..

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე : ზარს აწკარუნებს.

მ ა მ ა ბ ე ნ ე დ ი კ ტ ე : და კვამლისა მისგან გამოვიდეს მკალთა მკალთა... და მსგავსება იგი მკალთა ისე ვითარი იყოს მსგავსი იყვნეს ცხენთა, განმზადებულთა ბრძოლად, და თავთა ზედა მათთა, ვითარცა გვირგვინნი მსგავსნი ოჭროსანი, და პირნი მათნი, ვითარცა პირნი კაცთანი. და აქენდა თმები, ვითარცა თმანი დედათანი, და კბილნი მათნი, ვითარცა ლომთანი იყვნეს. და აქენდა ჯაჭვები, ვითარცა ჯაჭვი რკინისა, და ხმა ფრთეთა მათთა, ვითარცა ხმა ეტლთა ცხენთა მრავალთა, რომელნი რბოდნან ბრძოლად. და აქეს კულები მსგავსი ღრიანკალთა, და საწერტელები აქენდა კულებთა მათთა...

მ ე ო რ ე დ ე ლ ე გ ა ტ ი : არ გვინდა ასეთი მოხსენება! ზომ არ დაგვეცინოთ, მამაო ჩვენთან ასობით მოდიან მორწმუნენი და გვეკითხებიან: — რისთვის აიღო უფალმა ჩვენზე ხელი და რად უნდა დაეისაჯოთ ჩვენ, მორწმუნენი, ურწმუნოთა ცოდვათაგან? მე მინდა ვიკოდე, რა ვუბასუხო მათ, რით ვანუგეშო?

მ ა მ ა ბ ე ნ ე დ ი კ ტ ე : მეექვსეშენ ანგელოსშენ დასცა საყვირთა თვისსა, და ვიხილე რიცხვი მხედრობითა მათ ცხენთა ორი ბევრი ბევრთანი, და მსხდომარეთა მათ ზედა აქენდა ჯაჭვები ცეცხლისა და იაკინთისა, და წუნწუბისა სახენი, და თავნი ცხენთანი, ვითარცა თავნი ლომთანი და პირთა მათთაგან გამოვალს ცეცხლი და კვამლში და წუნწუბა... კულნი მათნი მსგავს არიან გველთა და აქეთ თავები და მით ვნებენ...

დარბაზში ხმაურობაა. დელეგატები ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებიან და ხმამაღლა კამათობენ. ისმის გუგუნია.

ე რ თ ი დ ე ლ ე გ ა ტ ი :—მამაო, თავმჯდომარე! მეტის მოთმენა შეუძლებელია! ჩვენს ღრმად პატივცემულ მხცოვანს პრელატს, ეტყობა, არა აქვს წარმოდგენილი მთელი სიმწვავე ჩვენი მდგომარეობისა. რად გვინდა ჩვენ ის, რასაც მომხსენებელი ამბობს? გვიპასუხეთ იმ კითხვაზე, რომელიც დასმულია წესრიგში: კატასტროფა, რასაც მთელი ქვეყანა ელის, მეორედ მოსვლაა, თუ სხვა რამ სტიქიური უბედურება? თუ მეორედ მოსვლაა — რას სდუმან მოძღვარნი და რათ მეტყველებენ საშინელის წინასწარმეტყველებით უკეთურნი და ბიწიერნი?

მ ა მ ა ბ ე ნ ე დ ი კ ტ ე : და ვიხილე სხვა ანგელოსი ძლიერი, გარდამომავალი ზეცით და ემოსა ღრუბელი და ირისე...

საშინელი ხმაურობა და აღრზაური ატყდება. ერთი მღვდელი კათედრაზე ავარდება და მომხსენებელს ხელიდან გამოჰგლეჯს „იოანნეს გამოცხადებას“. მომხსენებელი რაღაცას ბუტბუტებს და კა-

თედრიდან ჩამოდის. თავმჯდომარე რეკს, კათედრაზე აღის მგორე  
დე ლე გ ა ტ ი.

— დიდი ხანია ჩვენ ვქადაგებთ: მთავარ-ანგელოსნი უფლისანი საყვირითა ცეცხლისათა აუწყებენ ქვეყანასა მეორედ მოსვლას უფლისა ჩვენისა... დღეს — კი რას ვხედავთ? ასტრონომების ტელესკოპები ჰყვიან ტაძრების ნაცვლად, ობსერვატორიები მეტყველებენ. სად არის ჩვენი პაპი, ქრისტეს მოადგილე ამ ქვეყანაზე? რად არ წარსდგება ჩვენს წინაშე და არ გვაუწყებს ღვთიურს ნებას? და თუ ქვეყანა იღუპება უფლის ნების გარეშე, როგორ შევათავსოთ ეს მოვლენა საღმრთო წერილთან?

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე: არავინ უწყის ნება უფლისა. თვით ქრისტემ ბრძანა, ხოლო დღისა მისთვის და ჟამისა არავინ იცის, არცა ანგელოსთა ცათა შინა, არცა ძემან, არამედ მამამან. იხილეთ და მღვიძარე იყვენით და ილოცვედით, რამეთუ, არა იცით ოდეს იყოს ჟამი იგი...

კრება ხმაურობს.

„არცა ძემან?“ — ბევრს უკვირს ეს სიტყვები, თითქო პირველად გაეგონოსთ!

უმწვერვალესი კონსპირაცია!

მაშ, მეცნიერებმა საიდან იციან?..

მ ე ო რ ე დ ე ლ ე გ ა ტ ი: წინადადებას ვიძლევი, პაპი მოვიწვიოთ კრებაზე.

— პაპი! პაპი! — ისმის ხმები.

— პაპი მოვიწვიოთ!

კრებას დადგენილება გამოაქვს: წარგზავნილ იქნას პაპთან დელეგაცია და ეთხოვოს მის უწმინდესობას მობრძანდეს კრებაზე.

დელეგაციაში ირჩევენ 12 კაცს (12 მოციქულს).

დელეგაციის თავმჯდომარედ ირჩევენ პარიზის დელეგატს აბატ დე-ბრიონს. მამაკაცს მოწიფულს და მხარბეჭიანს.

კრება სწყდება საღამოს 6 საათზე.

დელეგაცია ვატიკანს ჩავიდა პირველ საათზე.

პაპის სასახლეში მას საღამოს 5 საათამდე მოუხდა ლოდინი, ვიდრე კარდინალი გამოვიდოდა.

მამა დე-ბრიონმა მოახსენა კარდინალს კრების დადგენილება

და სთხოვა შეუძღვეს დელეგაციას პაპთან.

— პაპს დღეს თქვენი მიღება არ შეუძლია, — მოკლედ მოუტყუა მათ კარდინალმა.

— რატომ არ შეუძლია? — გაიკვირვა დე-ბრიონმა.

— საქმე აქვს.

— რა საქმე უნდა ჰქონდეს ეკლესიის მსოფლიო კრებაზე უფრო მნიშვნელოვანი? — შეედავა დე-ბრიონი.

— ლაპარაკი ზედმეტია, პაპს თქვენთვის არ სცალია, — უკმეხად მიუგო კარდინალმა და ოთახიდან გავიდა.

პატივმოყვარე აბატი შეურაცხყოფამ სეე გააბრაზა, რომ დაჰყარა ეტიკეტის ყოველი შეგნება და ძალით შეეპარდა პაპის დარბაზში. დარბაზში პაპი არ იყო.

გაიარა რამდენიმე ოთახი, მაგრამ პაპი ვერსად ნახა.

ერთ ოთახში წააწყდა ერთს ანაფორიან ახალგაზრდას, რომელიც ჩემოდანში რალაც ნივთებს ალაგებდა.

ანაფორიანს აბატისათვის ყურადღება არ მიუქცევია, სახე გაფითრებულმა აიღო ჩემოდანი და ქურდივით უხმოდ, ფეხაკრეფილი გავიდა ოთახიდან.

აბატი მისდია.

ანაფორიანმა ჩაირბინა დაბლა სართულში, შეუხვია ეზოსკენ და იქვე, თითქოს მიწა გაუსკდაო, სადღაც ჩავარდა.

აბატი გაჰყვა მის კვალს ოდნავ განათებული კიბით და ნახევრად ბნელ გვირაბში გავიდა. გვირაბის ბოლოს სპირალური კიბე ჩადიოდა ღრმა ჭაში.

ჭის ფსკერზე მარჯვნივ კარი გადიოდა საკმაოდ განიერ, სარდაფივით კამარაშეკრულ ოთახში, სადაც რამდენიმე კაცი ყუთებს ალაგებდა.

ანაფორიანმა ეს ოთახიც გაიარა და მარცხნივ კარი შეაღო.


გამოჩნდა კარგად განათებული განიერი ოთახი.

აბატი შეუმჩნევლად შეჰყვა ამ ოთახში ანაფორიანს.

შუა ოთახში დაბალ სავარძელზე იჯდა თავჩაქინდრული, უზომოდ გამხდარი პაპი. ხელები სავარძლის სახელურებზე დაეწყო. ზურგით სავარძელს მიყრდნობოდა და დანაოჭებული ნიკაბი მკერდზე მიეხედა. თვალები დახუჭული ჰქონდა და თეთრად მოსილი ჰგავდა ქვის ქანდაკს.

ანაფორიანმა ჩემოდანი კარადაში ჩასდო.

ყუთებში სამი კაცი კედელზე რალაცა ინსტრუმენტს ამაგრებდა. პაპმა უცებ თვალი გაახილა.



— ვინ არის ეს კაცი? — მისუსტებული ხმით იკითხა მან და აბატმა მიაცქერდა.

ანატოლიანი მოტრიალდა და როცა უცხო კაცი დაინახა, ეძგერა:

— თქვენ ვინა ხართ? ვინ შემოგიშვათ აქ?

— მე ვარ ეკლესიის მსოფლიო კრების მიერ არჩეული დელეგაციის თავმჯდომარე აბატი ჟან დე-ბრიონი—გაბედულად უპასუხა აბატმა და ორი ბიჯი წარსდგა პაპისკენ.

— უნდა მოვახსენო მის უწმინდესობას, რაც კრებამ დამავალა.

— თქვას, თქვას, ნუ უშლი! — მიმართა პაპმა ანატოლიანს, რომელიც აპირებდა დაუკითხავად შემოსულის უკან გაგდებას.

— დელეგაციის წევრები ზევით მიცდიან. ოთხი საათია, თქვენს კართან ვდგევართ, თქვენო უწმინდესობავ! თქვენის ნებართვითა და სახელით მოწვეულ იქნა ეკლესიის მსოფლიო კრება, რომელსაც უნდა განეხილა ქვეყნის აღსასრულის მოახლოვების საკითხი. კრება დღეს გაიხსნა, მაგრამ შიშითა და ძრწუნვით მოცული, ელის თქვენს სიტყვას, რომ ეუწყოს მას თქვენის პირით ნება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი...

— მე არაფერი ვიცი! რა უნდა გაუწყოთ? — მოულოდნელად აცაპასდა პაპი და გაწვალებულ სახეზე ნაოკების წვრილი ხაზები ობობას ქსელივით გაიშალა. — ქრისტე არაფერ შუაშია აქ... ქვეყანას სატანა ლუპავს, გესმით? — სატანა!.. მე თავი დამანებეთ.

— როგორ ვანუგეშოთ მორწმუნენი? — აღელდა აბატი. ჩვენ გვეკითხებიან ათასნი და ათიათასნი და სიტყვა მისაგდებელი ჩვენ არა გვაქვს.


— მართალი ხარ, შვილო! — უცებ მოლბა პაპი. — ხომ ხედავ, მე როგორ ვეშაადები? ასევე მოეშაადეთ თქვენც.

— მე არ მესმის, რასა ბრძანებთ! — მიუგო გაკვირებულმა აბატმა.

— აბა, ყური დამიგდე. — თავის კანკალით ამბობდა პაპი. — არავინ იცის, რა მოუვა დედამიწას კომეტასთან დაჯახებით. მეცნიერებს არაფერი დაეჯერებათ. იქნება დაინგრეს სახლები, ხანძარმა გადაჰპუგოს ქვეყანა, ზღვამ გადაარეცხოს ხმელეთი... მაგრამ, შემდეგ, შეწევნითა ღვთისათა, ისევ დაწყნარდეს წყალი, დამშვიდდეს ჰაერი და ქვეყანას დაუბრუნდეს ჩვეულებრივი სახე... და, ვინ იცის, თუ ამ გარდამავალ წარღვნას როგორმე თავს დავალწევთ, იქნება გადაერჩეთ კიდევ!..

— წარღვნაა მოსალოდნელი თუ მეორედ-მოსვლა? — შეეკითხა პაპის აზნულ საუბრით შეშინებული აბატი.

— მე ნიშანი არა მაქვს, — არა მცნო ღირსად ქრისტემან, — პაპ-



მა ხელები ზედაპყრო და ჩაყვითლებული თვლები ჰერს მიასო. მაგრამ სწერია: აძვერა იქმნა დიდი, და მზე შავ იქმნა, ვითარცა ქაძა ძალნისა, და მთოვარე ყოველითურთ იქმნა ვითარცა სისხლი. ვარსკვლავნი ცისანი გარდამოცვიდეს ქვეყნად, ვითარცა ლელემან დაპყროს პირველი ნაყოფი თვისი ჭარისაგან დიდისა შერყევით. და ცა წარიგრაგნა, ვითარცა წიგნი წარგრაგნალი, და ყოველი მთა და ბორცვი ადგილთა თავისთაგან შეიძრნეს, და მეფეთა ქვეყანისათა, და მთავართა და ათასისთავთა, და მდიდართა ძლიერთა, და ყოველმან მონამან და აზნაურმან დამალნეს თავნი მათნი ქებათა შინა და კლდეთა და მთათა შინა. და ეტყოდეს მთათა და კლდეთა: დამეცენით ჩვენ ზედა და დაგვიფარენით ჩვენ... აი, რა სწერია საგულისხმოდ ჩვენდა... ჰა და, მეც „ქებასა შინა“, მიწის ქვეშ ვიმზადებ ბინას... ბეტონით შეკრული თალებში და კედლები... სანოვაგე და მკაფბალი ერთი თუ ორი თვის სამყოფი... სხვა საშუალება მე არ ვიცი...

VII

ნილაზი

დილის ათი საათია.

ინჟინერი გურგენ კამარელი ზის თავის სამუშაო კაბინეტში და ქალაღლებს ათვალეირებს.

ღია სარკმელში პატარა ეზოდან ფოთლების შრიალით შემოდის თბილისის მზიანი აპრილი.

კამარელი დახედავს მაგიდის კალენდარს:

14 აპრილი. ხუთშაბათი.

შარშან სწორედ ამ დღეს ეწვია მას ინჟინერი ვაისმანი, რომელმაც ისე ძირეულად შეარყია მისი და მთელი ქვეყნის ცხოვრება. ძალიან კარგად ახსოვს... 14 აპრილი, მხოლოდ დღე იყო სამშაბათი.

ერთი წელიწადი — და ამდენი განცდა, ამდენი გამარჯვება და ბოლოს საშინელი კატასტროფის მოლოდინით თავზარდაცემული კაცობრიობა.

ყველაფერი ეს უფრო სიზმარსა ჰგავს, ვიდრე სინამდვილეს.

განსაკუთრებული სიმწვავეით განიცდის იგი გულის ტკივილს დღეს, უცნაური დარბაზობის წლის თავზე: რაოდენი იმედი და გამარჯვების ხალისი აღუძრა მას ამ დღემ და როგორ შეუბრალებლად დაამსხვრია ეს იმედები საშინელმა აუცილებლობამ!

კარზე დააკაკუნეს.

— მობრძანდით!

შემოვიდა იწყებელი ვაისმანი.

— სწორედ თქვენზე ვფიქრობდი ამ წუთს. — მიესალმა კამარელი.

— ვინ იცის, იქნებ ცუდად მახსენეთ? — ღიმილით იკითხა ვაისმანი და დაჯდა.

— დღეს ერთი წელიწადი შესრულდა, რაც თქვენ ამ ოთახში პირველად ფეხი შემოდგიან.

კამარელმა საათს დახედა:

— და, როგორც მახსოვს სწორედ ეს დრო იყო: დიდის 10 საათია.

— როგორმე უნდა აღინიშნოს ეს თარიღი, — სთქვა ვაისმანმა. კამარელს მწუხარედ გაეღიმა:

— ეს კვირატი თარიღი დიდის ზეიმითა და სალუტით აღინიშნება 1933 წლის 25 ნოემბერს.

— ეფიქრობ, ამ შემთხვევაში წინასწარმეტყველი ხარ, — ჩაუბრალო ვაისმანმა. — 1933 წლის 25 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, შესაძლოა კაცობრიობამ დიდი ზეიმი გამართოს.

— წინასწარმეტყველება თქვენია, ხოლო ზეიმს კაცობრიობა კი არ გამართავს, კაცობრიობას გაუმართავს მსოფლიოს უხილავ ძალთა ბრმა რეჟისორი.

— რეჟისურა უნდა ჩამოერთვას ბრმა ძალას, — სახის სერიოზული გამოშეტყველებით მიაგება კამარელის ნაღვლიან ირონიას ვაისმანმა სამართებელივით მჭრელი სიტყვები.

— ვინ ჩამოართმევს? — ჰკითხა კამარელმა.

— ადამიანი! — უპასუხა ვაისმანმა და შავ სათვალეებში ცისფერი ელვა დაანთო.

კამარელის სახეზე ირონიულმა ღიმილმა გაისრიალა:

— ოცნება!

მთელს ქვეყანას საშინელი ბედისწერის უღმობელი აჩრდილი აწევს, — სთქვა ვაისმანმა. — კატასტროფის შორი გრგვინვა უკვე ანგრევს კაცობრიობის კულტურის მთავარ ბოძებს. ასე თუ გაგრძელდა, შიშისა და სასოწარკვეთილების ქარიშხალი წალკაცებს და გაანადგურებს ადამიანთა მოდგმას უფრო ადრე, სანამ ცის სივრცეში დედამიწისა და კომეტის საბედისწერო დუელი გაიმართებოდეს.

კამარელი იჯდა დაღონებული და ყურს უგდებდა ვაისმანის ხმალივით მოქნეულ ზიტყვებს.

— გამოფხიზლების იმედი კი არსაიდან სჩამს: კაცობრიობამ



მიიღო სასიკვდილო დიაგნოზი და არც ფიქრობს გაბრძოლებას, უძღ-  
ლური და უიმედო ლაჩარივით ნებდება სიკვდილს.

— ჩვენ შეეცდით. — სთქვა კამარელმა. — კაცობრიობას არაფე-  
რი უნდა სცოდნოდა მომავალი უბედურების შესახებ. რა სარგებ-  
ლობა მოიტანა წინასწარ გაფრთხილებამ? შიშისა და უმწეობის მო-  
რევში ჩააგდო მთელი ქვეყანა და დედამიწა დაამსგავსა სიკვდილით  
დასასჯელის ციხესა და ბნელ საკანს.

— ყველაფერი თავის გამართლებას თავის დროზე იპოვის. —  
დამშვიდებით მიუვო ვაისმანმა. — გაფრთხილება საჭირო იყო. იმე-  
დიც მქონდა, რომ უფსკრულის წინ მდგარი კაცობრიობა გონების  
უკანასკნელი დაქიმვით შესძლებდა თავის გადასარჩენ ფრთების გა-  
მოსხმას, მაგრამ ჯერჯერობით მოლოდინი არ გამიმართლდა. სა-  
ჭიროა დახმარება.

— ვინ უნდა დაგვეხმაროს? — გაკვირვებით წამოიძახა კამარელ-  
მა. — ღმერთი ხომ არა?

— ღმერთი ჩვენ შეეკმენით, ჩვენვე მოვსპეთ. ადამიანმა უნდა  
შესძლოს დანგრეული ტახტის აღდგენა.

— სხვა ღმერთისათვის?  
— ერთადერთი ღმერთისათვის, რომლის არსებობა შესაძლებე-  
ლია მსოფლიოში.

კამარელმა უცებ დადლილობა იგრძნო. უნებურად გაიფიქრა:  
ნუთუ სიკვდილის წინაშე დიდი გონებაც იბინდება?..

— მე კი ვფიქრობდი, — ვერ შეიკაეა დამკინაეი კილო. — რომ  
ჩვენ დავასაფლავეთ უკანასკნელი ღმერთი. თურმე ერთი კიდეც  
ყოფილა. რა ჰქვია მაინც მას?..

— ადამიანთ გონება. — უპასუხა ვაისმანმა.  
— შუქის ერთი წვეთია დაუსრულებელი სივრცის უნაპირო სიბ-  
ნელეში.

— ერთი, მაგრამ ერთადერთი.  
— ერთადერთი! ეს მართალია. — დაუდასტურა კამარელმა.  
— მისი მატარებელია ადამიანი. მან უნდა ასახოს „ღვთიური“  
საქურველი და ამაღლდეს ისეთ მწვერვალზე, საიდანაც უფრო აღ-  
ვილად დასახვერია „ბედის“ შეუცნობელი თამაში.

— სამწუხაროდ, ადამიანმა ვერ მოასწრო ამ მწვერვალზე ასვლა.  
— უნდა ავიდეს, თუ სურს გადაარჩეს, — სთქვა ვაისმანმა.

— ვერ ავიდა. იქნებ არც იყო ღირსი. — დაუმატა კამარელმა  
და მცირე პაუზის შემდეგ განაგრძო: — შესაძლოა აგრეთვე, რომ  
მსოფლიო უფრო უფსკრულია, ვიდრე მწვერვალი.



— უფსკრული მხოლოდ მწვერვალიდან სჩანს. — სთქვა მანმა. — მინდა თქვენც გადმოგახედოთ ამ მწვერვალიდან.

— მზადა ვარ! — უთხრა კამარელმა და იგბძნო რალაც ახალის მოახლოვება.

— დრო აღარ ითმენს, საჭიროა მოქმედება.

— მოქმედება თუ ოცნება?

— ვიცი, თქვენ ოცნება უწოდებთ ჩემს აზრს უხილავ ძალთა რეჟისორობის გაუქმების შესახებ. მინდა ჩემი ნათქვამი დაეასაბუთო. გთხოვთ ყურადღებით მომისმინოთ!

კამარელს სხეულში ერუანტელმა დაუარა: ისევე იშიფრება გამოუცნობ საიდუმლოებით ეს შეავსათვალეზიანი მეფისტოფელი, ის ისევე აღელვებს მას უცარი ხილვის მოლოდინით.

— დედამიწა და კომეტა უნდა დაეჯახონ ერთმანეთს. შესაძლებელია თუ არა ამ კატასტროფის თავიდან აცილება? ჩვენ ვამბობდით, რომ შეუძლებელია. ვინაიდან აქ მოქმედებენ ძალები, რომელნიც ჩვენი გავლენის გარეშე იმყოფებიან. მართალია თუ არა ეს?

— არა მგონია თქვენ იმაში ეჭვი შეგდოოდეთ, — შენიშნა კამარელმა.

— ეს მართალია მხოლოდ ნაწილობრივ: ორ მოქმედ ძალთა შორის ერთი მართლაც ჩვენი ყოველგვარი გავლენის გარეშე იმყოფება, სახელდობრ კომეტა. მაგრამ დედამიწაზე ხომ ჩვენა ვართ უზენაესი ძალის მატარებელნი?

— ძალიან მცირე ფარგლებში.

— ფარგლებზე შემდეგ. მივიღოთ დროებით დასაშვებად, რომ ჩვენ შეგვიძლია დედამიწის მოძრაობის მართვა, ისე, როგორც მემანქანე მართავს ორთქლმავალის მოძრაობას. კატასტროფის ასაცილებლად საჭიროა ორბიტების კრიტიკული წერტილი რამდენიმე წუთით ადრე გაიაროს ან კომეტამ, ან დედამიწამ. მაგრამ, როგორც ვთქვი, კომეტის მოძრაობის სიჩქარეს ჩვენ ვერ შევცვლით. მაშასადამე, საჭიროა დედამიწა მ ა ნ გ ა უ ს წ რ ო ს კ ო მ ე ტ ა ს, ან ადრე გაუშვას იგი.

— ეს კარგი რამ იქნებოდა. — ამოიოხრა კამარელმა, — მაგრამ ვინ კისრულობს მემანქანეობას?

— ჩვენ უნდა ვიცისროთ!

— ვინ ჩვენ? — გაუკვირდა კამარელს.

— ჩვენ ორმა. მაგრამ ხომ შეეთანხმდით, ეს შესაძლებლობა ზირობითად მივიღოთ? ვერ ანგარიშს მოვრჩით. ჩვენს პირობებში რომელია უფრო ადვილად შესასრულებელი: პირველი თუ მეორე ვარიანტი?

- ესე იგი?
- გაუსწროს თუ გაუშვას?
- ორსავე ვარიანტს ერთი შედეგი მოჰყვება.

— შედეგი ერთი იქნება, მაგრამ ჩემი გამოანგარიშებით მეზანქანეს მეტი ენერჯია დაეხარჯება პირველი ვარიანტით. და აი რატომ: რომ დედამიწამ გაუსწროს კომეტას, საჭიროა ის გასცილდეს კრიტიკულ წერტილს, კომეტის იქ მისვლამდე, დაახლოებით 400.000 კილომეტრის მანძილით, ვინაიდან იმ დროს მთვარის მდგომარეობა ისეთი იქნება, რომ ის დედამიწის ზურგს უკან მოექცევა. როგორც იცით, მთვარე, დაშორებულია დედამიწას 380.000 კილომეტრით. მაშასადამე, თუ დედამიწა წინ წავა, უნდა გაათრიოს მთვარეც, წინააღმდეგ შემთხვევაში კომეტა ან დაეჯახება მთვარეს, ან დედამიწასა და მთვარის შუა გაიჭროლებს და შეიძლება შესცვალოს მიწისა და მისი თანამგზავრის ურთიერთობა ჩვენთვის საზიანოდ. მეორე ვარიანტით საკმარისია დედამიწას დააგვიანდეს კრიტიკულ წერტილზე მისვლა მხოლოდ 10.000 კილომეტრით, რომ სრულიად უვნებლად მოიცილოს თავიდან დაუპატიჟებელი სტუმარი. კილომეტრი უდრის დედამიწის მოძრაობის ექვსი წუთის გზას (როგორც იცით, ის წამში მიჰქრის 30 კილომეტრის სისწრაფით:  $30 \times 60 \times 6 = 10.800$ ). მაშასადამე, საჭირო იქნება დედამიწის ექვსი წუთით დამუხრუჭება.

კამარელის თვალეზში ზედიზედ იელვა: ჯადოსნური სიტყვები მეტეორობით ჩაცვივდა გამოუცნობ საიდუმლოებათა უფსკრულში და გოლიათურ ამოცანების კონტურებმა თანდათან ელვარება დაიწყო.

— დედამიწის გაქანებული ეტლის ექვსი წუთით შეგვიანება იხსნის ქვეყანას დაღუპვისაგან, — დაასვენა ვაისმანმა.

— მაგრამ რა ძალა შესძლებს ამ „ეტლის“ დამუხრუჭებას? — ჰკითხა კამარელმა.

— კატასტროფამდე კიდევ წელიწადი და შეიდი თვე დარჩა, — განაცრძობდა ვაისმანი. „ექვსი წუთი შეგვიანებისათვის საჭიროა დედამიწამ დღე-ღამეში ერთი წამით შეანელოს თავისი მოძრაობა ერთი წლის განმავლობაში. ჩვენს განკარგულებაშია კიდევ, შეიდი თვე მუხრუჭების მოსაწყობად.

— ნუთუ, სერიოზულად ფიქრობთ, რომ თანამედროვე ტექნიკას შეუძლია ასეთი ამოცანის დასმა? — ჰკითხა კამარელმა. — დედამიწა ხომ გაუხედავია ცხენი არ არის, რომ რკინის ლაგამით შეიძლება მისი დამორჩილება?

— ჩვენი პლანეტა ოდნავ ყალბზე უნდა შევყენოთ, თუ გვსურს მისი გადარჩენა, თორემ უფსკრულში ჩაიშხვრება.

— როგორ გინდათ ეს გააკეთოთ?

— მე გამოვიანგარიშე, რა ძლიერების მუკლუგუნებია ამისათვის საჭირო. დედამიწის მასსას და მისი მოძრაობის სიჩქარეს თუ მივიღებთ მხედველობაში, საჭირო იქნება ყოველ წამს დედამიწის ნახევარსფეროს წინ ეღობებოდეს სამი მილიარდი ატმოსფერული წნევის უკუტყევის ძალა.

— ჯერ ერთი, წამში ასეთი ძალის დაგროვება და ისიც მთელი წლის განმავლობაში განუწყვეტლივად ტექნიკის დღევანდელ პირობებში შეუძლებელია, მეორე—როგორ გსურთ ეს ძალა დაახვედროთ დედამიწას მის ორბიტზე? — ჰკითხა ოდნავ იმედგაცრუებულმა კამარელმა.

— ჩვენ ვლაპარაკობთ დედამიწის დამუხრუჭებაზე, — საჩქაროდ უპასუხა ვაისმანმა, — მაშასადამე, საჭირო არ არის გარედან წინააღმდეგობის მოწყობაზე ზრუნვა. თქვენ კარგად იცით, რა პრინციპზეა აგებული თანამედროვე მაშხალიანი მანქანების დამზადება. მეცნიერებისათვის უდავოა, რომ ასეთი მანქანის მართვა შეიძლება ცის უპაირო სივრცეში. პრინციპიალურად არავითარი განსხვავება ასეთ მანქანასა და დედამიწას შორის არ არის.

— სრული ჭეშმარიტებაა! — საჩქაროდ დაუდასტურა კამარელმა.

— რაც შეეხება იმ არაჩვეულებრივ ძალის მარაგს, რომელიც საჭიროა ესოდენ დიდი ეფექტის მისაღებად, უნდა ვთქვა გადაჭრით, რომ თანამედროვე მეცნიერება უკვე მიაღწა ამ ძალის საიდუმლო კარებს.

— თქვენ გულისხმობთ ატომის შინაენერგიას, — სიტყვა მიაგება კამარელმა.

— დიახ, ატომის შინა ენერგიის განთავისუფლებით შესაძლებელი გახდება დედამიწის მორტორად გადაქცევა. ამ შემთხვევაში ჩვენი მიზნებისათვის საჭირო იქნება 17 კილოგრამი ურანის სრული ენერგია. არც მეტი, არც ნაკლები.

— ვთქვით. ყველაფერი ეს შესაძლოა, — დაეთანხმა კამარელი. მაგრამ თქვენვე აკი ამბობთ, რომ თანამედროვე მეცნიერება ამ უსაზღვრო ენერგიის რეზერვუარის კარებთან დგას მხოლოდ და ჯერ შიგ ვერაინ შესულა! რა საფუძველი გაქვთ იფიქროთ, რომ შეიძლება ვადაში მეცნიერება არაჩვეულებრივ ძალას გამოიჩინოს და იერიშით აიღებს ამ დარკინულ ციხეს? მეტადრე ახლა, როცა კულ-



ტურის მაჯისცემა ასე მინელებულია საშინელი კატასტროფის მოლოდინში.

ვაისმანი ადგა და დაფიქრებულმა ოთახში სიარული დაიწყო.

— თქვენ მართალი ხართ: კაცობრიობა ამჟამად უიმედო მდგომარეობაშია, მას სჭირდება გარეშე დახმარება.

კამარელი ჩვეული იყო ვაისმანისაგან ყოველგვარ მოულოდნელობის მოსმენას, მაგრამ ეს ნამეტანი იყო.

— კარგად ვერ გავიგონე, რა სჭირდება? — ჰკითხა და თვალი ვაყოლა ფანჯრისაკენ მიმავალ ვაისმანს.

ვაისმანი უცებ შემობრუნდა კამარელისაკენ და შუა ოთახში გაჩერდა. ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაიწყო და თავი ზურგისაკენ გადახარა. თითქო სათვალეს ქვემოდან უნდა შეხედოს კამარელსო. ერთს წუთს ისე იდგა, შემდეგ, თითქო პირიდან სიტყვების ნაცვლად აღუდებულ ლითონს აფურთხებდსო, ნაზგასმით გაიმერთა:

— დე დამიწას სჭირდება გარეშე ძალის დახმარება.

კამარელის ღია თვალებს შიგნიდან ნიაღვარივით მოსკდა დამაბრმავებელი ბრწყინვალეობა და წამწამები დააშვებინა. ხელები აიფარა თვალებზე და თავი მაგიდას დააყრდნო.

დიდი ნებისყოფით საგანგებოდ დაჩრდილული და მოფარდული ეკრანი ისევ აენთო და თითქოს მივიწყებული მარსელი ქალის სახე მოულოდნელად აიმართა კამარელის წინ. საკვირველია, როგორ შესძლო ამდენ ხანს ეკრანისათვია თვალის არიდება! გული უნდა ქვეულიყო ფერფლად, რომ დაეფარა შიგ ჩაზავებული სიყვარულის ღველვი და ჩრდილით დაეხურა ჟსაზღვროების ფანჯრიდან შემოჭრილი საყვარელი ქალის ძვირფასი სახე. საბედისწერო პეშმანის შემდეგ ერთხელაც არ მიჰკარებია კამარელი ჯადოსან ეკრანს და ყოველი ღონით ცდილობდა დაეიწყებინა მძიმე ლოდით გაესრისა განუზოროცოელი ოცნიბის მაკოფორი ჩიინიბა. რა საჭირო იყო სულის ჯამბაზური ვარჯიშობა, როცა წინდაწინვე ცხადი იყო მისი უაზრობა? კამარელის სიყვარულის რომანტიკა მისტიურსაბურველს ეფარებოდა და ელექტრონით შთაგონებულ მეცნიერს აბრაზებდა ეს მოულოდნელი გადახრა. რა მოუქნელი და გულუბრყვილო გამოდგა ადამიანის ფსიქიკა! შეცდომებით გამოწვეულ სულის მოძრაობას მიმართულება ვერ შეუცვლიდა შეცდომის გამომედგნების შემდგომაც! თავიდანვე რომ სცოდნოდა ეკრანის სარკიდან რომ მარსელი ქალი იცქირებოდა, მისი გული გამოიჩენდა თავდაცვის უნარს და სიყვარულის შხამით არ მოიწამლებოდა. მაგრამ

სარკვეში მას მოელოდა დედამიწის მშობლიური სისხლის სუფთა  
ლოვანი დუღილი და შორეული მოჩვენება ხელმისაწვდომ-სიყვარულს  
დედ მიიღო. და ეს მოჩვენება სჯიდა კამარელს დაუფიქრებელ  
დანდობისათვის. ქვეყნის დაღუპვის მოახლოებულ გრგვინვას დროზე  
რომ არ დაეძლია კამარელის გულში ახმაურებული მუსიკა, ვინ  
იცის შესძლებდა თუ არა იგი მომზიბვლელ ძახილის პასუხად ვაჟკა-  
ცურ დუმის... ახლა კი, როცა ვაისმანი ისევ უფსკრულს იჭით  
იხელება, კამარელს ელდანაკრავივით უვლის ტანში დამარბული  
სიხარულის უეცრად გაცოცხლებული სხივი: ხომ შეიძლება  
ეკრანის საშუალებით დახმარების მიღება „გარეშე ძალთაგანა“?  
აკი, ვაისმანმა იქიდან მიიღო ეკრანის გაუმჯობესების გასაო-  
ცარი ინსტრუქცია? მაგრამ, განა სასიხარულოა ეს ამბავი? შესაძ-  
ლოა ეკრანმა ააშოროს დედამიწას საშინელი ხიფათი, მაგრამ ამით  
ხომ უფრო ახმაურდება დაუძლეველი სიყვარულის ძლიერ მიყუჩე-  
ბული მუსიკა?

— რატომ ჩაფიქრდით ასე მძიმედ? — ხანგალივით გადასტრა  
ვაისმანმა კამარელის ფიქრთა დენა.

კამარელი ფიქრებისაგან გამოერკვა.

წამოდგა, თვალეზი მოიფშენიჭა და ნამძინარევივით დაბარ-  
ბაცდა.

— მე სულ დამავიწყდა თქვენი ეკრანი. — ჩაილაპარაკა გაბზა-  
რული ხმით. — რა თქმა უნდა, შესაძლოა იქიდან დახმარების  
მიღება.

— კარგად ვიცი, რატომ დაივიწყეთ თქვენ ეკრანი. — სტკვა  
ვაისმანმა და წამოდგა.

კამარელს მოეჩვენა, რომ შავ სათვალეში ბოროტმა აღმა-  
იელვა.

— გარწმუნებთ, ამისათვის საფუძველი არ გქონდათ. — დაუ-  
მატა ვაისმანმა. — ხვალ ამაში თქვენც დარწმუნდებით. ახლა წავალ-  
ხვალ დილით 10 საათზე ეკრანთან გელით.

და ვაისმანი ოთახიდან გავიდა.

გაბრუებული კამარელი დიდხანს იდგა შუა ოთახში გაქვავებუ-  
ლივით.

ტელეფონის ზარმა გამოარკვია.

ქუდი დაიხურა და გარეთ გავიდა.

მთელი დღე რეტდასხმულივით დაბორილობდა ქალაქში და შინ  
გვიან დაბრუნდა.

შევიდა კაბინეტში და სავარძელში ჩაიკეცა...

„ხვალ ამაში თქვენც დარწმუნდებით!“

რას უქადის კიდევ ახალს და გაუგონარს ეს დაუცხრომელი ჯადოსანი? კიდევ რა გაოცება მოელის ხვალ სხვა ქვეყნის შუქით განათებულ ეკრანთან, ამ უსახლვროების ღია თვალთან?

კამარელის თავში ათასი ფიქრი ერთიმეორეს სცვლის, თოვლივით აფორიაქებული. დიდის წვალეებითა და გულმოდგინეობით მიხერგილი გრძნობა ამსხვრევს ყველა დაბრკოლებას, ცეცხლის სვეტად დგას და ანათებს კამარელის სულის სამყაროს ყოველ კუთხეს. ერთი სახე ბატონობს სხვა ყველა სახეთა შორის და ეს არის მარსელი ქალი.

კამარელი ცდილობს მოიკრიბოს მთელი ძალა, შთააგონოს თავის თავს ვაქეაცური გამძლეობა და თავგანწირვა. მართლა და როგორ უნდა დააბას პირუტყვივით უმიზნო სიყვარულის ბაგაზე რაღაც რადიომოჩვენებამ ბრძოლაში გაკაყებული მეცნიერი? რამ ჩაუქრო საღი მოსაზრების უბრალო უნარი და როგორ ვერ დათრგუნა ყოველგვარ აზრსა და შინაარსს მოკლებული გრძნობის ბავშვური ენიიანობა.

და კამარელი ათასნაირად ასაბუთებს საკუთარი გრძნობის უსუსურობას. ის ხომ ბავშვი არ არის, ან გამოყვავებული მეოცნებე, რომ აყვეს ავადმყოფურ გულისთქმას? რას უქადის მას ეს სიყვარული? — ცის ღია კარში დაუსრულებელ ჭვრიტინს აი, სად ხდება სპააცილო „შორით ალვა, შორით დაგვა“!.. ოდესმე, ვინ იცის, იქნება მოგვარდეს პლანეტათა შორის მიმოსვლის პრობლემა. მაგრამ დღეს გარდაუვალი უფსკრულის შავი დუმილია მათ შორის. მას უნდა ახსოვდეს თავისი მოვალეობა ქვეყნის წინაშე, მეტადრე ახლა, როცა გამოჩნდა კაცობრიობის გადარჩენის იმედი.

არა, კამარელი კიდევ უჩვენებს ქვეყანას, რომ არ გაბზარულა ჯერ მისი მოქალაქეობის ჯავშანი, კიდევ სჩქედს მის ძარღვებში რევოლუციით აღულებული სიხელი და მის შესწევს ღონე მკერდიდან ამოიგლიჯოს გული, თუ ასეთ დროს ის ყველაფერს დაივიწყებს და საკუთარ ბედნიერებაზე დაიწყებს უაზრო ოცნებას.

კამარელი ნელნელა მშვიდდება.

ქარი ჩადგა და ფიქრთა კორიანტელი თანდათან თოვლივით დაეშვა.

კამარელს ეძინება. სავარძლის სახელურზე თავს დასდებს და

ღრმად ამოისუნთქავს. თანდათან ბურუსში იძირება გონება. მხოლოდ შორიდან მოსჩანს ოდნავ განათებული ეკრანი და ძლიერ გასაგონად ისმის მარსელი ქალის მელოდიური ლულენი: „Sanor der Obra ven gara Obran, Sanoren largo...“

მიუხედავად უხერხული საწოლისა, კამარელს მთელი ღამე კარგად ეძინა და დილით ხალისიან გუნებაზე ადგა. სჯეროდა, რომ წუხანდელი სულიერი მდღეღვარება ძლეულ იქნა და სხეულში უკვე გრძნობდა მომავალ ბრძოლათა სიხარულს.

თითქო ბინდი შემოეცალა მოკადრებულ თვალებს და შვიდი თვის კოშმარული ძილის შემდეგ პირველად დაინახა გარემო ქვეყანა ჩვეულებრივ სინათლეში.

ათ საათამდე კიდევ დიდი დრო იყო დილის მზიანი სუფთა ჰაერი გარეთ იწვევდა.

მადიანად ისაუზმა და ქუჩაში გავიდა.

კარებთან იდგა მზის სხივებში შავ ხოქოსავით მოლაპლაპე ავტომობილი.

— დიდუბისკენ! — ესროლა შოფერს და ავტომობილში ჩაჯდა.

ლეტარგინით სულჩადგმული ავტომობილი მერცხალივით მისრიალებდა აერიანებულ ქუჩაში, მსუბუქი, უბზო და ელასტიური.

რუსთაველის გამზირზე ზარის დაუცხრომელი წყრიალით დაჰქროდნენ უმავთულო ტრამვაის უბიჯელო რონოდები. ლეტარგინს სავსებით დაეპყრო ქუჩის მოძრაობა. აღარსად ჩანდა ტრამვაის, განათების და ტელეფონის უამრავი ბოძები და მავთულები, რითაც ობობას ქსელივით დახლართული იყო წინათ ქუჩები. მტკვარზე თეთრ გედებივით დასკურავდნენ წითელი დროშის იალქნიანი სამგზავრო და საბარგო მოტორიანი თეთრი ნავეები. ვერის ხიდიდან აღარ მოსჩანდა ძველი ელსადგურის მბრჩოლავი საკომური, -- სადგური მოეხსნათ და იქ ახლა დიდი ხუთსართულიანი სახლი შენდებოდა. პლენანოვის ვიწრო და სწორი გამზირი, უმავთულო და უბოძო, უფრო განიერი და ნათელი ჩანდა.

დიდუბეში კამარელმა დაათვალიერა ახალი ჰაეროდრომი. უკვე მიეღოთ ახლად აგებული უზარმაზარი საჰაერო ხომალთის ნაწილები და ამჟამად მუშაობა სწარმოებდა ხომალდის მოსაწყობად. ორსართულიანი გემის მსგავსი ჰაეროპლანი თეთრ გველეშაპივით იწეა შუა ეზოში ხარაჩოების მოაჯირით შემოსაღატული.

კამარელმა გემის კედლის თეთრ ფონზე შორიდანვე შენიშნა შავი წარწერა: „გედა“. ეს სახელწოდება ვაისმანის თხოვნით მიეცა გემს. ისეთი მოწიწებით და სიფრთხილით სთხოვა ამის შესახებ ვაისმანმა, რომ კამარელმა უარი ვერ უთხრა, თუმცა მას სულ სხვა სახელი ჰქონდა გემისათვის განზრახული. ვერც გამოჰკითხა, თუ რას მოასწავებდა ეს სახელი, ვინაიდან შეატყო, რომ ვაისმანს დიდი სურვილი ჰქონდა თავი მოერიდებინა ამის შესახებ ყოველგვარი განმარტებისათვის.

გემს ჰქონდა თხუთმეტი პროპელერი: ცხრა პორიზონტალურ ლერწმე სამ წყებად გემის მკერდზე; ექვსიც ორწყებად ვერტიკალზე, გემის შუა ნაწილზე, ბაქანს ზემოთ.

მექანიზმი ლეტარგინის გამოყენებაზე იყო დამყარებული: ჰაერით აღვილად მისაწვდომმა ენერგიამ საშუალება მისცა კამარელს აეგო ისეთი მანქანა, რომ თითქმის სავსებით გადაჭრილიყო საჰაერო მიმოსვლის ძნელი და რთული პრობლემები. „გედა“-ს უნდა შესძლებოდა ვერტიკალურად აფრენაც და ძირს დაშვებაც საჭირო სიჩქარით, აგრეთვე ჰაერში გაჩერება ყოველგვარ სიმძლავრეზე.

— „გედა“ ორი თვის წინათ უნდა ყოფილიყო მზად. მაგრამ მსოფლიო პანიკის უიმედო სულიერი განწყობილება აქაც შემოიჭრა და მოადუნა აღმშენებლობის ტემპი. მუშაობას სათანადოდ ეკარგებოდა პერსპექტივა და იშრიტებოდა შრომის ხალისი. რაც კეთდებოდა, ისიც უფრო ინერციის შედეგი იყო, ვიდრე ცოცხალი თაოსნობისა.

— „გედას“-თან კამარელს შეეგება ახალგაზრდა ინჟინერ-პილოტი ბაკურ ზეგარდნაძე, რომელსაც მინდობილი ჰქონდა „გედა“-ს აგების ხელმძღვანელობა.

„შავარდენო! გაფრენას როდის ვაპირებთ?“ — ღიმილით მიესალმა კამარელი.

ბაკურის ცისფერ თვალებში ავარვარებულნი ღიბითი აენთო და წამწამები ლურჯად აასევადა.

— „გედა“ ჯერ მხოლოდ ბარტყია შევარდენის, ერთ თვეში ფრთები წამოეზრდება და გაფრენასაც შესძლებს. — მიუგო მან კამარელს და სიყვარულით გადახედა ჩონჩხიან ხარჩოში ჩასმულ „გედა“-ს თეთრ ტანს.

ჰაერისა და მზისაგან დაქანგული პირისაზე, სწორი ცხვირი და მაღალი, ოდნავ დაქანებული შუბლი თითქო ჰაერის გასაყვეთად იყო ჩამოსხმული. ლურჯ თვალებში თითქო ცის ორი ნატეხი უსხდა, ელვის ნაპერწკლებით დაცხრილული. ახალგაზრდა ბაკური სწორედ ცაში სანავარდოდ იყო გაჩენილი და კამარელმაც მიტომ აირჩია

ის თავის თანამემწედ, როგორც „გედა“-ს მომავალმა კაპიტანმა.

დაათვალიერეს ჰაერობლანის შინაგანი მორთულობა. კარ-ოთახ ადგილიანი კაბინა მზად იყო, — ორმოცდაათ-ორმოცდაათი ორთავ მხარეზე. დარბაზი ჯერ არ იყო მორთული. ტალანში ეწყო ელექტროაბაზანის და სამზარეულოს მოწყობილობა.

— რა მდგომარეობაშია სამანქანო განყოფილება? — იკითხა კამარელმა.

— ერთ კვირაში მოეწყობა. — მიუგო ბაკურმა და შეუძღვა კამარელს ჰაერობლანის წინაპლანზე აგებულ ბროლის კედლებიან ოთახში. მარჯვნივ და მარცხნივ ორ უზარმაზარ თვალივით გამობურთული იყო ორი ბროლის თვალი, სადაც უნდა მოთავსებულიყო სხვადასხვა აპარატი.

— სწორედ თვალებსა ჰგავს, — შენიშნა ბაკურმა. — წარმოდგენილი მაქვს, რა საუცხოვო სანახავე იქნება ცაში აფრენილი „გედა“ ღამით, როცა ამ ვეება თვალებს ელექტრონით ააბრიალებს.

ამოიოხრა და დაუმატა:

— ცოდვა არ არის, ამ დასაქცევ დედამიწასთან ერთად ეს საოცარი ქმნილებაც დაიღუბოს!

კამარელმა საათს დახედა. ათს ათი წუთი უკლდა.

— ვინ იცის, იქნება დედამიწამ კიდევ დიდხანს იქროლოს სივრცეში და მასთან ერთად „გედა“-მაც.

— როგორ? — გაიკვირვა ბაკურმა.

— არის იმედის შუქი, ცის უხილავე ფანჯრიდან შემოჭრილი.

— ეჰ! თქვენც ცის კარის გახსნას ელით? — ნაღვლიანის ღიმილით მოუჭრა ბაკურმა.

— ცის კარი უკვე გაიხსნა და ათი წუთის შემდეგ ანგელოზიც გამოჩნდება. მეც ახლა იქ უნდა გავეშურო, რათა ყურადღებით მოვისმინო ანგელოზის დარიგება.


კამარელი გამომეშვიდობა ბაკურს და აეტოსკენ გასწია.

ბაკურს არ გაკვირებია კამარელის უადგილო ხუმრობა, მას მხოლოდ შეშურდა მისი ხალისიანი გუნება, სიცილის წკრიალით რომ ავსებს საშინელი მოლოდინის ბნელ განცდებს.



ათი საათი შესრულდა და კამარელიც შინ დაბრუნდა.

განგებ შეიგვიანა კაბინეტში რამდენიმე წუთით: რაც უფრო უახლოვდებოდა ეკრანს, მღელვარება თანდათან ძლიერდებოდა, გუ-



ლი დაქრილ არწივით ფართხალებდა და თვალეში იდგა ნათელი  
ნისლი.

დივანზე წამოწვა და ამგერებულ გულზე ხელი დაიდო. რამდენად უძლური ყოფილა ადამიანის საქმეები ნებისყოფა სულის ფარულ ძალთა შეუპოვარ იერიშის წინაშე! — მცირე რამ ნაფოტი, ზღვის დაუდგრომელ ტალღებში. წელანდელი გაბედული ქადილი უკვალოდ გაქრა და კამარელი გრძნობს, რომ სამარცხვინოდ გაიბზარა მისი გამძლეობის ჯაფშანი, რომ მის ძარღვებში რევოლუციის აღულებული სისხლის ნაცვლად სჩქედს უიმედო მიჯნურის ნაღვლიანი ცრემლი და მას არ შესწევს ღონე მკერდიდან ამოიგლიჯოს გული. ასეთს დროს რომ ყველაფერს ივიწყებს და საკუთარ ბედნიერებაზე უაზროდ ოცნებობს...

წამოდგა და ლასლასით გაემართა ლაბორატორიისაკენ: გლადიატორი გადიოდა ბრძოლის არენას, სიყვარულის საშინელი მხეცის წინააღმდეგ, უიარაღო, უძლური და შინაგან უკვე დამარცხებული.

ვაისმანი მაგიდასთან იჯდა და სწერდა.

— კარგია, მოხვედით. — რგეული უჯრაში ჩასდო და წამოდგა. — იმედს ვკარგავდი: ნახევარი საათია გიცდით!

კამარელმა საათს დახედა: თერთმეტის ნახევარი იყო.

გაუკვირდა: ნუთუ, კაბინეტში რამდენიმე წუთის ნაცვლად ნახევარი საათი დაჰყო?

— მამატიეთ! — მოიბოდიშა კამარელმა. — დიდუბეში ვიყავი და...

— „გედა“ როგორ არის? — გააწყვეტინა სიტყვა ვაისმანმა.

— ერთ თვეში მზად იქნება.

— სამი კვირით დაგვაგვიანდა!

— როგორ?

— ეს არის ცნობა მივიღე, რომ ერთ კავშირში შეიკვრება თბილის-მოსკოვის ხაზი ლეტარგინის ზონებით საპაერო მიმოსვლისათვის.

— ზონებსაც დაგვიანებია — შენიშნა კამარელმა.

— „გედა“-ს უფრო დააგვიანდა. მაგრამ, არაფერია, დაკარგულ დროს მალე ავიწაზღაურებთ. — და ვაისმანმა ხელი წააელო ეკრანის ფარდის ზონარს.

— ეხლა თქვენს მეგობარ ქალს გამოეუძახოთ! იმედი მაქვს ეს შეხვედრა უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე წინანდელი შემთხვევითი და უნებური პაემანი. — ამ სიტყვებთან ერთად ვაისმანმა ფარდა გასწია და ეკრანი გამოაჩინა.

კამარელს ცოტა ეუცნაურა ვაისმანის მბრძანებლური კილო.

„ხომ არაფერი მოხდა ჩემს აქ მოსვლამდე?“ — გაიფიქრა და ეკრანს მიუახლოვდა. — „ან იქნებ დადგა დრო, როცა ნილაში საჭირო არ აღარ არის“...

— თქვენ მართალი ხართ. — მოულოდნელად მიახალა ვაისმანმა. — ნილაში უკვე საჭირო აღარ არის, მაგრამ მე მინდა ამ ფერისცვალებას დაესწროს შორეული ქალწული, — და ვაისმანმა გააღო ეკრანის ყუთი და დარეკა.

კამარელს გააფრთხილა: რამდენიმეჯერ ჰქონდა შენიშნული, რომ ვაისმანი მის აზრს ჰკითხულობდა, მაგრამ ასე აშკარად და მოუზღველად ნადირობა მის ფარულ გულისთქმაზე გაუგებარი იყო და აუტანელი.

— თქვენ ჩემ აზრს ჰკითხულობთ! — მოუფიქრებლად შესძახა გაფითრებულმა კამარელმა.

— ნუ გაგიკვირდებათ, — წყნარად მიუგო ვაისმანმა, — აზრი თავისთავად ძნელად ასახსნელი რამ არის, მაგრამ მისი ფიზიკურა მოვლენა ისეთივე ბუნებრივ კანონებს ემყარება, როგორც ყოველგვარი ელექტრო-მაგნიტური სხივოსნობა.

— ნუთუ, ყოველთვის ჰკითხულობდით ჩემს აზრს? — ჰკითხა კამარელმა და წყრომით საცხე თვალები მიაპყრო ვაისმანს.

— როცა საჭიროდ ვცნობდი! — მიუგო ვაისმანმა.

კამარელი გაბრაზდა.

— მე უკვე აღარ ვიცი, ვინა ხართ, ან რა მიზნით გადამეკიდეთ! მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი წრისა და კულტურის ადამიანისათვის სათაკილოა სხვის გულისთქმაში ხელის ფათური.

ვაისმანმა ოდნავ შეარბილა კილო.

— ნუ გეწყინებათ. არასოდეს ბოროტად არ გამომიყენებია ჩემი „გულთმისნობა“.


— არც სიკეთეა მოსალოდნელი ამგვარ თავდასხმისაგანი..

— მე რომ თქვენი ფარული განზრახვა არ წამეკითხა, — განაგრძობდა ვაისმანი, — შარშან 11 სექტემბერს ამ ეკრანთან ხიფათი რომ შეგემთხვიათ, არავეინ გეყოლებოდათ მშველელი და ვინ იცის, რა მოგივიდოდათ!

და დაუმატა:

— თქვენს მეგობარ ქალსაც შეაწუხებდით!

კამარელმა იგრძნო საშინელი უხერხულობა: მთელი წლის განმავლობაში იგი ტყვედ ჰყოლია ვილაკ ჯადოსანს, მისთვის შეუფერებლად: ყოველი მისი ფიქრი და ფარული განზრახვა გაშლილ წიგნით სდებია წინ ამ გამოუცნობ პიროვნებას! ისეთმა გრძნობამ შეიპყრო, თითქო გატიტვლებული მიდიოდა ხალხით საცხე ქუჩაზე,



ან ქურდობაში დაეჭიროს ვისმე. იყო რაღაც შეურაცხყოფელი და სამარცხვინო იმაში, რომ შუშასავეთ გამჭვირვალე და დაუფარავი იდგა ამ კაცის წინაშე და არ ჰქონდა თავდაცვის საშუალება.

ვაისმანი დივანზე დაჯდა.

— დაესხდეთ. — უთხრა კამარელს. — კარგა ხანს მოგვიხდება ლოდინი, სანამ ჩვენი მეზობელი ქალი ფანჯარას გამოაღებდეს.

კამარელმა ეკრანს შეხვდა: შავი დაფა გალესის გრანიტივით კრიალებდა.

ისიც დაჯდა ოვალურ დივნის მეორე კუთხეში, ვაისმანის პირდაპირ.

— იქნება არც გამოჩნდეს.

ვაისმანმა საათს დახედა და სთქვა:

— ოცდახუთი წუთის შემდეგ გამოჩნდება.

— საიდან იცით ეს? — შეეკითხა კამარელი.

— გამოვიანგარიშე.

— როგორ?

— ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამჟამად მარსი ძალიან დაშორებულა დედამიწას: იგი იმყოფება მზის იქით, ცოტა მზარმარცხნივ ჩვენგან 350 მილიონ კილომეტრის მანძილზე. სხვები ამ გზას აქეთ და იქით გაივლის 39 წუთის განმავლობაში. 14 წუთია რაც დაერეკე. მაშასადამე, 25 წუთის შემდეგ ფანჯარა გაიღება.

კამარელი ჩაფიქრდა.

— ანგარიში სწორია, მაგრამ შეიძლება ფანჯარა მაინც არ გაიღოს.

— რატომ?

— ხომ შესაძლოა ქალი ამ წუთს არ იყოს ეკრანთან?

— უთუოდ იქნება.

— საიდან იცით? — არ მოეშვა კამარელი.

— წინასწარ ვარ შეთანხმებული.

კამარელს გულში ნემსმა უჩხელიტა.

— როგორც სჩანს, თქვენ ხშირად მართავთ პაემანს ამ ეკრანთან!

— კვირაში ორჯერ, სისტემატურად!

კამარელმა იგრძნო რაღაც იქვის მაგვარი, მაგრამ იმ წამსვე წარმოუდგა ამ გრძნობის სრული უდგილობა და გულში გაეცინა: სასაცილოა დედამიწაზე ორი ინჟინერის მამლაცინწური ქიშპობა მარსელი ქალის სიყვარულისათვის! იმდენად მიუწვდომელია ეს ქალი ორივესათვის, რომ იგი ღებულობდა წმინდა აბსტრაქციას, განუცნებელი იდეის სახეს.

კამარელმა ეს კარგად იცოდა, მაგრამ იყო მაინც რაღაც ამ ქალზე



ფიქრში, რაც იწვევდა მის გულში ყოველთვის მოულოდნელად შეუკავებელ მღელვარებას.

— უნდა ვიფიქროთ, — ოდნავ გესლნარევი ღიმილით წარმოსთქვა კამარელმა, — რომ ამ სისტემატურ შეხვედრას ჰქონდა ღირსეული საბაბი.

- სრული სიმართლეა, — დაუდასტურა ვაისმანმა.
- და ნაყოფიერი შედეგიც!
- უთუოდ!
- რამდენადაც მიხვედრა ნებას მაძლევს, დღესაც იმავე საბაბმა

მოგვიყვანა აქ!

- სწორედ!
- მაშასადამე, საფიქრებელია აგრეთვე, რომ ჩვენთვის ამჟამად საინტერესო კითხვის პასუხიცა გაქვთ.

— მაქვს! — კამარელს ეწყინა. ვაისმანის შავ სათვალეში დამცინავი ღიმილის კრთომა მოეჩვენა.

— მაშ, რა საჭირო იყო დღევანდელი სენსი? — იკითხა წყრომით.

- რომ თქვენც იცოდეთ!
- თქვენ ვერ მეტყოდით?
- მე მინდა, თქვენც იმ თასიდან სვათ სიბრძნე, საიდანაც მე ვიგეძე!

ჩამოვარდა სიჩუმე.

დივანზე ნახევრად წამოწოლილი ვაისმანი თავის განუყრელ რუხ ფრენწში გამოწვიბული, ეკრანის კუთხეში მისჩერებოდა. ოდნავ შესამჩნევად თავს რიტმულად აქანებდა, თითქოს რალაცას ჩუმად ითვლისო, და პატარა რგვალ მაგიდაზე ნერვულად ათამაშებდა მოუსვენარ თითებს.


კამარელი გახევებულივით იჯდა, თავი დივანის რბილ ზურგზე მიესვენებია და ატლასივით სუფთად გაპარსული ლოყები მღელვარებისაგან გამკრთალებოდა.

ლაბორატორიაში იდგა მოლოდინით დატვირთული მყუდროება. სიჩუმე დაარღვია კამარელმა.

— გუშინ რომ მითხარით: „ქარგად ვიცი, რატომ დაივიწყეთ ეკრანი“-ო, რას გულისხმობდით ამ სიტყვებში?

- მე ვიცი, რომ თქვენ განგებ გაუარბოდით ეკრანს.
- ალბათ ისიც იცით, რა მიზეზით?
- ვიცი!

კამარელი არ მოელოდა ასეთ გადაქრილ პასუხს, თუმცა ახლა უკვე



გრძნობდა, რომ შეცდა; არ უნდა მიეცა ამგვარი შეკითხვა. საჩქაროდ აუხვია გვერდი საშიშარ დიალოგს და საუბარი სხვა საგანზე გადაიტანა, რადგან არც გაჩუმება ვარგოდა.

— კარგი, ამას თავი დაეანებოთ. ერთი ეს მითხარით: თქვენ პირდაპირ გაქვთ თუ არა იმედი, რომ კატასტროფას თავს დავადწევთ?

— თქვენ?

— მე რა?

— თქვენ გაქვთ თუ არა იმედი?

— იმედს საფუძველი სჭირია, რაც მე არ მომეპოვება!

— ეკრანი არ კმარა საფუძველად?

— ეკრანი ჩემთვის გაუგებარი წიგნია, რომლის ავტორი თქვენ ხართ!

ვაისმანი არ განძრეულა, თითების თამაშიც შეაჩერა და ისე უთხრა კამარელს:

— ეკრანის ნამდვილი ავტორი თქვენ ხართ!

— რანაირად? — გაუკვირდა კამარელს.

— თქვენ გიყვართ მარსელი ქალი.

გული ყუმბარასავით გასკდა და კამარელი უეცრად კვამლსა და აღში ჩაიძირა. შუბლზე თითქო მდღულარე გადაესხა. ხომ იცოდა, რომ ვაისმანი მის აზრებს კითხულობდა? უნდა მორიდებოდა შეკითხვებს. რატომ არ იცოდა, რომ ისეთი მძლავრი სულიერი ქარიშხალი, რამაც კინალამ დაწეწა მისი სულის სამყარო, არ გამოეპარებოდა ამ გულთმისანს? უთუოდ საშიშ ადამიანთან აქვს საქმე. ვინ იცის, შეიძლება თუ არა ამ ჯადოსანის რჩევას დაენდოს კაცობრიობა? იქნება უარესს რამეს უქადის დედამიწას ქვეყნის აღსასრულის ეს ავეჯი წინამორბედი! არავინ იცის, რა მიზანი აქვს მის საიდუმლო კავშირს მარსთან, რა ჯოჯოხეთურ გეგმას ამზადებს ეს ბოროტი სული!..

— კეთილი სული! — ისევ მოულოდნელად დაარღვია კამარელის ფიქრთა დენა ვაისმანმა.

კამარელი შიშმა აიტანა. ეს რა სატანას გადაეკიდა? სად დავმალოს ამ საშინელებას? რა ჯავშანი დაიფარავს მის გონებას ამ საკვირველი ადამიანის უხილავ მახვილისაგან?

— კეთილი სული! — გაიმეორა ვაისმანმა და წამოდგა. რა საფუძველი გაქვთ ამგვარ ექვემისათვის? ვანა საკმაო საბუთი არ მოგმცით ჩემი კეთილგანწყობილების დამამტკიცებლად? მე თქვენ დაგახმარეთ ჩემი შემოქმედება და ლეტარგინის უშრეტეი ალით ავაძგერე თქვენი ქვეყნის რკინის გული მე თქვენ დაგაყენეთ სიბრძნის ღია კართან და ცოდნის შუქი ჩავეღვარე თქვენს გონებაში! მე გავანათე ბნელით მოსილი აუცილებლობა, რომ უფსკრულში გადაე-

ჩებო მოახლოვებული სიკვდილი! მე თქვენთან მოვედი სიკვდილად დატვირთული, დამეხმარეთ, რომ თქვენს საღაროში ჩავაწყობ-მეინარაფსო ფასი განძი, რაც თქვენთვის წრფელის გულთ მომიტანია.

— მეტი აღარ შემიძლია! — შეევედრა კამარელი. — მოხსენით საიდუმლოს უკანასკნელი საბურველი.

— დამშვიდდით, ნუ ღელავთ! — უთხრა ვაისმანმა. — იქონიეთ მოთმინება. საცაა თქვენი მეგობარიც დარეკს.

— დავიდალე!.. ყველაფერს აქვს დასასრული!..

— მეტი რწმენაა საჭირო და გამძლეობა.

— ძნელია ბნელში სიარული! ოღონდ განათდეს და დავეინახოთ უხილავი. — მტრის არ მეშინია.

— სად არის შთაგონებისა და შემოქმედების ცეცხლი?

— ვიწვი ამ ცეცხლში, ფერფლილა დავრჩი.

— არ გახარებთ ბედთან ბრძოლა და გამარჯვების მოლოდინი?

— დავიდალე! — გაიმეორა ღონემიზღილმა კამარელმა.

— სიყვარული მოგცემს ძალას.

— ოხ, სიყვარული! — ამოიოხრა კამარელმა. — ბედი დამცინის საშინლად. ჩემი სიყვარული საბედისწეროა და განუხორციელებელი!


— სიყვარულისა და ბრძოლის კავშირი უძლეველია.

— დავიდალე!..

ვაისმანმა საათს დახედა:

— აბა, შეხედეთ ეკრანს! ვერა ხედავთ, როგორ სცემს დაბინდულ ჩარჩოზე შორეული ელვარების ალიონი? არ გესმით მიუვალ სიერცეში ახმაურებული ეტლის უცნაური გუგუნი? მოჰქრის თქვენი სატრფო და თვით ეროსს მიუცია მისთვის ფრთები! გახსენით გული სიყვარულისათვის და იფხიზლეთ: მოჰქრის რძალი სხივოსანი. ჯერ არავის გადაულაზავს ესოდენი მანძილი საყვარელთან შესახვედრად. არც ერთი მიჯნური არ გაქროლებულა სანატრელ პაემანზე ასეთი სისწრაფით. მოჰქრის თქვენი სატრფო სხივების ეტლზე მჯდარი, წამში სამასი ათასი კილომეტრის სიჩქარით! ცხრამეტ წუთში მან გადაანათა 350 მილიონ კილომეტრიანი სიერცე და საცაა, უჩინარ ელვათა და გრგვინვით შემოსილი, შემოანგრევს ღედამიწის ლავვარდ სფეროს. აჰა! მოასკდა ზეცას აქაფებულ სხივთა ღვარი და პაერში სცივა ბრწყინვალე თაღის ნამსხვრევები. შეხედე ეკრანის ნაპირებს! ვარდისღერი ალი მოადგა ჩარჩოებს და უკვე ისმის გაქანებულ სხივების წკრიალი. მოფრინდა რძალი ზენაარი!

და უკანასკნელ სიტყვასთან ერთად ზარმა დაიწკრილა და ეკრანი აენთო.



გამოჩნდა მარსელი ქალი თეთრი აბრეშუმის ნათელი ნისლით მოსილი.

კამარელის გულში მზე ამოვარდა და გაფანტა უიმედობის ბურუსი.

წამოდგა და ჰაერთან ერთად ღრმად ჩაისუნთქა ეკრანიდან მოვარდნილი სინათლე და სიყვარული.

ვაისმანმა ტელეფონის ორმაგი მილი თავზე წამოიცივა და კამარელსაც მიაწოდა.

კამარელს იმაე წამს მოესმა ქალის ნაცნობი ხმა და განცვიფრდა: ქალი ლაბარაკობდა ინგლისუოად.

— გურგენ კამარელო! სალამი მეგობარს! რად დამივიწყეთ ამდენი ხანი? ნუთუ არ მოგენატრათ ჩემი ნახვა?

გაოცებულმა კამარელმა ძლივს მოახერხა ხმის ამოდება:

— არ ვიცი, თვალი მატყუებს თუ ყური?

— რამ გაგაკვირვათ? — მოესმა ვაისმანის ხმა. — მე შეევასწავლე ორიოდ ინგლისური ფრაზა. ქართული კიდევ თქვენ ასწავლეთ, მე ბოდიში მომიხდია, არ ვიცი!

— როგორ შეასწავლეთ? თქვენ განა იცით მარსული ენა?

ვაისმანმა ამ კითხვას ყურადღება არ მიაქცია.

— ეხლა ნება მომეცით გაგაცნოთ თქვენი უკვე ნაცნობი მეგობარი: გედა ნუავე. მარსის ცენტრალური ობსერვატორიის დირექტორი.

— გედა ნუავე! — გაიმეორა კამარელმა.

— თქვენს შესახებ ყველაფერი იცის, — დაუმატა ვაისმანმა, — რაც მე ვიცოდი — ვუამბე. დანარჩენი თქვენ უთხარი.

— გედა ნუავე! — კიდევ გაიმეორა კამარელმა, თითქოს სურდა საყვარელი ქალის ამიერიდან ძვირფასი სახელის სამუდამოდ დატყვევება.

— ნება მიბოძეთ მეც გაგაცნოთ ჩემი თავი. და ვაისმანმა სათვალე მოიხსნა. — ესეც ნიღაბი, თქვენ რომ მუდამ ვალეღვებათ.

კამარელს ელდა ეცა: ვაისმანის სახე სრულებით გამოიცვალა — საკვირველი გამომეტყველებით ბრწყინავდა ნაცნობი თვალები. თითქოს სადღაც ვნახე ეს თვალები, მაგრამ ვერ მოეგონა სად!

უცებ გული შეეკუმშა და მთელ სხეულში დაურბინა სისბლის თბილმა ტალღებმა. ვაისმანს თვალი მოსწყვიტა და ეკრანზე გადაიტანა.

შეხედა ქალს, შემდეგ ისევ ვაისმანს, და მისთვის ცხადი გახდა, რომ ვაისმანიც იმ ქვეყნიდან იყო მოსული, საიდანაც ეს გასაოცარი ქალი იჭვრიტებოდა.

აფრენილ მტრედების გუნდით აფრთქილდა კამარელის აფორიაქებულ თავში ათასი ფიქრი. იმედი, სიბარული და განცვეფრება ყაჩაღთა ბრბოსავით დაესხა შემკრთალ გონებას და დაიპყრო ყველამისი სიმაგრე. ფანტასტიური ოცნება სინამდვილედ იქცა, კამარელი აანთო და გაანათა შთაგონების ელვამ. წამწამებში დაქროდა ნამიანი ნაბერწყლები, ხოლო ყურებში წიოდა გახარებული სისხლი.

მოესმა ქალის სიტყვები, ხვერდივით რბილი და ვერცხლივით წკრიალა:

(არსად, არასოდეს ასეთი ინგლისური არ სმენია კამარელს: მკაფიო, ნათელი და მრეკავი, თითქო ინგლისური სიტყვების მძიმე ქვეები ალისფერ ბრინჯაოში იყო ამოვლებული).

— ვაისმანი გაჰყვა თავის სათვალეს, — ამბობდა ქალი. — თქვენთან დგას ახლა ლენგორ კარო, მარსელი ინჟინერი, ორბენ-ექსპედიციის პირველი ორგანიზატორი.

— ლენგორ კარო! — გაიმეორა კამარელმა და ვაისმანს გაუსწორა თვალები.

ვაისმანმა თავი დაუკრა კამარელს გაცნობის ნიშნად, მოიხსნა ტელეფონი და მაგიდას მიუჯდა.

— ეხლა, შე თქვენ დატოვებთ. ისაუბრეთ რამდენიც გენებოთ.

გამოაღო მაგიდის უჯრა, ამოიღო პატარა რვეული და მაგიდაზე დასდო.

— უეჭველია, მოისურვებთ ყველაფრის ახსნას. ეს არის ჩემი დღიური. წაიკითხეთ და საიდუმლოებასაც უკანასკნელი საბურველი აეხდება.

ვაისმანი წამოდგა (უკანასკნელად ვახსენოთ ამ სახელით კარო), დაიხურა ქუდი და ლაბორატორიიდან გავიდა.

კამარელი ეკრანს მიუბრუნდა.

ქალმა გაუღიმა:

— თქვენებურად 11 სექტემბერი იყო.

— მახსოვს!

— ეხლა კარგად ხართ?

— კარგად!

— დივანის ბალიშმა გიშველათ, თორემ თავს გაიტეხდით. ძალიან შეღშინდი მაშინ.

— ეს კი არ მახსოვს, როდის შემოვიდა კარო?

— იმ წუთსვე. კარებთან მდგარიყო.

კამარელი ეკრანს მიეყრდნო, თითქო შიგ შესვლას აპირებდა.

— ვერ შეტყვით ორი სიტყვით, რისთვის გამოგზავნეს კარო დღე-ღამეწაზე?

- სჯობს კაროს დღიური წაიკითხოთ, — მიუგო ქალმა.
- სამტროდ ხომ არ არის მოსული?
- კაროს დღიური წაიკითხეთ!
- ეს მაინც მითხარით, — დაბრუნდება თუ არა კარო მარსზე?
- დაბრუნდება!
- კატასტროფამდე, თუ შემდეგ?
- წაიკითხეთ კაროს დღიური და გაიგებთ რას ფიქრობენ სანორენები.
- ვინ არიან სანორენები?
- მარსელები, მარსის ადამიანები.
- სანორ მარსსა ჰქვია?
- ჰო!
- ობრა რა არის?
- თქვენი პლანეტა, დედამიწა.
- ობრან?
- დედამიწის ადამიანი.
- კარო თქვენი რა არის? — მოულოდნელად ჰკითხა კამარელმა და სახე აეწეა.
- ვერ გავიგე, რას მეკითხებით? — მიუგო ქალმა.
- ძმა არის თქვენი, მეგობარი თუ კოლეგა?
- წაიკითხეთ დღიური. — უთხრა ქალმა და გაიღიმა. კამარელს სახეზე სინათლის ღვარი გადაესხა.
- მე რა ვარ თქვენი? — ღიმილითვე ჰკითხა ქალმა.
- კამარელს უკვირდა, როგორ იტყვდა გული ამდენ სიხარულს, უნდოდა ეთქვა ისეთი რამ ძლიერი და ნათელი, რაც ერთბაშად დაანახებდა ქალს მისი გულის ბრწყინვალე ზეიშს, მაგრამ საჭირო სიტყვებს ვერ პოულობდა და ბედნიერებისაგან თავბრუსხვევით მთვრალივით იდგა ეკრანთან.
- გედა ნუავე! — ამის თქმალა მოახერხა.
- გურგენ კამარელი! — უპასუხა ქალმა.
- გედა! — ჩურჩულებდა კამარელი.
- გურგენ!
- ნუავე!
- კამარელი!.. რა არის კამარელი? — ჰკითხა ქალმა.
- გვარი!
- რას ნიშნავს?
- არაფერს... ნუავე?
- თქვენებურად ნიშნავს „ცხრათვალს“.
- რად გეძახიან ასე?

— წაიკითხე კაროს დღიური!

კამარელს დღიურის წასაკითხად სული მისდიოდა, მაგრამ ეკრანს მოშორდებოდა.

— იცით თუ არა, 11 სექტემბერს რატომ დაეკარგე გრძნობა? — ჰკითხა კამარელმა და გულმა ფართხალი მორთო, ბევრი რამ იყო დამოკიდებული ამ კითხვის პასუხზე.

— ვიცი. — მიუგო ქალმა და ეკრანს მიასვენა გაბრწყინებული სახე.

კამარელსა და ქალს შორის იყო მხოლოდ ათი სანტიმეტრის სისქე სარკის შინა. კამარელი ხედავდა ქალის სახის ყოველ დეტალს: ოდნავ ღია ბაგეთაგან გამომკრთალ კბილებს, ეკრანის საარკვე მიკროული ცხვირის ვარდისფერ ნესტოებს, ადიდებულ შუქით ნაპირგადალახულ თვალებს და შავი ალით აფარფალებულ წამწამებს: გარკვევით ესმოდა ქალის აჩქარებული სუნთქვა და ხედავდა მკერდის მღვლეარე მოძრაობას და აღმოდებულ ტანისამოსის რხევას.

გასაოცარი იყო ეს უტყუარი და ხელშესახები სიახლოვე უსაზომო სივრცით დაშორებული ქალის.

ეს იყო ფანტასტიური პემანი.

— გედა, მიყვარხარ! — მოულოდნელად წამოსცდა კამარელს.

— მიყვარხარ! — უპასუხა ქალმა და ხელები ფრთებივით გაშალა ეკრანზე.

კამარელმა წუთით თვალები დახუჭა.

მის წინ გაიხსნა დაუღეველი ბნელი სივრცე.

დაინახა, როგორ გადაირბინა მარადიულმა ახალგაზრდობის ამ უკვდავმა სიტყვამ 350 მილიონ კილომეტრიან სივრცის უსინათლო და ცარიელი უფსკრული და სიყვარულის სხივით გადააბა ერთმანეთს ორი დასაბამითგან ერთიმეორეს დაშორებული ქვეყანა.

## VIII

გელა ნუაზო

(კაროს დღიური)

ძვირფასო გურგენი ვიდრე ჩემი დღიურის კითხვას შეუდგებოდეთ, მინდა პატარა განმარტება წაეუძღვარო მას. ცხადია, როცა ამ დღიურს ვწერდი, მე სრულიად არ ვფიქრობდი, რომ ვინმე წაიკითხავდა; ამიტომ იგი, როგორც ყოველი დღიური, რომლის დანიშნუ-

ლებას შეადგენს მეხსიერებისათვის საჭირო წერტილების აღნუსხვა, იწერებოდა მხოლოდ ავტორისათვის გასაგები ნახევრად დაშიფრული ენით. მაგრამ გარემოებამ მოითხოვა, რომ ეს დღიური თქვენ წაგეკითხათ და მეც ავიღე და ვთარგმნე იგი თქვენთვის. თარგმნის დროს მე ვიცოდი რამდენადაც ეს ჩემთვის შესაძლებელი იყო, გამეადვილებია დღიურში მოთხრობილ ამბავთა გაგება. ამ მიზნით, ბევრი გაუგებარი ადგილი სრულიად გამოვეტოვე, ზოგიერთი ადგილი უფრო დეტალურად ავწერე და ზოგან საჭირო შენიშვნები ჩავურთე. ვხედავ, მიზანს სავსებით მაინც ვერ მივაღწიე: გაურკვეველი და ბუნდოვანი ბევრი რამ დარჩა დღიურში. მაგრამ ვფიქრობ, მოვლენათა მთავარი ნასკვი, რამაც მე თქვენს ქვეყანაში მომიყვანა, ნათელი გავხადე თქვენთვის. ყოველ შემთხვევაში მე ბოდიშს მომზდის ინგლისური ენის უცოდინარობა. სიტყვების მეტად მცირე მარაგი არ მაძლევს დიდ გასაქანს.

K — R.

P. S. დღიური დათარიღებულია მარსის წელთაღრიცხვით. მოქმედების დედამიწაზე გადმოტანის შემდეგ თარიღიც აქაურია. საჭირო შემთხვევაში მარსის თარიღები შეფარდებულია დედამიწის წელთაღრიცხვასთან.

K — R.

— 17 — 9. მეორეჯერ შევხვდი დღეს. შემდეგ წავეიკითხე ერთი ძველი წიგნი. გამიკვირდა: რა დიდი განსხვავებაა ძველსა და ახალს შორის და ამავე დროს ზოგი რამ როგორ უცვლელად შენახულა ჩვენში!..

დავიცდი. სადღაც, უჩინარ სამყაროში, შუქი მოძრაობს. მოსჩანს მხოლოდ ჩრდილი, შუქის ჩრდილი.

დავიცდი, დრო გაივლის, პასუხიც მოვა.

— 17 — 11. თითქო ჩვეულებრივი შეხვედრა იყო, მაგრამ ახალი შუქით განათდა ჩვენი საუბარი.

— შენიშნე თუ არა, რა მშვენიერია ამ საღამოს ობრა? \* — მკითხა გახარებულმა.

— გვიახლოვდება.

— მე კი არ ვარ მომზადებული, როგორც საჭიროა.

— რა გაკლია? შენი უკანასკნელი რეფრაქტორი ხომ მზად არის.

— მზად არის და შენი დახმარება მჭირია.

— ჩემი? — გამიკვირდა.

\* დედამიწა.

- ღიახ, შენი. რამდენჯერ იყავი ედონზე?
- ვინ დასთვლის?
- გუანაზე?\*
- მრავალჯერ!
- ცხადია, ჰაერი არც ერთზე არ არის.
- სამწუხაროდ!
- ამჟამად ჩემი მიზნებისათვის, პირიქით, ეს ფაქტი მეტად სასიხარულოა.

— არ მესმის!

— ჰაერი აბრკოლებს ჩემი რეფრაქტორის მუშაობას: ოდნავ აბრმავებს მას, აელამებს.

მე მივხვდი, რაც უნდოდა მას: რაც უფრო მეტად აახლოვებს ობიექტს ტელესკოპი, მით უფრო დიდია ატმოსფეროს უარყოფითი მოქმედება ინსტრუმენტზე. თუ ტელესკოპის დადგმა მოხერხდა უჰაერო მთვარეზე, მაშინ მოახლოვებული ობიექტს შესწავლა გაცილებით უფრო ადვილი იქნება.

— ახლა კი მივხვდი, — მივფიქვე. მაგრამ არ ვიცი, როგორ გინდა მოაწყო უჰაერო სხეულზე ობსერვატორიის სადგური? ტელესკოპს ხომ თან უნდა ახლდეს ცოცხალი არსებაც?

— ტელესკოპთან ჩვენ ვიქნებით! — მიბასუხა ქალმა.

— როგორ, ჩვენ?

— მე და შენ! რა თქმა უნდა, თუ დამთანხმდები!

— ნუთუ, ჩემი ორი თვალიც დასჭირდა ნუავეს? \*\*

— ცხრას თერთმეტი არა სჯობია? — ღიმილით მიბასუხა.

— სადგურს მთვარეზე როგორ მოაწყობ?

— სადგურს აქ მოვაწყობთ და გადავიტანთ გუანაზე.

— რატომ გუანაზე და არა ედონზე?

— ედონი თუმცა უფრო ახლოა, მაგრამ მისი მეტისმეტად ჩქარი მოძრაობა ტელესკოპის მუშაობას ხელს შეუშლის. როგორც იცო ედონი ისე სწრაფად მიჰქრის, რომ დღე-ღამეში სამჯერ უვლის გარშემო ჩვენს პლანეტას, ხოლო გუანა შედარებით უფრო ნელა მოძრაობს: მისი ბრუნვის პერიოდი უდრის 30 საათს.

— სადგურს როგორ მოაწყობ? — გავიმეორე ჩემი შეკითხვა.

\* ედონი და გუანა—მარსის ორი მთვარე, თქვენებურად ფოტონი და დეიმონი.

\*\* ნუავე — „ცხრათვალა“. ასე უწოდეს იმითომ, რომ მან ააგო გასაოცარი თვისების ტელესკოპი, ცხრა ღიმილით მორთული. ღიმილების მრავალგვარი კომპანიაციის საშუალებით ტელესკოპში შეერთებული იყო რეფრაქტორისა და რეფლექტორის ფუნქციები. ღიმილებში იყო სამი მიკროსკოპი და ორი სარკე.

— სადგურის შესახებ დიდი ხანია მაქვს ერთი გეგმა, მაგრამ არ ვიცი, გაიზიარებ თუ არა შენც ჩემს აზრს?

— მე ვისმენ!

— ვშიშობ, უარი არ მითხრა!

ქალი მიცქეროდა ვედრებით სავსე თვალებით და ვგრძნობდი, რომ რაც უნდა ეთხოვა, უარს ვერ ვეტყვოდი.

— ოღონდ შევეძლო და მზადა ვარ!

— სადგური უნდა მოეწყოს შენს რაუნიტზე\*.

მე დიღხანს არ დავფიქრებულვარ. ნუავეს აზრი რამდენად უბრალო იყო, იმდენადვე ბრწყინვალე და მიზანშეწონილი.

— მე ვკისრულობ რაუნიტზე შენი ტელესკოპის მოთავსებას, — ეუბასუხე გახარებულ ნუავეს. — ხვალიდანვე შევეუდგები საქიროს სამზადისს.

ქალი წავიდა საამო ფიქრებით განათებული.

მეც გულში სინათლე ჩამიდგა.

ქარგია, როცა გამბედაობა და ცოდნა ერთად არიან.

— 17—25. რაუნიტი პატარა ობსერვატორიად გადაიქცა. ნუავე დარწმუნებულია, რომ პირველი მოძრავი ობსერვატორია იწყებს სამყაროს შესწავლის ახალ პერიოდს. მეც ვეთანხმები და მიხარია, რომ ეს გამარჯვება დაკავშირებული იქნება ჩემს რაუნიტთან.

— 17—31. ხვალ გავფრინდებით. ნუავემ გუშინ სალამოს გადაიღო ობრას სურათი.

მარწმუნებს, რომ აღმოაჩინა ახალი ხაზები და წერტილები, რაც წინანდელ ფოტოგრაფიებში არ არის.

მე განვაგრძობ ჩემი ძველი შეხედულების დაცვას.

გუანახე შესაძლოა ბევრი რამ გამოირკვეს, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ნუავეს გადაჭარბებული ოპტიმიზმი არ გამართლდება.

— 17—32. გუანას ბრუნვის პერიოდი უდრის 30 საათსა და 18 წუთს, ედონის — 7 საათსა და 39 წუთს, ხოლო სანორის\*\* დღე-ღამე შეიცავს 24 საათსა და 37 წუთს. ამის შედეგი ის არის, რომ ედონი დღე-ღამეში თითქმის სამჯერ შემოუვლის ჩვენს პლანეტას და უცნაური მიმართულება აქვს: ამოდის დასავლეთიდან და

\* რაუნიტი — ჩემი კოსმიური რაკეტა.

\*\* სანორ — მარსი.

ჩადის აღმოსავლეთზე. გუანა — კი, ცოტა უფრო ნელა მოძრაობს ვიდრე სანორი თავისი ღერძის გარშემო, ამის გამო იგი თითქმის ორი დღე-ღამე დგას ცაში ამოსვლიდან ჩასვლამდე. ამიტომ არჩია ნუავემ ტელესკოპის გუანაზე გადატანა.

დილის 4 საათზე რაუნიტი უკვე პოლუსზე იყო.

4 ს. და 21 წ. პოლუსი დავტოვეთ.

წამოვედით იმ ანგარიშით, რომ გუანას შევხვედროდით ცის მეცხრე მერედიანზე (ასე ვიყავით შეთანხმებული ჩრდილო-ობსერვატორიის დირექტორთან).

გზაზე შეუწყვეტლად გვენთო შორეული ხილვის ეკრანი, რომლითაც ნუავე დაკავშირებული იყო ობსერვატორიასთან.

სწორედ დანიშნულ დროს დავეშვიტ გუანაზე.

გუანას უპაერო ცის ერთი ნახევარი, პორიზონტიდან ზენიტამდე, დაფარული იყო სანორის უზარმაზარ ელვარე დისკოთი, ხოლო მეორე ნახევარი შავი ხავერდის კარავსავით. იყო გაშლილი. შავ ხავერდზე დახატულივით მოსჩანდა აზა\* და არაჩვეულებრივად აკაშკაშებული ვარსკვლავები.

ობსერვატორიას გადავეციით საჭირო ცნობები და ეკრანი ჩაექრეთ. ობრა გუანას მეორე მხარეზე იყო და ჩვენც იქით გავსწიეთ. თანდათან ჩაიძირა სანორის დისკო და აზაც ჩავიდა.

რაუნიტი შევიდა გუანას უკუნეთ ღამეში და გამოჩნდა ლურჯად მოკამკამე ობრა.

ნუავემ მოიმარჯვა თავისი ცხრათვალა ტელესკოპი და მუშაობას შეუდგა.

— 17 — 35. ახლოვდება CD — 18 — 27\*\*.

დიდი მზადებაა ეკრანების რიცხვი 2000-მდე აიყვანეს.

ნუავე მოუსვენრად მუშაობს.

მაოცებს მისი ენერჯია და ენტუზიაზმი.

გუშინ მიჩვენა გუანაზე დამზადებული რუკების ალბომი.

გულდასმით დავათვალიერე: სანუგეშო ვერაფერი ვიპოვე.


ეწყინა.

— მე არ ვამტყიცებ ობრაზე სიცოცხლის შეუძლებლობას. — შევარბილე ჩემი სკეპტიციზმი. — მაგრამ მეტიად საეჭვოდ მიმაჩნია მისი შალალი ხარისხი.

— რატომ ფიქრობ ასე? — გულნატყენად მკითხა.

\* აზა — მზე.

\*\* 1924 წლის აგვისტო.



— ყველაფერს თავი რომ დავანებოთ,— ვუთხარი მე,— ვერ წარმომიდგენია სიცოცხლის ჩვენთვის ცნობილი უმაღლესი ფორმის არსებობა პლანეტაზე, სადაც ამდენი წყალია.

— განა ცოტაა ხმელეთი?

— შეადარე ზღვას. ობრა თითქმის მხოლოდ ზღვაა, ხმელეთის უმნიშვნელო კუნძულებით.

— ამ კუნძულზე მაინც არის მაღალი სიცოცხლე! — დაქინებით წამოიძახა ნუავემ.

— სიცოცხლე შეიძლება არსებობდეს, მაგრამ არა ხმელეთზე, არამედ წყალში. ობრაზე ბატონობს წყლის სტიქია. წყალში კი, შეუძლებელია სიცოცხლის მაღალი ფორმა.

— ნუ გავიწყდება, რომ ობრას ხმელეთი იმდენად დიდი მაინც არის, რომ სანორის მთელ ზედაპირს უდრის. — თანდათან ცხარდება ნუავე. — თუ სანორზე ასე განვითარდა სიცოცხლე, რატომ არის ეს შეუძლებელი ობრაზე?

— ჩვენი პლანეტის ჰავა სხვაგვარია. — ვცხარდება მეც. — ობრაზე მუდამ ქუხს და ელავს. წარმოუდგენელი ძლიერების გრიგალი მძვინვარებს განუწყვეტლივ. მუდამ ბურუსიანი ჰაერი საესეა გამანადგურებელი ძალებით. სიცოცხლის მაღალი ფორმა ვერ დამკვიდრდება ასეთ მერყევ და მძაფრ ნიადაგზე...

ეხლა ვზვიარ და ვფიქრობ:

— რატომ გავცხარდი? რატომ მალეღვებს ყოველთვის ნუავეს დაუსაბუთებელი გატაცება და დაუჯერებელი დასკვნები?

სადღაც, გულის უჩინარ კუთხეში, შუქი მოძრაობს. ჯერ მოსჩანს მხოლოდ ჩრდილი, შუქის ჩრდილია.

დავიცდი.

დრო გაივლის, პასუხიც მოვა.

— 17—40. გუშინ სიგნალის მომწყობი სექციის სხდომა იყო დილის სხდომის წინ ნუავემ დამირეკა:

— ხომ იქნები სხდომაზე?


— ვიქნები!

— შენი ნახვა მინდა. დამიცადე. სხდომაზე ერთად წავიდეთ!

— სიამოვნებით!

შემოვიდა ჩუმიად. ხელში ეჭირა მისი საყვარელი სუანერ\*. ფანჯარასთან დაჯდა.

\* ლურჯი ყვავილი, „ობრას ყვავილად“ წოდებული.



სახეზე ენთო მოზღვავებული სიხარულის განგებ შებურვილი სინათლე.

უნდოდა (არ ვიცი, რატომ) დაუტყვევნილი სიამის დაფარვა და ჰხრიდა წამწამებს.

მაგრამ შეკავებულ ღიმილივით ცახცახებდა თვალეზში შთაგონების ბრწყინვალე ფრთა.

— რალაც კარგი გაქვს გულში დამალული, — ვკითხე.

შემომხედა: თვალებიდან თითქო ორი ფრინველი ამოფრინდა და სახეზე სხივების ფრთები მომანათა.

— შენ ჩემი არ გჯერა, მაგრამ მე ვხედავ ყველაფერს.

— რას ხედავ?

— მე ვხედავ, როგორ იბრძვის ობრაზე ჩვენი მსგავსი არსება და როგორ იკათავს გზას ჩვენსკენ მისი მაღალი გონება.

— საჭიროა ჩვენც დაგვანახო.

— გახსოვს, ორი თვის წინათ ობრას ჩრდილო-პოლუსზე ცეცხლის სვეტები რომ იქნა შენიშნული?

— მერე?

— მაშინ ის ვულკანურ მოვლენად ჩასთვალეს, მაგრამ ეხლა სულ სხვა რამ ირკვევა ჩემთვის.

უცებ წამოდგა და აიენის ფარდა გასწია.

ოთახში მიულოდნელ ნიაღვარივით შემოიჭრა ოქროს სხივების შადრევანი და თბილი შუქით შემოსა ქალი.

— მაინც რა ირკვევა? — შევეკითხე.

— ეგ ობრას შუქური სიგნალია.

აიენზე გავედით. აზა მაღლა აწეულიყო და ცხელი ღვარი გადაესხა ფართე ფოთლებიან ბიმუდუს\* ხეივნისათვის.

— როგორ დაასკენი? — ვკითხე და სკამი შევთავაზე.

დაჯდა. მარჯვენა ხელი აიენის მოაჯირზე დააყრდნო, მარცხენა მე გამომიწოდა.

ჩამოვართვი პატარა, ჩიტისვით აფართქალებული ხელი და ფრთხილად მუხლზე დავასვენე.


— შენ ჩემს დასკვნებს არ სწყალობ! ვიცი, არც ამას გაიზიარებ!

— პირიქით, მე ვცდილობ დავიჯერო, მაგრამ საკმაო საფუძველს ჯერ ვერ ვხედავ!

— მაინც გეტყვი ჩემს მოსაზრებას, რადგან შენი დახმარება მჭირია.

— შზადა ვარ, როგორც ყოველთვის!

\* ვაშლის მაგვარი ხილია.



— გუანაზე გადაღებულ სურათებიდან სჩანს, რომ ობრას ჩრდილო-პოლუსის მიდამოები მუდმივი ყინულით არის მოქცეული. ყინულის არე ვაკესავით სწორად არის გაშლილი და არსად ჩრდილის ლაქებს არ იძლევა. ეს ამტკიცებს, რომ ყინულის ქვეშ წყალია. ელვარება-კი სწორედ ყინულოვან ზონაზე იქნა შენიშნული. ატცილებელია დასკვნა, რომ ცეცხლის ზოლები არ იყო ვულკანური წარმოშობის.

— შენ ფიქრობ, მაშასადამე, რომ ეს იყო ხელოვნურად გამოწვეული ასხივება?

— სხვაგვარი ახსნა შეუძლებელია: მოქმედი ვულკანის ნიშნები მე იქ ვერ აღმოვაჩინე. ამას გარდა ძალიან დამაეჭვებელია სხივების ზოლების სიმეტრიულობა.— ვულკანური ამგვარად სივრცეს ვერ გაანათებდა\*.

— როგორ მახსოვს, ჩავურთე შორიდებით, რადგან არ მინდოდა კიდევ ხაზი გამესვა ჩემი სკეპტიკური განწყობილებისათვის. — ელვარების რადიუსი ძალიან დიდი იყო.

— ბევრად უფრო ნაკლები, ვიდრე ჩვენი სიგნალის სისტემაა, — მიპასუხა ნუავემ, ხელი წამართვა და გამწყრალი თვალები მრისხანედ მოაბრუნა ჩემსკენ.

— მერე რას ნიშნავს ეს სიგნალი? — ვკითხე მეც პაუზის შემდეგ.

— საქმეც ის არის, რომ მათ ჩვენი სიგნალი ვერ გაუგიათ. ალბათ ჩვენს მუქ ზოლებს ისინი ჩვენი პლანეტის ბუნებრივ ხაზებად სთვლიან. ვინ იცის, იქნება მდინარეები, ან მთები ჰგონიათ!

— კარგი მიხვედრაც ჰქონიათ! — წამომცდა ირონიული შენიშვნა, რამაც უფრო გააბრაზა ნუავე:

— ჩვენ არ ვიცით, როგორი ხელსაწყოებით სარგებლობენ ისინი და როგორ მოსჩანს ჩვენი პლანეტა მათ ინსტრუმენტებში. ამიტომ უმჯობესია ნაჩქარევ დასკვნებს მოერიდო.

კარგად ვგრძნობდი, ვისი დასკვნები იყო ნაჩქარევი, მაგრამ ნუავეს შეუდრეკელი რწმენა თავისთავად იმდენად მიმზიდველი იყო, რომ ძალაუვნებურად იმორჩილებდა ჩემს ეჭვიან სიფრთხილეს.

— ახლა უნდა გითხრათ, რისთვის მოვედი შენთან, — მომმართა ნუავემ და გამწყრალ სახეზე ღიმილი აათამაშა. — დღევანდელ

\* ნუავეს ეს შემედარი დასკვნა მე მხოლოდ აქ ჩამოსვლის შემდეგ გამოვარკვიე. თქვენ, უპიკელია, მიხედვით, რომ მარსიდან დედამიწის პოლუსზე შენიშნული სხივების ზოლები ნუავეს რომ სიგნალი ეგონა, იყო ეგრეთწოდებული პოლარული ნათება. მარსის ატმოსფეროს განსხვავებული პირობების გამო ასეთი მოვლენა იქ შეუძლებელია და ამიტომ იყო ჩვენთვის ძნელი მისი ბუნების ახსნა.

სხდომაზე შემომამქვს ერთი წინადადება, რაც მინდა წინასწარ გაგაცუ-  
ნო.

— ჩვენი სიგნალის შესახებ?

— დიას! როგორც ვითხარი, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ობრაზე ჩვენი სიგნალი ვერ გაიგეს. შეიძლება ეს, სხვათა შორის, იმიტაც აიხსნებოდეს, რომ ზოლები, მიუხედავად სისტემის ცვალებადობისა, მუდმივია. ამას შეეძლო ისეთი შეხედულების წარმოშობა, თითქოს ეს ზოლები პლანეტის ორგანული აღნაგობის თავისებური კონტურები იყოს.

— შენი მოსაზრება უთუოდ ანგარიშგასაწევეია, — შეენიშნე მე, მაგრამ როგორ გინდა გამოასწორო მდგომარეობა?

— ჩემი წინადადების აზრიც ეგ არის. — ობრას მოახლოვების დროს ჩვენ უნდა შეეცვალოთ სიგნალიზაციის მეთოდი.

— როგორ?

— საჭიროა სიგნალმა ობრაზე შექმნას რიტმული ციკლის შთაბეჭდილება. ამ მიზნით ყოველდღე 12 საათის განმავლობაში სიგნალიზაციის მთელი სისტემა უნდა ჩაქრეს. ფიგურების ციკლი უნდა გადაეცეს 12 დღეში, თითო ფიგურა ყოველდღე. ციკლის მოთავსების შემდეგ სიგნალი სრულებით უნდა მოიხსნას. თუ ობრაზე შენიშნული აქვთ ჩვენი სიგნალის ზოლები, შეუძლებელია გადაცემის ამ ცვლილებამ არ მიიპყროს ობრანთა ყურადღება.

ნუავეს გეგმა მართლაც მოსაწონია.

სიამოვნებით დავუდასტურე.

— სავსებით ვიზიარებ შენს მოსაზრებას და ვფიქრობ სექციაც მიიღებს მას, თუ რაიმე ტექნიკური ხასიათის დაბრკოლებამ არ შეუშალა ხელი.

— მე უკვე მქონდა ამის შესახებ საუბარი პროექტორების გამგესთან, — მითხრა ნუავემ, — ტექნიკურად ჩემს გეგმას არაფერი დააბრკოლებს \*.


— მით უკეთესი! — ვუთხარი მე და წამოვდექ: სხდომაზე წასვლის დრო იყო.

სექციამ ერთხმად მიიღო ნუავეს წინადადება.

— 18.1. გეგმაზე მუშაობამ დიდი ნაყოფი გამოიღო. ასტრონომიას უდიდესი პერსპექტივა გაეშალა. ობსერვატორიამ გადასწყვიტა

\* სიგნალიზაციისათვის მოწვობილი იყო უზარმაზარი პროექტორების სისტემა. პროექტორები მუშაობენ Zine — სხივებით, რომლის განსაკუთრებულ თვისებას შეადგენს აზას სხივების შთანთქმა. Zine — სხივებით გაშუქებული არე მზის სხივებს არ აირეკს და შორიდან შეიად მოსჩანს.

ორივე მთვარეზე ააგოს ასტრონომიული სადგურები. ინჟინერმა  
გოუმ წარმოადგინა სადგურების გეგმა.



— 18 — 15. დღეიდან დაიწყო სიგნალიზაცია ნუავეს გვეგით.  
ობრა სწრაფად გვიახლოვდება. ამჟამად იგი უბრწყინვალესი  
ვარსკვლავია ჩვენს ცაზე.

ყველა აღელვებულია სასიხარულო მოლოდინით.  
ყველაზე მეტად დელაგს ნუავე.

— 18 — 27. გუშინ მოთავდა სიგნალიზაციის ციკლი\*.

დღეს ობრა უახლოეს წერტილზე ბრწყინავს.

ორი ათასი ეკრანის უსინათლო თვალი ელექტროწამწამების  
შეუწყვეტელი ხამხამით მისჩერებია მოლურჯო ცეცხლით აბრია-  
ლებულ მნათობს, მაგრამ არც ერთი მათგანი არ ანთებულა ჯერ  
შორეული ხილვის სიხარულით.

— 18 — 28. ორი დღეა გუანაზე ვმუშაობთ.

ნუავემ დაამზადა სურათების სერია.

ბევრი რამ არის ახალი და საგულისხმო.


პირველ ყოვლისა, გაკვირვებას იწვევს წყლის რაოდენობა.

მართლდება წინა-თაობათა მოლოდინი: ობრა, მართლაც, წყლის  
დაუღვეელი რეზერვუარია, რამაც უნდა გამოაცოცხლოს ჩვენი  
პლანეტის სისხლნაკლები სხეული და დაუბრუნოს მის დამშრალ  
ფესვებს ცხოველმყოფელი სინედლე.

— 18 — 30. არის თუ არა ობრაზე გონიერი არსება?

ის მასალა, რაც დაგროვდა ამ ერთი თვის დაკვირვებით, სანუ-  
გეშოს არაფერს ამბობს. თუ არის სიცოცხლე უთუოდ დაბალსაფე-  
ხურზე. მხოლოდ ერთადერთი ნუავეა დაარწმუნებული, რომ სიგნა-  
ლიზაციის უნაყოფობა ჯერჯერობით ჩვენთვის გაუგებარ მიზეზე-  
ბით არის გამოწვეული. მას სჯერა, რომ არსებობს მაღალგონიერი  
ობრან. სჯერა გადაჭარბებული გატაცებით.

\* მარსის ვგრეთოდებული „არხების“ წაითხვის შესახებ თქვენთან რომ  
საუბარი მქონდა, მე ცოტა განსხვავებულად ვაღმოგეცით მაშინ ჩვენი სიგნალი-  
ზაციის გეგმა. მაგრამ მე იმ დროს ვლაპარაკობდი, როგორც თქვენი პლანეტის  
მკვიდრი და არ შემეძლო მეოქვა ის, რაც დღემდე მცენიერებისათვის უცნობი  
იყო. მე დღემდის არ ვიცი, თქვენმა ტელესკოპებმა რატომ ვერ შეამჩნიეს მაშინ  
მარსის სიგნალის ციალი და რად დაიღუპებენ ნაყოფოდ ნუავეს მახვილგონიერი  
გეგმა.



— ხომ ხედავ ამ ნათელ ლაქებს? — მკითხა გუშინ, როცა მის მიერ შედგენილ რუკებს ვათვალიერებდით.

— ვხედავ, — ვუპასუხე, — მაგრამ თანხისები საჭიროა უდაბნოში და არა ოკეანეზე.

— ეგ არის ობრანთა საცხოვრებელი ადგილი.

— მესმის.

— სოციალური ბუდეები.

— მეც ეს მაფიქრებს. ასე ჯგუფ-ჯგუფად ცხოვრება წყლით შემოსილ პლანეტაზე კულტურის დაბალი დონის მაჩვენებელია.

— როცა ამ რუკებს ათვალიერებ, — დამტუქსა ნუავემ — უნდა მოიშორათ ჩვენი დღევანდელი თვალსაზრისი. ჩვენ ჯერ არ ვიცით, რა გზით მიდის იქაური კულტურის განვითარება.

— ამ მხრით ორთავენი ერთნაირად ცუდ მდგომარეობაში ვართ, შევნიშნე მე, მოვლენის უცოდინარობა არ იძლევა არაერთარ უპირატესობას მისი ან ავად, ან კარგად შეფასებისათვის.

— შენ უკვე დასცინი ჩემს ოპტიმიზმს, — იწყინა ნუავემ და აახე მოიღრუბლა.

მე შევეცადე საჩქაროდ გამომესწორებია ჩემი უტაქტობა.

— მე სრულებით არ უარყვოფ ობრაზე სიცოცხლის ნიშნებს, — შევეძახე გულწრფელად. — მე მხოლოდ ბოლომდის ვერ ვერკვევი. საიდან ლებულობ შინაგანი დაჯერების ეგზომ მოუღრეკავ პათოსს.

— ჩემი უბედურებაც ეგ არის, — მითხრა ქალმა, — მეცნიერულად გამართული არგუმენტები ჯერ არ მომეპოება, მაგრამ შინაგანი დაჯერება მართლა იმდენი მაქვს, რომ უბრალო რამ ნიშანი ჩემთვის უფრო ბევრის მეტყველია, ვიდრე შენთვის თვალსაჩინო ფაქტების მთელი გროვა.

— სამწუხაროდ, ასეთ საქმეში მართოდენ ინტუიცია არ არის საკმარისი.

— არც მე ვემყარები მხოლოდ ინტუიციას: ობრას ასაკი, მისი ფიზიკურ-ქიმიური პირობები ერთის მხრით, ხოლო მეორეს მხრით, სიცოცხლის ის ნიშნები, რაც შენთვისაც აშკარაა, განსაკუთრებით კი, შუქური სიგნალიზაციის ცდები, — მე ვფიქრობ ყველაფერი ეს იძლევა ჩემი დასკვნებისათვის საკმაოდ დამაჯერებელ საფუძველს.

— შუქური სიგნალი მე ძალიან მეეჭვება, — ფრთხილად შევაპარე სკეპტიციზმის წვეთი. — ეგ რომ მართალი სიგნალი ყოფილიყო, ამ იშვიათ მოახლოების დროს უფრო ნათლად და გარკვევით უნდა გამოჩენილიყო მისი ციმციმი.

შევატყე, რომ ნუავე შეშფოთდა.

— ვიმეორებ, მე არ ვუარყვოფ ობრაზე სიცოცხლის არსებობას, —

დავსძინე საჩქაროდ, რომ შემენდებია ჩემი უკანასკნელი სიტყვების შთაბეჭდილება. — მაგრამ, როგორც გითხარი, იქ წყლის სტიქია ბატონობს და სიცოცხლეს ამ სტიქიის შესაფერი იქნება.

— მაშასადამე? — ჩამეკითხა ნუავე.

— მაშასადამე, შენი საყვარელი ობრან ჩვენს მოკავშირედ ვერ გამოდგება. — მოულოდნელად წამომცდა მწარე დასკვნა.

ნუავე ისევ მოიღუშა.

— 19 — 7. ობრა ისეთივე სისწრაფით გვშორდებოდა, როგორც გვიხლოვდებოდა.

გამოქვეყნდა აუარებელი მასალა, მათ შორის განირჩევა ნუავეს დეტალურად გადამუშავებული რუკები.

რუკები კულტურის ნიშნების მიხედვით ზონებად არის დაყოფილი.

ნუავე თავის განმარტებაში იძლევა მრავალ გონებამანვილ და საგულისხმო მოსაზრებას, მაგრამ ჭარბობს ინტუიცია.

მე ვამზადებ გამოსაქვეყნებლად ჩემს დასკვნებს, მაგრამ (საოცარი) მერიდება ნუავესი.

ჩვენს შორის ბრძოლაა. მე ვგრძნობ, რომ ამ ბრძოლას აქვს არა მხოლოდ მეცნიერული საფუძველი, რაღაც სხვა რამ, მეცნიერების გარე მყოფი, ამჟამურებს ჩვენს ურთიერთობას. მეცნიერული დავა თანდათან უახლოვდება პიროვნულ კონფლიქტს.

მე ვერიდები ამ კონფლიქტს და ამიტომ ჩემს წერილს ხელს არ მოვაწერ

— 19—12. ვამტკიცებ რომ C და D ზონები, სადაც ნუავეს მაღალი კულტურის ნიშნები მოეჩვენა, წარმოადგენს ობრას დასახიჩრებული კანის ნაწილს, რაც შედეგია გეოლოგიური ფორმაციის კატასტროფიული ხანის. ამ ზონებში შეუძლებელია სიცოცხლის არსებობა. რაც შეეხება B, C, K და R ზონებს, განსაკუთრებით K — R-ს მიდამოებს, მცირეოდენი დაძალებით შეიძლება დავასკვნათ, რომ აქ ობრას ზედაპირს მართლაც ეტყობა გონიერ არსებობა ზემოქმედების ნიშნები.

წერილს მივაწერე K — R.

— 19 — 14. დაიბეჭდა ჩემი წერილის პასუხი, ხელს აწერს ეინმე C—D. დიდის ენერგიით ილაშქრებს ჩემი დასკვნების წინააღმდეგ.

— 19 — 30. კამათმა ფართო ხასიათი მიიღო

მეცნიერთა დიდი უმრავლესობა ჩემ ფრთხილ დასკვნებს უჭერს მხარს.

C — D-ს მხოლოდ ახალგაზრდობა მიემხრო.

— 19 — 35. დილით, როცა ჩემი რაუნატი სანორს მოშორდა, კაბინაში შემოვიდა ნუავე.

— ხელი ხომ არ შეგიშალე? — მკითხა მორიდებით.

— შენს რუკებს ვათვალისწინებ, — ვუბასუხე. — C — D-ს მოსაზრებებმა ცოტა დამაფიქრეს, მაგრამ მაინც მე ვარ მართალი.

— მაშ, K — R შენ ყოფილხარ! — და ნუავემ ცბიერად გაიღიმა. — მე ეს დიდი ხანია ვიცი!

— მე ვიცი, ვინ არის K — D.

— Ka — ro! Ge-da\* — მე მომწონს ეს სახელები. და უცებ დაუმატა:

— Karo! რატომ მებრძვი, ხომ გრძნობ, რომ მართალი ვარ?

— Geda! განა სულ ერთი არ არის, ვინ დარჩება მართალი?

— რატომ არის სულ ერთი? — მკითხა გაკვირვებით.


— მსოფლიო საგნა სიცოცხლის თესლით. ზოგან მწიფეა ნაყოფი, ზოგან ახლა ისხამს ყვავილს ხე სიცოცხლისა. ალბათ არის ქვეყანა, სადაც მარადი მთესველი ახლა ჰყრის სიცოცხლის მარცვლებს. ყველგან არის სიცოცხლე და სულ ერთია, რა ასაკის არიან თბრანები.

გელა ჩაფიქრდა. კარგა ხანს იჯდა თავდახრილი.

— ჩემთვის არ არის სულ ერთი. — სთქვა ბოლოს და შემომხედა მუდარებით სავსე თვალებით. — მე ტყვედ ვყავარ მოუშორებელ წარმოდგენას. თვალწინ მიდგას შორეული მეგობრის სახე და მეძახის, მეძახის ბრწყინვალე მოჩვენების გაუქრობელი ლანდი! თითქო გასაჭირშია და ჩემგან ელის შევლას. ამაყი ბავშვი ზღაპრებით სავსე თვალებით მომჩერებია შორიდან და მეღის. მე კი, ვასკდები ყველა ფანჯარას, მაგრამ არ იღება არც ერთი, და ვფართხალებ გულცივ სამყაროს ოთხ კედელ შუა. ვიცი, მასაც ვესიზმრები მე, მასაც ჩემკენ გაუწვდია ხელები, მაგრამ ბავშვია ჯერ იგი და ფრთებს ახლა ისხამს. მე შესმის მისი ძახილი, გაზაფხულის ქუხილივით რომ მოარღვევს ცას, ვხედავ, როგორ ელავს მის თვალებში ახალგაზრდობის ჭარბი სისხლი და მე მინდა მისი ნახვა. კარო. მინდა მისი ნახვა და შენ კი, არ გჯერა მისი არსებობაც...

გელა ნუავე დაემხო მაგიდის ყურეს და აქვითინდა...

\* ჩვენებურად ეს ასოები ასე გამოითქმის: გე — და.



სადაც, გულის მივარდნილ კუთხეში შექი ამოძრავდა. დღე მდის მხოლოდ ჩრდილი მოჩანდა. შექის ჩრდილი. ახლა ვხედავ შექში გახვეულ სახეს. სახე გაფიფრდა, ხელეზზე დაემხო და აქვითინდა...

— რატომ სტირი, გედა? დაიცადე, როგორც მე ვიცდიდი. დრო გაივლის და შენი გულისთქმის პასუხიც მოვა...

— 22 — 7. დღეს საუბარი მქონდა წყალთა მოურავთან.

მკითხა: როდის მოხერხდება ორბაზე ექსპედიციის მოწყობა.

— ტექნიკურ სექციას თავისი ამოცანა შესრულებული აქვს, — ვუპასუხე, — ჯერი ქიმიურ სექციაზეა.

— ჰერის კონსერვები? — მკითხა მოურავმა.

— დიალ!

— აკ მოგვარდა შეკუმშული შევებადის მომარაგების საკითხი!

— კოსმიური ფრენისათვის საჭირო ჰერის დამზადებას გაუთვალისწინებელი დაბრკოლება შეხვდა.

— მაშ, როგორ დაფრინავთ გუანაზე?

— ჩვენი მანქანის საპერო აპარატის მუშაობა საკმარისია ახლოს მანძილზე, მაგრამ დიდი მარშრუტებისთვის არ კმარა, ვინაიდან ცდებმა დაგვიმტკიცა, რომ ხელოვნურად შეზავებული ჰერით სარგებლობა კოსმიურ სივრცეში შესაძლებელია ხუთ თვემდე. შემდეგ, გაუგებარი მიზეზების გამო, ჰერი თანდათან უვარგისი ხდება.

— რას ამბობენ სპეციალისტები?

— მიზეზი ჯერ აუხსნელია. ჰერის შემადგენელ ელემენტების პროპორცია არ ირღვევა, მაგრამ ჩნდება რაღაც ახალი ფაქტორი, რაც სცვლის ჰერის თვისებებს.

— ცდებს სად აწარმოებენ? — შემეკითხა მოურავი.

— ელონზე, უჰაერო სივრცეში. სპეციალისტებს დაეხადათ ერთი ჰიპოტეზა, რამაც შეიძლება ახსნას ეს გაუგებარი მოვლენა.

— რა ჰიპოტეზაა?

— ცნობილია, რომ სამყაროს უჰაერო სივრცეში დაჰქრის მრავალგვარი კოსმიური სხივები, რომელთაც „სიკვდილის სხივებს“ ეძახიან. ორგანიული ნივთიერებისათვის გამანადგურებელია ამ სხივების მოქმედება. ჩვენს პლანეტაზე ამ სხივებისაგან სიცოცხლეს იცავს ჰერის საბურველი. მაგრამ უჰაერო სივრცეში მათ არაფერი აკავებს. ჩვენ საფრენ მანქანებს, როგორც იცით, აქვს ბროლის გუმბათი და წინა კედელი. მიუხედავად კარგად გაკეთებულ ფარისა, როგორც ფიქრობენ, „სიკვდილის სხივების“ ნაწილი მაინც ახერხებს მანქანაში შემოჭრას და სწამლავს ჰერს.

— ჰერს რომ სწამლავდეს ეგ უჩინარი სხივები, განა ჩვენი ბლანეტის ჰერსი, ყოველი მხრით ამ სხივებით რომ არის შემოსილი, აქამდის არ მოიწამლებოდა? — საბუთიანად იკითხა მოურავმა.

— ნუ დაგავიწყდება, — ეუბასუხე მე, — რომ ჩვენი ჰერსის ზედაფენები სრულებით არ ჰგავს იმ ჰერსს, რითაც ჩვენ ვსუნთქავთ! ამას გარდა, არ არის გამორკვეული, პირდაპირ ჰერსზე მოქმედებს ეს სხივები, თუ სხვა ნივთიერების დაშლით გამოწვეული ელემენტებით სწამლავს მას.

— საგულისხმო მოსაზრებაა, — სთქვა მოურავმა, — მაგრამ რა საჭიროა მაინცდამაინც ფანჯრებიანი მანქანებით ფრენა? განა არ შეიძლებოდა მანქანების დახურვა?

— შორეული მარშრუტების დასაძლევად აუცილებელია მანქანას ჰქონდეს გეზის გასამართავად ღია თვალები. დახურულ მანქანაში ფრენის დროს მოსალოდნელია ათასი ხიფათი სამყაროში მოხეტიალე პატარა სხეულებთან შეხვედრისას.

— ერთი წლის ვარაუდი მაინც რა საჭიროა ობრაზე გასაფრენად? — არ მოეშვა მოურავი.

— ასეთ დიდ მანძილზე ჯერ არ გავფრენილვართ, — მიუღებ მე, — არ ვიცი, შეგვეძლება თუ არა ობრას ჰერით სარგებლობა. უცნობია აგრეთვე ჩვენთვის იქაური სიცოცხლის სახე და ხასიათი: ეინ იცის, რა პირობებში მოვექცევით? იქნება ბრძოლაც მოგვისდეს ობრანებთან. ყოველ შემთხვევისათვის ერთი წლის განმავლობაში უნდა შეგვეძლოს მანქანაში გაძლება.

— როგორც ჩანს, — დაღონებით წარმოსთქვა წყალთა მოურავმა, — ვიდრე ეს დაბრკოლება არ მოიხსნება, ობრას წყლის რეზერვუარს ჩვენ ვერ გამოვიყენებთ?

— ამიტომაც სწარმოებს ლაბორატორიებში შეუწყვეტელი მუშაობა, — ეუბასუხე დაფიქრებულ მოურავს.

— 23 — 4: მიმძიმს გედათან საუბარი.

ჩვენი გზები სცილდება ერთმანეთს.

გედა მეტეორივით მიჰქრის სადღაც.

მის მობრუნებას არც მოველი: ძალიან შორს გაჰყვა მაცდურ ოცნებას.

მე რას გავაწყობ?

— 33—30. რაუნიტს გამოვუცვალე თაღი და ფანჯრები ობსერვატორიის ლაბორატორიაში ახლად დამზადებული ბროლით, რომელიც უფრო გამკვირვალე ლითონსა ჰგავს, ვიდრე ჩვეულებრივ მინას.

ენახავ, დაგვიფარავს თუ არა ეს ახალი გამოგონება „სიკვდილის  
ახივების“-გან.

გამოცდა მე მომანდეს.

— ისევ გუანაზე გამოსცდი? — მკითხა ნუავემ.

— არა, ამჟამად უფრო დიდ მანძილს ვირჩევ! — მივუხე.

— თბრა უკვე ძალიან დაგვშორდა, — სთქვა მან დალონებით.

— ვიდრე იგი მობრუნდებოდეს. მე მაქვს განზრახული ერთი  
ახალი მარშრუტი.

— რომელი? — მკითხა ნუავემ და ცნობისმოყვარეობით შემო-  
მატქერდა.

— ცაში წყლის ახალი მარაგის საძებრად.

— რომელ წყალზე ლაპარაკობ? — გაუკვირდა ნუავეს.

— მცირე პლანეტა ზ ე რ B 17 \*.

— რატომ ფიქრობ, რომ ზ ე რ ჩვენთვის წყალს ინახავს? — შე-  
შეკითხა ნუავე.

— ვინაიდან იქ ატმოსფეროს ნიშნები აღმოჩნდა, მე ვფიქრობ —  
მოსალოდნელია წყალიც იყოს.

— შესაძლოა, თუმცა დიდი იმედი არ უნდა იქონიო. — მითხრა  
ნუავემ. — მაგრამ როგორ გინდა მიუახლოვდე ზერს? ის ხომ თბრა-  
ზე უფრო შორს არის ახლა ჩვენგან?

— მართალია, მაგრამ ამ დღეებში ჩვენს პლანეტას ახლოს გა-  
უვლის ეტლი, რომელიც იკისრებს ჩვენს გასეირნებას მცირე პლა-  
ნეტათა შორეულ მიდამოებში.

გედა ერთი წამით ჩაფიქრდა.

უცებ თვალები პროექტორებივით მომანათა:

— ნოგოსუ?

ღიად, ნოგოსუ \*\*, — ვუპასუხე და მოვშორდი, რადგან ვერ  
ავიტანე მის თვალებში ანთებული უზომო საყვედურის ალი.

რად მიცქერის აგრე? მე ხომ მისთვის არაფერი დამიშავევია?

პირიქით: მან დამიბინდა გულის მიუვალ კუთხეში ამოძრავე-  
ბული შექი და იქ ეხლა მხოლოდ ჩრდილი დარჩა.

კარებთან წყალთა მოურავი დამეწია.

— მე თქვენი საუბარი მესმოდა, — სთქვა მან. — კარგად ვერ  
გავიგე, რა ეტლზე ლაპარაკობდით?

— ზეგ ნოგოსუ ჩვენსკენ იბრუნებს პირს, მინდა მას შეეხვდე  
და მერე გავყვე თან.

— რატომ თბრაზე წასვლა არ ირჩიე?

\* თქვენებურად ასტეროიდი ვესტა.

\*\* ასტეროიდი ეროსი.

— ობრა ძალიან დაგვმორდა და თანდათან უფრო გვმორდება. გარდა ამისა, ახალი ბროლის ღირსება ჯერ ნაცადი არ არის.

— ამ მხრივ არც ნოვოსუხე მგზავრობა არის ნაკლებად სახიფათო: განა იქაც უპაერო სივრცეში არ იქნები?

— განსხვავება დიდია, ობრას მიმართულებით სულ თვალშია მანქანით უნდა მეფრინა და თუ ბროლი უვარგისი გამოდგებოდა, კატასტროფა აუცილებელი იქნებოდა.

— ნოვოსუხე რა უპირატესობა გექნება? — მკითხა მოურავმა.

— ნოვოსუხე ხომ არაჩვეულებრივად მოძრაობს? მე მინდა გამოვიყენო მისი მოძრაობის უცნაურობა, როგორც ცნობილია, ჩვენი პლანეტისა და ნოვოსუს ორბიტები ჯაჭვის რგოლებივით გადამბულია ერთმანეთს. ამიტომ ნოვოსუხე შემოდის ჩვენი პლანეტის სფეროში და ახლო გაუვლის ჩვენს ორბიტს. მისი გზის პერიპელიუმში ძვეს ობრასთან ახლო, ხოლო აფელი—მცირე პლანეტების მიდამოებში, ჩვენი ორბიტის გადაღმა მხარეს. ამჟამად იგი ჩვენი გზის შიგნით არის, ობრას საზღვრიდან დაბრუნებულია და ჩვენ გეახლოვდება. მე ვაპირებ გზაში შეხვედრას. როცა ჩემს რაუნიტს ნოვოსუხე დაეახინავენ, შემეძლება ახალი ბროლის დამშვიდებით გამოცდა. თუ შევატყვე, რომ ბროლი კოსმიურ სხივებს ვერ აკავებს, მაშინვე დავხურავ მანქანას და ვიქნები შიგ უკან მობრუნებამდე. როცა სანორს მივუახლოვდებით, ავხდი რაუნიტს წამწამებს და ჩემს პლანეტაზე დავბრუნდები. მოახლოვებულ ნოვოსუხედან ჩვენს ქვეყნამდე შედარებით პატარა მანძილისათვის ჰაერი საკმარისი მექნება ჩემს რაუნიტში.

— წყალი? — იკითხა მოურავმა შეშფოთებით.

— წყალიც საკმარისი მექნება.

— რაუნიტზე არ მოგახსენებ! — გაცხარდა მოურავი. — წყალს მოსძებნი თუ არა?

— ზერს ყოველ შემთხვევაში დავხვერაგ. — დავამშვიდე მოურავი, — და თუ წყალი აღმოვაჩინე, ექსპედიციისაც მოვაწყო.

კმაყოფილი მომშორდა.

ზეგ მივდივარ!..

---

ვინაიდან ეროსზე (ნოვოსუხე) ჩემს მგზავრობას არა აქვს პირდაპირი კავშირი თქვენთვის საინტერესო საკითხთან, მე გამოვტოვე დღიურის ის ადგილი, სადაც აწერილია ეს მგზავრობა. საჭიროდ

შიმაჩნია მხოლოდ ერთი პატარა ეპიზოდის გადმოცემა, რომელმაც მისცა დასაბამი მოვლენათა სწრაფ განვითარებას.

ეროსმა ჩემი იმედი გაამართლა. კმაყოფილი ვბრუნდებოდი ორბიტის მეორე გვერდით ვესტას საზღვრიდან.

გუაზლოვდებოდი მარსს. დაბრუნებას არ ვაპირებდი, განზრახული მქონდა დედამიწის შესწავლა ახლო მანძილიდან. ამიტომ გადაწყვეტიტე გავყოლოდი ეროსს და მისი ორბიტის პერიპელიუმთან დამეთვალაიერებინა დედამიწა და დაკვირვებით შემესწავლა გედას მიერ გადაღებულ სურათებში აღნიშნული რაიონები, განსაკუთრებით ის ადგილები, რომელთა ინიციალები: G—D და K—R ჩემი და ნუავეს სახელებად გადაიქცნენ.

მე განუწყვეტელი კავშირი მქონდა რაუნტიდან ეკრანის საშუალებით მარსის ობსერვატორიასთან და ჩემმა ქვეყანამ ჩემი მგზავრობის ყოველი დეტალი კარგად იცოდა.

ეროსის ერთ მშვენიერ დილას, როცა ქრონომეტრს ვსინჯავდი მარსის თარიღის გამოსარკვევად, უცებ ეკრანმა დარეკა.

რამდენიმე წამის შემდეგ ეკრანზე გამოჩნდა ნუავე.

მომანათა შეშფოთებული თვალები.

— კარო, შენ ობრასკენ მიემგზავრები? — მკითხა და პასუხის დაულოდინებლად დაუმატა: — მე ვიცი, რომ ასე გაქვს გადაწყვეტილი, მაგრამ მინდა გთხოვო შესცვალო მარსურუტი!

— რა მოხდა? — ვკითხე მე, — რად ხარ ასე აღელვებული?

— საჭიროა შენი აქ ყოფნა. შეწყვიტე მგზავრობა, დაბრუნდი! შევატყე, რომ ქალს სასოწარკვეთილების მოურევნელი გრძნობა ეუფლებოდა.

— მზადა ვარ დაგეხმარო, ოღონდ მითხარი, რა მოხდა? — ანგარიშმიუცემლად შევაგებე თავაზიანი სიტყვები.

ნუავეს სახეზე სიამემ ეღვა დაანთო.

— დაბრუნდები? მაშ, დაბრუნდები? — სიხარულით წამოიძახა და ხელები ფრთებივით შეათამაშა.

— დავბრუნდები!

— რაც შეიძლება მალე! დღესვე აუშვი რაუნტი!

— ამ საათში მოვიხსნები აქედან, მაგრამ რად არ მეტყვი, რა მოხდა? — ვკითხე განმეორებით.

ქალმა თავი დალუნა. დაფიქრდა.

უცებ ამართა თავი და შემომხედა. სიხარულის ნატამალი არ იყო მის გაფითრებულ სახეზე.

მუდარით სავსე თვალები შავი ცეცხლით იფერფლებოდა.



- ჩემი არავის სჯერა, — სთქვა მან. — გოუ თავისას გაიტანს თუ შენ არ დამიჭერ მხარს.
  - რად არ იტყვი, რა მოხდა? — მოუთმენლად შევეძახე.
  - ობრას კოსმიური კატასტროფა ემუქრება. — ხაზგასმით წარმოსთქვა მან და შეშინებულ ბავშვივით გაუფართოვდა თვალები.
  - რანაირად?
  - კომეტა ცე უახლოვდება.
  - ვინ ამტკიცებს?
  - გოუ.
  - ანგარიში სწორია?
  - სწორია!
  - მაშ, დაჯახება აუცილებელია?
  - აუცილებელია!
  - როდის უნდა მოხდეს კატასტროფა?
  - CK --- 5 --- 18-ს\*.
  - ... საჩქარო არაფერი ყოფილა, — დამშვიდებით ვუთხარი.
  - რომ ჩამოხვალ, გაიგებ, საჩქაროა თუ არა.
  - მაშ, ნახვამდის, ეხლავ მოვიხსნები!
  - გელი მოუთმენლად. — მომაძახა და ეკრანიც ჩაქრა.
- ერთი საათის შემდეგ ჩემი რაუნტი სულმოუთქმელად მიჭროდა მარსისაკენ.

... — 17 — 1. დღეს დღის 10 საათზე რაუნტი გარაჟში დაებინავე. გასაწმენდია ნოვოსუს ყვითელი ქვიშისა და უპაერო სივრცის — კოსმიური მტვერისაგან.

შეიტყო თუ არა ჩემი ჩამოსვლა, ნუავემ დამირეკა და იმწამვე მესტუმრა.

ხვალ გოუ მოხსენებას კითხულობს მეცნიერთა კოლეგიაში ობრას კატასტროფის შესახებ.


ნუავე მარწმუნებს, რომ 'გოუ' „გულგრილად“ არის განწყობილი ობრას მიმართ და სრულიად არ აწუხებს მას ჩვენი მეზობლის მოსალოდნელი დაღუპვა.

მეცნიერებისათვის იშვიათი მოვლენის დემონსტრაციად სთვლის თურმე ამ კატასტროფას.

მთხოვს, მივემხრო მის მოსაზრებას, რომ ჩვენი მოვალეობაა მივეშველოთ გასაჭირში მყოფს ჩვენს თანამოქმედს.

არის კი ვინმე მიშველების ღირსი?

\* 1933 წლის ნოემბერი.



ნუავე დარწმუნებულია ისევ, რომ ობრაზე ჩვენი თანამომქმენი ჩვენზე ფიქრობენ.  
 მე ძალიან მეეჭვება.  
 მაინც დავპირდი!

— თუმცა არა ვარ დაჯერებული, რომ შენი მოსაზრება სწორია, — ვუთხარი მე, — მაგრამ განზრახვა იმდენად კეთილშობილურია, რომ მეც შენთან ვიქნები!  
 ნუავემ მადლობა მითხრა და წავიდა.  
 მეტეორივით დაჰქრის მისი გონება ობრას უცნობ ცაზე.  
 ვინ იცის, რა ელის მას?  
 იქნება მეტეორივით ჩაიწვას უსიცოცხლო ობრას მიუყარებელ პაერში ნათელი სიზმრით გატაცებული სული!...

24.

— 17 — 2. სხდომამ სალამომდის გასტანა.

გოუს მოხსენებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია.

მომხსენებელი ამტყიცებდა, რომ ეს კატასტროფა იშვიათი და განუმეორებელი მოვლენაა ჩვენს სისტემაში და მთელი რიგი პრობლემების გადასაჭრელად მეტად დიდი მნიშვნელობა ექნებაო.

ნუავე შეუპოვარი გამბედაობით და უმაგალითო პათოსით ებრძოდა გოუს მოსაზრებებს.

— რა უფლება გვაქვს ჩვენ, — ანთებდა იგი ცეცხლიანი სიტყვების კოცონს, — შორიდან გულზე ხელდაკდებული შევცქეროდეთ. როგორ იღუპება სამუდამო სიცოცხლით სახსე ქვეყანა, როგორ ისრისება უაზრო სტიქიონის ბრმა ძალთაგან ჩვენს გვერდით აყვავებული თავისებური სიცოცხლის ერთად-ერთი და განუმეორებელი სახე? განა მეცნიერებისათვის გეოლოგიისა და ელექტრომაგნიტური პრობლემების კატასტროფის პრიზმაში განზილვა უფრო საინტერესო და საპიროა, ვიდრე სიცოცხლის ახალი, ჩვენთვის უცნობი ფორმის გადარჩენა და შემდეგ მისი გაცნობა? შეიძლება ბევრს არ სჯეროდეს, რომ ობრაზე ამჟამად სიცოცხლის უმაღლესი სახე იყოს, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ის არ წარმოადგენს ჩვენთვის მიუწვდომელ მიღწევათა უდიდეს ასპარეზს სიცოცხლის მომავალ ფორმისათვის? ჩვენთან შედარებით ობრა ჯერ ჭაბუკობის ხანაშია. ვინ იტყვის, რას უშხადებს მსოფლიოს მისი დავაყვაცება? როგორ შეგვიძლია ჩვენ ფიზიკურ მოვლენათა შესასწავლად ლაბორატორიად ვაქციოთ მსოფლიოს უდიდესი ტრაგედია? ჩვენ გვაქვს ტექნიკური საშუალება, გადავარჩინოთ დალუპვას ჩვენი მოძმე ქვეყანა. მე მოგიწოდებთ თქვენ სიცოცხლის უზუნაესი კანონის სახელით, ჩვენი მომავალი

კავშირის სახელით, დაეხმაროთ ობრას და ეიხსნათ იგი სიკვდილ-  
საგან.

გოუ აუღელვებლად, დამშვიდებით ასაბუთებდა თავის ვზრას.

— რა საჭიროა უადრესად მეცნიერული ხასიათის საკითხში რომანტიული გატაცება და სანტიმენტალური არგუმენტაცია? ვინ არ იცის, რომ სიცოცხლე ბევრგან არის შესაძლებელი? მაგრამ განა ყოველგვარ საცოცხლეს ვიცავთ ჩვენ? სიცოცხლის უმაღლესი ფორმა იბრძვის არსებობისათვის და სპობს უმდაბლეს ფორმებს. ჩვენს მსოფლიოში სიცოცხლის უმაღლესი მწვერვალი გვიპყრია ჩვენ და ჩვენს ნებას ემორჩილება ჩვენს გარეშე მყოფი სიცოცხლის ყოველი სახე. რა არის ობრა? უბრალო პლანეტა, რომლის მსგავსა მრავალია ჩვენს სისტემაში. იქ სიცოცხლე თუ არსებობს — უმდაბლესი სახის. რამდენი საუკუნეა ვცდილობთ ობრასთან კავშირის დამყარებას, მაგრამ არაფერი გამოდის, ვინაიდან ცდა ცალმხრივია: ობრას არ ესმის ჩვენი ძაბილი და ვერც გაიგონებს, — რამდენი ცხოველი დალოდავს ჩვენს პლანეტაზე, მაგრამ ჩვენს მოკავშირეებად ისინი ვერ გამოდგებიან! მოსალოდნელი კატასტროფა-ეი ისეთ მასალას მისცემს მეცნიერებას, რომლის მნიშვნელობა განუზომელი იქნება. ჩვენ თვალწინ ორი ციური სხეული ერთმანეთს დაეჯახება. დაჯახება იქნება კატასტროფიული, სწორედ ამიტომ ნათელი გახდება ჩვენთვის ჰევეისის წარმოშობისა და მისი განვითარების ბევრი ბუნდოვანი მხარე. განა მეცნიერება სიცოცხლის უზენაესი ფორმის უღრმესი ფუნქცია არ არის? რას მისცემს სიცოცხლეს ამაზე მეტს კატასტროფას გადარჩენილი ობრა? თქვენ გსურთ დაიცვათ ობრას მნიშვნელობა? მე ვამტკიცებ, რომ კატასტროფიული სიკვდილით ობრა მეტ სამსახურს გაუწევს სიცოცხლის უნივერსალურ განვითარებას, ვიდრე თავისი უბადრუკი პირველყოფილი პროტოპლაზმების უაზრო ცანცახით.

— თქვენ ჰკლავთ ცოცხალ არსებას, — აენტო ისევ ნუავე, — ჰკლავთ, რათა დოსტაქრის დანით გასჭრათ მისი სხეული და გაიგოთ, როგორ არის აშენებული ხერხემლის ძვალი. მეცნიერება არ არის სიცოცხლის ბატონი, იგი მხოლოდ იარაღია მისთვის, თქვენ კი საშუალება მიზნად დაგისახავთ. ნუ ვიქნებით მკვლელები და დავიცვათ ობრა ხიფათისაგან!

— ჩვენ არავის ვკლავთ, — უპასუხა გოუმ. — ჩვენ მხოლოდ არ ვერევით კოსმიური პროცესის ბუნებრივ მსვლელობაში. თუ ობრა ატარებს მომავალი სიცოცხლის დიდ პოტენციას, კატასტროფა სამუდამოდ არ დაღუპავს ამ შესაძლებლობას. გაივლის ხანი და ანთებული პლანეტა ისევ გაცივდება და თავის მოწოდებას შეასრუ-

ლებს. მარადიული სიცოცხლისათვის კი მნიშვნელობა არა აქვს რამდენიმე ათეულ მილიონ წელს. ამის გარდა, თუ ობრაზე, როგორც თქვენ ამტკიცებთ, არიან მაღალგონიერი არსებანი, ისინი თვითონ დაიცავენ თავის ქვეყანას კატასტროფისაგან.

— თუ მოვალეობის გრძნობა თქვენზე არ მოქმედებს, — შეედავა ნუავე, — შებრალება მაინც იქონიეთ უმცროსი ძმის მიმართ. თუ ძალა შესწევს, თავს თვითონ დაიცავსო, — ამბობთ თქვენ. მითხარით, ვინ დაუწყებს შორიდან ცქერას, როცა ბავშვს მხეცი უახლოვდება და ვინ იტყვის: თუ შეუძლია — საფრთხეს გაუმკლავდესო? არ გესმით, როგორ კივის ბავშვი და გთხოვს შევლას? მე შესძინე კივილი ბნელ სიერცეში საშინელი ხიფათის წინ მდგარი ბავშვის და მოგიწოდებთ თქვენ, მიეშველოთ მას! მაგრამ თუ თქვენზე არც სიბრალულის გრძნობა მოქმედებს, გაიხსენეთ თქვენი საკუთარი გასაჭირი — უწყლობა. მოისაზრეთ, წყლის რა დაუღვევლ მარაგს ჰკარგავთ ობრას დაღუპვის და ამ მიზნით მაინც დაიცავით თქვენთვის საჭირო მეზობელი.

— წყალი ზერზედაც აღმოჩნდა, — მიუგო მომხსენებელმა — არის კიდევ წყლის უფრო დიდი რეზერვუარი, ვიდრე ობრაა, პლანეტა ნირ\*. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ მალე შევძლებთ იქიდან წყლის მოტანას. შორეულ მომავალში, შემდეგ თაობათათვის ობრას წყალიც ჩადგება ისევ თავის კალაპოტში.

ვილაპარაკე მეც.

ვამტკიცებდი, რომ მართლა დაუშვებელია ამოდენა ქვეყნის დაღუპვა მეცნიერების პრობლემათიურ მიღწევებისათვის. ძნელი იქნება აგრეთვე წყალის საკითხის ნოვარება, თუ ობრა დაიღუპება. ზერ მცირე სხეულია და წყალიც ცოტაა იქ. რაც შეეხება ნირს, იქ, მართალია, წყალი ბევრია, მაგრამ ჩვენთვის ძალიან გაძნელდება ნირის კოლონიზაცია, ადგილობრივ კი, არავითარი ბაზა არ ექნება ჩვენს მოქმედებას პლანეტის პირველყოფილ მდგომარეობის გამო. ამიტომ მხარი დავუჭირე ნუავეს წინადადებას: გაგზავნილ იქნას ობრაზე ექსპედიცია, რომელსაც მიენდოს ადგილობრივი პირობების მიხედვით დახმარების საკითხის გადაწყვეტა.

დიდი კამათის შემდეგ კოლეგიამ მიიღო ნუავეს წინადადება.

დაისვა საკითხი ექსპედიციის მეთაურის შესახებ.

ნუავემ მე დამასახელა.

შობირდაპირე ჯგუფმა — გოუ.

ორთავე კანდიდატებმა სხდომა დაეტოვეთ.

\* გენერა.

შინ დავბრუნდი.

მშვენიერი სალამო იდგა.

ჩემი ოთახის ღია აივანს დაჰკაშკაშებდა ბრწყინვალე ობრა.

თითქმის წელიწადი შესრულდა ნოვოსუზე ჩემი გამგზავრების შემდეგ\*.

ამ ხნის განმავლობაში ობრამ ორჯერ შემოურბინა აზას და ახლა ისევ ჩვენს პირდაპირ დგას.

ათასი ფიქრი შემომესია.

ვიჯექ აივანზე. გავცქეროდი ლურჯად აპრილებულ ობრას, აივნის მოაჯირზე თითებს ვათამაშებდი და ეს ღარიბი აკომპანიმენტი მუსიკის გრიალივით მისდევდა ჩემი ფიქრის უჩინარ გრიალს...

— კარო, შენ გგზავნიან? — მომესმა უცებ გახარებული ჩურჩული და აივანზე ჩიტივით დაეშვა ქალი.

— გადაწყდა?

— თითქმის ერთხმად! — და ჩემს შუბლზე გედას ხავერდის თმები დაილვარა.

— შენ უნდა შეასრულო დანაპირი, რადაც არ უნდა დაგიჯდეს!

და მე მათრობს ქალის ცხელი სუნთქვა, გულში კი, უჩინრად მოძრაობს ჩრდილი, და ჩრდილი თითქო კვენისის: — ვისთვის, ვისთვის არის ეგ თვალეზი ანთებული? ვინ იტაცებს ამ სუნთქვას, უხილავი და უცნობი?..

— შევასრულებ! — ვეუბნები და წელზე ხელს მოვხვევ.

ქალის სხეული კანკალებს, როგორც ხელში ჩაბღუჯული შაში და სწვავს ჩემს ხელს.

— ზედმეტად დელავ, გედა! — ტკბილად ვეაღერებ. — სიცხე გაქვს. შენ დასვენება გჭირია! მენდე, შევასრულებ! თუმცა ვიცი, საით მიქრის შენი ოცნება. გედა, რად იღუპავ თავს?


— კარო, ჩემო კარო! — ჩურჩულებს ქალი. — მე განწირული ვარ, მაგრამ ტკბილია ჩემი ტყვეობა!.. დიდია უფსკრული, მაგრამ მე ვხედავ შორეულ ნაპირს და მესმის ძახილი, აუტანელი ბედნიერების დაუძლეველი ძახილი...

— შევასრულებ! — ვიმეორებ და ქალს თვალეზიში ჩაივარდევინებ. — მაგრამ რომ დაიმსხვრას ოცნება? შორიდან მიმზიდველი ობრან პირუტყვივით რომ აბღაველდეს?

ჰაერში ოქროსთმებიანი ხომალდი გაიშხუილებს და აივანს ელვა გაანათებს.

— მაშინ დავიღუპები! — ძლივს გასაგონად ჩურჩულებს ქალი

\* დედამიწის ორი წელი.



და ოცნებით ანთებულ თავს ყვავილის დამძიმებულ ყლორტსავით დახრის და მზარზე დამადებს.

ვინ იცის, რა მოელის ამ ქალს?

მეტეორსავით იზიდავს მას უცხო ქვეყნის მომავადობელი ელვარება.

რას ეძებს ობრაზე მისი დამშეული თვალები?

ვინ გადააბა მისი ზღაპრული სიყვარულით სავსე გული შორეულ ვარსკვლავებს გაუწყვეტი ჯაჭვით?

— მეტეორივით დაჰქრის პატარა ქალის დიდი გული ობრას უცნობ ცაზე.

რა ელის იქ მას?

იქნება მეტეორივით ჩაიწვას უსიცოცხლო ობრას მიუკარებელ ჰაერში ნათელი სიზმრით გატაცებული სული..

— 17 — 20. მივდივარ და თან მიმყვება გედას ანთებული თვალების ცეცხლოვანი მუდარა: „არ გასწირო ობრა, არ გაიმეტო დასალუპავად აზას სხივების ახალი ყანა, რაც უნდა უმნიშვნელოდ გეჩვენოს ნათესი!“

— 17 — 36. მიჰქრის გამალებით რაუნითი უნაპირო სივრცეში, წამში 50 კილომეტრის სისწრაფით.

სანორ ვარსკვლავივით ციმციმებს ვარსკვლავთა შორის.

პირდაპირ ჩემსკენ მოჰქრის ცის უმშვენიერესი ქინკლილი—ობრა.

არც დღე, არც ღამე.

უფრო ღამე.

ცა შავი, კრიალა ვარსკვლავებით მოფენილი.

უამრავი ვარსკვლავები შავი ცის ფონზე და შუაში აზა.

უკუნეთი ღამე, გაყინული სივრცე ირგვლივ და ცაში აზა, აუტანელად მცხუნვარე და სხივოსანი.

მიჰქრის რაუნითი და ობრა თანდათან იზრდება.

უკვე მოსჩანს პატარა ორე\*, წიწილასავით რომ მისდევს გაფრენილ ობრას.

— 17 — 38. რაუნიტმა გადალაბა 78 მილიონი კილომეტრი. დარჩა ობრამდე კიდევ 5 მილიონი კილომეტრი.

\* ორე — მთვარე.

მანქანა გრძნობს უკვე, რომ ობრას მიმზიდველობის სფეროში  
შევიჭერთ.

რა პატარა ვარსკვლავია ახლა სანორ!  
უზარმაზარი ობრა დღესავით ანათებს რაუნიტის გახურებულ  
ლითონს.

გეზი ჩრდილო-პოლუსისაკენ!  
მშვიდობით, სანორ! ტკბილო, სანორ!..

---

— 17 — 40. პოლუსის ყინულოვანი სივრცე ნისლით არის და-  
ბურული.

ნისლით დახუთული ქარიშხალი საზარლად ღმუის და ყინულის  
ნამსხვრევებით ჰხვეს ღრუბლის აფრიალებულ კალთებს!  
რაუნიტი მიჰქრის ეკვატორთან.  
ვათვალეირებ ნუავეს რუკებს და ვეძებ დანიშნულ ადგილებს.

---

— საოცარია! მოულოდნელი!  
მაგრამ ამაზე შემდეგ, როცა უფრო ახლო გავეცნობი ყველა-  
ფერს.

ნუავეს ვახარე გამარჯვება.  
როგორ ელავდა ეკრანიდან მისი თვალები!

---

1928 — 27 — XII. K და R ჩრდილოეთ ამერიკის შუა ნაწილი  
აღმოჩნდა.

დავბინავდი ჩიკაგოში და ვსწავლობ ინგლისურს.

---

— 1929 — 3 — III. კატასტროფას არავინ ელის.

საჭიროა ფრთხილად მოქმედება.

პირველყოვლისა უნდა მოვიპოვო ნდობა.

---


— 10 — V. ვეძებ მოკავშირეს.

დამაინტერესა ინჟ. კამარელის წიგნაკმა: „ელექტრონული ენერ-  
ჯიის ცვალებადობა“.

კამარელი მუშაობს საბჭოთა კავშირში.

რევოლუცია შესაფერი ნიადაგია ჩემი გეგმის განსახორციე-  
ლებლად.

— 1 — 10. C და D ორ პატარა ზღვის შუა მდებარე მთებია ჩიკაგოს განივზე, აღმოსავლეთით.  
კაეკასიონი.



— 10 — XII. მაწუხებს სათვალისა და სიმძიმის შემწელებელი აპარატის მუდმივად ტარების აუცილებლობა. ადვილად ვიქანცები. ვწერ წიგნს დედამიწის შესახებ.  
ვფიქრობ, ნუავე კმაყოფილი დამრჩება.

1930 — 20 — II. გასაოცარია სიცოცხლის ფორმების ერთგვარობა მსოფლიოში! გარეგანი სახე თითქმის მრავალფეროვანია, მაგრამ ეს სხვადასხვაობა ერთ პრინციპზეა აგებული. სულ რამდენიმე დედსახე განსაზღვრავს უთვალავ ფორმათა მოჩვენებით მრავალფეროვნობას.

ერთია მსოფლიოს შენების ფიზიკური საფუძველი. ერთია სიცოცხლის ფორმათა საფუძველიც.

— 2 — XI. დავასრულე ჩემი წიგნი. დარწმუნებული ვარ, მეცნიერთა კოლეგია გაიზიარებს ჩემს დასკვნებს და დედამიწის მიმართ საბოლოოდ გაიმარჯვებს ნუავეს პოლიტიკა.

— 4 — XII. ინყ. კამარელი აღმოჩნდა ტომით ქართველი, C — D-ს რაიონში მცხოვრები.

გასაკვირია ეს შეხვედრა.

უნდა ვაცნობო გედას.

— 5 — XII. ჩემი წიგნი ეკრანიდან გადაიღო გედამ. ხვალ ჩააბარებს კოლეგიას.

მაჩქარებს კამარელის ვაცნობას.

1931 — 15 — I. საქართველოში. მიემგზავრება ინციერთა დედეგაცია. მეც ჩავეწერე.

ჩემი წიგნი კოლეგიამ მოიწონა.

— 6 — II. რაუნტი მოვათავსე მიუვალ ადგილას.



უკანასკნელად ვესაუბრე დღეს გედას: საქართველოში ჩასვლა-  
დე ახალ ეკრანს ვერ ავაგებ!\*  
— 12 — IV. ერთი კვირაა საქართველოში ვარ.

დღეს კამარელს წერილი გავუგზავნე.  
14 აპრილს ვესტუმრები!

IX

დედამიწის დამზარუნება

კამარელმა გამოაქვეყნა კაროს დღიური და თავის მხრით ვრცე-  
ლი განმარტება წაუძღვარა მას.

სხვა დროს იქნება არავის დაეჯერებინა მარსელი ადამიანის დე-  
დამიწაზე ჩამოსვლის ამბავი და „დღიური“ ფანტასტიურ გამოგო-  
ნებად ჩაეთვალათ, მაგრამ პანიკით შეპყრობილი სასოწარკვეთილი  
კაცობრიობა რელიგიური რწმენით დაეწაფა კამარელის განცხადე-  
ბას და უეცრად გაცოცხლებული იმედის ფართხალით უპასუხა  
თბილისიდან მოულოდნელად მოფრენილ ცნობას.

თითქო მომაცვდავ სხეულს ელექსირი შეუშხაპუნესო, ქვეყნის  
მოდუნებულმა გულმა კვლავ იწყო ძგერა და შიშით დაბინდული  
გონება ოდნავ განათდა.


თბილისის გრიგალავით მოაწვა ყოველი მხრიდან რადიოს ცნო-  
ბისმოყვარე ტალღები. მთელი ქვეყნის პრესა აივსო ათასგვარი  
ცნობებით და ევროპა და ამერიკა მოჰფინა კამარელისა და კაროს  
ურიცხვმა სურათებმა.

რადიო-გრიგალს თან მოჰყვა უამრავ დელეგაციათა ქარავანი:  
ყველა, ვისაც შეეძლო, ცდილობდა საკუთარი თვალთ ენახა მარ-  
სიდან მოსული საკვირველი არსება, და თუ ეს შეუძლებელი იქნე-  
ბოდა იმ ქალაქისათვის მაინც მოეკრა თვალი, საიდანაც ამდენი  
ხანია ჰქროდა ქვეყნის შემზარავი შიშის ქარი და ახლა კი მოულოდ-  
ნელად დაჰქროლა იმედისა და სიხარულის სიომ...

კამარელმა და კარომ შეიმუშავეს მოქმედების გეგმა.

მაისის 20-ს თბილისში გაიხსნა მსოფლიო კონგრესი, რომელსაც  
დაესწრო ყველა სახელმწიფოს წარმომადგენელი. ეს იყო ისტორია-

\* თქვენ უკვე მიხედობოდით, თუ რისთვის შევთხზე მე თქვენთან საუბრის  
დროს შორეული ხილვის ეკრანის აგების ისტორია. ჩემის წარმოდგენით დედამი-  
წაზე ეკრანი სწორედ ისე უნდა აეგოთ, როგორც მე ვადმოგეით; მარსის სივ-  
ნალი რომ აუხსნელი არ დარჩენილიყო.



ში ხალხთა პირველი ყრილობა, სადაც მრავალი, ერთი-მეორის საწინააღმდეგოდ შტრულად მიმართული სახელმწიფო პირველად ლაპარაკობდა გულგახსნილად და დაუფარავედ, ერთმანეთისათვის გასაგები ენით და ყველასათვის თანაბრად საჭირო საგანზე.

კონგრესი გახსნა კამარელმა. პირველივე მისი სიტყვა ჰაერში მოიტაცა და შთანთქა ოვაციის უჩვეულო გრგვინვამ. დიდხანს ისმოდა ამღელვარებულ ქუჩებში სასახლის დარბაზიდან ქუხილივით მომსკდარი ყიყინი.

დედამიწის ყველა კუთხისა და ერის წარმომადგენელნი, ერთი გულისთქმით შედუღებულნი, ზეიმობდნენ საერთო სიხარულით.

ეს იყო გრძნობათა ინტერნაციონალური კავშირის კემშირითად მოულოდნელი და უცნაური გახმაურება.

კამარელმა მოკლედ მოახსენა კონგრესს საქმის ვითარება და სიტყვა მისცა —

„მარსელ ინჟინერს, ჩვენს ძვირფას სტუმარს,  
ობრენ-ექსპედიციის მეთაურს ლენგონ კაროს“.  
დარბაზში იგრილა ტაშმა.

მაგრამ როცა ტრიბუნაზე გამოჩნდა თავისი ქვეყნის ელვარე ტანისამოსით უცნაურად მორთული, გასაოცარი თვალებით აბრიალებული კარო, კონგრესს გაკვირვებისაგან ელდა ეცა და დარბაზში უეცარი სიჩუმე ჩამოვარდა.

შარავანდელით მოსილი კარო ცეცხლის-პორფიროსან ზღაპრულ მეფესავით დადგა ტრიბუნაზე და ენაჩაგარდნილ დელეგატებს პროექტორებივით მიანათა თვალები.

უეცრად ჩამოვარდნილ სიჩუმეში, როგორც ცარიელ ჰურქელში, დაგუბდა მოზღვავებული გრძნობა და ერთი წამის შემდეგ სიჩუმე ყუმბარასავით გასკდა. ხუთასი დელეგატის გაშმაგებულმა ღრიალმა და ტაშმა ფანჯრის მინებს ზრიალი დააწყებინა. დარბაზიდან ოვაციის გრიალი და ათეულ ენაზე ამქუხარებული „ვაშა“ დაიდვარა ქუჩებში და ქალაქი აავსო მიწისძვრისებური გუგუნით.

დედამიწის ყველა კუთხისა და ერის წარმომადგენელნი მარსელ ადამიანთან ერთად ზეიმობდნენ საერთო სიხარულით.

მაგრამ ახლა ეს არ იყო მარტო ინტერნაციონალური გამოვლინება საერთო გულითქმათა, ეს თითქო უფრო მეტი იყო, რაღაც ახალი და ჯერ განუცდელი.

ეს იყო ინტერპლანეტარული კავშირის პირველი გაღვება და ქუხილი.

— მე ვარ თქვენი პლანეტის უფროსი ძმის, სანორის, თქვენებურად მარსის, წარმომადგენელი. — მიმართა კარომ კონგრესს, რო-

ცა დარბაზი ოდნავ დამშვიდდა. — სალამი ჭაბუჯ დედამიწას, ჩვენი საყვარელი ობრას კაცობრიობის წარმომადგენელთა ყრილობას. დარბაზში ისევ იფეთქა ოვაციამ.

— მე გამომგზავნა თქვენთან ჩემმა ქვეყანამ, — განაგრძო კარომ, — რათა დახმარება აღმოგიჩინოთ გასაჭირის დროს...

კარო ლაპარაკობდა დაბალი ხმით, ინგლისურის უცნაური ინტონაციით, და რომ არაფერი გამოპარვოდათ მისი სიტყვიდან, კისერწაწვილი დელეგატები სულის გატრუნვით მისჩერებოდნენ მას, მარჯვენა ყურზე ხელაფარებულნი.


კაროს ისევ ოვაციები გაუმართეს.

შემდეგ ილაპარაკეს სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა.

ყველა გამოსთქვამდა უზომო სიხარულს საშინელი ხიფათისაგან გადარჩენის იმედის ასე მოულოდნელად მოვლინების გამო და აღუთქვამდნენ მარსელ ინჟინერს მისი ყოველგვარი განკარგულების უსიტყვოდ შესრულებას.

— რა საჭიროა ლაპარაკი, — ამბობდა მოჭარბებული სიხარულისაგან გაცხარებული ამერიკელი დელეგატი ბანკირი დინგვეი, — მთელი ჩვენი სიცოცხლით, მთელი ჩვენი ქონებით ჩვენ ვეკუთვებით მარსის ბრწყინვალე წარმომადგენელს. მას შეუძლია ჩვენ ყურმოჭრილ მონებად გაგვხადოს, ჩვენ მივიღებთ ყოველგვარ პირობას, ოღონდ სიცოცხლე შევინარჩუნოთ! საკითხი ის კი არ არის, რამდენად ვართ მზად მსხვერპლის გასაღებად, — უკვე რამდენიმე თვეა, რაც ჩვენ საბოლოოდ შეეფერიგდით ყველაზე უდიდესი განძის—სიცოცხლის დათმობას. — საკითხია — შეეძლებთ თუ არა ხიფათისაგან თავის დაღწევას, თუნდაც უდიდესი მსხვერპლის გაღებით. ჩვენ ერთხმად ვუცხადებთ მარსის ნათელმოსილ მოციქულს: მიიღეთ მთლიანად ჩვენი სული და ხორცი, გადაგვარჩინეთ და გვიყმეთ! არა თუ წყალი, მიირთვიეთ ჩვენი უბედური პლანეტის მთელი ავლა-დიდება ერთი პოლუსიდან მეორემდე, ოღონდ გვიხსენით განსაცდელისგან და გვიპატრონეთ!.. უნდა ვთქვა აგრეთვე ორიოდ სიტყვა იმ სახელმწიფოს შესახებ, რომლის მიწა-წყალზე ხდება ჩვენი მკვდრეთით აღდგომისათვის მზადება. ეს არის საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკა.

ახლა ჩვენ გვეძლევა საშუალება შევაფასოთ ჩვენი პოლიტიკის ძველი პრინციპები და ახალი სიცოცხლის საზღვარს აქეთ დავტოვოთ ყველა ის გონებრივი სიბინძურე, რაც, ჩვენდა სამარცხეინოდ, უტიფარი ყოყოჩობით გვიტარებია ამდენ ხანს, როგორც ცივილიზაციის და პროგრესის ტვირთი. თუ ჩვენ გვიწერია ხიფათისაგან გადარჩენა, დაე, ახალი სიცოცხლისათვის მეორედ დაბადებულთ ნუ გაგყვება თან ამ ქვეყანაზე ის უღირსი წარმოდგენა, რაც ასე ამძი-



მებდა კაცთმოძულეობის გრძნობით ჩვენს გონებას! საბჭოთა ქვეყანა იმარჯვებს. ჩვენ უნდა ვიცნოთ ამ ქვეყნის იდეურ-ზნეობრივი უპირატესობა და თავი დაეხაროთ მის წინაშე.


ტაშისცემის ქუხილმა დაჰფარა დინგვეის სიტყვა. ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ დინგვეის მიერ გამოთქმულ აზრების გაზიარებაში ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის, იაპონიის და სხვათა წარმომადგენლები და საბჭოთა კავშირს სიყვარულსა და ერთგულებას ეფიცებოდნენ. კაპიტალისტური ევროპა და ამერიკა სოციალისტური ქვეყნის იდეურ უპირატესობას სცნობდა და ქედს იბრიდა მის წინ! ეს დაუჯერებელი მოვლენა იყო, მაგრამ კამარელი თავისი თვალებით ხედავდა ამ საკვირველ დემონსტრაციას და გაცივებით შესტკეპროდა მას. კამარელს გაუელვა აზრმა: შეიტანოს წინადადება თუ კაპიტალისტური ქვეყნები მართლაც და გულწრფელად სცნობენ სოციალისტური წყობილების გამარჯვებას, დაუყოვნებლივ გაუკეთდეს ამას სათანადო დასკვნა. მაგრამ მცირე მოფიქრების შემდეგ, კამარელმა თავი შეიკავა ასეთი წინადადების შეტანისაგან. ის უზარმაზარი ამოცანა, რომელიც ამჟამად იდგა კაცობრიობის წინაშე, გაუგონარი და ფანტასტიკური გეგმა დედამიწის დამუხრუჭებისა, მოითხოვდა მთელი ყურადღების და ენერგიის აქეთვენი მიმართვას და ამ დროს კაპიტალისტურ მსოფლიოში რადიკალურ სოციალურ გადატრიალებას შესაძლოა გამოეწვია დროებით ენერგიის დაქაჩისვა. კამარელმა გადაწყვიტა სავსებით გამოეყენებია კონგრესის სულიერი განწყობილება მომავალ სამუშაოსათვის მტკიცე და საიმედო აპარატის შესაქმნელად.

კამარელმა დასკვნა გაუკეთა კამათს და რეზოლუციებს კენჭი უყარა.

კონგრესმა მთელი რიგი ტექნიკური ხასიათის დადგენილებათა მიღების შემდეგ, ერთხმად აირჩია, კაროს წინადადებით, ინე. კამარელი დედამიწის დამუხრუჭების სამუშაოთა მთავარ ხელმძღვანელად და უზენაესი ძალაუფლებით აღჭურვა იგი ამ საქმეში.

კონგრესი დასრულდა საღამოს 11 საათზე. ამ დროს სასახლესთან ჰაერში გამოჩნდა ელექტრონით გაჩირაღდნებული საჰაერო ხომალდი „გედა“. უმთვარო ღამის ბნელ სივრცეში „გედა“ ელვარებდა ზღაპრულ ფრინველივით და ღამის ჰაერის შავ ხავერდზე ცეცხლით ამოჭარგულივით მოსჩანდა. ხომალდი ნელ-ნელა დაეშვა დაბლა და სასახლის წინ ჰაერში გაჩერდა. ბაქანზე გამოვიდა გემის უფროსი ბაკურ შავარდნაძე და სასახლის აივნიდან „გედა“-ში გადასხა კონგრესის დელეგაციათა მეთაურები, ოცი კაცი „გედა“ ან-

თებულ მამხალასავით ავარდა პერში, ჩააქრო შუქი და უზარმაზარ  
შავ არწივივით გაფრინდა მყინვარისაკენ.  
ხომალდს გეზი მოსკოვისაკენ ეჭირა.



## კამარელის კაბინეტი

შემოდის კარო.

— შეიძლება ახლა მოგახსენოთ?

— გთხოვთ!

— თქვენ ახლა დედამიწის დიქტატორი ხართ, ნუ კი მთხოვთ, მიბრძანეთ! — ღიმილით უთხრა კარომ კამარელს და მაგიდაზე დააწყო ნახაზები და ცხრილები.

— დედამიწის ძალაუფლება თქვენზე არ ვრცელდება, — ღიმილითვე მიუგო კამარელმა. — თქვენ სხვა პლანეტის ქვეშევრდომი ხართ.

— ქვეშევრდომი მარსისთვის უცნობი და გაუგებარი სიტყვაა. — შენიშნა კარომ.


— უკაცრავად, მოქალაქე უნდა მეთქვა.

კამარელმა აიღო ნახაზი და დააცქერდა მიწის სფეროს ირგვლივ გაყოლებულ წერტილებს.

— გეგმის მთავარი პრინციპები ამ ნახაზშია გამოსახული, — სთქვა კარომ და ნიკელის წვეტიანი ფანქარი გააყოლა ერთ ხაზს. ეს არის ჩრდილო განივის მე-60-ე პარალელი, ლენინგრადის პარალელი. ამ პარალელს ზევით ჩრდილო პოლუსამდე და აგრეთვე სამხრეთ განივის მე-60-ე პარალელს ქვემოთ სამხრეთ პოლუსამდე დედამიწის ტერიტორია ჩვენ არ გვაინტერესებს. ამ ორ წრეს შუა კი, ე. ი. ეკვატორის წრიდან ორივე მხრით  $120^{\circ}$ -ს მანძილზე დედამიწის ბურთს უნდა შემოერთყვას ფოლადის მუხრუჭების მტკიცედ ნაჭედი სარტყელი.

— რა გრდემლზე უნდა გაიჭედოს ასეთი სარტყელი? — გაიკვირვა კამარელმა.

— სარტყელი მთლიანი ხომ არ იქნება! დამზადდება 168 ცალკე მუხრუჭი და ფოლაქებივით დაეჭდობა დედამიწას გარშემო. ჯერ დააკვირდით ამ მერიდიანებს. დედამიწის 24 მერიდიანზე სოლებივით უნდა დაეჭდოს ეს მუხრუჭები, თვითნებულ მერიდიანზე, ერთი იმ წერტილზე, სადაც მერიდიანი გადასჭრის ეკვატორის წრეს. სამი ზევით, ჩრდილო განივის მე-60-ე პარალელამდე, სამიც ქვევით, სამხრეთ განივის მე-69-ე პარალელამდე. მუხრუჭები ერთიმეორეს დაშორებული იქნებიან  $20^{\circ}$ -ით.



— თვით მუხრანის მოქმედება რა პრინციპზე იქნება აგებული? — იკითხა კამარელმა.

— ამის შესახებ, როგორც მახსოვს, ერთხელ გაკვირვებით მქონდა უკვე თქვენთან საუბარი!

— მაშხალისებური მანქანის რეაქტიული პრინციპი, — მოიგონა კამარელმა.

— სწორედ. მუხრანში ღრმად და განიერად ჩაეკედობა დედამიწის კანს და ოკეანეს ფოლადის ბოძებით, ზედაპირებზე კი ვერტიკალურად მოეწყობა ზარბაზნების მაგვარი ლულიანი კოშკები, თვითვე მუხრანში თორმეტი. ეს ზარბაზნები დაიტენება არა დინამიტით, არამედ მილიონჯერ უფრო მძლავრი ენერგიით.

— ატომის ენერგიით, — წამოიძახა კამარელმა.

— ატომში ჩაქვდილი ქარიშხლის განთავისუფლებით ჩვენ მივიღებთ განუზომელ ძალას, რომლითაც შეგვიძლია დედამიწა ავლაგოთ და ყალყზე შევაცენოთ, — განაგრძო კარომ.

— მე, ჩემი ქვეყნის სახელით, დიდი მადლობა მომიხსენებია თქვენთვის, — მოწიწებით წარმოსთქვა კარომ, — ჩვენ ისედაც მეტად დატვირთულნი ვართ თქვენის ამაგიტ. შესაძლებელია სულ მალე ჩვენს შორის ისეთი ურთიერთობა დამყარდეს, რომ ორივე პლანეტის ტექნიკა და მეცნიერება გაერთიანდეს, მაგრამ ჯერ კი, თქვენებურად რომ ვთქვათ, ეს დიდი პოლიტიკის საკითხია.


— არც ვიფიქრებთ ამაზე შედაგებას, — სთქვა კამარელმა, — მერწმუნეთ, ჩვენთვის საფრთხილად საკმარისია თქვენი პირადი ღვაწლი, ჩვენი პლანეტის გადასარჩენად გაწეული.

— ახლა დაუფრთხნდეთ ისევ ჩვენს გეგმას. მუხრანის 168 წერტილიანი სისტემა მზად უნდა იქნეს ნოემბრისათვის. ხუთი თვეა დაგვრჩა. საჭიროა მთელი ქვეყნის მეტალურგიული წარმოება ამ საქმეში ჩაებას დაუყოვნებლივ! აი, გეგმები და ამოცანები, ყოველი ქვეყნისათვის ცალკე, ყველა მთავარი ქარხნის აღნიშვნით, დიაგრამებითა და ციფრებით აჭრელებული.

კამარელმა ქაღალდებს გადახედა და ერთხანს დაფიქრებული იჯდა. მისი ანგარიშით ამდენი ფოლადის დამზადება თითქოს შეუძლებელი იყო ამ ვადაში.

— ფოლადს აი ამ ფორმულით დაამზადებენ, — სთქვა კარომ და მიაწოდა კამარელს ბლოკნოტიდან ამოხეული ქაღალდის პატარა ნაჭერი.

ქაღალდზე აღნიშნული იყო ფოლადის დამზადების კამარელი-სათვის სრულიად უცნობი წესი.



— მუხრუჭები, როგორც შენიშნავდით, ორი კატეგორიისაა, განაგრძო კარომ, — ხმელეთისა და წყლის.

— ხმელეთის 73 და წყლის 95 — დაუმატა კამარელმა.

— ღიახ! 24 მერიდიანიდან ორზე, დიდი ოკეანის სივრცეზე, ხმელეთის მუხრუჭი სულ არ იქნება, სამზე იქნება თითო მუხრუჭი, ორზე — ორ-ორი, რვაზე — სამ-სამი, სამზე — ოთხ-ოთხი და ექვსზე — ხუთ-ხუთი. სულ 73. დანარჩენი 95 მუხრუჭი წყალზე უნდა მოეწყოს. წყლის მუხრუჭების სიმრავლე რამოდენიმედ ართულებს საქმეს, რადგანაც ოკეანეთა ზედაპირზე წნევის არაჩვეულებრივად გაძლიერება გამოიწვევს საშინელ შტორმებს, მაგრამ, სწორედ ამის საწინააღმდეგო, ყოველ შემთხვევაში, მისი ეფექტის შესანელებლად, ჩვენ მივიღებთ ღონისძიებას, რაც მე აღენიშნე უკვე ჩემს სიტყვაში.

— ეგ რომელ ღონისძიებას გულისხმობთ? — შეეკითხა კამარელი.

— აზვირთებული წყალი სწრაფად უნდა აერთვას ოკეანეს, რათა დელტა შენელდეს.

— მესმის! — წამოიძახა კამარელმა. — მისი თქვენს პლანეტაზე გადაზიდვა კი დედამიწის ტექნიკას არ დაევალება, — ღიმილით დაუმატა მან.

— რა თქმა უნდა, ამას ჩვენ თვითონ ვიკისრებთ!

— შტორმი, მე ვფიქრობ, მაინც საგრძნობი იქნება, — სთქვა კამარელმა და გლობუსი თავისკენ მოატრიალა. — საჭირო შეიქნება გამაფრთხილებელი ზომების მიღება წინასწარ! სამგზავრო ფლოტის მიმოსვლა იმ ხანებში მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ!

— გეთანხმებით!

— აგრეთვე ზღვის დაბალ ნაპირებზე მდებარე ქალაქებს საჭირო სიმაღლის ჯებირები უნდა აუშენდეს, რომ მოზღვაებულმა ტალღებმა ქალაქები არ წააღვოს.

— სწორია!

— ამას გარდა, ჩემთვის კარგად არ არის ნათელი, რა ეფექტს გამოიწვევს დედამიწის კანზე მუხრუჭების მოქმედება.

— მოსალოდნელია მიწის ძვრათა ზონების ამოქმედება, — მიუზღო კარომ, — თუ მოხერხდა, კარგი იქნება ამ ადგილების დროებითი ევაკუაცია.

— 168 მუხრუჭზე დადგმული იქნება 2016 საშინელი ძალის ზარბაზანი. ვაი თუ ამ კოლოსალურმა ძალამ ჩააღწოს მიწის კანი და ამრიგად, ჩვენმა წამალმა ავადმყოფი უფრო ადრე მოკლას, ვიდრე მას ბუნებრივი სიკვდილი იმსხვერპლებდა.



— მეტი რწმენა, მეგობარო, მეცნიერებისადმი! — ოდნავ ნაწყველი კილოთი შესძახა კარომ. — გეგმის შემუშავების დროს მხედველობაში მიღებული იყო მიწის კანის გამძლეობა. ამით აიხსნება დამუხრუჭების ასე ნელი ტემპი — მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ 3 საათით თქვენ ერთ შეცდომას უშვებთ აგრეთვე: ყველა მუხრუჭი ერთდროულად როდი იმოქმედებს. თუმცა ეს რომ ასე იყოს, მაშინ თქვენში შიში ზედმეტი იქნებოდა, რადგანაც ყოველმხრიდან მოწოლილი ენერგია დედამიწას არც დაამუხრუჭებდა და არც კანს დაუშვავებდა რასმე. მოიგონეთ მუჭში ჩაბლუჯული კვერცხის ამბავი. საქმეც ისაა, რომ მუხრუჭების მოქმედება დედამიწის კანისათვის უფრო მტკივნეული იქნება, მაგრამ არც იმგვარად სახიფათო. დედამიწის სფეროს თავის ორბიტზე სრბოლის დროს წინ უნდა ელოებოდეს უკუმიქცევი ძალა. თუ ყველა მერიდიანი ერთბაშად ამუშავდება, დედამიწა ამას ვერც კი შეიტყობს, ვინაიდან ერთიმეორის მოპირდაპირე ძალები ერთმანეთს გააბათილებენ. საჭიროა მუხრუჭების სისტემა ისე მუშაობდეს, თითქოს ეგ სისტემა დედამიწის გარეთ იყოს, მას მზის ირგვლივ მოძრაობის დროს წინ ხვდებოდეს ცის სივრცეში. სწორედ ამ პრინციპზეა აშენებული ჩვენი გეგმა.

— მიკვირს, როგორ ავცდი ამ ელემენტარულ მოსაზრებას, — გაიკვირვა კამარელმა.


— მაშასადამე, ერთდროულად ამუშავდება არა 24, არამედ მხოლოდ 11 მერიდიანი.

— რატომ 11 და არა 12? — ჰკითხა კამარელმა.

— აი, რატომ: დედამიწა თავის ორბიტზე მიიმართება ყოველთვის ნახევარსფეროთი — ეგ არის მერიდიანები შუალამიდან შუალამემდე. მეორე ნახევარი, ე. ი. შუადლიდან შუალამემდე ყოველთვის მიწის ზურგია. მუხრუჭები იმუშავებენ ყოველთვის მიწის წინა ნახევარზე, ასე ვთქვათ მის მკერდზე.

— მაგრამ დედამიწა არა მარტო მიჰქრის თავის ორბიტზე, იგი ამავე დროს ხომ თავისი ღერძის გარშემოც ტრიალებს? — შენიშნა კამარელმა.

— მართალია, დედამიწის მკერდი და ზურგი ერთმანეთს სცვლიან ყოველ დღე-ღამის განმავლობაში. ამიტომ არის ჩვენს გეგმაში აღებული 24 მერიდიანი, რაც უდრის დღე-ღამის 24 საათს. შუალამისას და შუადლის მერიდიანები ერთიმეორის პირდაპირ არიან, ამიტომ მათი მუხრუჭების მუშაობა უშედეგო იქნებოდა



დარჩა მიწის წინა მხარეზე 11 მერიდიანი, ანუ 11 საათი, ლამის 11 საათი, ლამის 11 საათამდე. აი, ეს მერიდიანები იმუშავებენ განუწყვეტლად. მაგრამ, ვინაიდან ყოველი მერიდიანი იცვლის დროს, ჩვენი გეგმაც ითვალისწინებს ამ მდგომარეობას და ამიტომაც ყოველი საათის გავლის შემდეგ დღის მერიდიანებს წინა ხაზზე აკლდება ერთი მომუშავე მერიდიანი და ლამის მერიდიანებს უკანა ხაზზე ემატება ერთი ასეთი მერიდიანი. ამრიგად მოქმედებაში იქნება ყოველთვის 11 მერიდიანი თავისი 77 მუხრუჭითა და 924 ზარბაზნით. ყოველთვის მიწის წინა მხარეზე და მათი უკუმქცევი ძალა თანდათან და შეუწყვეტლად შეანელებს მიწის მოძრაობის სისწრაფეს.

— ერთი საკითხილა დამრჩა გაურკვეველი, სხვა ყველაფერი გასაგებია ჩემთვის, — სთქვა კამარელმა და ერთი ნახაზი აიღო ხელში. — აი, აქ თქვენ გამოანგარიშებული გაქვთ დედამიწის მასა, მისი მოძრაობის სიჩქარე და მუხრუჭების წნევის სიმძლავრე. ფიქრობთ თუ არა თქვენ, რომ მუხრუჭების წნევა შეანელებს აგრეთვე დედამიწის საკუთარი ღერძის ირგვლივ ტრიალს, ე. ი. გაახანგრძლივებს დღე-ღამეს?

— თქვენი მოსაზრება სწორია, — მიუგო კარომ, — დღე-ღამის ხანგრძლიობა ოდნავ მოიმატებს. მოსალოდნელია აგრეთვე დედამიწის ორბიტში უმნიშვნელო ცვლილება.

— ასეთ „უმნიშვნელო“ მოვლენას შეუძლია გამოიწვიოს დედამიწის კალენდარის შესწორება, — შენიშნა კამარელმა.

— ესეც სწორი ანგარიშია, — დაუდასტურა კარომ.

— მე სავსებით დაკმაყოფილებული ვარ, — დაასკვნა კამარელმა და წამოდგა. — რამდენადაც შესაძლოა ამ ბუმბერაზული და ფანტასტიური გეგმის გონების ფარგალში მოქცევა, ვფიქრობ, გავეცანი მას. ანგარიში და დასკვნები სწორია და უნაკლო, მთელი გეგმა აშენებულია ჰარმონიული სიზუსტით. მაგრამ ეს არის გეგმის ასე ვთქვათ, არქიტექტონიკა, მისი სხეული, ხოლო შინაგანი ენერგია ამ გეგმის, მისი სული ჩემთვის ჯერჯერობით დაფარულია. მიუხედავად ამისა, მე იმედი მაქვს, რომ „ჯანსაღ სხეულში სულიც ჯანსაღია“.

მეორე დღიდან კამარელი შეუდგა თავისი მოვალეობის ასრულებას. საბჭოთა კავშირის, ევროპისა და ამერიკის ინდუსტრიალურ გიგანტებში ავარჯარდა ანთებული ფოლადი და დაიწყო დედამიწის ასალაგმავი ჯაჭვის დაუცხრომელი ქედვა.

ხუთი თვის განმავლობაში შეუსვენებლად ზანზარებდა გრდემლი და უროს ქვეშ კენესოდა ცხელი რკინა. მთელი ქვეყნის საზღვარ და საპაერო ფლოტი განუწყვეტლივ ეზიდებოდა მუხრატების დამზადებულ ნაწილებს დანიშნულ ადგილებზე და დედამიწის სხეული კეთროვანივით თანდათან იფარებოდა რკინის მუწუკებით. მიუვალ კლდეებში სჭექდა დინამიტი და კვამლით დანისლულ ხეებში ელაგდა ელექტრონის ნაკადი. ოკეანეთა სივრცეზე ხან აქ, ხან იქ განცვიფრებით ხვდებოდნენ ხომალდები რკინის კოშკების უცნობ კუნძულებს და შიშით და მოკრძალებით ჩაუვლიდნენ მათ.

კაცობრიობა ეშზადებოდა საშინელი სტუმრის დასახვედრად, მაგრამ რაც უფრო მეტი დრო გადიოდა და ახლოვდებოდა საბედისწერო თარიღი, მით უფრო მძლავრდებოდა გულში ჩარჩენილი შიში. კამარელის ყოველ განკარგულებას დიდი ხალისით და გულმოდგინებით ასრულებდნენ, მაგრამ თავისთვის გულში ზრდიდნენ ეჭვებს და სულმოკლეობას. კაცობრიობის დასაშოშმინებლად ხომ არ არის გამოგონილი კამარელისა და კაროს ფანტასტიკური გეგმა. ვის გაუგონია დედამიწის დამუხრატება? ბავშვური თამაშით სურთ გაართონ კაცობრიობა, რომ სულმოკლე ჭიასავით ქვეყნის დაქცევამდე თვითონ არ დაითხარონ საკუთარი თვალები. ესეც პატიოსანი განზრახვაა, მაგრამ ერთხელ აზმორებული ეჭვი თანდათან ღონეს იკრებდა და აწრიალებული ბორჯენით აღვიძებდა ოდნავ მიძინებულ შიშის ბანჯგვლიან მხეცს...

აგვისტოს დამლევს კარო სადღაც გაჰქრა და მარტოდ დარჩენილი კამარელი ბიბლიური ღვთაების სოლოვიით დასტრიალებდა ბნელ შიშით მოცულ ქვეყანას. იგი არ ისვენებდა არც დღე, არც ღამე და მეტეორივით დაჰქროდა დედამიწის ერთი კუთხიდან მეორეზე. მას თავი წარმოედგინა ფანტასტიკური დუელის სეკუნდანტად. იგი აცმევდა თავის რაინდს ჯაჰვის პერანგს, უსინჯავდა მუზარადს, იარაღს და გულის ფანტკალით ელოდა უსაზღვროებიდან შემოჭრილ მტერთან მის შეხვედრას. მას ღრმად სწამდა მისი გამარჯვება, უფრო გულით, ვიდრე გონებით, ვინაიდან ამ გამარჯვებასთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული მისი გულის ბრწყინვალე დღესასწაული...

ნოემბრის 15-ს, როცა ყველაფერი მზად იყო, კაროც გამოჩნდა. ღამის 12 საათზე დიდუბეში მოფრინდა და «გედას»-თან დადგა კოსმიური მტვერით დაქანებული „რაუნიტი“. მეორე დღიდან ნოემბრის 25-დღე კარო დაჰქროდა თავისი „რაუნიტი“-თ და მუხრატე-

ბის ზარბაზნებში ათავსებდა ლითონის ლურჯად მოვარვარე კოლოფებს, თითქოს უცნაური რამ ფრინველი თავის ურიცხვ ბუდეებში აკერცხებს სდებსო... ამ კოლოფებში იყო ჩაქედილი ის ჯადოსნური ძალა, რომელიც უნდა დასჯახებოდა დედამიწის შეუპოვარ სრბოლას...

თვითეული მერიდიანის შეიდივე მუხრუჭი ერთიმეორეს იყო გადაბმული ელექტრონის მავთულით. ერთ-ერთ მუხრუჭთან მოთავსებული იყო მერიდიანის შტაბი, რომელსაც დავალებული ჰქონდა სასტიკი განრიგების მიხედვით, მუხრუჭთა სისტემაში მერიდიანის თავის დროზე ჩართვა და ამორთვა.

მთავარ შტაბს ბინა თბილისში ჰქონდა და მუშაობდა კამარელის ხელმძღვანელობით.

შიშით, იმედით და ეჭვებით დათასმული ქვეყანა მოუთმენლად ელოდა მუხრუჭების ამოქმედების დღეს, ნოემბრის 26-ს, რომ ცხადად დაენახა ჯადოსნურ მანქანათა მუშაობის რეალური ეფექტი და უფრო კონკრეტულად წარმოედგინა დამუხრუჭების მოსალოდნელი შედეგი. გვეგის მიხედვით მიღებული იყო ყოველგვარი წინასწარი გამაფრთხილებელი ზომები, მაგრამ მაინც იყო შიში, რომ ლურჯ კოლოფებში მთვლემარ უჩინარ ძალთა აფეთქება დედამიწას შეატორტმანებდა და რაიმე საბედისწერო ხიფათს შეამთხვევდა.

ნოემბრის 25-ს საღამოს 10 საათზე თბილისის რადიომ უქანასკნელად დაზვერა მერიდიანთა შტაბები. ღამის 1 საათზე თბილისის მერიდიანს, როგორც პირველს სისტემაში, უნდა მიეცა სიგნალი მუშაობის დასაწყებად. პირველს წყებაში ჩართული იყო მერიდიანები თბილისიდან აღმოსავლეთით დიდ ოქეანეს შუა ზონამდე.

ნოემბრის 26-ს, სრულ 1 საათზე, თბილისის რადიო-ანძახე ავარდა ელვა და მუხრუჭთა სისტემა ამუშავდა... ამუშავდა და იმავე წამს მიწა ატორტმანდა, დაბარბაცდა და გაბზარულ მინასავით იწყო ზრიალი, ყოველი მხრიდან საშინელი გრიალი და ქუხილის მაგვარი გუგუნის მოისმა. ამოვარდა ქარი და, თითქო ცა გაირღვაო, ნიაღვრული წვიმა დაუშვა. აწიოკებულ ღრუბლებში ელვა დაიკლანა და გუგუნს გრუხუნი დაერთო.

— რას იტყვით? — ჩააცქერდა კამარელი კაროს.

— ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის, — დამშვიდებით წარმოსთქვა კარომ.

პირველ წამს ცოტათი შეშფოთებული კამარელი კაროს დინჯმა პასუხმა დაამშვიდა.

— მიწა იძვრის განუწყვეტლივ! ნუთუ ასე გაგრძელდება შეუჩერებლად? — კვლავ შეეკითხა კამარელი.

— მოქმედ მერიდიანების ზონაში მიწის კანი ასე იზრიალებს.

— ყველა მერიდიანი მოქმედია!

— ნაწილი ისვენებს!

კამარელი ისევ შეშფოთდა:

— მთელი წლის განმავლობაში დედამიწამ თუ ციებიანი ავად-  
მყოფივით ასე იკანკალა, რაღას ემგვანება წლის ბოლოს მისი ზედა-  
პირი?

— ოღონდ თავი გადაჩქეს და თმა თუ შეიტრუსება, არაფერია!  
ხანი გაივლის — ისევ წამოიზრდება, — გაიღიმა კარომ.

ამ დროს დაფეთებული ღრუბლებით აფორიაქებულ ცაზე სამ-  
ჯერ ზედიზედ იქექა.

— ნოემბერში ელვა-ქუხილი რა ამბავია? — წამოიძახა კამა-  
რელმა.

— დაცლილი ატომების ელექტრონი ატმოსფეროში გროვ-  
დება.

ერთი საათის შემდეგ მთავარმა შტაბმა მიიღო პირველი ცნობე-  
ბი. იაპონიაში, მცირე აზიაში და კალიფორნიაში მიწისძვრები  
დაიწყო. ახალ გვიწას და ავსტრალიის აღმოსავლეთ ნაპირებს  
ოკეანე ემუქრება. უჩვეულო შტორში მძვინვარებს აგრეთვე ჩინე-  
თის ნაპირებზე. ფილიპეს კუნძულების ჩრდილოეთ ნაპირზე ერთი  
მუხრუჭი წყალმა დაჰფარა და ამორთულ იქნა. მთელი ქვეყნის სე-  
ისმოგრაფები აღნიშნავენ უზარმაზარი რადიუსის, მაგრამ მცირე  
ძალის საერთო მიწისძვრებს.

მთავარ შტაბს საათში ერთხელ მოსდიოდა ყოველ მხრიდან  
დაწვრილებით ცნობები. მიწისძვრები თუმცა უმნიშვნელო ძალი-  
სა იყო, მაგრამ განუწყვეტელი მოქმედების გამო დიდ ზიანს აყე-  
ნებდა მოსახლეობას. განსაკუთრებით მძლავრდებოდა ზღვათა  
ღელვა და ბევრგან მისგან მრავალი კატასტროფა მოხდა.

დილის 11 საათზე თბილისის მერიდიანში ამართულ იქნა მომქ-  
მედ სისტემიდან და ცოტა ხნის შემდეგ გუგუნი ოდნავ მიწელდა  
იმავ ღამეს 12 საათზე, კარო და კამარელი რაუნით გაემგზავ-  
რენ მუხრუჭების დასათვალისწინებლად და მიღებული ცნობების  
შესამოწმებლად.

დიდი ცნობისმოყვარეობით აღიოდა კამარელი რაუნითის ბა-  
ქანზე და ათას თვალგამოსხმული ტრიალებდა ხომალდის ნახევრად  
ბნელ ტალანში. მაგრამ კარომ ბევრი თვალის ცეცება არ დააცალა  
კამარელს და საჩქაროდ ერთ კაბინაში შეიყვანა. დასვა რბილ სა-  
ვარძელზე და უთხრა ხელები მაგრად ჩაეჭიდა სახელურებისათვის.  
თვითონ კაბინიდან გავიდა და კარები ჩაჰკეტა.

კამარელმა კაბინა კარგად დაათვალიერა და ბევრი რამ ყურადღებების უღირსი შენიშნა.

კაბინას ერთი რგვალი ფანჯარა ჰქონდა, სქელი, მეტად გამჭვირი შუშისა. ვერ მოასწრო კამარელმა ფანჯარაში გახედვა, რომ უეცრად სარკმელს რაღაც შავი მოეფარა და კაბინაში საიდნლად ელექტრონის მაგვარი შუქი შემოვარდა. იმავე წამს კამარელმა იგრძნო, რომ რაუნტი დაიძრა, და უცებ ისეთი ძალით მიეკრა სავარძელს, თითქოს ასფუთიანი ტვირთი დააწვა ზურგზეო. წუთიც, და თითქოს ხომალდი ჰაერში შეჩერდაო, ყოველგვარი მოძრაობის გრძნობა შეწყდა და კამარელმა ისეთი სიმსუბუქე იგრძნო, რომ სახელურებისათვის ხელი მაგრა რომ არ ჩაეელო, სავარძლის ზამბარა ზევით აისროდა. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა ორიოდე წუთს და შემდეგ კამარელი საშინელის სიმძლავრით დაეხალა ისევ სავარძელს და... ხომალდი გაქვავებულივით შედგა.

შემოვიდა კარო და კამარელი კაბინიდან გაიყვანა.

განცვიფრებული და თავბრუდასხმული კამარელი საკუთარ თვალებს არ უჯეროდა: თბილისიდან აფრენის შემდეგ გავიდა რაღაც სამიოდე წუთი, ისინი კი, ამჟამად იმყოფებოდნენ ეკვატორის მე-195-ე გრადუსზე შუადღის მზის ქვეშ, ერთ-ერთი ძუხრუქის კოშკთან, წყნარ (ახლა კი საშინლად აზვირთებულ) ოკეანეს შუაგულში. კამარელი აქ ნამყოფი იყო, იცნო აქაურობა, თორემ ვერაზინ დააჯერებდა, რომ ეს დიდი ოკეანის ტალღებია და არა შავი ზღვის. აი, კოშკის ერთ გვერდზე № 75 და მარჯვნივ ესტრადისათვის ამართული პატარა მოედანი, ბეტონით ჩარკინული სვეტებით. აქ იდგა იგი ამ ერთი თვის წინათ თავისი 3000-ძალიანი ჰიდრო-ჰაეროპლანით, როცა უკანასკნელად დაათვალიერა მუხრუქის ნაშენობა.

კამარელმა უცებ მოისაზრა, თუ რა მოხდა:

„რაუნტი“ გასროლილ ტყვიასავით მოსწყდა თბილისს, ავარდა ჰაერის ზედსაფეროზე, სტრატოსფეროზე, და თითქმის უჰაერო სივრცის ზონაში თვალის დახამხამებაზე გადიქოლა რამდენიმე ათეული ათასი კილომეტრის მანძილი და ფრთამოტეხილი ორბივით დაეცა დიდი ოკეანის შუა მერიდიანს.

კამარელმა კარგად იცოდა, რომ „რაუნტი“ პლანეტათაშორისო მოგზაურობის ხომალდია, რომ მისი ლითონის მკერდი დაფერფლილია კოსმიური მტვერითა და დახაზულია მეტეოროების ნაკვალევით. მაგრამ გაგონილსა და პირადად განცდილს შუა დიდი მანძილია.

როცა განცვიფრებისაგან გამოერკვა და კოშკის ბაქანზე გავიდა,

მის თვალწინ წარმოუდგენელი სურათი გაიშალა: ოკეანე სდუღლა და გადადიოდა, თითქო მას ქვემოდან ჯოჯოხეთური ცეცხლი უნთითო და მთებისოდენა აქაფებულ ტალღებს ერთმანეთს ანარცხებდა გაშმაგებული ღრიალით და გრუხუნით. წყლის ზედაპირზე უზარმაზარ ბუშტებზეთ ქანაობდნენ სფერული ფორმის შავი ბურთები, რომლებითაც დაფარული იყო ოკეანე ვიდრემდის თვალი სწვდებოდა. რა უნდა ყოფილიყო ეს ბურთები, ზღაპრული ქვეყნის გოლიათურ გლობუსივით რომ ტრიალებდნენ ოკეანეზე.

კამარელმა თვალეზი მოიფშენიჭა, ქაფშეფრქვეული ჰაერის ნამიანი ბურუსი ხომ არ მატყუებსო. მაგრამ ამ ღროს ერთ-ერთი სფერო მოუახლოვდა კოშკს და კამარელმა მის ვეებერთელა გვერდზე გარკვევით შენიშნა ნაჭედი ლურსმანის თავები. ნუთუ, შესაძლებელია „ადამიანის“ ხელით ლითონისაგან იყოს გაჭედილი ეს საკვირველი სიდიდის ბურთები, რომელთა დიამეტრი კილომეტრს აღემატება? კამარელმა მირაჯად ჩასთვალა მის წინ გადამლილი სანახაობა და დაასკვნა, რომ ეს იყო მისთვის გაუგებარი ატმოსფერული მოვლენა, დედამიწის დამუხრუჭებით გამოწვეული.

ვიდრე კამარელი ამ უცნაური ამოცანის გასაღებს ეძებდა, ერთი სფერო, მისი მოცულობისათვის შეუსაბამო სიჩქარით, ავარდა ცაში და უმაღლე ისე ამაღლდა, რომ ბავშვის სათამაშო ბუშტის ოდენად გამოჩნდა. მას მოჰყვა მეორე, მესამე და რამდენიმე წუთის განმავლობაში მთლიანად აიკრიფა ოკეანის პირიდან უცნაურ მოვლენათა თუ სხეულთა საოცარი ჯოჯო და ცაში უქვალოდ გაპქრა.

კამარელი მიუბრუნდა კაროს, იგი იდგა ცოტა მოშორებით. ბაქნის სვეტს მიყრდნობოდა და ნაღვლიანად გასცქეროდა შორეულ სივრცეს.

— ეგ რა სფეროები იყო? — ჰკითხა კამარელმა.

— მარსს გამოეგზავნა დედამიწიდან წყლის პირველი ტრანსპორტი, — მიუგო კარომ გაოცებულ კამარელს.

1933 წელმა შეშინებული თვალეზით შემოაღო იანვრის კარები. ლაგამამოდებული დედამიწა მთვრალივით მიბარბაცებდა თავის მარადიულ გზაზე და თავხედურ მუჯღლუგუნებისაგან გაკვირვებული და ბრაზმორეული ცეცხლნარევ დორბლს ჰყრიდა ათას ვულკანიდან და გაცოფებული ტალღების წარღვნივთ ემუქრებოდა ადამიანთა უმაღურ მოდგმას. მას თითქოს ერჩივნა ცის მზიან სივრცეში სიხარულით შეხვედროდა სამყაროს შორეულ კუთხიდან გადმოჭრილ კოსმიურ ნათესავს, აღტაცებით ჩაეკრა გულში მილიონი წლის უნახავი მეგობარი და ამ საზეიმო წუთის ცეცხლის ტანისა-

მოსში ამოებუდა მის კანზე მოფუსფუსე ათასი ჯურის პარაზიტი. განსაკუთრებით ის ორფეხა ცხოველი, რომლის შეურაცხყოფელი წკიპურტებისაგან გაკაპასებული შემზარავ გუგუნითა და ღრიალით ტრიალებდა იგი ახლა თავისი ღერძის გარშემო.

კაცობრიობა კი, სწორედ ამ „წკიპურტებზე“ ამყარებდა თავის გადარჩენის იმედს და მოუთმენლად ელოდა ობსერვატორიების დაკვირვებათა შედეგის გამოქვეყნებას. მაგრამ დედამიწის კანის შეუჩერებელი რყევის გამო ტელესკოპები ვერ მუშაობდნენ იმ სიზუსტით, როგორიც საჭირო იყო მიწის მოძრაობის სინჯარის ასე მცირე ცვლილებების აღმოსაჩენად.

მხოლოდ ნახევარი წლის დაკვირვებათა შეჯამების შემდეგ შეიქმნა შესაძლებელი ზოგიერთ დასკვნათა გამოქვეყნება. მეცნიერთა უმრავლესობა იმ აზრისა იყო, რომ დედამიწის მოძრაობის შენელება იმდენად მცირე ტემპით ხდება, რომ წლის ბოლოს სასურველი ეფექტი მოსალოდნელი არ არისო. მათი გამოანგარიშებით, გეგმით ნავარაუდევ 10.000 კილომეტრის ნაცვლად კატასტროფის მომენტისათვის დედამიწა დაიხევდა მხოლოდ 15 კილომეტრით, ამას კი არავითარი მნიშვნელობა არ ეჭნებოდა. უმცირესობა კი, არულიად საწინააღმდეგო აზრს იცავდა და ოპტიმისტურად აფასებდა მიღებულ შედეგებს.

ამ დავამ ფართო საზოგადოებას უფრო შეუმცირა ისედაც მიღებული იმედი და მწარე საგონებელში ჩააგდო. ნერვული ცახცახით ადევნებდა იგი თვალყურს დამუხრუჭების შესახებ გამოქვეყნებულ ცნობათა ყოველგვარ გახმაურებას და უგუნებოდ ითვლიდა დღეებს საშინელი კატასტროფის მოლოდინში.

## XI

100%-ით!

მოახლოვდა კრიტიკული მომენტი.

დაჩეჩქეილი და ფერდებჩალეწილი დედამიწა. ყაჩაღდასხმულ, დაპრილ და გაძარცულ ადამიანივით, ბლავილით მოგორავდა თავის აჭამდე სწორსა და მართალს, ახლა კი, ოღრო-ჩოღრო და ბორძიკიან გზაზე.

ფრთამორღვეულ ფრინველებივით უშნოდ და უხალისოდ გადაფრინდნენ ზაფხულის დამშეული თვეები და შეუმიჩნევლად ჩაჰქრა ოქტომბრის ოქროვანი ელვარება.

ნოემბრის 19-ს ტელესკოპებმა იკივლეს ცაში კომეტის გამოჩე-



ნა და მესამე დღეს დამფრთხალი კაცობრიობა შიშმორეული გას-  
ცქეროდა საღამოს ცაზე აელვარებულ საშინელ სტუმარს.

კომეტა გამალებით უახლოვდებოდა დედამიწას და შორიდან-  
ვე მოსაედა მას შხამიანი შუქის შიშის მოპარელი კრუანტელით.

ნოემბრის 24-ს დილის 11 საათზე კამარელის განკარგულებით  
თბილისის მერიდიანთან ერთად ამორთულ იქნა მუხრუჭების მთე-  
ლი სისტემა.

რელსებიდან ამოვარდნილ ვაგონივით აძიგძიგებული დედამი-  
წა მყისვე ჩადგა კალაპოტში და უმაღლე მისწყდა „ზარბაზნების“  
გამაყრუებელი გრილით.

ჰაერი თანდათან დაშვიდდა და ზღვის ნაპირებზე უკან დაი-  
ხიეს მოღლილმა ცოფშენელებულმა ტალღებმა.

გათენდა ნოემბრის 25, შიშის, სასოწარკვეთილებისა და ნერ-  
ვიული დაძაბულობის აპოგეი.

კამარელმა გამოაქვეყნა თავისი საბოლოო დასკვნები და მიუ-  
ლოცა კაცობრიობას დედამიწის დამუხრუჭების გეგმის ბრწყინ-  
ვალე გამარჯვება. \*

მანიფესტმა ყველა ქვეყნის სექტაციოსებს მწარე ღიმილი მოჰ-  
გვარა: თუ გამართლდა „წინასწარმეტყველება“ — დიდება კამა-  
რელს! თუ არა და? რას კარგავს კამარელი? ვინ უნდა ამხილოს მი-  
სი შეცდომები ქვეყნის დაქვევის შემდეგ, როცა აღარ იქნება არც  
ბრალმდებელი და არც ბრალდებული?...  
მაგრამ კამარელმა გაიმარჯვა.

ნოემბრის 25-ს, საღამოს 10 საათზე კამარელმა ზემით აუწყა  
ორთავ ნახევარსფეროს მოსახლეობას, რომ „ბიელის“ კომეტამ  
9 საათსა და 45 წუთზე გადასჭრა დედამიწის ორბიტი 300.000 კი-  
ლომეტრის სიშორეზე და ამჟამად მშვიდობიანად მიჰქრის  
უსაზღვრო სივრცის შორეულ მიდამოებისაკენ...

იმავ წამს დედამიწის 24 მერიდიანის 2000 ზარბაზნის ლუ-  
ლებიდან ამოვარდა წითელი და მწვანე შუქის 2000 შადრევანი და  
საზეიმო ილუმინაციის ათიათას კილომეტრიანმა ჩირალდნებმა გა-  
ანათეს გაოცებულ პლანეტათა და ასტეროიდთა ბნელი სივრცე.

## XII

### რეაქცია

ხიფათმა გაიარა და კაცობრიობა უმაღლე თავის ჩვეულებრივ  
კალაპოტში ჩადგა. შიშისაგან განთავისუფლებულ გონებას ყო-  
ველდღიური ჭირ-ვარამი დაეუფლა.

სახელმწიფოებს დაუბრუნდათ მოქმედების უნარი და ირგვლივ მიმოიხედეს, მათ წინ მეტად სავალალო სურათი შალა.

ამ სურათის სივალალებს მთავარი შტაბის მიერ გამოქვეყნებული მასალაც ამოწმებდა.

დედამიწა სახიფათო ბრძოლიდან თუმცა გამარჯვებული გამოვიდა, მაგრამ ეს გამარჯვება მას მეტად ძვირად დაუჯდა. ახლა იგი ძალიან გავდა ღირსსახსოვარ რაინდს დონ-კიხოტს ქარის წისქვილებთან ბრძოლის შემდეგ.

როგორც გამოირკვა, მიწისძვრებს, გრიგალსა და მოზღვავებულ ტალღებს ბევრ ქვეყნისათვის აღნაზღაურებელი ზიანი მიეყენებია.


იაპონიაში მიწისძვრას დაუზიანებია 5 ქალაქი და სრულიად დაუნგრევია 18 სოფელი. წყალში ჩაძირულა კუნძული ფორმოზა, მთელი მადაგასკარი, ფლორიდა და კალიფორნია. ახალი გვინეის აღმოსავლეთი ნაწილი და კამჩატკა წყალს დაუსილავს და ფილიპეს კუნძულის მთელი ჩრდილო ნაწილი ოკეანეს დაუფარავს. სუეცის არხი სილას ამოუესია და შუაში მთა ამოზურთულა. წყალს გაუნადგურებია აგრეთვე სამხრეთ-ამერიკის აღმოსავლეთი ნაპირები. ამას გარდა მთელ რიგ ნავსადგურებში მოზღვავებულ ტალღებს წინასწარ აგებული ჯებირი დაუნგრევია და მრავალი გემი დაუღუპავს.

ამას ზედ დაერთო კიდევ ერთი გასაკვირი ფაქტი, რომელიც თვალსაჩინო გახდა მხოლოდ ზღვის ღელვის საცხებით დაწყნარების შემდგომ: როგორც ირკვევა ზღვის დონემ დაიკლო სამი მეტრით და ეს გარემოება აუწერელ ზიანს აყენებს მთელი ქვეყნის ნაოსნობას. მთელი რიგი ნავსადგურები მიუღდგომი გახდა ოკეანის დიდი გემებისათვის, გამოუსადეგარი გახდა აგრეთვე ნავსადგურებში გემების მისადგომ ბაქანთა მთელი ნაგებობა.

ეს ფაქტი უვარგისად ხდიდა საუკუნეებით შესწავლილ და გამოცდილ საზღვაო გზებს, ვინაიდან წყლის დონის ეგზომ დაწვევის გამო მრავალ ალავს მოულოდნელად აღმოჩნდა წყალქვეშა კლდეები. ეს გარემოება, სუეცის არხის გაფუჭებასთან ერთად, ქვეყნის ვაჭრობა-მრეწველობას დაკნინებას და განადგურებას უქადდა...

ამერიკისა და ევროპის მეცნიერები ზღვის დონის დაწვევას მიაწერდნენ მარსზე წყლის გაგზავნას, თუმცა ზოგი მათგანი ხსნიდა ამ ფაქტს მიწის კანის ღეფორმაციით, რამაც გამოიწვია ფლორიდის, მადაგასკარის და ბევრი კუნძულის ჩაძირვა.

ინგლისმა, იაპონიამ და ამერიკამ ითავეს ახლად წამოკრილ



ეკონომიური პრობლემების გადასაჭრელად თათბირის მოწვევა.  
 თებერვლის 27-ს ლონდონში გაიხსნა ევროპა-ამერიკის უმათერეს  
 სახელმწიფოთა წარმომადგენლების კონფერენცია.

კონფერენციამ მუშაობის გახსნის დღეს მისალმების დეპეშა  
 გაუგზავნა კაბარელს და აცნობა, რომ კონფერენციის დასრულე-  
 ბის შემდეგ განსაკუთრებული საინფორმაციო დელეგაცია გაიგზავ-  
 ნება თბილისში.

კონფერენციის მუშაობის პირველსავე დღეს ნათელი გახდა,  
 რომ გადასაჭრელია ერთადერთი საკითხი — მარსთან მომავალი ურ-  
 თიერთობის შესახებ.

დანგრეული ეკონომიკის აღდგენისათვის საჭირო ღონისძიება-  
 თა ხასიათის ლოგიკურად გამომდინარეობდა ამ მთავარი პრობლე-  
 მის ამა თუ იმ გზის წარმართვისაგან.

მაგრამ მარსელებთან ურთიერთობის საკითხი მჭიდროდ იყო  
 გადანასკველი საბჭოთა კავშირისადმი დამოკიდებულების გადაფა-  
 სებასთან.

კონფერენცია შეუდგა მუშაობას, დახურულ კარებში.

პირველად მოისმინეს მაკდონალდის მოხსენება.


საბოლოოდ ირკვეოდა, რომ ზღვის დონეს დაწევა მარსზე წყლის  
 გაგზავნით იყო გამოწვეული.

— შეცდომა იქნებოდა ეს ფაქტი აგვეხსნა, — ამბობდა მომ-  
 ხსენებელი. — მიწის კანის დეფორმაციით, როგორც ცდილობს ამ  
 ვერსიის თავზე მოხვევას ზოგიერთი საეჭვო წარმოსზობის გამოკვლე-  
 ვა. ხმელეთის ნაწილის წყალში ჩაძირვის ფაქტი სრულიად არ მოწ-  
 მობს ოკეანეთა ფსკერის საერთო დაწევას, ვინაიდან, თუ ერთ  
 ალაგს ხმელეთი ჩაწვა, მეორე ადგილას ზღვაზე კუნძულმა ამოჰყო  
 თავი. დედამიწის კანი ნაოჭდება და ეს პროცესი არ იწვევს ოკეა-  
 ნეთა მოცულობის სწრაფ ცვლილებას. ვინც გაეცნობა მარსზე გაგ-  
 ზავნილ წყლის პირველი ტრანსპორტის რაოდენობას (ხმები: —  
 რას ნიშნავს პირველი? განა მეორეც იქნება?) — როგორც დაბეჯი-  
 თებით ირწმუნებიან, ახლო ხანში მოსალოდნელია მეორე ტრან-  
 სპორტის გაგზავნა. (ხმები: ოჰო! აი, რას გვიპირებენ!). ვინც გაეც-  
 ნობა იმ წყლის რაოდენობას, რაც მარსზე გაიგზავნა, მისთვის ცხა-  
 დი იქნება ზღვის დონის დაწევის ნამდვილი მიზეზი. ყველას გვახ-  
 სოვს ბრიტანეთის ადმირალიტეტის მიერ გამოჭევენიებული ცნო-  
 ბები 1932 წლის 27 ნოემბერს ინდოეთის ოკეანეზე მომხდარ კა-  
 ტასტროფის შესახებ. როგორც იცით, იმ დღეს მადაგასკარის მახ-  
 ლობლად, დღემდისაც გამოუცნობ მიზეზით, უცნაურად დაიღუპა  
 ბრიტანეთის კრეისერი „ასკვიტ“. აი, როგორ აღწერს ამ კატასტრო-

ფას აღმირალი კრიგ, რომელიც ამ დროს იმყოფებოდა ღრუბლებში „გლადსტონ“-ზე და უფროსობდა ინდოეთის ესკადრას: ანტიკა ბრის 24-ს ჩვენ გავედით ზანზიბარის ნავსადგურიდან, რათა ინსტრუქციის თანახმად, გაშლილ ზღვაში შევგებებოდით მოსალოდნელ შტორმს. 27 ნოემბერს დილის 11 საათზე ჩვენ უკვე მადაგასკარის აღმოსავლეთ ნაპირებს ჩავუარეთ. შტორმი თანდათან მძლავრდებოდა და ჩვენც სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ ავიღეთ გეზი. იღვა მზიანი დღე. უცებ ჰაერში გამოჩნდა რამდენიმე შავი უზარმაზარი სფერო. სამიოდე წუთში სფეროთა შავმა ღრუბელმა დაჭარა ირგვლივ მთელი სივრცე და უეცრად ჩამობნელდა. სფეროები ეშვებოდნენ ოკეანეზე და უმალ იძირებოდნენ. მე დავკარგე კავშირი ჩემს გემებთან და სამი საათის განმავლობაში უნაყოფოდ ვებრძოდი ჩემთვის გაუგებარ მოვლენას. შუადღის 2 საათზე სფეროები მოულოდნელადვე აიკრიფნენ. როცა გემებთან კავშირი აღვადგინეთ, გამოირკვა, რომ კრეისერი „აკვიტ“ ჩაძირულიყო. დილუბა 162 მეზღვაური. დახმარების აღმოჩენა შეუძლებელი შეიქნა, ვინაიდან გემებს არ ჰქონდათ კატასტროფის მომენტში საშუალება თავისუფალი მოძრაობისა“. ბატონებო! ჩვენ მაშინ ისეთს მდგომარეობას განვიცდიდით, რომ ამ კატასტროფისათვის დიდი ყურადღება არ მიგვიქცევია. ახლა კი, ჩვენთვის ცხადია ის „გაუგებარი მოვლენა“, რამაც იმსხვერპლა კრეისერი „აკვიტ“. ჩვენ ვიცით, რა კოლოსალური ზომისა იყვნენ მარსიდან მოფრენილი სფეროები. ამგვარივე გიგანტური რეზერვუარებით იყო მაშინ მოფენილი ატლანტისა და წყნარ ოკეანეთა სივრცე. როგორც შემდეგ გამოიანგარიშეს, ამ ტრანსპორტმა წაართვა მსოფლიოს დაახლოებით ერთი მილიონი კუბიკური კილომეტრი წყალი. ამ დანაკლისს კი, როგორც სპეციალისტები ანგარიშობენ, სწორედ ისეთი შედეგი უნდა მოჰყოლოდა, როგორც ჩვენ მივიღეთ. ზღვის დონემ დაიწია სამი მეტრით. როგორც ხედავთ, ზედმეტია სხვა მიზეზების ძებნა. მარსმა პირველი ტრანსპორტით წაიღო ჩვენგან ერთი ჩვენებური ზღვის მარაგი, დაახლოებით შავი ზღვის მოცულობისა.

გაიმართა კამათი.

ამერიკელმა დელეგატმა დინგვეიმ ფრთხილად მოაგონა კონფერენციას მარსელი ინჟინრის სიტყვა, თბილისის კონგრესზე წარმოთქმული და კონგრესის პასუხი ამ სიტყვაზე. ინჟინერი კარო ლაპარაკობდა მაშინ დედამიწის და მარსის ინტერესთა ჰარმონიულ შეთანხმებაზე და ამაზე ამყარებდა იგი გამარჯვების იმედს. იმედი, როგორც ხედავთ, გამართლდა და დედამიწა ხიფათს გადარჩა, მაგრამ „ინტერესთა ჰარმონია“-ში დისონანსად გაჰკვივის ჩვენი



პლანეტის დაშრობის პერსპექტივა. ჩვენ მაშინ მარსის ბრწყინვალე დედგატს დავპირდით იმაზე მეტსაც, რაც მან მოითხოვა, მაგრამ ახლა ამის მოგონება მხოლოდ სირცხვილის მებენარ ტყიფილებს აღვიძებს ჩვენში. საკითხი ამჟამად ასე დგას: მარსმა გადაარჩინა დედამიწა დაღუპვისაგან არა კაცთაოყვარული გრძნობის კარნახით, არამედ საკუთარი ინტერესების მიხედვით და მოსალოდნელია, რომ იგი ჩვენს პლანეტას თავის კოლონიად გადააქცევს. შესაძლებელია დედამიწის კოლონიზაციისათვის მარსელებს დასჭირდეთ ჩვენი კულტურის განადგურებაც — არაეინ იცის რაგვარი ინტერესები აქვთ მარსელებს ჩვენს ქვეყანაში, — ვფიქრობ, მართოწყალით არ ამოიწურება ამ შემთხვევაში მათი „საგარეო“ პოლიტიკა. როგორ უნდა ვაფუძვლავდეთ ჩვენ მარსის შემოტევას? როგორ დავიცვათ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა? აი კარდინალური საკითხი, რაც ამჟამად საშინელი სიმწვავეთ დგას ჩვენს წინაშე. პასუხის გაცემა ამ კითხვაზე მეძნელება, რადგანაც ძალიან კარგად ვიცო, რა ძალასთან გვექნება საქმე, თუ ჩვენ შორის ბრძოლა აუცილებელი შეიქნა.

**სიტყვა აილო არისტად ბრიანმა.**

— მართალია, მარსელ ინჟინერს ჩვენ დავპირდით ჩვენი წყლის მარაგის განსაზღვრულ ნაწილს, მაგრამ ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს, როგორ იყო დასაბუთებული ამ ღონისძიების აუცილებლობა: დედამიწის დამუხრუჭებისაგან მოსალოდნელი წარღვნის შესაძლებლად საჭირო იყო ოკეანეებს ართმეოდათ ამქუხრებული ზედაპირი. ვფიქრობ, ამ ოპერაციის წინააღმდეგ არაფერი გვეთქმის, ეინაიდან, როგორც ახლა ყველასათვის ცხადია, ამ ღონისძიებამ მართლაც ისნა წარღვნისაგან ხმელეთის დიდი ნაწილი. მაგრამ წყლის მეორე ტრანსპორტს არაერთარი გამართლება არ ექნება. ეს იქნება მარსელი ინჟინრის მიერ პირობის დარღვევა და ჩვენი პლანეტის დასაპყრობად აშკარად გადადგმული ნაბიჯი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მეორე ტრანსპორტის შესახებ ცნობა სიმართლეს მოკლებული აღმოჩნდება.

კონფერენციის წევრებს მოულოდნელად ჩაუდგა თავში იმედის სინათლე და საქმის კეთილად მობრუნების შესაძლებლობამ იელვა.

ინჟინერი კარო ერთადერთი წარმომადგენელია ჩვენთვის უცნობი ქვეყნის. ვინ იცის, რამდენად სწორად გამოხატა ეს იგი თავის ქვეყნის მიზნებს? ხომ შეიძლება მარსზე სხვადასხვა კლასები და მიმართულებები არსებობდნენ?

ცხარე და იმედნასხური კამათის შემდეგ კონფერენციამ აირჩია დედგაცია, რომელსაც მიანდო წარუდგეს კამარელს საინფორმაციო მოხსენებით და სცადოს კაროსთან მოლაპარაკება...

მარტის დაუნდობელი ცა დედოფალსავეით ათამაშებს მზეს: ხან ოქროს ჯინჯილებით მორთულ ლურჯ აკვანში ჩააწვეწვს და თეთრი ნისლის აბრეშუმს გადააფარებს, ხან ყვითელ ბაიას ყვავილების კაბას ჩააცმევს და ბაღში მოსეირნე ბავშვივით გაატარებს ღრუბლის მოოქრულ კოშკებს შორის, ხან შავ ნაბადს წამოასხამს და მოტაცებულ მზეთუნახავსავეით წვიმიან ღრუბლის ტყეში დამალავს.

თბილისის ქუჩებიც ხან ტალახიანი ქვებით ითალბება, ხან მზის ფარჩით იმოსება და ქალაქი, ნერვიული ქალივით, ხან უმიზეზოდ ვაიცინებს, ხან ასევე უმიზეზოდ ატირდება.

წვიმს.

გურგენ კამარელი თავის ოთახში უცხოელ სტუმრებს ელის.

ათვლიერებს ინგლისურ გაზეთებს. ეკალივით სჩხვლეტს გულს ლონდონის კონფერენციის შესახებ ამოკითხული ყალბ დ მორთული სტრიქონები.

რევოლუციამ შთააგონა კამარელს მისი მგზნებარე იდეები, მანვე დაუკავშირა იგი შორეული ქვეყნის მიუწვდომელ მწვერვალადან მოფრენილ გენიას, დედამიწის საუკეთესო ფიქრთა და ზრახვათა ამ ცოცხალ განსახიერებას. რევოლუციონური პათოსით გათამამებულმა შემოქმედებამ აანთო მის წინაშე მომავალ დროთა ჯადოსნური სარკე, საიდანაც იელვა სიყვარულის, ბრძოლისა და მეცნიერების უკვდავმა შარავანდედმა.

დედამიწა იხსნა კატასტროფისაგან რევოლუციამ.

რევოლუციამ შეანგრია მისი ბრწყინვალე მომავლის კარები და საქვეყნოდ გამოაჩინა ბრძოლის პერსპექტივის დამაბრმავებელი ელვარება.

რევოლუციამ შემოარტყა დედამიწას ფოლადის საღტეები და შეასხა მძლეთა-მძლე ენერჯის ფრთები, რათა სამუდამოდ მოიშოროს მან სტიქიურ ძალთა ბორკილები და საკუთარი ნებისყოფით გაიკვლიოს გზა მომავლისაკენ.

კამარელის გულში ჩახვავებულია სიხარულის, რწმენის და სიყვარულის უღევი მადანი.

რა გამოლევს მის აცეცხლებულ ენტუზიაზმს და შეუწელებელ პათოსს?

მისი სხეული თითქო სავსე ქურჭელია სიმტკიცის, შეუპოვრობისა და შეურიგებლობის, მისი კუნთების ყოველი უჯრედი დატენილია შემოქმედების დინამიკით.

მას თვალმოუშორებლად დასცქერის ციურ სარკიდან რევოლუციის ცოცხალი შთაგონება, გელა ხუავე, დედამიწის კეთილი სულის და მომავალ საუკუნეთა ჩირაღდანი.

რევოლუციის დროშებით შემოსილი დედამიწა, პერბუროსან გლადიატორივით ბრძოლით გაიკაფავს გზას და მის აელვარებულ ხმაღს წინ წარუძღვება ამ ჩირაღდნის გაუქრობელი ალიონი.

დარკინული მერიდიანები მფეთქავ ნერვებად დაუვლიან ირგვლივ დედამიწის მბორგავ სხეულს და გააქანებენ მას ისტორიის თვალშეუდგამ აღმართზე.

რა ძალას შეუძლია მისი შეჩერება?

კამარელმა საათს დახედა.

— უკვე დროა.

აღგა და ფანჯარასთან მივიდა.

წვიმისაგან აცრემლებული ქუჩები წარბშეკვრით გამოიყურებოდნენ.

უცბად მზე გამოჩნდა და ცრემლის ცვარები ბრილიანტებვით აკაშკაშდა. ჰაერში უხვი სინათლე ჩაღგა.

წუთიკ და ჰაერი ისევ ჩაქრა.

ამ დროს ჰავკავადის ქუჩიდან უხმოდ ასრიალდა აეტო,—ოთხი ფარნის ნამიანი სათვალეები ტრიბუნალის ქუჩისაკენ მოაბრუნა და კამარელის ბინის წინ მოწყვეტით შედგა.

უეცრად გადმოღვრილ მზის სხივებისაგან კოცონებივით აბრიალდა აეტოს დაბინდული სათვალეები.

გაიღო აეტოს კარი და ქურციკივით გადმოხტა ბაკურ შავარდნაძე.

მას ზანტად და დინჯად გადმოყვნენ ლონდონის კონფერენციის მიერ გამოგზავნილი დელეგაციის წევრები—რამზეი მაკდონალდი, არისტიდ ბრიანი და მისტერ დანგვეი.

შავარდნაძე მათ კამარელთან შეუძღვა.

პირველი მისალმების შემდეგ მაკდონალდმა, როგორც დელეგაციის მეთაურმა, სიტყვით მიმართა კამარელს.

— მე წილად მხვდა, — სოქვა მან, — უდიდესი პატივი, ცივილიზაციის სახელით მოგესალმოთ თქვენ, როგორც კაცობრიობის ახალ მესსიას, და განათლებულ ხალხთა გულითადი მაღლობის დაუშრეტელი გრძნობით შევმოსო თქვენი სახელი. მეოცე საუკუნის მაღალ ქედზე, ომების, რევოლუციებისა და კატასტროფის ქარიშხალით აგრიალებულ ჰაერში, თქვენი სახე აღიმართება ბრინჯაოს ქანდაკებასავით და მომავალ საუკუნეთა მწვერვალები უფრო მაღლა ასწევენ მას, როგორც განთავისუფლებული კაცობრიობის უწმინ-

დეს დროშას. თქვენმა გენიამ, მუშათა კლასის რევოლუციური აღ-  
მაფრენით ნაშობმა, იხსნა დედამიწა უმაგალითო განსაცდელისაგან,  
და ქვეყანა არ იქნებოდა გადარჩენის ღირსი, თუ ის მოწიწებით  
და თავყანისცემით არ აღბეჭდავდა ისტორიაში თქვენს ღვაწლსა და  
ამაგს. მით უფრო სასიხარულოა ჩემთვის ამის თქმა, რომ აღზრდი-  
ლი ვარ სწორედ იმ მუშათა კლასის სამსახურში, რომლის უდიდესმა  
შემოქმედებითა ძალამ თქვენში იჩინა თავი. მადლობის გრძნობას-  
თან ერთად ჩვენში მეტყველებს აგრეთვე მოვალეობის შეგნება.  
ჩვენ ვერ დავივიწყებთ, რომ ჩვენი გადარჩენის გენიოსური იდეა  
თქვენმა ქვეყანამ დაჰბადა და გამოკვება; რევოლუციის სამშობლო  
ცხოველმყოფელ ნიადაგზე დაეცა ამ იდეის მარცვალი, რომლისგა-  
ნაც აღორძინდა ჩვენი პლანეტის ფერისცვალებისათვის საჭირო  
ენერჯია. ჩვენ მოწიწებით ვიხრით თავს რევოლუციის კერის წინ და  
აღიქმას ვდებთ სამუდამოდ შევიწარმუნოთ თქვენი ქვეყნის მიმართ  
უდიდესი მადლობის, კეთილგანწყობილებისა და ერთგულების  
გრძნობა.

მაკდონალდმა თავი დახარა და გულზე მიიღო მარჯვენა ხელი.

არისტიდ ბრიანმა ხმის გასაწმენდად ჩაახველა და წინ წამოიდგა.

— მე ორიოდე სიტყვა უნდა დაეუმატო ჩვენი დელეგაციის მე-  
თაურისა და ჩემი მეგობრის ნათქვამს, — დაიწყო მან და ვერ  
მაკდონალდს დაუკრა თავი და შემდეგ კამარელისაქენ მიბრუნდა. —  
თქვენ იხსენით ქვეყანა აუცილებელ დაღუპვისაგან. ამ ღვაწლის  
საკმარისად შეფასება ყოვლად შეუძლებელია. მაგრამ სიკვდილს გა-  
დარჩენილმა კაცობრიობამ უნდა განავრძოს ცხოვრება და მოქმე-  
დება. ცხოვრებას კი, თავისი კანონები აქვს და ცივილიზაციის იმ  
საფეხურს, რომელზედაც დღევანდელი კაცობრიობა დგას, თავისი  
განსაკუთრებული საჭიროებანი ახასიათებენ. მე მინდა მივაქციო  
თქვენი ყურადღება იმ აფორიაქებულ ეკონომიურ მდგომარეობას.  
რომელშიაც ჩააყენა ქვეყანა კატასტროფის მოლოდინმა და მის  
ასაცილებლად მიღებულმა ღონისძიებამ. ჩვენ დაგვიჩრდა დიდი  
მუშაობის შესრულება ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად. ჩვენს  
შორის არსებული ზავი მეგობრობამ უნდა შესცვალოს, ჩვენ უნდა  
დავადგეთ თანამშრომლობის გზას და საერთო ძალღონით აღვაღ-  
ვინოთ დანგრეული მეურნეობა. დაე, ნუ შეგვაშინებს ის გარემო-  
ება, რომ საბჭოთა კავშირი და კაპიტალისტური ქვეყნები სხვადა-  
სხვა ეკონომიურ საფუძველზე დგანან, — ეს არ გვიშლიდა ხელს დე-  
დამიწის დამუხრუტეების გრანდიოზული გეგმა საერთო მუშაობით  
შეგვესრულებია. ჩვენ მოგვაქვს თქვენთან ზავი, მეგობრობა და  
თანამშრომლობა.



აქამდე ყველანი ფეხზე იდგნენ.

ბრიანის სიტყვის შემდეგ კამარელმა სავარძელი შესთავსა სტუმრებს და თვითონაც დაჯდა.

ჩამოვარდა დუმილი.

— მე მადლობელი ვარ თქვენს მიერ ჩემი მუშაობის ეგზომ საზეიმო შეფასებისათვის — სთქვა კამარელმა მცირე პაუზის შემდეგ, — თქვენი განცხადება ფრიად საგულისხმოა და ჩვენ შესაფერ დასვენას გავუკეთებთ მას, მაგრამ მე მინდა მოვისმინო თქვენგან ლონდონის კონფერენციის შესახებ უფრო კონკრეტულად. გაზეთებში დახურული სხდომები გაშუქებული არ არის, მაგრამ ჩემის ცნობებით იქ ბატონობდა სულ სხვა განწყობილება, თქვენი დღევანდელი განცხადება-კი თბილისის კონგრესის განწყობილებაზეა აგებული, რაც ლონდონმა თუ არ ვცდები, უარყო და დაგმო...

ბრიანმა მაკდონალდს შეაელო თვალი.

— ჩვენ ლონდონის კონფერენციის მიერ ვართ თქვენთან წარმოგზავნილი, — სთქვა მაკდონალდმა და გრძელი ულვაში გაისწორა, — მაშასადამე, ჩვენი განცხადება კონფერენციის აზრს გამოხატავს. კონფერენციის მუშაობაში იყო მტკიცუნეული მომენტები, მაგრამ ისინი გამოწვეული იყვნენ მდგომარეობის სიმწვავეთ და მთელ რიგ ქვეყნებში საჩქაროდ განსახორციელებელ ღონისძიებათა სიძნელით. რაც შეეხება თბილისის კონფერენციის მიერ არჩეულ ვასს, უნდა კატეგორიულად განვაცხადო, რომ ლონდონს არა თუ არ დაუგმია იგი, პირიქით, მთელი მისი სამოქმედო პროგრამა ამ კონგრესზე განმტკიცებულ მეგობრულ ურთიერთობაზეა დამყარებული.

— მე ვიყავი ამ განწყობილების პირველი მედროშე, — ჩაურთო სიტყვა აქამდე მდუმარმა დინგვეიმ, — და ჩემს მოვალეობად მიმაჩნია განვაცხადო, რომ თბილისის მიპყვება ამ შემთხვევაში ლონდონი, პარიზი, ნიუ-იორკი...

— და ყველა განათლებული ხალხი, — დაუმატა ბრიანმა და წამოდგა. — მე მინდა ბოლომდე გულწრფელი ვიყო თქვენთან. — განაგრძო მან, — და ყველაფერი, რაც ჩვენ გვაფიქრებს, დაუფარავად მოგახსენოთ. ჩვენ როგორმე მოვიშუშებთ კრილობებს, უკუქცეულ მხეცის ნაჰანგარს, სხეულს რომ მტკივან იარებით გვისუსხავს...

— ბოდიშს ვიხდით, მაგრამ სიტყვა უნდა შეგაწყვეტინოთ! — სთქვა კამარელმა და წარბები შეიკრა. — გადაჭარბებულ გრძნობიერებას იჩენთ თქვენ ყველანი იმ კრილობის მიმართ, ქვეყნის

სხეულს უმაგალითო განსაცდელთან ბრძოლის შემდეგ დააჩნდა; გასაკვირია, რომ ასეთი გულჩვილობით ათვალისწინებდა სხეულის გაკაწრულ ადგილებს, როცა კარგად იცით, რა საშინელი საფრთხე მოელოდა მას! რა მნიშვნელობა აქვს იმას, რაც დაილუბა, შედარებით იმასთან, რაც გადარჩა?

— უკაცრავად! — იწყინა ბრიანმა და წელში გაიძარტა, — აცი მოგახსენეთ, ძნელია შეფასება იმისი, რაც თქვენის მეოხებით მოხდა—მეთქი! ამას ჩვენ არ ვივიწყებთ, მაგრამ დედამიწა რომ დალუპავს გადარჩა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ცივილიზაციას არავითარი საფრთხე არ მოელის. შესაძლებელია ცივილიზაცია დაილუპოს, თუ თავის დროზე ენერგიული ზომები არ იქნება მიღებული გაერთიანებული კაცობრიობის მიერ.

— ამის შიში ჩვენ სრულიად არა გვაქვს, — გაიღიმა კამარელმა. — პირიქით, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კაცობრიობის პროგრესისათვის არასოდეს ისეთი გაცხარებული ტემპებით არ უშუშავნია ისტორიას, როგორც ჩვენს დროში.

— გუშინდელს და დღევანდელს დროს ერთმანეთში ნუ აერევთ, — სთქვა ბრიანმა, — გუშინ ჩვენთვის გარკვეული იყო მოქმედ ძალთა ურთიერთობა და ყოველთვის შეგვეძლო აგვეწონა და გაგვესაზღვრა მათი სიმძლავრე. დღეს ჩვენ, კაცობრიობის დიდ უმრავლესობას ამისი საშუალება არა გვაქვს. მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ ამ საკითხს ნათელი მოპოვინოთ და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ისტორიის ამ ახალ ფაქტორზე თქვენ მოახდენთ კაცობრიობისათვის სასურველ გავლენას.

ბრიანი დაჯდა.

— თქვენ კარგად იცით, რა ფაქტორზე მოგახსენებთ, — დაუმატა მაკდონალდმა. — ეს არის მესამე ძალა, რომლის შესახებ ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით, გარდა იმისა, რომ იგი შეიძლება ჩვენი ისტორიის მამოძრავებელ ძალთა შორის უდიდესი და უმნიშვნელოვანესი გახდეს.

— აი, ახლა კი პოლიტიკის ნამდვილ ნერვებს ჩასჭიდეთ ხელი, ისევე გაიღიმა კამარელმა. — აქამდე კი მწვერვალებზე და ბრინჯაოზე საუბარი მხოლოდ პოეტური შესავალი იყო. მე თქვენს თხოვნას დავაკმაყოფილებ და ვეცდები ამ ფაქტორზე საჭირო გავლენა მოვახდინო.

უკანასკნელი ფრაზა კამარელმა იმგვარი ტონით წარმოსთქვა, რომ ძნელი იყო ირონიის შემჩნევა.

— ჩვენ გვაინტერესებს, — სიტყვა ჩაუროთო დინგვეიმ, — ჩაერე-

ვიან თუ არა მარსელები ჩვენს ცხოვრებაში და თუ ჩაერევიან—რა მიმართულებას მისცემენ მას?

— ჩვენი ნების გარეშე მარსელები ჩვენს ცხოვრებაში არ ჩაერევიან. — მიუგო კამარელმა.

— ჩვენს ნებას ვინ გამოსაზავს? — იკითხა ბრიანმა.

— ამაზე ჩვენ უნდა შევთანხმდეთ.

— არის ლაპარაკი წყლის მეორე ტრანსპორტის გავზავნის შესახებ. რამდენად მართალია ეს? — იკითხა მაკდონალდმა და უღვაწე თითები ნერვიულად აათამაშა.

— შეიძლება მეორეც გაიგზავნოს და მესამეც. — დამშვიდებით მიუგო კამარელმა. — წყალი ჩვენ ბევრი გვაქვს. ყოველ შემთხვევაში შიში ნუ გაქვთ! მარსი იმდენად „მდიდარია“, რომ მასთან „გაჭრობით“ ჩვენ არაფერს წავაგებთ.

დელეგაციის წევრები გაფითრდნენ.

მაკდონალდმა უღვაწეები თითქმის დაიწიწკნა აცახცახებული თითებით. ბრიანმა თვალები ისე ღონიერად დაახამხამა, რომ მარცხენა თვალის შესივებულ უბეში წამწამების ბეწვი ჩაუფარდა, ხელით დაისრისა და ცრემლი წამოსკდა. დინგეის წვეტიან შუბლზე ოფლის ცვარი აუკამკამდა.

— პირველმა ტრანსპორტმა, — სცადა ლაპარაკი ბრიანმა, და ჩაახველა. — პირველმა ტრანსპორტმა ზღვის დონე დასწია სამი მეტრით. წარმოვიდგენიათ თქვენ, რას დაემგვანება ჩვენი სრუტეები, ნავსადგურები და საზღვაო გზები მესამე ტრანსპორტის შემდეგ?

— წყლის მარაგი ჩვენს პლანეტაზე იმდენია, რომ ზუთჯერ მეტიც რომ გავცეთ, ზღვის დონე შეგვიძლია მაინც სასურველ სიმაღლეზე შევანეროთ. — სთქვა კამარელმა და გაფითრებულ დელეგატებს დინჯად გადახედა.

— ოკეანეთა გარეთ ზომ არსად გეგულებათ წყლის მარაგი? — ნაძალადევი ზუმრობის კილოთი იკითხა ბრიანმა.

— სწორედ ოკეანეთა გარეთ ძვეს წყლის უდიდესი მარაგი. — სავსებით სერიოზულად მიუგო კამარელმა.

ეს კი ნამეტანი იყო.

დელეგაციის წევრები წამოდგნენ.

— მგონი ბევრი ლაპარაკით დაგდაღეთ, — ცუდად დაფარული სარკაზმით შენიშნა მაკდონალდმა და თავი დაუკრა კამარელს. — გვაპატიეთ, რომ თავი მოგაბეზრეთ.

დაგვრჩა უკანასკნელი თხოვნა: კონფერენციის დაეღებით ჩვენ უნდა მოვუსმინოთ ინჟინერ კაროს. გათხოვთ, შეგვახვედროთ!



— დღეს კარო აქ არ არის. ხვალ 12 საათზე იქნება. გადამეცემა პასუხს გაცნობებით.

— დელეგაციის წევრები გამოემშვიდობნენ კამარელს და წაი-  
დნენ.

— ზომ მიაქციეთ ყურადღება, რა სიტყვა კამარელმა? — იმედიანად წამოიძახა უკვე გარეთ გამოსულმა ბრიანმა — ჩვენს უნებურად ჩვენს საქმეებში მარსელები არ ჩაერევიანო. თუ ეს განცხადება მართალია, უმთავრესი დაბრკოლება მოხსნილად უნდა ჩაითვალოს.

— მე მგონია კამარელი ასე კატეგორიულად არ იტყოდა ამას, რომ დაწმუნებული არ იყოს მარსელების ნეიტრალობაში, — სიტყვა მაკდონალდმა. — მით უმეტეს ჩვენთან აუდიენციის დროს, როგორც შევიტყვე, მას ინჟინერ კაროსთან ამ საკითხზე უფროდ ჰქონდა ლაპარაკი და ჩვენც ალბათ კაროს აზრი გავგეზიარა.

— გასაკვირი კია ამ შემთხვევაში მისი გულგაშლილობა, — შენიშნა დინგვიმ. — რაც უნდა ბევრი ვილაპარაკოთ ზავსა და მეგობრობაზე, შეუძლებელია ტკბილი სიტყვებით იმ უფსკრულის ამოგება, რომელიც პირდია სამარესავით უცდის ან ერთ, ან მეორე ბანაკს. ბრძოლის აუცილებლობა კამარელისათვის აშკარაა და მე ვერ გამოვიგია, რად ასუსტებს თავის პოზიციას ასეთი განცხადებით.

— იქნება „ლეტარგინიც“ საკმარისად მიაჩნია, — წაიდუღუნა ბრიანმა და ჩაფიქრდა.

„ლეტარგინი“ მართლა დიდ ძალას წარმოადგენდა. პოლონეთის საზღვრიდან თბილისში დელეგაცია „გედამ“ ჩამოიყვანა. ბრიანი კარგად ხედავდა, რა დიდი უპირატესობა ეძლევა საბჭოთა ავიაციას „ლეტარგინის“ მეოხებით, მაგრამ „რაუნიტის“ განუზომელი ძლიერებით დაშინებული ყურადღებას არ აქცევდა მას. ახლა კი, როცა რამდენიმედ მინელდა „რაუნიტის“ შიში, „გედას“ უცნაურმა საიდუმლოებამ მიიპყრო მისი გულისყური. რა მანძილზე ვრცელდება „ლეტარგინის“ ძალა, რამდენად იქნება შემოფარგლული „გედას“ მოქმედების რადიუსი მომავალ საჰაერო ბრძოლაში? სანამ ეს კითხვები არ გამოირკვევა, ძნელია ძალთა ურთიერთობის გათვალისწინება.

— როგორ ფიქრობთ თქვენ, — დაარღვია დუმილი ბრიანმა, — „გედას“ მოქმედების ზონა რამდენად გაფართოვდა „დამუსრუქების“ პერიოდში?

— 1934 წელს, თბილისის კონგრესის დახურვის შემდეგ. — სიტყვა დინგვიმ, — დელეგაციების მეთაურებმა ვიმგზავრეთ „გედამ“ — თი თბილისიდან მოსკოვსა და ლენინგრადში. დაებრუნდით ხარკოვ — ბაქოს ხაზით. კარგად მახსოვს, მაშინ პოლონეთის სა-

ზღვრებისაკენ „ლეტარგინის“ ზონა არ იყო გაყვანილი. ახლა, როგორც ეტყობა, საბჭოთა კავშირის თუ, მთელ ტერიტორიაზე ვრცელდა დასავლეთის საზღვრებამდე მაინც ჰაერი გაქვნილია „ლეტარგინით“.

— მე მაქვს ცნობები, — დაუმატა ბრიანმა, — რომ ბელორუსიაში აგებულია სამი დიდი სიმძლავრის ელექტროსადგური, რომელთა ენერგია დიდად აღემატება ადგილობრივი მრეწველობის საჭიროებას.

— ჩანს ამ სადგურებს სხვა დანიშნულება აქვთ, — შენიშნა მაკდონალდმა. — ალბათ „ლეტარგინის“ აგრეგატებზე.

— მეც ეს მაფიქრებს, — თქვა ბრიანმა, — ვინ იცის, იქნება უკვე ვარშავამდე მოსულია ამ ელსადგურებიდან გამომდინარე „ლეტარგინის“ ტალღები? ჩვენ ხომ არა გვაქვს საშუალება აღმოვაჩინოთ ჰაერში „ლეტარგინის“ არსებობა?

— ყველაფერი ეს ზედმეტად ასაბუთებს ჩვენი გეგმის საჩქაროდ შესრულების აუცილებლობას, — დაუმატა დინგეიმ და ავტომობილის კარი გააღო, ვინაიდან ისინი უკვე მიაღწენენ სასტუმროს, სადაც მათ მიჩენილი ჰქონდათ ბინა.

სალამოს გაიმართა დელეგაციის წევრების თათბირი.

გადასინჯულ იქნა მოქმედების გეგმის ყოველი დეტალი და შემუშავდა ზვალინდელი აუდიენციის მოსალოდნელი პროგრამა.

მეორე დღეს, დილის 11 საათზე კამარელმა აცნობა მათ, რომ 12 საათზე დელეგაციას უცდის თავის ბინაში ინჟინერი კარო.

კარომ თავაზიანად მიიღო დელეგაცია, გაცილებით უფრო თავაზიანად, როგორც დელეგაციის წევრებს მოეჩვენათ, ვიდრე კამარელმა. ამან ძალიან დააიშვინა და გაამხნევა დელეგაციის წევრები, რომელნიც მეტად გაახარა აგრეთვე იმ ვარემოებამ, რომ კაროსთან კამარელი არ დახვდათ, რისიც მათ ძალიან ეშინოდათ.

დელეგაციის სახელით კაროს სიტყვით მიმართა ბრიანმა, რომელმაც ხაზი გაუსვა მარსელი ინჟინერის ამიერიდან დაუვიწყარ ამაგს.

— კაცობრიობისათვის, — სთქვა მან, — სრულიად მოულოდნელი იყო, როგორც კატასტროფის საშიშროება, ისე მეზობელ პლანეტიდან მოსული დახმარება. მარსი მოგვევლინა მფარველ ანგელოზად და ჩვენს მომავალ თაობად ჩვენ ისე აღვზრდით, რომ ჩავუნერგოთ გულში ჩვენი ციური მეზობლისადმი ღვთაებრივი მოწიწებისა და თავყვანისცემის გრძნობა. ჩვენ ვერ ვადვიხდით ამ დაუფასებელ ამაგს, მაგრამ ვფიქრობთ, საუკუნეთა მანძილზე ჩვენს შემდგომად მოსულნი უფრო ძლიერნი თაობანი შესძლებენ უსაზღვრო მადლობის გრძნობის ნაწილობრივ მაინც განადღებას

სიტყვის ბოლოში ბრიანმა მოხერხებულად ჩაურთო მოსახრებელი  
ორ პლანეტას შორის უფრო მწყობრ და ფართო ურთიერთობის  
მოგვარების საჭიროების შესახებ.

— მე მოხარული ვიქნებოდი, — განაცხადა კარომ, — თუ შევძ-  
ლებდი მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას, მაგრამ ამისათვის  
საჭიროა სიტყვასა და საქმეს შორის არ იყოს წინააღმდეგობა.

— ჩვენი სიტყვა და საქმე ერთ მიზანს ემსახურება, — წარმოს-  
თქვა მაკდონალდმა.

— ენახავთ!

მაკდონალდმა თვალთ ანიშნა ბრიანს, მაგრამ ბრიანიც უკვე მი-  
ხედრილი იყო, რომ დადგა კითხვის პირდაპირ დასმისათვის შესა-  
ფერი მომენტი.

— თქვენი პასუხი ჩვენს შორის მეგობრული კავშირის ურყევი  
გარანტიაა, — მიმართა კაროს ბრიანმა. — და ჩვენ შევეცდებით ჩვე-  
ნი მუშაობის ცენტრალურ იდეად გავხადოთ ამ კავშირის ირგვლივ  
კაცობრიობის მოწინავე ძალთა დარაშვება. მაგრამ, სამწუხაროდ,  
ჩვენ ძალიან ცოტა ვიცით მარსის შესახებ და ჩვენს პროპაგანდას  
კონკრეტობა აკლდება. მიუხედავად იმისა, რომ დედამიწამ საკუთარ  
სხეულზე საკმარის დამაჯერებელი რეალობით იგრძნო მარსელი კა-  
ცობრიობის ტექნიკური გენიის მოქმედება, ბევრს მაინც არასჯერა  
თქვენი რეალობა და უზუნაეს ძალთა მიუწვდომელ საიდუმლოებას  
შიაწერს ქვეყნის გადარჩენას. ჩვენ ბედნიერად ჩავთვლით თავს, თუ  
შევძლებდით მარსის უფრო ახლო დანახვას.

— მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო! — სთქვა კარომ.

— მანდატები გაქვთ?

— რისი მანდატები? — იკითხა გაოცებულმა ბრიანმა.

— მარსზე წარგზავნის. — უპასუხა კარომ.

დელეგატები დაიბნენ: არ მოელოდნენ საკითხის ასე უცბად მოკ-  
ვეთას.

წამოდგა მაკდონალდი და მოწიწებით მოახსენა:

— იმ შემთხვევისათვის, თუ თქვენ კეთილ ინებებდით და ჩვენს  
სურვილს ასრულებდით, კონფერენციამ წინასწარ აღგვეკურვა ჩვენ.  
სამი კაცი, საჭირო მინდობილობით. კონფერენციაში მონაწილე 24  
სახელმწიფო, ე. ი. საბჭოთა რესპუბლიკის გამოკლებით მთელმა გა-  
ნათლებულმა კაცობრიობამ აგვირჩია ჩვენ დედამიწის წარმომად-  
გენლებად მარსთან ურთიერთობის ყველა საკითხის გადასაჭრელად.  
აი, ჩვენი მანდატები. — და მაკდონალდმა გადასცა კაროს დოკუმენ-  
ტები. — მეოთხე წევრად დელეგაციას მოემატება საბჭოთა კავშირის  
წარმომადგენელი.

კარომ მანდატები გადაათვალღიერა და გადასდო.

— ხეალ კამარელს მოველაბარაქები და გამგზავრების დღესაჲს დაენიშნათ! თქვენ ალბად მზადა ხართ და თქვენს ქვეყანაში დაბრუნება აღარ დაგჭირდებათ!

— ჩვენ შეგვიძლია თუნდაც დღესვე გავემგზავროთ, — ძიუგო მაკდონალდმა და წამოდგა.

დელეგატები გამოეთხოვნენ კაროს და წავიდნენ. \*

როცა კამარელმა გაიგო მარსზე დელეგაციის გაგზავნის განზრახვა, ისე ძლიერ მოსწყურდა პლანეტთაშორისი ფრენის სიამით დატკბობა, მარსის საიდუმლოების ფარდის ახდა და ეარსკვლავივით დაშორებულ სატრფოს პირისპირ ნახვა, რომ დიდი სიამოვნებით გაიზიარა კაროს წინადადება და ხალისიანად შეუდგა გაფრენისთვის მზადებას.

გაფრენის დღედ დანიშნული იქნა მარტის 19.

## XIV

### საოცარი სოხალღი

სამი დღე-ღა იყო დარჩენილი გაფრენამდე.

ამ ხანში კამარელს უამრავი საქმე უნდა მოეწესრიგებია, რომ მისი აქ არ ყოფნის დროს არაფერი შეფერხებულიყო ენერგეტიკის მთავარ სამმართველოს მეტად რთული აპარატის მუშაობაში.

ჯარასავით დატრიალდა, დღე ღამეს გადაბა და მისი საყვარელი საქმე მწყობრ მანქანასავით ამუშავებული ჩააბარა თავის თანამშრომლებს.

მარტის 18-სათვის ყველაფერი მოწესრიგებული იყო და კამარელი სასწრაფოდ გაფრინდა მოსკოვს საჭირო ინსტრუქციების მისაღებად.

მეორე დღეს, საღამოს 5 საათზე, მოსკოვიდან დაბრუნებული „გედა“ თეთრ ღრუბლის ქულასავით მოსწყდა ზეცას და მსუბუქად დაეშვა დიდუბის ჰაეროდრომზე.

იქვე იდგა გასაფრენად გამზადებული „რაუნიტ“. დელეგაციის წევრები კაროს ესაუბრებოდნენ, „რაუნიტ“-ზე ასავალ ბაქანზე მდგომნი.

კამარელი გამოემშვიდობა ბაკურ შავარდნაძეს, მზრუნველობით ჩააბარა მას „გედა“ და კაბინიდან პირდაპირ ბაქანზე გადმოვიდა.

— სწორედ დროზე დაბრუნდით, — შორიდანვე მიამხმა კარომ და კამარელისაკენ წამოვიდა.

— ჭარბით მიჰქროდა „გელა“, რომ „რაუნისტი“ არ დაეუფლებინა. — უბასუხა კამარელმა და მიესალმა კაროს და დელეგაციის წევრებს.

— „გელა“ უმცროსი და „რაუნისტი“ — სთქვა კარომ, — და, რა თქმა უნდა, სირცხვილს არ სჭამდა. აბა, მობრძანდით, კაბინები თქვენთვის მზადაა!

კარო შეუძღვა დელეგატებს „რაუნისტი“-ში და თვითველს თავისი კაბინა უჩვენა.

ხომალდის ტალანში ღდის სინათლე იღვა, თუმცა მგზავრებმა ღანჯრები ვერსად შენიშნეს.

კაბინის ფართო რგვალი მთლიანი მინის (თუ მინისმაგვარი ლითონის) ფანჯარა ჰქონდა და კედლებზე მომწვანო ფერის რბილი ხავერდი იყო გაკრული. მაგიდა, სამი სავარძელი და საწოლი იატაკზე იყო მიკრული. მაგიდის გვერდით პატარა კარადა იდგა, ხოლო იქვე კუთხეში კედელზე მიმაგრებული იყო ფაიფურის ბაქანი ზედ დაშვებული ნიკელის ონკანით. კედელზე გარშემო კაცის სიმაღლეზე არშისავით ზის მოაჯირი ჰქონდა შემოვლებული.

ყველას თავის ჩემოდანი კაბინაში დახვდა.

მგზავრები რამდენსამე წუთში სავსებით დალაგდნენ და შემდეგ საერთო კაბინაში შეიკრიბნენ. ეს კაბინა ხომალდის ბოლოში იყო და რგვალი, შუშასავით გამჭვირვალე კედელი ჰქონდა. აქედან მშვენიერი გადასახედი იყო და დელეგაციის წევრები ვანუცდელი მღელვარებით გასცქეროდნენ დედამიწას, რომელსაც საცა იყო უნდა განშორებოდნენ და, ვინ იცის, დაუბრუნდებოდნენ თუ არა მას ოდესმე უვნებლად.

12 საათსა და 30 წუთზე „რაუნისტი“ დაიძრა.


თითქო ლიფტი ასრიალდაო, მგზავრებს იატაკი მძლავრად მოაწვა ფეხებზე და დედამიწა აქანავდა. წუთიც და მგზავრების თვალწინ დედამიწამ იწყო თანდათან დაძირვა.

— რა სიჩქარით მიეფრინავთ, თუ იცით? — ჰკითხა მაკდონალდმა კამარელს.

— წამში ათი მეტრის აჩქარებით. — მიუგო კამარელმა. — ასეთი ნელი ტემპით, როგორც კარო ამბობს, პირველად მიფრინავს „რაუნისტი“. მაგრამ ეს „უცხო მგზავრთა“ პატივისცემით აიხსნება, თუმცა ეს სიჩქარე მაინც საკმაოდ დიდია: იგი უდრის დედამიწაზე სხეულის თავისუფლად ვარდნის სისწრაფეს.

— როგორ დედამიწაზე ვეცემით, თუ ვშორდებით მას? — შეეკითხა გაკვირვებული მაკდონალდი.

— ისეთი სიჩქარით ვშორდებით ჩვენ ახლა დედამიწას, რა სინ-



ქართაც მიუხაზლოვდებოდით მას, ცის შორეულ სივრცეიდან თავი-  
ხუფლად რომ ვეცემოდეთ დედამიწის ზედაპირს. ყოველ წამს ჩვენ  
სიჩქარე მატულობს 10 მეტრით.

— ათი მეტრის სიჩქარე რა დიდი? — გაუქვირდა დინგვის.  
კამარელმა საათზე დაიხედა.

— უკვე სამი წუთია რაც მოვფრინავთ. პირველი წუთის შემდეგ  
ჩვენ მივჭროდით წამში 600 მეტრის სიჩქარით, ახლა კი ჩვენი სიჩ-  
ქარე უდრის 1.800 მეტრს, ე. ი. თითქმის ორ კილომეტრს წამში.  
ერთი საათის შემდეგ ჩვენ უკვე კოსმიური სხეულის სიჩქარეს მი-  
ვალწევთ — წამში 36 კილომეტრს.

დინგვეი გაფითრდა. ჯიბიდან ამოიღო აკანკალებული ხელით  
პატარა კოლოფი, გახსნა და ერთი თეთრი აბი გადაყლაპა.

— შეხედეთ, — წამოიძახა ბრიანმა, — როგორ დაგვეშორდა დე-  
დამიწა და ამავე დროს იგი თითქოს ბრუნავს.

— ჩვენ მივფრინავთ თბილისის მერიდიანით ჩრდილოეთის პო-  
ლუსისაკენ, — განუმარტა კამარელმა. — ამიტომ გვეჩვენება თითქო  
დედამიწა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ბრუნავდეს.

— პოლუსისაკენ რისთვის მივფრინავთ? — იკითხა ბრიანმა.

— ჩვენ, მოუხედავად იმისა, რომ საკმაო მანძილით დავშორდით  
დედამიწის ზედაპირს, მაინც ვღებულობთ მონაწილეობას დედამიწის  
ღერძის გარშემო ბრუნვაში. რომ ამ ტრიალს თავი დააღწიოს, „რაუ-  
ნიტი“ პოლუსიდან უნდა მოსწყდეს დედამიწას.

ამ დროს „რაუნიტი“ უკვე ჰაერის ზედასფეროზე მიჰჭროდა.  
დედამიწის ჩრდილო ნახევარი მზის სხივებით იყო შემოსილი და აქა-  
იქ ღრუბლის გროვა დამაბრმავებელი ელვარებით ბრწყინავდა.  
შორიდან მოსჩანდა შავი და კასპიის ზღვების დაბინდული კონტუ-  
რები და სხივნაფრქვევი კავკასიონი თვალის მომჭრელად ანათებდა.  
ჩრდილოეთისაკენ განთიადის ზოლივით გამოჩნდა ყინულოვანი  
ზღვის თეთრი ტილო და იელვეს გრენლანდიის ნაპირებმა. კიდევ  
რამდენიმე წუთი და „რაუნიტი“ პოლუსის დაღრუბლულ სივრცეს  
მოექცა ზედ, სწორედ იქ, სადაც დღე-ღამის საზღვარი შუა ჰყოთდა  
დედამიწას. ჩრდილოეთ-ამერიკისა და წყნარი ოკეანის მიდამოები  
ღამის ბურუსით იყო მოცული. ატლანტის ოკეანის დასავლეთისაკენ  
ზღვაში ჩაძირულივით მოსჩანდა თეთრად მოელვარე მთვარე, რომე-  
ლიც თანდათან ამოვიდა ზღვიდან და აფრენილ გედივით სცილდე-  
ბოდა დედამიწას.

„რაუნიტმა“ აიღო სწორი გეზი და სიჩქარეს უმატა.

უფრო ძალუმაღ მოაწვა მგზავრებს იატაკი და უფრო დამძიმდა  
მათი სხეული.

კამარელი იდგა გამჭვირვალე კედელს მიყრდნობილი და მთრთო-  
ლავი გულით შესცქეროდა ქვესკნელში მიმქროლავ დედამიწას.  
აჰა, ესეც პლანეტათაშორისო ფრენის ბევრჯერ ნანატრი განცდა!  
ჯერ კიდევ ყმაწვილობის დროს რამდენჯერ დამტკბარა იგი ფანტას-  
ტიურ რომანების კითხვით, სადაც მრავალი ვარიაციით აწერილი იყო  
ცის მიუვალე უდაბნოს დაპყრობა! რამდენჯერ აძვერებულა მისი  
გული ვიულ ვერნისა და პერბერტ უელსის გმირთა გაბედული  
გეგმებით და მათთან ერთად მოხიზლულა ფანტასტიური ოცნების  
რეალური განცდით! და აი, დღეს თვითონ ის მიფრინავს ვარსკვლავთა  
სამყაროში არა სიზმრით თვალ-დაბინდული, არა ოცნებით, არა წიგ-  
ნით ხელში, არამედ ნამდვილად, ცხადად და საკუთარი ხელის შეხე-  
ბით გრძნობს „რაუნიტის“ რეალობას, საკუთარი თვალეზით ხედავს  
ცის უფსკრულში დანთქმულს დედამიწას.

კამარელმა შუბლზე ხელი გადაისვა და ირგვლივ მიმოიხედა:  
კაბინაში მის გარდა არავინ იყო.

სანამ „რაუნიტი“ პოლუსს მოადწევდა, თუმცა ატმოსფეროს  
უმაღლეს ფენაზე მიმქროდა იგი, მაინც დედამიწის სამფლობელოში  
გრძნობდნენ თავს მისი მგზავრები. მაგრამ როცა პოლუსიდან „რაუ-  
ნიტი“ ვერტიკალური გზით ავარდა და დედამიწა მოწყვეტილ ქე-  
სავით ჩაეშვა უფსკერო სივრცეში, მგზავრებს გული შეუჯეშმა უც-  
ნაურმა შიშმა და მათ არჩიეს ამ მეტად არაჩვეულებრივი სანახაო-  
ბისათვის თვალის არიდება და თავიანთ კაბინებს მიაშურეს.

დინგვეის ნერეულად აერჯოლებდა. გაუხდელად წამოწვა და  
პალტო წამოიხურა.

მაკდონალდმა თავის ჩემოდანს ღვედების შესსნა დაუწყო.

ბრიანმა თავის კაბინაში ვერ მოისვენა და მაკდონალდს ესტუმრა.

— რაღაც უცნაურად ვგრძნობ თავს. — უთხრა მან მაკდონალდს.

— მარტოდ ყოფნა მეზარება.

— აქ დაისვენეთ! — მოიპატიჟა მაკდონალდმა.

ბრიანი საწოლზე წამოწვა. უბიდან პენსნე ამოიღო, ცხვირზე  
წამოიგო, გაშალა „Melin“-ის ნომერი და კითხვა დაიწყო!

კამარელი ისევ უძრავად იდგა შუშის კედელთან და მისჩერებოდა  
სივრცეში ჩაძირულ დედამიწას.

ცას თანდათან შუქი მოაკლდა. მზე თუმცა ანათებდა უღრუბლო  
და უნისლო სივრცეში, მაგრამ კოსმიური დამის უპაერო ჩრდილი  
თანდათან აჩენდა ვარსკვლავებს და „რაუნიტის“ წინა მხარეს შავი  
ხავერდის საბურველი ეფინებოდა ქვემოდან. ბოლოდან კი ხომალდს  
ღვარად ასკდებოდა დედამიწისა და მთვარის ელვარება და ჩრდილი  
და სინათლე შავ და თეთრ ზოლებად იწვა ხომალდის ტანზე, ხოლო

ზურგზე ჰაერით შეუნელებელი მზის სხივები ავარჯარებულ კოცონს ანთებდა.

კამარელი დაჯდა, — სავარძლის სახელურს ხელი მოხვია და თავით ზედ დაეყრდნო.

უეცრად რაღაც უჩინარმა ჩრდილმა შავ ელვასავით გადაიკრიალა და „რაუნტი“ თითქო შედგა უცბად და სივრცეში უძრავად დაეკიდა.

კამარელს ყოველ მხრიდან სინათლესავით მოაწვა აბსოლუტური სიჩუმე და ყურებმა წივილი დაუწყო. მთელი სხეული ავესო ჰაეროვანი სიმსუბუქით.

და იმავე წამს დელეგატების კაბინიდან საშინელი ღრიალი მოესმა.

კამარელმა მყისვე მოისაზრა რაც მოხდა და განსაკუთრებული სიფრთხილით ჩასჷიდა ხელები ტალანის კედელზე ხაზივით გაყოლებულ წითელი ხის მოაჯირს და ახლად ფეხადგმულ ბავშვივით ტაბრითა და მოაჯირზე ხელების ფათურით შევიდა კაბინაში, საიდანაც ისმოდა გულის შემზარავი ყვირილი.

კაბინაში უცნაურ სურათს წააწყდა: გაფითრებული დინგვეი, სასაცილოდ გამზლართულიყო, ჰერს მიკვროდა, ხელები მაგრა ჩაველო ვენტილაციის ონკანისათვის და ფეხებს ჰაერში ბაყაყივით ასავსებდა.

— მიშველეთ! ეს რა მოხდა? რა მომივიდა? — ღრიალებდა იგი და გაოცებული თვალებით მიშტერებოდა შუა კაბინაში ჰაერში უძრავად დაკიდულ პალტოს.

კამარელი გაჰყვა მოაჯირს კედელ-კედელ, მიუახლოვდა იმ კუთხეს, სადაც ჰაერში ეკიდა დინგვეი, ამოიღო ჯიბიდან ცხვირსახოცი, აუქნია ზევით და უთხრა:

— ნუ ყვირით, ახლავე ავიხსნით, რაც მოხდა. ჯერ ამ ცხვირსახოცს მოკიდეთ ხელი.

დინგვეიმ ცხვირსახოცს ორივე ხელი წაავლო, კამარელმა ძირს დასწია და საპნის ბუშტივით მსუბუქი და აფამფალეზული დელეგატი იატაკზე დასვა და ხელები მოაჯირთან მიუტანა.

— მოკიდეთ ამას ხელი და არ მოშორდეთ. მე-კი დანარჩენებს მივშველები, მათაც უჭირთ, როგორც ჩანს.

მართლაც, მეზობელ კაბინიდან ისმოდა ოხერა და წყევლა-კრულვა.

— პალტოს შეხედეთ, პალტოს! — დაიკნავლა შეშინებულმა დინგვეიმ. — პალტოს რა მოუვიდა?

— არაფერი უშავს პალტოს. — ამშვიდებდა კამარელი. — რა  
ნადვლებათ, ეკიდოს ჰაერში.

კამარელი გაჰყვა მოაჯირს და მეზობელ კაბინაში შეჰყო თავი.  
აქაც კომიკური სურათი დახვდა.

ბრიანი ფანჯრის ახლო ჰაერში ეკიდა თავდაღმა. ფეხები ჰერისა-  
კენ ჰქონდა აშვერილი, ხოლო ხელებით იატაკს ეპოტივებოდა, მაგ-  
რამ ვერც ჰერს სწვდებოდა და ვერც იატაკს. „Matein“-ის ნომერი  
თეთრი ღრუბელივით გაკვროდა ჰერს. პენსნე ცოტა მოშორებით ჰა-  
ერში იყო ვაჩერებული.

მაკდონალდი ორივე ხელით მოსვეოდა უზარმაზარ ჩემოდანს და  
მასთან ერთად მსუბუქად დასცურავდა ჰერსა და იატაკს შუა; ჰერს  
რომ თავს მიაღებდა, იმწამსვე ნელი ფამფალით დაბლა დაეშვებოდა,  
იატაკს რომ ფეხს მიაკარებდა — მყისვე ათრთოლებულ ბუშტივით  
ჰერისკენ გაემართებოდა.

— ღმერთმა დასწყევლოს მარსიცა და იქ წასვლის მომგონიც! —  
იწყევლებოდა მაკდონალდი.

— ბ-ნო კამარელო! — დაიყვირა ბრიანმა, კამარელი რომ დანა-  
ხა. — რა არის ეს? რა მოხდა?

— არაფერია, დამშვიდდით! — მიუგო კამარელმა და კაბინაში შე-  
ვიდა. — სრულიად ბუნებრივი მოვლენაა.

— რატომ არ გაგვაფრთხილეთ, თუ ეს მოგველოდა? — იწყინა  
ბრიანმა და ორივე ფეხი მოლუნა, მაგრამ ამ შერხევამ წისქვილის  
ბორბალივით დაატრიალა ჰაერში.

— ნუთუ, ასე უნდა ვიქანაო საათის ქანქარივით ჰერსა და იატაკს  
შუა? — დაიკვნესა მაკდონალდმა.

— ახლავე მოგეშველებით! — მიამაზა კამარელმა და როცა მაკ-  
დონალდი ძირს დაეშვა, ხელი გაუწოდა.

— მომკიდე ხელი. ჩემოდანს ხელები გაუშვით!

მაკდონალდმა ცალი ხელი კამარელს წააგლო, მეორეთი ჩემო-  
დანი იატაკზე დადო.

ჩემოდანი ისევ ჰაერში აცურდა, ხოლო მაკდონალდი კამარელმა  
მოაჯირს მიაყენა.

შემდეგ ჰაერში მბრუნავ ბრიანს სტაცა ხელი და ისიც მოაჯირს  
მიამაგრა.

ბრიანმა პეპელასავით აფრენილი პენსნე დაიჭირა და უბეში ჩა-  
იდო.

ამ დროს კაბინაში ოხვრითა და ფორთხვით შემოძვრა დინგვეიც.

— მოქალაქენო! — მიმართა მგზავრებს კამარელმა. — აი, სამი  
სავარძელი, მაგიდა და საწოლი. ყოველი მათგანი საიმედოა, რადგან

მიკრულია იატაკზე. მოჰკიდეთ ხელი, გინდ დაბრძანდით, გინდ დაწე-  
ქით, გნებათ დადექით, თუმცა დგომასაც, წოლასაც და ჯდომასაც  
აქ ერთი ფასი აქვს.

— აგვიხსენით, რა მოხდა? — დაედროჯა კამარელს ღინგვეი და  
ერთ-ერთ საეარძელს წაავლო ხელი, მაგრამ რამდენიც არ ეცადა,  
ველარ დაჯდა: ხან ერთი ფეხი აუცურდებოდა, ხან მეორე, ხანაც  
საეარძლის ზამბარა ზედ აისროდა.

ბრიანმა და მაცდონალდმა მოახერხეს, როგორც იყო, სავარძლებ-  
ზე ტანის მომაგრება. ორივე ხელით სავარძელს ჩაფრენოდნენ  
სახელურებზე და ისხდნენ გაუნძრევლად.

— ეცადეთ არ გაინძრეთ და არ აცურდებით. — სთქვა კამარელ-  
მა. — როცა ამ მდგომარეობას შეეჩვევით, მერე არ გაგიძნელდებათ  
მორჩილებიდან გამოსულ სხეულის დაურევება.

— რატომ შესდგა „რაუნითი“? — იკითხა ბრიანმა. — ნუთუ,  
სიფათი რამ შეემთხვა?

— „რაუნითი“ კი არ შესდგა, — მიუგო კამარელმა, — აჩქარება  
შეწყვიტა, ვინაიდან მიიღწია საქირო სისწრაფეს. ახლა იგი მიჰქრის  
წამში 600 კილომეტრის სიჩქარით. ამით აიხსნება ის მდგომარეობა-  
რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით: „რაუნითმა“ დაჰკარგა სიმძიმე-  
მოგეხსენებათ, რომ სივრცეში ინერციის ძალით თანისუფლად  
მქროლავი სხეული სავსებით ჰკარგავს სიმძიმეს.

— მაშ, ჩვენც სიმძიმე დავკარგეთ? — იკითხა ღინგვეიმ.

— რა თქმა უნდა, ჩვენც, რადგანაც „რაუნითთან“ ერთად ჩვენც  
ისეთივე სიჩქარით მივქროლავთ სივრცეში.

— განა დედამიწის მიზიდულობა არ მოქმედებს ახლა „რაუნით-  
ზე“? — შეეკითხა მაცდონალდი.

— მოქმედებს, მაგრამ ერთ და იმავე ძალით მოქმედებს როგორც  
„რაუნითზე“ ისე შიგ მყოფ საგანზე, ამიტომ ხომალდის შიგნით, ასე  
ვთქვათ მის სისტემაში, ეს მოქმედება არა ჩანს. თუ დედამიწის მიზი-  
დულობის გავლენით „რაუნითი“ წამში ერთი მეტრით იწეეს მიწის-  
კენ, ჩვენც იმავე ძალის მეოხებით იმდენადვე ვიწეეთ მისკენ,  
ასე რომ „რაუნითის“ იატაკსა და ჩვენს შორის მანძილი არ იცვლება.

— მაშ, ჩვენ რომ ახლა კარი გავაღოთ და ხომალდიდან დედამი-  
წაზე გადავცვივდეთ, არ დავეცემით ჩვენს პლანეტაზე? — იკითხა  
ბრიანმა.

— რა თქმა უნდა არ დავეცემით! — მიუგო კამარელმა. — ჩვენც  
მოდრობის ისეთივე ინერცია გვაქვს, როგორც „რაუნითს“ და, მა-  
შასადამე, კიდევ რომ გადავხტეთ აქედან, გავყვებით მას სივრცეში  
იმავე სიჩქარით და მიმართულებით.

— მაინც ვერ გავიგე კარგად, — სთქვა დინგვეიმ, — თუ „რაუნის ნიტს“ დედამიწა იზიდავს, რატომ ჩვენც არ მიგვიზიდავს?

— მთვარესაც იზიდავს ხომ დედამიწა? მაგრამ მთვარიდან საგნები დედამიწაზე როდი ცვივა?

— მთვარეზე საგნებს მთვარე იზიდავს? — მიუგო დინგვეიმ.

— თუ გნებავთ, აქაც იგივე ხდება. „რაუნის ნიტს“ ამ შემთხვევაში შეიძლება პატარა ციურ სხეულად ჩაითვალოს. იგი გვიზიდავს ჩვენ. მაგრამ მისი მასა იმდენად მცირეა, რომ მის მიზიდულობას ჩვენ ვერც-კი ვგრძნობთ.

მგზავრები როგორც იყო დამოშმინდნენ.

— მაგრამ, როგორ უნდა ვიცხოვროთ ასეთს ყოფაში? — ოხრავდა დინგვეი. — განა სიმძიმეს მოკლებულ არეს ჩვენი სხეული აიტანს?

— როგორც ჩანს, აიტანს. — სთქვა კამარელმა. — დედამიწაზეც ხშირია ისეთი მდგომარეობა, თუმცა ძალიან მცირე ხნით, როცა ადამიანის სხეული სრულებით ჰკარგავს სიმძიმეს. ან არის ვარდნის დროს, ან როცა ადამიანი გადახტება ერთი ადგილიდან მეორეზე იმ რამდენიმე წამის განმავლობაში, როცა ადამიანი მოშორებულია საყრდენს და თავისუფლად ვარდება, იგი ჰკარგავს სიმძიმეს, მაგრამ ეს არ აყენებს ზიანს სხეულის არც ერთ ფუნქციას: სუნთქვას, სისხლის მოძრაობას და სხვა.

— ამაზე მეტი ზიანილა შეიძლება? — წამოიძახა დინგვეიმ, რომელიც მთელი ამ საუბრის დროს ამაოდ ცდილობდა როგორმე მიმაგრებულყო სავარძელს და საცოდავად ფაშფალებდა ფეხებ-აშვერალი. უცებ როგორღაც უხერხულად დაჰკრა ფეხი იატაკს იმ დროს, როცა სავარძელს ხელები მოაშორა და დინგვეი ჰაერში აცურდა. კამარელმა ცალი ხელი მიაშველა და ფანჯრის ახლო ჰაერში გააჩერა. შემდეგ ხელი გაუშვა და უთხრა:

— გაშალეთ ხელები, ფეხები, როგორც გნებავდეთ, და მოისვენეთ. სიმძიმის უქონლობის გამო ჰაერში დაკიდულიც ისევე მოისვენებთ, როგორც მსუბუქე საწოლზე. თავი გინდ მაღლა დაიჭირეთ, გინდ დაბლა, აქ არ არსებობს „ზევით“ და „ქვევით“, ვინაიდან არ არსებობს სიმძიმის ცენტრი, რომელიც საზღვრავს მიმართულებას.

დინგვეი ჰაერში გაშეშდა თავდაღმა.

— მართლაც მოსვენებითა ვარ, — სთქვა მან. — რად ვწვალობდი ამდენ ხანს სავარძელთან?

— როგორც ჩანს, პლანეტთაშორისო ფრენისათვის ზედმეტი ბარგი ყოფილა სკამი, მაგიდა, საწოლი და სხვა ავეჯი, — შენიშნა

ბრიანმა, ამოიღო ჯიბიდან პორტსიგარი, გახსნა, ერთი სიგარა პირში ჩაიღო და გახსნილი პორტსიგარი ჰაერში დასტოვა.

— მიირთვიეთ, — შესთავაზა სხვებსაც.

კამარელმა ერთი სიგარა ამოიღო და პორტსიგარი თავქვე გაღვობარუნა.

— ნახეთ, თუ საოცრება არ არის! — დაიძაბა ჰაერში უძრავად დაკიდებულმა დინგვეიმ. — სიგარები არ სცევივა.

ბრიანი კი ამ დროს ასანთს ასანთზე ანთებდა, მაგრამ სიგარას ცეცხლი ვერ მოუქიდა: ასანთი ვერ ასწრებდა ანთებას, მყისვე ქრებოდა.

— რა დაემართა, ნეტა, ამ ასანთს? — ბუზღუნებდა იგი და ჰაერში ისროდა ასანთის ღეროებს, რომლებიც უფრო მწერებივით ნელი კანკალით მიედინებოდნენ კედლისაკენ.

— ალი ქრება საკუთარი წვის პროდუქტებისაგან, — შენიშნა კამარელმა. — ცხელი ნახშირმჭავა, რომელიც გამოიყოფა წვის დროს, უფრო მჩატეა, ვინმემ მის გარშემო ჰაერი და ჩვეულებრივი სიმძიმის არეში უმალ ზევით მიილტვის და მის ადგილს მკაფადი იჭერს, ამნაირად ალი საზრდოობს. მაგრამ აქ სიმძიმე არ არის და ნახშირმჭავა იქვე რჩება, სადაც ჩნდება, გარს ეკვრის ალს, არ უშვებს მასთან მკაფებადს და ალიც ქრება. შეუბერე და ხელოვნურად მოაშორე ალს ნახშირმჭავა.

ბრიანმა კიდევ აანთო ასანთი, მაკდონალდმა ნელა შეუბერა და პართლაც სიგარას მოეკიდა.

ამ დროს დინგვეიმ ფანჯრის ოვალურ ჩარჩოს ხელი ჩასჭიდა და ფანჯრისაკენ მიიწია. გაიხედა ფანჯარაში თუ არა, საშინლად დაიდრიალა:

— ვაიმე, მიშველეთ, სადა ვართ?

ფანჯრიდან ჩანდა განათებული დედამიწის უზარმაზარი ბურთი „რაუნიტს“ იმდენად დამორებული, რომ დინგვეის გონებაში დაუძლეველი სევდა ჩაედვარა და გული წაუვიდა.

— წყალი, წყალი! — დაიძაბა ბრიანმა, წაავლო ცალი ხელი დინგვეის და ძირს დასწია.

გულწასულს თვალები დახუჭოდა და ტუჩები უთრთოდა.

— მე მაქვს წვეთები! — სთქვა მაკდონალდმა და საჩქაროდ გახსნა თავისი ჩემოდანი. ამოიღო ყავისფერსითხიანი პატარა შუშა და წვეთის სასმელი ჭიქა.

— დამიკავეთ ჭიქა! — მიმართა კამარელს.

— დადვით ჰაერზე, დაჭერა რად უნდა?

— ჰო, დამავიწყდა, — და მაკდონალდმა ჭიქა ჰაერში გააჩერა.

მოსხნა შუშას თავსაცობი და ნელა დაბარა კიჭის თავზე, რომ წვეთები დაეთვალა.

ბევრი ატრიალა, მაგრამ შუშადან წვეთები არ იღვრებოდა. შუშა თვალეზთან ახლო მიიტანა და გაჰხედა.

— რა დამართა, ნეტა, ხომ არ შედედდა?

სითხე ჩვეულებრივად კამკამებდა შუშაში.

— რად უნდა ვადმოიღვაროს, რა ძალა ადგას? — სთქვა კამარელმა. — შუშას ფსკერზე ხელი დაარტყით და სითხეც წამოვა.

მაკდონალდმა სამჯერ დაჰკრა თითი შუშის ფსკერს და იმ წამსვე შუშადან ამოიბურთა ყავისფერი სითხე, კაკლის ოდენა ბუშტებივით ამოგორდა და იატაკისკენ თრთოლვით დაეშვა. მოხვდა თუ არა იატაკს, მაშინვე რგოლივით გაიშალა და ზედ შეეწოვა.

— ეს რა მოუვიდა? — გაუკვირდა მაკდონალდს.

— რაც უნდა მოსვლოდა. — უპასუხა კამარელმა. — სიმძიმეს მოკლებულ სივრცეში თავისუფლად მიშველებული სითხე სფერულ ფორმას იღებს. რაიმე სხეულს თუ მოხვდა, თუ ის გაქონილი არის, ზედ შეეწოვება.

— ჩვენი საშველი არ ყოფილა და ისაა! — სასოწარკვეთილებით წარმოსთქვა მაკდონალდმა და ცარიელი შუშა გადააგდო.

შუშა კედელს მოხვდა და ისევ მაკდონალდს დაუბრუნდა.

ამასობაში დინგვეი თვითონ მოვიდა ცნობაზე და თვალეზი გაახილა.

— წყალი! — ძლივს გასაგონად ამოიხივლა.

ბრიანმა მაგიდაზე შენიშნა წყლით სავსე გრაფინი, ლითონის სალტეში ჩასმული. ამოაძრო ბუდიდან, მოხადა საცობი და ქვევიდან ხელი ჰკრა.

გრაფინიდან ნელ-ნელა ამოიბუშტა რაც შიგ წყალი იყო ერთ ვეება წვეთად და რხევითა და ციმციმით აცურდა ჰაერში.

— ვინ დაიჭერს ახლა ამ წყლის ბურთს, რომ ავადმყოფს პირი დაუუსველოთ? — შეწუხდა მაკდონალდი.

— კიდევ რომ დაიჭიროთ, არაფერი გამოვა, — სთქვა კამარელმა. — ასეთი ბურთის ჩაყლაპვა არც ისე ადვილია.

— მაშ ჩვენ აქ წყალი ველარ დავგილევი? — გაბრაზდა მაკდონალდი.

— აქ სმისთვის სხვაგვარი ხერხია საჭირო. ღვინო ხომ არავის აქვს? — იკითხა კამარელმა.

— მე მაქვს! — და ბრიანი თავის კაბინაში გაცოცდა და ერთი ბოთლი ფრანგული „ბორდო“ შემოიტანა, საცობი ამოაძრო და კამარელს გადასცა.

კამარელმა ჯიბიდან ამოიღო სათუთუნე მუშტუკი და დინგვიის პირში ჩაუღო. მერე ღვინიანი ბოთლი მუნდშტუკის მეორე ბოლოს ზედ დაამხო.

— მოსწოვეთ! — უთხრა დინგვიის და ბოთლს ხელი გაუშვა. როცა საკმაოდ შესვა, ბოთლი მოაშორა და მუნდშტუკიც პირიდან ამოაძრო:

დინგვიე ღვინომ ჯანზე მოიყვანა და ჭამის მაღა გაუხსნა.

— ფანჯარასთან მდგარს მე ამის მეტად ვეღარ მნახავთ. — სთქვა მან და მოაჯირს მოჰკიდა ხელი.

— ნუ ღელავთ, დაისვენეთ! — უთხრა კამარელმა, — ყველაფერს შეეჩვევით, დაისვენეთ! — საშიში აქ არაფერია!

— შართალი ხართ. ეხლა კარგად ვგრძნობ თავს. წარმოიდგინეთ, მომშივდა კიდევ.

— კუჭი თავის ჩვეულებას უჩვეულო პირობებშიაც არ იშლის. — შენიშნა მაკდონალდმა და უეცრად იკითხა:

— ელექტრონი ხომ არ მოქმედებს აქ ჩვეულებრივად?

— ისევე, როგორც დედამიწაზე. — მიუგო კამარელმა.

— მადლობა ღმერთს! — წამოიძახა ბრიანმა. — მაგრამ საიდან არის ამდენი ენერჯია ამ ხომალდზე, ნუთუ ყველაფერს ის ლურჯი კოლოფი ამოძრავებს?

— ენერჯია აქ გამოუღვევლია — მიუგო კამარელმა. — ლურჯი კოლოფი ხომ ატომის უსაზომო ენერჯიის შემკული რეზერვუარია უღვევი და საწყაო მიუღვამელი, მაგრამ სითბოსა და ელექტრონის ხომალდი ღებულობს მზის სხივებისაგან განსაკუთრებული მოწყობილობის მეოხებით. აქ ხომ მზე განუწყვეტლად ანათებს, ვინაიდან აქ „ღამე“ არ არის და არც ღრუბელი ეფარება მას.

— მაშ, არც ისე ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე. — წამოიძახა მაკდონალდმა. — მე თან მომაქვს ყოველი შემთხვევისათვის ელექტრონის საშარეულო, თუ აქ სადმე შტეპსელს ვიპოვნით, — და კაბინას ირგვლივ თვალი მოავლო. — აგერ, მაგიდასთან, ბარე ორი ერთად.

მაკდონალდი ისევე თავის ჩემოდანს მიუბრუნდა. ამოალაგა ელექტრონის სამკუთხი ღუმელი, ტაფა, საყავე, კონსერვები და სხვა სანოვაგე და დიდი სიფრთხილით, რომ მკირგოდენი ბიძგის, ან შებურვისაგან ჰაერში არ აფრენილიყო ყველაფერი, უსუნთქავად დაიწყო მაგიდაზე და შეუდგა საუზმის მზადებას. თუმცა სულ ერთი იყო მაგიდაზე „დააწყობდა“ სანოვაგეს თუ ჰაერზე, მაინც ფსიქოლოგიურად უფრო ჩვეულებრივი და ბუნებრივი იყო მაგიდასთან მუშაობა.

— ისეთი საბივშტეკსო სუკი მაქვს თბილისიდან წამოღებული,

რომ მოგეწონებათ! — ამბობდა დიდი ბრიტანეთის პრემიერი და მზარეულის როლით გატაცებული დიდ ფაცა-ფუცში იყო. და  
ტაფაზე კარაქი ამუშხუნდა. „მზარეულმა“ ზედ სუქის ნაჭერი დასდო, მაგრამ იმავ წამს კარაქის მკვრივმა ორთქლმა სუქი ააგდო.

ბრიანი, რომელიც რამდენიმედ უკვე შეეგუა უჩვევე მდგომარეობას, გამოეყიდა გაფრენილ ბივშტექსსა, დაიჭირა, კვლავ ტაფაზე მოათავსა და ზედ თეფში დაახურა.

— თეფშს თითი დააჭირეთ. — უთხრა კამარელმა. — და ვიდრე ხორცი არ შეიწვას, ხელი არ შეუშვათ.

მაკდონალდმა თეფშს თითი დააჭირა, მაგრამ მაშინვე იატაკს მოშორდა და გრძელი ფეხები ჰაერში გაიშხლართა.

კამარელმა ხელი სტაცა უხეირო მზარეულს, ძირს დასწია, ანლო ჩემოდანის ღვედი და მარჯვენა ფეხით მაგიდის ფეხზე მიაკრა.

— ვიშველოთ ღმერთმა! — წამოიძახა მაკდონალდმა და უფრო იმედიანად და თავისუფლად შეუდგა თავის ახალი მოვალეობის შესრულებას.

დიდის წვალეებით, მაგრამ, როგორც იყო სუქი შეიწვა და მგზავრები შეექცნენ უცნაურ საუზმეს.

დინგვეიმ ცხვირსახოცით მაგიდის მეორე ფეხზე მიიმაგრა თავისი აფარფატებული სხეული და ამგვარად მოიპოვა წონასწორობა. კამარელი და ბრიანი კი, ეკლესიის გუმბათზე მიხატულ მოციქულებივით. ჰერტვეშ იყვნენ გაწოლილნი და ისე მიირთმევდნენ სუქის ნაჭერს.

მაკდონალდი ახლა ყავის სამზადისს შეუდგა. დინგვეიმ თავის კაბინიდან წყლით სავსე გრაფინი გამოიტანა და წყლის ბუშტი დიდ წვალეებით ჩასვა საყავეში. მაგრამ აქაც ჩვენს მზარეულს მარცხი შეემთხვა: საყავეს ირგვლივ მოედო წყალის თხელი შრე, ნაპირიდან გადმოეფინა და მაგიდაზე გაიშალა.

— საყავის კიდურს კარაქი წაუსვით და წყალი არ გადმოვა, — ურჩია კამარელმა.

— გადმოვიდა და ეგ არის, კი აღარაფერი დარჩა შიგ. — ბუზღუნებდა მაკდონალდი.

წყალი ბრიანის კაბინიდან მოიტანეს. საყავის გაქონილმა ნაპირებმა წყლის ბუშტი შიგ დააკავა და ცხელი ყავის დაღვეის იმედი ისევ გაცოცხლდა.

მაგრამ გავიდა საკმაოდ დიდი დრო და საყავე დუღილს არ აპირებდა. არა თუ დუღილს, წყლის ოდნავ გათბობასაც ვერ ეღიროსა გამოცებული მზარეული და ისევ აბუზღუნდა.

— ღუმელი ცხელია, საყავის ფსკერიც გაუარვარებული, და წყალი რად არ დუღდება?

— აღუღდება, მაგრამ დიდი ხანი გაივლის. — სოქვა კამარელმა.

— როდისღა? — ხვალამდე ხომ ვერ დავიცდით?

— შესაძლოა ხვალამდეც არ აღუღდეს. თუმცა არ ვიცი, რას ნიშნავს ეს.

შნავს „ხვალ“ იქ, საცა არც დღეა და არც ღამე.

— მაინც რა მოუვიდა წყალს, რომ სითბოს არ იკარებს?

— სიმძიმე დაჰკარგა.

— სიმძიმე რა შუაშია? — ჩაერია დინგვეი.

— მოიგონეთ, — სოქვა კამარელმა, — როგორ დუღდება წყალი

ჩვეულებრივ პირობებში: გახურებულ ფსკერიდან ცხელი წყალი ზევით იწვეს, როგორც უფრო მსუბუქი, მის ადგილს ცივი წყალი იჭერს, ვიდრე გათბებოდეს, რომ შემდეგ ისევ მალა ავარდეს, ამგვარად თბილი და ცივი წყალი ერთმეორეს სცვლის, ჩქარა ცხელდება და იწყებს დუღილს. აქ კი ცხელი წყალი ფსკერზე რჩება და ზედ ცივი ნაწილი შეიძლება გათბეს მხოლოდ სითბოგამტარობის მეოხებით. სითბოგამტარობა კი წყალს ძალიან მცირე აქვს. ჩვენს პირობებშიაც ქვაბს რომ ცეცხლი ზევიდან ხუფზე დაუნთო, ასევე გვიან აღუღდება წყალი.

— ჰაერიც ცული გამტარია სითბოსი, როგორღა თბება კაბინა, — შენიშნა მაკდონალდმა.

— დააკვირდით ამ კედელს. — მიუგო კამარელმა და ზევიდან გადმოხედა ფანჯრიდან კედელს. — მაგრამ ჯერ შეგვეითხებით: რითია გაკრული თქვენი აზრით, კაბინის კედლები?

— ხავერდით, ან მის მაგვარი ქსოვილით. — უპასუხა ბრიანმა.

— მეც ასე მეგონა პირველად, მაგრამ აბა, შეახეთ ხელი! — ეს მომწვანო ხავერდი ჩვენთვის უცნობი ლითონია, რომელიც ელექტრონის სითბოს ავრცელებს. მაგრამ თბილი ჰაერი კედლებს არ მოშორდებოდა და კაბინა დიდხანს არ გათბებოდა, ფანჯრის მხარეზე განსაკუთრებული აპარატი რომ არ იყოს მოწყობილი კედელზე. ხომ ხედავთ მთელი კედლის გასწვრივ კარნიზივით გაყოლებულ სრიალას? მისი ტრიპლი იწვევს ჰაერის შეუმჩნეველ მოძრაობას და თბილი ჰაერი განუწყვეტლივ სცილდება კედლებს და ათბობს მთელს კაბინას.

მგზავრებმა მხოლოდ ახლა შენიშნეს ყველაფერი ის, რაზედაც კამარელი მოუთხრობდა: სრიალას ზემოთ კუთხეებში ორი რაღაც პატარა მანქანა მოძრაობდა კიდეც.

— ეგ რაღა მანქანებია? — იკითხა დინგვეიმ.

— მარცხნივ რომ არის — მკაბადით ჰკვებავს ჰაერს, მარჯვნივ ჰაერს სწმენდს, ნახშირმკაფავს ისრუტავს.

მაკდონალდმა ყავა რომ ველარ აადულა, თავი დაანება საყავეს.

— ღვინო მაინც დავლიოთ, — სთქვა მან და „ბორდოს“ წააღწია ხელი.

მუნღმტუკით რიგრიგობით „მოსწიეს“ ღვინო და „წამოწვენიდა“ დასასვენებლად.

— თქვენ დღეს ჩემი სტუმრები ხართ, — მიმართა მაკდონალდმა კაბინაში მყოფთ, — რადგანაც ჩემს ოთახში ისვენებთ. ბოდვის ვიხიდი, რომ უკეთ ვერ მოგასვენეთ, — სთქვა ეს თუ არა. ფეხზე დგედი შეიხსნა და ჰაერში გაიშოტა. დინგვეიმაც ფეხი გაითავისუფლა და მაკდონალდის ქვემოთ თავდაღმა დაეკიდა.

კამარელი და ბრიანი ჰერთან ოდნავ ქანაობდნენ. ბრიანს თითქო ჩასძინებოდა, ხოლო ჩაფიქრებული კამარელი თანჯარიდან სივრცეს გასცქეროდა.

უცნაური „ცა“ მოსჩანდა. სამყაროს წყვედიად ღამეში მზე ანათებდა, მაგრამ ბნელ ცას სინათლე არ ეფინებოდა. ახლად დაფერილივით ბრჭყვიალებდნენ სხივგაყინული ვარსკვლავები, დედამიწა კი, ბრწყინავდა, როგორც უზარმაზარი დისკო თეთრად ასხივებულ პოლუსით. მთვარე თეთრ შუქიანი ფარანივით წინ მიუძლოდა მას სამყაროს ბნელ უდაბნოში. ოკეანეთა მუქ სივრცეზე ნათელ ლაქებად ელავდა ხმელეთის ნაწილები, ძლივს ირჩეოდა ციმბირის თოვლიანი ველი და კავკასიონის თეთრი ქედი. კამარელის ფიქრი თავს დასტრიალებდა ამჟამად ცის მანათობელ სხეულად გადაქცეულ დედამიწას, კაცობრიობის სისხლითა და ცრემლით, ნაღველითა და იმედით დატვირთულ ხომალდს...

უცებ დედამიწა დაქანდა და სადღაც ჩაიმსხვრა, ვარსკვლავები ხახებად იქცნენ და კამარელმა იგრძნო, რომ იატაკზე ეცემა. და იმავე წამს ოთხივე მგზავრი ძირს გაინართხა. ჰერთან ჰაერში მოლივლივე ცარიელი ბოთლი იატაკს დაენარცხა და დაიმსხვრა.

— რა ამბავია? რა მოხდა? — წამოიძახეს გაოცებულმა დელეგატებმა და ფეხზე წამოდგნენ.

— სიმძიმე დაგვიბრუნდა! — დაიღრიალა დინგვეიმ და კაბინაში თამამად და მძიმედ გაიარ-გამოიარა.

დანარჩენებმაც იგრძნეს იატაკზე მაგრა დგომისა და სიარულის უნარის მობრუნება. სხეულში სიამოვნების გრძობასთან ერთად ნაკადივით ჩაიღვარა სიმძიმისა და წონასწორობის უჩინარი სისხლი. კამარელი კაროს კაბინაში გავარდა.

— ალბათ, რომელსამე დიდ პლანეტას მიუუახლოვდით, — სთქვა ბრიანმა.

— ჩვენ ირგვლივ დედამიწაზე უფრო დიდი ჯერ არაფერი მოჩანს. — მიუგო მაკდონალდმა.

— იქნება შესდგა „რაუნტი“ და ჩვენც მოძრაობის ინერცია დაეკარგეთ?

— მაშინ დედამიწა მიგვიზიდავდა.

— რა იცით, იქნება დედამიწაზე ვვარდებით? — შეეშინდა ბრიანს.

— ასეც რომ იყოს, სიმძიმე მაინც არ უნდა დაგვბრუნებოდა, — უპასუხა მაკდონალდმა. — ვიდრე დავეცემით მიწაზე, ხომ თავისუფალი ინერციით ვიქროლებთ სივრცეში? მაშასადამე, არც სიმძიმეს უნდა ვგრძნობდეთ.

— მაშ, რა უნდა იყოს?

შემოვიდა კამარელი.

— მოქალაქენო! ინჟინერი კარო გითვლით სალამს და გთხოვთ სადილად ეწვიოთ მას ერთი საათის შემდეგ.

— რა მოხდა? რატომ გამოიცვალა მდგომარეობა? — ეცნენ კამარელს ყოველი მხრიდან.

— რომ წყალმა იდინოს, ხორცი შეიწვას და ჩვენც შეგვეძლოს ჩვეულებრივ პირობებში ჭამა და მოსვენება, კარომ „რაუნტი“ მისი ღერძის ირგვლივ დაატრიალა, ასე რომ ახლა „რაუნტი“ პაწაწინა ასტეროიდივით ბრუნავს.

— შერე?

— სხვა არაფერი. — მიუგო კამარელმა.

— რამ დაგვიბრუნა სიმძიმე? — ჰკითხა მაკდონალდმა.

— „რაუნტის“ ტრიალმა.

— რანაირად?

— ცენტრიდანი ძალის საშუალებით. სწრაფად მბრუნავმა „რაუნტიმა“ შექმნა ცენტრიდანი ძალა, რომლის მოქმედებას განვიცდით ჩვენ ახლა, როგორც სიმძიმეს.

— ე. ი. ჩვენ მივისწრაფით მოვსწყდეთ „რაუნტის“ და ვიქროლოთ მის გარეშე? — იკითხა მაკდონალდმა.

— სწორედ. ამიტომ ჩვენ ვაწვებით იატაკს ისე, თითქო მისი გარღვევა გვსურდეს.

— სრული ილუზიაა მსოფლიო მიზიდულობის. — სთქვა ბრიანმა.

— აქი ამტკიცებს სახელგანთქმული აინშტაინი, რომ მსოფლიო მიზიდულობისა და ცენტრიდანი ძალის შორის არავითარი განსხვავება არ არისო! ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელოვნურად შევქმნათ მსოფლიო მიზიდულობის არე.

კამარელი კაროსთან წაეიდა.

ღინგვეი თავის კაბინაში შევიდა. კრანი ღია დარჩენოდა და წყა-

ლი ჩხრიალით იღვრებოდა ფაიფურის ბაქანში. გრაფინი აავსო, სი-  
მოვნებით დალია ცივი წყალი და ისევ ტალანში ვავიდა, სადაც ბრი-  
ანი და მაკდონალდი სეირნობდნენ და მათ შეუერთდა.

ზუსტად ერთი საათის შემდეგ ტალანში კამარელი გამოჩნდა.

— მასპინძელი გვიცდის, — შორიდანვე გაეზმაურა იგი დელე-  
გატებს. — სადილი მზად არის.

— ჩვენც მზადა ვართ, — შესძახა ბრიანსა და დინგვეის და მეგო-  
ბართა სამეული კამარელისკენ წამოვიდა.

კამარელი მათ კაროს კაბინაში შეუძღვა.

სუფრა უკვე გაშლილი იყო.

დელეგატები გააკვირვა პირველხარისხოვანი table d'hôte და სა-  
ამურმა იერმა და მადის აღმძვრელმა სურნელებამ. განიერი კაბინის  
გიშერივით შავ კედლებისა და ჭერის ფონზე იშვიათ ხელოვნებით  
შესრულებულ Nature Morte — ივით ბზინავდა დიდის ოსტატობით  
მორთული სუფრა, ფაიფურით, ბროლით და ვერცხლით დამძიმებუ-  
ლი. ოქროსფერ საცობიან ღვინის ბოთლებს შორის სუფრაზე იდგა  
სამი მაღალი ჩინური ლარნაკი ცოცხალი ყვავილების თაიგულებით  
შემკული. ყვავილთა შორის უცნაური შუქით ირჩეოდა თეთრი ზამ-  
ბახის მოზრდილი ფილები, რომელნიც ელექტროს სანათურებივით  
ანათებდნენ. ელვარე ყვავილებით გაოცებული დინგვეი მიუახლოვ-  
და სუფრას და შეუშინველად ხელი შეავლო ერთ-ერთ ზამბახს. თი-  
თემს მოხვდა ზავერდივით რბილი და სათუთი ფოთოლი. თითქოს  
დინგვეის ნების გარეშე თითებმა მოულოდნელად ზამბახს ფილის  
ნახევარი აახიეს. დინგვეიმ ყვავილის ნახევი თითებით ხელისგულზე  
დაისრისა და ხელზე დაიხედა. ხელისგულზე და თითებზე გასრესილ  
ციცინათელას ნაკვალევით ციმციმებდა ფოსფორიული ზოლები.  
ცხადი იყო, თუმცა ძნელად დასაჯერებელი, რომ კაბინას ანათებდა  
ცოცხალი ყვავილის შუქი.

ვეზობელ კაბინიდან გამოვიდა კარო და დელეგატებს მიესალმა.

— ხომ არ მოგწყინდათ „რაუნიტ“-ზე? — ჰკითხა მან მგზავრებს  
და სუფრაზე მიიბატიყა.

— მოწყენას რა უნდა გაუგონარ ჯადოსნურ ფანტასტიურ ბუ-  
დეში? — დიმილით მიუგო დინგვეიმ და ბრიანს მიუჯდა.

— თქვენ აქ დაბრძანდით, ჩემს გვერდით, — მიმართა კარომ  
კამარელს და სკამი შესთავაზა. — თქვენთვის მე აქ მომარაგებულ  
მაქვს თქვენი საყვარელი ქართული საჭმელები.

— ფანტასტიკას და ჯადოსნობას — მიუბრუნდა იგი დინგვეის, —  
ჩვენ არ ვიცნობთ. ყველაფერი, რასაც თქვენ „რაუნიტზე“ ხედავთ,  
ბუნებრივია და რეალური.

ყველანი დასხდნენ.

— ესეც ბუნებრივია? — წამოიძახა დინგვეიმ და მარცხენა ხელთახალს დასწია. ხელისგულზე და თითებზე ქანგივით აჩნდა სხივოსანი ზამბახის მიმხმარი სისხლი.

— საეცებით. — მიუგო კარომ და თაივულიდან ერთი ზამბახის ღერო ამოაძრო. ღეროს მოსწყდა ცეცხლივით აკრიალებული წვეთი და სუფრაზე დაეცა. წვეთის წინწყლები სხივებივით გაიფანტნენ ირგვლივ.

— ლარნაკში მოთავსებულია ფოსფორის სითხე, ლეტარგინით შეზავებული, — განაგრძო მან. — ამ სითხით იკვებება ყვაილი და მისი შეოხებით ყვაილის ამ უჯრედებს, რომელნიც სურნელებას გამოსცემენ, ეძლევა სხივების ემანციის ძალა. ამ უბრალო საშუალებით შესაძლებელია ყოველგვარი ცოცხალი სხეულის სინათლის წყაროდ გადაქცევა.

კარომ ზამბახი ბრიანს გადასცა. დელეგატებმა დიდის ცნობის-მოყვარეობით დაათვალიერეს ანთებული ყვაილი და კაროს დაუბრუნეს, რომელმაც ისევ ლარნაკში ჩასდო.

ყველაფერი გასაკვირი იყო და უჩვეულო ჩვენი მგზავრებისათვის ამ საოცარ ხომალდზე, ამიტომ თავი შეიკავეს განცვიფრებისაგან, როცა ყოველ დელეგატს სუფრაზე მისი საყვარელი საჭმელების საგანგებოდ შერჩეული კერძები დახვდა, ვინ დაამზადა ამ ხომალდზე ამდენი რიგი საჭმელი? როგორ მოასწრო ერთი საათის განმავლობაში მრავალგვარი კერძის დამზადება, ან ვინ არის ის მზარეული, რომელიც ასეთს სასწაულს სჩადის? მიუხედავად ამ კითხვათა სრული გაურკვევლობისა, მგზავრები დიდის ხალისითა და მადით შეუდგნენ სადილობას. როცა ღვინომ სისხლი საკმაოდ შეახურა, ენამაც მეტი სარბიელი იბოვა და ბევრი ფარული გულისთქმა უნებლიედ ამოჰყვა ღვინის ორთქლს.

— ბატონებო! — გრგვინავდა ბრიანი. — ბევრ ბანკეტს დავსწრებოვარ, ბევრჯერ მჭერია ხელში ღვინით სავსე ჭიქა, როგორც ელვარე ხმალი, და ბევრი სიტყვა მითქვამს დანასავით მჭრელი და ტყვიასავით მძიმე, მაგრამ ამგვარი პასუხსაგები და ქრუანტელის მომგვრელი მომენტი მე ჯერ არ განმიცდია. ყოველთვის, როცა სიტყვისათვის წამოვდგებოდი ხოლმე, მე მხედველობაში მქონდა ტერიტორია, რომელზედაც ვიდექი და დროშა, რომელიც ჩვენს თავზე ფრიალებდა. ვის მიწა-წყალზე ვდგევართ ახლა ჩვენ? ვისი დროშა გვმფარველობს? მე არაფერს ვამბობ მარსზე, რადგანაც ჩვენ მას უფრო დაშორებული ვართ, ვიდრე დედამიწას. სად არის ახლა დედამიწა? იგი ლამის ჩვენს თვალწინ ვარსკვლავად გადაიქცეს და მეც უცნობი ში-

შის განუცდელი გრძნობით მავსებს წარმოდგენა, რომ ჩვენ დედამიწის გავლენის გარეშე ვიმყოფებით. მაგრამ მე მჯერა ტექნიკის ყოველის შემძლეობა. ჩვენ დაებრუნდებით ისევ ჩვენს პლანეტაზე ალალ ცოდნით, ახალი სიბრძნით შეიარაღებულნი და ჩვენი ქვეყნის დროშას ახალი სხივებით შევმოსავთ.

ბრიანმა ჭიქა გამოსცალა და კაროს თავი დაუკრა.

— თქვენი წესის მიხედვით სიტყვა მე მეკუთვნის, — სთქვა კარომ, — მაგრამ მე სათქმელი არაფერი მაქვს, და თუმცა თამადად არ ავირჩევივართ, სიტყვას მაკდონალდს ვუთმობ.

მაკდონალდი ამ დროს წიწილის ფრთას ახრამუნებდა, სანქაროდ გაისწორა ხელსახოცით ულვაშები და წამოდგა.

— მეგობრებო! — დაიწყო მან ოდნავ ათრთოლებული ხმით: — არასოდეს არ მიგრძენია თავი ისე უნიადაგოდ, — როგორც ახლა, არასოდეს არ შევუპყრევიარ მარტოობის გრძნობას ისე, როგორც ამჟამად. ყოველი პოლიტიკური მებრძოლი ანთეოსსა ჰგავს: მის ძალას ჰკვებავს უჩინარი ფესვებით ის სოციალური ნიადაგი, რომელზედაც ის აღორძინდა. სადა ვარ ახლა მე? რა ნიადაგზე ვდგავარ? სადღაც ჰაერში ვკიდივარ. უფრო მეტი—ჰაერსაც მოშორებული ვარ. გაჩხირული ვარ სადღაც ცის სივრცეში ორ მსოფლიოს შუა. რა ძალას უნდა ვგრძნობდე ასეთს მდგომარეობაში? მაგრამ, მეგობრებო, მიუხედავად ამისა, არასოდეს არ მწამებია ხალხთა შორის სოლიდარობა ისე, როგორც ახლა. ვთქვათ გულწრფელად ყველაფერი, რასაც ვგრძნობთ. დრედნოუტებითა და ტანკებით გარშემორტყმულნი არა ვართ, არაფრის შიში არა გვაქვს, ვიქნეთ სავსებით გულახდილნი. იქნება ამ ზღაპრულმა დაშორებამ უფრო ღრმად ჩაგვახედოს ჩვენს საერთო ტკივილებში და მოგვეცეს მეტი ობიექტივობის უნარი. შევკრახთ პირი, რომ დედამიწაზე დაბრუნების შემდეგ ვიბრძოლებთ საერთო ნიადაგზე, საერთო ძალღონით და საბოლოოდ უკუვაგდებთ ურთიერთ სიძულვილისა და მტრობის გზას. შეთანხმება ყოველთვის ჩემი დევიზი იყო და აქ განსაკუთრებული სიცხადით ვგრძნობ ამ დევიზის სიმართლეს. მხოლოდ შეთანხმებული მუშაობით არის შესაძლო იმ გრანდიოზული მიზნის მიღწევა, რაც ამჟამად ჩვენს წინაშე დასახულია, მხოლოდ საერთო საქმის სიყვარულს ძალუქს აღამაღლოს ჩვენი დროშა იმ სიმაღლემდე, საიდანაც თანაბრად მოჩანს მთელი კაცობრიობა.

— მე აშკარად უნდა განვაცხადო, — სთქვა დინგვეიმ, — რომ ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი ყველაფერ ირაციონალურის და არასოდეს არ მომწყურებია გაუგებარის ვაგება. ვიყავი ჩემთვის მკვიდრად, მყარად და ხუთი თითივით ვიცოდი ქვეყნის აკარგი,

ახლა კი, ისეთს ყოფაში ჩავევარდი, რომ აღარ ვიცი, რა ხდება ჩემს ვარშემო. დავეკარგე სიმძიმესთან ერთად რეალობის გრძნობაც და ყოველ წუთს ველი გაუგონარს და უნახავს. ასე მგონია, საცაა კარს შემოაღებს ცეცხლის მახვილიანი მთავარანგელოზი და მამა ღმერთის ბრძანებას გამომიცხადებს. ბრძანება სთქვა, აღარ ვიცი, ვის ტერიტორიაზე ვარო. მამაღმერთის ტერიტორიაზე ვართ, ანგელოზო, და დროშაც რომ გვექონდეს, საეკლესიო ბაირალი უნდა აგვემართა, სადაც სული წმინდაა გამოსახული მტრედევით და საბაოდ ღმერთის ცალი თვალის სამკუთხედი. დედამიწასთან ერთად გაქრა ყოველგვარი რეალობა და ამ გაყინული სივრცის უდაბნოში თანტასმავორია ჩვენი ბანკეტი. მე არაფრის თქმა არ შემიძლია, მაგრამ ვინაიდან ყველამ ახსენეთ კაცობრიობის დროშა, მეც მინდა შევძახხო: გაუმარჯოს ჩვენს დროშას!..

დინგვეი დაჯდა და ჭამა განაგრძო.

კარომ კამარელს გადახედა.

ჩამოვარდა სიჩუმე, რასაც დინგვეის კბილების ჩახა-ჩუხი და ბრძანის მძიმე ხვნეშა არღვევდა.

— მე მაქვს სამივე ორატორის მიმართ ერთი შეკითხვა, — სთქვა კამარელმა. — მე მინდა ვიცოდე, რომელია ის დროშა, რამაც უნდა გააერთიანოს დედამიწაზე ჩვენი მუშაობა.

— ეს არის კაცობრიობის დროშა. — მიუგო ბრძანმა.

— რა სწერია ამ დროშაზე?

— ცივილიზაცია და პროგრესი.

— ვინ ატარებს მას?

— განათლებული ქვეყნები.

— ყავას ხომ არ მიირთმევთ? — შეეკითხა დელეგატებს კარო.

დელეგატებმა ვერც კი მოასწრეს პასუხი, რომ სახეზე ცხელი ყავის ორთქლი ეცათ. წინ რომ დაიხედეს, შავი ყავით აორთქლებული ფინჯნები შენიშნეს. ვინ მოიტანა? როდის? ნუთუ ლაპარაკით ასე გაერთნენ, რომ ყავის ჩამორიგება ვერ შეამჩნიეს? თუ ესეც ის ჯადოსნური თვალთმაქცობაა, რომლითაც საგსეა ეს საოცარი ხომალდი?

ამ დროს მოულოდნელად ახმაურდა რადიო აპარატი და კაბინაში გაისმა „რაუნტი“-ს ევროპულ სტუმრებისათვის ნაცნობი პარზის ერთ-ერთი ფეშენებლური რესტორანის კონფერანსიეს თავაზიანი სიტყვები:

— ბატონებო! — ამბობდა კონფერანსიე, — ამ საღამოს ჩვენი კონცერტი მიეძღვნება ჩვენი ქვეყნის სახელოვან ბელადს არისტიდ

ბრიანს. (გაისმა დარბაზის გუგუნი: „Vive Briant!“) ამემამდ, როგორც მოგეხსენებათ, ის მეთაურობს მარსზე წარგზავნილ დელეგაციას. ვინ იცის, სად არის ის ამ წუთს? იქნება უკირს რაიმე ვარსკვლავთაშორის გაყინულ სივრცეში? მგზავრობა გაუგონარია და ათას ხიფათთან და ფათერაკთან გადაბმული. მხოლოდ შეუღარებელ პატრიოტს, სწორუბოვარ ვეკაცს და უდრეკ პოლიტიკურ მოღვაწეს შეეძლო ასე თავის გაწირვა. ვუსურვოთ მას გამარჯვება და მშვიდობით დაბრუნება.

კაბინაში გაისმა რესტორანის დარბაზის გუგუნი, მოწონების ხმები, ტაში და ნელი ენებიანი მუსიკა.

ბრიანს თვალეზში ნამი ჩაუდგა.

უხერხულობის გრძნობა შესცვალეს სულ სხვა ემოციებში.

— ესეც თქვენბური ნამცხვრები, — კარომ ბრიანს და დინგვეის ევრობული ქადები გადააწოდა. — ეს ქართული ხაჭაპური თქვენი, — მიმართა კამარელს. — ესეც თქვენი საყვარელი ბისკვიტი, — და კარომ მაკდონალდს წინ დაუდო ინგლისური ბისკვიტით სავსე ლამბაქი.

ბისკვიტის ხსენებაზე მაკდონალდს ფერი ეცვალა და კამარელს გადახედა.

კამარელის თვალეზში შეგავებული ღიმილი ფრთებს იღვწდა.

მაკდონალდმა ყავა ისე მოსვა, თითქო შხამიანი ფილა დასცალაო.

სადილი დასრულდა.

დელეგატებმა კაბინებს მიაშურეს და ღვინით აფორიაქებული სხეული ჩვეულებრივ საწოლზე დაასვენეს.

კამარელიც სიამოვნებით გაიშხლართა ისეც დამძიმებული ტანით თავის საწოლზე.

იყო აბსოლუტური სიჩუმე და სრული უძრაობის შთაბეჭდილება.

კამარელს მალე ჩაეძინა.

უცხად თბილისში გაჩნდა.

ირგვლივ რატომღაც თოვლია და გაყინული ქარი ჰქრის.

კამარელი გარბის ამ თოვლის მინდორზე, მაგრამ ეს თოვლი კი არ არის, არამედ შუშასავით მაგარი და გამჭვირვალე ყინულია.


ქარი ყინულის ნამსხვრევეებს აყრის სახეზე და სულს უხუთავს. ყინულის ერთ ზოდზე სამი კაცი ზის.

— სად არიან სხვები?! — უყივის მათ კამარელი.

— დაიღუპნენ!

ერთ მათგანს ფეხი დაჰზრობია და საშინლად გასიფებია.

უჭირავს ორივე ხელით ეს უზარმაზარი ფეხი და ამბობს:



— მე ვეღარ ვივლი! დამტოვეთ აქ! თქვენ მაინც უშველეთ თავს!  
 — გვებრალებით! — ეუბნებიან მას.  
 — თუ გვებრალებით ყინულზე პატარა საფლავი ამომიჭერით და

შიგ მომათავსეთ!

— დათვმა რომ შეგჭამოს?  
 — სამარეც მისთვის მინდა, რომ დათვმა ვერ მომნახოს.  
 ორი კაცი საჩქაროდ სჭრის ყინულს რკინის ბარებით.  
 ოდნავ ჩაღრმავებულ ყინულში აწვენენ ფეხდამწრაღს. ემშვი-

დობებიან და მიდიან.  
 უცებ მობრუნდებიან.  
 — გვებრალებით! ვერ დაგტოვეთ!  
 — დამტოვეთ! შემიბრალებთ! — შიშისაგან აკანკალებული ხმით იძახის ფეხდამწრაღი.  
 — ვერ დაგტოვეთ! გაიხადეთ ტანზე! — მოულოდნელად უყვი-

რის ერთი.  
 ფეხდამწრაღი ტირის და ნელ-ნელა იხდის ტანზე.  
 სრულიად გატიტვლებული წვება ყინულზე.  
 უცებ რევოლვერი იჭექებს და ტიტველ ადამიანის შუბლზე სის-

ბლი ითქრიალებს.  
 — მკლავები ეხლავე შეგწვათ და შეგჭვამოთ. — ამბობს ერთი. —  
 დანარჩენი ხორცი აქვე დაეფლათ და შეგინახოთ.

— კარგი — ეთანხმება მეორე და ვეება დანით სჭრის მკლავს  
 მხრის სახსარზე.

კამარელს გული ერევა და გარბის.  
 ხედავს ყინულში ჩასობილ ჰაერობლანს.  
 გარს ეხვევა ხალხი. ეჭიდებიან, მაგრამ ადგილიდან ვერ დაუძ-

რავთ.  
 კამარელი პროპელერს დაატრიალებს და ჰაერობლანიც ნელ-ნელა  
 დაიძვრის.

— დასხედით! — ყვირის ვიღაცა.  
 კამარელი ჯდება ჰაერობლანის კაბინაში, კაბინიდან ტალანში  
 გადის. ხედავს, ვიღაცას კიბე მიუდგამს კედელზე და ფანჯარასთან  
 წეალობს.

მიუახლოვდება.  
 ეს ხომ ბრიანია? „რაუნტი“-ს კედელზე.

მაკდონალდს კიბე უჭირავს და დინგვიც იჭვე დვას.

— არ გააღოთ ფანჯარა! — ყვირის კამარელი და კიბეს მივარ-

დება. — არ გააღოთ, თორემ „რაუნტი“ დაიღუპება.  
 მაგრამ, ამ დროს ბრიანი აღებს ფანჯარას და შიგ მიძვრება, საჩ-

ქაროდ აირბენენ მაკდონალდი და დინგვეი და ისინიც გამებრებანი ფანჯრიდან.

კამარელიც აპყვება კიბეს და ფანჯარაში გაიხედავს.

ბრიანი, მაკდონალდი და დინგვეი მიფრინავენ სივრცეში საოცარი სისწრაფით. შორიდან მოჩანს უკვე მოახლოვებული მარსი.

— მართლა, რა საჭიროა „რაუნტი“, როცა ისედაც ადვილი ფრენა? — ფიქრობს კამარელი და ფანჯრიდან გადახტება.

აჰა, უკვე მარსზე არიან.

ოქროს ფოთლებით დაბურული ტყე აემართებათ მათ წინ. დელეგატები ტყეში შეირბენენ.

კამარელი ცდილობს დაეწიოს მათ, მაგრამ ვეღარ ეწევა. თვალს კი არ აშორებს.

გაქცეული დელეგატები ერთ დიდ ხეს ამოეფარებიან.

შურდულივით გაექანება ამ ხისკენ და მოულოდნელ სანახაობას წააწყდება: ცამდე ამართული ბროლის მთა ძირს დაფენილი საფეხურებიანი ტერასებით. მწვერვალებზე დგას წითელი მოსასხამით შებურული კუბო, რომელზედაც დასვენებულია თეთრად მოელვარე მზე. ბრიანი, მაკდონალდი და დინგვეი გამალებით არბიან ტერასიდან ტერასზე. წინ მივბის ბრიანი. მაკდონალდი ფეხებზე ეპოტინება მას ხელებით, მაგრამ ბრიანი წიხლის კვრით იშორებს.

კამარელი სულდაუთქმელად ავარდება კიბეზე და სრიალით მისცურავს აღმა ბროლის აკრიალებულ საფეხურებზე. აღარ თაუდება ტერასები და საფეხურებს ბოლო არ უჩანს.

მწვერვალზე წითლად შებურული კუბო შეირხევა და კამარელს ელვასავით გაანათებს გედას სახე. დგას გედა ბროლის კოშკზე და მხესავით ბრწყინავს მისი თმა. მკერდი ღია აქვს ჭრილობასავით და მოსჩანს, როგორ ფეთქავს შიგ გული. უცნაური ფერი აქვს ამ გულს: იგი ლურჯად კამკამებს, თითქოს ცის შეკუმშული შუქია შიგ ჩადვრილიო.


— არ მიეკარო! — კივის კამარელი და ხედავს, რომ მაკდონალდმა უკვე გაასწრო ბრიანსა და დინგვეის და რამდენიმე საფეხური და უკლია მწვერვალამდე.

უცებ გედა ამოიძრობს მკერდიდან მფეთქავ გულს და ხელში ანთებულ ჩირაღდანავით დაიჭერს.

კამარელი ხედავს ახლა, რომ გედას ხელში გულის ნაცვლად „ლურჯი კოლოფი“ უჭირავს.

— აი, რის მოტაცება უნდათ ამ არამზადებს! — ფიქრობს კამარელი და თავგანწირულად მიიწეგს აღმა. უცბად მოაგონდება, რომ მას შეუძლია ფრენა და ფრთებსავით გაშლის მკლავებს.

და იმავე წამს მოსწყდება საფეხურს და ჰაერით მსუბუქი და ქარივით მალი ზედ მოექცევა აქლოშინებულ მაკდონალდს და...  
კამარელს გამოედევია.



საწოლს მოშორებული კერისაგან ბუმბულივით მისცურავდა.

— „რაუნტი“ უკვე აღარ ბრუნავს, — გაიფიქრა მან და კერს ხელი ჰკრა. ირიბად გამოქანდა და კაბინის კართან იატაკზე დაეშვა. გაპყვა მოაჯირს და მიწის კედლიან ოთახში გავიდა. გამჟვირვალე კედლიდან მკაფიო მოხაზულობით მოჩანდა კრიალა და უძრავ ვარსკვლავებით დატვირთული კოსმიური ღამე.

იმ კუთხიდან, საცა იგი იდგა, დედამიწა აღარ ჩანდა.

კამარელმა თვალი შეავლო ნაცნობ ვარსკვლავებს და სიყვარულით ჩააქცერდა შეიდეარსკვლავედს. არც ერთ ვარსკვლავს არ შეუცვლია თავისი ადგილი მიუხედავად იმისა, რომ „რაუნტი“ რამდენიმე მილიონ კილომეტრით დაშორდა უკვე დედამიწას. თითქოს თბილისში იჯდეს თავისი ბინის აივანზე და ღამის ცას გასცქეროდეს. აი, პოლარული ვარსკვლავი (ახლა იგი უკვე აღარაა პოლარული), რომელსაც ზედ დამხობიან უზარმაზარ კოვზივით ბრწყინვალე შეიდეარსკვლავედი. მის პირდაპირ მეორე მხარეზე დგას ქალის ცარიელი სავარძელი—კასიოპეა. აი კაშვავა ქნარი, ნარიყალას ნანგრევებზე რომ იცის ხოლმე გადმოდგომა შემოდგომაზე. აგერ დაღვლარკნილი ღრიანკელი, მთაწმიდის ქედზე რომ უყვარს თავისი შხამიანი კუდის დასობა. ნაცნობი, მეტად ნაცნობი სურათია, ჩვეული „დედამიწური“.

კამარელმა თავი მართლა თბილისში წარმოიდგინა. საკმარისია უკან მოიხედოს, რომ მისი ოთახის ღია ფანჯრიდან შემოანათოს. თითქოს ქუჩიდან ესმის ავტომობილის მიყრუებული გუგუნის და შორეულ მოსახვევზე მოტრიალებული ტრამვაის მინელებული წივილი. დაჰქროლა კოჯრის ნიავმა და კამარელს სახეზე ქინძის სურნელება შეაფრქვია. თბილისში ზაფხულის ღვართჭაფა წვიმის შემდეგ დგას ასეთი სურნელება გადარეცხილ ქუჩების აკრიალებულ ჰაერში.

კამარელს გული შეეკუმშა და უჩინარი ნაღველის თბილმა ტალღამ ერთნატივით დაჰკრა სხეულში. დახუჭა თვალეები და თავი ძირს დახარა. ასე ჰგონია თვალს გაახელს თუ არა, დაინახავს შავ ენეილივით მდგარ კვიპაროსს და ბაღის ყურეში იასამანიტ აშრიალებულ ფანჩატურს. იასამანის მტევნებით დაბურდულ საბურველიდან გამოჩნდება ელექტრონის მრგვალი ნათურა, რომელსაც თოვლის კორიანტელივით დასვეია ღამის აცახცახებული თეთრი ფარვანა. ასე ჰგონია, რომ თავის პატარა ბაღს გადასცქერის აივნიდან... და თვალეებს გაახელს.

შემოანათებს შავი უფსკრული, მილიონ ვარსკვლავებით აყვავებული ცა ღია ყოველ მხრით, ზევით, ქვევით და ირმის ნახტომის თეთრად დათოვლილი რგოლი უზარმაზარ სარტყელივით შემოქობილი სამყაროს სხეულს. ჩრდილოეთის ნაცნობ ვარსკვლავებს ქვევადან ეალერსება სამხრეთის ცის მნათობები, რომელთა შორის ულამაზესია სამხრეთის ბრწყინვალე ჯვარი.

კამარელი კედლის მეორე კუთხეს მიუახლოვდა.

ღამის შავ ხავერდის მოსასხამზე მიკრულ ვერცხლის უზარმაზარ ფოლაქივით გამოჩნდა დედამიწის დისკო, თეთრად ასხივებულ ხმელეთით და ლურჯ შესევადებულ ოკეანეთა სივრცით. ევროპის აღმოსავლეთი საღამოს ბურუსით იყო შემოსილი და კამარელი გულის ტკივილით აკვირდებოდა დისკოს, მარჯვენა კიდეურის დაბინდულ კონტურებს, რომლის იქით, ღამის საფარველ ქვეშ სუნთქავდა მისი საყვარელი საქართველო.

ყოველთვის, როცა უცხოელ თანამებრძოლთა ძმური სიყვარულით გამთბარი, საერთო მუშაობით გახარებული და ბუნების სხვადასხვა სანახაობით გამაძლარი ბრუნდებოდა იგი საქართველოში, შორიდანვე ქართული მთების ქაღარა ქედები რაღაც სხვანაირი სიყვარულის ელვით გმირავდნენ მის გულს და ჰგვირდნენ მას ბავშვურ სიხარულს და ხალისიან მღელვარებას.

ახლაც დედამიწას მრავალ მილიონ კილომეტრით დაშორებულა თუმცა იგი მთელი სხეულით განიცდიდა სამყაროს პირველყოფილ მშვენიერებისა და სიდიადის ამაზრზენ ძლიერებას, მისი თვალები ალერსით შესცქეროდნენ ცის მნათობად ქცეულ დედამიწას და შეყვარებულის მოუთმენლობით ეძებდნენ მის ზედაპირზე საკეთარ ჩრდილში მიმალულ საქართველოს.

მაგრამ ევროპის ნაპირები თანდათან ჩრდილში იძირებოდა და დედამიწის მბრუნავ დისკოზე თვალის მომჭრელად ლაპლაპებდნენ სამხრეთ ამერიკის წვეტიანი სამკუთხედი და ბინდში მიმაჯალ აფრიკის მოღუნული ქუსლი.

— რას დაფიქრებულხართ, მეგობარო? — ალერსიანი შეძახებით შეაწყვეტინა ფიქრი კამარელს ტალანიდან მოულოდნელად გამოსულმა კარომ.

კამარელს გაეხარდა კაროს დანახვა და სახეზე თბილი სინათლე გაეშალა.

— სამყაროს დიადმა პეიზაჟმა გამიტაცა, — ღიმილით მიუგო მან.

— თუ სამშობლოს სევდამ? — ღიმილითვე მიაგება კარომ.

კამარელი შეერთა, თითქოს რაღაც ფარულ გულის თქმაში დაი-

პირესო, მაგრამ მაშინვე შერცხვა ამ შეკრთომისა და თამამად უთხრა:

— განა სათაქილოა სამშობლოს სიყვარული?

— ამას ვინ ამბობს? — სერიოზულად მიუგო კარომ და ხელის ჩვეული მოძრაობით თევზივით გაცურდა კამარელისაკენ და მის ახლო შეჩერდა.

— მაგრამ, — განაგრძო მან. — უნდა დამეთანხმოთ, რომ სამშობლოს გრძნობაც, როგორც ყველაფერი, შედარებითია და დროსა და გარემოების მიხედვით განიზოშება.

— მე რომ ქართველი ვარ, — სთქვა კამარელმა, — ეს არის მოვლენა ფაქტის და არა შედარებითი შეფასების.

— მაგრამ ეს ფაქტი არ ამოიწურება მარტო ბიოლოგიზმით, — შენიშნა კარომ. — იგი უმთავრესად შედეგია ისტორიულ-სოციალურ პროცესების. მოაშორეთ თქვენს სამშობლოს გრძნობას მთელი ისტორია, რაღა დაგრჩებათ?

— არაფერი. — თითქოს დაეთანხმა კამარელი.

— ხოლო ის, რაც ისტორიულია, — განაგრძო კარომ, — განიცდის მუდმივს შეუჩერებელს ცვლილებას.

— რაც უნდა ცვლილება განიცადოს სამშობლოს შემეცნებამ, — სთქვა კამარელმა, — იგი მაინც იტრიალებს ღერძის გარშემო.

ჩამოვარდა დუმილი.

„რაუნტიტ“-ს გაყინულ სივრციდან კამარელი სიყვარულით დანამული თვალებით დასცქეროდა თბილ ელვარებით შემოსილ დედამიწას. სამხრეთ-ამერიკის სამკუთხედი ბრწყინვალე დაღივით ენათა დედამიწის დისკოზე და მისი ანარეკლის ციალი სარკესავით ემჩნეოდა კამარელის გულს. რა იყო მისთვის დედამიწაზე სამხრეთ-ამერიკა, ყველა ეს კოლუმბია, პერუ, პარაგვაი და ურუგვაი? თითქმის მხოლოდ გეოგრაფიული ტერმინები. აქედან კი ყოველი მათგანის მოგონება უტკბესი მღელვარებით ავსებდა მას. ის თბილი და ქრუსანტელის მომგვრელი გრძნობა, რომლითაც იმსკვალებოდა იგი საქართველოს მოგონების დროს, თანდათან, კასთვის შეუქმნევლად სცილდებოდა პატარა საქართველოს საზღვრებს და ხანძარივით გადადიოდა მეზობელ ქვეყნებზე, რათა ბოლოს მთელ დედამიწას მოსდებოდა მშობლიური სიყვარულის ალი.

კარო კი ამ დროს მისჩერებოდა ცის მეორე მხარეს, საიდანაც ანათებდა წითლად შეფერილი მარსი. კამარელს გაუკვირდა: ჯერ მას ერთხელაც არ მოჰგონებია მარსი! თითქო ბავშვი მისტირის შორს მიმავალ დედასო, ის ცრემლიან თვალებს არ აშორებდა დედამიწას. მხოლოდ ახლა მოიხედა მარსისაკენ და ნათლად წარმოუდგა წითელ

შუქში გახვეული გედა: დგას ბროლის მთაზე და ხელში ჩირადღანი-  
ვით უჭირავს ლურჯად მოკამკამე გული... მოაგონდა წუხანდელი  
სიზმარი და სანეტარო წინააღმდეგობამ შეიპყრო.

— წამოდით ჩემთან! — დაარღვია ღუმილი კარომ. — თორემ, ვხე-  
დავ, თქვენებური მელანქოლია გიახლოვდებათ.

— პირიქით, შთაბეჭდილებათა სიუხვე, განცდათა სიჭარბე მჭან-  
ცავს.

— ჩემთან დაისვენებთ.

კარომ კამარელი თავის კაბინაში შეიყვანა. აქედან მეზობელ კა-  
ბინაში გავიდნენ, საცა მრავალგვარი აპარატი იყო მოწყობილი. კა-  
რომ გააცნო იგი ზოგიერთ აპარატის დანიშნულებას.

— გინდათ თბილისი ნახოთ?

— საიდან? — გაეხარდა კამარელს.

— აი, ჩახედეთ ამ მილს!

კამარელი დააცხრა ტელესკოპს და... მის წინ გაიშალა მზიანი  
თბილისი. ზაფხულის ახალი მწვანით შემოსილი. აი, ფუნიკულორის  
ორი ვაგონი ორ შავ ხოჭოსავით მიცოცავენ ერთიმეორის შესახვედ-  
რად. აი რუსთაველის პროსპექტი უმავთულო ტრამვით, აეტოებით  
და უამრავი ხალხით ამოძრავებული. ოპერის წინ თეთრხალათიან  
პიონერების გუნდმა ჩაიარა. „რა დროა ნეტავ თბილისში!“ — გაიფიქ-  
რა კამარელმა. თავის რომელი რიცხვია? ბევრს თეთრი აცვია...

კამარელი ძალიან ცდილობდა პირველ ხანებში დროს სელა ზუს-  
ტად აღენიშნა, მაგრამ დღე და ღამეც მოკლებულ „რაუნიტ“-ში ვერ  
მისდია საათების უცნაურ დენას და დაკარგა აღრიცხვის საზომი. თა-  
ნაც ამ კოსმიურ სიჩქარით მქროლავ ხომალდსა და დედამიწას შორის  
დროს შეფარდებისთვის აინშტეინის მოშველება იყო საჭირო. ამისა-  
თვის კი მას ჯერ ვერ მოეცალა. ამიტომ აკვირდებოდა თბილისის  
ქუჩებს ასე თვალდაცეცებული, მაგრამ კარომ უეცრად მოსწყვიტა  
იგი ტელესკოპს.

— ეხლა ამ კაბინაში შედით და დაისვენეთ. მე ცოტა ხანს აპა-  
რატთან ვარ საჭირო, — თქვა მან და მესამე კაბინის კარი შეაღო.  
შემდეგ მობრუნდა და ერთ აპარატს მიუჯდა.

კამარელი დაღლილობას არ გრძნობდა, პირიქით, მთელი არსე-  
ბით განიცდიდა სასიცოცხლო ენერჯის მოზღვაებას ამ გაუგონარსა  
და წამოუდგენელს პირობებში, მაგრამ მაინც ეამა, როცა კარომ და-  
სასვენებლად კაბინაში შეიპატიჟა. მოუნდა თავის ფიქრებთან მარ-  
ტოდ დარჩენა, რათა აფორიაქებულ გონებაში მიმავალ დედამიწის  
ძახილი და მომავალ მარსის მოწოდება, ერთ ნთლიან და ჰარმონიულ  
ნებისყოფად ექცია.

ენერგიულად ჰკრა ხელი ნახევრად შეღებულ კარს და კაბინაში შევიდა. შევიდა და მოულოდნელი სურათისაგან სახტად დარჩა: კაბინაში კუთხის პატარა მრგვალ მაგიდასთან ანთებულ ენკელილივით იდგა გედა ნუავე და კამარელს სიყვარულით საეხე თვალებით შესცივროდა.

უმალვე მოულოდნელი სიხარულით აღტაცებულმა განცვიფრებით შესძახა: — გედა! გაემართა მისკენ და გაშლილი ხელეპი და მკერდი... კედელს მიახალა.

გედას ეკრანს იქით სიცილი წასკდა. კამარელსაც გაეცინა და იქვე გულწასულივით სავარძელს დაესვენა.



კამარელს არ ახსოვდა რამდენი ხანი დაჰყო მან ეკრანთან ტკბილ საუბარში, როცა ტალანში გამოვიდა, დინგვეის შეეფეთა.

— რამდენი ხანია დაგეძებთ, სად დაგვექარგეთ? — მიახალა მან კამარელს.

გედასთან საუბრის შემდეგ კამარელი ისეთ მშვიდ, დაჯერებულ და ნათელ გუნებაზე იყო, რომ დინგვეის მეგობარსავეთ მიეგება და ალერსიანად მიუგო:

— თქვენი თვალები მთელ ამერიკას ანათებს და ამ ერთ მტკაველ ხომალდზე როგორ ვერ მომნახეთ?

— რა ვიცი, არ დამიტოვებია არც ერთი კუთხე გაუსინჯავი, კაროსთანაც ვიყავი და თქვენ კი, ვერსად გნახეთ.

— უჩინმაჩინის ქუდი მეხურა. — გაეხუმრა კამარელი.

— არც გამიკვირდებია უთუოდ ისიც იქნება ამ ჯადო-ხო-მალდზე.

— არის! ერთი მშვენიერი ქალი დაიარება ამ ხომალდზე, უჩინმაჩინის ქუდი ხურავს და ამიტომ ყველასათვის უჩინარია.

— თქვენ კი, ნახულობთ, როცა მოისურვებთ?

— ეხლა იმას ვესაუბრებოდი, დროდადრო ქუდს მოიხდის ხოლმე და დამენახვება.

— ნეტავ თქვენ!

ამ საუბარში ტალანი გაიარეს და საერთო კაბინაში გავიდნენ.

— ქალი თქვენ გყავდეთ, — თქვა დინგვეიმ, — ოღონც ამიხსენით, რისთვის უნდა დავცურავდეთ აკვარიუმის თევზებივით ამ დასაქცევ ხომალდში, თუკი შესაძლებელია ხელოვნურად სიმძიმის

— როგორ გგონიათ, ამ უდაბნო სივრცეში მეტეოროლით რომ მიექრით, გზას არ უნდა ვხედავდეთ, რომ არაფერს დავეჯახოთ? — თავის მხრით შეეკითხა კამარელი.

— რას უნდა დავეჯახოთ?

— ათასი ოხერი ვაგაბუნდი დახეტიალებს ცაში, რომელთაც ასტრონომია მეტეოროიტებს უწოდებს. ბევრი მათგანი უმნიშვნელო მასას წარმოადგენს და ჩვენი „რაუნტი“ ისე მიაჩნდება მათ ბრბოს, როგორც სპილო კოლოების გუნდს. მაგრამ ხანდახან გამოიჩენება გვირავიანი სიმჭიმის ქვა ან რკინა და თუ მხედველობაში მივიღებთ როგორც „რაუნტი“-ს, ისე მეტეოროიტის კოსმიურ სიჩქარეს, მათი შეხვედრა არ იქნება ჩვეთთვის მაინცა და მაინც სასიამოვნო.

— მერე, ვინ გიშლით თვალი ადევნოთ მათ მოძრაობას?

— როცა „რაუნტი“ ბრუნავს, ტელესკოპით სარგებლობა შეუძლებელია.

— რატომ? — გაუკვირდა დინგვეის.

— ცოტა მაინც დაუფიქრდი, თქვენს შეკითხვას. „რაუნტის“ ბრუნვის დროს არ გახსოვთ რას დაემგებან ვარსკვლავები?

— მართლა, ნათელ რგოლებად შემოგვერტყნენ ირგვლივ, — მოაგონდა დინგვეის.

— მაშასადამე, ვერც ერთ ვარსკვლავს, და მით უმეტეს მოხეტიალე მეტეოროიტს, ხომალდის ჩქარი ბრუნვის გამო, ტელესკოპი ვერ დაიჭერს.

დინგვეიმ თავი დაჰხარა.

— ესლა მესმის, რატომ არის აუცილებელი ჩვენი სასაცილოდ ამჩატება და საპნის ბუშტივით ფარფატი.

ცოტა ხნის ღუმილის შემდეგ, ისევ მიმართა კამარელს:

— მე ამ საქმის ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ მაინც მიკვირს, როგორ უნდა აღმოაჩინოს ტელესკოპმა ამ უსაზღვრო სივრცეში უგზო-უკვალოდ მოხეტიალე უმნიშვნელო სხეულები?

— სწორი კითხვაა. — მიუგო კამარელმა. — ტელესკოპით ძნელი იქნებოდა ეგზომ პატარა სხეულის აღმოჩენა, მაგრამ „რაუნტი“-ში არის ამ ციურ „პაცანების“ დასაჭერად მოწყობილი სპეციალური აპარატი; რომელიც ზუსტი სისწრაფით აღნიშნავს მოახლოებულ მეტეოროიტების მასას, მიმართულებას და სიჩქარეს. ეს აპარატი აგებულია მატერიის ურთიერთ მიზიდულობის პრინციპზე.

ამ დროს, თითქო ხომალდს რაღაც დაეჯახაო, კამარელი და დინგვეი კაბინის მარცხენა კედელს მიენარცხნენ. იმავე წუთს იმავე ძალამ

ისინი მარჯვენა კედლისკენ გადმოისროლა და უცბადვე ისევ შესდგა, თითქოს ხომალდი და მგზავრებიც პაერში აცურდნენ.

— რა მოხდა? — ძლივს მოასწრო შეძახება დივგვეიმ.

— პირველი შეტაკება ციურ ავაზაკთან. — ღიმილით მიუგო კამარელმა დაფეთებულ დინგვეის. — „რაუნიტმა“ გზა აუქცია მეტეორიტს. სწორედ იმ აპარატის მუშაობის დემონსტრაციაა, რომლის შესახებაც ახლა ჩვენ ვსაუბრობდით.

კაბინაში შემოცურდნენ ბრიანი და მაკდონალდი.

— კარგია, აქ ყოფილხართ! — მიმართა კამარელს ბრიანი. — ეგ რა უცნაური რწევა სცოდნია ამ ხომალდს?

— ნება მომეცით, მე ავუხსნა ყველაფერი! — დაეღრიჯა კამარელს დინგვეი და შემოსულ დელეგატებს დაწვრილებით უამბო, როგორც „რაუნიტის“ შექანების, ისე მისი ბრუნვის შეჩერების მიზეზი.

ვიდრე დინგვეი თავის განმარტებას დაამთავრებდა, კამარელი ღიმილგანილი სახით მისჩერებოდა პაერში სასაცილოდ გაფარჩხულ მგზავრებს. მაკდონალდი რატომღაც სულ ქანაობდა, საერთოდ სურათი მართლა აკვარიუმს ემსგავსებოდა, სადაც ადამიანები თევზებდევით მოძრაობდნენ ყოველ მიმართულებით.

დინგვეის პატარა „ლექციით“ დამშვიდებული ბრიანი წყალში დამხრჩვალავით გაეკრა მინის კედელს და ნელ-ნელა გაცურდა მარცხენა კუთხისკენ.

— თქვენ ძალიან შეეგუეთ სიმძიმეს მოკლებულ არეს. — მიმართა კამარელმა ბრიანს, როცა დაინახა, როგორ მოხდენილად შეიცვალა მან მიმართულება კედელზე თითის ოდნავ მიკარებით.

— წარმოიდგინეთ, მე მომწონს ასეთი მდგომარეობა. — სთქვა ბრიანმა და ტანი ვერტიკალურად შეაყენა. — რა თქმა უნდა, სჯობდა ცოტაოდენი წონა შეგვრჩენოდა, მაგრამ დედაჩინაზე, მართალია ვითხრათ, მეტისმეტად დატვირთულნი ვართ სიმძიმით.

— მაშ, თქვენ მარსზე კარგად იგრძნობთ თავს. იქ სიმძიმე 2,5 ჯერ ნაკლებია: ჩვენებური 100 კილოგრამი იქ 38-ს იწონის.

— სწორედ ჩვენთვის ყოფილა იქაურობა შექმნილი!

— ნეტავ, თუა სადმე უფრო მსუბუქი ქვეყანა? — იკითხა დინგვეიმ.

— პლანეტებში მარსი ყველაზე „მსუბუქია“. — მიუგო კამარელმა.

— როგორ? განა მერკური არ არის ყველაზე პატარა?

— მე ვამბობ სიმძიმეზე. ეგ კი მარტო მარსზე არ არის დამოკიდებული. მერკურზე ჩვენებური 100 კილო 52-ს იწონის.

— სიმძიმე განა სხეულის მასაზე არ არის დამოკიდებული? —  
გაიკვირვა დინგვეიმ. — რაც უფრო დიდი მასისაა სხეული, მით უფრო  
ძლიერია მისი მიზიდულობა. მგონი ასე იყო აქამდე.

— ეგ მართალია, მაგრამ სიმძიმეს ანელებს ცენტრიდანო ძალა,  
ხოლო ამ ძალის მოქმედება განიზომება სხეულის ბრუნვის სიჩქარით.  
ამიტომ არის, რომ დედამიწის პოლუსებზე სიმძიმე მეტია, ვიდრე  
ეკვატორზე.

— დამვიწყებია. — დაეთანხმა დინგვეი.

— შესაძლებელია თუ არა დედამიწაზე სიმძიმის ხელოვნურად  
შენელება? — იკითხა ბრიანმა.

— რატომ არ შეიძლება? — მოულოდნელად წარმოსთქვა აქამდე  
მღუმარედ მოქანავე მაკდონალდმა. — თუ დედამიწის დამუხრუჭება  
შესძლეს, მაგასაც მოვესწრებით.

— თეორიულად დიდი ხანია გამოანგარიშებულია, — სთქვა  
კამარელმა, — რომ დედამიწის ბრუნვის 17-ჯერ აჩქარება პოლუსე-  
ბიდან ეკვატორამდე სიმძიმეს თანდათან შეანელებს, ხოლო ეკვა-  
ტორზე სავესებით მოსპობს მას.

— პრაქტიკულად თუა შესაძლებელი ამის განხორციელება? —  
შეეკითხა ბრიანი.

— მაკდონალდის შენიშვნა სწორი იყო, — უბასუხა კამარელმა.  
დამუხრუჭების გამოცდილება გვიმტკიცებს, რომ შესაძლოა დედამი-  
წის ბრუნვის აჩქარებაცა და შენელებაც.

— ეკვატორზე მაშინ ცხოვრება შეუძლებელი იქნებოდა. — შე-  
ნიშნა დინგვეიმ.


— ყოველ შემთხვევაში მეტად საშიში იქნებოდა იქ სიარუ-  
ლი, — დაეთანხმა კამარელი. — სიმძიმეს მოკლებული ადამიანი უბ-  
რალო ქუსლის კვრით მოსწყდებოდა დედამიწას და სამუდამოდ და-  
ინთქებოდა სივრცეში. ვერც მატარებელი, ავტომობილი და გემი  
გაივლიდა ეკვატორის ზონას: საკუთარი მოძრაობის ინერციის ძალით  
უძალვე მოსწყდებოდა ზღვას თუ ხმელეთს და უზარმაზარი ზომალ-  
დები, ექსპრესები თუ პატარა ავტოები მსუბუქ ფოთლებივით აფ-  
რინდებოდნენ ცაში და სამუდამოდ კიშორდებოდნენ დედა-  
მიწას.

— ღმერთო, გვიხსენი ამგვარ ცდისაგან! — თავისთვის ჩაილაპა-  
რაკა დინგვეიმ.

მაკდონალდმა ბრიანს გადახედა.

ბრიანი მიუხედა მაკდონალდს გულისთქმას და კამარელს შეეკითხა:

— ერთი ეს მითხარით, როდის შეუდგებით მუხრუჭების დაშ-



ლას? იმდენი ლითონია უქმად დაყრილი, ახლა ზომ მუხრუჭები არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენენ?

— მუხრუჭების დაშლას ჩვენ არ ვაპირებთ. პირიქით, უფრო უნდა მოვაწყოთ და გავაუმჯობესოთ ტექნიკურად.

— როდის დაგჭირდებათ კიდევ დედამიწის დამუხრუჭება?

— ამ წუთს ამაზე არ ვსაუბრობდით? — შეუტია კამარელმა.—

ეგ მუხრუჭები კი არ არის ახლა, არამედ მოტორია, რომელმაც უნდა გადააქციოს დედამიწა ხომალდად. ამ მოტორის საშუალებით ჩვენ უნდა შევძლოთ ჩვენი პლანეტის თავისუფლად მართვა, რომ ჩვენი სურვილისა და ნების მიხედვით მოვაწესრიგოთ მისი მოძრაობა.

ბრიანმა, მაკდონალდმა და დინგვეიმ ერთმანეთს გადახედეს.

— მოტორს თუ ენერგია არ ექნა, — გაუბედავად შეედავა კამარელს ბრიანი, — როგორღა იმუშავენებს?

— რად არ ექნება ენერგია? — გაუკვირდა კამარელს.

— რამდენადაც ვიცი „ლურჯ კოლოფის“ საიდუმლოება ჯერჯერობით ჩვენს ხელთ არ არის.

კამარელს უცებ მოაგონდა სიზმარი: ბროლის მთაზე მდგარი გედა „რაუნტი“-დან გაპარული დელეგატები, გედას ღია მკერდი და მის ხელში გულივით აძგერებული „ლურჯი კოლოფი“.

— ჩვენსა და მარსს შორის მეგობრული ურთიერთობის დაპყარებას, ვგონებ, არაფერი უნდა აბრკოლებდეს. — წყნარად და მკაფიოდ წარმოსთქვა კამარელმა.

— ღმერთმა ქნას! — უგუნებოდ წამოსცდა ბრიანი.

კამარელს გაეცინა:

— ღმერთს სად შეუძლია ამოდენა საქმის მოგვარება?!

ჩამოეარდა დუმილი.

მაკდონალდი მიხვდა, რომ არ ვარგა ასეთ სათუთ და „საბედისწერო“ თემებზე საუბარი და სცადა მისი უფრო ნეიტრალურ სფეროში გადატანა.

— ერთი რამ უნდა გკითხოთ, ბ-ნო კამარელო!

— ბრძანეთ.

— რამდენი ხანია ვაკვირდები ვარსკვლავებს და მაკვირვებს ერთი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ათეულ მილიონ კილომეტრის მანძილით დავშორდით ჩვენს ქვეყანას, ვარსკვლავებს შორის მანძილი სრულებით არ შეცვლილა და აქაც ჩვენი ქვეყნის ნაცნობი ცა დაგვექვერის, თითქოს დედამიწა დაინთქა სადღაც, ჩვენ კი უძრავად ვიდგეთ იქვე, სადაც პირველად ჩავსხედით „რაუნტი“-ში.

— ვარსკვლავები იმდენად დაშორებულია ჩვენი მზის სისტემას,

რომ ინსტრუმენტის დაუხმარებლად შეუძლებელია სივრცეში თუ ას მილიონ კილომეტრის გადანაცვლებით გამოწვეული ცვლილების შემჩნევა ვარსკვლავთა ურთიერთობაში. ჩვენ დედამიწაზე ყოველ წელიწადს უფრო მეტ მანძილზე ვინაცვლებთ ხოლმე სივრცეში ადგილს, მაგრამ ვარსკვლავების მოხაზულობა ცაში არ იცვლება ჩვენთვის.

— ვერ გავიგე, ადგილის რომელ გადანაცვლებაზე ლაპარაკობთ.

— იანერის 1-დან იელისის 1-მდე დედამიწა გაივლის თავისი ორბიტის დიდი ღერძის მანძილს, დაახლოებით 300 მილიონ კილომეტრს. მიუხედავად ამისა ვარსკვლავების ურთიერთ მდებარეობა შეიარაღებულ თვალებისათვის ოდნავაც არ იცვლება.

— ერთი შეკითხვა მაქვს კიდევ და მეტს არ შეგაწუხებთ.

— ბრძანეთ.

— ცას რომ ვაკვირდები, ვამჩნევ, რომ იგი ბრუნავს, თუმცა ძალიან ნელა, მაგრამ ვარსკვლავები მაინც ბრუნავენ ერთ რომელიმე ღერძის გარშემო. მე მაკვირვებს ეს გარემოება: ჩვენ ხომ დედამიწაზე არა ვართ. „რაუნისტი“ კი არ ბრუნავს. როგორ ახსნა ეს მოვლენა, ნუთუ მართლა ზეცა ბრუნავს, ან თვალეები მატყუვებს?

— ამ შემთხვევაში თქვენი დაკვირვება სწორედ მოსაწონია, — შენიშნა კამარელმა. — „რაუნისტი“ ბრუნავს.

— როგორ თუ ბრუნავს? — გაუკვირდა მაკდონალდს. — ახლა ამაზე არ ესაუბრობდით? „რაუნისტს“ რომ არაფერი ეტყობა?

— „რაუნისტს“ არც ის ეტყობა, რომ ის წამში 600 კილომეტრის სიჩქარით მიჰქრის კოსმიურ სივრცეში, მაგრამ ეს ხომ ფაქტია.


— „რაუნისტი“ როცა ბრუნავდა, ჩვენ სიმძიმეს ვგრძნობდით. — მიუგო მაკდონალდმა.

— მაშინ ისე სწრაფად ბრუნავდა, რომ ცენტრიდან ძალა შეიქმნა, რამაც ჩვენ სიმძიმე დაგვიბრუნა. ახლა კი სულ სხვა მიზანი აქვს და ძალიან ნელა ბრუნავს.

— რა მიზანი აქვს?

— მზის სხივების მეტისმეტი მცხუნვარების შენელება. უპაე-რო სივრცეში მზის სხივებს არაფერი ანელებს და აომალდნს ის მხარე, რომელსაც მზე ანათებს, ძალიან ხურდება. მართალია, ეს სითბო გადადის მანქანაში და ხომალდის განათებისა და გათბობისათვის იხარჯება, მაგრამ სხივების მოქმედება იმდენად ძლიერია, რომ მაინც რჩება ზედმეტი სიმხურვალე, რომელსაც ანელებს „რაუნისტი“ შეუშინეველი ბრუნვა.

ესენი რომ ამ ლაპარაკში იყვნენ, ჯერ ბრიანი გავიდა კაბინეტიდან, შემდეგ დინგვეი. მაკდონალდმა ეს შენიშნა და აძიტომ აღარ



განაგრძო აშეამად მისთვის ინტერესმოკლებული საუბარი ვარსკვლავებსა და კოსმიურ თანძილებზე და უცებ მოჰკვეთა:

— გმადლობთ, ახლა მესმის ყველაფერი.  
და თითონაც გავიდა და ბრიანის კაბინას მიაშურა.  
ბრიანი და დინგვეი ცხარე ლაპარაკით იყვნენ გართული.

— მართალი ხართ, მართალი! — ამბობდა ბრიანი და ფანჯრის ჩარჩოს ნერვიულად ებლაუჭებოდა. რა თქმა უნდა, ადრევე უნდა გვეცოდნოდა ვისთან გვაქვს საქმე და უნდა გაგვეთვალისწინებია ყოველგვარი შესაძლებლობა.

— მე მაინც იმედი მაქვს, — რეტდასხმულივით დაბორილებდა დინგვეი, — იმედი მაქვს, რომ ჩვენებიც მიხვდებიან, რაა გასაკეთებელი.

— რაზე დაობთ? გამაგებინეთ! — ჩაერია მაკდონალდი.

— ხომ გესმოდათ, რა სიტყვა? — ეცა ბრიანი, — ხომ ხედავთ რას გვიპირებენ თურმე, თუ დასცალდათ?

— მუხრუჭებზე ლაპარაკობთ?

— უკაცრავად, ეხლა მოტორია და არა მუხრუჭი. მოესურვებათ მიწას წაღმა მოაბრუნებენ, მოენებებათ—უკუღმა. შეიძლება მთლად მოხსნან დედამიწა მზეს და სადმე ბნელ უფსკრულში გადასჩეხონ! — ცხარობდა ბრიანი და ფანჯრის ჩარჩოს აბლაუჭებული ჰაერში ტლინკებს ისროდა.

— ჩვენ ვწუხვართ, — დაუმატა დინგვეიმ, — რომ წამოსვლის წინ არ გავეციოთ განკარგულება, რომ მუხრუჭები მოეთხარათ ყველგან, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ უჩვენოდაც მიხვდებიან.

— რას მიხვდებიან, საქმე არა გაქვთ? — ბრაზობდა ბრიანი, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ მასთან ერთად მოშორდა დედამიწას მთელი პოლიტიკური სიბრძნე და გამჰკრიახობა.


— მომენტი კი მეტად შესაფერია ამჟამად დედამიწაზე, — განაგრძო დინგვეიმ. — კარო თავისი „რაუნითი“ და მისი მარჯვენა ხელი კამარელიც აქ არიან, მაშასადამე, ჩვენები თუ ივარგებენ, არა მარტო მუხრუჭს, ბევრ სხვა შხამიან ფესვეებს ამოსთხრიან.

— კი, მაგრამ, რატომ გინდათ, რომ მუხრუჭები მოეხსნას დედამიწას? — იკითხა მაკდონალდმა. — განა ჩვენ არ გამოგვადგება ეგ მოტორი?

ბრიანს ცოტა მოეშვა.

— ოღონდ გავიმარჯვოთ და მუხრუჭებს ხელმეორედ ვერ დავდგამთ განა?

— ეხე-ხე! პესიმიზმი შეგპარეიანთ! — გაუცინა მაკდონალდმა. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ მუხრუჭებიც ჩვენ დავგრჩება და „ლურჯი კოლოფიც“.



ბრიანს გული სარკესავით გაუნათდა და მშვენიერ გუნებაზე დადგა.

— შაქარი თქვენს პირს! თაფლი და შარბათი!

— რაც შეეხება მიწის ბრუნვის აჩქარებას, — განაგრძო შემკარავი ღიმილით მაკდონალდმა, — არც მე ვარ ამის წინააღმდეგი. თქვენ რას იტყვით?

— როგორ?

— გსურთ თუ არა 17-ჯერ მეტი სიჩქარით დატრიალდეს თავის ღერძზე ჩვენი საწყალი ქვეყანა?

— არ ვიცი, რა საჭიროა ეს კაცობრიობისათვის! — ვერ მიხვდა ბრიანი მაკდონალდის შეკითხვას.

— რად გვინდა ნეტავ დედამიწას ირგვლივ სარტყელივით შემოერთყვას საშინელი ორმო ღია საფლავივით? — გაუყვირა და დინგვეის მაკდონალდის ხუმრობა.

— თქვენ ვერ მიმხვდით, ახლა მე მაცალეთ, — სთქვა მაკდონალდმა და იატაკს ფეხი დაჰკრა. ავარდა ქერზე, ხელი წაავლო სრიალას ჩარჩოს და ჰაერში დაეკიდა.

— თუ ჩემი პროექტი არ მოგწონთ, მე უკან მიმაქვს. მაგრამ ჯერ მომისმინეთ.

ბრიანი და დინგვეი ფანჯარასთან „წამოწვნენ“.

— ჩვენ ყურს გიგდებთ.

— ჩვენ ვბრუნდებით ჩვენს ქვეყანაზე, — დაიწყო მაკდონალდმა ხმამაღლა ოცნება. — გამარჯვებულნი და ახალი იარაღით აღჭურვილნი. მოტორი იწყებს მუშაობას და ჩვენის დაბრუნებით გახარებული დედამიწა საზეიმოდ ცეკვავს და რეტდასხმულივით ტრიალებს. სიმსუბუქე და ჰაეროვნება შეიჭრება ჩვენს სხეულში და გაიხარებს გამარჯვებით გამაძლარი ვული ჩვენი. ეკვატორის ზონაზე ზღაბრულ გველივით შემოერთყმის დედამიწას ღია უფსკრული, შესაზარი და დაუნდობელი. მაგრამ ეს ზონა ჩაკეტილია და ჩვენს ხელთ არის გასაღები. არ გვეშინია ჩვენ ამ უფსკრულის, რადგანაც ჩვენ ვართ ბატონი და მბრძანებელი ზესკნელისა და ქვესკნელისა. გვებრუნება ჩვენ ეს უფსკრული ისე, როგორც კარგად მოწყობილ ქალაქს კანალიზაცია... დედამიწასაც უნდა ჰქონდეს საშუალება რადიკალურად მოაწყოს თავისი ასენიზაცია. მიაქვს დედამიწას ამ ზონაზე ყოველი სიბინძურე და ნაგავი და ჰყრის ამ უფსკრულში. ჩვენი მოტორის სასწაულთმოქმედი ძალა სწმენდს დედამიწის სისხლსა და ნაწილაკებს ყოველგვარ შხამისა და უწმინდურებისაგან და კოსმიურ სივრცის ხერგელში, როგორც კანალიზაციის მილში, ჰყრის ამ ნაგავს...

— მესმის, მესმის! — ღრიალებს ბრიანი, ავარდება ჰერზე და მაკდონალდს გადაეხვევა. — ახლა მე მომეცი სიტყვა, მე განვგებ გრძობ!

და ბრიანი განაგრძობს მაკდონალდის პროექტს.

— იწმინდება კაცობრიობა ყოველგვარი სიბინძურისაგან და მთელდება და საღდება ავადმყოფი სხეული, მისი ყველა მავნე მიკრობი სიერცის გაყინულ უფსკრულში ცვივა.

განულო საჭირო დრომ. „რაუნტი“ შეუსვენებლად მიჰქროდა დასახულ მიზნისაკენ. დედამიწის დისკო თანდათან დაცხრა, დამჟღერებდა და ლურჯად აკიაფებულ ვარსკვლავად იქცა, ხოლო მარსი ვადიდდა და მისი სპილენძისფერი დისკო მთვარესავით გაიზარდა.

ერთხელ, საერთო სადილის შემდეგ, კარომ კამარელი თავის კაბინაში მიიწვია.

— რამდენიმე საათილა დაგვრჩა, მეგობარო!

— როგორ? — გაეხარდა კამარელს და სახე გაუნათდა.

— ვუახლოვდებით მარსს. მალე „რაუნტი“ უნდა დაეამუხრუქო.

— ვაშა! — შესძახა კამარელმა, ბავშვით შეხტა ჰაერში და ბზრილასავით დატრიალდა.

მარსი ელის დედამიწის დელეგაციას და მიიღებს კიდევ ეხლა კი, წადით და ისინიც გააფრთხილეთ: დამუხრუქებას ვიწყებ.

კამარელი გაეიდა.

მგზავრები საერთო კაბინაში შეიყარნენ და სავარძელზე დასხდნენ.

ატოკდა „რაუნტი“, თითქო უჩინარს რამეს სხეულს დაეჯახა, მგზავრებმა სავარძლების ზამბარა მძლავრად ჩაძლუნეს...

უფსკრულიდან თანდათან ამოფუჟდა უცხო ქვეყნის ზედაპირი. რამდენიმე წუთის განმავლობაში ზღაპრული სიჩქარით გაიბერა და გასივდა გოლიათ ჯადოსანის მიერ გასროლილი ციური ბურთი და „რაუნტი“-სკენ დაეშვა. გამოჩნდა ნარინჯისფრად შებურვილი ველები და ჰაერში თეთრ ღრუბლებივით აფრენილი უცნაური კოშკები. უეცრად კოშკები აენტო და ჰაერი აივსო ცისარტყელას ნაშხვრევით. მარსი სხივების სალიუტით ეგებებოდა დედამიწის დელეგაციას. კიდევ რამდენიმე წუთიც და „რაუნტის“-ს ყრუ კედლები

შენაგრძელებით აგრიალებულმა მუსიკამ და ფანჯრებს უზარ-  
მაზარ პეპლებივით მოასკდა მფრინავი ყვავილები.

„რაუნტი“ მსუბუქად შესრიალდა მუსიკის, სხივებისა და ყვავი-  
ლების ზღვაში.

## XV

— „რაუნტი“ ირიბად მოხაზა მუსიკის გრიალითა და ყვავილე-  
ბით საესე ჰაერი და უზარმაზარ ზღაპრულ ფრინველივით შეფრინ-  
და ღრუბელივით ამართულ სადგურის თეთრად დაბაბთულ ბუდეში.  
იელვა ცისფრად ხომალდის ირგვლივ და ოთხივე კუთხიდან ოთხი  
რკინის ურდული ელვარე ხმლებივით ჩაეგო გვირაბის ქარქაშებში.

გაისმა რკინის კარების ელარუნი და ჩაკეტილ რაზების ზრიალი.  
ხომალდზე ორი მარსელი ამოვიდა.

დელეგატები კაბინიდან შუშაბანდში გაიყვანეს, გადასხეს ლიფტ-  
ზე და ჩაუშვეს გუმბათივით მორკალულ ბროლის სადგურის ერთ  
განიერ დარბაზში.

პირველი შთაბეჭდილებით გაბრუებული მგზავრები უდიდესი  
ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდნენ ყველაფერს, რაც მათს გარ-  
შემო ხდებოდა, მაგრამ მდგომარეობა იმდენად უჩვეულო იყო მათ-  
თვის, რომ გონებას უძნელდებოდა აფორიაქებულად აღბეჭდილ  
სურათის წესიერად დალაგება.

კამარელი აუტანელ მღელვარებით ელოდა გედასთან შეხვედრას  
და დამშეული თვალებით აცქერდებოდა ყველა მარსელს, მაგრამ  
ჯერ გელა არსად ჩანდა და მას იპყრობდა გაუგებარი შიში. „რაუნ-  
ტიზე“ ათასჯერ წინასწარ განცდილი სურათი სანატრელ პემანისა  
მოულოდნელად ირღვეოდა, ოცნებით შექმნილ ნათელ ხაზებში მო-  
უთმენლობის ბინდი იჭრებოდა.

— მეგობრებო! — მიმართა დელეგატებს კარომ. — თქვენ აქ  
გამოგიცვლიან ტანისამოსს, რადგან ჩვენს ატმოსფერულ პირობებში  
თქვენი ჩაცმულობა აღარ გამოდგება.

— ჯერჯერობით განსხვავებას ვერ ვამჩნევ, — მორიდებულად  
წარმოსთქვა მაკდონალდმა.

— ამ დარბაზში ხელოვნურად არის შექმნილი დედამიწის ატმო-  
ფერული პირობები, — განმარტა კარომ, — მაგრამ აქედან რომ სა-  
თანადოდ მოუკაზმავი გახვიდეთ, ისევე იგრძნობთ თავს, როგორც  
ღრმა წყლიდან ამოყვანილი თევზი. ნუ დაგაეიწყებთ, რომ აქ ჰა-  
ერი მეტად თხელია: თქვენებური ბარომეტრი თუ 750 მილიმეტრის

წნევას იძლევა, აქაური ატმოსფეროს წნევა უდრის მხოლოდ 50 მილიმეტრს. თქვენი შინაგანი წნევა კი შეფარდებულია დედამიწის ატმოსფეროსთან.

— რა მოგვიყვას, ასე რომ გავიღეთ? — იკითხა შემინებულმა დინაგვიმ.

— მეტად არასასიამოვნო ამბავი, — დიმილით უპასუხა კარომ. — სხეული ბუშტივით გაიბერება, დასკდება და სისხლისაგან დაიწრება.

ამ საუბარში მარსელებმა დარბაზში შემოიტანეს ჩვენებური ტრიკოს მაგვარი მთლიანი საცვლები და მაგიდაზე დააწყვეს.

— ამას ჩაიცვამთ შიშველ ტანზე, — განაგრძობდა კარო. — სხვა არაფერია საჭირო. წნევასაც და სითბოსაც მოგვრის თქვენს სხეულს საჭიროების მიხედვით. თქვენი ტანისამოსი თქვენთვის გამზადებულ ბინაში დაგხვდებათ, სადაც თქვენთვის ჩვეულ პირობებში იქნებით.

დელეგატებმა ტანთ გაიხადეს და ჩაიცვეს მარსელებისგან ნაძღვენი უცნაური ტილოს სამოსი.

— ეგ არის მაგნიტის ძაფებით ნაქსოვი, — უხსნიდა კარო, — ჩვენი ქვეყნის სასწაულთმოქმედი ლითონი, რომელიც თქვენში ჯერჯერობით უცნობია. შეერთებულია ჩვენი ჰაერის ლეტარგინთან და შეუძლია თქვენი სხეულის შინაგანი წნევის გარედან ავტომატურად მიაგებოს შეფარდებული წნევა. ამავე დროს გამოჰყოფს საჭირო სითბოსაც.

უცებ, ერთის წუთით, დარბაზში საესებით დაბნელდა, და როცა ისევ განათდა, დელეგატებმა ერთმანეთი ვერ იცნეს: მარსელებთან ერთად იდგა დედამიწის ოთხივე ადამიანი უცნაური ალით შემოსილი, გრილი ცეცხლით ანთებული, ბრწყინვალე და შარავანდედ-ჩაცმული.

იმავე წამს გაიხსნა წინა-კედელი და გამოჩნდა მარსის ცა და ქვეყანა, ამოოქროვილი ველი და ჰაერში აფრენილი თეთრი კომკები, უზარმაზარ ყვავილების მფრინავი თაიგულები და თეთრად მოელვარე მარსელები, ჟინელილებივით მოკიაფე მარსელები, ხომალდებზე და კომკებზე შემდგარნი, ჰაერში მფრინავი და დარბაზის წინ მოედანზე ზღაპრულ ყვავილებივით დარაზმულნი.

ჰაერში იდგა მუსიკის შეუწყვეტი გუგუნნი და ათასი ცისარტყელა, ერთმანეთს გადაქსოვილი, ქმნიდა აფერადებულ სვეტების უნახავ აღნაგობას.

უცებ ისევ დაბნელდა, დელეგატები მოსწყდნენ იატაკს და სადაც გაცურდნენ. როცა განათდა, ისინი იდგნენ ევროპულად მორთულ ოთახში, იქვე დივანზე ელაგა მათი ტანსაცმელი.

შემოვიდა კარო.

— ესეც თქვენი ბინა. შეგიძლიათ ჩაიკვთოთ თქვენი ტანისამოსი და მოიქცეთ ისე, როგორც საკუთარ სახლში. თქვენს ზარს თქვენს ოთახებში იპოვით. თუ რამე დაგჭირდეთ — დარეკეთ.

კარომ სტუმრებს თავი დაუკრა და ოთახიდან გავიდა.

— მგონი გათავდა ოფიციალური ცერემონია — ჩემად ჩაილაპარაკა მაკდონალდმა. — პარადი დიდებული იყო, მაგრამ ძალიან ჩქარა დასრულდა.

— მე მიკვირს, რატომ არავენ მოგვეგება სიტყვით? — იკითხა ბრიანმა.

— მართლა, სად არის ამათი მთავრობა? — გაიკვირვა მაკდონალდმა. — ალბათ აქაური წესები და დიპლომატიური ურთიერთობა სულ სხვანაირია.

ამ ლაპარაკში დელეგატებმა ტანისამოსი გამოიცვალეს და თავიანთ ოთახებს მიაშურეს.

მთელი სახლი წარმოადგენდა ევროპულად მორთულ მშვენიერ ვილას, ყოველგვარი მოწყობილობით, აივნებით და პატარა ბაღით. ამრიგად სტუმრებს საშუალება ეძლეოდათ ისე გაეტარებინათ აქ დრო, რომ არც კი ეგრძნოთ უჩვევე ქვეყანაში ყოფნა. მთელი ვილა, თავისი ბაღითა და ეზოთი, ჩასმული იყო ვეებერთელა ბროლის გუმბათში, ასე რომ სტუმრებს თავისუფლად შეეძლოთ ბაღში სეირნობა სრულიად უშიშრად; ჰაერიც და სითბოც ასეთივე იყო. როგორც დედამიწაზე. გუმბათს გარეთ კი მათ გასვლა აღარ შეეძლოთ.

კამარელი დაბინავდა თავის ოთახში, იბანავა, ტანისამოსი გამოიცვალა და ფანჯარასთან დაჯდა. გამჭვირვალე უნისლო ჰაერში თვალის მომჭრელად ელვარებდა თეთრი მზე, კაშკაშა და სხივოსანი, როგორც კოსმიურ სივრცეში. შავი ხავერდის ცა აქ ოდნავ შელურჯებული იყო, მაგრამ თხელი ჰაერის საბურველი ვერ აკავებდა შორეულ მნათობებს და ალაგ-ალაგ თეთრად წვეთავდა ვარსკვლავების შუქი.


უცებ სადღაც ტალანში ზარმა დაიწკრიალა.

დაუცხრომელი მოლოდინით აწრიალებული კამარელი წამოხტა და ოთახის კარი გააღო.

არავენ ჩანდა, ზარი კი განავრძობდა წკრიალს.

ტალანში გამოვიდნენ თითო-თითოდ ჯერ დინგვეი, შემდეგ მაკდონალდი და ბოლოს ბრიანი.

ყველანი ერთად შეიყარნენ და ზარისკენ გაემართნენ.



ზარმა ისინი შეიყვანა ღია სასადილოში, სადაც მათთვის გაშლილი იყო საუზმე.

ერთი მარსელი ქანდაკებასავეთ იდგა სუფრასთან — ევროპულ კაბელდინერით ჩაცმული.

— ამათაც ჩვენებური საქმელები ჰქონიათ. — გაკვირვებით წამოიძახა დინგვეიმ და სუფრას მიუჯდა.

— არა მგონია, — შენიშნა კამარელმა. — ამათი კვება უთუოდ სულ სხვანაირია, ეს საქმელები კი სპეციალურად ჩვენთვის არის დამზადებული.

— უთუოდ ასეა, — კვერი დაუკრა ბრიანმა. — ხომ გახსოვთ, როგორ გაგვიმასპინძლდა კარო რაუნიტზე?

სტუმრები სუფრას მიუხსდნენ.

საუზმის დროს ბაასის ერთადერთი სავანი იყო მარსელების შეხვედრის უცნაურობა.

— სწორედ პატიმრებსა ვგვევართ, — ამბობდა მაკდონალდი. — ვართ დამწყვედული ციხესავით დახშულ ბინაში და არავინ გვეკარება.

— იქნება მართლაც დაპატიმრებულნი ვართ? — შეეშინდა დინგვეის.

— რისთვის უნდა დაგვაპატიმრონ? — იკითხა კამარელმა.

— ვინ გაიგებს მათ ზრახვებს! — შიშნარევი ხმით წარმოსთქვა ბრიანმა, რომელიც შთაბეჭდილებათა ნამეტნაობისაგან მოქანცულად და უგუნებოდ გრძნობდა თავს.

ჩამოვარდა ღუმელი.

კამარელმა ჭიქაში ღვინო დაისხა და დალია.

— მთავრობას ჩვენი მიღება არ უნდა, ალბათ, — სთქვა მან და ღვინიანი ბოთლი ხელში აიღო და ეტიკეტს სინჯავა დაუწყყო, — ვიდრე კაროს მოხსენებას არ მოისმენს.

— წარმოიდგინეთ, ღვინო თბილისიდან არის წამოღებული, — დაუმატა მან და ბოთლი სუფრაზე დასდო, — პირდაპირ საოცარია, რა მზრუნველობას იჩენენ ჩვენს მიმართ ჩვენი უზენაესი მასპინძლები.

— ნუ ჩქარობთ დასკვნებს! — გააფრთხილა მაკდონალდმა. — რა იცით, რისთვის დაგვიჩერებია თავზე ჩვენებური პოლისმენით ეს გაჭვავებული მარსელი? ჩვენ მისი არაფერი გვესმის და ამას ჩვენი, რა უნდა აქ, შემოჩენილი ხომ არ არის?

— თუ ჩვენი არაფერი ესმის, როგორ უნდა გვიდარაჯოს? — კითხვა შეუბრუნა კამარელმა.

— ჩვენს მოქმედებას ადევნებს თვალყურს. შეხედეთ, როგორ უელავს თვალები!

— ვინ იცის, იქნება ესმის კიდევ ჩვენი საუბარი, — სთქვა ბროანმა.

— შეუძლებელია! — წამოიძახა მაკდონალდმა და უცებ მარსელისაკენ მოტრიალდა.

— მეგობარო! რომელი საათია თქვენებურად?..

— თოთხმეტი! — გარკვევით წარმოსთქვა მარსელმა ინგლისურად.

იმდენად მოულოდნელი იყო ამ გაშეშებული მარსელისაგან ინგლისური სიტყვა, რომ ეს სრულიად უწყინარი და მშვიდობიანი „fourteen“ ყუმბარასავით გასკდა და გაოცება გამოიწვია.

— გმადლობთ! — წაიბუტბუტა მაკდონალდმა, წამოვარდა და სასადილოდან გავიდა. მას მიყენენ ბრიანი და დინგვეი.

კამარელი მარტო დარჩა. სუფრასთან.

მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილს თვალებზე ხელები აეფარებინა და ფიქრებს გაეტაცნა.

მას არ გაჰკვირვებია, როცა მარსელმა ინგლისურად დაილაპარაკა. იგი მაშინვე მიხვდა, რომ ეს გედას მიერ მოწყობილი საქმე იყო. მას მხოლოდ ის უკვირდა, რომ აქამდე გედა არ გამოჩნდა და ესოდენ ნანატრი პაემანის წუთი ასე გაუგებრად იგვიანებდა. „უთუოდ რაღაც მოხდა, — ფიქრობდა იგი, — რაც გედას ართმევს ჩემი ნახვის საშუალებას“.

— მოსვენებას ხომ არ ინებებთ? — მოულოდნელად შეეკითხა კაპელდინერი სუფრაზე ნაღვლიანად დამხობილ კამარელს.

კამარელი შეკრთა, თითქოს საიდანღაც ნაცნობი ხმა მოესმო, და გაკვირვებით ჩააცქერდა მარსელ ლაქიას.

უცნობი სახის გულგრილმა გამომეტყველებამ შეანელა კამარელის ცნობისმოყვარეობა.

— მიედივარ, — სთქვა კამარელმა და წამოდგა.

მარსელმა თავი დაუკრა და ტალანში გავიდა. კამარელიც მას მიჰყვა.

კამარელის ოთახის კართან მარსელი შედგა, შემდეგ კარი შეაღო, ჯერ კამარელი შეუშვა და მერე თითონაც შევიდა.

— ხომ არაფერს დამავალდებთ? — ჰკითხა კამარელს, კარი მიხურა და ისევ ჯარისკაცისვით აიტუნა.

— გმადლობთ, არაფერი მინდა, — უგუნებოდ უპასუხა კამარელმა და თან გაიფიქრა: „ამ ციხეშიაც თვალს გვადევნებენ. რად დასჭირდათ ამგვარი სიფრთხილე?“

მარსელი კი, თითქოს კამარელის ფარულ გაფიქრებას ადასტურებსო, უძრავად იდგა კარებთან და არაფრით არ ამეღვენებდა წინსვლის სურვილს.

— იდგეს, ვიდრე არ მობეზრდება, — თქვა თავის გულში კამარელმა, წამოწვა დივანზე, თვალეზზე მარჯვენა მკლავი დაიფარა და იმავ ფიქრებს მიეცა. „შეიძლება აქ არ არის ამქამად... მაგრამ რატომ არ გამაფრთხილა წინასწარ?.. კარო მაინც მოვილოდეს მალე, უთუოდ ვკითხავ!“..

და უცებ მოულოდნელმა ფიქრმა ისარივით გაუარა გულში: „ვაითუ ეკრანი მოჩვენება იყო და გედა :ოც არსებობს“...

ამ შერბრავმა იქვეა ელვასავით გაურბინა სხეულში და ფიზიკური ტკივილი აგრძნობინა. გველნაკბენივით წამოვარდა ზეზე და... უეცარი გულისტკივილი გააქრო უეცარმა სიზარულმა: კაპელდინერის ნაცვლად კარებთან იდგა ნათლით მოსილი გედა ნუავე, სწორედ იმ სახით, როგორითაც მრავალჯერ უნახავს ჯადოსნურ ეკრანზე.

ახლა ცხადი იყო, რომ ეს არ იყო მოჩვენება, არც ეკრანზე აღბეჭდილი სახე შორეულ პლანეტელ ქალისა; მათ შორის უკვე აღარ იყო გაუვალი უფსკრული კოსმიური ღამისა, — ეს იყო ცოცხალი გედა ნუავე, სისხლით აჩქროლებული მკერდით მსუნთქავე, ელვარე ჰაერის ნისლით შემოსილი, მიმზიდველი განუზომელად და დაუთრგუნველი ვნებით დამათრობელი.

იდგა ჟინკლილივით ანთებული, მღელვარე სხეულის ცეცხლოვან ნაკვეთების შუქმფენად მჩენი, და შავი ალით დაფერფლილ თვალეზს შავ პეპელასავით აფარფალებდა.

კამარელი ნელი ნაბიჯით გაემართა მისკენ, უსიტყვოდ, გულის ცემისაგან შინაგანად აკანკალებული, მოურევნელი სიამისაგან ენადამბული.

გედამაც გადადგა მისკენ ორიოდვე ნაბიჯი და ორი ანთებული სხეული ერთ კოცონად აბრიალდა...

როცა პირველი ალერსის თავბრუდამხვევი აღმური ოდნავ მიწნელდა, გედა უეცრად წამოდგა, „მალე ვნახავო“ — წასჩურჩულა ყურში კამარელს და ელვასავით გაკრთა და გაუჩინარდა.

დიდხანს იჯდა კამარელი დივანზე გარინდული, გაოცებული და ჯერ კიდევ შერჩენოდა მის მკლავებს, მის მკერდსა და სახეს საყვარელი ქალის სითბო და სურნელი, სუნთქვა და სიმძიმე...

კამარელს უყვარს გედა, გედასაც უყვარს კამარელი.  
კამარელი ხელს სთხოვს გედას, გედა თანახმაა.

კამარელი ხელს უწვდის გედას. გედა თავის ხელს ათავსებს კამარელისაში და უჭერს. შემდეგ ოდნავ შეანჯღრევს...

კამარელს ეღვიძება...

მის წინ თავდახრილი დგას მოახლე ქალი და ხელზე ხელს უჭერს. უღიმის.

კამარელი შეშფოთებული, გამოურკვეველი შესცქერის მოახლეს. მას გრძელი, საოცარი სიზმარი უნახავს...

— ვილაც კაცი გეწვიათ —

კამარელმა გაოფლილ შუბლზე ხელი გადაისვა და შემდეგ თმებში შეიციურა თითები.

გასაოცარი, გამოუცნობი გრძნობა მორეოდა.

— სთხოვეთ.

მოახლე გავიდა...

შემოდის საშუალო ტანის მამაკაცი მისთვის ნაცნობ ტანსაცმელში და შავად მოელვარე უზარმაზარი სათვალით.

კამარელი წამოდგა. უცნობმა ხელი გაუწოდა კამარელს და თავი გააცნო.

— ინჟინერი ვაისმანი!!!....

## აბმის უპაველი

ერთ დიდ ქალაქში, რომელიც ახლა, ვინ იცის, იქნებ არც კი არსებობს, ცხოვრობდა ოდესღაც ერთი გამოჩენილი მკურნალი.

მას ჰყავდა ერთადერთი ვაჟი, სახელად ნადირ, რომელსაც თვითვე ასწავლიდა სამკურნალო მეცნიერებას, რომ მისთვის დაეტოვებინა დიდ ქონებასთან ერთად დიდი სახელი და გავლენა.

ნადირ, სამეცნიერო ფოლიანტების კითხვას რომ მორჩებოდა, ხარბად ეწაფებოდა ძველ არაბულ და სპარსულ წიგნებს და მისი ახალგაზრდა გული თრთოდა საოცარი ამბებისა და ზღაპრულ თავგადასავალთა თავბრუდამსხმელ უცნაურობისაგან.

ყმაწვილმა ადრე შეითვისა სიყვარულის დაუთრგუნავი ძალა და, თუმცა მამა ზრდიდა მას კარჩაკეტილად და ჯერ მის თვალებს არ ეგემნა ქალის ღიმილის სიტკბოება, — მისი ნორჩი გული სავესიყო სიყვარულის ათასფერი ელვარებით.

ერთხელ, როცა ნადირევმა აპრილმა თითქოს ოქრო-ნარევი ფირუზი გამოანგრია და ქალაქის ქუჩები აავსო მზისა და ცის ნამსხვრევებით, ნადირ მივიდა მამასთან და უთხრა:

— ძვირფასო მამავ, ეს ერთი კვირაა ჩემი ოთახის ფანჯრებს შეეჩვია პაეროვანი მოჩვენებები, რომელთა შეუწყვეტი შრიალი და ელვარება არ მაძლევენ მოსვენებას და მეცადინეობას მიშლიან. როცა მზე ცის დასავალს ჩაიძირება და ღამე გაშლის ვარსკვლავიან კალთას, მე არ მაძინებს უცნაური ჩურჩული, რომლითაც ივსება ჩემი ყურები, მეჩვენება, თითქოს ნიავი არხევს ვარსკვლავებს და ისმის ჩუმი რეკა და წკრიალი ვერცხლის ეყვნებისა. თითქო მიდის ზღაპრული ქარავანი პაეროვან არსებათა და ჩემი ფანჯრის მიწებს ასკდება გაუგონარი მუსიკის აბრეშუმის ტალღები. მამავ, მასწავლე, როგორ მოვიშორო მოჩვენებათა მოუხვენარი გროვა.

მამამ შვილს მაჯა გაუსინჯა. ჩახედა თვალების ქუთუთიებში და უთხრა:

— შვილო ნადირ, შენ უკვე შეგისრულდა თვრამეტი წელიწადი. სჩქეფს ჭაბუკური სისხლი და გაზაფხული ანთებს ოცნებებს. უნდა ასვა თვალებს მზისა და ყვავილების შუქი, უნდა ასმინო ყურებს

ტყისა და წყალთა ხმაური. ხვალ, მზე რომ ამოვა, შეჰკმაზე ცხენი და წადი ქალაქ გარეთ. გააჰყენე ცხენი, რომ მზიან ჰაერის წივილმა დაგიტკბოს სმენა, ესტუმრე ტყეს, მინდვრებს და წყაროებს. დაბრუნდი სახლში მზე-ნასვამი და დაღლილი, ივახშმე მაღიანად და უღარდელად დაგეძინება.

ნადირმა შეასრულა მამის დარიგება და მეორე დღით, მზემ რომ წვერი ჰკრა, მოაჯდა ცხენს და ქალაქიდან გავიდა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ნადირ მიადგა ერთ განიერ ველს, რომელსაც შუა ჰყოფდა პატარა მდინარე.

ნადირ გაჰყვა მდინარის პირს აღმა, გაიარა ველი და მალე ავიდა ერთ ბეჭობზე, რომლის ერთ მხარეზე გამოჩნდა ნუშის თეთრ ყვავილებით დათოვლილი არე, ხოლო მეორე მხრით — ატმის ბაღის ვარდისფერი ზღვა.

ნადირმა იცნო ეს ადგილი.

ერთხელ, ათიოდე წლის წინათ, როცა მას საყვარელი დედა ჯერ კიდევ ცოცხალი ჰყავდა, ის იყო ამ გზაზე გავლით დედ-მამასთან ერთად.

მას მოაგონდა, თუ როგორ ჩამოსხდნენ იმ ატმის ბაღში დასასვენებლად და როგორ უამბო მას მოხუცმა მებაღემ მშვენიერი ზღაპარი ატმის ყვავილზე. ეს ზღაპარი მას ისარივით ჩაესო მაშინ გულში და ახლაც ახსოვს მომხიბვლელი ამბავი შეყვარებული ქალისა, რომელმაც წვეთ-წვეთად შეასვა თავისი გულის სისხლი ატმის ხის ფესვებს საყვარელი არსების გადასარჩენად.

ნადირ გაემართა ატმის ბაღისკენ.

მზე თითქოს აღუღდა და ოქროს ქვაბიდან გადმოიღვარა სხივების ნათელი წვიმა და წარმტაცად ააფერადა ატმის ოდნავ აწითლებული ყვავილების მორევი.

ბაღში რომ შევიდა, ნადირ ცხენიდან გადმოხტა, ცხენი საძოვრად გაუშვა და თვითონ გაჰყვა ხეივანს.

ბაღში ტრიალებდა დამათრობელი სურნელი ყვავილებისა, მზისა და ათასგვარ ბალახისაგან უცნაურად შეზავებული.

გაიარა თუ არა რამდენიმე ნაბიჯი, ბილიკის ერთ მოსახვევზე უეცრად წააწყდა ბალახზე დაჩოქილ ახალგაზრდა ქალს.

ქალი თითებით ურევდა ბალახს, თითქო ეძებს რასმეო.

ნადირ შეჩერდა.

ქალი შეკრთა და შეშინებული ირმის თვალეში მომართული ისრებივით მოუღირა ვაჟს.

ნიავე ოდნავ არხევდა ყვავილებით დატვირთულ ატმის შტოებს

და ქალის შავ თმაზე ნელა ირხეოდა შტოებიდან ვადმონადენ მზის სხივების ბადე.

ყველაფერი, რაც ქალის სილამაზის შესახებ ნადირს გულში დაეგროვებინა, ერთად აერთო და ნადირის თვალეზში დაგუბდა.

აღტაცებული ვაჟი გარინდებით უცქეროდა დაჩოქილ ქალს, და გაკვირვებული და შეშინებული ქალი მისჩერებოდა ვაჟს, როგორც მოჭადოებული ჩიტი პირდაღებულ გველს.

— ბაბუ სახლში არ არის, — თვალის დაუხამხამებლად წარმოსთქვა ქალმა და გაინაბა.

— ვინ არის შენი ბაბუ? — გაბედა, როგორც იქნა, ნადირმა.

— მეზადე.

— შენ რა გქვია? — გათამამდა ვაჟი:

— ნანა.

— აქ რას ეძებ?

— ბალახს.

— რად გინდა ბალახი?

— წამლად უნდა ბაბუს.

ნადირმა სული ამოითქვა და ალერსიანად უთხრა ქალს:

— მე თქვენი სტუმარი ვარ, შენი ბაბუ მიცნობს მე.

ქალი უცებ წამოდგა, თითქო ბურანიდან გამოერკვეო, და მოკრეფილი ბალახი კონად შეჰკრა.

ნადირ აღტაცებისაგან გაშეშდა. მის წინ იდგა არაჩვეულებრივი სილამაზის სულ ახალგაზრდა ახლად აყვავებული ქალი, თავფეხშიშველი, ვარდისფერ ზოლებიან თეთრი კაბით, სხივებით დაცხრილული ჩრდილი გამჭვირვალი ნისლივით ემოსა გარს და შეშინებულ სახეს გადაჰკრავდა უხვად ანთებულ ატმის ყვავილის ელფერი.

— შენ რა გქვია? — მოულოდნელად იკითხა ქალმა.

— ნადირ, — მიუგო ვაჟმა.

— ხელმწიფის შვილი ხარ? — ჰკითხა ქალმა და თვალეზი გაუნათდა.

— რომელი ხელმწიფის?

— ბაბუს ზღაპარში რომ არის, მზეთუნახავი რომ მოიტაცა.

— არა, მე ექიმის შვილი ვარ, — მიუგო ნადირმა და უცებ იგრძნო, რომ სტყუის, რომ მისი სიცოცხლე დღემდის იყო სიზმარი, მას ახლა გამოეღვიძა, როგორც ხელმწიფის შვილს და უყვარს მზეთუნახავი ნანა.

— ხელმწიფის შვილსაც ნადირ ჰქვია, — თითქოს თავისთვის სთქვა ქალმა და თავი დახარა.

ნადირს უცებ სული შეეხუთა. იგრძნო, რომ გულს ალი მოეკი-  
და და თუ ამ წუთსვე არ ამოისუნთქა, გულმკერდს გამოუნგრევს  
დაუნდობელი ცეცხლი.

— მე არა ვარ, ნანა, ხელმწიფის შვილი, — როგორც იყო შეი-  
მაგრა თავი ნადირმა, — მაგრამ მეც ნადირ მქვია და მეც მიყვარს  
ჩემი მზეთუნახავი.

— სად არის შენი მზეთუნახავი? — ბავშვური ცნობისმოყვარე-  
ობით ჰკითხა ნანამ.

— აგერ, — უპასუხა ვაჟმა და თვალებით ორი პეშვისოდენა  
ცეცხლის ალი შეასხა ნანას პირისახეში.

ნანას გააჩრეოლა, ხელიდან გაუვარდა ბალახის კონა და ატმის  
ხეს მიეყრდნო.

ცოტა ხნის შემდგომ, თავდახრილმა, წარბებ ქვემოდან ორი შა-  
ვი ვარსკვლავი შეანათა ნადირს და ისევ დაჰხარა თავი.

ნადირ ახლოს მივიდა ქალთან, ნიავეივით ფრთხილად გადაუსო-  
თმაზე ხელი, დაიხარა და ქალს ყურში ოდნავ გასაგონად ჩასჩურ-  
ჩულა:

— ბაბუს ზღაპარი ჩვენზეა ნათქვამი, დიდი ხანია მე შენ მიყ-  
ვარხარ და დღეს წამოველ შენს საძებნელად. აჰა, გნახე, ჩემო ნანა,  
და გეკითხები: ხომ შენა ხარ ჩემი მზეთუნახავი?

ქალმა ამოისუნთქა.

ნადირს მოესმა, თითქოს ჰაერმა ქალის თმაში ჩამარხა რაღაც  
„ჰო“-ს მაგვარი ამოხვერა, — და მეტის მოთმენა ველარ შესძლო.  
ათრთოლებული ქალი მკერდში ჩაიკრა და კოცნით შემოსა მისი სა-  
ხე.

როცა ბაბუ დაბრუნდა, ძალიან გაუკვირდა ნანასთან ტკბილად  
მოსაუბრე ვაჟი რომ დაინახა, მაგრამ როცა ვაიგო, ვინ იყო და ნა-  
დირმა გაახსენა მასთან პირველი შეხვედრა, მეტად იამა და დიდხანს  
ესაუბრა ქალაქის ამბებზე.

სალამოს ნადირ სახლში დაბრუნდა, მაღიანად ივახშმა და ტკბი-  
ლად დაიძინა.

მეორე დღეს ნადირმა უამბო მამას, როგორ გაატარა გუშინდე-  
ლი დღე, რა დიდი სიამოვნება განიცადა მთელი დღის განმავლობა-  
ში და სთხოვა — ხშირად მისცეს ასეთი სეირნობის ნება.

ნანას შესახებ — კი არაფერი უთხრა.

მამა შეჰპირდა: ორი დღის მეცადინეობის შემდეგ, ყოველი ნე-  
სამე დღე შენი იყოს, ვიდრე ჰაეროვან ჩვენებათა გუნდი მთლად არ  
გაქრება და უცნაური ქარავანიც არ განიავლებო...

გაიარა სამმა კვირამ.

ქალ-ვაჟი ყოველ მესამე დღეს ერთად ატარებდნენ.

ჰაეროვან ჩვენებათა გროვა თითქოს გაქრა, მაგრამ ნადირს დღე-ღალამ განუშორებლად თვალწინ ედგა ნანას სახე და ღამით, ქარავენის ექვენების წკრიალის ნაცვლად, ნადირის სმენას ათრობდა მშვენიერი ქალის თავბრუდამსხმელი ჩურჩული.

მაგრამ ყოველ დილით ნადირ მაინც ეტყოდა მამას, რომ ჩვენებათა ხმაურმა თუმცა იკლო, მაგრამ აბეზარ ქარავენის ელრიალი ჯერ კიდევ არხვეს მისი ფანჯრის ფარდას.

ბაბუ არ უშლიდა ქალვაჟს ერთად ყოფნას.

ნანა კვლავინდებურად აგროვებდა ბაბუსთვის სხვადასხვა ბალახს.

ნადირმა ისწავლა საჭირო ბალახის გამოცნობა და შეელოდა მას.

როცა ბალახს საკმაოდ მოჰკრეფდნენ, ისინი დასხდებოდნენ ატმის ხის ძირს და არჩევდნენ და კონაჯდნენ მოკრეფილ ბალახს.

აპრილი ილეოდა.

ატამს ფოთოლი ესხმოდა და ყვავილი თოვლივით სცვიოდა.

ბალი მოფენილი იყო დაცვენით ყვავილებით და ბაბუ ყოველ დილით ხვეტდა ცოცხით და ზვინებდა აგროვებდა ვარდისფერ თოვლს.

ერთხელ ნანამ ჰკითხა ნადირს:

— თეთრია ბამბასავით ვაშლისა და მსხლის ყვავილი, თოვლივით თეთრია ნუშისა და ტყემლის ყვავილი, მხოლოდ ატმის ყვავილია შეწითლებული, თითქოს სისხლი გარევეიაო. რად არის აგრე?

— ჩანს, ბაბუს შენთვის არ უამბნია მშვენიერი ზღაპარი ატმის ყვავილზე, — უპასუხა ნადირმა, — ყური დამიგდე და მე გაამბობ, რატომ ურევეია ატმის ყვავილს სისხლის წვეთები.

და ნადირმა უამბო ნანას შემდეგი:

— ხომ ხედავ, ეგერ ლურჯ ბურუსში მთა რომ მოსჩანს? იმ მთის ძირს, აქედან ერთი დღის საგალზე, ოდესღაც ასეთივე ატმის ბალი ყოფილა გაშენებული.

ახლა იქ ბალი აღარ არის, მაგრამ მაშინ, როცა ეს ამბავი მოხდა, იქაური ბალი საუკეთესო ატამს ისხამდა თურმე.

ბალის პატრონი იყო იქაური ქვეყნის მფლობელი, დიდი მემამულე. კაცი მრისხანე და სასტიკი.

მას ჰყავდა ერთადერთი ქალი, თიანა, რომელიც ძალიან უყვარდა.

იქვე ბაღში ცხოვრობდა ხილით მოვაჭრე მოხუცი, რომელსაც იჯარით ჰქონდა ის ბაღი აღებული.

მოხუცს ჰყავდა ახალგაზრდა ვაჟი, სახელად გია.

სიყვარულის გზა უხილავია და გაუგებარი.

ამიტომ არავინ იცის ბედი ვის რას უმზადებს.

მოხდა ისე, რომ გიასა და თიანას ერთმანეთი შეუყვარდათ.

ეს რომ ქალის მამამ გაიგო, სასტიკად დატუქსა შვილი და იმავე ღამეს სახლიდან გახიზნა შორეულ ნათესავეთან.

გიამ არაფერი იცოდა და უკვირდა, რომ ქალი არსადა ჩანდა.

ვის არა ჰკითხა ვაჟმა, მაგრამ ვერავენ ვააგებინა, რა მოუვიდა თიანას.

ბოლოს ქალის მამამ ხმა დააგდო, თიანა გათხოვდაო.

გია აუტანელი ჯავრისაგან ლოგინად ჩივარდა.

ერთხელ თიანას მამა სანადიროდ წავიდა, გაცივდა ნადირობაში და მძიმე ავად შეიქმნა.

მომაკვდავმა მამამ თიანა დაიბარა, გამოეთხოვა შვილს და სული განუტევა.

როცა გიას თიანა დაუბრუნდა, ავადმყოფს სიხარულის ფრთები მოესხა, მაგრამ სენს ფესვები ღრმად გაედგა და გიამ ვერ მოიკეთა. დადგა გაზაფხული.

ატმის ბაღი კვლავ შეიმოსა უმტვერო თოვლივით თეთრ ყვავილებით.

უნდა იცოდე, ნანა, რომ სანამ ეს ამბავი მოხდებოდა, ატმის ხესაც ისეთი თეთრი ყვავილი ესხა, როგორც ნუშსა და ვაშლს.

ავადმყოფ გიას მოუნდა აყვავებულ ატმის ბაღის ნახვა და იგი გამოიყვანეს სახლიდან და ატმის ხის ქვეშ დააწვინეს.

ამ დროს გზად გაიარა იმ ქვეყანაში განთქმულმა მისანმა. თიანამ მისანი მოიწვია გიასთან და გამოჰკითხა ავადმყოფის ამბავი.


მისანმა უბიდან ძველი წიგნი ამოიღო, ჩახედა შიგ და სთქვა:

— ვიდრე ამ ბაღში ატმის ხეს ყვავილი ესხმება, ავადმყოფი იცოცხლებს, სიკვდილის ერთი ფრთა უკანასკნელ ყვავილს მოსწყვეტს, ხოლო მეორე ავადმყოფის სულს გააქრობს.

მისანმა დაკეცა შავი წიგნი, ჩაიღო უბეში და თავის გზას გაუდგა.

დაღონდა გია. სევდით აევსო გული თიანას.

ამის შემდგომ გია ყოველ ღღე ეკითხებოდა თიანას: ასხია თუ არა ატამს კიდევ ყვავილი.



თიანას ყოველ დღით მოჰქონდა გიასთან ყვავილით დაბუმბული ატმის შტო და სდებდა ავადმყოფის საწოლთან.

გია უტკეპროდა ყვავილიან შტოს და თიანას თვალებს და გრძნობდა, რომ თბებოდა მის ძარღვებში ვაციებული სისხლი.

ყოველ დღით ყვავილთან ერთად თიანას მოჰქონდა გიასთან ერთი დღის სიცოცხლე.

და გია ისე შეეჩვია ამას, რომ დაავიწყდა შევწიგნიანი მისანი, და თვალეებში სიხარულის შუქი ჩაუდგა.

თიანა მთელი დღე თავს დასტრიალებდა ავადმყოფს და თბილი ალერსით უტკებობდა დასენილ გულის ტკივილს.

აპრილი მიიწურა.

ნიაემა ბალში ჯერ ფრთხილად, თითო-თითოდ, შემდეგ უფრო მოუჩინებლად, ჯგუფ-ჯგუფად, ააფრინა ატმის ყვავილის თეთრი პეპლები.

ბალახი დაიფარა ყვავილთა ფიფქით.

თიანას გული უკვდებოდა, როცა ხედავდა, როგორ თანდათან იძარცვებოდა ყვავილებსაგან ატმის ტოტები.

მაგრამ ყოველ დღით მოჰქონდა მაინც გიას საწოლთან ყვავილიანი შტო, თუმცა თანდათან უძნელდებოდა ყვავილებით საესე შტოს მონახვა.

აღსასრულის მოლოდინმა თიანას გული შიშითა და მწუხარებით აავსო.

გიასთან თიანა განგებ იჩენდა მხიარულებას და სახეს ნაძალადევ ღიმილით ინათებდა.

მაგრამ როცა ყვავილის მოსატანად მიდიოდა, დიდხანს იდგა ატმის ხეს მიყრდნობილი და მდულარე ცრემლით ასველებდა ხის ძირს.

თანდათან ილეოდა ხეზე ყვავილი და თიანას გულში სასოება.

აპრილი დაიღია.

მაისმა ფოთლებით შემოსა ატმის ბალი, მაგრამ ერთი ატმის ხე, რომლის ქვეშ ყოველ დღით გულამოსკვნით სტეროდა თიანა, რალაც სასწაულით ინახავდა ყვავილებს.

მიდიოდა დღეები, გიასთან ყოველ დღით მიჰქონდა თიანას ყვავილებიანი შტო, მაგრამ ხედავდა, რომ თანდათან ილეოდა მისი სიცოცხლის ძალაც.

შეუწყვეტ ტირილისაგან თვალეებში ცრემლი დაშრა, მაგრამ შეყვარებულმა გულმა თავგანწირვის გრძნობით ანთებული სისხლი გადმოღვარა თვალთა მილეებით.

სტიროდა ქალი და სისხლნარევი ცრემლით იკვებებოდა ატმის ხის ფესვები.

და აღიოდა სისხლი ფესვებიდან შტოებში და ასაზრდოებდა ყვავილებს.

და თანდათან სისხლის წვეთებით იფერებოდა ატმის თეთრი ყვავილი.

ასე გაიარა მთელმა ზაფხულმა.

თიანა სტიროდა.

• ატამი ჰყვოდა.

გია ცოცხლობდა.

დადგა შემოდგომა.

ერთ სუსხიან დილას ლანდად ქცეულმა თიანამ ძლივს მიიტანა ატმის ხესთან დაღეული სხეული.

იმ დამის ქარიშხალს დაებერტყა ატმის ხე და მხოლოდ ერთ შტოზე ერთი ყვავილი დაეტოვებინა.

დაემხო თიანა ძირს და უცრემლოდ აქვითინდა.

ცრემლი უკვე აღარ იყო.

აღარც სისხლი.

ნელ-ნელა შეწყდა ქვითინი.

თიანას გულმაც ძგერა შესწყვიტა.

ზევით შტოს მოსწყდა და თიანას უსულო სახეს დაეცა ობლად დარჩენილი ატმის ყვავილი.

იმ წუთსვე სიკვდილის მეორე ფრთამ გააქრო გიას სული.

უცებ თიანას სახეზე შეუქი აენტო, ავარდა ზევით ვარდისფერი ალი და ატმის ხე კოცონივით აბრიალდა.

როცა შეუქი ჩაქრა, ყვავილებით დატვირთული ატმის ხე ვარდის ქოლგასავით ადგა თიანას სხეულს.

ამბობენ, მას შემდეგ ის ერთი ხე ზამთარ-ზაფხულ უტკნობ ყვავილებით არის შემოსილი, მაგრამ მას მხოლოდ ის დაინახავს, ვისაც თიანასავით წმინდა სიყვარულით უცემს გულიო.

ნადირმა დაასრულა ზღაპარი და ნანას შეხედა.

ნანას ნადირისაკენ მიეპყრო დაღვრეპილი სახე და ღია თვალებში ცრემლი უბრწყინავდა.

ნანამ გაიღიმა.

სველ წამწამებზე ნაპერწყლებად დაიფანტა კბილთა შეუქი. თითქოს ნაწვიმარ ტყეს თეთრ ღრუბლიდან მზე გადაესხაო.

მოახლოვდა ატმის დაკრეფის დრო.

მალე ზაფხულიც გაივლის და ბაბუ წაიყვანს აქედან ნანას სა-  
დღაც შორეულ სოფელში.

მაგრამ ნადირმა იცის, რომ ეს არ მოხდება.

ნადირ გაუმხელს მამას ბრწყინვალე საიდუმლოს და მიგვრის  
მის თავის მზეს.

მამა, რასაკვირველია, ჯერ წინააღმდეგობას გაუწევს ნადირის  
გულისთქმას, მაგრამ დაინახავს თუ არა ნანას, სიხარულით გადაჰ-  
კოცნის ორივეს.

ასე ფიქრობს ნადირ, და ამიტომ უჩრდილოა მისი ნეტარება  
და გული მისი — სინათლით სავსე.

ერთხელ ნადირ და ნანა სასეირნოდ წავიდნენ.

როცა ბაღს კარგა მანძილზე დაშორდნენ, ნადირმა ბუჩქებში  
შენიშნა შეფოთლებიანი წითლად დაწინწკლული უცნაური რამ  
ყვავილი, და მოსაწყვეტად წაიწია.

— არ მოსწყვიტო! — შეჰკივლა ნანამ, ჩაავლო ხელი ნადირს  
და, შეშინებულმა, საჩქაროდ მოაშორა იქაურობას. — განა არ იცი,  
რომ ის სიკვდილის ყვავილია?

— მე ჯერ არსად მინახავს ასეთი ყვავილი და არც არაფერი გა-  
მიგონია მის შესახებ, — სთქვა ნადირმა.

— სჩანს, შენთვის ბაბუს არ უამბნია საშინელი ზღაპარი სიკ-  
ვდილის ყვავილზე, — ღიმილით წარმოსთქვა ნანამ და, როცა საკ-  
მაოდ განშორდნენ იმ ადგილს, უკვე დამშვიდებულმა, უამბო ნადირს  
შემდეგი:

— ოდესღაც, ძველ დროში, ამავე ბაღში ცხოვრობდა თურმე  
ერთი მებაღე, რომელსაც ჰყავდა ორი ტყუპად შობილი ქალი ია და  
ლია.

ორივე და, როგორც სჩვევიათ ტყუბის-ცალებს, ძალიან გვან-  
დნენ ერთმანეთს, მხოლოდ ია იყო მზესავით ნათელი და ოქროსთმი-  
ანი, ხოლო ლია—ღამესავით მუჭი და შავთმიანი.

დებს ისე უყვარდათ ერთმანეთი, რომ ერთ წუთსაც ვერ შორდე-  
ბოდნენ ერთიმეორეს და მუდამ ერთად საქმობდნენ და ერთად  
ისვენებდნენ.

ერთხელ გზად გაიარა ერთმა ახალგაზრდა მონადირემ და ბაღში  
დაისვენა.

სტუმარს, ჩვეულებებისამებრ, ორივე და გაუმასპინძლდა.

ოქროსთმიანი ია გულში ჩაუვარდა ახალგაზრდა მონადირეს და იმ დღის შემდგომ ზშირად იწყო ბაღში სტუმრობა.

გავიდა ხანი და მონადირის ზრდილობიანი მოქცევითა და სიყვარულით გამთბარი ტუბილი სიტყვებით მოიხიბლა ია, და ერთხელ როცა ქალის მოჩვენებითი უყურადღებობით სასოწარკვეთილმა მონადირემ განუცხადა იას, რომ მან გადასწყვიტა სამუდამოდ გადაიკარგოს და სადმე მხეცებს შეაჭამოს თავი, იამ დარცხვენით, მაგრამ სიამოვნებით გაულო შეყვარებულ ვაჟს თავისი გულის კარები.

მაგრამ ამბობენ, — სიყვარულს ჰყავს მისი ტყუპის-ცალი და — სიკვდილი, რომელიც მუდამ თან ახლავს მასო.

ია სტუბებოდა მონადირის სიყვარულით, მაგრამ ღიას გულში დაიბუდა შხამიანმა გველმა.

ღიას გაშმაგებით და თავდავიწყებით შეუყვარდა მონადირე და გადასწყვიტა თავიდან მოეშორებია ია.

ერთხელ ღიამ თვალი მოჰკრა მოლზე წამოწოლილ შეყვარებულებს, რომელთაც ატმის ხის მწვანე ფოთლიანი კარავი მოჰტარებოდა სიყვარულის ანგელოზის ცისფერ ფრთასავით.

ღიას თვალეში ავმა სულმა შხამი გალესა.

მან მოსწყვიტა რამდენიმე შხამიანი ბალახი, საჩქაროდ დინაყა, შემდეგ გახლიჩა ატამი და ერთ ნახევარს დააწვეთა ხუთიოდე წვეთი.

ატმის ორივე ნახევარი ვაზის ფოთოლზე დასდო და შეყვარებულებს მიართვა: შხამიანი გაუწოდა თავის დას, მეორე — მონადირეს.

ია ავად გახდა და მოკვდა.

მონადირე შეიპყრო საშინელმა მწუხარებამ.

ბევრი ცრემლი დაღვარა ღიამაც.

იას ბაღსზემით გაუთხარეს საფლავი.


უზომო სევდისაგან გულმოკლული მონადირე ყოველდღე მიდიოდა იას საფლავთან და დასტიროდა სატრფოს.

ღიამ შავი ჩაიცვა და სასოწარკვეთით გლოვობდა საყვარელ დას.

როცა მონადირე იას საფლავთან მიდიოდა, მას ყოველთვის იქ ხედებოდა საფლავზე დამხოზილი, მწარედ აქვითინებული ღია.

მონადირე შეეჩვია ღიასთან ერთად იას საფლავზე ტირილს.

ერთხელ, როცა ღიამ მონადირეს მიაპყრო აცრემლებული თვალეები, მონადირე ჩააცქერდა ღიას სახეს და გაჰკვირდა: ღია, როგორც ორი წვეთი წყალი, ჰგავდა იას, მხოლოდ თვალისა და თმის ფერი ჰქონდა განსხვავებული.



აქამდის მონადირეს ამისათვის ყურადღება არ მიექცია და ახლა გაოცებული შესცქეროდა ლიას.

რამდენსაც მეტად აკვირდებოდა მონადირე ლიას, იმდენად უფრო იზნიდებოდა და იფერფლებოდა მის ხსოვნაში იას სახე და თანდათან მის გონებას ეუფლებოდა თვალცრემლიანი, თმაგაშლილი ლია.

მონადირემ დაჰკარგა იასა და ლიას შორის განსხვავების მოგონების უნარი და მასში უეცრად იფეთქა შიშითა და სიზარულით შეზავებულმა გრძნობამ: — საშინელის სიცხადით მოეჩვენა, რომ მას უყვარდა ლია.

მონადირე განცვიფრებული შესცქეროდა ლიას, ხოლო თვალცრემლიანი ლია მწუხარების ქანდაკსავით უძრავად მისჩერებოდა მონადირეს.

ასე გასტანა ორიოდე წუთმა.

ბოლოს მონადირემ, თითქოს გონს მოვიდაო, ხელი მოხვია ლიას, მკერდს ჩაიკრა და მხურვალე კოცნით ამოუშრო ცრემლიანი თვალები.

უცებ თოფნაკრავებივით ზეზე წამოცვივდნენ.

ორთავეს გარკვევით მოესმათ, თითქოს საფლავში იამ ღრმად ამოიკენესა.

შეშინებულნი განშორდნენ საფლავს და ატმის ხის ქვეშ მოითქვეს სული.

განვლო ერთმა თევმ.

მონადირე და ლია თავდავიწყებით მიეცნენ სიყვარულის დაუცხრომელ ნეტარებას და ერთხელაც არ მოჰგონებიათ იას საფლავი.

ერთხელ, სეირნობის დროს, შემთხვევით წააწყდნენ იას საფლავს, რომელზედაც ამოსულიყო უცნაურად ლამაზი შავი წითელწინწკლებიანი, მალალ-დეროიანი ყვავილები.

ლიას მოეწონა ყვავილები, მოწყეიტა და დაწნა ორი გვირგვინი, ერთი მონადირეს გაუკეთა თავზე, მეორეთი თითონ დაიმშვენა თმა.

როცა უკან ბრუნდებოდნენ, ორთავემ იგრძნეს მოულოდნელი დაღლილობა.

ჩამოსხდნენ ხის ძირს დასასვენებლად, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ძილი მოერიათ და ძარღვებში ჩაედვარათ უცნაური სირბილე.

ჩაეხვივნენ ერთმანეთს, მიწვნენ და მიიძინეს.

სალამოს მებაღემ ჩამოიარა და ხის ქვეშ დაინახა ერთმანეთს ჩაბვეული ლია და მონადირე.

გაუკვირდა, ეგონა სძინავთო, აღვიძა, მაგრამ მკედრებს რა გააღ-  
ვიძებდა.

ისინი მოიწამლენ შხამიანი ყვავილის მომაკვდინებელი სურნე-  
ლით.

ასე იძია შური იამ მოლაღატე სატრფოსა და მუხანათ დის მი-  
მართ.

დაიწყო ატმის კრეფა.

სოფლიდან ჩამოვიდნენ მოფარდული ურმეებით ატმის მკრეფავი  
გლეხები და ჩამოიტანეს ვანიერი გოდრები, კიბეები და ორკანი  
ჯოხები.

ბალი აივსო ხმამალალი ლაპარაკით, სიცილით და მოძრაობით.

ნანას გაუჩნდა სამუშაო.

დილიდან საღამომდის დარბოდა იგი გოდრიდან გოდრამდის,  
ჰკრეფდა ხავერდის ბუსუსით შეწითლებულ ატმებს და სიამოვნე-  
ბით თამაშობდა ახალგაზრდა სოფლელებთან.

ნადირს იგი უკვე აღარ ზედებოდა, როგორც ყოველთვის, საყვ-  
რელი ხის ძირს მოუთმენლად მომლოდინე. ახლა თვით ნადირს უნ-  
და ეცადნა, სანამ მისთვის მოიცლიდა შრომითა და სიხარულით  
დატვირთული ნანა.

ნადირ დაღონდა.

შავი ფიჭვი, როგორც მატლი ჩაუჯდა ტვინში და გონებას  
ულრღნიდა იჭვის ბასრი კბილებით.

— იქნება ჩემთანაც ისე თამაშობს, როგორც ამ გლეხებთან, —  
ფიქრობდა ნადირ. — ვიდრე მართო იყო, მე მეაღერსებოდა, ეხლა  
კი, თავის ტოლ სოფელ ბიჭებთან მეტს სიახლოვესა გრძნობს.

ნადირ თანდათან იფლობოდა იჭვის შავ ბურუსში და ახლა ბევრი  
რამ, რისთვისაც წინათ ყურადღება არ მიუქცევია, სულ სხვა სახით  
წარმოუდგა.

გადასწყვიტა ბოლო მოელს ასეთ მდგომარეობისათვის.

ხვალვე ეტყვის მამას ყველაფერს და წაიყვანს ნანას.

რას უნდა უცადოს, ან რას უცდიდა ამდენ ხანს?

სისულელე იყო ეს ლოდინი, ყმაწვილური გამოუცდლობის ნა-  
ყოფი.

და ამ გადაწყვეტილებით უკვე იმედმოცემული ნადირ მივიდა  
ნანასთან და უთხრა:

— ნანა, ამ ორ დღეში უნდა წაგიყვანო სახლში, მოემზადე.

ნანამ თვალეზი ფართოდ დააღო, გაიღიმა და სხივებით სავსე  
თვალეზში, როგორც ნადირს მოეჩვენა, ათასი ეშმაკი ააცეკვა.

— ჯერ ვერა, ნადირ! ნადირისათვის უცნობი სიმტკიცით. ბა-

ბუს ვერ დაეტოვებ მარტოს! ატმის კრეფას უნდა მოერჩეთ და ბაბუ  
სოფელში წავიდეს.

— ღამცინის, — გაიფიქრა ნადირმა და ბრაზისაგან წარბები  
აუთამაშდა.

უნდოდა ეტაცნა ქალისათვის ხელი, მიეკრა ცხენზე და გამოქ-  
ცეულიყო, მაგრამ მოაგონდა მამა და თავი შეიკაფა.

— ვხედავ, ნანა, ძველებურად აღარ გიყვარვარ, — შესჩივლა  
ნადირმა. — არც იგი მჯერა, ნანა, წინათ თუ გიყვარდი, — დაუმა-  
ტა ნადვლიანად და თავი ჩაჰკიდა.

ნანას გააერყოლა და ფერი ეცვალა.

— რას ამბობ, ნადირ? — გაკვირვებით წამოიძახა ქალმა და  
თვალები ცრემლით აევსო.

ნანას დაუძახეს და ნადირ მარტო დარჩა.

არ მოუცდია ჩვეულ დროსთვის, მოაჯდა ცხენს და წამოვიდა.  
ნანას არ გამომშვიდობებია.

იმ ღამეს არ დაუძინია: იჯდა სარკმელთან და ყურს უგდებდა, თუ  
როგორ ხრავდა ტვინში ჩამუჯდარი მატლი მის ბედნიერების უკა-  
ნასკნელ ძაფს.

შემდეგი პეშმანის დღეს ნადირ ბაღში რომ მივიდა, ასეთ სურათს  
წააწყდა: დაყირავებულ ურმის თავზე იჯდა ახალგაზრდა გლეხი და  
შორს სივრცეს გასცქეროდა. ნანა იდგა მის ზურგს უკან, ერთი ხე-  
ლი ყმაწვილის მხარზე დაედო, ხოლო მეორეთი შორეულ მთისაკენ  
ანიშნებდა და რაღაცაზე გაცხარებით ელაპარაკებოდა.

ნადირის თავში იქვის მატლმა შხამი დაანთხია.

როცა ნანამ ნადირ შენიშნა, უცბად შესწყვიტა ვეჯთან ლაპარა-  
კი და მაშინვე გაემართა ნადირისაკენ.

ნადირმა შეატყო ქალს ზედმეტი აწითლება და მის ტვინში ჩამ-  
ჯდარი მატლი უზარმაზარ შხამიან გველად იქცა.

— რას ელაპარაკებოდით იმ ბიჭს? — სალამის მიუცემლად ჰკით-  
ხა გაფითრებულმა ნადირმა ნანას.

ნანამ შიშნაკრავი თვალები ნადირს მიანათა და დაბნეულად  
უპასუხა:

— არაფერს... ვერ გეტყვი... მერე გაიგებ...  
ნადირ მიხვდა ყველაფერს.

მის გონებაში თითქოს მაშხალა აენთო: ცხადად აისახა და გა-  
მოჩნდა ცბიერი ქალის ყველა სიყალბე.

— საოცარია, — ფიქრობდა გაშეშებული ნადირ, — როგორ  
ახერხებდა ასეთ ბავშვურ სახის უკან ამდენ მუხანათობის დამალვას?

— ვისი ბრალია, შენ რომ ბრმა იყო? — სისინით უპასუხა ამ

ფიქრს ნადირის ტვინში ჩამჯდარმა გველმა. — თვალების ნაცვლად რომ რკოები არ გსხმოდა, ათასჯერ შეამჩნევდი, როგორ ქსელავდა შენი მზეთუნახავი ცბიერების ბადეს. ახლაც შეგიძლია მოიგონო ბევრი რამ, რაც ღირსია სხვაგვარი მიხვედრის... და სისინებდა გველი ათას რასმე, შავსა და უკუღმართს და ნადირს ყველაფერი სჯეროდა.

— მაშ მატყუებდი, განა? — დაიწვილა დიდიხნის გარინდების შემდეგ ნადირმა და შეხედა ნანას, მაგრამ თვალები დააცილა და ვილაცას, ნანას უკან მდგომს ჩააშტერდა.

ნანამ შენიშნა ეს და უცებ უკან მოიხედა, მაგრამ ვერაფერს ნახა.

— ნადირ! — ძლივს ამოთქვა შეშინებულმა და ცრემლმორეულმა ნანამ, — არ ვიცი, რატომ მიწყურები! მე არ გატყუებ, ნადირ!..

მაგრამ ნადირს არ ესმოდა ნანას გულამოსკენილი აღსარება, გველის სისინმა დაპტარა ნანას სიტყვები.

ნადირ უცებ მობრუნდა და ცხენს მოახტა.

— ნადირ, კვლავ რომ მოხვალ, პასუხს დაგახვედრებ, — მიამბახა მიმავალ ნადირს ნანამ, მაგრამ ნადირს არაფერი გაუგონია, მის გარშემო მთელი ჰაერი სავსე იყო შხამიანი გველის შეუწყვეტი სისინით.

ფერწასულმა ნანამ თვალი გააყოლა გაქენებულ ცხენს და როცა ნადირ თვალთ მიეფარა, მობრუნდა, მონახა წელანდელი ყმაწვილი გლეხი და განაგრძო მასთან ნადირის მოსვლით შეწყვეტილი საუბარი.

ნადირს იმ ღამესაც არ სძინებია.

მეორე დღე და ღამეც მოუსვენრად გაატარა.

მოქანცულს განთიადზე საეარძელში წასთვლიმა.

ესიზმრა, თითქოს ეყენის წკრიალით მიდიოდა ჰაეროვან ჩვენებათა ქარავანი. წინ მიუძლოდა ქარავანს გამჟვირვალე ნისლით განათებული ურემი, რომელსაც ესხა ორი დიდი ცისფერი ფრთა. ურემზე იდგა ატმით სავსე გოდორი. ზედ იჯდა ატმის ყვავილით შემოსილი ნანა. უცებ მთელი ქარავანი ნელის შრიალით ცაში აფრინდა. ნანამ ნადირს გაუღიმა; ხელი დაუქნია და ატმის ყვავილიანი შტო გადმოუგდო.

ნადირს გამოეღვიძა და გაეხარდა. გველის სისინი მიმწყდარიყო.

მოაგონდა სიზმარი და იმედით გული გაუნათდა.

— ვინ იცის, იქნება ვცდებოდი და ნანას უბრალოდ ვაწყენიე, — სიხარულით გაიფიქრა და მამის ოთახისაკენ გაემართა.

იქ გაიგო, რომ მამა დილით აღრე ავადმყოფთან გაეწვიათ და სლამომდე არ დაბრუნდებოდა.

უცებ თავში გაუელვა: ისარგებლოს მამის სახლში არ ყოფნით და ნანა ინახულოს დანიშნულ დროზე ერთი დღით ადრე. ამრიგად ორი დღე ზედიზედ ნახავს ნანას და გამოისყიდის დანაშაულს.

გაფიქრება და შესრულება ერთი იყო.

შეკაზმა ცხენი და გაქუსლა.

ბაღი ცარიელი დახვდა. ატამი დაეკრიფათ და ურმები წასულიყვნენ.

ნანაც ვერსად ნახა.

გველმა სისინი დაიწყო და ნადირს სახეზე ალი მოუქიდა.

გაიქცა მებაღესთან.

ბაბუ ქოხში იჯდა დაღონებული.

— ნანა სად არის? — მიახალა ნადირმა მოხუცს.

— არ ვიცი, შეილო, გუშინ დილის აქეთ ვეძებ და არსად არის, — დაღონებით უპასუხა მოხუცმა და ნადირს მიანერა მზისაგან გახურებული სახე.

— მე შენი იმედი მქონდა, მეგონა შენ გეცოდინებოდა, — წაიბუტბუტა მოხუცმა და წამოდგა. — ხომ არ გაპყვა, ნეტა; მეურმეთ?

ახლა უკვე ყველაფერი ნათელი იყო ნადირისათვის.

— როგორ არ იცი, მოხუცო! — გაბრაზებით შეუყვირა ნადირმა გაკვირვებულ ბაბუს, თითქოს ამის ბრალი ყოფილიყოს მისი უბედურება. — როგორ არ იცი, რომ ნანა გაპყვა ახალგაზრდა გლეხს, რომელთანაც ამდენი თამაშა და იბაასა აქ! მოგატყუა და დაგავლო მოხუცი და ახლა ალბად დასცინის კიდევ შენს სიბრმავეს და უშკუობას.

ნადირ ცოფიანივით გაგარდა ქოხიდან და დაიწყო ბაღში ხეტიალი.

ათასმა სიამოვნებით განცდილმა წუთმა ქარიშხალივით ჩაიქროლა მის გონებაში და გული მწარე ნაღველმა დაუთუთქა.

ყოველი ხე, თვითეული ბალახი ჯერ კიდევ ინახავდა ნანას თვალების იერს და მისი სხეულის დამატრობელ სითბოს.

ჰაერი სავსე იყო ლოდინით, — რომ საცაა დაიწკრივლებს ნანას სიცილი და დაობლებულ ატმის შტოებში ისევ იელვებს მისი სახე.

არასოდეს ასე ძვირფასი, ასე სანატრელი არ ყოფილა მისთვის ნანა, როგორც ახლა, როცა სამუდამოდ დაჰკარგა იგი.

ნადირ უაზრო ხეტიალში გასცდა ბაღს და მოულოდნელად წააწყდა იმ შავ ყვავილებს, რომლის მოწყვეტის ასე ეშინოდა ნანას.

ნადირმა შეჰკრა სიკვდილის ყვავილების თაიგული, წამოიღო

და დასდო მისთვის საყვარელ ხის ქვეშ, სადაც უყვარდა ნანას.

ნადირს მოეჩვენა, თითქოს დაობლებულმა ხემ ფოთლების ნაღვლიანი შრიალით მიუსამძიმრა მას და მის ყურებს გარკვევით მოესმა საყვარელი ქალის ალერსიანი ჩურჩული.

— დე სიკვდილი სუნთქავდეს იქ, სადაც სიყვარულის ხმა ღალატმა ჩააჭრო, — ამოიყენესა ნადირმა, უკანასკნელად მოავლო აქამდის ასე ძვირფას მიდამოს ცრემლიანი თვალები და წამოვიდა. მეორე დღეს ნანასთან შეხვედრის დღე იყო.

ნადირს მოაწვა აუტანელი სევდა.

ყველაფერი, რაც უკანასკნელ დღეებში მოხდა, მას წარმოუდგა ბოროტი სულის მიერ შეთხზულ მოჩვენებად.

დაუძლეველმა ძალამ მოსწია მის გულს და ანდამატივით მიიზიდა საყვარელ ადგილისაკენ.

ნადირს ძალა არ იყო გამკლავებოდა ქარიშხალსავით მომძაფრებულ სურვილს, შეჰკაზმა ცხენი და გზას გაუდგა.

ნეტავ გაჰქრეს ეს საშინელი სიზმარი, დადუმდეს გულის წამლები სისინი მავნე სულისა და კვლავ აყვავდეს სიყვარულისა და ერთგულების სადგური!

ნადირ ცხენიდან გადმოხტა და ბაღში შევიდა.

სამარისებურმა სიჩუმემ და სიცარიელემ ერთი შეხერვით ჩააჭრეს ნადირის გულში ოდნავ აბუტბებული იმედის შუქი.

ნადირმა მგლოვიარესავით დადუნა თავი და ნელის ნაბიჯით მიუახლოვდა ნაცნობ ხეს.

უცებ მის წინ გადაიშალა საშინელი სურათი:

ხის ძირს იწვა მშვენიერი ნანა.

მარჯვენა ლოყის ქვეშ ბალიშით ამოედო ნადირის მიერ დაკრეფილი შავი ყვავილის თაიფული და ეძინა გაუღვიძარის ძილით.

იქვე სიკვდილის ყვავილს, ნანას სახესთან ერთად, ზედ დანათოდა ახლად მოწყვეტილი აყვავებული ატმის შტო.

თითქოს მეხი გავარდა და დამაბრმავებელმა ელვამ ერთი წამის განმავლობაში ერთბაშად სულ სხვა სახით გაანათა საბრალო ნანას ნოქმედება უკანასკნელ დღეებში...

ნადირის მოულოდნელმა გულის აქცევამ ნანა საგონებელში ჩააგდო. მას მოაგონდა ზღაპრული ატმის ხე და გადაწყვიტა, ნადირის გულის მოსაბრუნებლად, ატმის ყვავილის მოტანა, ამის შესახებ მოელაპარაკა ახალგაზრდა გლეხს, რომელთანაც ბაასს მოუსწრო გაშმაგებულმა ნადირმა. გლეხს გაჰყვა ნანა უბედურ თიანას აყვავებულ საფლავისაკენ და მისმა სიყვარულით ანთებულმა თვალებმა

ნახეს კიდევ თიანას გულის სისხლით წითლად შეფერილი, მუდამ ყვავილიანი ატმის ხე. ნანამ მოიტანა ატმის ყვავილი და ბაბუსაგან გაიგო ნადირის მოსვლა და გაბრაზება. როცა საყვარელი ხის ქვეშ დაინახა ნადირის მიერ დატოვებული სიკვდილის ყვავილი, იგრძნო, რომ სიკვდილი ჩადგა მათ შორის. ნანა ქვეთინით დაემხო შავ ყვავილის თაიგულზე და სიკვდილის სურნელებას შეუერთა თავისი უკანასკნელი ამოსუნთქვა.

ერთი წამის განმავლობაში ნადირ მიხვდა ყველაფერს ამას. სასოწარკვეთილების გრძობამ მოიკვა მისი გული.

სინანულის უშრეტმა აღმა აუნთო გონება.

ატირდა ნადირ, დაიხოქა ნანას წინ და მგზნებარე კოცნით შემოსა ნანას გაციებული სახე.

ნანას თმის სურნელებასთან ერთად ნადირის გულმა შეიწოვა მის მიერ დაკრეფილი სიკვდილის შავი ყვავილის ოხშივარი.

ორიოდე წუთის შემდეგ ნანას უსულო სხეულის გვერდით ესვენა მისთან სიკვდილში დაქორწინებული მისი საყვარელი ნადირ.

იქვე სიკვდილის შავ ყვავილს ზედ დანათოდა გარდაუვალი სიყვარულის უქცნობი ნიშანი — აყვავებული ატმის შტო...

# ქუჩილიძე



## ნოე ჩხიკვაძე

მე სიკვდილს ველი... ჩემს გარშემო  
 ეში ბნელდება...

საუღავეის კართან ჩრდილთა ღმერთის  
 ვუცლა ბრძანებას.


ნ. ჩხიკვაძე

საბედისწერო სიტყვებია, წინასწარმეტყველურის სიმტკიცით ნაქედლი მარად მშფოთავი, დაუცხრომელი, სიცოცხლისა და ბრძოლის წყურვილით გაშმაგებული პოეტი უცებ მიადგა კარდაუვალ საზღვარს, სადაც თავდება ყველაფერი, სადაც სიცოცხლეს ეკარგება ყოველგვარი აზრი და მიზანი წინათგრძნობის გაუგებარ ალღოთი, იღუმალის შემეცნებით იგრძნო პოეტმა „ჩრდილთა ღმერთის“ მოახლოება და მისი საშინელი ბრძანების მოლოდინში წინათ მქუხარე სიმებში ჩამოწვა ნისლი უჩვევის სევდისა. ნ. ჩხიკვაძის უკანასკნელ ლექსებში უცნაურის დაყენებით ისმის შეუწყვეტი შრიალი ახლოს მომდგარ სიკვდილის ფრთებისა. ბრძოლის ცეცხლით დაფერილი სიმები უცებ შემოსა საღამოს ჩრდილმა, და თუ პოეტური შემოქმედება შეუცნობის გამომყვადებდა — ნ. ჩხიკვაძე უსათუოდ უნდა მომკვდარიყო. უნდა მომკვდარიყო იმიტომ, რომ მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა „ჩრდილთა ღმერთმა“ და უნუგემო დიაგნოზი მიხეილის საავადმყოფოში მხოლოდ განმეორება იყო ამ განაჩენისა.

ნ. ჩხიკვაძეს არ დასცალდა თავისი შემოქმედების პოტენციური ძალის ფართოდ გაშლა, მაგრამ ისიც, რაც მან მოასწრო, უთუოდ მატარებელია პროტესტანტული ენერჯის დაუშრეტელი პათოსის და ჭეშმარიტი ტემპერამენტით არის გამთბარი. მისი სიტყვა მკაცრია და შეუპოვარი, ვით ხელით გასროლილი რიყის ქვა, მაგრამ ეს სიმკაცრე ასე ბუნებრივია ამ „მოუხეშავ“ პოეტისათვის. სამოქალაქო პანგზე მომღერალ მგოსანთა შორის ნ. ჩხიკვაძეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი არ არის მხოლოდ სოციალური უკუღ-

მართობის წინააღმდეგ მებრძოლი, მისი ბრძოლის ასპარეზი უფრო ფართოა. სოციალური უსამართლობა ერთი სახეა იმ საერთო მარადიული ბოროტებისა, რომლის ირგვლივ ტრიალებს მთელი ქვეყანა. მას არა სჯერა, რომ სოციალურ უსამართლობის მოსპობასთან ერთად გაპქრება საერთო სათავე ბოროტებისა. შეიძლება დამყარდეს კაცთა შორის მშვიდობა და თანასწორობა, მაგრამ აღამიანის მოუსვენარ სულის სარკეში მუდამ იქნება ასახული მიუწვდომელ მისწრაფებათა ნანგრევები. სოცოცხლობს მსოფლიო მთლიანი, როგორც განუყოფელი ერთეული, და ბუნების ათასგვარ ძალთა საერთო რეზერვუარში სოცოცხლე მარადიულია და დაუსრულებელი. მაგრამ მას შემდეგ, რაც ამ შეგნებულ პროცესში პიროვნებამ თავისი ადგილის შემოფარგვლა დაიწყო, მას შემდეგ, რაც პიროვნებამ თავი დააღწია მის გარეშე არსებულ ყველა ძალთა საერთო კანონს — პასივობას, — და აქტივობა გამოიჩინა, — პიროვნებისა და მსოფლიოს შორის დაიბადა კონფლიქტი, რომელიც აღწევს მით უფრო ტრაგიკულ სიმწვავეს, რაც უფრო მეტის ენერჯით არის აღჭურვილი მებრძოლი პიროვნება. ეს ბრძოლა აუცილებლად თავდება პიროვნების სრული დამარცხებით. პიროვნება საბოლოოდ ქრება, მსოფლიო კი დაუსრულებლად ვითარდება, აქ არის დაუძლეველი წინააღმდეგობა, რომელსაც ვერავეითარი ფილოსოფიური, რელიგიური და სოციალური ხრიკებით ვერ აიცილებს ვერც ერთი მოპროვნი ადამიანი. სულით ძლიერი ტრაგიკულის განწირულებით ებრძვის ამ წინააღმდეგობას, სუსტი მორჩილდება ბედისწერას, ხოლო არის ბევრი გულუბრყვილო, რომელიც ახერხებს თავის მოტყუილებას კაცობრიობის მირაყით. ბოლო ყველას ერთგვარი აქვს: პიროვნება სამუდამოდ, განუმეორებლად ქრება და ვინც არა ზერეღედ, მამლაყინწურის გამბედაობით, არამედ ღრმად, ბოლომდის განცდით, ექსტაზური თავდავიწყებით ჩაუკვირდება ამ მოვლენას. შეუძლებელია მან არ განიცადოს ის საშინელი ყრუანტელი, რომელიც ნაღველით ავსებს სულს.

ნ. ჩხიკვაძის შემოქმედებაში არის ერთი მთავარი სიმი, რომელიც უეჭველად ამ ყრუანტელით არის ათრთოლებული. ამას მე არ ვესაბუთებ ციტატებით, ეს მე არა მსურს, — იქნება შეუძლებელიც იყოს. მე ვიღებ მხედველობაში არა ცალკე ტაეპებს და სტრიქონებს, არამედ მთლად მისი პოეტური შემოქმედების და პირადი ცხოვრების საერთო შუქს, საერთო მუსიკას, რომელიც ჩემზე ასეთ შთაბეჭდილებას სტოვებს. ამას მით უფრო მეტის სითამამით გამბობ, რომ ამ სტრიქონებს არა აქვს არავეითარი პრეტენზიები კრიტიკული წერილისა.



ნ. ჩხიკვაძის ბუნტარული სული საესე იყო დაუსრულებელი ბრძოლის ენერჯით. იგი ყველას ებრძოდა, არა მარტო მტერს, ხშირად მოყვარესაც, და მისმა აზლობელმა მეგობრებმა იციან, რომ მას არ ეძნელებოდა საუკეთესო ამხანაგების წინაშე ჩხირის გატეხა. უადრეს პატივისცემის გრძობას იგი უძებრებდნენ შესცვლიდა უმწვერვალეს მტრობად და პირიქით. ის აღსაესე იყო შურისძიების გრძობით, მაგრამ მან არ იცოდა ვის წინააღმდეგ მიემართა შხამიანი ესარი, მთელ თავის სიცოცხლეში მას გარშემო მტრები ელანდებოდა, მუდამ მტრების ძებნაში იყო, მაგრამ არასდროს გარკვევით არ ქონდა წარმოდგენილი, ვინ და რისთვის მტრობდა მას. გუშინდელი მტერი დღეს უსათუოდ მოყვარედ იქნებოდა მიჩნეული და დღევანდელ მეგობარს არ უნდა ქონოდა იმედი ხვალინდელი დღისა. ის ებრძოდა ვილაცას, ებრძოდა თავგამოდებით, გაშმაგებით და ეს „ვილაცა“ იყო უნივერსალური მტერი. ეს ადასტურებს ჩემს აზრს, რომ ნ. ჩხიკვაძის ბუნტი არის აჯანყება არა მარტო თანამედროვე გარდამავალი სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ, არამედ ის მიმართულია მსოფლიო ბოროტების წინააღმდეგ. და, მართლაც, ძველი რეჟიმის ბატონობის ხანაში ნ. ჩხიკვაძე მებრძოლ პოეტთა რიგში ერთი საუკეთესო მეომართაგანი იყო. დაინგრა ძველი რეჟიმი. გამარჯვებული მეომრები ზეიმით მიეგებნენ სოციალურ სამართლიანობის განთიადს. ნ. ჩხიკვაძემ კი ამ განთიადის შემდეგ მოულოდნელის გაბრაზებით ამეტყველა თავისი ქნარი. და ბოლოს უჩვეულოდ დათალხა იგი. რატომ აკენესდა მისი ჩანგი საერთო დღესასწაულის დროს ასე გულსაკლავად? პირადი ცხოვრების სიდუხჭირით? მაგრამ პირადი ცხოვრების მოუწყობლობა ხომ მისი განუყრელი თანამგზავრი იყო! საერთო მდგომარეობის სიმწვეავით? მაგრამ ამას ხომ მოხეიძენიე გრძობდნენ! ყოველს შემთხვევაში ბორკილები დამსხვრეული იყო და ის გასაჭირი, რომელსაც ხალხი განიცდიდა, მხოლოდ გამწვავება იყო ბრძოლის პროცესისა და ამას არ შეეძლო გამოეწვია უიმედობა „ბრძოლის ცეცხლად ქცეულ“ მგოსანში. პოეტის ასეთი ფსიქოლოგიური გარდატეხის ახსნა შეიძლება მხოლოდ ერთის გზით: ნ. ჩხიკვაძის ისარი მიმართული იყო მსოფლიო ბოროტებისაკენ და სადაც სხვებმა მიზანი მიღწეულად ჩათვალეს, იქ მან დაინახა ახალი ასპარეზი დაუსრულებელის ბრძოლისა და მეტის სიმძაფრით იწყო ყვილი. რაც უფრო წინ, მით უფრო მეტი კონფლიქტი მსოფლიოსთან!

რა თქმა უნდა, პოეტის ასეთი განწყობილება თანამედროვე სოციალურ პრობლემასთან არათუ არ ამცირებს მის მნიშვნელობას საზოგადოების მოწინავე კლასის ბრძოლისათვის, პირიქით, დაუს-

რულებელი ბრძოლის პათოსით ანთებულ ქნარს მეტი ღირებულება აქვს საზოგადოებრივ გარდაქმნის პროცესში, ვინაიდან უფრო მეტის სიძლიერით აღვივებს შეურიგებელ ბრძოლის ცეცხლს.

6. ჩხიკვაძის პირადი ცხოვრების გზა ჰემშარიტად ეკლით იყო მოფენილი. მის ცხოვრებაში არ ყოფილა „ოქროს ხანა“, მას არ ქონია დრო ცხოვრების დამშვიდებით განჰკერცისა, იგი მუდამ იბრძოდა არსებობისათვის და ამ ბრძოლას ყოველთვის ჭონდა ხელჩართული ომის ხასიათი. იგი მუდამ კრიტიკულ მომენტს განიცდიდა, ყოველთვის ბეწვზე ეკიდა მისი ოჯახის კეთილდღეობის ბედი. — აი, მაცალე, ეს კრიტიკული მომენტი რამენაირად თუ გადავიტანე, — იტყოდა ხშირად იგი, — მერე არაფერი მიშავს, ცხოვრებას გაუმკლავდები. გაივლიდა ეს დრო, მაგრამ მას დაუყოვნებლივ მოყვებოდა ახალი კრიტიკული მომენტი და ასე დაუსრულებლად. დაუდგრომელი, მოუსვენარი, შეურიგებელი, იგი ვერ ეგუებოდა კერძო სამსახურს და არასდროს არც ყოფილა ერთ თუ ორ თვეზე მეტს რაიმე სამსახურში. უთუოდ უნდა წაჩხუბებოდა ვისმეს და ბრანზმორეული სტოვებდა ადგილს. ძნელი წარმოსადგენიც იყო ნ. ჩხიკვაძე სადმე მოხელედ, რომელსაც აქვს განსაზღვრული ჯამაგირი და სამუშაო დრო, აქვს, მამასადამე, წინდაწინ შემუშავებული გეგმა, ბიუჯეტი და სხვა. ამ მხრივ იგი იყო ტიპიური ბოჰემა; რომლისთვისაც ხვალინდელი დღე უთუოდ გამოცანა უნდა ყოფილიყო. იგი ორგანიულად ვერ ეგუებოდა ვერავითარ ყალიბს, გეგმას, ყოველდღე თხზავდა ახალ ცხოვრებას და ყოველ მეორე დღეს ანგრევდა წინათ განზრახულს. მას იტაცებდა მოულოდნელობა, ანაზღეული რამ და უყვარდა განსაცდელი და ბედთან შებრძოლება, უყვარდა ქალაქის თამაში, რომელიც, ჩემის აზრით, იყო გამოწვეული არა მარტო ფულის მოგების სურვილით, არამედ იმ ინტერესით, რომელსაც აცხოველებს შემთხვევითი, მოულოდნელი მოგლენის სიახლოვე და მისი ბუნდოვანება.

მე ნ. ჩხიკვაძეს შევხვდი 1905 წელს სარევიოლუციო მუშაობის ასპარეზზე. ამ დროიდან იწყება ჩვენი ოჯახური დამოყვრებაც, 1908 წლის დამლევს მან მიატოვა სოფელი და ცოლშვილით ფოთს გადასახლდა. მე ახლად დაბრუნებული ვიყავი ჩრდილოეთიდან, როცა ვესტუმრე, დამხვდა სადგურზე.

— იცი, საშა, მე საკუთარი სახლი ავაშენე აქ! — მითხრა თავმომწონე ღიმილით, მისალმების შემდეგ.

— ავაშენა ღმერთმა, კარგი საქმე გიქნია, — ვუპასუხე სიცილით.

გამიკვირდა კი, და ცოტა ეკვიც შემეპარა, ხომ არ მატყუილებს მეთქი. წავედით. გზაზე სულ თავის ახალ გეგმებზე მეზაასებოდა.

— ფოთი ჩემი სახლისკენ წამოვა, — გატაცებით ასაბუთებდა თავის აზრს. სხვა მხრით არა აქვს ქალაქს გასაქანი, ზღვაში ხომ არ გადავარდება, უსათუოდ ჩემსკენ უნდა გაიზარდოს. ფოთს დიდი მომავალი აქვს... ჩემი სახლის ირგვლივ ნახავ მალე ერთი ციდა ადგილი აღარ იშოვებოდეს. მე, თუ გინდა, შენც ავიღებ ერთ ნაჭერ მიწას, გქონდეს, მერე სახლსაც დაგადგმევიწებ!

მივდიოდით ჩქარის ნაბიჯით. ღრუბლიანი დღე იყო. სცრიდა. ნოე აღგზნებით მიხატავდა ზღაპარულ მომავალს ფოთისას. რაღაც ათი წლის განმავლობაში ქალაქი საშინლად გაიზარდება, ირგვლივ ქაობები ამოშრება, გზებს გაიყვანენ, საუცხოოდ გამშვენიერდება, განსაკუთრებით, განაპირა კუთხეები და სხვა.

მე ყურს ვუგდებდი ნოეს დაუცხრომელ ბაასს და დიდი ხანია ველოდი, საცაა შეუხვევს და სახლში შევალთ-მეთქი, მაგრამ არ ქონდა დასასრული არც ნოეს ზღაპარს, არც ჩვენს გზას.

— სადაა, ნოე, შენი სახლი, რომელ ქუჩაზეა, — გაუბედავად შევეკითხე ბოლოს.

— აი ახლავე მივალთ, — მომიგო სწრაფად, — ჯერ ქალაქია ქუჩებზე ვართ, აი იმ სიმაღლიდან „სობორო“ მოსჩანს. ჩემი ქუჩა ახალია, მგონი სახელიც უწოდეს, ქალაქის გამგეობაში ჩაწერილია...

გავიარეთ ქალაქის განაპირა ქუჩებიც. სრულიად მოვეცილდით შენობებს და ერთ დიდ მინდორზე გავედით. შეკუბზე ვიწრო ტალახიან შექაში და გავედით მიყრუებულ ადგილს. შორიდან დაეინახე „ბუღკასავით“ ამართული პატარა ახლად ანაგები სახლი. გამაყრყოლა.

— რა გააჩერებს ერთ ოჯახს ამ უდაბნოში, — ნაღვლიანად გავიფიქრე, მაგრამ ამ დროს შევნიშნე, რომ ნოე ელის ჩემს აზრს ცოტა დარცხვენით, და მხიარულად წამოვიძახე:

— ეს არის, ნოე, შენი სახლი, ნამდვილად! კარგ ადგილზეა, ძმაო, რა გინდა მეტი.

შევედით სახლში. ერთი პატარა ათახი მაღალ ბარჯგებზე. გარშემო ქარი ზუზუნებს. შორით მოსჩანს შუქურას წითელი შუქი... ამ სახლში დიდხანს არ უცხოვრია. აქ მოუყვდა ნოეს პირმშო ვაჟი. მიატოვა ფოთი, სახლი ქარმა წააქცია.

ომის დაწყების შემდეგ ნოემ თავის სოფელში დაიდგა მშვენიერი სახლი, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ გაყიდა და თბილისში იყიდა პატარა სახლი. გადმოსახლდა ცოლშვილით. რამდენიმე თვის შემ-

დღე ეს სახლიც გაყიდა და ცოლშვილი სამტრედიისში დააბინა. ამ წლის დამდეგს ხელშეიარედ იყიდა თბილისში პატარა სახლი, მაგრამ ვერ ეღირსა მის დაცლას მდგმურთაგან, რომ ცოლშვილი ჩამოეყვანა სამტრედიიდან.

თებერვალში ჩამოვიდა თბილისის მტკიცე გადაწყვეტილებით — რაღაც დასჯდომოდა, დაეცალა სახლი, მაგრამ ვერ მოახერხა. მაშინ გაცივდა და პირველად გახდა ავად ფილტვების ანთებით. რადგანაც თბილი ბინა ავადმყოფს ვერ ვუშოვეთ, ექიმების რჩევით ალექსანდრეს სახელობის საავადმყოფოში მოვათავსეთ. მეორე დღეს საავადმყოფოდან დამირეკეს: თქვენი ავადმყოფი ექიმს არ უჯერის და წასელას აპირებსო. გავიქეცი საავადმყოფოში, მაგრამ სანამ შივიდოდი, იგი წამოსულიყო.

— არაფერი არ ვაგვივიდა, არც თხოვნა, არც მუქარა, ძალით მოგვატანია ტანისამოსი და წავიდაო, — მითხრეს საავადმყოფოში.

იმ საღამოს ნათესავთან გაეთია ღამე. მეორე დღით ჩემთან მოვიდა. ჩაი დალია და სიცხე გაიზომა. 39 ჰქონდა. მაშინვე დავაწვინეთ, მაგრამ ჩემს ბინაში ციოდა და სხვა ოთახს დაუწყეთ ძებნა.

— საშა, ოღონდ გადამარჩინე ამ ხიფათს და შემდეგვისათვის ჭკუას ვისწავლი, — მითხრა შეშინებული ხმით

მოვნახეთ თბილი ბინა. ამხ. სილიბისტრო რემონიძეს დავეურვე და თავისი ბინა შემოგვთავაზა. მაშინვე ჩავსვი ეტლში საბანში გახვეული და წავიყვანე.

იქ ბუხარში ცეცხლი დაანთეს და ნოეც მაშინვე კარგ გუნებაზე მოვიდა.

მეორე დღეს რომ მივედი, ნოეს უკვე სიცხე არ ჰქონდა და სილიბისტროს გაცხარებით ეკამათებოდა რაღაც წისქვილის შესახებ.

— რა წისქვილია, კაცო, ხომ არ ვაგვიყდი? — გაიკვირა მე.

— ვაგვიყდი კი არა, საშა, ეს ისეთი საქმე აღმოვაჩინე, რომ ჩემს ღუხჭირ ცხოვრებას ბოლო მოეღო, — მტკიცე რწმენით მიპასუხა ნოემ. — ამ საქმეს ჯერჯერობით მე და სილიბისტრო ვაწარმოებთ, მაგრამ არც შენ დარჩები გარეშე მაყურებლად ბოლოს. და ნოემ დალაგებით მიაშპო, თუ როგორ მიაგნო ვიღაც ინჟინერს, რომელმაც გამოიგონა მოტორიანი წისქვილი, როგორ გადაწყვიტა აბაშაში წისქვილის დადგმა და მთელი გეგმა გადამიშალა. დღეში ორმოცი ათასი ფუთი სიმიინდი უნდა დაფქვას. მეათედი წისქვილს დარჩება. ეს აუარებელ თანხას გააკეთებს. შემოსავლის ნახივარს მოახმარს ათგილობრივ საქველმოქმედო და კულტურულ მიზნებს. მეორე ნახევრით საშუალოდ უზრუნველყოფს ცოლშვილს და ახლობელ მეგობ-

რებს. დაიწყებს წიგნების გამოცემას. დააარსებს სტიპენდიებს და სხვა და სხვა.

სილიბისტრო საერთოდ ეთანხმებოდა, მაგრამ ორმოცეათისი ფული ცოტა გადამეტებულად მიაჩნდა და ნოეც ამაზე ცხარობდა.

— ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ჯერ კარგად ვახდი და ამაზე ფიქრს მერე მოასწრებ, — დავარიგე წამოსვლისას.

მესამე დღეს ნოე ჩემთან შემოვიდა. მეწყინა. შემატყო, რომ მეწყინა. წოლა არ მარგებს. ცოლშვილი დაყრილი მყავს სამტრედი-აში, უნდა აივხედო.

ცოტა ხნის შემდეგ სადგურისაკენ წავიდა. არ დაიჯერა ჩვენი რჩევა — რამდენიმე დღე მოეცადა.

გზაში ავადმყოფობა შეუბრუნდა და სამტრედიში ხელმეორედ გადაიტანა ფილტვების ანთება.

---

მაისის 22-ს, შაბათს, ერთი ნაცნობის ხელით ნოემ გამოგზავნა თავისი პატარა „საკვოიაცი“ შესანახად და შემდეგი წერილი:

„საშა! მე ჩამოვედი სამშაბათს ღამეს. ოთხშაბათს ბენიასთან ვიყავი და ვთხოვე სახლი დაეცლევინებინა. ბენიამ მყისვე მოახდინა განკარგულება ამის შესახებ და უბრძანა მოხელეს საქმე ეხლავე მოეგვარებინა. მოსამსახურემ ვადა პარასკევს დამიღო. მე კი დღესვე ვავხდი ანთებით ავად და სიკვდილს ვებრძვი. მე სახლს თუ ვერ დავცლიდი, უნდა გამეყიდა, მაგრამ რაკი დავცალე აწი... ბენიამ სამსახურიც მომცა... თუ ყველა ოხრათ არ დამრჩა... ერთი კაპიკი ფული არა მაქვს, უწამლოდ ვკვდები.

შენი ნოე ჩხიკვაძე.

P. S. მე ვწევარ კიხლიარის ქ. № 3.

წერილის მომტანმა მითხრა, რომ ბარათის დაწერის შემდეგ ის ექიმთან იყო და ექიმის რჩევით თავის ფეხით მიხეილის საავადმყოფოში წავიდა და იქ წევსო.

იმ საღამოსვე მწერალთა საბჭოს სხდომაზე გადასდო ცოტაოდენი თანხა ავადმყოფ პოეტისათვის. მეორე დღით წავედი საავადმყოფოში. წამომყენენ გ. რუხაძე და ობოლი მუშა.

შევედით თუ არა საავადმყოფოში, შემოგვეგვება ექიმის ვირსალაძე და ალ. ნიკიტინი. ნიკიტინს ხელში კონვერტი ეჭირა.

ექიმმა მიგვიწვია კაბინეტში.

— აი ეს არის, წერილის გამოგზავნა გვინდოდა თქვენთვის — მითხრა მან. — კარგია, რომ შემოხვედით.

და მიაშბო, თუ რა მდგომარეობაში იყო ავადმყოფი. — ფილ-

ტყეების ანთებით არის ავად, მდგომარეობა გართულებულია ნერვების აშლით.

დილიდანვე სიცხე მომატებოდა. ეთხოვა: აბაშელს შეატყობინეთო. ამ დროს შემოსულა ექიმი შ. მიქელაძე, შეხვეწნია — წამიყვანე და მე თვითონ მოველაპარაკები ტელეფონითო.

შ. მიქელაძეს ჩაუსვამს ავადმყოფი პოეტი თვლებიან სავარძელში და ჩამოუყვანია ტელეფონთან, მაგრამ ტელეფონი გაფუჭებული ყოფილა. სიცხით გაბრუებულ გონებას მეტი აღარ უნდოდა.

— გამიშვით, — შეჰყვირა თურმე ავადმყოფმა და წამოვიარდა გასაქცევად. თქვენ განზრახ დაჰკეტეთ ტელეფონი და გინდათ მომწამლოთ ისე, რომ არაფერს ვაიგოს ჩემი სიკვდილი.

თხუთმეტი კაცს ძლივს დაუმაგრებია და პალატაში შეუყვანიათ.

— იძულებულნი შევიქენით დამამშვიდებელი ხალათი ჩაგვეცმია. ახლა მორფი შევეუშხაპუნეთ დასაძინებლად და წვეს საწოლზე მიკრული, — გაათავა ექიმმა.

— არ შეიძლება ახლა მისი ნახვა? — შევეკითხე ექიმს.

— კი, ახლავე, თუ არ სძინავს.

წავედი პალატაში. ჯერ ექიმი შევიდა. არ სძინებოდა.

ყველა ერთად ნუ შეხვალთ, ჯერ მარტო თქვენ შედითო, მითხრა.

შევედი. ნოე იწვა გულზე ხელებდაკრეფილი. თვალები გაჭფართოვებოდა და გაბრაზებული გამოიყურებოდა.

— საშა, რაშია საქმე, რა უნდათ, კაცო, ჩემგან? — მომმართა, დამინახა თუ არა. — რა დავაშავე ისეთი, რომ სიკვდილით დასჯა გადამწყვიტეს? მართალია ცოტა ავლედი, მაგრამ ვანა ამისათვის უნდა მომწამლონ?

— რას ამბობ, ნოე, დამშვიდდი, ვინა გწამლავს, ვინ გკლავს, არა გრცხვენია? — ვცადე დამშვიდება და ახლოს მიეუჯექი. შუბლზე ხელი გადაუხსვი. დიდი სიცხე ჰქონდა.

— ხომ იცნობ შენ ექიმს? ვირსალაძე არ არის? და რაფერ მოგივიდა ახრად, რომ ამან უნდა მოგწამლოს? პირიქით, გივლის კარგად, რომ რაც შეიძლება მალე მორჩე.

— საწამლავი შემიშხაპუნეს, საშა, მორფი, ჯერ დამაკრეს საწოლზე, ხელფეხი შემიბორკეს, მერე მომწამლეს.

— ეგ საწამლავი კი არ იყო, — მიუბრუნდა ავადმყოფს ექიმი, — დასაძინებელი წამალია. თქვენ მდგომარეობაში დამშვიდებაა საჭირო, თქვენ კი თხუთმეტი კაცი გაანიაგეთ, ძლივს დაგაჯავს.

— სად მიდიოდი, ნოე, რატომ გააჯავრე ექიმი?

— შენთვის მინდოდა დამერეკა და გული მომიყვანიეს. — ცოტა მოლბა ავადმყოფი.

— მე გუშინ მივიღე შენი წერილი. და აი, ვარლამი და სოლო-  
მონიც აქ არიან მოსულნი შენს სანახავად.

შემოვიდნენ და მიესალმნენ. ნოემ ასწია ხელი ჩამოსართმევად,  
მაგრამ მიკრული ქონდა.

— საშა, — სრულიად დამშვიდებული კილოთი მომმართა, —  
სთხოვე ექიმს შემიხსნან ხელები. ახლა მე დამშვიდებული ვარ და  
ვგრძნობ ჩემს დანაშაულს. ბოდიშს ვისდი.

ექიმმა უარი განაცხადა. არა უშავს, იწვევს ისე, მისთვისაც უკე-  
თესია, დაიძინებს და მერე შევეუხსნითო.

— ბ-ნო ექიმო, — მიმართა ნოემ ექიმს, — მე უკვე გამოვერ-  
კვე, გონს მოვედი. ენახე ჩემი მეგობრები, ახლა კმაყოფილი ვარ,  
ბედნიერად ვგრძნობ თავს. შემიხსენით ხელები, არ არის საჭირო,  
გარწმუნებთ, რომ ყოველს თქვენს დარიგებას უსიტყვოდ დავემორ-  
ჩილები.

მე ვგრძნობდი, რომ მართლაც საჭირო აღარ იყო ხალათი, მაგ-  
რამ ექიმმა მანიშნა — არ შეიძლებაო.

— კარგი, ნოე, — დაუწყვე ისევ დამშვიდება. — ცოტა ხნის  
შემდეგ მე თითონ გაგიხსნი, ეხლა ეცადე დაწყნარდე და დაიძინო.  
ექიმი გავიდა.

მე მაშინვე შევეუხსენი ფეხები. ხელები არ დამანება მოწყალე-  
ბის დამ, ექიმის ბრძანება არისო. წყალი მოითხოვა. დამშვიდდა.  
ბევრს ლაპარაკობდა. იცინოდა: მორფი საწამლავი მეგონაო. მოწყ-  
ალეობის დასთან ბოდიში მოიხადა. დიდხანს ვილაპარაკეთ. მორიგე  
ექიმმა გამიწვია განზე და მთხოვა წავსულიყავით, რომ ავადმყოფს  
დასძინებოდა.

გამოვემშვიდობეთ. დავბირდით საღამოს გნახავთო. შენი ბავშვი  
მომიყვანეო, — დამიბარა.

ნასადილევს ავადმყოფისაკენ გავეშურე. ცოლი და ბავშვი  
წამოვიყვანე. რომ მივედით ეძინა. კარგა ხანს ვუცადეთ ღერეფან-  
ში. მორიგე ექიმს გამოვკითხე, როგორ მიმდინარეობდა ავადმყოფო-  
ბა. მდგომარეობა სერიოზულია, მაგრამ შეიძლება გადაიტანოსო.

ამასობაში გამოლევებოდა. შევედით.

— რა ტკბილად მეძინა, — მითხრა მხიარულად და ბავშვს დაუ-  
ძანა. გაეხარდა ბავშვის ნახვა.

— საშა, ჩემი ბავშვები უნდა ჩამომიყვანო, — ფული გაუგზავ-  
ნე რამდენიმე ათასი მანეთი და ჩამოვლენ. მანამდის აქ სახლი დააც-  
ლევინე.

ნოე სრულიად გამოცვლილი დამხვდა. დილინდელ აჯანყებისა-  
გან არაფერი დარჩენილიყო. ხელები უკვე შეეხსნათ.

სიცხე გაუზომეს. 38 ჰქონდა.

კარგ გუნებაზე დადგა. ხუმრობდა. თითონ მოჰყვა დილის თავის გადასავალს და დასცინოდა თავის სიშმაგეს.

წამოსვლისას მთხოვა მეორე დილით ბენია ჩხიკვიშვილი მენახა და სახლის დაცლის ამბავი გამეგო. თან ფული უნდა მეშოვნა სოფლიდან ცოლშვილის ჩამოსაყვანად.

საავადმყოფოდან წამოვედი სრულიად დარწმუნებული, რომ ნოეს არავითარი საფრთხე არ მოელოდა.

დილით ვნახე ბენია, ფულიც ვიშოვნე.

სახლში რომ მივედი, ცუდად შევიქენი. სიცხე მომცა. დაეწევი და საავადმყოფოში ცოლი გაგზავნე.

დავაბარე ნოესთვის ეთქვა, რომ ფული უკვე გაგზავნილია.

ცოლი დიდხანს არ დაბრუნდა, ბოლოს მოვიდა, თან ახლდა ჩემი და ნოეს რამდენიმე ნათესავი.

— როგორ არის ავადმყოფი, რად დაგავციანდა? — შევეკითხე ცოლს ცუდის წინათგარძნობით გამსჭვალულმა.

— ძალიან ავად არის, — მიპასუხა.

— ნახე?

— არა... არ მაჩვენეს.

საბრალო, ნოე! დილით გარდაცვლილიყო. შუალამემდის კარგად სძინებოდა. შემდეგ უცებ წამოვარდნილიყო და დარეოდა მოსამსახურეთ. ისევ ჩაეცმიათ ხალათი და მიეკრათ საწოლზე. დილამდის ებრძოლნა გიჟურის სასოწარკვეთილებით და დილის 10 საათზე სული დაეღია.

სამი თვის განმავლობაში მესამეჯერ გახდა ფილტვების ანთებით ავად. ვეღარ გადიტანა ბოლოს.

მუდამ სახლსა და ბინის ძებნას გადაყოლილმა უკანასკნელად საავადმყოფოში ჰპოვა თავშესაფარი და იქ მოწყვეტილმა ცოლშვილს და მეგობრებს, გიყის ხალათით შეკრულმა განიცადა საშინელი სიმარტოვე საბედისწერო ბრძოლაში. ვინ იცის, მომაკვდავ პოეტის ანთებულ გონების ეკრანზე რამდენი საშინელი სურათი აღბეჭდა წყვდიადის ღმერთმა ამ ტრაგიკულ შებრძოლების დროს.

მეორე დღეს მიცვალებულის ხელნაწერებში სხვათაშორის ამოვიკითხეთ დაუმთავრებელი ლექსის შემდეგი სტრიქონები:

„ლოცით ვერ დავსძლევ მწუხარების შავსა ზმანებას,  
ერემლთა ჩანჩქერით კმუნვა ჩემი არ განელდება.  
შე სიკვდილს ველო... ჩემს გარშემო ვამი ბნელდება...  
საფლავის კართან ჩრდილთა ღმერთის ვუცდი ბრძანებას...“

## უვითელი ფოთოლი

(ა. ტაბიძის პოეზია)

დღეს ჩვენში ბევრს აღონებს პოეტთა განსაცვიფრებელი სიმრავლე: ბევრი ჰფიქრობს, რომ მოლექსეთა ასეთი გამრავლება მომასწავებელია პოეზიის დაქვეითებისა, — „ოდეს ტურფა გაიფუტეს, აღარ ღირდეს არცა ჩირად“. ზელოვნების საიდუმლო ტაძარს, მომაცვდავთათვის მიუწვდომელ პარნასზე აგებულს, ჩამოეცალა ვარსკვლავებით მოქედილი ფარდა და იგი ყველასათვის მისაწვდომი გახდა: ყველას შეუძლიან ქვის განიერ კბეზე აირბინოს და მშვენიერების საკურთხეველში უდარდელად აღიღინოს სტეირა.

ასე ჰფიქრობს ბევრი.

მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ასე არ არის.

ქართველ მგოსანთა სიმრავლე უბრალო ილიუზიაა და აიხსნება ორი გარემოებით: ქართველი ერის სიმცირით და ჩვენი მხატვრულ ლიტერატურის შესაფერ კრიტიკული მწერლობის უქონლობით.

ჩვენი ერი მეტად მცირერიცხოვანია: ჩვენს მწერლებს თითქმის ყველას პირადად ვიცნობთ. ყველა ისინი თავმოყრილია ჩვენს რამდენიმე ყურნალ-გაზეთში. ქართველი მკითხველი ყველა ქართულ გამოცემას იცნობს, საკმარისია რომელიმე ავტორმა დაჰბეჭდოს ორი-სამი ლექსი, რომ ის მკითხველმა საზოგადოებამ პოეტთა რიცხვში მოათავსოს, არც ერთი ახალი მწერალი, რა ღირსებისაც უნდა იყოს იგი, არ ეკარგება საზოგადოებას და ყოველი ბედის მამიებელი ჩვენს მწერლობაში პირველ კალმის ცდისთანავე ცნობილი ხდება. რა თქმა უნდა ასეთ პირობებში მწერალთა რიცხვი გაიზრდება. მრავალრიცხოვან ერში კი მწერლობას არა აქვს ასეთი ოჯახური, ინტიმური ხასიათი, მაგალითად, რუსეთის დიდსა და მცირე ქალაქებში აუარებელი ყურნალ-გაზეთები გამოდის და ყოველ მათგანს ყავს მთელი რიგი მწერლებისა. რუსეთის ზღვა პროვინციას რომ თავი გაანებოთ და სატახტო ქალაქების უკანასკნელ ათი წლის ყურნალ-გაზეთები გადაათვალიეროთ, თქვენ აღმოაჩენთ მრავალ მოლე-

ქსეთ, რომელთაც არაეინ არ იცნობს რუსეთის ლიტერატურაში, იქ მხოლოდ ძლიერთ უსმენს მთელი ერი და დიდი უმრავლესობა კალამის მოთამაშეთა ისევე შეუმჩნევლად იბოცება, როგორც იბადება. ჩვენში კი შემთხვევით რომ კალამი აიღო ხელში, ძალა უნებურად მთელს ერს უნდა გამოეჭიმო წინ.

ასეთ პირობებში მყოფს ლიტერატურას დიდს დახმარებას გაუწევდა კრიტიკა, რომელიც მკითხველ საზოგადოებას გზას გაუკაფავდა და მისცემდა საშუალებას მრავალრიცხოვან მწერალთა სიიდან ამოეკრიფა რამდენიმე პირი და დანარჩენი წაეშალა. მაგრამ ჩვენში კრიტიკული მწერლობა მხოლოდ ახლა იდგამს ფეხს და ჯერ ამ დარგში თვალსაჩინო არაფერი გაკეთებულა. სწორედ ამით აიხსნება ის სამწუხარო მოვლენა, რომ მიუხედავად ჩვენი მხატვრული ლიტერატურის საკმაო სიმდიდრისა, ჩვენში არ არის განვითარებული ესთეტიკური გემოვნება და ხშირად „ვეფხისტყაოსნის“ მკითხველი არ გაურბის მდაბალ ღირსების მწერლობასაც. და რა გასაკვირია, რომ ჩვენში პოეტებს ასობით სთვლიდენ.

პოეტი ვინ არ არის დღეს პოეტი? ყველას, ვისაც შეუძლია სტრიქონებში ხმოვანი ასოები დასთვალოს და „ლევანს“ „მტევანი“ მოუნახოს — პოეტად მოაქვს თავი. და ვინ არის გამრჩევი? ჩვენი გაზეთები უმთავრესად სოციალურ-პოლიტიკურ საკითხთა სფეროში ტრიალებენ და პოეზიას დიდს ყურადღებას არ აქცევენ. პოლიტიკური გაზეთების საქმე არც არის პოეზიის ხელმძღვანელობა და ამას ისინი ვერც იყისრებენ. ჩვენში არ არსებობს სპეციალური სალიტერატურო-სამხატვრო ორგანოები, რომელთა გარშემო შექმნილ თავე მოეყარა ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობის მესვეურთ და გზა გაეკვლია სამშობლო ხელოვნებისათვის. და სანამ მდგომარეობა არ შეიცვლება, ჩვენში სიტყვა „პოეტი“ დარჩება საგინებელ სიტყვად, როგორც ეს დღეს არის.

ნამდვილ პოეტთა რიცხვი, მიუხედავად მოლექსეთა საშინელ გამრავლებისა, ძლიერ ცოტაა, თითქმის თითებზე ჩამოსათვლელი.

„მრავალ არიან წვეულ, ხოლო მცირედნი რჩეულ“...

და ამ რჩეულთა შორის პირველი ადგილი უნდა დაიჭიროს ჩვენმა ახალგაზრდა მგოსანმა გ. ტაბიძემ. მე არა ვარ კრიტიკოსი და არცა მაქვს აზრად ამ მგოსნის ნაწარმოებთა კრიტიკული განხილვა. მე მინდა მხოლოდ მკითხველებს გავუზიარო ჩემი პირადი შთაბეჭდილება, თუ როგორ წავეიკითხე მე გ. ტაბიძის ლექსთა კრებული.

რა არის პოეზია, როგორ უნდა გააჩიოს კაცმა კარგი და ცუდი ლექსი?

ამ კითხვაზე რუსის გამოჩენილ კრიტიკოსს ბელინსკის აქვს შე-

სანიშნავი პასუხი: „ნამდვილს პოეზიასა და უნიკოდ შეთხზულ ნაწარმოებთა შორის ისეთი განსხვავებაა, როგორც არსებობს ცოცხალ ადამიანსა და მკვდარს შორის“. და მართლაც, რა ანსხვავებს მკვდარს ცოცხალისაგან? ერთი შეხედვით, გარეგნულად, მკვდარი ადამიანის სახე ისეთივეა, როგორც ცოცხალის: ყველაფერი თავის რიგზეა, ცხვირი, თვალები, შუბლი, ტუჩები და სხვა. მაგრამ ერთი თვალის გადავლებაა საჭირო, რომ გიეცი კი მიხვდეს იმ საშინელ განსხვავებას, რომელიც ღრმა უფსკრულსა სთბრის ცოცხალსა და მკვდარს შორის. აი სწორედ ის, რაც ახასიათებს სიცოცხლეს და რისი გამოთქმაც შეუძლებელია, შეადგენს პოეზიის თვისებას. პოეზია ის არაჩვეულებრივი, უცნაური ცეცხლია, რომელიც მომჯადოებელ შუქად არის ანთებული ცოცხალ ადამიანის თვალებში. წყარო ამ შუქისა, ამ ციურის ცეცხლისა არის სული, რომლის საიდუმლოებასაც მგოსანი ფარდასა ჰხდის თავის შემოქმედებაში. ათასნარი სხივით ათამაშებული გრძნობათა ზღვა, როცა მას დაჰბერავს ქარი შთაგონებისა, გადმოსვრის სულის იდუმალ წიაღით რამდენიმე შუქმფენ ტალღას, რომლის შხეფები-ღა თუ მი-აღწევენ ხილულ ნაპირს, — სულის შინაგან ღელვას არა აქვს გამოსავალი და მის ცხადსაყოფლად საჭიროა სასწაულებრივი ძალა შემოქმედებისა, ლექსის გარეგანი ფორმა მხოლოდ საშუალებაა გრძნობათა სფეროში დატყვევებულ შუქის გადმოსაცემად. თუ ლექსში არ არის დაფარული სუნთქვა ცოცხალის არსებისა, თუ მისი სტრიქონები არ არის აკინძული უხილავ ცეცხლის სხივებით, რაც უნდა ლამაზი იყოს მისი ხილული გამოხატულება — იგი მკვდარია ლექსი ჰგავს სარკეს. როგორც სარკე უარყოფს თავის თავს და გამოსახავს იმას, რაც თითონ არ არის, არამედ მასში შეუქმნია სხივთა უცნაურ ძალას, ისე ლექსი, თავისი ხილულ სტრიქონებით ლაღდებს სადღაც, ამ სტრიქონთა შორის მიმალულს სულის საიდუმლოებაზე და უმთავრესი ლექსში სწორედ ეს მიმალული შუქია. თუ ეს ლექსს აღარ ახლავს — ის არ არის პოეტური ნაწარმოები, მაგრამ ამ შუქის დანახვა არ შეიძლება, ის უნდა იგრძნოს ადამიანმა, ამიტომ არის ძნელი და უნაყოფო კამათი იმაზე თუ რა არის მშვენიერება თუ ადამიანმა ვერ იგრძნო ცხოველყოფელი ძალა პოეზიისა, მშვენიერებისა, მისთვის მიუწვდომელია აღტაცება ესთეტიურის ტკობისა. როგორც სიყვარული, მშვენიერების გრძნობაც თავისუფლად და ძალდაუტანებლად იღვიძებს ადამიანის გულში.

გ. ტაბიძის შემოქმედება უხვად არის დაჯილდოებული ღვთიურის ცეცხლით. მისი სულის სევდა, მისი ნაღველი იმდენად წარმტაცი, იმდენად მრავალფეროვანია, რომ გავიწყდება ამ სევდაში ჩაქ-

სოფელი არარაობა სოფლისა და მშვენიერების გრძნობით აღტაცებული, მზადა ხარ მუხლმოდრეკით თაყვანი სცე პოეზიის აღმართვას და თავდავიწყებით შესძახო: „რა კარგია, რა მშვენიერია სიცოცხლე!“ მისი სევდა არ არის გამოწვეული რაიმე შემთხვევითი მიზეზით, ის უნივერსალურია, მსოფლიო სევდაა. ამატომ არის, რომ ეს სევდა არ აჩლუნგებს სიცოცხლის გრძნობას, პირიქით, უფრო აღრმავებს და აკეთილშობილებს მას.

პოეტის გრძნობა გამსჭვალულია შემოდგომის ნაზი სიმფონიით. „ყვითელი ფოთოლი“, ამ ემბლემა მისი ლირიკისა. შესანიშნავის ხელოვნებით აქვს მგოსანს გადმოცემული გრძნობა სიცოცხლის წარმავლობისა. იგი ისე მძლავრად გრძნობს „ყვითელ ფოთლის“ ნადველს, რომ იკარგება განსხვავება ბუნებასა და ადამიანს შორის და მომხიბვლელი კაეშანი ოქროდ მოსილის შემოდგომისა საკუთარ სევდის პანგად ქვითინებს მგოსნის გულში. რაოდენი გრძნობაა აღბეჭდილი შემოდგომის „ყვითელ ფოთლზე“? გაზაფხულის მატყვევებელი შრიალი, ზაფხულის სხივთა სიუხვე და სილადე სრულყოფისა, აღერსი სიცხისაგან მინაზებული სიოსი და აღტყინება ფრთაგაშლილ ქარისა... და ყველაფერი ეს გაპქრა, წავიდა... ცივი შემოდგომა აქრობს სიცოცხლეს და ძალა-მიღეული „ყვითელი ფოთლები“ წყნარად სცვივა ხიდან, სცვივა და მათს სევდიან ჩურჩულში მეტყველებს კაეშნიანი პანგი სოფლის ცვალებადობისა, სიცოცხლის წარმავლობისა... და მგოსანი დასტირის მათ:

წუხელი ღამით ქარი დაპქროდა,  
და როცა დილით გამომეღვიძა,  
ყვითელ ფოთლებს და დამსხვრეულ რტოებს  
მიმოეფარათ უამირი მიწი.  
ბაღში გავედი... იქაც ბილიჯზე  
დაცეწილიყო ფოთოლი რბილი,  
და დიდხანს, დიდხანს ვხეტიალობდი  
წარსულ სიზმრებში გადაფრენილი...

მგოსანი გრძნობს სულიერ ნათესაობას მქცნარ ფოთოლთან:

-- შემოდგომისა ველურ პანგში  
ქენება ფოთოლი;  
უმაწვილი გულიც უნუგეშო  
ფიქრებში დნება.  
მაგრამ სხვა ფოთოლს ააწვანებს  
კელავ გაზაფხული —  
და სიყმაწვილე კი არასდროს  
არ დაბრუნდება...

და გულის ტყვილით ჰკოდებს:

ოჰ, მეტყვე გული ყვითელ ფოთლებით  
კვალ — ბილიკები მიმოიფარა,

ფოტოები სცევი ჩემს გატაცებას  
და შემოდგომის მეფობს იარაღს...

და მგოსანი თავის გულისტკივილს შლის საუცხოვო ჰანგებში.  
ყოველი მისი სიტყვა სისხლის წვეთია, მაგრამ მის გრძნობაში იმ-  
დენი ცეცხლია, რომ მას ვერ აკმაყოფილებს სიტყვა:

— არ მინდა სიტყვა, არ მინდა სიტყვა!  
როდესაც სიტყვა დაიბადება,  
სიმათლის ალი, როგორც ბერძენი  
ესე ირღვევა და იფანტება...  
მე ზეპვენიურ სიყვარულით მწვავს  
გამოუთქმელი და მწარე ალი,  
სადაა სიტყვა, რომ ამოაშროს  
გულში ნაგრძნობი და ნაფიქრალი?..

და ზეშთაგონების ცეცხლით იწვის გრძნობა მგოსნისა. ამიტომ  
არის, რომ მის „შავ წიგნში“ აღარ არის რამ ისეთი,

რომ არ აჩნდეს მწარე გესლი,  
რომ არ აჩნდეს სისხლის წვეთი...

და სწორედ ეს „სისხლის წვეთია“ რომ ახდენს სასწაულს და  
მის ლექსებს მოსაგვს მშვენიერების შუქით. აბა, წაიკითხეთ ლექსი  
„კორღზე“, თუ გასურთ, რომ „მისმა სიმღერამ დაგწყვიტოთ გული“.   
წაიკითხეთ „უღაბნო“ და თქვენ იგრძნობთ, თუ რა არის „მარტოობა  
სულისა“, წაიკითხეთ შესანიშნავის ძლიერებით დაწერილი ლექსი  
„ორი ზარი“, სადაც სიცოცხლე და სიკვდილი ერთიმეორეს ეძახის  
და მოუწოდებს და თქვენ მოისმენთ არაჩვეულებრივ ზარის ხმას  
ქვესკნელიდან, — „კუბოს ფიცარზე ძვლების რაბუნსა“, რომელიც  
ეძახის მათ, ვინც აქ დარჩა, რომელთაც სწამთ „ყოფნის ზღაბარი“.   
და რამდენი ჩამოვთვალო! ლექსები: „მესაფლავე“, „გურიის მთე-  
ბი“, „მე და ღამე“, „მუსიკა“, „მთვარე მთის ხრიოკს ამოეფარა“,  
„რა მშვენიერი იყო ნამი“, „სარკმელთან“, „სარკესთან“, „დუმილი“,  
„გზაზე“ — ისეთის ხელოვნებით არის დაწერილი, რომ ჩვენი ახა-  
ლი პოეზიის მარგალიტებად უნდა ჩაითვალოს. არ შემიძლია არ მო-  
ვიყვანო რამდენიმე ლექსი მთლიანად.

#### მ თ გ ო ნ ე ბ ა

ტყის ფართო გზაზე მახსოვს ეტლი მიგვაქროლებდა.  
შენს სუნთქვას ვგრძნობდი ბედნიერი შენსა მახლობლად.  
მე გაიმბობდი ჩემს მრავალგვარ თავგადასავალს,  
სიყმაწვილზე გაიმბობდი შთენილი თბლად.

საღამო იყო... მზე დასავლით ესვენებოდა,  
ტყეს ედებოდა გამკვირვალე და ღერჯი ბინდი.  
ამ დროს ვიგრძენ რომ შენ სრულიად ყურს არ მივდებდი.—  
ეტლის სიღრმეში გადაეშენე და აქვითინდი.  
წამოვიწიე და მათრახი გადავყარ ცხენებს,  
ელვის სისწრაფით გზას გავერა ბექა-ბექად მტვერი.  
როგორ უგონოდ მივაფრენდი გზაზე ჩემს სევდას,  
როგორ უგონოდ ტრიალებდა გარს ყველაფერი.  
ტყე გზას გვიცილიდა და ბინდ-ბუნდში თვალს ვერ ვასწრებდით  
ხეების გუნდი იქ, ეტლს უკან, როგორ რჩებოდა,  
ისე მწყურბროდა ამ დროს ღტოლა განუსაზღვრელი,  
ისე მომნატრდა, რომ გზას ბოლოს არ მქონებოდა.  
და ერთად-ერთი ცის ღრუბელი ვრცელ ედებინოში  
მოხეტიალე, უთვისტომო, მიუსაფარი,  
თან მიგვეყვებოდა განუყრელად განუშორებლად,  
მსუბუქი, როგორც განვლილ მღვთა შორი სიზმარი.  
მეჩვენებოდა — თითქო ტყეში ვიღაც კენესოდა,  
და მე ეგ კენესა უსასოო გულში მწედებოდა,  
ტრემლი მდიოდა — რადგან ჩემი უკანასკნელი,  
ჩემი მწუხარე სიყვარული მაგონდებოდა...

ეს ლექსი კი არ არის, ეს მთელი პოემაა, ექვს ტაეპში მოთავსებული. იშვიათია ასე მოკლედი, ასე შემკულად ზღვა გრძნობის გადმოშლა. რა დიდი მანძილია ლექსის დასაწყისსა და ბოლოს შუა?

შენს სუნთქვას ვგრძნობდი, ბედნიერი შენსა მახლობლად...

აქ მხოლოდ ფრთებსა კმლის სიცოცხლის გაზაფხული, აქ სიყვარულის მეჯლისია.

ტრემლი მდიოდა, რადგან ჩემი უკანასკნელი,  
ჩემი მწუხარე სიყვარული მაგონდებოდა...

აქ კი დამსხვრეული სიყვარულისაგან მხოლოდ მწუხარე მოგონება-და დარჩა. და მთელი ეს გზა ბედშავის სიყვარულისა, სიცოცხლის დასრულებული რგოლის ყველა წერტილი, მთელი გამმა სათუთ გრძნობათა ამოწურულია ოც სტრიქონში.

აი, მეორე ლექსი, რომლის ყოველი სტრიქონი უსაზღვრო სევდის ცრემლით არის ამოქარგული.

### ს ა ს ა ფ ლ ა ო ზ ე

ნიაი დაქრის... სასაფლაოზე  
ღამე ეშეება წყნარად, ბინდდება.  
შემოვა ქალი, დაჯდება ქვაზე,  
და მწარედ, მწარედ აქვითინდება.



ქვითინი თვითონ კვბოს ჩასწედება,  
 კრემლები კიდევ — ყვავილთა ძირებს...  
 გამოიგლოვებს ბირველ სიყვარულს  
 და სიცოცხლესაც გამოიტარებს.

ენ მისცემს წუგუნს ობლადა შეენილს?  
 თვითონაც იცის — რისთვისაც კვდება:  
 არ განახლდება წარსული ეამი,  
 ბედნიერება არ დაბრუნდება!

აქ შესანიშნავია არა გარეგანი ფორმა ლექსისა, არა მისი ხილუ-  
 ლი სახე, არამედ ის ციური შუქი, რომელიც ამოჰყვია გრძნობათა  
 აფერადებულ ტალღას და ააკაშკაშა ყოველი სიტყვა ლექსისა.

საზოგადოდ გ. ტაბიძის ლექსთა წყობა სადაა და უბრალო, რაც  
 უფრო მეტის სინათლით ჰმოსაგვს ვულწრფელ გრძნობათა სათუთ  
 სიმებს:

მე ცის ვარსკვლავს არ შეენატრა,  
 განთიადის შუქით ძღუელს,  
 მოსწყენია საწყალს ცაზე,  
 უიმედოს, ფერმიღიულს.  
 არ შეენატრი ყომრალ ღრუბელს,  
 ცას რომ ფარავს ფრთა-ტივტივა,  
 ატყვიდება ხოლმე გული  
 და ცრემლები სცივია, სცივია...

მშვენიერია გ. ტაბიძის პოეზია, ვით ფრთამოქარგული პეპელა და  
 ნაზი, როგორც ძილში მონასმენი სტვენა ბულბულისა; იგი ისე მო-  
 ველინა ჩვენს მწერლობას, „როგორც სიმღერა მოულოდნელი“.

— ხანდახან მშფოთარ ქალაქის ხმაში.  
 ვრგვინვა-ჭუხილში, კენესა-წუხილში.  
 ფრთხილად მოისმის ბულბულის სტვენა,  
 ნაზად, ნარნარად. ესე ვით ძილში.  
 ხანდახან მტერიან ქალაქის ჭუჩებს,  
 როცა ქვითინებს და კენესის ყველა,  
 როგორც ჩვენება გასაკვირველი,  
 ფრთხილად აყვება თეთრი პეპელა...  
 ასე, წუგუნო, ჩემს მშფოთარ ყოფნას  
 შენ მიუვლინე სხივი პირველი,  
 როგორც სიმღერა მოულოდნელი,  
 როგორც პეპელა გასაკვირველი...

ვუსურვებ მგოსანს არ ჩამქრალიყოს მასში ის ღვთიური ცეცხლი,  
 რომლითაც ასე წარმტაცად არის დაფერილი მისი აცრემლებული  
 სტრიქონები.

## უკანასკნელი მგზავრობა

(სიმონ ხუნდაძის გარდაცვალების წლისთავისათვის)

ცდების და ცდების, სიკვდილსა  
ვინ არ მოელის წამისად,  
შ. რუსთაველი

რაც უნდა სტოიკური სიმტკიცით იყოს შექმურვილი ადამიანი სიკვდილის აუცილებლობის მიმართ, მაინც ყოველთვის თავზარდამცემია ჯანდონით სავსე, მეგობრისა და ახლობლის მოულოდნელი სიკვდილი. არასოდეს არ დამავიწყდება ის ამაზრზენი შემოთება, რაც განვიცადე იმ წუთს, როცა შემატყობინეს სიმონ ხუნდაძის უცვარი გარდაცვალება. მით უფრო შემზარავი იყო ეს ამბავი ჩემთვის, რომ ორი დღის წინ ერთად ჩამოვედით თბილისში ქვიშხეთიდან და რამდენიმე დღეში ერთადვე ვაპირებდით უკან დაბრუნებას და სწორედ იმ დღეს უნდა შევხვედროდი მას, რომ შევეთანხმებულყავით, თუ რა დღისთვის აგველო ბილეთები.

მე მინდა მოვიგონო ზოგი რამ ამ მოკლე მგზავრობიდან, ვინაიდან ეს მგზავრობა უკანასკნელი შეიქნა ჩემი უდროოდ დაღუპულ თანამგზავრისათვის.

მე ქვიშხეთში დასვენების დღეებში ჩავდიოდი, რადგან იმჟამად თბილისში სამუშაო მქონდა. ერთ-ერთი ჩემი ჩასვლის დღე იყო 17 აგვისტო. სიმონი თავის ოჯახით იქ იყო. მეორე დღეს, დილით, ჩვეულებისამებრ, ჩვენი დასასვენებელი სახლის ეზოში ფიქვების ჩრდილში შევიყარენით. ვიდრე ოთახიდან გამოვიდოდი, მე უკვე მესმოდა ეზოდან ალერხიანი წყრომა სიმონისა, მის ორ პატარა გოგონასადმი მიმართული: „უუუუნა! ნანა!“ იშვიათად მინახავს ბავშვების ისე მოყვარული მამა, როგორც სიმონი იყო. არა მარტო საკუთარი ბავშვების სიყვარულით იყო ანთებული, გულგრილად ვერ გაუვლიდა უცნობ ბავშვებსაც და სადაც უნდა შეხვედროდა მათ, უთუოდ მოახერხებდა მათთან დალაპარაკებას. ბავშვებსაც ძალიან უყვარდათ იგი.

რომ დამინახა ეზოში გამოსული, შორიდან სალამი მომამახა და

შემომანათა ღიმილშეფენილი სახე. ყველა მის მეგობარსა და ნაც-  
ნობს ახსოვს, ალბათ, სიმონის ნათელი სალამი; სიხარულით გაბრ-  
წყინებული თვალები და მთელ სახეზე დაუფარავი ზეიმით გაშლი-  
ლი ღიმილი. თითქოს ეს არის დიდი ხნის უნახავ მეგობარს მოუ-  
ლოდნელად შეხვდაო. და ეს იყო არა მოჩვენებითი თავაზიანობის  
ეესტი, არამედ გულწრფელი სიხარული, ბავშვური მიაშიტობით გა-  
მოსახული, რადგან მას ყოველთვის ადამიანურად უხაროდა სხვათა  
სულიერ სფეროში ჩაჭვრეტა, ისევე, როგორც თვითონ მუდამ საა-  
მოდ მიაჩნდა საკუთარი აზრებისა და გრძნობების სხვისთვის გაზიარ-  
ება: ვისაუბრეთ დიდხანს, უმთავრესად, რა თქმა უნდა, ლიტერა-  
ტურის საკითხებზე. უყვარდა თავის კვლევა-ძიების შესახებ საუბარ-  
ი, თუ რა აღმოაჩინა, რა საინტერესო დეტალები გამოარკვია ზო-  
გიერთ ლიტერატურულ მოვლენისა. ხშირად ისე აღფრთოვანებული  
შემხვედრია მუშაობის მოულოდნელი შედეგებით, რომ საკვირვლად  
აუღელვებდნენ მის ჰაბტყურ გატაცებას. აწყობდა მომავალი მუშა-  
ობის გეგმებს, უამრავი მასალა ჰქონდა შესწავლილი და ისე ზუს-  
ტად ჰქონდა მოხაზული და დალაგებული ეს მასალა, რომ თითქმის  
თვალებითა სჭვრეტდა დამზადებულ წიგნებს. მხოლოდ სწუხდა ხში-  
რად, რომ მთელ მის დროს ვერ აძლევდა ამ მუშაობას, მისთვის გა-  
ნუზომელად საყვარელს, რადგან სხვა სამუშაოცა ჰქონდა დაკისრე-  
ბული.

მე ქვიშხეთიდან იმ დღეს უნდა დავბრუნებულყავი თბილისში,  
როცა ეს სიმონმა გაიგო, მთხოვა დამეცადა დილაშდის და ერთად  
წამოვსულიყავით. სულ ერთია, ხვალ ადრე ჩავალთ და ზედმეტი არ  
იქნება ერთი ღამეც ამ სუფთა ჰაერზე გაატარო.

ღილით წასვლას მეც ვიყავი ჩვეული, მაგრამ შარშან ერთმა პა-  
ტარა ინცინდენტმა გადამაჩვია—მეთქი—უუპასუხე მის თხოვნაზე. მა-  
შინვე მოვუყევი, თუ რა შემემთხვა, და ნაამბობმაც ბევრი აცინა.

შარშან ზაფხულსაც თითო-ოროლა დღეობით ჩავდიოდი ქვიშ-  
ხეთში და ყოველთვის ვბრუნდებოდი სადგურ ღიზიდან დილის ჩქა-  
რი მატარებლით. მაგრამ, რომ ამ მატარებლისთვის მომესწრო, შინი-  
დან გაუთენარზე უნდა წამოვსულიყავი. ღიზთან ახლოს, დელეს-  
თან, ერთ ეზოში დაბმული იყო უზარმაზარი, ხარის ოდენა ჯოვის  
ძაღლი, რომელსაც პატრონი ღამე უშვებდა და ერთხელ ვავლისას  
ღრენითა და ყეფით ძალიან შემაშინა. მეორეჯერ უარს ვამბობდი ამ  
გზით ღამე ვავლაზე, მაგრამ ერთი ხერხი მასწავლეს: რომ წამოვა  
ყეფით აღრენილი ძაღლი შენსკენ, შენ იმ წამსვე უნდა ჩაჯდეო. ძაღ-  
ლი ჩამჯდარს რომ დაგინახავს, ერთ ორს დაიყეფს და დამშვიდბუ-  
ლი უკან დაბრუნდება, შენ კი, შენს გზას გაუდგებიო. მეც დაუუჯე-

რე ამ ხერხს და ჩემი პატარა ჩემოდნით გაეუღეკი გზას საესტეტიკო დაიმედებულა. როცა საშიშ ადგილს მიუუახლოვდი, კი მინდოდა დამპირებოდა ამ ხერხის გამოცდა, მაგრამ, საუბედუროდ, ძალღი თითქოს მე მიცდიდაო, შუა გზაზე შემომხვდა. დამინახა თუ არა, შემომყეფა ისეთი სიმძლავრით, რომ გასაკვირი იყო ძალღისაგან ამხელა ხმა. ყეფით ჩემსკენ წამოვიდა აძუნძულებული. მეც იმ წამსვე დავდე მიწაზე ჩემოდანი და ჩამოვჯექ. ძალღი გააფთრებით მომეარდა, ხერხმა მართლა გასქრა და ძალღი შესდგა. მაგრამ ყეფა არ შეუწყვეტია და ისე ახლოს იდგა ჩემთან, რომ სახეში მისი ნაყეფი ნამიანი ორთქლი მცემდა დარომ არ დავენერწყე, პირზე ქუდი ავიფარე. კარგა ხანს ვიყავით ასე: მე ჩემოდანზე ვიჯექ, სახეზე ქუდაფარებული, ის კი თავზე მადგა გაანჩხლებული და შეუსვენებლიე მიყეფდა. საცაა, მატარებელს უნდა ჩაეელო და ასე ჯდომა ჩემთვის უვარგისი იყო. ვიკადრე დაძახება: — ძალღის პატრონო, გამოდი კარში-მეთქი! იმ წამსვე გამოვარდა ეზოდან პერანგსამარა გლეხი და შეუძახა ძალღს. რომ დამინახა ასეთ მდგომარეობაში, ბოღიშით მომმართა: ნახევარი საათი არ იქნება, რაც ავუშვი ეგ რჯულძალღით.

— რად გინდა, შე ოჯახაშენებულო, ეგ ვეშაბივით ძალღი, — მივახალე გულმოსულმა ძალღის პატრონს. — რა გაქვს იმდენი, რომ დარაჯად მგელი დაგიყენებია?

— ამის ჯილაგიც გაწყდეს, ამაწიოკა ამ ოხერმა, — განაგრძობდა გლეხი ბოღიშს და ძალღს თავზე ხელს უსვამდა — რა მაქვს, შენი ჭირიმე, სადარაჯო, ქურდს ჩემს ოჯახში რა უნდა, რას ნახავს წასაღებს?! სხვისია, შენი ჭირიმე, მობარებულია!

მე სალაპარაკოდ სად მეცალა, ამდენი ხნის იძულებით დასვენებულმა სირბილით მივაშურე აღმართს ლიხისაკენ, მაგრამ არ გადამიდგამს ორიოდ ნაბიჯი, რომ ჩქარმა მატარებელმა ჩაიგრილა... საათნახევარი ვუცადე მერე ლიხში მეორე მატარებელს...

— ძალიან არ დაუფეთებინარ იმ ქოფაკს! — სიცილით მითხრა სიმონმა. — ხვალ ნურაფრის შიში გექნება, რევოლვერი თანა მაქვს.

— რას ამბობ, — შევუტეე მე, — მაგისთანა ძალღი რომ მოკლა, მერე არ გინდა აქედან გასვლა? ალბათ ერთ ცხენად უღირს მის პატრონს.

შევთანხმდით ღიღის მატარებელზე.

მეორე ღიღით ადრე გამალვიძეს, გათენებას რომ საათი აკლდა. სიმონი სწორედ ჩემი ოთახის ზემოთ ცხოვრობდა და, დათქმისამებრ, ჭერზე ჯოხი დავაკაკუნე ფრთხილად, რომ ბავშვებსაც არ გაპლვიძებოდათ. იმავე წუთს მომესმა ჭერზემოდან პატარა რბილი

ფეხების ჩქარი ნაბიჯები. — ბავშვმაც გაიღვიძა, — გავიფიქრე და საჩქაროდ ჩავიცივი და მოვეშხადე. მაგრამ სიმონი ჩამოსვლას აგვიანებდა. ეზოში გავედი და აივანზე აეძახე. რამდენიმე წამის შემდეგ ოთახის კარი გაიღო, სიმონი აივანზე გამოვიდა და გადმომძახა დაწეული ხმით: — ახლავე ჩამოვალ!

ნელი ნაბიჯით შემოვეუარე სახლს და გავემართე კიბისაკენ, სიმონის შესახვედრად. ჯერ კიდევ ღამე იყო, ზაფხულის საამური სიგრილითა და მყუდროებით მოცული. ეზოში წყაროს შეუნელებელი ჩხრიალი არღვევდა მხოლოდ ღამის მშვიდობიან ძილს. აქაც კარგა ხანს ვუცადე. ბოლოს ზემო სართულიდან ჩამოსასვლელ კიბესთან მომესმა სიმონისა და მისი ცოლის თამარის ხმადაწეული საუბარი.

— სიმონ, ნუ იგვიანებ! — გავეხმაურე უკვე წამოსულს.

— მოვდივარ!

თამარი შორიდან მომესალმა და მშვიდობის მგზავრობა გვისურვა.

ბნელოდა, მაგრამ თვალები თანდათან შეეჩვია ვარსკვლავების სინათლეს. სიმონს ერთ ხელში ჩემოდანი ეჭირა და მეორეში რაღაც თეთრი გახვეული.

— შენ რა გაქვს ხელში? — მკითხა, როცა ეზოდან ქუჩაში გავედი.

— ჩემი პორტფელი მომაქვს და ჯოხი.

— აბა, ესეც შენ წამოიღე, — და გამიწოდა თეთრში გამოკრული რომ მოჭკონდა. — ხაჭაპურებია, გზაში გამოგვადგება!

— უსათუოდ გამოგვადგება, — ვუპასუხე და ჩამოვართვი.

— რატომ დაგაგვიანდა? კარგა ხანს მალოდინე ეზოში. ალბათ ბავშვებმა არ გამოგიშვეს.

— როდის დავიგვიანე? ათი წუთიც არ იქნება, რაც დამიძახე. ბავშვებს სძინავთ, თორემ ადვილად თავს ვერ დავაღწევდი.

— უფრო ადრე რომ დაგიკაკუნე? — ვკითხე მე.

— კაკუნი მე არ გამიგია.

— როგორ არა, მე მესმოდა ბავშვის ფეხის ხმა.

— ის ნანა იყო, — თქვა სიმონმა ალერსიანი კილოთი, — გაეღვიძა და ჩემთან მოირბინა, მაგრამ მაშინვე ჩაეძინა. განა შენ დააკაკუნე? ჩვენ ეს არ გაგვიგია!

ამ ლაპარაკში რომ ვიყავით, შევნიშნე, რომ სიმონის ჩემოდანი მძიმედ ჭრატუნებდა და ისიც ხშირად ხელს ინაცვლებდა და ბოლოს მხარზეც შემოიღო.

— რა მოგაქვს, კაცო, მაგ ჩემოდნით? მძიმე ჩანს!

— ჩემი წიგნები მომაქვს, — მიპასუხა. — მეტს აღარ დავბრუნ-

დები აქ. უნივერსიტეტში მუშაობა იწყება და ჩემი "ვეებულეზა" გათავდა.

— დადევნე შენ ერთი მაგ ჩემოდანი ძირს და მე ფიზიკის ერთი კანონის დემონსტრაციას გავაკეთებ ახლავე და თან დავამტკიცებ კოლექტიური შრომის უპირატესობას.

სიმონი მიხვდა რასაც ვაპირებდი.

— შენ გგონია, მიმძიმს? არა, ძალიან ადვილად მიმაქვს. — მე მაინც არ მოვეშვი და დავიყაბულე. ჩემოდნის სახელურს ჩემი შინდის ჯოხი გავუყარე და ორთავემ მსუბუქად ავწიეთ ტვირთი.

— სად არის შენი შემწინებელი ძალი? — მკითხა სიმონმა, როცა დაბლა ჩამოვედით და გავივაკეთ.

— აი ამ შარაგზის ბოლოს, ღელესთან. მაგრამ როცა ორნი ვართ, არ მეშინია. ძალს ორი კაცისა ყოველთვის მეტი შიში აქვს. — შევნიშნე მე.

გავიარეთ ის ადგილიც და ძაღლის ჩამი-ჩუმი არ ისმოდა.

— აკი გითხარ, ყეფასაც ვერა ბედავს, რადგან ორის საუბარია ესმის.

— შენ გინდა ახლა სამაგიერო გადაუხადო და მშინაარად გამოიყვანო ძაღლი! — მითხრა ხუმრობით სიმონმა. — ალბათ არ არის აქ, თორემ ვაჟკაცობის გამოჩენას არ მოერიდებოდა.

როცა ლიხის აღმართს შევეუდექით, დაგვცხა.

— მოდი, აქ შევისვენოთ ცოტა, — მივმართე მე.

— კი, მაგრამ რომ დაგვაგვიანდეს? აი, იმ ბექობზე ავიდეთ და იქ შევისვენოთ, — მითხრა მან. იქ მატარებლის შემოსვლას რომ გავიგონებთ, მერეც მოვასწრებთ არბენას.

მეც დავთანხმდი, ავედით ბექობზე, ჩემოდანი დავდევეთ და ზედ დავსხედით.

სიმონმა ხელსახოცით შეოფლიანებული შუბლი შეიმშრალა და ცას აპხედა.

— უჰ, ეს რა ამბავია, საშა შეხედე ცას, — გაკვირვებით მომმართა თავამართულმა. — ამდენი ვარსკვლავი ერთად ჩემს ღღეში არ მინახავს?!

მეც თვალი მოვაღვლე ცას. მართლაც გასაოცარი სანახავი იყო. ცის უზარმაზარი გუმბათი დაუტევენელად სავსე იყო გაკრიალებულ-დარეცხილ ვარსკვლავებით. ალბათ, აგვისტოს უნისლო და უმტვერო ჰაერში, მთელი ღამის მყუდროებით დაწმენდილი, იმდენად გამჭვირვალე იყო ალიონის მოახლოების ქამს, რომ უბრალო თვალე-ბი ტელესკოპივით სწვდებოდა ცის იდუმალ სიღრმეს. ვარსკვლავე-ბი ჩვეულებრივად კი არ ჩანდნენ ერთ სიბრტყეზე, არამედ გასა-

კვირვლად მკაფიოდ ისახებოდა ცის შორეული სიღრმის თვალისმომ-  
კრელი პერსპექტივა. პირველი სიდიდის ვარსკვლავები, რომლებიც  
ამჟამად გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი იყო, ვიდრე საღამოს  
ცაზება ხოლმე, ისე ახლოს ჩანდნენ, თითქოს მთის მწვერვალებს ეხე-  
ბოდნენ, ხოლო მომცრო ვარსკვლავები უფრო ღრმად იყვნენ გაბ-  
ნეულნი, იმათ იქით-კი, ცის უფსკრულებში, თოვლის კორიანტელი-  
ვით ირეოდა ნათელ წერტილების მთელი ზღვა, რაც თანდათან ცის  
დაუსრულებელ სივრცეში თეთრ ნისლად გუბდებოდა.

— ჩემს დღეში ამდენი ვარსკვლავები არ მინახავს, — იმეო-  
რებდა განცვიფრებული სიმონი და ცას ზომავედა თვალებით. —  
ყოველი ეს დიდი თუ პატარა წერტილი ხომ ისეთივე მზეა, როგორც  
ჩვენი დღის მნათობი?

— მათ შორის ბევრია ისეთიც, — დავუდასტურე მე, — რომ  
ჩვენი მზე წვეთადაც არ ეყოფა. ჩვენი მზის სიდიდე ხომ თითქმის  
მიუწუდომელია ჩვენთვის! მის ცენტრში რომ მათავსო დედამიწა,  
მთვარე იტრიალებს მიწის გარშემო მზის სფეროს შიგნით და მის ზე-  
დაპირამდე კიდევ დარჩება რამდენიმე ათასი კილომეტრი. პო და  
არის იმ ზომის ვარსკვლავი, როგორც წამიკითხავს, რომ ჩვენი მზე  
მასთან სახსენებელიც არ არის: რომ წარმოვიდგინოთ მთელი ჩვენი  
მზე ერთ ვეება წვეთად და ასეთი წვეთი ყოველ წუთს ეცემოდეს  
ერთიმეორეს, საჭირო იქნება რამდენიმე ათასი საუკუნე, რომ ერთი  
დიდი ვარსკვლავის მოცულობა მივიღოთ.

— ამის წარმოდგენა ძნელია, — თქვა სიმონმა, — მაგრამ ეს  
საკმაო მჭევრმეტყველებით ამტკიცებს მსოფლიოს განუსაზღვრელ  
სიდიდეს. ამდენ მზეს ხომ ყველას თავისი საკუთარი პლანეტების  
სისტემა აქვს. რამდენი სხვადასხვა ასაკისა და აღნაგობის პლანეტა  
იტრიალებს ახლა ამ ურიცხვ ვარსკვლავებში. უეჭველია, სადმე, შე-  
იძლება ბევრგანაც არის ჩვენსავით გონიერი არსება, ვინ იცის, იქ-  
ნება ახლა, აი ამ წუთს, ცის აი იმ კუთხეში, რომელიმე პლანეტაზე,  
პატარა ბეჭობზე სხედან ორნი, ჩვენსავით აკვირდებიან ვარსკვლავე-  
ბით მოფენილ ცას და სწორედ ჩვენს მზეს შესცქერიან და ოცნე-  
ბობენ.

— იქნება ისინიც წიგნებით გატენილ ჩემოდანზე სხედან, — გა-  
ვეხუმრე მე.

ამ დროს სადგურ ღიზზე ორთქლმავალმა მოულოდნელად დაი-  
ღრილა და გვირაბისაკენ რახრახით დაიძრა ნავთის მატარე-  
ბელი.

— ხედავ, საით მიდის მატარებელი? — წამოიძახა სიმონმა.

— ვხედავ და ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლია ვიოცნებოთ

და დავტყუებთ ამ ღამის მშვენიერებით კიდევ ორმოცი წუთი, ეიდო  
წიფიდან ჩვენი მატარებელი მოვიდოდეს.

— გამოდის, რომ ამელამ შენ უნდა დაასრულო შენი „ქალი სარ-  
კეში“ და მე უნდა გიშველო ამ საქმეში. — დასძინა სიმონმა.

— მე ხომ გშველი ჩემოდანის ზიდვაში? — ვუპასუხე მე.

სიმონმა ჩემოდნის ძგიდეს ხელი შეაქლო.

— მართლაც ჩვენი საუბრის შესაფერისია ეს ტვირთი. ამ ჩე-  
მოდანში, რომელზედაც ჩვენი რამდენი მაღალი აზრი და ღრმა გან-  
ცდებია წიგნებში კონსერვირებული, ისე მაღალი და ღრმა, როგორც  
ჩვენს ზემოთ გაშლილი ვარსკვლავებით აყვავებული ცა. მაგრამ ეს  
ცა მაინც ყველაზე ღრმააზროვანი წიგნია, ვარსკვლავების ასობით  
დაშიფრული, რომლის ნაწილობრივი ამოკითხვაც განუსაზღვრელად  
გამძლიძრებს ადამიანის გონებას... მაგრამ, სამწუხაროდ, კაცობრი-  
ობას ჯერ ამ წიგნის ანბანიც არა აქვს შესწავლილი. ამისათვის მას  
არა სცალია. დღევანდლამდე კაცობრიობის ისტორია იყო მიწაზე  
ჯაჭვით დაკრული მონების ისტორია. კაცობრიობა ჯერ კიდევ  
ოთხფეხზეა დამდგარი და მას ცისკენ ჯერ თვალები არ აუშართავს.  
თითო-ოროლა მეცნიერი სათვალავში ჩასაგდები არ არის. მხოლოდ  
ჩვენს ქვეყანაში დადგა ხალხი ორ ფეხზე და თვალები ცას გაუსწო-  
რა. შენ, შენს რომანში უსათუოდ უნდა აღნიშნო, ჩემის აზრით, ეს  
მხარე. ადამიანმა თანამედროობის უღელი უნდა მოიშოროს კისრი-  
დან, რომ შესძლოს თავისუფლად შეხედოს და შესცინოს ვარსკვლავ-  
ებს. მანამდე კი ზეცა, თავის ვარსკვლავებით, შესანიშნავი წიგ-  
ნია, წერა-კითხვის უცოდინარ ადამიანის წინ გადაშლილი...

სიმონი წამოდგა და ღრმად ამოისუნთქა. უკვე ალიონის თეთრი  
ფრთა სცემდა ცის კიდეს და ზევით ერეკებოდა ვარსკვლავ-  
ებს.

— მე პირდაპირ ყრუანტელი მივლის ტანში, — განავრძობდა  
სიმონი, — როცა წარმოვიდგენ, რა პერსპექტივები გაიშლება  
თავისუფალი კაცობრიობის წინაშე, რამდენი გონების წარმტაცი  
პრობლემა და რამდენი „საიდუმლოებით“ მოცული უფესკრული გა-  
ნათლება ძღვევამოსილი ინტელექტის შუქით. ეს იმდენად ღიდი და  
ბრწყინვალე მომავალია, რომ ამისათვის ღირს თავდადება. მთელი  
ის ენერგია, რაც დღევანდელი კაცობრიობის შინაგან ძალთა ჭი-  
დილს ხმარდება, ათასჯერ გადიდებულის ძალით, კლასთა ბრძო-  
ლის ბოღმის და შხამისაგან გაწმენდილი, კაცობრიობის ამაღლების  
ახალ გზაზე რომ გაეჭანება, შენ შეგიძლია თუ არა წარმოიდგინო,  
რა განსაკვიფრებელ სიმაღლეზე ააგდებს ადამიანთა მოდგმას? მაგ-  
რამ ამ გზაზე დღეს, ჩვენი ზღაპრებიდან რომ ვიხმარო შედარება.

გაწოლილია საზიზღარი ვეშაპი, კაპიტალისტური ვეშაპი, რომელიც  
ნთქაგს, ვინც ამ მიმართულებით სვლას გაბედავს...

სიმონი ლაპარაკობდა დაბალი ხმით, თითქმის ჩურჩულით, მაგ-  
რამ გატაცებით და შთაგონებულად. მე ჩემოდანზე ვიჯექ, ყურს  
ვუგდებდი და ვიციქირებოდი ხაშურისაკენ, სადაც ელექტრონის  
უხვი შუქი ეკვიბრებოდა განთიადის თეთრ ზოლს.

— ერთი რამ არის კიდევ აღსანიშნავი, — თქვა მან და ისევ  
ჩამოჯდა ჩემს გვერდით ჩემოდანზე. — ადამიანის სიცოცხლის ხან-  
გრძლივობის შეუსაბამობა მის წინაშე დასმულ ამოცანებისათვის  
საჭირო დროსთან. ცნობილია, რომ ყოველი ჯურის ცხოველი და  
მცენარე ცოცხლობს იმდენს, რამდენიც საჭიროა მისი ჯიშის მომ-  
რავლებისათვის. ამ მხრივ ბუნებაში არსებობს სრული წონასწორო-  
ბა. ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობაც ბუნებითვეა განსა-  
ზღვრული. საშუალოდ 60—100 წელიწადი სრულიად საკმარისია  
პირველყოფილ ადამიანისათვის. 15 — 16 წლისა ის უკვე სავესებით  
შეიარაღებულია არსებობისათვის საბრძოლველად და მთელი მისი  
დანარჩენი სიცოცხლე ინტერესთა ერთსა და იმავე პრიმიტიულ  
წრეში ტრიალებს. სულ სხვაა ჩვენი საუკუნის ადამიანი, მით უმე-  
ტეს, მომავალი ადამიანი. მის წინაშე იმდენი ამოცანაა დასმული,  
მისი ინტელექტი იმდენად რთულ და ღრმა საკითხებს არკვევს, რომ  
მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა სრულიად არ შეეფერება მისთვის  
დაკისრებულ სამუშაოს. რა თქმა უნდა, მომავალში ადამიანს დაუბ-  
რუნდება სიცოცხლის ბუნებრივი ხანგრძლივობა, რასაც ჩვენ დღეს  
მოკლებულნი ვართ, მაგრამ ეს საკმარის არ იქნება. მომავალი თავი-  
სუფალი კაცობრიობა იბრძოლებს და გამონახავს კიდევ საშუალე-  
ბას ადამიანის...

— უკვდავებისათვის, — შევაწყვეტინე მე!


— არა, პირადი უკვდავება მისტიკაა.

— ხუთას წელზე ნაკლებ მაინც არ იკმარებს.

— არა, მე არ ვაპირებ წელთა რაოდენობის განსაზღვრას, მაგ-  
რამ ვფიქრობ, რომ უნდა დამყარდეს საჭირო მინიმუმი და აღდგეს  
დარღვეული წონასწორობა. ადამიანის გული უნდა გაძღეს სიცოც-  
ხლით...

— გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი! — გავაწყვე-  
ტინე ისევ სიტყვა.

— არის ადამიანში უსათუოდ ძალთა სრული დახარჯვისა და  
შესრულებული მოვალეობის გრძნობა. როცა ასეთი გრძნობა ეწვე-  
ვა ადამიანს, იგი მზად არის დასვენებისათვის...



ვიჯექით წიგნებით სავსე ჩემოდანზე, ლიხის აღმართის ერთ გე-  
ქობზე, ორი ქართველი მწერალი, გარს გვერტყა აგვისტოს ღამის  
გრილი მყუდროება და თავს დაგვნათოდა ალიონით შეფერილი ვარს-  
კვლავებიანი ცა. ხაშურის თავზე ციმციმებდა შეუღარებლად  
ბრწყინვალე დილის ვარსკვლავი. ნელ-ნელა ამოვიდა წვრილი ვერც-  
ხლის ძაფივით გაღეული ნამგალა მთვარე. ერთიღა მზე აკლდა ცის  
მნათობთა სრულ პარადს და იგიც მალე უნდა ამოსულიყო. ცის-  
ქვეშ, აღმოსავლეთის ნაპირზე, ენთებოდა გედის ფრთასავით თეთრი  
ღრუბელი, ცა ემზადებოდა მზის შესახვედრად... ტაშისკარის ხე-  
ბიდან ნიაგმა დაჰბერა და ქვიშხეთში მამლებმა იყიველეს. ამ დროს  
მოულოდნელად ლიხის სადგურიდან მოგვესმა ზარის ხმა: მატარე-  
ბელი გამოვიდა წიფიდან.

ჩვენც ავდექით და ნელნელა წამოვედით სადგურისაკენ. თითქოს  
გული გვწყდებოდა, რომ ამ მშვენიერ სანახაობას ვტოვებდით. მა-  
ლე ვარსკვლავებით დახურულ ოცნების კარავიდან გამოსულნი ბნელ  
სადგურის მხრჩოლავ ლამპით დაბოლილ დაბაზში შევედით. სი-  
მონმა უსაყვედურა სადგურის უფროსს, რომ ამ ელექტრონით გაჩი-  
რადღნებულ უბანში, სადაც მატარებლებსაც ელდენი ამოძრავებდა,  
სადგური ასე საცოდავად ბეუტავს ნაეთის სანათით გაქვარტლული.

სალაროში რბილი და პლაცკარტიანი ადგილი არ იყო. ვიყიდეთ  
ბილეთები საერთო ვაგონში და მატარებელიც მოგრიადლა.

როგორც იყო მოეთავსდით მგზავრებით გატენილ ვაგონში. სი-  
მონი მაშინვე დაუმეგობრდა ერთ პატარა 5 — 6 წლის ბიჭიკოს და  
გააბა მასთან საუბარი.

კარგა გათენებული იყო, როცა ხაშურს გავცდით. სიმონის გვერ-  
დით იჯდა ერთი ხნიერი მეგრელი ქალი, რომელსაც ახლდა სულ  
ახალგაზრდა ქალი, როგორც ჩანდა მისი ქალიშვილი.

როცა გორი გავიარეთ, კონდუქტორმა ჩვენს კუბეში ბარკი დაა-  
თვალიერა. მეგრულ ქალს აღმოაჩნდა ორი ფუთი სიმინდის ფქვილი  
ტომრით.


— ნებართვა გაქვთ? — ჰკითხა კონდუქტორმა.

— რას ამბობს? შვილო, უპასუხე, — მიმართა ქალმა თავის ქა-  
ლიშვილს.

გამოირკვა, რომ ნებართვა არ ჰქონდათ.

— კონტროლი ჩამოივლის და დაგაჯარიმებს, — დამეუქრა კონ-  
დუქტორი.

— რათა, შვილო? — სწუხდა შეშინებული ქალი. — აბაშაში  
მითხრეს ორი ფუთის ნება არისო.



— ნება არის, თუ ნებართვის ქალაღდი გეკნება, ისე კი 10 ლოს წამოიღებ, მეტს ვერა.

ქალმა შვილს მეგრულად ტუქსვა დაუწყო: ხომ გთხოვე გაგეგო ყველაფერი, ნებართვას ვინ დაგვიკავებდა, ხომ იციან, რომ შენ მოსწავლე ხარ და შენთვის მომაქვს ფქვილი.

სიმონი ჩაერია მათ დავაში.

— ამხანაგო, ხომ ზედავთ, რომ ეს ქალი სპეკულიანტი არ არის. აი მისი ქალიშვილი, სტუდენტი ქალია და ფქვილიც მისთვის მოაქვს — მიმართა მან კონდუქტორს.

— ეხედავ, განა ვერ ეხედავ, ამხანაგო, — უპასუხა კონდუქტორმა, — მაგრამ კანონია და რას იზამ? წამოეღო ნებართვა, ვინ დაუშლიდა? კონტროლმაც რომ ნება მისცეს, სულ ერთია სადგურიდან აღარ გაატანინებენ.

დედა-შვილი სასოწარკვეთილებამ შოიცივეს. აღარ იცოდენ რა ექნათ.

— ცარიელი ტომარი, ან პარკი რამე არა გაქვთ? — ჰკითხა სიმონმა ქალებს.

— არა გვაქვს, — უპასუხა ქალმა.

— ბალიშისპირი?

— ბალიშისპირი კი გვაქვს.

— მოიტათ ორი ბალიშისპირი და გამოათრიეთ აქეთ თქვენი ფქვილიანი ტომარა.

ქალმა მხოლოდ ერთი ბალიშისპირი მონახა ბოხჩაში.

— პერანგი არ მოგაქვთ? — ჰკითხა სიმონმა.

— კი, ბატონო — მიუგო ქალმა და ერთი ქალის პერანგიც მორცხვად ამოაძრო ბოხჩიდან.

— გაბხენით ტომარი და ჩაყარეთ ფქვილი ერთი მესამედი ბალიშისპირში, მეორე მესამედი გამოკრულ პერანგში. ტომარაში დარჩება იმდენივე. დაახლოებით გამოვა ათ-ათი კილო თითოში. ორს თქვენ წაიღებთ, ერთს ჩვენ წამოგიღებთ, სადგურიდან გაატანებთ და მერე შინ წაიღეთ. ფქვილიც თქვენ დაგრჩებათ და კანონიც შესრულდება.

ქალებს უზომოდ გაეხარდათ სიმონის ხერხი და საჩქაროდ შეუდგნენ საქმეს. სიმონი შველოდა დედაბერს ფქვილის განაწილებაში და ფქვილით ისვრიდა ხელებს და პლაშჩს.

— თქვენ ნუ დაისვრებით, ბატონო, — წუწუნებდა მოხუცი, — რაკი ასეთი ღვთისნიერი აღმოგვიჩნდით, ამას ჩვენ ვიზამთ! — და თან მეგრულად ეკითხებოდა თავის ქალიშვილს:



— ვინ არის, გოგო, ნეტავ, ეს ქრისტიანი ადამიანი, ღმერთს ჩვენდა მხსნელად შემოუყვანია ამ ვაგონში?!

თბილისში დედა-შვილი სამშვიდობოს გავიყვანეთ და ჩვენც ტრამვაიში ჩავსხედით...

მეორე დღეს სიმონს შევხვდი მწერალთა სასახლეში. ძალიან ფერმკრთალი იყო. მითხრა, რომ ახერხებს ორი-სამი დღით ქვიშხეთში წამოსვლას და მთხოვა ერთად წავსულიყავით. ზვალ თუ არა, ზეგ უსათუოდ მეცოდინება რა დღისათვის ავიღოთ ბილეთებიო. 20 აგვისტოს შუადღით უნივერსიტეტის წინ ტრამვაის ვაგონიდან დავინახე—გამიციანა და ხელეებით მანიშნა, გვეტაძისათვის ფული გავაგზავნე ბორჯომშიო. 22 აგვისტოს ვერსად შევხვდი, მეორე დღეს უნდა მენახა, რომ გამომერკვია, როდის მივდიოდით ქვიშხეთში.

მაგრამ, უღმობელ ბედისწერას მისთვის უკვე სხვა გზა აერჩია. ახლა ხშირად მაგონდება მისი სიტყვები:

„— არის ადამიანში უსათუოდ ძალთა სრული დახარჯვისა და შესრულებული მოვალეობის გრძნობა. როცა ასეთი გრძნობა ეწვევა ადამიანს, იგი მზად არის დასვენებისთვის“...

სიმონის შემოქმედებითი ძალა ზენიტს უახლოვდებოდა, როცა უაზრო სიკვდილმა შეწყვიტა მისი გულისცემა და საფლავში ჩამარხა დაუხარჯავი ძალების უდიდესი მარაგი.

## მართალი კალამი

ნიკო ლორთქიფანიძის ხსოვნას

ქართველ მწერალთა უფროს თაობას გამოაკლდა მხატვრული პროზის შესანიშნავი ოსტატი, შემოქმედების მაღალი კულტურით აღჭურვილი მწერალი ნიკო ლორთქიფანიძე.

რა ტკბილად მოუბარი ბაგე დადუმდა, რა მართალი კალამი გადატყდა, რა ნათელი სანთელი ჩაქრა!

როგორი სიცხადით და თვალისმომკრელი ფერადოვნებით შლის ჩვენს წინაშე იგი ჩვენი წარსულის დაუფიწყარ სურათებს, როგორ ახლო მივყავართ მას ადამიანთა სულის აფორიაქებულ ზღვასთან, როგორი დარბაისლური აუჩქარებლობით ფურცლავს იგი ვნებათა ქარიშხლით აბორგებულ გულისტქმას!

მის ყოველ სტრიქონში უდიდესი ფანტაზია მეტყველებს, მაგრამ მკითხველს ყოველთვის სჯერა მისი ნათქვამის ექვემოტანელი ამართლე, რადგან მისი შემოქმედებითი ფანტაზია არის ნაყოფი არა ცხოვრებისაგან გამდგარი გონების ვარჯიშობის, არამედ ის არის მისი უტყუარი დაკვირვების აყვავება, ცხოვრების სიღრმეში ჩაწედომის უნარის განსახიერება.

ნიკო ლორთქიფანიძე სწერდა მის მიერ შეთხზულ ისტორიულ სიტუაციებს, მაგრამ მკითხველს რჩება შთაბეჭდილება, რომ მწერალმა მას უამბო საკუთარი თავგადასავალი. საკუთრად მის მიერ განცდილი ცხოვრების ვითარება. ავტორი თითქო იგონებს მის მეხსიერებაში ნათლად შენახულ განცდებს, თითქო, ან თვითონ აქვს გავლელი ამ დრამების უფოთიანი სამყარო, ან გულისხმიერი და თანაზიარი მოწმე იყო იგი მისი გმირების იმ სულიერ ძვრათა, რომელიც დაგვიხატა მან უდიდესი ოსტატობით და მხატვრული სიმართლით.

აი, ეს დიდი მხატვარი დაგვშორდა დღეს სამუდამოდ.

რა ტკბილად მოუბარი ბაგე დადუმდა, რა მართალი კალამი გადატყდა, რა ნათელი სანთელი ჩაქრა!

მაგრამ, არა! სანთელი არ ჩამქრალა! ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედება ჩაუქრობელ სინათლედ რჩება ქართულ მწერლობას, საქართველოს.

დაუფიწყარი იქნება მისი ხსენება.

## შინაარსი

ლექსები — 1989 — 1994

აპრილი	7
მზიანი დღე	9
ერთი მერცხალ	10
მაისის დროშა	11
✓ ივანე ჯავახიშვილს	12
ჩვენი ქვეუნიის შნო და ფერი	14
მთვარიანი ღამე	15
ქვის ირემი	17
მთვარე გორის ციხეში	18
დოსტაქარი	32
აქაკისადმი	34
ახალი სოფლის ასული	36
სიმღერა	38
საუბარი ადიდებულ მტკვართან	39
ფორთოხლის ბაღში	41
ღრუბელს მიჰქონდა	43
ახალ საქართველოს	44
ახალი მთვარე	45
აპრილი	47
იავნახა	49
გზა მშვიდობისა	51
ცამ დაქუხა გუშინ	53
ჩემს კალაშს	55
დედა და შვილი	56
დედის წერილი	57
სახალხო ლაშქარი	58
ვისაც მოუკლავს, ის მოჰკლავს	59
ოშში მიმავალ ქართველ მეომარს	60
კავკასიონის მწვერვალებიდან	62
არ მოუშვა, დაქარი	63
მთები დალესტანისა	64
სამშობლოს ვარსკვლავი	65
ქართველ მეომარის წერილი უკრაინელი ჯარისკაცისადმი	66
გამარჯვების წელი	68
სამშობლოს შევარდნები	70
უკრაინას	71
თბილისი ღამით	74
ერთი ხე იდგა მადლობზე	75
მაისი	81
ქართლის ცხოვრება	82
სამოცი წელი	89
ჩემი მადლობა	91
გრიშაშვილს	93
წიგნოსაცავში	95
აბრეშუქის ფაბრიკაში	96



9 მაისი	97
თბილისს	98
ნიკო ლორთქიფანიძე	99
ცხრა წუთო	101
ვაჟა-ფშაველას	102
ვაჟა-ფშაველას სტრიქონები	104
საიათნოვა	105
ჩემო თბილისო	106
ნიკოლოზ პარათაშვილს	108
სომხეთისადმი	109
ლექსის თარიღი	111
მომავლის პოეტებს	112
საქართველოს დიდო დროშავ	114
ჩემს უბანში	115
იროდიონ ევდოშვილის ხსოვნას	116
დედის კალთაში	118
ქუჩიშვილს	119
გიორგი ქუჩიშვილის პანაშვიდზე	121
გაზაფხული	123
ნინო ნაკაშიძეს	124
სიმღერა	126
ოვანეს თუმანიანის ხსოვნას	127
ახალგაზრდებო, სალამი თქვენდა	128
რითმები	130
ალექსანდრე ყაზბეგისადმი	131
მომავალ დღეთა სინათლეს ვხედავ	132
დილა თბილისში	133
პუშკინს	134
დედავ, ცრემლებს ნუ დაღვრი	137
გიორგი ლენინძეს	138
საგურამოში	139
იაკობ ნიკოლაძის ხსოვნას	141
რადენ გვეტაძეს	143
ვოკალის ხსოვნას	145
მირზა ფატალი ახუნდოვის ხსოვნას	147
თედო სახოკიას	149
გალაქტიონ ტაბიძეს	151
ფრთები	153
საოქტომბრო	155
ლევო ქიაჩელს	157
ხელთ ვაჟას წიგნი მიჰიჭრავს	160
ვაჟახელ თვალენს	161
სინანული	162

**მოთხრობები**

ქალი საბყეში	165
იტმის ყვავილი	341

**წერილები**

ნოე ჩხიკვაძე	361
გ. ტაბიძის პოეზია	371
სიმონ ზუნდაძის გარდაცვალების წლისთავისათვის	378
ნიკო ლორთქიფანიძის ხსოვნას	389

Александр Виссарионович Абашели

Избранное

том II

(На грузинском языке)

Государственное издательство

«Сабчота Сакарთველო»

Тбилиси

1960

რედაქტორი კ. ზობოზიძე  
მხატვრები ვ. გორდეღაძე, დ. ღუნდუა  
მხატვრული რედაქტორი ვ. ყაველაშვილი  
ტექნიკური რედაქტორი ვ. ზუციშვილი  
კორექტორი ო. ცინცაძე

ბეღმოწერილია დასაბეჭდად 19/IX-60 წ. ქა-  
ლალდის ზომა 60×92<sup>1</sup>/<sub>16</sub>. ნაბეჭდი თაბახი 24-5.  
სააღრ-საგამომც. თაბახი. 17,95. სააქტორო თაბა-  
ხი 17,22. ტირაჟი 7000, შეკვ. № 1194.

ფასი 9 მან. 10 კ.

ფასი 1961 წლის 1-ლი იანვრიდან 91 კაბ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს  
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის  
კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата  
Министерства культуры Грузинской ССР  
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

